გივი ლობჟანიძე

ადამიანის უფლებათა სამართალი

თბილისი
2005 წ.

წიგნს ვუძღვნი ჩემი მეცნიერ-
ხელმძღვანელის პროფესორ
ვახტანგ აბაშიძის ნათელ ხსოვნას

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი (შემდგომში ადამიანის უფლებათა სამართალი) და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ურთიერთშემავსებელი დამოუკიდებელი დარგებია, რომელთა კვლევის საგანი და ობიექტი ძალიან უახლოვდება ერთმანეთს. მათი ძირითადი ფუნქციაა ადამიანის, პიროვნების დაცვა, რომელსაც ახორციელებენ სხვადასხვა დროსა და გარემოებებში სხვადასხვა საშუალებით.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მექანიზმები მრავალფეროვანია, რომლებიც ერთმანეთს სრულყოფენ და ქმნიან ადამიანის უფლებათა აღიარების, მათი დარღვეული უფლებების აღდგენისა და დაცვის საერთო სისტემას. მართალია, ისინი სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს წარმოადგენენ სხვადასხვა სამართლებრივი სტატუსით, მაგრამ მათი საბოლოო მიზანი ადამიანის უფლებების დაცვაა.

სავსებით ვეთანხმებით თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მკვლევართა მოსაზრებას, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში დამკვიდრებისათვის საჭიროა მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ამიტომაც, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესახებ ლიტერატურის გამოცემა.

მართალია უკანასკნელ პერიოდში საკმაო რაოდენობის მასალები იბეჭდება, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს, მაგრამ ისინი ძირითადად განიხილავენ ადამიანის საერთაშორისო უფლებათა გარანტიებს. ჩვენი ნაშრომი ეყრდნობა როგორც უნივერსალურ, ისე ეროვნულ კანონმდებლობას, საერთაშორისო და რეგიონალური სამართლის პრიმატის გათვალისწინებით, და იგი პირველი მცდელობაა ადამიანის უფლებათა სამართლის ამ სახით სახელმძღვანელოს შექმნისა, ამიტომ ავტორი სიამოვნებით გაითვალისწინებს ყველა საქმიან წინადადებას და პასუხისმგებლობით მოეკიდება მათ.

რედაქტორები: პროფ. ვახტანგ ქარუმიძე,
პროფ. ლევან მატარაძე
რეცენზენტები: პროფ. მარინა კვაჭაძე,
პროფ. ავთანდილ ტუკვაძე

წიგნი გამოსაცემად რეკომენდებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ და დაიბეჭდა ამერიკული ორგანიზაცია „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (National Endowment for Democraticy, NED) მხარდაჭერით.

რედაქტორისაგან

პროფესორ გივი ლობჟანიძის სამეცნიერო სტატიებმა, მონოგრაფიებმა, სახელმძღვანელოებმა საქართველოს საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ფართო და მრავალფეროვანია საკვლევი პრობლემის თემატიკა, მიმართულებები და ღირებულებები. გამოკვლევები მიეძღვნა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის, თეორიისა და პრაქტიკის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საკითხებს. ავტორმა ახლებურად გაიაზრა და წარმოადგინა, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემა. მისი შრომები ფართო საზოგადოების გაცხოველებულ ინტერესს იწვევს. მკითხველი თითქოს ელოდება კიდეც მისი ავტორობით გამოცემულ ახალ წიგნებს. მისი შრომების მთავარი ღირსებაა თხრობის სადა, დამაჯერებელი სტილი, სიღრმე, სხვათა აზრებისადმი პატივისცემა. მათი წაკითხვისას ჩნდება კითხვები, იკვეთება პრობლემები, ავტორი ეძებს პასუხს დასმულ საკითხებზე, კამათობს, დავობს, აყენებს თავის მოსაზრებებს. ჩვენი აზრით, სამეცნიერო შრომა ამ კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს.

გივი ლობჟანიძის შრომა ეძღვნება სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და საჭირო ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართლის პრობლემებს, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საკითხს. მასში გათვალისწინებულია ამ სფეროში თანამედროვე კონცეფციები და დოგმები. ნაშრომი მეცნიერულ-გამოყენებითი მიმართულებისაა. იგი საღი აზრების კრებული და სამეცნიერო გამოკვლევაა თავისი დასკვნებითა და რეკომენდაციებით. წიგნის ძირითადი დებულებებია:

1) პლურალისტური დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო წარმოადგენენ აუცილებელ ელემენტს ადამიანის ყველა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემის, ადამიანებს შორის კონტაქტების განვითარებისა და ამასთან დაკავშირებული სხვა ჰუმანიტარული ხასიათის საკითხების უზრუნველყოფისათვის.

2) სამართლებრივი სახელმწიფო ნიშნავს არა უბრალოდ ფორმალურ კანონიერებას, რომელიც უზრუნველყოფს რეგულარობას და თანმიმდევრობას დემოკრატიული წესების დამყარებასა და შენარჩუნებაში, არამედ სამართლიანობასაც. იგი ემყარება ადამიანის პიროვნების უმაღლესი ღირსების აღიარებასა და სრულ გაზიარებას, აგრეთვე იმ დაწესებულების არსებობის გარანტიას, რომლებიც ქმნიან ეფექტურ სტრუქტურას და, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ მის ყველაზე სრულ გამოხატულებას.

3) დემოკრატია სამართლებრივი სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების განუყოფელი ელემენტია.

ნაშრომი სამეცნიერო-პრაქტიკული და გამოყენებითი მიმართულებისა და მნიშვნელობისაა. მასში, საქართველოს მაგალითზე, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების სამთავრობო და არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებზე, საქართველოში დემოკრატიის დიდ მონაპოვარზე, სახალხო დამცველის ინსტიტუტზე, საკონსტიტუციო სასამართლოს, პოლიციის როლსა და მნიშვნელობაზე, ჰუმანიტარული სამართლის, წითელი ჯვრის საერთაშორისო მოძრაობის, ლტოლვილთა და იძულებით ადგილმონაცვლეთა სამართლებრივ სტატუსზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გაცემულია კონკრეტული მეცნიერული პასუხი, განსაზღვრული და განმარტებულია პრობლემასთან

დაკავშირებული ძირითადი ცნებები, ტერმინები და დებულებები, რაც დაკავშირებულია ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენის და მათი დაცვის პრობლემებთან.

მისასალმებელია, რომ პროფესორმა გივი ლობჟანიძემ შექმნა სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა სამართალში, რომელიც ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომის შედეგია. იგი ადამიანის უფლებათა თითქმის ყველა საკითხზე იძლევა სწორ, მეცნიერულ და ობიექტურ პასუხებს.

საკითხების ჩამოთვლაც საკმარისია იმისათვის, რომ მეცნიერული შეფასება მიეცეს წარმოდგენილ ნაშრომს.

ნაშრომი ექვსი თავისაგან შედგება. პირველ თავში „ადამიანის უფლებათა სამართლის არსი“ განხილულია საკითხები: ადამიანის უფლებათა სამართლის ცნება, საგანი და კვლევის მეთოდი; ადამიანის უფლებათა სამართალი საზოგადოებრივ და იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში; ადამიანის უფლებათა სამართლის წყაროები და სისტემა; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ცნება; ადამიანის უფლებათა კონცეფციის ევოლუცია; ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უნივერსალური და ეროვნული სტანდარტები; პიროვნების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა; უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობა და მათი უფლებები; ადამიანი და სამართალი.

მეორე თავში, „ადამიანის საყოველთაო უფლებების უნივერსალური და რეგიონალური დაცვის მექანიზმები“, წარმოდგენილია საკითხები: გაერო და ადამიანის უფლებები; ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებები; ადამიანის უფლებები და ევროკავშირი (EU); ეუთო და ადამიანის უფლებები; ადამიანის უფლებები და სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები.

მესამე თავში, „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გარანტიები“, ავტორი გვთავაზობს საკითხებს: ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიათა კლასიფიკაცია; ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური გარანტიები; საკონსტიტუციო სასამართლო – ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი; საქართველოს საერთო სასამართლოები – ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი; ომბუდსმენის ინსტიტუტი, როგორც ადამიანის უფლებების დამცველი; ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო გარანტიები; ბავშვის უფლებები და ქართული კანონმდებლობა; ქალის უფლებების დაცვის საერთაშორისო გარანტიები; ქალის უფლებები და ქართული კანონმდებლობა.

მეოთხე თავში, „სახელმწიფო და ადამიანის უფლებები“, მკითხველი გაეცნობა საკითხებს: სამართლებრივი სახელმწიფო და ადამიანის უფლებები; ადამიანის უფლებები და სამოქალაქო საზოგადოება; სახელმწიფო, ხალხი, ეროვნული უმცირესობა და მათი უფლებები; ადამიანის უფლებების ევოლუცია ქართულ ტრადიციულ სამართალში.

ავტორი მეხუთე თავში, „ადამიანის უფლებების დაცვა საომარი მდგომარეობის დროს“, მნიშვნელოვან ადგილს უთმობს შემდეგი საკითხების განხილვას: ომი და ადამიანის უფლებები; ადამიანის უფლებები და „ჰუმანიტარული ჩარევის“ კონცეფცია; ომის „ხელოვნება“ და საქართველო; წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და ადამიანის უფლებებრ; წითელი ჯვარი და საქართველო; ადამიანის უფლებები და ლტოლვილები; თავშესაფრის უფლება; საქართველო, ლტოლვილები და მათი უფლებები.

მეექვსე თავში, „ადამიანის უფლებები და პოლიცია“, განხილულია საკითხები: გლობალიზაცია და ადამიანის უფლებები; უფლებადაცვითი ევროპული სტანდარტები და პოლიცია; ადამიანის უფლებები და გენდერული ძალადობა; ადამიანის უფლებები და ქართული პოლიცია.

სახელმძღვანელოს ერთ-ერთ დიდ ღირსებად მიგვაჩნია დანართები. ნაშრომში ადამიანის უფლებათა დაცვის თითქმის ყველა საერთაშორისო დოკუმენტია წარმოდგენილი.

წიგნი მიგვაჩნია იურიდიული მეცნიერების დადებით და მნიშვნელოვან შენაძენად. იგი დაეხმარება სტუდენტებს, ასპირანტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერებს, აგრეთვე სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პრობლემების და ადამიანის უფლებების დაცვის სამართლის საკითხების შესწავლით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

პროფესორი: ვახტანგ ქარუმიძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან 3

თავი I. ადამიანის უფლებათა სამართლის არსი

§1. ადამიანის უფლებათა სამართლის ცნება, საგანი და კვლევის მეთოდი 11

§2. ადამიანის უფლებათა სამართალი საზოგადოებრივ და იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში 18

§3. ადამიანის უფლებათა სამართლის წყაროები და სისტემა 23

§4. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ცნება 28

§5. ადამიანის უფლებათა კონცეფციის ევოლუცია 34

§6. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უნივერსალური და ეროვნული სტანდარტები 38

§7. პიროვნების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა 57

§8. უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობა და მათი უფლებები 65

§9. ადამიანი და სამართალი 70

თავი II. ადამიანის საყოველთაო უფლებების უნივერსალური და რეგიონალური დაცვის მექანიზმები

§1. გაერო და ადამიანის უფლებები 79

§2. ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებები 93

§3. ადამიანის უფლებები და ევროკავშირი (EU) 107

§4. ეუთო და ადამიანის უფლებები 111

§5. ადამიანის უფლებები და სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები 114

თავი III. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გარანტიები

§1. ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიათა კლასიფიკაცია 128
§2. ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური გარანტიები 133
§3. საკონსტიტუციო სასამართლო – ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი 142
§4. საქართველოს საერთო სასამართლოები – ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი 152
§5. ომბუდსმენის ინსტიტუტი, როგორც ადამიანის უფლებების დამცველი 163
§6. ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო გარანტიები 178
§7. ბავშვის უფლებები და ქართული კანონმდებლობა 182
§8. ქალის უფლებების დაცვის საერთაშორისო გარანტიები 192
§9. ქალის უფლებები და ქართული კანონმდებლობა 201

თავი IV. სახელმწიფო და ადამიანის უფლებები

§1. სამართლებრივი სახელმწიფო და ადამიანის უფლებები 207
§2. ადამიანის უფლებები და სამოქალაქო საზოგადოება 233
§3. სახელმწიფო, ხალხი, ეროვნული უმცირესობა და მათი უფლებები 245
§4. ადამიანის უფლებების ევოლუცია ქართულ ტრადიციულ სამართალში 259

თავი V. ადამიანის უფლებების დაცვა საომარი მდგომარეობის დროს

§1. ომი და ადამიანის უფლებები 274
§2. ადამიანის უფლებები და „ჰუმანიტარული ჩარევის“ კონცეფცია 299
§3. ომის „ხელოვნება“ და საქართველო 303

§4. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და ადამიანის უფლებები 311
§5. წითელი ჯვარი და საქართველო 325
§6. ადამიანის უფლებები და ლტოლვილები 327
§7. თავშესაფრის უფლება 336
§8. საქართველო, ლტოლვილები და მათი უფლებები 340

თავი VI. ადამიანის უფლებები და პოლიცია

§1. გლობალიზაცია და ადამიანის უფლებები 350
§2. უფლებადაცვითი ევროპული სტანდარტები და პოლიცია 355
§3. ადამიანის უფლებები და გენდერული ძალადობა 372
§4. ადამიანის უფლებები და ქართული პოლიცია 385
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 400

დანართები

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 403
2. ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ 414
3. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი 440
4. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 459
5. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი 491
6. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატური ოქმი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ 497
7. კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ 501
8. ბავშვის უფლებების დეკლარაცია 525
9. ბავშვის უფლებების კონვენცია 530
10. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია 567

თავი I

ადამიანის უფლებათა სამართლის არსი

§1. ადამიანის უფლებათა სამართლის ცნება, საგანი და კვლევის მეთოდები

ადამიანის უფლებათა საყოველთაო სამართალი, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა და დარგი, დასავლეთის სახელმწიფოებში საერთაშორისო სამართლის ბაზაზე გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან ჩამოყალიბდა.

დარგი არის სამართლებრივი სტრუქტურის ქვეგანაყოფი, რომელთა ერთობლიობა ქმნის სისტემას. ადამიანის უფლებათა სამართალი ჩვენს შემთხვევაში არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა (და არა მარტო) შორის არსებული ერთგვაროვანი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, ინსტიტუტები, მექანიზმები და პრაქტიკა.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში აღიარებულია, რომ დარგი არის მეცნიერული კატეგორია, ამიტომ სხვადასხვა მეცნიერი თავისებურად განსაზღვრავს სამართლის სისტემას, მის შემადგენელ ნაწილებს, დარგებს, ინსტიტუტებს, რაც მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ანალიზის საფუძველზე ხდება და მონოგრაფიებში, ლექციების კურსებსა და სახელმძღვანელოებში გამოიხატება.[1] ადამიანის საყოველთაო უფლებების ძირითადი პრინციპები და ნიშნები გაეროს წესდებაში აისახა, ამ თვალსაზრისით განმტკიცებული დებულებით განისაზღვრა გაეროს მიზნები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რომელიც 19 თავისა და 111 მუხლისაგან შედგება. წესდების პრეამბუ-

ლაში მოცემულია გაეროს შექმნის მთავარი მოტივი, ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ომის უბედურებისაგან იხსნან მომავალი თაობები, განმტკიცდეს ადამიანის ძირითად უფლებათა, მამაკაცთა და ქალთა, დიდი და პატარა ერების თანასწორუფლებიანობის რწმენა „და ამ მიზნით გამოვიჩინოთ შემწყნარებლობა და ვიცხოვროთ ერთად მშვიდობიანად, როგორც კეთილმა მეზობლებმა, და გავაერთიანოთ ჩვენი ძალები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად“, ვკითხულობთ გაეროს წესდების პრეამბულაში. 1946 წელს გაერომ შექმნა ადამიანის უფლებათა კომისია, რომელმაც ორი წლის შემდეგ 1948 წელს მოამზადა დეკლარაცია.

დეკლარაციამ სამართლებრივი თვალსაზრისით გააფართოვა ადამიანის უფლებათა არეალი, რასაც საერთაშორისო პაქტების მეშვეობით შემდგომში მოჰყვა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და სხვა უფლებების ჩამონათვალი.*

ადამიანის უფლებათა საყოველთაო სამართალი საერთაშორისო სამართლის დარგია, რომლის ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრ სახელმწიფოთა მიერ. ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი არის იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის საყოველთაო უფლებებს სახელმწიფოების მიმართ და სახელმწიფოს საყოველთაო მოვალეობებს ადამიანის მიმართ მოქალაქეობრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში.[2] იგი, როგორც სავანი და სასწავლო დისციპლინა, წარმოადგენს მნიშვნელოვან მიმართულებას თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დარგებს შორის და საკუთარი განვითარების ისტორია გააჩნია. სხვადასხვა მკვლევარი მისი განვითარების სხვადასხვა

* პაქტები ნაშრომს თან ერთვის.

პერიოდიზაციას გვთავაზობს, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა სამართლის დარგად ჩამოყალიბების რეალობა. იგი არის ადამიანისაგან განუყოფელ თვისებათა სფერო, რადგანაც ადამიანი თავისი უფლებებისა და თავისუფლების მეშვეობით მკვიდრდება საზოგადოებაში, ახდენს საკუთარი ინტელექტუალური, ფიზიკური, მატერიალური და სულიერი შესაძლებლობების რეალიზაციას, იცავს საკუთარ ინტერესებს, სიცოცხლესა და პიროვნებას, პატივს სცემს სხვის უფლებებსა და თავისუფლებებს.

საგნის ქვეშ მოიაზრება კვლევის ობიექტი, ის კონკრეტული პრობლემები, რაც ამა თუ იმ დარგს თუ დისციპლინას აინტერესებს, ამიტომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სწორედ კვლევის ობიექტით ანუ საგნით.

ამ შემთხვევაში **ადამიანის უფლებათა სამართალი,** გაეროს გენერალური ასამბლეას მიერ მიღებულ აქტებთან ერთად, განიხილავს რეგიონულ დონეზე მიღებულ საერთაშორისო კონვენციებს, კონსტიტუციებსა და ეროვნულ კანონმდებლობას ადამიანის უფლებათა დაცვის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, **ადამიანის უფლებათა სამართლის საგანია, როგორც უნივერსალური, ისე საერთაშორისო რეგიონული „აქტები“, ეროვნული კანონმდებლობა, მათი შესრულების მექანიზმი, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები და პრაქტიკა.**

პოლონელი მოღვაწის, მარეკ ნოვიცკის აზრით, „ადამიანის უფლებები ცოდნის ის დარგია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ფილოსოფიასთან, პირველ რიგში კი ეთიკასთან, იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებთან... ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სფეროს მიეკუთვნება... ადამიანის უფლებანი ინდივიდუალურია და არა კოლექტიური. ამ უფლებათა სუბიექტი ადამიანია“.[3] რაც შეეხება გაეროს ადამიანის უფლებათა ორივე საერთაშორისო

პაქტში შეტანილ I მუხლს, რომლის მიხედვითაც, „ყველა ხალხს აქვს უფლება თვითგამორკვევაზე. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებას“. ეს უნდა გავიგოთ, როგორც ერთა უფლებანი, რომელიც არ გამომდინარეობს ინდივიდუალური უფლებიდან და ეს ტიპური კოლექტიური უფლებანია, რომელსაც პოლიტიკური დატვირთვა უფრო გააჩნია.

ადამიანის უფლებათა შესახებ ვენის დეკლარაციისა და სამოქმედო პროგრამაში (1993 წ. 25 ივნისი) ვკითხულობთ: „ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები გულისხმობს თვითგამორკვევის უფლებას, ყველა ხალხს აქვს მისი უფლება, ამიტომ **თვითგამორკვევის უფლების უარყოფა განიხილება, როგორც იმ ინდივიდების უფლებების დარღვევა, რომლებიც ქმნიან ხალხს.** ამასთან, ამ უფლების განხორციელებამ არ უნდა ხელყოს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური ერთიანობა, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ“, რაც ძალზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია.

ამ პრინციპებით ხელმძღვანელობს დღეს სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა, როგორც გლობალურ (გაერო) ისე რეგიონალურ (ეუთო, ევროკავშირი) დონეებზე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ამას არაერთხელ აღნიშნავდა გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი ბუტროს-ბუტროს გალი, „მსოფლიო ქაოსის არენად იქცევა“.[4] ე.ი. როდესაც კოლექტიურ უფლებებზე ვსაუბრობთ, ისინი უფრო პოლიტიკური ხასიათისაა, მაგრამ მაინც ხაზი ესმება ინდივიდთა უფლებებს, რომელთა კრებადობა ქმნის ხალხს.

ადამიანის უფლებათა სამართლით დაინტერესებული მკვლევარები უფლებაში ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ:

მატერიალურ და საპროცესო უფლებებს.

მატერიალურ უფლებებში მოიაზრება ადამიანის კუთვნილი უფლებები, როგორიცაა: სიტყვის, საცხოვრებელი ადგილის არჩევის, თავისუფლების, განათლების მიღების, ჯანმრთელობის და ა.შ. მათშია როგორც უფლება, ასევე თავისუფლება, რომელსაც პოზიტიური უფლებების სახელითაც მოიხსენიებენ.

საპროცესო უფლებანი გულისხმობს იმ ინსტიტუტებს, რომელთა დახმარებითაც ადამიანი აიძულებს ხელისუფლებას დაიცვას და აღადგინოს ადამიანის დარღვეული უფლებები. საპროცესო უფლებანი უკავშირდება ნეგატიურ პასიურ უფლებებსაც, რაც ხელისუფლებას უკრძალავს, ან ზღუდავს ჩაერიოს ადამიანის პირადი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ პირად (ინდივიდუალურ) უფლებებს მოქალაქის უფლებებისაგან. „ყოველი სახელმწიფოს კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლებები შეიძლება დაიყოს აგრეთვე იმის მიხედვით, თუ ვის შეუძლია მათი გამოყენება — ყველა ადამიანს თუ მხოლოდ ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს. საქართველოს კონსტიტუციაში მითითებულია ისეთი ძირითადი უფლებები, რომლებიც ყველა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს; იმავდროულად აღიარებულია ისეთი უფლებებიც, რომლებსაც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები ფლობენ. ამ დაყოფის მიხედვით პირველი ჯგუფის უფლებებს ეწოდება ადამიანის უფლებები და მეორე ჯგუფისას კი — მოქალაქის უფლებები.[5] ისინი წარმოადგენენ ისეთ ღირსებებს, რომლებიც არ ვრცელდება მხოლოდ მოქალაქეებზე (იგულისხმება გარკვეული შეზღუდული პოლიტიკური უფლებები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები). მაგალითად, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და

41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. უფლებები და თავისუფლებები ადამიანის თანდაყოლილია, იგი ხელშეუხებლობით სარგებლობს და დაცულია სახელმწიფოს მიერ.

ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის „უფლებანი და თავისუფლებანი, უმრავლესობის ძალაუფლების ზღვარს აწესებენ“[6], ამიტომაც ადამიანის უფლებათა სფეროში სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, რომელთანაც დაკავშირებულია ყველა ის პრობლემა, რომლებსაც აღნიშნულ ნაშრომში განვიხილავთ.

ადამიანის უფლებანი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან მიმართებაში განვითარების მუდმივ პროცესშია ჩართული. ამასთან ჩნდება მათი ხელყოფის ახალი საშიშროებაც, ამიტომ ამ დარგის მკვლევარებმა და ამ პრობლემით დაინტერესებულმა პირებმა შესაბამისად უნდა გააფართოვონ სამეცნიერო კვლევის სფერო, ცხოვრებაში კი აამოქმედონ ადამიანის უფლებების საიმედო და ეფექტური დაცვის გარანტიები.

* * *

ადამიანის უფლებათა სამართალი, როგორც სასწავლო დასციპლინა და დარგი, ახალია, ამიტომ ამჟამად მიმდინარეობს მისი კვლევის მეთოდების შემუშავება და სრულყოფა.

მეთოდი არის ის ხერხი და საშუალება, რომელსაც იყენებს ესა თუ ის დარგი თავისი საგნის შესაცნობად და მეცნიერული შედეგების სარეალიზაციოდ.

ადამიანის უფლებათა სამართალი კვლევისას იყენებს შედარებით-სამართლებრივ, ფორმალურ-იურიდიულ, პროგნოზირების, და კონკრეტულ-სოციოლოგიურ მეთოდებს.

შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენება ნიშნავს ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო ხელშეკ-

რულებების, კონვენციების, დეკლარაციების და სხვა მასალების დამუშავებას და შედარებას, მათთან შესაბამისობაში ეროვნული კანონმდებლობის მოყვანას, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ინტეგრაციულ პროცესებში.

ფორმალურ-იურიდიული მეთოდი გვეხმარება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საკმაოდ დიდი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის შიდა აგებულების გამოკვლევაში სამართლის წყაროების (ფორმების) ფორმალურ – განსაზღვრებაში, საბოლოოდ მათ სისტემატიზაციაში. **პროგნოზირების მეთოდი** ნებისმიერი სამეცნიერო დარგისათვის უპირველესი საშუალება და ხერხია, წინასწარ განსაზღვროს დარგის მომავალი. პროგნოზირების მეთოდის გამოყენებას განსაკუთრებით საჭიროებს ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, როგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა და სამართალი, რაც მისი ეფექტურობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. პროგნოზირებამ უნდა უზრუნველყოს მიმართულებების ოპტიმიზაცია, ბიუროკრატიზმის და ადამიანთა უფლებების შეზღუდვების ხვედრითი წილის მინიმუმამდე დაყვანა ასეთი მიდგომების გარეშე ძალზე ძნელი იქნება გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო სამართლის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროების მოწესრიგება.

რაც შეეხება **კონკრეტულ-სოციოლოგიურ მეთოდს**, მისი მეშვეობით განისაზღვრება ადამიანის, როგორც სოციალური მოვლენის ადგილი საზოგადოებაში. სოციალური კვლევის შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე ხდება ახალი ნორმების შემოტანა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ეს მეთოდი სისტემატურად იყენებს ტესტირებას, ანკეტირებას, ინტერვიუებს, რამაც ბოლო პერიოდის პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა საკადრო პოლიტიკის გატარების სფეროში.

§2. ადამიანის უფლებათა სამართალი საზოგადოებრივ და იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში

ადამიანის უფლებათა სამართალი, როგორც დისციპლინა და ახლადჩამოყალიბებული დარგი, რომლის ფესვები ძირითადად საერთაშორისო სამართალთან არის დაკავშირებული, ყველაზე მეტად ენათესავება ფილოსოფიას, სოციოლოგიას. ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებებს, რადგანაც სწორედ ისინი შეისწავლიან ადამიანს, საზოგადოებას, მათ ურთიერთობებს, ეკონომიკური უზრუნველყოფის ინსტიტუტებს და საზოგადოებრივ ცნობიერებას. თითოეული მათგანის ყურადღების ცენტრში დგას სწორედ ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები.

ადამიანის უფლებათა სამართალი და ფილოსოფია

ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების, კვლევის ერთერთი ძირითადი მიმართულებაა ახსნას ის კანონზომიერებანი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ადგილს სამყაროში. უფრო ზუსტად ფილოსოფიის მიზანია ადამიანის ყოფიერების წვდომა და მისი ცხოვრების საზრისის ძიება.[7]

ანტიკური ხანის ფილოსოფოსებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს ამ პრობლემას, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე სწორედ მათ დაიწყეს პირველად საუბარი, მათი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა გახდა საფუძველი ამ სფეროში ახალი მიმართულებების განვითარებისათვის.

ადამიანის უფლებათა სამართალი და სოციოლოგია

ტერმინი სოციოლოგია ლათინურ-ბერძნულ სიტყვათა სინთეზია („სოცი" „ლოგის") და ნიშნავს მოძღვრებას საზოგადოების შესახებ. საზოგადოება მოიცავს, სხვადასხვა სფეროებსა და მხარეებს, რომელიც ქმნის მის სტრუქტურას, და ახორციელებს საკუთარ ფუნქციებს. ის ემორჩილება ზოგადსაკაცობრიო კანონებსა და ტენდენციებს, რომლებიც

მის ცვალებადობას განსაზღვრავენ. ეს კანონები აწესრიგებენ ადამიანთა დიდი და მცირე საზოგადოებრივი ჯგუფების, მათი სხვადასხვა სახის გაერთიანებების სოციალურ მოქმედებას და ქცევას. სოციოლოგიის კვლევის სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის, პიროვნების მოქმედებისა და ქცევის კანონზომიერების შესწავლას. ამდენად, მეცნიერების ეს დარგი ენათესავება ადამიანის უფლებათა სამართლის კვლევის საგანს, ადამიანის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადამიანის უფლებათა სამართალი და ეკონომიკური მეცნიერება

ეკონომიკური მეცნიერება სწავლობს წარმოებით ურთიერთობათა განვითარების კანონებს, მატერიალური დოვლათის შექმნის ხერხებს, საკუთრების ფორმებს, საზოგადოებაში ადამიანის სამეურნეო საქმიანობას, მატერიალური სიკეთის განაწილების წესებს, მექანიზმებს და ა.შ.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკურ მიმართულებებს. ბუნებრივია, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები წარმოუდგენელია ეკონომიკური უზრუნველყოფის გარეშე, რომელიც სამართლითაა დაცული და განმტკიცებული.

ადამიანის უფლებათა სამართალი და პოლიტოლოგია

პოლიტოლოგია, როგორც სასწავლო დისციპლინა და სამეცნიერო დარგი, ახალია. მისი მთავარი დანიშნულება ამა თუ იმ ქვეყანაში პოლიტიკის, პოლიტიკური ინსტიტუტების, სისტემებისა და პროცესების ზოგადი კანონზომიერებების შესწავლაა.

ადამიანის პოლიტიკური უფლებები ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სხვა უფლებათა შორის. პოლიტიკური ცხოვრება უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანთან, მის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან, ფორმებთან და მეთოდებთან. ძველ ბერძენთა აზრით, პოლიტიკა მართვის ხელოვნებაა, რომელსაც ადამიანი ახორციელებს.

ადამიანის უფლებათა სამართალი და ფსიქოლოგია

ფსიქოლოგიური მეცნიერების ძირითადი დარგები მთლიანად დაკავებული არიან ადამიანის პრობლემებით, იმ სპეციფიკური ნორმების და მეთოდების გამოყენებით, რაც ზემოქმედებს ადამიანთა ცნობიერებაზე.

ფსიქოლოგიაში შემავალი დარგები გარკვეულწილად მოწოდებული არიან შეისწავლონ საზოგადოებრივი პროცესები. კერძოდ, სხვა მიმართულებებთან ერთად ახსნან დამნაშავეობის ზრდისა თუ კლების ტენდენციებისადმი საზოგადოებრივი ჯგუფების განწყობა, სამართლებრივი თუ პოლიტიკური ნიჰილიზმის, ადამიანთა აქტიურობის თუ პასიურობის დონე და მეორე მხრივ, საზოგადოების უსაფრთხოების ხვალინდელი დღის რწმენის ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცების პრიორიტეტის წარმოჩენა. ბუნებრივია, ყველა ზემოაღნიშნული საკითხი თუ პრობლემა დაკავშირებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიებთან.

* * *

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა სამართლის ადგილს იურიდიულ დისციპლინათა შორის, მას ყველაზე ახლო ურთიერთკავშირი აქვს საერთაშორისო სამართალთან, როგორც მის სისტემაში შემავალი დარგი, საკონსტიტუციო, სამოქალაქო, შრომით სამართალთან და მეტ-ნაკლებად სამართლის სხვა დარგობრივ მეცნიერებებთან.

ადამიანის უფლებათა სამართალი და თანამედროვე საერთაშორისო სამართალი

საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო სისტემას მიეკუთვნება და მას იურიდიულ ლიტერატურაში, როგორც სამართლის სპეციფიკურ დარგს, ისე განიხილავდნენ.

საერთაშორისო სამართლის მკვლევართა აზრით, იგი არის იმ ურთიერთობების კრებადობა, რომელშიც ძირითად სუბიექტებად გამოდიან სახელმწიფოები, როგორც სუვერენული პოლიტიკური ერთეულები, აგრეთვე საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციები, თავისუფლებისათვის მებრძოლი ერები და ხალხები.

სამეცნიერო საერთაშორისო პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ საყოველთაო და რეგიონულ საერთაშორისო სამართალს. საყოველთაოს ქვეშ მოიაზრება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ინტერესები, ხოლო რეგიონულში – ორი ან მეტი სახელმწიფოს ურთიერთობები. საერთაშორისო სამართალი ეყრდნობა ორ ძირითად წყაროს, ესაა საერთაშორისო ხელშეკრულება და საერთაშორისო სამართლის ჩვეულებრივი ნორმები.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო სამართალი სტრუქტურულად საერთაშორისო სამართალში შედიოდა, როგორც მისი ერთ-ერთი მიმართულება, მაგრამ ცალკე დარგად გამოყოფა აუცილებელი გახდა, თუმცა მკაცრად ერთმანეთისაგან არ გამიჯნულან.

ადამიანის უფლებათა სამართალი და სახელმწიფოსა და სამართლის თეორია

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ზოგადი ხასიათის იურიდიული მეცნიერება და სასწავლო დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საერთო კანონზომიერებებს, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს, როლსა და განვითარების გზებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია განზოგადებულად შეისწავლის არა რომელიმე ქვეყნის სახელმწიფოსა და სამართალს, არამედ პრაქტიკის შესწავლითა და შედარებითი მეთოდის გამოყენებით აყალიბებს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების ცნებებსა და განსაზღვრებებს, შეიმუ-

შავებს სამეცნიერო რეკომენდაციებსა და დასკვნებს, რომლებიც არის სახელმწიფოსა და სამართლის არა მხოლოდ არსის, შინაარსისა და ფორმის გაგების, არამედ საზოგადოების პროგრესული განვითარების, სამართლებრივი სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცებისა და განხორციელების საშუალებაც.

ადამიანის უფლებათა სამართალი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი და საქართველოს კონსტიტუციური სამართალი

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი სწავლობს მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციურ წყობასა და პოლიტიკური ინსტიტუტების სისტემებს, აყალიბებს თითოეული ქვეყნის კანონმდებლობაში მიმდინარე ცვლილებებს და მათთვის დამახასიათებელ თავისებურებებს. ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრობლემებს. მიუხედავად მათი სხვადასხვაობისა, ისინი საბოლოოდ პასუხობენ იმ საერთაშორისო კონვენციებსა და დეკლარაციებს, რომლებიც ეხებიან ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციურ სამართალში სხვა მრავალ საკითხთან ერთად ჩამოყალიბებულია კონსტიტუციური დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას და იძლევიან მათი ხელშეუხებლობის გარანტიებს.

საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, არის სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელსაც გააჩნია საკუთარი სისტემა და აწესრიგებს პიროვნებისა და სახელმწიფოს ძირითად ურთიერთობებს, აგრეთვე განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ხელისუფლების კომპეტენციას. მისი მოწესრიგების საგანია საზოგადოებრივი ურთიერთობები, წარმოშობილი

მმართველობის პროცესში ადამიანებსა (სალხს) და საჯარო ხელისუფლებას შორის.

გარდა ზემოაღნიშნული დისციპლინებისა, ადამიანის უფლებათა სამართალს ახლო კავშირი აქვს ეროვნული სამართლის სისტემაში შემავალ დარგობრივ დისციპლინებთან, როგორიცაა: სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, შრომისა და სხვ.

ასეთია ადამიანის უფლებათა სამართლის ადგილი საზოგადოებრივ და იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში.

§3. ადამიანის უფლებათა სამართლის წყაროები და სისტემა

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრობლემატიკას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება, საერთაშორისო სამართალი და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დარგები. თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში, მათ შორის ჩვენსაშიც, ხაზგასმულია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტალური პრინციპები, რომლებიც გარანტად გამოდიან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში.

ადამიანის უფლებათა სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის ერთერთი დარგი, სარგებლობს სამართლის თეორიის ტრადიციული ფორმებით (წყაროებით).

ადამიანის უფლებათა სამართალი ხასიათდება მრავალრიცხოვანი საკანონმდებლო ხასიათის წყაროებით, რომლებიც განსაზღვრავენ და აყალიბებენ ცალკეულ მექანიზმებს და გარანტიებს, მათ ფუნქციებს, უფლებამოსილებას, მოღვაწეობის პრინციპებს და ა.შ. ჩვენს შემთხვევაში ადამიანის უფლე-

ბათა სამართლის წყაროები პირობითად უნდა დავყოთ სამ ნაწილად:

1) უნივერსალური წყაროები, რომელიც ყველას ეხება (ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი „ტრიადა", კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ, ბავშვის უფლებების დეკლარაცია, ბავშვის უფლებების კონვენცია, ქალის პოლიტიკური უფლებების შესახებ, წამების კონვენცია, აპარტეიდის კონვენცია, 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა შესახებ, ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს ოთხი კონვენცია ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ და ა.შ.

2) რეგიონალური წყაროები (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია, ევროპის სოციალური ქარტია, ადამიანის უფლებათა ამერიკული ქარტია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო ისლამური დეკლარაცია და ა.შ.).

3) შიდასახელმწიფოებრივი წყაროები (საქართველოს კონსტიტუცია, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, ეროვნული სამართლის სისტემის შესაბამისი ნორმები).

„ადამიანის უფლებები რჩება სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების პირველად წყაროდ, მაგრამ მათი მოცულობა ვარირებს ეპოქისა და კონკრეტული საზოგადოების განვითარების დონეთა მიხედვით...

ადამიანის უფლებები პოზიტიური სამართლის, ანუ იმ ნორმათა ერთობლიობის მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი, პირველად წყაროდ ცხადდება, ხოლო სახელმწიფოს მიერ თავისი კანონით ბუნებითი უფლებების (რომელიც არ იცვლება) უგულებელყოფა მართლსაწინააღმდეგო და უზურპაციის აქტად ითვლება".[8]

„რადგანაც მხოლოდ დაწერილი, მხარეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე შექმნილი ნორმა ქმნის სტაბილურ, მყარ ქცევის წესს".[9]

რაც შეეხება კონკრეტულად ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არ არის ხელშეკრულება. იგი გაეროს მიერ მიღებული რეზოლუციაა, ამიტომ არ ჩაითვლება ადამიანის უფლებათა სამართლის წყაროდ. არსებობს საპირისპირო დასაბუთებაც „1948 წლის შემდეგ კონვენციურ დონეზე მისი მრავალჯერადი გამოყენების გამო იურიდიული ფორმის თვალსაზრისით იგი იქცა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის აქტად, ხოლო იურიდიული შინაარსის თვალსაზრისით, რამდენადაც მასში ასახულია და ჩამოყალიბებულია სამართლის ზოგადი პრინციპები, საბოლოო ჯამში დეკლარაციამ შეიძინა სამართლის ძალა“.[10] გარდა ამისა, იგი არის სავალდებულო საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრისათვის. აქედან გამომდინარე ამ საკითხზე აღარ დაობენ, რადგანაც დეკლარაციის ძირითადი დებულებები უმრავლეს ქვეყანაში მიღებული საერთო პრაქტიკის შემადგენელი ნაწილები გახდნენ, ამით კი დეკლარაციამ ისეთ სტატუსს მიაღწია, რომ ის გახდა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შემადგენელი ნაწილი.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ჰქმნიან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილს, მათ უნივერსალური ხასიათი გააჩნიათ, საყოველთაოდაა გამოყენებული და ადამიანის უფლებათა სამართლის პირველ წყაროდაა აღიარებული. არსებობს ასევე იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებები, რომლებიც რეგიონულ დონეზე გამოიყენებიან ასე მაგ. ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

ჩვენს შემთხვევაში ადამიანის უფლებათა სამართლის წყაროდ უნდა მივიჩნიოთ 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის 4 კონვენცია, I კონვენცია მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, II კონვენცია საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა, ავადმყოფთა, ხომალდის კატასტროფის შესახებ, III კონვენცია შეეხო სამხედრო ტყვეების მოპყრობას, IV კონვენცია ეხება ომის დროს სამოქალაქო პირთა დაცვის პრობლემას, მათ უნივერსალური ხასიათი გააჩნიათ.

ადამიანის უფლებათა სამართლის წყაროებს წარმოადგენენ ასევე საერთაშორისო კოდექსები და პრინციპები, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო ორგანოების, მაგ. გაეროს გენერალური ასამბლეის ან ევროპის საბჭოს მიერ. შეიძლება ზოგიერთი მათგანი არ წარმოადგენდეს იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს, მაგრამ აძლიერებენ სახელშეკრულებო დებულებებს, სახავენ რა დამტკიცებული სტანდარტების პრაქტიკაში განხორციელების გზებს.

კონსტიტუციასთან ერთად ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დარგების ინსტიტუტები და ნორმები განიხილება, როგორც ადამიანის უფლებათა სამართლის წყარო, რადგანაც მის გარეშე ვერც ერთ ქვეყანაში ვერ იქნება დაცული და რეალიზებული სრულყოფილად ადამიანის უფლებები. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ტენდენციაა ერთმანეთს დაუახლოვდეს საერთაშორისო და ეროვნული სამართლის დარგობრივი ნორმები. ადამიანის უფლებები აწესრიგებენ არა მარტო საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისო), არამედ აგრეთვე შიდასახელმწიფო ურთიერთობებს. ე.ი. ადამიანის უფლებათა სამართალი ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს „უნივერსალურ, რეგიონალურ საერთაშორისო ხელშეკრულებას“ და ეროვნულ კანონმდებლობას. ამიტომ იგი, იურიდიული თვალსაზრისით, ორმაგი ბუნებისაა. აკადემიკოს ლ.ალექსიძის აზრით, „საერთაშორისო სამართალი იჭრება ისეთ სფეროში,

რომელიც, ერთი შეხედვით, სახელმწიფოს მხოლოდ შინაგან კომპეტენციაში შეიძლება შედიოდეს, მაგრამ სინამდვილეში ამ საკითხის ჯეროვანი მოწესრიგება შესაძლებელია სახელმწიფოთა მჭიდრო თანამშრომლობის ნიადაგზე. სწორედ ასეთ პრობლემას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ღონისძიებანი".[11]

ზემოაღნიშნული მომენტები ფაქტობრივად გავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის სისტემაზე, რაც გულისხმობს იმას, თუ რა საკითხებს შეისწავლის იგი და რა თანმიმდევრობით განიხილება ადამიანის უფლებათა სამართლის ძირითადი პრობლემები, სადაც გათვალისწინებულია, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებანი, ისე ეროვნული კანონმდებლობა, ამიტომ ნაშრომის არქიტექტონიკა შედგება ორი — მატერიალური და საპროცესო უფლებისაგან. მასში განხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები და ადამიანის დარღვეული უფლების აღდგენის მექანიზმები. კერძოდ, ნაშრომის პირველ თავში მოცემულია ადამიანის უფლებათა სამართლის არსი, რომელიც 9 პარაგრაფისაგან შედგება, მეორე თავი ეძღვნება ადამიანის საყოველთაო უფლებების უნივერსალურ და რეგიონული დაცვის მექანიზმებს როგორიცაა: გაერო, ევროსაბჭო, ევროკავშირი, ეუთო, ადამიანის უფლებები და სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები. მესამე თავში განხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო გარანტიები, რომელიც 9 პარაგრაფისაგან შედგება. მე-4 თავი ეხება სახელმწიფოს და ადამიანის უფლებებს, რომელთა განხილვას 4 პარაგრაფი ეთმობა.

მეხუთე თავში მოცემულია ადამიანის საერთაშორისო უფლებები საომარი მოქმედებების დროს, სადაც განხილულია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქმიანობა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. აქვეა განხილული

ლტოლვილთა და იძულებით ადგილმონაცვლეთა სამართლებრივი მდგომარეობა. ბოლო მეექვსე თავი ეძღვნება ადამიანის უფლებებსა და პოლიციას, სადაც განხილულია როგორც ევროპული სტანდარტები ასევე ეროვნული პოლიციის როლი და მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში. ნაშრომს დანართების სახით ახლავს ყველა ძირითადი უნივერსალური და რეგიონული დოკუმენტი, რომელიც ადამიანის უფლებათა სამართლის წყაროს წარმოადგენს.

§4. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ცნება

ადამიანის უფლებების წარმოქმნა და მისი, როგორც თეორიული პრობლემის, შეცნობა განუყრელად არის დაკავშირებული ბუნებითი სამართლის იდეის აღმოცენებასა და გავრცელებასთან. ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე VI-V ათასწლეულებში ძველი ბერძენი მოაზროვნეები (ლიკოფრონი, ანტიფონი) ამტკიცებდენ, რომ ყველა ადამიანი დაბადებიდანვე თანასწორუფლებიანია, რადგან ბუნებით მინიჭებული ერთნაირი უფლებები აქვთ. არისტოტელე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა უფლებას კერძო საკუთრებაზე, რომელიც ასაზავდა თვით ადამიანის ბუნებას და საკუთრებისადმი მის სიყვარულს ემყარებოდა. ფეოდალიზმის პერიოდში მრავალი ბუნებით-სამართლებრივი იდეა შეიმოსა რელიგიური მანტიით. მოგვიანებით მათ ასახვა და შემდგომი განვითარება ჰპოვეს ლოკის, მონტესკიეს, რუსოს, კანტის, ბენტამის და სხვა მოაზროვნეთა ნაშრომებში. საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ადამიანის უფლებები იდეალური კატეგორიიდან გარდაიქმნა რეალურ სინამდვილედ, გამყარდა სახელმწიფო-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში და ამა თუ იმ

სისტემის სამართლებრივ, თუ სახელმწიფოს მოწყობის დემოკრატიულობის კრიტერიუმად იქცა.

პირველი იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ ადამიანის უფლებათა მწყობრ სისტემას, იყო თომას ჯეფერსონის მიერ შედგენილი და კონგრესის მიერ მიღებული ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის ვირჯინიის დეკლარაცია (1776 წ.), სადაც, როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში, პირველად გაიჟღერა ადამიანის ბუნებითი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობამ: „ჩვენ მიგვაჩნია აბსოლუტურ ჭეშმარიტებად, რომ ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორად.

არსთა გამრიგემ მათ უბოძა გარკვეული ხელშეუვალი უფლებანი, მათ შორის არის: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა.

ამ უფლებათა დასაცავად ადამიანები ქმნიან ხელისუფლებას, რომელიც თავის მართლზომიერ უფლებამოსილებას მათგანვე იღებს მათივე თანხმობით.

უკეთუ მმართველობის რომელიმე ფორმა ხელყოფს ამ მიზანს, ხალხის უფლებაა, შეცვალოს ან გააუქმოს არსებული მმართველობა და დაამყაროს ახალი ხელისუფლება, რომელიც ისეთ პრინციპებს დაეფუძნება და ისე მოაწყობს ამ ხელისუფლებას, როგორადაც უფრო სარწმუნოდ მიიჩნევს საკუთარი უსაფრთხოებისა და ბედნიერებისათვის“, — ვკითხულობთ დეკლარაციაში. მას შემდგომში მოჰყვა აშშ კონსტიტუცია (1791 წ.), ფრანგული დეკლარაცია (1789 წ.), უფლებათა ბილი (პირველი თავისუფლების ნუსხა). ამ პოლიტიკურ-სამართლებრივ დოკუმენტებში ჩადებულ ადამიანის ფუძემდებლურ უფლებებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. მათი ძირითადი დებულებები განვრცობილად აისახა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში.

სადღეისოდ ადამიანის უფლებები რეალურადაა განმტკიცებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის სამართლის დარგებში, ინსტიტუტებსა და საკანონმდებლო აქტებში.

უფლებები და თავისუფლებები ნებისმიერი ადამიანის ხელშეუვალი და მისი ყოფიერების მნიშვნელოვანი ნიშანთვისებაა. სახელმწიფო არავის „ასაჩუქრებს“ უფლებებით, იგი მხოლოდ ამტკიცებს მას კანონით და უზრუნველყოფს მის რეალიზებას. სახელმწიფო იმ შემთხვევაში არ შეიძლება სამართლებრივად ჩაითვალოს, თუ იგი უგულვებელყოფს ადამიანის ბუნებით უფლებებს, ან, უფრო მეტიც, ბღალავს და ებრძვის მას, ეწინააღმდეგება მათ განხორციელებას, ასეთი სახელმწიფო ხასიათდება, როგორც ანტიდემოკრატიული (ავტორიტარული, ტოტალიტარული და ა.შ.).

უფლება არის სახელმწიფოს მიერ კანონის რანგში აყვანილი ადამიანის შესაძლებლობები, ნებადართული ქცევის წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის სიცოცხლეს, საკუთრებას, ადამიანურ ღირსებებს და თავისუფალ მოღვაწეობას ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

კატეგორია „უფლებასთან“ ერთად იხმარება ტერმინი „თავისუფლება“ — სინდისის თავისუფლება, სარწმუნოების არჩევის თავისუფლება, აზრის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება და ა.შ. აზრობრივად და შინაარსობრივად ეს კატეგორიები შეიძლება ტოლფასად ჩაითვალოს. იურიდიულ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში იხმარება აგრეთვე კატეგორიები — „სამოქალაქო თავისუფლებები“, „სამოქალაქო უფლებები“, „პიროვნების უფლებები“ და „მოქალაქის უფლებები“. რა განსხვავებაა უფლებასა და თავისუფლებას შორის?

მართალია, მათ შორის ბევრი რამ საერთოა და ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ, მაგრამ მაინც არ შეიძლება მათი სრული იდენტურობა გავიზიაროთ.

რას ნიშნავს უფლება სიცოცხლეზე?

„უფლება სიცოცხლეზე ნიშნავს იმას, რომ მისი სიცოცხლე თვითნებურად არ იქნება ხელყოფილი სახელმწიფოს მიერ. ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს იმისაგან, რომ მის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან არ ექნება ადგილი: წამებას, სასტიკ არაადამიანურ, მისი ღირსების დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას; იგი არ იქნება თვითნებურად დაკავებული ან დაპატიმრებული. არ იქნება ცნობილი ბრალდებულად ისეთი ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად; თვითნებურად და უკანონოდ არ ჩაერევიან მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში“[12] და ა.შ. რაც სახელმწიფოს უმოქმედობით გამოიხატება.

ადამიანს გააჩნია თავისუფლება შრომით, მოქალაქეობრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში და ა.შ., რომელსაც უნდა უქმნიდეს სახელმწიფო თავისი აქტიური მოქმედებით.

ე.ი. თავისუფლებები, ეს ის სიკეთეებია, რომლებსაც ადამიანები ბუნებრივად ფლობენ, წარმოადგენენ მუდმივ და განუსხვისებელ ღირებულებებს, რომლის დაცვა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ თავისი უმოქმედობითა და მოქმედებით.[13] ე.ი. ადამიანის თავისუფლება საზოგადოებაში მისი ნების, სურვილისა და ინტერესების შესატყვისი მოქმედების შესაძლებლობაა საკუთარი ნებითვე დადგენილ საზღვრებში. [14]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა „უზრუნველყონ“ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. აღნიშნული მუხლი სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც. რაც იმას ნიშნავს, რომ კონვენციითა და შესაბამისი ოქმებით სახელმწიფოს ევალება თავი შეიკავოს აქტიურ ჩარევაზე უფლებებისა და თავისუფლებების გარკ-

ვეულ სფეროში, მაგრამ უზრუნველყოს მათი დაცვა. სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში დგება თვით სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. ამის მაგალითები მრავლად არსებობს.[15]

საბოლოო ჯამში ადამიანის თავისუფლებები მიმართულებების მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: 1. სფეროები, სადაც სახელმწიფო არ უნდა აქტიურობდეს, ანუ იჩენდეს უმოქმედობას (ასეთია სიცოცხლის ხელყოფა, პირადი, ოჯახის, კორესპონდენციის, ღირსების, რეპუტაციის, რელიგიური მრწამსის, ინფორმაციის სიტყვის, აზრის და ა.შ).

2. სფეროები, სადაც საჭიროა სახელმწიფოს აქტიური მოქმედება (შრომის, ცხოვრების პირობები, ჯანმრთელობის, განათლების, ბინის, ე.ი. ეკონომიკის, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებებს აქვს ბუნებითი შინაარსი და განუყოფელია ინდივიდისაგან. ისინი ტერიტორიისა და ეროვნულობის მიღმა, სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ და საერთაშორისო-სამართლებრივი მოწესრიგებისა და დაცვის ობიექტებს წარმოადგენენ. თუკი ადამიანის ეს უფლებები განმტკიცდება კონკრეტული სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტებში, ისინი ამ სახელწიფოს მოქალაქეთა უფლებებად იქცევიან.

მოქალაქეთა უფლებები ბუნებითი უფლებამოსილებების ერთობლიობაა, რომლებიც ნორმატიულ-სამართლებრივ სახელმწიფო აქტებში აისახება. ის სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების პროცესში წარმოიშვა. მოქალაქის უფლებები, როგორც წესი, განისაზღვრება კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით, ასევე აუცილებელია სახელმწიფომ მოახდინოს მათი დეკლარირება და უზრუნველყოს

დაცვა. ისინი აძლევენ ადამიანს საზოგადოების წევრის სტატუსს.

პიროვნების უფლებები აიხსნება, როგორც კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული ინდივიდის კუთვნილი უფლებამოსილებანი. მათი მოცულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ადამიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებზე, მის სამუშაოსა და ცხოვრების დონეზე. ტერმინ „პიროვნების" ქვეშ იგულისხმება ადამიანი, მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, იძულებით ადგილნაცვალი. პიროვნების უფლება გვიხასიათებს ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებს, მისი სოციალური სიმწიფის ხარისხს, უნარს გაიცნობიეროს სამართალი და პასუხი აგოს საკუთარ მოქმედებაზე. როდესაც ვმსჯელობთ ადამიანის უფლებებზე, იქვე უნდა განვსაზღვროთ ძირითად მოვალეობათა წრე, რომელიც არის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული, მოქალაქეთა მიერ სავალდებულო მოქმედების შესრულების შესაძლებლობანი. ასე მაგ.

საქართველოს უზენაესი კანონის — კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი ყველას ავალდებულებს გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

კონსტიტუციის 44-ე მუხლში კონკრეტულადაა მითითებული, რომ საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

კონსტიტუციის 94-ე მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვალეობა, რომლის მიხედვითაც სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა, კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.

კონსტიტუციის 101-ე მუხლით საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა, ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია.

ამჟამად საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში, სამეცნიერო ლიტერატურასა და განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში კატეგორიებს „ადამიანის უფლება“, „მოქალაქის უფლება“, „პიროვნების უფლება“ ძირითადად ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ. ცალკეული კატეგორიების გამოყენება განპირობებულია ლოგიკური და სტილისტური წესებით, ანდა აუცილებლობით, გამოიკვეთოს ადამიანის უფლებების პრობლემის ესა თუ ის ასპექტი, რასაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

§5. ადამიანის უფლებათა კონცეფციის ევოლუცია

ადამიანის უფლებათა სამართალი საერთაშორისო სამართლის ახალი დარგია, მაგრამ მას თავისი განვითარების საკუთარი ისტორია გააჩნია, რადგანაც იგი ადამიანის ბუნებით უფლებებსა და თავისუფლებებს ეხება, რომელთა აღიარება, დაცვა და შენარჩუნება ძნელი აღმოჩნდა კაცობრიობისათვის. თავის დროზე ამ პრობლემის ირგვლივ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი თეორიული მიმდინარეობა: ბუნებითი სამართალი და პოზიტივიზმი. ბუნებითი სამართლის თეორიის მომხრეთა მტკიცებით ადამიანს უფლებები ღმერთმა უბოძა და მისივე ბუნებიდან გამომდინარეობენ, რომლებიც არ იცვლებიან, მიუხედავად საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეპოქათა ცვალებადობისა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ტიპის სახელმწიფო ვალდებულია აღიაროს და დაიცვას ეს უფლებები.

ბუნებითი სამართლის თეორიას უპირისპირდებოდა **პოზიტივიზმის თეორია**, რომლის მიმდევრები უპირატესობას ანიჭებდნენ სახელმწიფოს მიერ მიღებულ და მოქმედ კანონმდებლობას ბუნებით უფლებებთან მიმართებაში, ამიტომაც საუკუნეები დასჭირდა ამ სფეროში მოძრაობის დაწყებას, რადგანაც ადამიანებს თანადგომასა და პარტნიორობაზე უფრო ეადვილებოდა სხვისი უფლებების ხელყოფა და დათრგუნვა. „უფლებაწართმეულთა საპასუხო მოქმედება კი ისევ თავის დამთრგუნველთა დათრგუნვისაკენ, დამმორჩილებელთა დამორჩილებისაკენ იყო მიმართული“.[16]

ანტიკური ეპოქის, X-XI საუკუნეების შემდეგ, პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ჯერ კიდევ XIII საუკუნის დასაწყისში გადაიდგა, კერძოდ, 1215 წლის 15 ივნისს ინგლისის მეფის ჯონ უმიწაწყლოს მიერ რუნიმედის მოედანზე „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ ხელმოწერითა და გამოცხადებით. ეს იყო მსოფლიოში პირველი ისტორიული წერილობითი დოკუმენტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კონსტიტუციური მმართველობის იდეასა და აზროვნებას. ადამიანის უფლებები იქცა კონსტიტუციონალიზმის საფუძვლად, რომ არა ეს უფლებები შესაძლოა არც კი შეიქმნებოდა კონსტიტუცია. მართალია, რომ „თავისუფლებათა დიდი ქარტია“ მეფისა და ხელისუფლების ხელყოფისაგან იცავდა ბარონებს, შეძლებულ ფენებსა და ფეოდალთა უფლებებს, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც დიდია. მკვლევარები ადამიანის უფლებათა შესახებ ერთიანი კონცეფციის ჩამოყალიბებას უკავშირებენ საზღვაგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ დიდ ისტორიულ მოვლენებს მაგ. დიდ ბრიტანეთში 1688-89 წლების რევოლუციას მოყვა „უფლებათა შესახებ ბილის“ მიღება, საფრანგეთის რევოლუციას – ადამიანის და მოქალაქის უფლებების 1789 წლის დეკლარაცია, რომელმაც არა მარტო აღიარა ადამიანის უფლებები, არამედ სახელმწიფოს და-

აკისრა მისი დაცვის უზრუნველყოფა, შეერთებული შტატების ბილი ადამიანის უფლებების შესახებ (1791), რასაც მოყვა მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე დასავლეთ ევროპაში ადამიანის საყოველთაო უფლებების პრიორიტეტის აღიარება სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონების მიმართ. გამოჩნდნენ მოაზროვნეები, რომლებმაც აღიარეს და დაასაბუთეს ადამიანის უფლებების ზესახელმწიფოებრივი ბუნება. ესენი იყვნენ: ჰუგო გროკიუსი, თომას ჰომსი, ჯონ ლოკი, შარლ ლუი დე მონტესკიე. ამერიკის კონტინენტზე (ჩრდილოეთ ამერიკაში) თომას ჯეფერსონმა, ბენჯამინ ფრანკლინმა და ჯონ ადამსმა შეადგინეს ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, სადაც ფაქტობრივად ასახვა ჰპოვა ევროპულმა კონცეფციებმა, რომ „ყველა ადამიანი დაჯილდოებულია განუსხვისებელი უფლებებით, რომელთა შორის არის სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა. ამ უფლებების უსაფრთხოებისათვის ადამიანთა შორის ყალიბდება—მმართველობანი, რომელთა ძალაუფლების კანონიერება წარმოსდგება მართულთა შეთანხმებიდან. ამიტომ იქ, სადაც მმართველობის ფორმა იწყებს ამ მიზნის მოშლას, ხალხის უფლებაა შეცვალოს ან აკრძალოს იგი და ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა“.

ადამიანის უფლებათა სამართლის საწყისების აქტიური ჩამოყალიბება იწყება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც ადამიანს მიენიჭა შედარებით ფართო პოლიტიკური უფლებანი. მეორე ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ XX საუკუნის 50-იანი წლები, როდესაც გაიზარდა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების არეალი და XX საუკუნის 80-ანი წლები ეკოლოგიური და საინფორმაციო უფლებების მოპოვებისა და გაფართოების პერიოდი.

საბოლოოდ ადამიანის საყოველთაო უფლებათა რეალური ჩამოყალიბება იწყება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კერძოდ, 1945 წელს ჩატარებული ნიურნბერგის

პროცესი, ადამიანის საერთაშორისო უფლებათა ისტორიაში შევიდა როგორც საკვანძო ეტაპი, რომელიც ნაკლებად ეხებოდა საბჭოურ სივრცეს. ცნობილია, რომ საბჭოური კონცეფცია უარს ამბობდა ბუნებითი სამართლის იდეაზე და ამტკიცებდა, რომ სამართალი უბრალო ზედნაშენია, რომელიც ეკონომიკურ ინტერესს ემსახურება, სამართალი სხვა არაფერი არის, თუ არა პოლიტიკის იარაღი, ამიტომ, საბჭოთა სახელმწიფო ყოველთვის მაღლა იდგა სამართალსა და სამართლიანობაზე, ცნება „სოციალისტური კანონიერება“ გამოხატავდა სამართლის დაქვემდებარებას პოლიტიკისადმი. ეს ცნება კი შეუთავსებელი იყო ბუნებითი სამართლის კონცეფციასთან. აქედან გამომდინარე, სსრ კავშირში წინა პლანზე იყო წამოწეული არა სამართალი და ადამიანის უფლებები, არამედ საზოგადოებრივი საკუთრება და სოციალისტური სახელმწიფოს იდეა, რომლის საბოლოო კვდომასაც წინასწარმეტყველებდნენ სამართალთან ერთად. ამ იდეოლოგიის მსხვრევის შემდეგ იწყება გაეროს ეგიდით ფართომასშტაბიანი საერთაშორისო საქმიანობა, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ადამიანის უფლებათა სამართლის ჩამოყალიბების საქმეში, რადგანაც ტრადიციული საერთაშორისო სამართალი სრულყოფილად არ იხილავდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს*.

ამ ხარვეზის შევსების მიზნით ბოლო წლების განმავლობაში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტების დიდი ნუსხა, რამაც დღის წესრიგში დააყენა მათი სისტემატიზაცია და დაცვის მექანიზმების სრულყოფა. დღემდე დადებულია 120-მდე საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროს, მათი პატივისცემა კი „საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად

* საერთაშორისო სამართალი შემოიფარგლება უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეთა უფლებების დაცვის პრობლემებით.

იქცა“, ყოველივე ამან განაპირობა ადამიანის უფლებათა სამართლის ცალკე დარგად ჩამოყალიბება, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ყოველი წევრის მიერ, რომელთა რიცხვი და მასშტაბები ყოველდღიურად ფართოვდება.

§6. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უნივერსალური და ეროვნული სტანდარტები

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ და შესაბამისად პაქტებმა, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, განსაზღვრა ადამიანის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ნუსხა და ჩამოაყალიბა საერთო სტანდარტი ყველა ხალხისა და ყველა ერისათვის, რითაც ეროვნულ კანონმდებლობას მისცა მათი გაფართოების საშუალება. დეკლარაციით განსაზღვრულია:

I – სამოქალაქო უფლებები. მასში მოიაზრება: ა) ყველას თანასწორობა კანონის წინაშე; ბ) ყოველ ადამიანს გააჩნია მოქალაქეობის უფლება; გ) ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და პირადი ცხოვრების უფლება; დ) ყოველ ადამიანს უფლება აქვს სახელმწიფოს ფარგლებში გადაადგილდეს და აირჩიოს თავისი საცხოვრებელი ადგილი, დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის თავისიც, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში; ე) არავის არა აქვს ადამიანის თვითნებურად დაპატიმრების, დაკავების ან განდევნის უფლება; ვ) არ შეიძლება თვითნებურად ჩარევა ადამიანის პირად ცხოვრებასა და საოჯახო საქმეებში.

II – პოლიტიკურ უფლებებში შედის: ა) მართვაგამგეობაში მონაწილეობის მიღება; ბ) ყოველ ადამიანს აქვს

აზროვნების, სინდისის და რელიგიის თავისუფლების უფლება; გ) მრწამსის თავისუფლებისა და გამოხატვის უფლება; დ) ყოველ ადამიანს აქვს მშვიდობიან საკრებულოებსა და ასოციაციებში მონაწილეობის უფლება; ე) ყოველ ადამიანს უფლება აქვს დევნის შემთხვევაში თავშესაფარი ეძიოს ქვეყანაში; ვ) არავინ არ უნდა ეწამოს და დაისაჯოს; ზ) ადამიანს გააჩნია პეტიციის უფლება, ხალხს შეუძლია დაუპირისპირდეს ხელისუფლებას, თუ ის გადაუხვევს დემოკრატიის გზიდან.

III – ეკონომიკური უფლებებია: ა) ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, ქონება ხელშეუხებელია და მისი თვითნებურად ჩამორთმევა დაუშვებელია; ბ) ყოველ ადამიანს აქვს შრომის უფლება, საქმიანობის თავისუფალი არჩევის, გასამრჯელოს მიღების უფლება. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შედიოდეს მათში თავისი ინტერესების დასაცავად; გ) ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს წარმოების მართვაში, უფლება ჯანმრთელ გარემოზე, სამედიცინო მომსახურეობაზე.

IV – სოციალური უფლებებია: ა) ყოველ ადამიანს აქვს სოციალური უზრუნველყოფის, ღირსების შენარჩუნების, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება; ბ) ყოველ ადამიანს აქვს დასვენების უფლება; გ) ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება, რაც ხელს უნდა უწყობდეს ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემასა და გაგებას; დ) სრულწლოვან მამაკაცებსა და ქალებს, რასის და ეროვნების, რელიგიის ნიშნების მიხედვით ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აქვთ შეუღლების, ოჯახის შექმნის უფლება.

V – კულტურული უფლებებია: ა) ყოველ ადამიანს აქვს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში მონაწილეობის უფლება; ბ) ყოველ ადამიანს

აქვს საავტორო უფლება; გ) ყოველ ადამიანს აქვს დაიცვას თავისი მორალური და მატერიალური ინტერესები.

გარდა უფლებებისა, ნებისმიერ ადამიანს აქვს ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, რომელთა დაცვა და შესრულება სავალდებულოა.

მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებები **აბსოლუტური უფლებების** სახელითაა ცნობილი, რომელთაგან განასხვავებენ **ხელშეუხებელ** (უფლება სიცოცხლეზე, თავისუფლება წამებისაგან, თავისუფლება მონობისაგან, უფლება სამართლის სუბიექტად ცნობაზე, უფლება აზრის, რწმენის, რელიგიის თავისუფლებაზე) უფლებათა რიგს და **ხელშესახებ** (თავისუფლება სავალდებულო შრომისაგან, უფლება თავისუფლად გადაადგილების შესახებ, უფლება საცხოვრებელი ადგილის თავისუფალ არჩევაზე, უფლება სასამართლოში საქმის ღია განხილვაზე და ა.შ.) უფლებებს.

რაც შეეხება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს განიხილავენ, როგორც **შეფარდებითი** უფლებები.

იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით **პოზიტიურ** და **ნეგატიურ უფლებებად** დაყოფასაც. პოზიტიურ უფლებებში მოიაზრებენ სახელმწიფო მოხელეთა ან სახელმწიფო მექანიზმში შემავალი სტრუქტურების ვალდებულებებს, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ მოქალაქემ ისარგებლოს სიკეთეებით და განახორციელოს მისთვის მიზანშეწონილი მოქმედებანი.

ნეგატიურ უფლებებში იგულისხმება სახელმწიფოსა და ადამიანის ვალდებულებები, თავი შეიკავონ ამა თუ იმ მოქმედებისაგან სხვა ადამიანის მიმართ და ამით დაიცვან ინდივიდი მისი თავისუფლებების შემზღუდავი, მისთვის არასასურველი ზემოქმედებისაგან.

ადამიანის უფლებებში, როგორც უკვე ითქვა, გამოყოფენ ასევე ორ ძირითად ჯგუფს **მატერიალურ** და **საპროცესო უფლებებს**. მატერიალური უფლებები მოიცავენ, პირად

(სამოქალაქო) უფლებებსა და თავისუფლებებს, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს.

საპროცესო უფლებების სფეროში შედის ყველა ის გარანტიები, მეთოდები და ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებითაც ადამიანი ახერხებს თავისი დარღვეული უფლებების აღდგენას, ან რითაც დაცულია ადამიანი ხელისუფლების თვითნებობისაგან.

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები განსაზღვრულია საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით და კონკრეტული სახელმწიფოების კონსტიტუციებით. მათი კლასიფიკაციის ერთ-ერთ საყოველთაოდ აღიარებულ კრიტერიუმს წარმოადგენს საზოგადოებაში ადამიანის მოღვაწეობის სფერო, რომელშიც რეალიზდება პიროვნების ესა თუ ის ინტერესი და მოთხოვნილება. ადამიანის უფლებები გახდა კონსტიტუციონალიზმის საფუძველი, მსოფლიოს მრავალ ქვეყანას კონსტიტუციაში აქვს დაფიქსირებული სახელმწიფო წყობილების საორიენტაციო მოდელი, სადაც ასახულია კონკრეტული ქვეყნის საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი, მისი ისტორიული, ეროვნულ-ეთნიკური კულტურის თავისებურებანი. ნებისმიერ სახელმწიფოს თავისი შიდა სამართლებრივი სისტემა გააჩნია, რომელიც საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის რომელიმე ოჯახთან არის დაკავშირებული, მიუხედავად განსხვავებული და სპეციფიკური თავისებურებებისა, ყველაფერი ეს ასახვას პოულობს კონსტიტუციებში, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. განვიხილავთ რამდენიმე კლასიკური ქვეყნის კონსტიტუციას ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უზენაესი კანონი – კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1943 წლის 23 მაისს, რომლის პირველი განყოფილება ადამიანის „ძირითად უფლებებს“ ეხება, სადაც მოცემულია ადამიანის ღირსების განმსაზღვრელი, მომწესრიგებელი და დამცავი ნორმების ერ-

თობლიობა. „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია, მისი პატივისცემა და დაცვა ყველა სახელმწიფოში ხელისუფლების მოვალეობაა“, სპეციალისტები ხაზს უსვამენ ერთ გარემოებას, რომ „გერმანიის კონსტიტუციური სამართლის ამოსავალი დებულებაა, სახელმწიფო ადამიანისათვის და არა პირიქით, — ასეთია მისი დედააზრი, რომელიც მთელ კონსტიტუციას წითელ ზოლად გასდევს“.[17]

საფრანგეთს ადამიანის უფლებათა დაცვისა და კონსტიტუციონალიზმის განვითარების ისტორიული გზა გააჩნია. აღსანიშნავია 1789 წლის ფრანგული დეკლარაცია, სადაც პირდაპირ იყო მინიშნებული, რომ ადამიანები იბადებიან და რჩებიან თავისუფალი, სახელმწიფოს უზენაესი მიზანი კი არის ამ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა.

დღეისათვის საფრანგეთში მოქმედებს 1958 წლის 4 ოქტომბერს მიღებული კონსტიტუცია, რომლის პრეამბულამ სცნო სწორედ 1789 წლის დეკლარაცია და 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულა, გერმანიის კონსტიტუციასთან მიმართებაში საფრანგეთის კონსტიტუციაში ადამიანის უფლებათა დაცვის ნორმების ნაკლებობაა, მაგრამ ეს „სულაც არ ნიშნავს ადამიანის უფლება-თავისუფლებების დაცვის გარანტიების ნაკლებობას“,[18] ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით დიდ როლს თამაშობს სასამართლო ხელისუფლება, კონსტიტუციით ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებს შორის მნიშვნელოვანია მედიატორის ინსტიტუტი, რომელიც ომბუდსმენის სახესხვაობაა და ექვსწლიანი ვადით მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ინიშნება და ანგარიშვალდებულიც მის წინაშეა.

იტალიის კონსტიტუცია მიღებული იქნა 1947 წლის 22 დეკემბერს დამფუძნებელი კრების მიერ. კონსტიტუციური სამართლის სფეროში მოღვაწე მკვლევართა აზრით, იგი ითვლება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე სოციალურ და დემოკრატიულ ნორმატიულ აქტად.

მართლაც, იტალიის კონსტიტუციის 139 მუხლიდან, მესამედზე მეტი ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს ეძღვნება. კონსტიტუციაში გამიჯნულია პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები, თუმცა ქვეყანაში არ ფუნქციონირებს ომბუდსმენის ინსტიტუტი.

კონსტიტუციონალიზმის განვითარების თავისებური გზა განვლო ესპანეთმა. ამჟამად მოქმედი 1978 წლის კონსტიტუცია რიგით მეცხრეა, სადაც ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს 5 თავი და 45 მუხლი აქვს დათმობილი. ესპანეთში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფერო სამ ფორმად განიხილება: 1) მოქალაქეთა უფლება მიმართონ საერთო იურისდიქციის სასამართლოებს; 2) მოქალაქეთა უფლება მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს; 3) მოქალაქის უფლება მიმართოს სახალხო დამცველს. ეს უკანასკნელი ომბუდსმენის ინსტიტუტის ნაირსახეობაა, რომელიც ხუთი წლის ვადით ინიშნება თანამდებობაზე კორტესების მიერ და მისი უმაღლესი კომისარია. ესპანეთის კონსტიტუცია ითვლება ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ სამართლებრივ აქტად.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თავიანთი ტრადიციები გააჩნიათ აშშ-სა და ევროპა-აზიის სხვა ქვეყნებსაც.[19] დღეისათვის მკვლევარები ასაბუთებენ, რომ არანაკლებ 100 ეროვნულ კონსტიტუციას, რომლებიც მიღებული იქნენ 1948 წლის შემდეგ, ან პირდაპირ გადმოაქვს დეკლარაციის დებულებები, ან აშკარად იგრძნობა მათი გავლენა. უფრო მეტიც, ბელგიაში, ნიდერლანდებში, ინდოეთში, შრი-ლანკაში და სხვა ქვეყნებში — საყოველთაო დეკლარაციის დებულებები ფართოდაა გამოყენებული შიდასახელმწიფო კანონების ლეგალური განმარტების მიზნით. მათ ხშირად უთითებენ ამ ქვეყნის სასამართლოებიც.[20] ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით ეროვნულ არეალში

შეიძლება განვიხილოთ სამოქალაქო (პირადი), ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და ინფორმაციული უფლებები.

სამოქალაქო (პირადი) უფლებები და თავისუფლებები მოიცავს სიცოცხლის უფლებას, პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობას, ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, თავისუფალი გადაადგილების უფლებას, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას, სასამართლოს წესით დაცვის უფლებას. უფრო დაწვრილებით კი სამოქალაქო (პირადი) უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენენ ბუნებით-სამართლებრივი საწყისების ამსახველ უფლებამოსილებათა ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ პიროვნების ინდივიდუალობას და ორიგინალობას სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან ურთიერთკავშირში. მათ მიეკუთვნება სიცოცხლის, პიროვნების ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პირადი და ოჯახური საიდუმლოებების დაცვის, საკუთარი ღირსების და საბელის დაცვის, მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, ფოსტის, ტელეგრაფის და კავშირგაბმულობის სხვა სახეობების საიდუმლოების დაცვის, თავისუფალი გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის არჩევის და სხვა უფლებები.

სიცოცხლის უფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა, რომელიც დაცულია საერთაშორისო—სამართლის ნორმებით (დეკლარაციით, კონვენციით) საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით. ეს ნიშნავს, რომ არცერთ ადამიანს, როგორი მოქმედებებიც არ უნდა ჩაიდინოს, არ შეიძლება წაერთვას სიცოცხლე არავისაგან, ამიტომაც მსოფლიოს სამართლებრივი სახელმწიფოები კრძალავენ სიკვდილით დასჯას, მათ შორისაა აშშ, გერმანია, ავსტრია, ავსტრალია და სხვა ქვეყნები, საქართველომ კარგა ხანია გააუქმა სიკვდილით დასჯა და იგი შეიცვალა უვადო პატიმრობით.

ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობა პირადი უფლებების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუხებელია. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

კონსტიტუციის მე-18 მუხლით ხელშეუხებელია ადამიანის თავისუფლება.

პირად უფლებათა შორის მნიშვნელოვანია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს უფლებათა არეალს, სადაც შედის პირადი და ოჯახური საიდუმლოების დაცვა, მიმოწერის, ყველა სახის საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების, და ა.შ. მნიშვნელოვანი უფლებაა საცხოვრებელი ბინის ხელშეუვალობა, რაც ნიშნავს, რომ არავის არ აქვს უფლება შეაღწიოს საცხოვრებელ ბინაში ბინის მეპატრონის ნების გაუთვალისწინებლად.

პირად უფლებებს ეკუთვნის პიროვნების თავისუფალი გადაადგილება და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის კონსტიტუციური (22-ე მუხლი) უფლება. „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება“. ასევე ყველას შეუძლია თავისუფლად გავიდეს, ხოლო საქართველოს მოქალაქეს დაუბრკოლებლად შემოვიდეს თავის ქვეყანაში. ეს კონსტიტუციური დებულება განმტკიცებულია პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-12 მუხლი). ამ უფლებათა ცხოვრებაში გატარების მიზნით 1996 წლის 27 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“. ამ კანონით გაუქმდა მანამდე არსებული და მკაცრად დაცული ჩაწერის აუცილებლობა,

რაც საცხოვრებელი ადგილის არჩევის შესაძლებლობას ზღუდავდა. შემოღებული იქნა რეგისტრაციის წესი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის მიხედვით, 3 თვეზე მეტი ვადით ადგილის შეცვლისას პირი ვალდებულია ამის შესახებ 10 დღის განმავლობაში აცნობოს შესაბამის რაიონულ თუ საქალაქო ორგანოებს.

საქართველოს კონსტიტუციით დაშვებულია სინდისის, აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლება.

პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები ითვალისწინებს სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებას, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას, გაერთიანების უფლებას, პეტიციის უფლებას, რომელიც არის წერილობითი სახით კოლექტიური თხოვნის შეტანა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. პეტიციის უფლებით, როგორც წესი, აღჭურვილი არიან მხოლოდ მოქალაქეები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე ეს უფლება მოქალაქეების გარდა ენიჭებათ ასევე უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. პოლიტიკური უფლებების პრობლემა უკავშირდება პოლიტიკურ უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას. ე.ი. პირი უნდა იყოს პოლიტიკური სამართალურთიერთობის სუბიექტი და მოქალაქეს უნდა გააჩნდეს უნარი თავისი მოქმედებით დამოუკიდებლად განახორციელოს პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობას სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში. მათ მიეკუთვნება ადამიანის მოქალაქეობის უფლება, უფლება განსაზღვროს და მიუთითოს თავისი ეროვნული წარმომავლობა, გაერთიანების უფლება, საკუთარი ინტერესების დასაცავად პროფესიული კავშირების შექმნის უფლების ჩათვლით, ყრილობების, მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარების უფლება, როგორც პირადად, ასევე თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, სახელმწიფო

საქმეებში მონაწილეობისა და მართვის უფლება, უფლება აირჩიოს და თავად იქნეს არჩეული, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში, მიმართოს სახელმწიფო ორგანოებს და სხვ.

ქვეყნის კონსტიტუციის 28-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ყველა მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება, გარდა მოქალაქეებისა, რომლებიც სასამართლომ სცნო ქმედუნარიანად და მოქალაქეებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენით იმყოფებიან სასჯელის აღმსრულებელ დაწესებულებებში. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება. 26-ე მუხლი ყველას აძლევს უფლებას მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ გაერთიანებებში, პოლიტიკურ პარტიებში და გაერთიანებათა მუშაობაში. თუმცა მე-5 პუნქტის შესაბამისად „პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას". შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება ერთერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის უფლებაა. პოლიტიკური უფლებების ნაწილს შეადგენს ინფორმაციის თავისუფლება, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიტყვის, აზრის, ბეჭდვის, ინფორმაციის თავისუფლებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს ნებისმიერი აგიტაციისა და პროპაგანდის აკრძალვას, რაც უკავშირდება სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, დანაშაულის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. პოლიტიკურ უფლებებში შედის მოქალაქეთა მონაწილეობა საყოველთაო

სახალხო კენჭისყრაში (რეფერენდუმი), რომლის ჩატარების წესსა და პროცედურას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია, რის საფუძველზეც (მუხლი 74) მოქალაქეებს შეუძლიათ არა მარტო მონაწილეობა, არამედ უფლება აქვთ მოითხოვონ მისი ჩატარება (200000 ამომრჩევლის მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია დანიშნოს რეფერენდუმი სახელმწიფო მნიშვნელობის სხვადასხვა საკითხზე). რეფერენდუმში მონაწილეთა უფლებას ადამიანი იძენს 18 წლის ასაკიდან. 33-ე მუხლით აღიარებულია გაფიცვის უფლება და ა.შ.

სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებში შედის ოჯახის შექმნის უფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, განათლების უფლება, შემოქმედების თავისუფლება, შრომის თავისუფლება, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება.

უფრო კონკრეტულად, ეკონომიკური უფლებები არის ის უფლებამოსილებები, რომლებიც ადამიანის ბუნებითი უფლებების ეკონომიკურ ასპექტებს ასახავენ და იმავდროულად უზრუნველყოფენ ინდივიდის სამეურნეო ავტონომიურობას და მათ ურთიერთობას ერთმანეთთან და საზოგადოებასთან. ეს არის კერძო საკუთრების უფლება, საკუთარი ქონების ფლობის, გამოყენების და განკარგვის უფლება როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვა პირებთან ერთად, მეწილეობის უფლება კოოპერაციულ, აქციონარულ, მუნიციპალურ, სახელმწიფო საკუთრებაში, სამეწარმეო საქმიანობის უფლება, საკუთარი შრომითი შესაძლებლობების თავისუფლად გამოყენების, პროფესიის, მოღვაწეობის სფეროს არჩევისა და სხვა უფლებები. კონსტიტუციის 38-ე მუხლი სხვა უფლებებთან ერთად უზრუნველყოფს ეკონომიკურ თავისუფლებას, 30-ე მუხლით სახელმწიფო ხელს უწყობს მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას და ა.შ.

სოციალური უფლებები ასახავენ კონკრეტული სახელმწიფოსა და საზოგადოების მატერიალური განვითარების დონესა და მათ უნარს უზრუნველყონ ადამიანის ცხოვრების ღირსეული პირობები და სოციალური დაცვა, რაც უპირველესად გულისხმობს მოხუცებულობის, დროებითი ან მუდმივი შრომითუნარიანობის, მარჩენალის დაკარგვას, სიღარიბის შემთხვევაში, პენსიებისა და დახმარებებების მიღებას სახელმწიფოს ბიუჯეტიდან. სოციალურ უფლებათა შორის დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის, სოციალური უზრუნველყოფის, საცხოვრებლის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების უფლებებს.

კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულია ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, საცხოვრებელი ბინა. 30-ე მუხლით შრომა თავისუფალია, შრომითი უფლებები დაცულია. 37-ე მუხლით უზრუნველყოფილია ადამიანის ჯანმრთელობის, სამედიცინო დახმარების, ეკოლოგიური და უსაფრთხო გარემოს შექმნა და ა.შ.

განათლების უფლება ადამიანის სოციალური სფეროს ფუნდამენტალური მიმართულებაა, რადგანაც განათლება განსაზღვრავს საზოგადოების განვითარებისა და ინტელექტის დონეს, საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლით „ყველას აქვს განათლებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. სკოლამდელ აღზდას უზრუნველყოფს სახელმწიფო. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებელში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება. ქვეყანაში დაშვებულია კერძო სასწავლებლების გახსნა და ფასიანი სწავლების ფორმა“.

სოციალური სფეროს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების უფლება. კონსტიტუციის 37-ე მუხლით, „ყვე-

ლას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით, განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება". რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალური დაზღვევის სამსახური ხელშეკრულებას აფორმებს სამედიცინო სფეროს პერსონალთან, დაზღვეული პირის სამედიცინო მომსახურების თაობაზე, რის საფუძველზეც შეიძლება მომსახურეობის ღირებულების ნაწილობრივი გადახდა ან უფასო მომსახურეობაც.

კულტურული უფლებები მოქმედებს სულიერ-კულტურულ ურთიერთობებზე, უზრუნველყოფს პიროვნების სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობას. ამ ჯგუფში შედის მშობლიური ენის გამოყენების, საურთიერთობო ენის თავისუფალი არჩევის, სარწმუნოებისა და სინდისის თავისუფლების, განათლების, ლიტერატურულ, მხატვრულ, სამეცნიერო-ტექნიკური და ხელოვნების სხვა დარგების თავისუფლების, კულტურული ღირებულებების გაცნობის უფლებები. კონსტიტუციის 34-ე მუხლით სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის, განათლების კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლენას და განვითარებას და ა.შ.

ეკოლოგიური უფლებები მოწოდებული არიან უზრუნველყონ დედამიწაზე და კონკრეტულ ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების ნორმალური პირობები. ეს არის უფლება ხელსაყრელი გარემოს, მისი მდგომარეობის შესახებ სწორი ინფორმაციის მიღების, ადამიანის ჯანმრთელობის ან მისი ქონებისათვის ეკოლოგიური კანონდარღვევებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების უფლებები. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს გარემოს შესაბამისი დაცვა და მისი გამოყენების სარგებლიანობა.

ინფორმაციული უფლებები, მართალია, პოლიტიკურ უფლებათა რიგში მოიაზრება, მაგრამ იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი ცალკე გამოყოფაც დასაშვებია, იგი უმეტესად პიროვნებისა და საზოგადოების განვითარების ახალი ეპოქისათვისაა დამახასიათებელი. მის განმტკიცებასა და დაცვაზე დამოკიდებულია პიროვნების საერთო სამართლებრივი სტატუსის რეალიზაცია. ამას მიეკუთვნება ფიქრის და სიტყვის თავისუფლება, ინფორმაციის მოძიების, მიღების, გადაცემის, წარმოქმნის და გავრცელების უფლება ნებისმიერი კანონიერი საშუალებებით, მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით, საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ცენზურა დაუშვებელია და ა.შ.

ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების ისტორიული გამოცდილება იძლევა ადამიანის უფლებების კანონზომიერი განვითარების გამოვლენის, მათი საერთო და სპეციფიკური პრინციპების ფორმირების და რეალიზაციის საშუალებას. ამ შემთხვევაში საჭიროა, ყურადღება მივაქციოთ შემდეგ ვითარებებს:

– ადამიანის უფლებებს აქვს უნივერსალური ხასიათი. ისინი ვრცელდება ყველა ადამიანზე და გამოიყენება ყველა ქვეყანაში მისი ამა თუ იმ საერთაშორისო ერთობის წევრობისაგან დამოუკიდებლად. ცხადია, უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის ეფექტურობა და მოცულობა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების განვითარების დონეზე.

— ადამიანის უფლებები მუდმივად ვითარდება და საზოგადოებრივი ურთიერთობების დინამიკასა და მოქალაქეთა სამართალშემეცნების ზრდას ასახავს. ამ საერთაშორისო პრინციპებმა თავისი ასახვა ჰპოვეს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლში.[21] საზოგადოების განვითარებისა და ცხოვრების დონის ცვალებადობასთანაა დაკავშირებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლების განვითარების მექანიზმების სრულყოფის პროცესი.[22]

— ადამიანის უფლებები არის იურიდიულად განმტკიცებული, სოციალური აუცილებლობა. არ შეიძლება მისი აბსოლუტიზება და რეალური ცხოვრებისაგან, მოაზროვნე ადამიანისგან მოწყვეტა. მთელ რიგ საერთაშორისო-სამართლებრივ და შიდასახელმწიფოებივ დოკუმენტებში დაშვებულია ზოგიერთი უფლებისა და თავისუფლების ნაწილობრივი შეზღუდვა საზოგადოების უსაფრთხოების, ეკოლოგიური თანაფარდობის და სხვა თვალსაზრისით. გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის კანონმდებლობაში განსაზღვრულია კერძო საკუთრების დასაშვები ფარგლები, ხაზგასმით აღნიშნულია მისი საზოგადოების სასარგებლოდ გამოყენების აუცილებლობა. შვეიცარიაში მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა შეზღუდულია სხვადასხვა მიზეზის გათვალისწინებით. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწები, მისი მფლობელის შეცვლის შემთხვევაში, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიზნით.

— ადამიანის უფლებებს აუცილებლად თან ახლავს მოვალეობებიც. ადამიანის უფლებების და თავისუფლებების იურიდიულ მოვალეობებთან შესაბამისობა, მათი წარმატებით რეალიზაციის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს.

ცალკე განხილვის საგანია პოლონეთის ჰელსინკის კომიტეტის სამხედრო მდგომარეობის პერიოდში 1982 წელს დაფუძნებული პოლონელ ინტელექტუალთა იატაკქვეშა ორგანიზაციის ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიში, რომელიც

ეუთოს მადრიდის კონფერენციაზე წარადგინეს. მასალებმა სერიოზული გამოხმაურება ჰპოვა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. პოლონელი სპეციალისტების მიერ ჩამოყალიბდა დებულებანი, რომლის მიხედვითაც „ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორი იბადება, საკუთარი ღირსებებითა და უფლებებით — ადამიანის ღირსება მისი განუყოფელი და თანდაყოლილი თვისებაა, რელიგიური და ფილოსოფიური საფუძვლების მიუხედავად, ის ფუნდამენტია, რომელზედაც დაფუძნებულია უფლებათა და თავისუფლებათა საერთო ბურჯები.“[23] მათ მიერ გამოყოფილი იქნა თავისუფლებათა შორის პრიორიტეტული მიმართულებები, როგორიცაა:

1. ღირსება, რომელიც აღიარებულია, როგორც კაცობრიობის უნივერსალურ ფასეულობათა ღერძი, რომელიც 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია აღიარებული, ყველა ადამიანი თანასწორია თავისი ღირსებით. იგი თან ახლავს ოჯახის ყველა წევრს, ხოლო სახელსა და მდგომარეობას საზოგადოებაში თითოეული ადამიანი თავად მოიპოვებს.

2. თანასწორობა, როგორც პოლიტიკური მოთხოვნა XVIII საუკუნის ბოლოს გაჩნდა. ეს ცნება აღიარა ვირჯინიის შტატის უფლებათა ქარტიამ, 1793 წლის საფრანგეთის კონსტიტუციამ, შემდგომში ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ და ა.შ. არსებობს კანონის წინაშე თანასწორობა, რაც ახასიათებს დემოკრატიულ საზოგადოებას და სამართლებრივ სახელმწიფოს.

3. თავისუფლება, რაც კაცობრიობის სანატრელი და ხშირად მიუღწეველი ოცნება იყო. რეალურად ადამიანთა მასიური შეზღუდვები XX საუკუნემდე ახასიათებდა კაცობრიობას. მონობის კანონის გაუქმებას მოჰყვა შედარებითი თავისუფლებების განხორციელება. რელიგიური და ფილოსოფიური თეორიები განიხილავდნენ და საზოგადოებას სთა-

ვაზობდნენ ნების თავისუფლების მნიშვნელობას და პასუხისმგებლობას კაცობრიობის მიერ გაკეთებულ არჩევანზე პრინციპით: ნუ მოექცევი სხვას ისე, როგორც არ გინდა მოგექცნენ შენ, მაგრამ თავისუფლება თავის თავში უფრო მეტს შეიცავს, ვიდრე უარის თქმას საკუთარ უფლებებზე სხვებისათვის. მხოლოდ რობიზონ კრუზოს ჰქონდა საკუთარი უფლებებისა და თავისუფლების გამოყენების შესაძლებლობა ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, და ისიც მხოლოდ პარასკევას გამოჩენამდე.[24]

თავისუფლება რთული ფენომენია. კიდევ უფრო რთულია შათთვის, ვინც არ არის მიჩვეული მას. ადამიანებმა უნდა შეძლონ თავისუფლებასთან ადაპტირება „ჩვენ უნდა ვისწავლოთ თავისუფლება."

4. სიცოცხლის უფლება ფუნდამენტური უფლებაა, რომლის გარეშე ადამიანის ყველა დანარჩენი უფლება ყოველგვარ აზრსა და დასაბუთებას კარგავს. ამიტომაც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში სიცოცხლის უფლება პირველ ადგილზე დგას.

სიკვდილი, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა, ნიშნავს არამართლზომიერი გზით ადამიანისათვის სიცოცხლის წართმევას ოფიციალური ან ამ როლში მყოფი პირის მიერ. საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანა და აღსრულება, ყველა აუცილებელი გარანტიის არსებობის შემთხვევაში, არ მიიჩნევა ადამიანის უფლებათა დარღვევად, იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არსებობს სასჯელის უმაღლესი ზომა სიკვდილით დასჯა.

ბუნებრივი სიკვდილის შესახებ თავის დროზე ეპიკურე აღნიშნავდა: „სიკვდილი ჩვენთვის არარაა, ვინაიდან ვიდრე ცოცხლები ვართ, იგი არ არის, ხოლო როცა ის მოვა, ჩვენ უკვე აღარ ვიქნებით".

ჟან-ჟაკ რუსო ჯერ კიდევ 1762 წელს გამოქვეყნებულ „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ“ ტრაქტატში წერდა: „ომი არავითარ შემთხვევაში არ არის ურთიერთობა ადამიანებს შორის, არამედ ეს არის ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის და ამ ურთიერთობისას ცალკეული პირები მხოლოდ შემთხვევის წყალობით ხდებიან მტრები; არა როგორც ადამიანები, არა როგორც მოქალაქეები, არამედ როგორც ჯარისკაცები... თუ ომის მიზანია მოწინააღმდეგე სახელმწიფოს განადგურება, მაშინ მეორე მხარეს უფლება აქვს გაანადგუროს მისი დამცველები მანამ, სანამ ისინი იარაღით ხელში იბრძვიან; მაგრამ როგორც კი მებრძოლები იარაღს დაყრიან და დანებდებიან, ისინი აღარ წრმოადგენდნენ მტრებს ან იარაღს მტრის ხელში და ისევ ჩვეულებრივი ადამიანები ხდებიან, ამიტომ, მათთვის სიცოცხლის წართმევის უფლება აღარავის აქვს“.[25]

5. **პირადი ცხოვრების უფლება.** კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფოს არა აქვს უფლება თვითნებურად ჩაერიოს ადამიანთა პირად ცხოვრებაში. პირადი ცხოვრების შოთხოვნილება დიდი ხნის წინათ გაუჩნდათ ადამიანებს. შემთხვევითი არაა, რომ შუა საუკუნეებში მიღებული ქარტიები უკრძალავდნენ ხელისუფლებას განსაკუთრებული შემთხვევების, ორდერის ან სპეციალური ნებართვის გარეშე შეჭრილიყვნენ კერძო სახლებსა და პიროვნების კუთვნილ ტერიტორიაზე.

პირადი ცხოვრების უფლება სხვა უფლებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. იგი შეიძლება შეიზღუდოს; როცა საფრთხე ემუქრება სახელმწიფოს თუ საზოგადოების უშიშროებას, ან კიდევ, სტიქიური უბედურების და სხვა საგანგებო მდგომარეობის გამო. პირადი ცხოვრების უფლების ხშირი დარღვევა ხდება პოლიციურ სახელმწიფოში. ხოლო სამართლებრივი სახელმწიფო სხვა უფლებებთან ერთად პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიაა.

6. **საკუთრების** უფლება ადამიანის ერთი ფუნდამენტური უფლებაა, ის იცვლებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმების ცვალებადობასთან ერთად. საზოგადოებაში მიმდინარე რევოლუციური პროცესები თავისუფლებისა და თანასწორობის გვერდით ყოველთვის ითვალისწინებდა საკუთრების უფლებას და მას ერთ-ერთ წამყვან როლს აკისრებდა.

საკუთრების უფლება არა მხოლოდ ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, არამედ საერთოდ **თავისუფალ საქმიანობას განსაზღვრავს.** მისი პატივისცემა ის საფუძველია, რომელსაც ემყარება მთელი საზოგადოება. საკუთრების უფლების გაუქმების შედეგები ყველამ ვიწვნიეთ კომუნისტურ ქვეყანაში. პირველი დარტყმა მესაკუთრეებს ოქტომბრის რევოლუციამ მიაყენა. მშრომელთა უფლებების 1918 წლის დეკლარაციას მოჰყვა „განსაზოგადოებრიობა," რამაც პიროვნება უკანა პლანზე გადასწია".[26]

7. **პროტესტის გამოხატვის უფლება** ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ არ უნდა შეზღუდოს ის მიზნები და ამოცანები, რისთვისაც ერთიანდებიან ადამიანები და სხვადასხვა საშუალებით გამოხატავენ პროტესტს. ამის გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება. უფლების ეს სახე ერთიანდება პოლიტიკურ უფლებებში, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი.

8. **სიტყვისა და აზრის თავისუფლება** ადამიანის ერთერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა, რომელიც ნორმალურ საზოგადოებაში კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს, მოქალაქემ უნდა იცოდეს, თუ რა არის დასაშვები და რა არა, რაზე შეიკავოს თავი და რაზე არა. ამაზე იტყვიან, „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების".

როდესაც მსჯელობაა სიტყვის, აზრის თავისუფლებაზე, საუბარია ყველა ადამიანის უფლებებზე, რადგანაც დაცვა სჭირდება იმ ადამიანს, რომელიც თავისი რწმენით, აზროვნე-

ბით და სხვა მიზეზებით აღმოჩნდება უმცირესობაში, როდესაც იგი მკვეთრად უპირისპირდება უმრავლესობის აზრს. ანგარიშგასაწევია იმ ადამიანთა მოსაზრება, რომ ამ პირობებში, შეიძლება, ადრე თუ გვიან ნებისმიერი შეიძლება აღმოჩნდეს.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული კონცეფციების გარდა ადამიანის ძირითადი უფლებების დაჯგუფება სხვადასხვა პრინციპების საფუძველზე ხორციელდება.[27]

§7. პიროვნების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა

სტატუსი (ლათ. status) ნიშნავს მდგომარეობას. ამ შემთხვევაში მოიაზრება, როგორც ადამიანის, მოქალაქის (ფიზიკური პირის) ან იურიდიული პირის სამართლებრივი მდგომარეობა. აქედან გამომდინარე შეუძლებელია განვსაზღვროთ და გადავჭრათ უფლებებისა და თავისუფლებების პრობლემა, თუ მას კონკრეტულად ადამიანის სამართლებრივი სტატუსის ფარგლებში არ განვიხილავთ. პროფ. ირ. სურგულაძე საკითხს ასე აყენებს: „იურიდიული სტატუსის ცნების ახსნისათვის, იმ მიზნით, როგორც იგი ჩვენ გვესმის, უნდა გავმიჯნოთ ის აგრეთვე სტატუსის ცნებისაგან, რომელიც ჩვეულებრივ მიღებულია თანამედროვე ლიტერატურაში“.[28] ძველი რომაელები (status hominis rosipiecte) ამ ტერმინში ხედავდნენ ადამიანის, ინდივიდისათვის საზოგადოებაში მიკუთვნებულ ადგილს.

პრობლემა ატარებს კრებსით ხასიათს. იგი თითქოს თავის თავში მოიცავს მოქალაქის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, მოქალაქეობის არმქონე პირის, დევნილის, იძულებით ადგილმონაცვლის სტატუსებს.

თუ თავისუფლებას კატეგორიად მივიჩნევთ, მაშინ იგი ასახავს ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებს და რეალურად განსაზღვრავს მის მდგომარეობას მრავალმხრივი საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში.

— უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენენ პიროვნების სამართლებრივი სტატუსის საფუძველს და არ შეიძლება რეალიზებული იყვნენ მისი სხვა კომპონენტების — იურიდიული ვალდებულებების მაკორესპონდენტირებელი უფლებების აუცილებელ შემთხვევაში იურიდიული პასუხისმგებლობის, სამართლებრივი გარანტიების, უფლებაუნარიანობის, ქმედუნარიანობის, როგორც ადამიანის ნებელობისა და გააზრებული მოქმედების დამახასიათებელი ნიშნის გარეშე.

— სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის პრობლემა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ პიროვნების თავისუფლება-ვალდებულებები ერთობლივი, სისტემური სახით, შევაფასოთ მისი სამართლებრივი სტატუსი, რაც გზას უხსნის მათ შემდგომ სრულყოფას.

პიროვნების სტატუსი არის ადამიანის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც ასახავს მის ფაქტობრივ მიმართებას საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან ურთიერთქმედებაში.

პიროვნების სამართლებრივი სტატუსის კლასიფიკაცია, პირველ რიგში, ტარდება მოქმედების სფეროსა და სამართლებრივი სისტემების სტრუქტურის მიხედვით. განასხვავებენ საერთო (საერთაშორისო), კონსტიტუციურ (საბაზო), დარგობრივ, გვაროვნულ (სპეციალურ) და პიროვნების ინდივიდუალურ სამართლებრივ სტატუსს.

პიროვნების საერთო (საერთაშორისო) სამართლებრივი სტატუსი, გარდა შიდა სახელმწიფოებრივისა, საკუთარ თავში მოიცავს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შემუშავებულ და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით განსაზღვრულ სამართალს, თავისუფლებას, მოვალეობებსა და გარანტიებს. ამ სტატუსის დაცვა წინასწარ გან-

საზღვრულია, როგორც შინაგანი კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლით. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ჩამოყალიბებული წესების გამოყენების შესაძლებლობა.

უცხოელ მკვლევართა აზრით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ორმა გარემოებამ საგრძნობლად შეცვალა ინდივიდის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი. პირველი იყო ომის დამნაშავეთა დასჯა ნიურნბერგში და ტოკიოში, ხოლო მეორე — დიდი ძალისხმევა აღკვეთილიყო კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩადენა ტოტალიტარული რეჟიმის დასუსტების და ადამიანის უფლებების დაცვის ახალი სტანდარტების შემუშავების გზით.[29]

არსებობს მომიჯნავე დარგები, რომლებშიც პიროვნება წარმოდგენილია, როგორც საერთაშორისო სამართლის, ისე ადამიანის უფლებათა სამართლის ზრუნვის საგანი, ასეთებია ჰუმანიტარული სამართალი და ლტოლვილთა სამართალი,[30] ამიტომაც მათ ცალკე პარაგრაფებს ვუძღვნით ამ ნაშრომში.

პიროვნების კონსტიტუციური (საბაზო) სტატუსი აერთიანებს ქვეყნის უზენაესი კანონით განსაზღვრულ მთავარ და ძირითად უფლებებს, თავისუფლებებს, ვალდებულებებსა და მათ გარანტიებს. მისი დამახასიათებელი თვისებაა სტაბილურობა, რომელიც განპირობებულია თვით ადამიანის ცხოვრების თავისებურებებით და ითვალისწინებს საზოგადოებაში ნორმალური მართლწესრიგის დამყარებას: წინასწარგანჭვრეტილ და გონივრულ ცვლილებებს, ქვეყნის გენოფონდის შენარჩუნებას, მატერიალური და სულიერი ღირებულებების წარმოქმნის ტემპს, პიროვნების თავისუფალ განვითარებას, როგორც ნებისმიერ საფუძველს, რომელზედაც წარმოიქმნება ახალი თვისებები. კონსტიტუციურ სტატუსსაც უნდა გააჩნდეს მდგრადობა. მისი არსებობა უნდა

გაგრძელდეს იმ დრომდე, სანამ ძირითადი საზოგადოებრივი ურთიერთობების უმრავლესობა ძირფესვიანად არ შეიცვლება.

მოქალაქეთა კონსტიტუციური სამართლებრივი სტატუსი წარმოადგენს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების ერთობლიობას. პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში მკვლევართა მიერ შემოთავაზებულია მოქალაქეთა კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის ძირითადი პრიორიტეტები: 1) საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შერწყმა; 2) მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეუხებლობა; 3) მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების ერთიანობა; 4) მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა; 5) მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფა.[31]

პიროვნების დარგობრივი სტატუსი შედგება უფლებამოსილებისა და სხვა კომპონენტებისაგან, რომლებიც გაწონასწორებულია სამართლებრივი სისტემის ცალკეული თუ კომპლექსური დარგებით – სამოქალაქო, შრომითი, ადმინისტრაციული სამართლით და სხვ.

პიროვნების გვაროვნული (სპეციალური) სტატუსი გამოხატავს იმ ცალკეული კატეგორიის ადამიანების სამართლებრივი მდგომარეობის სპეციფიკას, რომელთაც შეიძლება გააჩნდეთ დამატებითი უფლებები და მოვალეობები. ასეთებია: სამხედრო მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, პენსიონერები, ინვალიდები და სხვა.

ინდივიდუალური სტატუსი ახასიათებს კონკრეტული ადამიანის მდგომარეობის თავისებურებებს და დამოკიდებულია მის ასაკზე, სქესზე, პროფესიაზე, სახელმწიფო საქმეების მართვაში მონაწილეობაზე და ა.შ. ცალკე მსჯელობის საგანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების „შეზღუდვა“, რომელიც რამდენიმე სახედ შეიძლება განვიხილოთ

1. კონსტიტუციური შეზღუდვები, 2. კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვები, 3. კანონისმიერი შეზღუდვა*, რომლებიც ერთმანეთისგან გამომდინარეობენ.

საქართველოს კონსტიტუცია აფიქსირებს „უფლებათა შეზღუდვას, რომელიც შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. საქართველოს კანონმდებლობა (და არა მარტო) ითვალისწინებს ადამიანისა და მოქალაქის გარკვეულ შეზღუდვებს, საგანგებოდ უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში. ასე მაგ. დაკავებული უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა, თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ყველა შემთხვევაში დაუშვებელია თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება და ზემოქმედება. სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს კანონიერი საფუძვლის შემთხვევაში თავისუფლების შეზღუდვას დაკავებისა და დაპატიმრების სახით. თუმცა შეზღუდულ ფარგლებში დაცულია მისი უფლებებიც.

რაც შეეხება **მოქალაქეობას** იგი პირის პოლიტიკური სამართლებრივი კავშირია კონკრეტულ სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლებების, მოვალეობების და ერთმანეთისადმი პასუხისმგებლობის ურთიერთობაში. ამ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა წარმოადგენს მოქალაქის პოლიტიკურ-სამართლებრივ სტატუსს. საერ-

* იგულისხმება სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

თაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეობა მოიპოვება „დაბადებით“, რომელიც არის მოქალაქეობის შეძენის ყველაზე გავრცელებული და ბუნებრივი გზა, „სისხლის პრინციპით“, მშობელთა მოქალაქეობის მიხედვით „ნიადაგის პრინციპით“, რაც გულისხმობს ბავშვის დაბადების ადგილს* და „ნატურალიზაციით“, როდესაც პიროვნება თხოვნით მიმართავს სახელმწიფოს და პიროვნების განსაკუთრებული დამსახურების გამო.

აღნიშნულს აწესრიგებს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს კონვენცია გათხოვილ ქალთა მოქალაქეობის შესახებ, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. საქართველოს კონსტიტუცია, „საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ“. აღნიშნული კანონით (მე-3 მუხლი) საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება ყველა ის პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ 5 წლისა და ცხოვრობდა ამ კანონის ამოქმედების დღისათვის, თუ 3 თვის ვადაში წერილობით არ განაცხადა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე და 4 თვის ვადაში მიიღო საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი.[32] როდესაც ინდივიდუალურ სტატუსზე ვმსჯელობთ, იგი დაკავშირებულია მოქალაქის სტატუსთან. მოქალაქე თავისი სამართლებრივი მდგომარეობით განსხვავდება ამავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელებისაგან და მოქალაქეობის არმქონე პირებისაგან, რადგანაც მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეს გააჩნია სრული პოლიტიკური უფლებები,[33] როდესაც სრულ პოლიტიკურ უფლებებზე გვიწევს მსჯელობა მხედველობაში ვიღებთ ერთ გარემოებას, მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში, უცხოელს და მოქალაქეობის არმქონე პირთ უფლებას აძლევენ მიიღონ მონაწილეობა

* ბავშვთა მოქალაქეობის შეძენის საკითხს დაწვრილებით ვეხებით პარაგრაფში „ბავშვთა უფლებები და ქართული კანონმდებლობა“.

სხვადასხვა დონეზე ხელისუფლების არჩევნებში. მაგ. მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიის რესპუბლიკა არ შევიდა დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში, მის მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება გააჩნიათ. აგრეთვე თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების მოქალაქეებს ინგლისის კანონმდებლობა უფლებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო არჩევნებში, ხოლო უნგრეთში იძლევიან უფლებას ადგილობრივ არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა.

მოქალაქეობის საკითხი დაკავშირებულია **ბიპატრიზმის — ორმოქალაქეობის პრობლემასთან.** სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა არაერთგვაროვნად წყვეტს ორმოქალაქეობის საკითხს. ბიპატრიზმად ჩაითვლება შემთხვევა, როცა ქალი თხოვდება უცხოელზე, მაგრამ არ კარგავს თავისი ქვეყნის მოქალაქეობას, ხოლო ქმრის სახელმწიფოს კანონებით ამ სახელმწიფოს მოქალაქეობას ღებულობს. ამგვარ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვიც, რომლის მშობლებსაც სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობა გააჩნიათ. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია გამორიცხავდა ორმაგ მოქალაქეობას, მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ, კონსტიტუციის მე-12 მუხლის მეორე პუნქტის ძალით, საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან".

ორმაგი მოქალაქეობა არ დაიშვება ლიტვის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის კონსტიტუციებით. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტით შემოღებულია ორმაგი მოქალაქეობა. ორმაგი მოქალაქეობის

საკითხთან ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში შეტანილია გარკვეული შეზღუდვები. ასე მაგ. უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები შეიძლება დაიკავოს მხოლოდ სახელმწიფოს მკვიდრმა მოქალაქემ. ორმაგი მოქალაქეობის საკითხს აწესრიგებს 1930 წლის ჰააგის კონვენცია „ზოგიერთი საკითხი, რომელიც მოქალაქეობის შესახებ კოლიზიურ კანონებს ეხება“ და განსაზღვრავს **ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა სტატუსს.** ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი განიხილება საკუთარი ქვეყნის მოქალაქედ, როდესაც ისინი სახელმწიფოში იმყოფებიან და მათ მთელი მოცულობით ეხებათ მოქალაქეობრივი სტატუსის შესაბამისი უფლება-მოვალეობანი. სახელმწიფო ასეთ პირებს არ აძლევს რაიმე შეღავათს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი პასუხისმგებელია იმ სახელმწიფოს წინაშე, სადაც ის ცხოვრობს და თავისი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობს. ბიპატრიზმის მომწესრიგებელ ერთიან სამართლებრივ ნორმას საერთაშორისო სამართალი არ იცნობს, მაგრამ ამ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები წყდება ორმხრივი საერთშორისო ხელშეკრულების დადებით.

არსებობს ადამიანთა სტატუსებს შორის კიდევ ერთი ნაირსახეობა, რომელსაც საერთაშორისო სამართლის ტერმინოლოგიით **აპატრიდს** უწოდებენ. იგი არის პირი, რომელიც არ არის მოცემული სახელმწიფოს მოქალაქე და არ გააჩნია სათანადო საბუთი, რომელიც დაადასტურებს, რომ ის უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეა. ადამიანთა ამ კატეგორიას მიეკუთვნება პირი, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი ქვეყნის მოქალაქეობა და არ ღებულობს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას. აპატრიდის სტატუსს განსაზღვრავს 1954 წელს მიღებული გაეროს კონვენცია, 1961 წელს მიღებული აპატრიდთა რაოდენობის შემცირების შესახებ კონვენცია. აპატრიდი, ისევე როგორც სხვა უცხოელი, არ სარგებლობს

ზოგიერთი პოლიტიკური უფლებით (საარჩევნო უფლება) და არ გააჩნია ზოგიერთი სხვა მოვალეობანი.

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოში მცხოვრები უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები სარგებლობენ საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით, გარდა კონსტიტუციითა და საქართველოს კანონით მოქალაქეობის შესახებ გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

საერთაშორისო სამართალი იცნობს ტერმინს ექსპატრიაცია, რაც ნიშნავს მოქალაქეობის დაკარგვას, იგი შეიძლება 3 ფორმით მოხდეს: მოქალაქეობის ავტომატურად დაკარგვა, მოქალაქეობიდან გასვლა, მოქალაქეობის ჩამორთმევა.

დაკარგვა ხდება საერთაშორისო ხელშეკრულებით ან სპეციალური კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზეზებით, მოქალაქეობიდან ნებაყოფლობით გასვლა თავისთავად იწვევს მოქალაქეობის დაკარგვას, ხოლო მოქალაქეობის ჩამორთმევა იძულებისა და დასჯის ელემენტებს შეიცავს. ამ საკითხებს ეხება მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონის 32-ე და 33-ე მუხლები, სადაც მოქალაქეობის ჩამორთმევის ფორმა არ არის გათვალისწინებული.

§8. უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობა და მათი უფლებები

საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელის დროებით ყოფნის ან მუდმივი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა. ტერმინი „უცხოელები“ 1993 წლის 3 ივნისის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ განიხილებიან, როგორც სხვა ქვეყნის მოქალაქეები, ასევე ის

პირებიც, რომელთაც არ გააჩნიათ არც ერთი სახელმწიფოს მოქალაქის დამადასტურებელი საბუთი. კანონით დადგენილ შემთხვევაში უცხოელებს აქვთ უფლება მიმართონ საქართველოს ხელისუფლებას შუამდგომლობით საქართველოს მოქალაქეობის მიღების ან საქართველოს ტერიტორიაზე თავშესაფრის მიცემის თაობაზე. უცხოელები კანონის წინაშე თანასწორნი არიან მიუხედავად სოციალური მდგომარეობის, სქესის, რასის, ეროვნების, რწმენის, განათლებისა და სხვა მდგომარეობისა.

უცხოელთა სიცოცხლეს და პირად ხელშეუხებლობას იცავს საქართველო, მაგრამ ისე როგორც ყველასათვის, მათთვისაც სავალდებულოა თავიანთი კონსტიტუციური უფლებების განხოციელებისას არ შელახონ სახელმწიფოს ინტერესები და სხვა პირთა უფლებები და თავისუფლებები.

შესაძლებელია უცხოელს მიეცეს საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.* აუცილებელ შემთხვევაში დაშვებულია უცხოელის გადაადგილების შეზღუდვა ქვეყნის ტერიტორიაზე ან მათ მიერ საცხოვრებელი ადგილის შერჩევა. უცხოელებს არა აქვთ უფლება აირჩიონ ან არჩეულ იქნენ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში ან სხვა არჩევით ორგანოებში, მონაწილეობდნენ რეფერენდუმში.** გარდა უფლებისა შეზღუდვებია მოვალეებებში, ისინი არ იხდიან სამხედრო სავალდებულო სამახურს.

---

* თუკი უცხოელი წარმოშობით ქართველია, საქართველოს მოქალაქის მშობელია, 18 წლამდე ასაკის ან არაქმედუნარიანი შვილია, იმიგრანტის მშობელია, მეუღლე ან არასრულწლოვანი შვილია, მოქალაქის მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირი, მეურვე ან მზრუნველია და ა.შ.

** საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტას მოყვება გარკვეული ცვლილებები შეზღუდვათა სფეროში.

სახელმწიფოთა საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდა უცხოელთათვის რეჟიმის შემდეგი სახეები: 1) ეროვნული რეჟიმი ე.ი. უცხოელის სამართლებრივი მდგომარეობის გათანაბრება ადგილობრივ მოქალაქეთა მდგომარეობასთან; 2) უდიდესი ხელშეწყობის რეჟიმი — ეს ნიშნავს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის ისეთ უფლებათა მინიჭებას, რომლებითაც ამ სახელმწიფოში სარგებლობენ სხვა სახელმწიფოს ყველაზე მეტი უფლებების მქონე მოქალაქეები; 3) სპეციალური რეჟიმი — იგი გულისხმობს ხელშეკრულების ძალით უცხოელებისათვის განსაკუთრებულ უფლებათა მინიჭებას; 4) პრივილეგირებული რეჟიმი — ამ შემთხვევაში უცხოელებს ენიჭება უფრო მეტი უფლება, ვიდრე ადგილობრივ მცხოვრებლებს აქვთ. როგორც ვიხილეთ, სხვადასხვა კატეგორიის უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობა თანაბარი არ არის, არსებობს კანონის წინაშე იმუნიტეტის უფლება, რომლითაც სარგებლობს პირთა შეზღუდული წრე, როგორიც არიან ჩვენს ქვეყანაში აკრედიტირებული ელჩები, დიპლომატები, საკონსულო წარმომადგენლობის თანამშრომლები, მათი ოჯახის წევრები. როგორც წესი, მათ მიმართ არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, კანონის დარღვევის შემთხვევაში მათი გაწვევა ხდება საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმების საფუძველზე.

ყოველ უცხოელ მოქალაქეს და საქართველოში დროებით მყოფ მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, რომლის მოქალაქეობაც მას აქვს, ან რომელშიც მუდმივად ცხოვრობს, ხოლო თუ ასეთი რამ არ არსებობს, იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, რომელიც უფლებამოსილია დაიცვას ამ მოქალაქის ინტერესები.

უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლად შეიძლება გამოვიდნენ როგორც საქართველოს მოქალაქეები, ისე უცხოელებიც.

უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აქვთ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორიც საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ამასთან, მათი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით. ასე მაგ. ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, თუკი უცხოელსაც გაუჩნდება სურვილი საქართველოში განახორციელოს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა, „საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად უფლება აქვს მიმართოს ურბანიზაციისა და დაგეგმარების სამინისტროს ლიცენზიის მიღების თაობაზე. მათ შეუძლიათ აღძრან სარჩელები საქართველოს სასამართლოებში, იყვნენ მოსარჩელე და მოპასუხე, ჩაებან პროცესში მესამე პირებად, უფლება აქვთ პროცესში, როგორც მხარეებს, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილება, წარადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, სასამართლოს წინაშე დააყენონ შუამდგომლობანი, უარი თქვან სარჩელზე, ცნონ სარჩელი, საქმე დაამთავრონ მორიგებით. გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება.

„კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად საქართველოში შექმნილი არბიტრაჟი განიხილავს ისეთ სამოქალაქო დავებსაც, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები და ორგანიზაციები, ორგანიზაციები უცხოური ინვესტიციებით, რომლებიც ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას საქართველოში, თუ ეს დავები

გამომდინარეობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და ურთიერთობებიდან.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად, სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მოითხოვონ სანოტარო მოქმედებების შესრულება იმავე წესით, როგორითაც საქართველოს მოქალაქეებმა.[34]

უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები საქართველოში მცხოვრებ უცხოელებად ჩაითვლებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი საქართველოში ცხოვრობენ მუდმივად, ასეთ შემთხვევაში ვალდებული არიან გაიარონ რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მიიღონ რეგისტრაციის და ვინაობის დამადასტურებელი ბინადრობის მოწმობა.

უცხოელები, რომლებიც იმყოფებიან საქართველოში სხვა კანონიერი საფუძვლით, ითვლებიან საქართველოში დროებით მყოფებად. ისინი ვალდებულნი არიან დადგენილი წესით რეგისტრაციაში გაატარონ თავიანთი უცხოური პასპორტები იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ორგანოებში და გაემგზავრონ საქართველოდან მათთვის განსაზღვრული დროის ფარგლებში.

„უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის შესაბამისად უცხოელები საქართველოს მოქალაქეების თანაბრად სარგებლობენ სხვა საპროცესო უფლებებით. კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად უცხოელებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს თავიანთი ქონებრივი და სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების დასაცავად.

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლი ითვალისწინებს და განსაზღვრავს სახელმწიფოს უფლებას უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ. „სახ-

ელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა".[35] აქ საქმე გვაქვს კონსტიტუციურ შეზღუდვასთან, მნიშვნელობა არა აქვს რა იგულისხმება პოლიტიკურ მხარეში. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს სამართლის ნორმების დარღვევით სამართალდამრღვევი პირის მიერ. მაგ. ადამიანის გატაცება, მძევლად აყვანა, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა და ა.შ.

მართალია, „იურიდიულ ლიტერატურაში მთლად სწორად როდია განმარტებული შეზღუდვათა ცნებები და სახეობები, კერძოდ უფლებრივი შეზღუდვები".[36] მაგრამ ეს საგნის მეორე მხარეა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო იყო სტატუსის, ანუ უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა.

საბოლოოდ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ნებისმიერ ქვეყანაში მეტ-ნაკლებად საზოგადოება დაყოფილია: მოქალაქეებად, უცხოელებად, მოქალაქეობის არმქონე პირებად, ბიპატრიდებად, აპატრიდებად, ლტოლვილებად და იძულებით ადგილმონაცვლეებად.

§9. ადამიანი და სამართალი

იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში ადამიანის უფლებები მოიაზრება, როგორც „მარადიული" და „განუყოფელი", რომელთაც საფუძვლად უდევს ის, რომ ადამის მოდგმა, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი განვითარებით, სამყაროს ყველა ცოცხალ არსებაზე მაღლა დგას. ამის გაცნობიერებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. იყო ეპოქები, როდესაც არა ერთი და ორი, არამედ ათასობით და მილიონობით ადამიანის ბუნებითი უფლებები ირღვეოდა, რადგან

ის უსულო საგნის, ნივთის დონემდე იყო დაყვანილი. მსოფლიოს მოაზროვნეები უძველესი დროიდან გვთავაზობდნენ თეორიებს, რომელთა მიზანი იყო ადამიანის ფენომენის წინა პლანზე წამოწევა და მათი უფლებების გაუმჯობესება. ასე რომ არ ყოფილიყო, კაცობრიობა თვითგანადგურებამდე მივიდოდა. ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა შორის სახელმწიფო და სამართალი ჩადგა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ სახელმწიფოებრიობისა და სამართლის არსებობის პირობებში არ ირღვეოდა და დღესაც არ ირღვევა ადამიანის უფლებები. პარადოქსი ისაა, რომ ადამიანებმა შექმნეს მათი ბუნებრივი უფლებების „დამცავი“ სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მათვე დაუპირისპირდა. ყველაზე უფრო დაუცველი ადამიანი თავისივე სახელმწიფოში აღმოჩნდა.[37]

ადამიანთა საზოგადოებას, ხალხს, ერსა და ეროვნებას, რომელიც მოწოდებულია, რომ ნამდვილი თანამედროვე კულტურული ცხოვრება შექმნას და ამით მაღალგანვითარებულ ცივილიზაციათა შორის ჩადგეს, კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული სამართლის მნიშვნელობა საზოგადრებრივი ცხოვრების წარმატებისათვის.[38] ამასთან, დღენიადაგ უნდა ზრუნავდეს მისი სრულყოფისა და განუხრელად შესრულებისათვის, რაც. დემოკრატიზაციის განვითარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უმოკლესი გზაა. ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე V საუკუნეში სოფისტებმა დაიწყეს ადამიანის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის შესწავლა, ხოლო იგი, როგორც ფილოსოფიის პრობლემა სოკრატეს მოძღვრებიდან მოდის. მან დელფოს ტაძრის შესასვლელში გააკეთა წარწერა: „შეიცან თავი შენი“. ამ დებულებამ დაამკვიდრა ადამიანის არსის გარკვევის თეორია, რომელიც შემდგომში ევროპული ფილოსოფიის წამყვან თემად იქცა.

ადამიანის, როგორც ცნების განსაზღვრების სიმრავლე ართულებს ამ პრობლემის გადაწყვეტას. ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული ადამიანის ცნების განსაზღვრას ყოველთვის

უკავშირებდნენ ცხოველს. ასე მაგ. არისტოტელეს მიხედვით, ადამიანი არის მოაზროვნე (პოლიტიკური) ცხოველი, თომა აქვინელი მას საზოგადოებრივ ცხოველს უწოდებს, ფრანკლინის მიხედვით, ადამიანი იარაღის მკეთებელი ცხოველია, კასირერმა იგი ჩათვალა, როგორც სიმბოლოების მკეთებელი ცხოველი და ა.შ.

სპეციალისტები საბოლოო ჯამში აღიარებენ, რომ ადამიანს ახასიათებს ყოფიერების წესი, რომელიც მას განასხვავებს ყველა ცოცხალი ორგანიზმისაგან, რაც გამოიხატება შემდეგი ნიშნებით: ა) ცნობიერება, ბ) ტექნიკურობა, გ) ნების თავისუფლება, დ) შემოქმედება. ე.ი. ადამიანური ყოფიერების წესი მიზანმიმართული, ნებელობითი, თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობაა, რომელსაც ახორციელებს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. რაც შეეხება სამართალთან ურთიერთობებს, ათასწლეულები გახდა საჭირო, რომ ადამიანებს თანდათანობით, ჯერ ინტუიციით, ხოლო შემდეგ უფრო გააზრებით დაეწყოთ ცხოვრებაში სამართლის რაობისა და მნიშვნელობის გაგება. „ადამიანები ცხოვრების განა მარტო მაყურებლები არიან, არამედ მთავარი მოქმედი პირნიც, ცხოვრება არის მათი ქმნილება, ნამოქმედარი და ჭირნახული,“[39] – წერდა ილია ჭავჭავაძე.

სამართალი სახელმწიფოსთან ერთად ადამიანებს საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში წარმოშობილი წინააღმდეგობების დაძლევის, მათ მიერვე შექმნილი სიკეთის დასაცავად დასჭირდათ, ამიტომ ადამიანის სამართალთან მიმართების საკითხის განხილვა დავიწყოთ თვით ადამიანიდან. მისი არსობრივი ნიშნები, იდეალური და ყოფითი პირობები ცხადად თუ შეუცნობლად სამართალთან არის დაკავშირებული. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ცოცხალ არსებებს შორის მხოლოდ ადამიანს აქვს გონება, შესაძლებლობა – შეიცნოს და აღიქვას სამართალი, დაიცვას სამართლებრივი წესები, მოერგოს სამართლებრივ სინამდვილეს, სხვა ადა-

მიანებთან ურთიერთობის პროცესში შეუძლია სრულყოს იურიდიული ნორმები, შექმნას საზოგადოებრივი ურთიერთობის უფრო მიზანშეწონილი მოდელი, ეძებოს მომწესრიგებელი მექანიზმები ამ ნორმების დარღვევისა თუ უმოქმედობის შემთხვევაში. ერთი სიტყვით, **ადამიანი იბადება და ცხოვრობს ბუნებითი თავისუფლებების სამოსით,** ამიტომ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პროგრესული განვითარების სხვა ფაქტორების გარეშე არ შეუძლია იარსებოს.

სამართლის მეორე მხარეს წარმოადგენს ადამიანი, როგორც მისი შემოქმედი. უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა გავიაზროთ, რომ სამართალი ადამიანისაგან განუყოფელი ღირებულება და მისი ყოფიერების თვისებაა. თავდაპირველად დედამიწაზე ადამიანი წარმოიშვა, როგორც სახეობა. მას შემდეგ **სოციალიზაციის გზით,** პიროვნული და ინდივიდუალური თვისებების შეძენის შემდეგ, იგი იქცევა **პიროვნებად,** რომელიც იცავს საკუთარ ცხოვრებას, თავისუფლებას. აქედან გამომდინარეობს ადამიანის ბუნებითი, განუყოფელი უფლებები: სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების, თანასწორუფლებიანობის, ბედნიერების უფლება და ა.შ., ამიტომ სამართალს აქვს ბუნებითი ღირებულება, ანუ თვითღირებულება.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ადამიანის ჩამოთვლილი თვისებები (სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება) და მათი დაცვა განუყოფელი იყო და ატარებდა კონკრეტულ, პერსონიფიცირებულ ხასიათს, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანთა შორის ურთიერთობის მოწესრიგების კაზუალურ მეთოდს. ადამიანთა ურთიერთობის პროცესში, მათი ბუნებრივი მოთხოვნილებების, ინტერესებისა და უფლებების რეალიზაციისას თანდათანობით გამომუშავდა ჩვეულებები, სტერეოტიპები, რომლებიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფენ მოქმედების თავისუფლებას და, მეორე მხრივ, სოციალური უმრავლესობის ან სოციალური ძალის პოზიციით ზღუდავენ

მას გონივრულ ფარგლებში. ყალიბდება ქცევის ნორმები. ადამიანი შეიცნობს თავის თავს სოციალური თვალსაზრისით და ეს არის საკუთარი უფლებებისა და მოვალეობის შეგრძნება სხვა ადამიანთან მიმართებაში. ადამიანი უკვე სამართლის დახმარებით აფასებს თავის მოქმედებებს, სხვა ადამიანების საქციელს მართლისა თუ მტყუანის, სამართლიანისა თუ უსამართლოს თვალსაზრისით. ადამიანის მიერ აუცილებლობის შეცნობა გაშუალებულია საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმით, მათ შორის სამართლის ნორმებით.

განსაზღვრავს რა ადამიანთა მოქმედებების მასშტაბებს, სამართალი აწესრიგებს მათ შედეგად წარმოშობილ შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობებს.[40]

საზოგადოების განვითარების მიხედვით ადამიანის ბუნებით-სამართლებრივი თვისებები იღებენ თავისუფლების, სამართლიანობის და ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანობის მასშტაბურ ხასიათს. სამართალი იძენს სოციალურ ღირებულებას, როგორც საზოგადოების ნორმალური ცხოვრების საყოველთაო ფორმა და საშუალება. სოციალური ჯგუფების, ფენების, კლასებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად ადამიანს გაუჩნდა შესაძლებლობა აქტიურად ჩაერიოს სამართალშემოქმედებით პროცესში, შექმნას ახალი ნორმები, შეათანხმოს არსებული წესები და ჩვეები საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებთან. სამართალში ჩნდება და გამოიყენება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზეგავლენის მქონე მძლავრი საშუალებები. იგი გვევლინება ყველაზე საიმედო და ეფექტურ შუამავლად ადამიანსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის და სახელმწიფოც შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულად და სიცოცხლისუნარიანად იმდენად, რამდენადაც შეძლო გაეთვალისწინებინა საკუთარი სამართალშემოქმედებისა და სამართალშეფარდებითი საქმიანობის ბუნებით-სამართლებრივი საწყისები.

„საძართალი არის ადამიანის მიერ ბუნების, საზოგადოების და თავისი თავის გარდაქმნის ერთ-ერთი საშუალება“.[41]

ამგვარად, ყველაფერი ის საერთო, რაც კი არსებობს ადამიანის ბუნებით და სოციალურ თვისებებში, დამოუკიდებლად რასობრივი, ეროვნული, სქესობრივი, რელიგიური და იდეოლოგიური განსხვავებისა, განსაზღვრავს ნებისმიერ ადრინდელი თუ თანამედროვე სამართლებრივი სისტემის საერთო თვისებებს. ამასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანია მინიშნება პროთაგორას ცნობილი გამონათქვამის მიმართ, რომ „ადამიანი საზომია ყველა საგნისა“, და უშუალოდ სამართლისკენაა მიმართული.[42] ამ დებულებამ თავისებური განვითარება ჰპოვა ქართულ საზოგადოებრივ და სამართლებრივ აზროვნებაში. ადამიანი ერთის მხრივ უფალია, მეორე მხრივ – მოვალე. უფალია თავის საკუთარს საქმეში. თავის ცალკე ინტერესების მოედანზედ. აქ მას თავის განცალკევებული საკუთარი „შინა“ აქვს, რომელიც მისი ხელშეუხებელი კუთვნილებაა. აქ მბრძანებლობს ადამიანის მძლავრი „მე“, რომელსაც საზოგადოებრივი „ჩვენ“ არამც თუ ერჩის რამეს, არამედ თვითონ გუშაგად უდგება, რომ დასასჯელად არავინ ხელი არ შეახოს,[43] წერდა ილია ჭავჭავაძე და ამ ფუნქციას სამართალი ასრულებდა. ბუნებით, სოციალურ და პოლიტიკურ ერთიანობაში სამართალი წარმოჩინდება, როგორც ადამიანის ყოფიერების მთავარი ფაქტორი. რაც შეეხება ადამიანის ადგილს თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, მას ხუთი მიმართულებით განიხილავდნენ: პირველის თანახმად, ინდივიდი არ ფლობს საერთაშორისო სამართალსუბიექტობას. ასეთი თვისება მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია. მეორე მიმართულების თანახმად, ინდივიდი შეიძლება განვიხილოთ არა როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, არამედ ობიექტი. მესამე მიმართულების თანახმად, ინდივიდი აღიარებულია როგორც ჭეშმარიტი სუბიექტი, სახელმწიფოს სამართალსუბიექტურობა კი

— როგორც ფიქცია. მეოთხე მიმართულება ორიენს, სახელმწიფოსა და სამართალს, აღიარებს როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს. მეხუთე მიმართულება (ბ. სავანელი) ადამიანს აღიარებს, როგორც არა საერთაშორისო, არამედ საერთოდ სამართლის ერთადერთ უნივერსალურ სუბიექტად. ამ უკანასკნელი მიმართულების საფუძვლად მიჩნეულია საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მე-16 მუხლი, რომლის თანახმად „თითოეულ ადამიანს, სადაც უნდა იყოს უფლება აქვს, ცნონ მისი სამართალსუბიექტურობის უფლება“.*

საბოლოო ჯამში, ჩვენი კონცეფციით, „სამართალი არის ბუნებით განპირობებული ადამიანთა უფლება — მოვალეობებით განსაზღვრული ზოგადსავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების სისტემა, რომელსაც ახასიათებს ნორმატიულობა, ფორმალური განსაზღვრულობა, სისტემურობა და მათი შესრულება სახელმწიფოებრივი ზემოქმედებით არის უზრუნველყოფილი“.44

* დანართი „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“.

ლიტერატურა:

1. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2003 წ. *1.* გვ. 81-82; *8.* გვ. 16; *32.* გვ. 188; გვ. *33.* 187-188.
2. ბ. სავანელი, ადამიანის უფლებები, თბ., 2001, *2.* გვ. 28; *10.* გვ. 63; *12. 13.* გვ. 63; *20.* გვ. 46; *30.* გვ. 39; *37.* გვ. 9; *40.* გვ. 8; *41.* გვ. 12.
3. შენიშვნები ადამიანის უფლებათა და ადამიანის უფლებათა მონიტორინგის შესახებ, თბ., 1998 წ. *3.* გვ. 7-9; *6.* გვ. 7.
4. ჟურნალი «Международное Право», 3/98/31 Мос. 1998г. *4.*
5. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ., 2003, *5.* გვ. 44; *27.* გვ. 40-42.
6. ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბ., 1996, *7.* გვ. 16.
7. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1998, *9.* გვ. 14. *11.* გვ. 45.
8. მ. ბეჟანიშვილი, საუბარი ადამიანის უფლებებზე, თბ., 1997 წ. *14.* გვ. 11; *16.* გვ. 3.
9. კ. კორკელია, ი. ქურდაძე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. თბ., 2004. *15.* გვ. 14.
10. ო. მელქაძე და მისი გუნდი. მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, ცნობარი, - ნაწ. I, თბ., 2001 წ. *17.* გვ. 136; *18.* გვ. 380. *19.*
11. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995, *21.* გვ. 11; *35.* გვ. 15.
12. ჰანდა, ბერი, გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, თბ., 1995, *22.* გვ. 41-74.
13. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საფუძვლები თბ., 2000 წ. *23.* გვ. 5. ეს დებულება ანტიკური ეპოქიდან მოდის. *24.* გვ. 25; *26.* გვ. 54.

14. ჰ.პ. გასერი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, თბ., 1999 წ. *25.* გვ. 18.
15. ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თბ., 2002 წ,. *28.* გვ. 161.
16. Thomas Buerganta. Dinan Shelton. Protecting Human Rights in the Americas, Strasburg, 1995, *29.* p. 5-6.
17. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. თბ., 2004, *31.* გვ. 234-238.
18. ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები, თბ., 1998 წ. *32.* გვ. 293.
19. ა. კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003 წ. *34.* გვ. 224-225.
20. ა. მუკირი, თანამედროვე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო, თბ., 2000 წ. *36.* გვ. 175.
21. ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998. *38.* გვ. 3.
22. ი. ჭავჭავაძე, თხზ. *39.* ტ. III, გვ. 259; *43.* ტ. VIII, გვ. 242-244.
23. ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1993 წ. *40.* გვ. 8; *41.* გვ. 12.
24. Матузов Н. Правовая система и личность, Саратов. 1987 г. *42.*
25. გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2003 წ. *44.* გვ. 265-271.

თავი II

ადამიანის საყოველთაო უფლებების უნივერსალური და რეგიონალური დაცვის მექანიზმები

§1. გაერო და ადამიანის უფლებები

კაცობრიობის ისტორიის განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე სახელმწიფო ხელისუფლება და მმართველი წრეები უხეშად ერეოდნენ ადამიანის პირად ცხოვრებაში და ცდილობდნენ შეეზღუდათ ხალხის უფლებები და თავისუფლებები, მაგრამ მათი სტრუქტურების თვითნებობას მეტ-ნაკლებად მაინც ზღუდავდა სამართალი.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი და მიღებული იქნა საერთაშორისო კონვენციები, დეკლარაციები, რიტაც აღიარებული იქნა, რომ ყოველი ადამიანი თავისუფალი და თანასწორი იბადება, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით, რაც მისი განუყოფელი და თანდაყოლილი თვისებაა, რელიგიური, პოლიტიკური და ფილოსოფიური საფუძვლების მიუხედავად. ეს ის საძირკველია, რომელზედაც დაშენებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ძირითადი და საერთო „ბურჯები".

ამ დარგის მკვლევართა აზრით, XVIII და XIX საუკუნეთა მიჯნაზე ევროპაში აღიარებული იქნა ადამიანის საყოველთაო უფლებების პრიორიტეტი სახელმწიფოს კანონებზე, რითაც დაფიქსირდა ადამიანის უფლებები, როგორც სუპერკონსტიტუციური სამართალი.[1]

როდესაც ადამიანის საყოველთაო უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებზე ვიწყებთ მსჯელობას, იგი ეხება

1945 წლის 26 ივნისს (სანფრანცისკოში) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) შექმნას, რომელსაც საფუძვლად დაედო ჰიტლერული გერმანიის და მისი ბლოკის მიერ მსოფლიოში დატრიალებული ტრაგედია, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა, სიცოცხლის უფლების მასიური ხელყოფა. გაეროს შტაბ-ბინა განთავსებულია აშშ-ში. გაერის შექმნას გარკვეული წინაპირობები ჰქონდა და დაკავშირებულია საერთაშორისო აქტების მიღებასთან, როგორიც იყო 1941 წლის დეკემბრის ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების დეკლარაცია, 1942 წლის 1 იანვრის, 1943 წლის 30 ოქტომბრის ა.შ.შ-ის, ინგლისის, ჩინეთის და სსრ კავშირის დეკლარაციები, 1944 წლის აგვისტო-ოქტომბერში შემუშავებული წესდების პროექტი, 1945 წ. სან-ფრანცისკოში მოწვეული 51 ქვეყნის კონფერენცია, რომელმაც ახალი წესდება დაამტკიცა და ა.შ.

გაერო სამთავრობათაშორისო უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციაა (UN, OOH), რომელიც აერთიანებს სუვერენულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებულ ერებს— და ხალხებს, თუმცა მისი სახელწოდება სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა შთაბეჭდილებას ტოვებს. „The United Nations" (გაერთიანებული ერები), ხოლო ფრანგულ, ესპანურ და რუსულ ტექსტებში მნიშვნელობა უფრო ზუსტდება «Opranизация Объединенных Нации», „L'Organisation das Nations Unie".[2]

გაეროს წესდებაში ჩამოყალიბებულია ის ამოცანები, მიზნები და პრინციპები, რომლებიც დაისახეს ორგანიზაციის დამფუძნებლებმა. მის პრეამბულაში ვკითხულობთ: „ჩვენ, გაერთიანებული ერების ხალხებმა, აღსავსე მტკიცე სურვილებით, ავაცილოთ მომავალ თაობებს უბედურებანი ომისა, რომელმაც ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში ორჯერ მოუტანა კაცობრიობას აუწერელი მწუხარება, და კვლავ გან-

ვამტკიცოთ ადამიანის ძირითად უფლებათა, ადამიანის პიროვნების ღირსების და ღირებულების, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის და დიდი და პატარა ერების თანასწორობის რწმენა, შევქმნათ პირობები, რომელთა დროსაც შესაძლებელი იქნება სამართლიანობის დაცვა. აგრეთვე, ხელშეკრულებებიდან და საერთაშორისო სამართლის სხვა წყაროებიდან გამომდინარე, ვალდებულებებისადმი პატივისცემა და ხელი შევუწყოთ სოციალურ პროგრესს და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას უფრო მეტი თავისუფლების პირობებში".

წესდების თანახმად გაეროს გააჩნია ექვსი ძირითადი ორგანო (გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო) მათ საწესდებო ორგანოებად მოიხსენიებენ.

ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე გაეროს უმთავრეს ორგანოებს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა კომისია და ქალთა მდგომარეობის კომისია. ადამიანის უფლებათა კომისიას გააჩნია ქვეკომისია სახელწოდებით „უმცირესობათა დისკრიმინაციის აღკვეთისა და დაცვის ქვეკომისია".

გარდა ზემოაღნიშნული საწესდებო ორგანოებისა, სახელმწიფოთა შეთანხმების შედეგად გაეროში შეიქმნა „დამხმარე ორგანოები". რასიული დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტი, ადამიანის მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა კომიტეტი, ადამიანის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი. ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტი და წამების საწინააღმდეგო კომიტეტი. ამ სტრუქტურათა ძირითად მიზანს შეადგენს ადამიანის უფლებათა შესახებ ძირითადი საერთაშორისო კონვენციების დაცვა.

გაეროს გენერალური ასამბლეა, ერთ-ერთი ძირითადი ორგანოა, თითოეულ მათგანს უფლება აქვს სესიას დაასწროს 5 წარმომადგენელი 1 ხმის უფლებით. გაეროს წესდების მე-13 მუხლის შესაბამისად მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს: ხელის შეწყობა საერთაშორისო თანამშრომლობის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში.

სესია იკრიბება ყოველი წლის სექტემბრის მესამე სამშაბათს. რიგგარეშე სპეციალური სესიები მოიწვევა ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით ან უმრავლესობისაგან თანხმობის მიღების საფუძველზე. სესია მოიწვევა 24 საათში, იგი ირჩევს თავმჯდომარესა და 21 მოადგილეს გეოგრაფიული რეგიონების თანაბრად წარმოდგენის პრინციპის დაცვით. მუშაობა მიმდინარეობს ასამბლეის პლენარულ და კომიტეტების სხდომებზე. იქმნება 7 კომიტეტი, ასევე ასამბლეამ შექმნა გაეროს რამდენიმე მუდმივი ორგანო: სარევიზიო კომისიის, ინვესტიციების კომიტეტის, გაეროს პერსონალის, საპენსიო ფონდის კომიტეტის, საერთაშორისო სამართლის კომისიის სახით და ა.შ.

ზემოაღნიშნულ მექანიზმებს შორის ადამიანის უფლების დაცვის სფეროში წამყვანი ადგილი უკავია **ადამიანის უფლებათა კომისიას**. იგი გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დამხმარე ორგანოა, რომელიც შეიქმნა 1946 წელს გაეროს წესდების 68-ე მუხლის თანახმად და რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს: ადამიანის უფლებების შესახებ კონვენციური და ჩვეულებითი სამართლის ნორმების სისტემატიზაცია, გაეროს ყველა ორგანოს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციების შეკრება და გამოქვეყნება, ომის დამნაშავეთა, მოღალატეთა და გამცემთა მიმართ სასამართლო პროცესების

შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციის შეკრება და გამოქვეყნება. ადამიანის უფლებების ეფექტური განხორციელების გზებისა და საშუალებების შესახებ წინადადებების შემუშავება და ა.შ.

კომისია უფლებამოსილია აწარმოოს კონფიდენციალური შეხვედრები და მოლაპარაკებები მთავრობების წარმომადგენლებთან, ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის და დარღვეული უფლების აღდგენის თაობაზე.

შემდეგი ორგანო გახლავთ მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა გაეროს 18 წევრიანი კომიტეტი, რომელსაც ირჩევენ ფარული კენჭისყრით „მოქალაქეობრივ და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მონაწილე სახელმწიფოებისაგან, ოთხი წლის ვადით, რომელთა ნახევარი გადაირჩევა ორი წლის შემდეგ. პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს უფლება ეძლევათ საკითხების განხილვაში მიიღონ მონაწილეობა, გააკეთონ ზეპირი ან წერილობითი წარდგინება.

საქმის განხილვის დროს კომიტეტი ისმენს მომჩივნის და მოპასუხე სახელმწიფოს წარმომადგენლების მოსაზრებებს და გამოაქვს ორიდან ერთი გადაწყვეტილება, არ აკმაყოფილებს, ან აკმაყოფილებს საჩივარს.

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1985 წლის რეზოლუციით შეიქმნა „ეკონომიკურ-სოციალური და კულტურულ უფლებათა კომიტეტი“, რომელიც შედგება ფარული კენჭისყრით, პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისაგან არჩეულ 18 წევრ-ექსპერტთა შემადგენლობით. კომიტეტი წელიწადში ერთჯერ ატარებს სამკვირიან სესიას, სადაც მათი კომპეტენციის ფარგლებში განიხილება საკითხები.

კომისიის მუშაობის ეფექტურობის ამაღლების თვალსაზრისით მასთან შექმნილია დამხმარე ორგანოები. მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა დისკრიმინაციის აღმოფხვრის

ქვეკომისია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფების მეშვეობით აქტიურ მუშაობას ეწევა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ქვეკომისია შეიქმნა 1947 წელს, მის შემადგენლობაში შედის 26 წევრი, რომლებიც ირჩევიან 4 წლის ვადით (1982 წლიდან დაწყებული). მართალია ქვეკომისიის წევრები ირჩევიან გაეროს წევრი სახელმწიფოებისაგან, მაგრამ ისინი გამოდიან როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები. ქვეკომისია ატარებს ყოველწლიურ სესიებს ოთხი კვირის ხანგრძლივობით. ქვეკომისია ქმნის სამ მუშა ჯგუფს, რომლებიც იკრიბებიან, როგორც წესი, სესიების მომზადებაში დახმარების გასაწევად. ქვეკომისია ასევე ქმნის სასესიო მუშა ჯგუფს. სამუშაო ჯგუფები ადგენენ მოხსენებებს გაწეული მუშაობის შესახებ, რომლებსაც მოჰყვება რეზოლუციები და გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

გაეროს ერთ-ერთი ძირითადი ორგანო ეკონომიკური და სოციალური საბჭოა, რომელიც 54 წევრისაგან შედგება. მათ ირჩევს გაეროს გენერალური ასამბლეა გაეროს წესდების 62 მუხლის შესაბამისად. მის ძირითად ფუნქციას შეადგენს: ა) უზრუნველყოს ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საქმიანობა; ბ) სწავლობს და იკვლევს საერთაშორისო ვითარებას ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და რიგ სხვა საკითხებს. ადგენს მოხსენებებს და იძლევა სათანადო რეკომენდაციებს; გ) რეკომენდაციებს იძლევა ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის დაცვისა და წახალისებისათვის; დ) იწვევს საერთაშორისო კონფერენციებს და ამუშავებს სათანადო კონვენციების პროექტებს გაეროს გენერალურ ასამბლეაში წარსადგენად; ე) აწარმოებს მოლაპარაკებას გაეროს სპეციალიზებულ დაწესებულებებთან. დამხმარე ორგანოებიდან საბჭოსთან თანამშრომლობს გაეროს

ადამიანის უფლებათა კომისია, ქალთა უფლებათა კომისია სხვა ორგანოებთან ერთად.

ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებს შორის განიხილავენ გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომისიას (იუნესკო), რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს წესდების საფუძველზე, რომლის ძირითადი მიზანია მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცება მსოფლიო ხალხებს შორის კულტურის, განათლებისა და ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, სამართლიანობის პრინციპებზე, გაეროს წესდების შესაბამისად. იუნესკო შეიქმნა 1945 წლის 12 ნოემბერს ლონდონის კონფერენციაზე. წესდების შესაბამისად სახელმწიფოებში შექმნილია ეროვნული კომისიები იუნესკოს ეგიდით. მისი წევრი მსოფლიოს 190 სახელმწიფოა, იუნესკოს შტაბ-ბინა პარიზშია. თავისი არსებობის მანძილზე იუნესკომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრად აღიარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს, რომელიც შედგება პირებისაგან, რომლებსაც ევალებათ საორგანიზაციო მუშაობის უზრუნველყოფა, სესიებისა და სხდომების ტექნიკური მომსახურეობა. ამ სამუშაოს ძირითადად ასრულებენ საერთო სამსახურის მუშაკები (კატეგორია G).

სამდივნოში შედიან ე.წ. პროფესიონალების კატეგორია (P-1, P-2, P-3, P-4, P-5) და მაღალი რანგის ხელმძღვანელთა კატეგორია „დირექტორები“ (D-1 და D-2), გაეროს გენერალური მდივნის მოადგილეები და თანაშემწეები. სამდივნოს სათავეში დგას — გაეროს გენერალური მდივანი. მათი საქმიანობა მრავალფეროვანია (გამოკვლევა, ინფორმაციათა და მოხსენებების მომზადება, სხდომების მდივნობა, პუბლიკაციების და სასტამბო მასალების მომზადება,

მისიებში მონაწილეობა და ა.შ.). სამდივნოს ყველა მუშაკი „საერთაშორისო სამოქალაქო მომსახურეთა“ ფიცის თანახმად ისინი მიუმხრობელი არიან და გარკვეული პრივილეგიებითა და იმუნიტეტით სარგებლობენ. სამდივნოში დღეისთვის 9000 მუშაკია დასაქმებული. მისი შტაბ-ბინა ქ. ნიუ-იორკშია, გაჩნდა განყოფილებები ქ. ჟენევაში, ვენასა და ნაირობში (კენია). სტრუქტურულად იგი შედგება ადმინისტრაციული ჯგუფის, ნიუ-იორკის ბიუროს, სამუშაო ჯგუფების სამდივნოსა და 6 განყოფილებისაგან.

ა) ადმინისტრაციული ჯგუფის ძირითადი მოვალეობაა საორგანიზაციო დანაყოფების ადმინისტრაციული, ფინანსური უზრუნველყოფა, კადრების შერჩევა და ადამიანის უფლებათა სფეროში გაეროს მდივნის მოადგილის დახმარება.

ბ) ნიუ-იორკის ბიურო, სამდივნოს დახმარებას უწევს სესიების მომზადებაში, კოორდინაციას უწევს სხვადასხვა ორგანოების მუშაობას ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. თვალყურს ადევნებს ცენტრალური ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და ცენტრს ინფორმაციებს აწვდის მათ შესახებ.

გ) მუშა ჯგუფების სამდივნო, ოპერატიულ რეაგირებას ახდენს ინფორმაციებზე, რომელიც შედის მათ სახელზე და ეხმარება სწრაფი გადაწყვეტილების მიღებაში, ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენაში და აწარმოებს კონსულტაციებს მუშა ჯგუფების კომპეტენციაში შემავალი საკითხების განხილვაში. რაც შეეხება 6 განყოფილებას, ესენია:

1. საერთაშორისო ხელშეკრულებათა განყოფილება, რომლის ფუნქციას წარმოადგენს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სამოქალაქო და პოლიტიკური და სხვა საერთაშორისო პაქტების მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლი. იგი უწევს ყოველგვარ ტექნიკურ დახმარებას ცენ-

ტრალურ ორგანოებს თავიანთ საქმიანობაში. ორგანიზაციულ საკითხებს აწესრიგებს წევრ-სახელმწიფოთა სხდომების ჩატარებისას და აშ.

2. **ინფორმაციის განყოფილება,** ამუშავებს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს, 728F(XXVIII) და 1503 (X VIII) რეზოლუციის თანახმად, კონფიდენციურობის დაცვით დახმარებას უწევს გაეროს სტრუქტურებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

3. **სოციალური პროცედურების განყოფილება** დახმარებას უწევს გაეროს გენერალურ ასამბლეას, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტს. ადამიანის უფლებათა კომისიას თავიანთი ფუნქციების განხორციელებაში. მისი მუშაობის პრიორიტეტს სოციალური სფერო წარმოადგენს.

4. **დისკრიმინაციის შესწავლის, გამოკვლევისა და აღმოფხვრის განყოფილება** ძირითადად დაკავებულია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გამოკვლევებისა და მოხსენებების მომზადებით. ასევე ეხმარება შესაბამის ორგანოებს საერთაშორისო დოკუმენტების მომზადებაში, რომელიც ეხება ადამიანის უფლებებს, ეროვნულ უმცირესობათა დისკრიმინაციას, მკვიდრი ხალხის უფლებებს და ა.შ.

5. **საკონსულტაციო მომსახურეობის განყოფილება** ანხორციელებს ტექნიკურ მომსახურეობასა და საკონსულტაციო პროგრამებს ადამიანის უფლებათა საკითხებზე, ორგანიზაციას უწევს საერთაშორისო ფორუმების მოწვევას, აკონტროლებს სტიპენდიებისა და პროგრამების მიმდინარეობას, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა სფეროს. ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა საცნობარო საბიბლიოთეკო ცენტრს.

6. **საერთაშორისო კავშირის, პუბლიკაციებისა და დოკუმენტაციის განყოფილება** პასუხს აგებს გაეროს საერ-

თაშორისო პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც ეხება საერთაშორისო კავშირებს, ამყარებს ურთიერთობებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საკვლევ-სამეცნიერო ცენტრებთან, მასმედიასთან და ეროვნულ ორგანიზაციებთან, ამყარებს კავშირს ფართო საზოგადოებრიობასთან. ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა სფეროში პუბლიკაციების გამოცემას, სოციოლოგიურ კვლევას და მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებს.

გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში იმავდროულად ითვლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჟენევის ქვეგანყოფილების გენერალურ დირექტორად. იგი არის ადამიანის უფლებების პროგრამების კოორდინატორი. წარმოადგენს საერთაშორისო შეკრებებსა და თათბირებზე გაეროს გენერალური მდივნის პოზიციებს და ა.შ.

1993 წლის 14-25 ივნისს ქ.ვენაში ჩატარებულმა ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციამ წინადადებით მიმართა გაეროს 48–ე ანსამბლეას, შემოღებულიყო ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის პოსტი, რაც დაკმაყოფილებული იქნა და 1993 წლის 20 დეკემბრიდან რეზოლუციის საფუძველზე დაწესდა **ადამიანის უფლებათა კომისრის თანამდებობა.** იგი აღჭურვილია გენერალური და სოციალური საბჭოს, ადამიანის უფლებათა კომისიის გადაწყვეტილებათა აღსრულების უფლებამოსილებით. ამასთან, არსებობს **ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამსახური,** რომელიც შექმნილია გაეროს ფარგლებში სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვის ხელშესაწყობად. მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას აღწევს ადამიანის უფლებათა სფეროში გაეროს საქმიანობის კოორდინაციის, სახელმ-

წიფოსთან დიალოგისა და ადამიანის უფლებათა შესახებ ინფორმაციის გავრცელების გზით.

გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელსაც ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში არის გაეროს უშიშროების საბჭო. იგი შედგება 15 წევრისაგან, რომელთა შორის ხუთი მუდმივია, ხოლო 10 არამუდმივი. ეს ხუთი ადგილი ეკუთვნის აშშ-ს, ინგლისს, საფრანგეთს, რუსეთის ფედერაციას და ჩინეთს, მსოფლიოს წინაშე მათი დიდი პასუხისმგებლობის გამო მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. დანარჩენ ათ წევრს ორი წლის ვადით ირჩევს გაეროს გენერალური ასამბლეა გეოგრაფიული რაიონებისა და კანდიდატი სახელმწიფოების მიერ მშვიდობის დაცვაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით. ყოველწლიურად აირჩევა მხოლოდ ხუთი ახალი წევრი უშიშროების საბჭო: ა) იცავს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას; ბ) იძიებს საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზებს; გ) იძლევა რეკომენდაციებს დავათა გადაწყვეტის შესახებ; დ) შეიმუშავებს შეიარაღების რეგულირების სისტემის შექმნის გეგმებს; ე) მოუწოდებს წევრ-სახელმწიფოებს, გამოიყენონ აგრესორის წინააღმდეგ ეკონომიკური და სხვა სანქციები; ვ) მიმართავს სამხედრო მოქმედებას აგრესორების ასალაგმავად; ზ) იძლევა რეკომენდაციებს ახალი წევრების მიღებისა და გაეროს გენერალური მდივნის დანიშვნის შესახებ; თ) გაეროს გენერალურ ანსამბლეასთან ერთად ირჩევს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს წევრებს და ა.შ.


გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანოებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, რომლის სტატუსი განისაზღვრება გაეროს წესდებით.


სასამართლო შედგება 15 წევრისაგან, რომლებიც აირჩევიან გენერალური ასამბლეის და უშიშროების საბჭოს მიერ, პაქტის მონაწილე სახელმწიფოთაგან წარდგენილი ცნობის მიხედვით 9 წლით, სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული, მისი შტაბბინა ჰააგაშია.

მოსამართლეთა მთელმა შემადგენლობამ უნდა წარმოადგინოს ცივილიზაციის უმთავრესი ფორმები და მსოფლიოში არსებული მთავარი სამართლებრივი სისტემები.[3] ერთსა და იმავე სახელმწიფოს ამ სასამართლოში მხოლოდ ერთი მოსამართლე შეიძლება ჰყავდეს. ყოველი მოსამართლე სასამართლოში მოქმედებს პირადად, ანუ მოსამართლეები არ წარმოადგენენ თავიანთი სახელმწიფოს ინტერესებს. სასამართლო იხილავს მხოლოდ ისეთ საქმეებს, სადაც მხარეებად გაეროს წევრი სახელმწიფოები გამოდიან. სასამართლო იძლევა საკონსულტაციო დასკვნებს. სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეებისათვის. გაეროს უშიშროების საბჭო უფლებამოსილია აიძულოს მხარე შეასრულოს გადაწყვეტილება, თუკი რომელიმე მათგანი ამას არ ისურვებს.

საბოლოოდ გაეროს სისტემა, წესდების შესაბამისად ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: საწესდებო ორგანოები, დამხმარე კომიტეტები, გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები, გაეროს ეგიდით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე შექმნილი საერთაშორისო ორგანოები, გაეროს მისიები.

ადამიანის უფლებათა დაცვის გაეროს ძირითადი საერთაშორისო მექანიზმები




უშიშროების საბჭო
ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი
შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია
საკონსულტაციო სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაცია
მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო

§2. ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებები

რამდენადმე განსხვავდება ადამიანის საყოველთაო უფლებათა დაცვის რეგიონალური მექანიზმები. ამ დონეზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ახორციელებს ევროპის საბჭო, რომელიც შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს ლონდონში 10 ევროპული სახელმწიფოს ინიციატივით (ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, საფრანგეთი და შვედეთი). ევროპის საბჭო არის სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია, რომლის მიზანია ადამიანის უფლებათა, პლურალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა; ევროპული კულტურის თვითმყოფადობის აღქმა და განვითარებისათვის ხელშეწყობა; ევროპის თანამეგობრობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის ერთობლივი გზების ძიება.[4] ევროპის საბჭო დღეისათვის 46-მდე ქვეყანას აერთიანებს, მათ შორისაა საქართველოც. ევროპის საბჭო თავისი ფუნქციების განხორციელებას ახდენს შემდეგი სტრუქტურების მეშვეობით, როგორიცაა;

1) მინისტრთა კომიტეტი, რომელსაც გააჩნია კომპეტენცია მიიღოს აღმასრულებელი აქტები.

2) ექსპერტთა სამთავრობათაშორისო კომიტეტი, იგი ძირითადად დაკავებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ მიცემული დავალებების შესრულებაზე: შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რეზოლუციებსა და კონვენციებს ზოგიერთი სახის სამართლებრივი და არასამართლებრივი სახის პროექტებისათვის.

3) საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც ითვლება ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანოდ და აერთიანებს წევრი სახელმწიფოების პარლამენტებს, უფლებამოსილია წარუდგინოს რეკომენდაციები წევრ სახელმწიფოებს.

4) ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი მოწოდებულია ხელი შეუწყოს დემოკრატიის დამკვიდრებას წევრ სახელმწიფოებში.

5) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც სათავეს იღებს 1959 წლის 21 იანვრიდან, როდესაც რვა სახელმწიფოს მიერ ცნობილი იქნა და მიენიჭა იურისდიქცია, განეხორციელებინა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში უფლებამოსილებანი.[5]

სასამართლო შედგება ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების რიცხვის შესაბამისი მოსამართლეთა რაოდენობისაგან. ისინი აირჩევიან საპარლამენტო ასამბლეის მიერ ხმათა უმრავლესობით 6 წლის ვადით. მოსამართლის ზღვრული ასაკი 70 წელია. სასამართლოს უმაღლესი ორგანო სასამართლოს პლენუმია, რომელიც ირჩევს პრეზიდენტს, ერთ ან ორ ვიცე-პრეზიდენტს 3 წლის ვადით. ამტკიცებს სასამართლო კოლეგიებს, ირჩევს სასამართლო კოლეგიების პრეზიდენტებს, იღებს სასამართლოს წარმოების წესს, ირჩევს სასამართლოს მდივანს, მის ერთ ან ორ მოადგილეს.

სასამართლო განიხილავს მათ კომპეტენციაში შემავალ საქმეებს კომიტეტებში 3 მოსამართლის, კოლეგიებში 7 მოსამართლის, დიდ კოლეგიაში 17 მოსამართლის შემადგენლობით.

სასამართლოს შეიძლება მიმართოს ნებისმიერმა პირმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ, ადამიანთა ჯგუფმა, თუკი ისინი დაზარალდნენ კონვენციით ან ოქმებით გათვალისწინებული ევროსაბჭოს რომელიმე სახელმწიფოს მიერ უფლების დარღვევით.

კონვენციაზე დაყრდნობით ევროსასამართლომ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის სფეროში, მათ შორის სიტყვის თავისუფლების დაცვის

ისეთი სტანდარტების ჩამოყალიბებაში, რომელიც მითითებულია კონვენციის მე-9-10-11 მუხლებში, კერძოდ, აზრის, სინდისის, რელიგიის გამოხატვის თავისუფლების და ა.შ. გარდა ამისა, განხილული საქმეებიდან დიდი რეზონანსის მქონე იყო დანიის, ნორვეგიის და ჰოლანდიის სარჩელი საბერძნეთის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი დასდეს რეაქციული რეჟიმის პირობებში ადამიანის უფლებების შესახებ კონვენციის სისტემატურ და მასობრივ დარღვევაში. აგრეთვე ირლანდიის სარჩელი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედებოდა ირლანდიაში კონვენციის მოთხოვნათა დარღვევაში, დაკავებულთა და დაპატიმრებულთა წამებასა და სხვა მიუღებელი მეთოდების გამოყენებაში.

6) ადამიანის უფლებათა კომისარი, რომლის თანამდებობა 1999 წლის 7 მაისს შემოიღო ევროსაბჭომ მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციით. იგი ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში განათლებისა და ცოდნის გავრცელებას. ადამიანის უფლებათა კომისარი წარმოებაში იღებს ინდივიდუალურ საჩივრებს და არ მონაწილეობს სასამართლო განხილვაში. იგი დამოუკიდებელია მოქმედებაში, შეუძლია გამოსცეს რეკომენდაციები. გააკეთოს დასკვნები და გამოაქვეყნოს მოხსენებები. კომისარი აირჩევა საპარლამენტო ასამბლეის მიერ 6 წლის ვადით, მისი ოფისი იქმნება ევროსბჭოს გენერალური სამდივნოს ფარგლებში.

ყველა ზემოთაღნიშნული სტრუქტურები თავისი ფუნქციონალური მოვალეობის შესრულებაში ეყრდნობიან ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში შემდეგ დოკუმენტებს. ა) ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას, ბ) წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის აღსაკვეთად ევროპულ კონვენციას, გ) ევროპულ

სოციალურ ქარტიას, დ) ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციას.

ევროპის საბჭომ 1950 წლის 4 ნოემბერს მიიღო „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია“, სადაც დაფიქსირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ჩამოყალიბებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. კონვენცია ხუთი ნაწილისა და 66 მუხლისაგან შედგება.* ევროპის ადამიანის უფლების კონვენცია ადგენს ორ პროცედურას, რომლითაც წევრი ქვეყნების პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს კონვენციის ორგანოთა წინაშე მასში აღიარებული უფლებების დარღვევისათვის. ესენია: ინდივიდუალური და სახელმწიფოთაშორისი. აღიარებული უფლებების დაცვის პირველადი პასუხისმგებლობა თვით წევრ-ქვეყნებს აკისრიათ ეროვნულ დონეზე.

კონვენციის პირველი და მეცამეტე მუხლების საფუძველზე — „კონვენციაში მითითებული უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის შემთხვევაში, — ყოველი პირის შელახული უფლებანი და თავისუფლებანი უნდა აღადგინოს ეროვნულმა სახელმწიფო ორგანომ“.

გარდა ამისა, რეგიონულ დონეზე განიხილება ევროპის სოციალური ქარტია და მისი დამატებითი ოქმები, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო ისლამური დეკლარაცია. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ადამიანის საყოველთაო უფლებათა რეგიონულ მექანიზმად განიხილება ევროპის სოციალური ქარტია და მისი დამატებითი ოქმები, რომლებიც ხელმოწერილი იქნა

* იხ. დანართში.

ტურინში 1961 წელს და ძალაში შევიდა 1965 წელს, მას 23 ევროპული ქვეყანა მიუერთდა.

ქარტიაში ხაზგასმულია ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები.

ქარტია აღიარებს შრომის უფლებას, ინდივიდის მიერ ორგანიზაციის შექმნას, მუშის უფლებას კოლექტიური ხელშეკრულების დადების უფლებაზე. იგი აფიქსირებს ემიგრანტი მუშებისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებას.

ქარტია აღიარებს ნებისმიერი მუშის უფლებას: შრომის ანაზღაურებაზე, პროფესიულ მომზადებაზე, გადამზადებაზე, ორიენტაციაზე, შრომის უსაფრთხოებაზე, მუშა ქალების სპეციალურ დაცვაზე, იგულისხმება ორსულობა და ბავშვის დაბადების შემდეგი პერიოდი. ქარტია წევრ სახელმწიფოებს გარკვეულ მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფას ავალებს, რომლებმაც ასახვა უნდა ჰპოვონ 2 წელიწადში ერთხელ ევროპის საბჭოსათვის წარდგენილ მოხსენებაში, რომელსაც ეცნობიან 6 წლის ვადით არჩეული ექსპერტები.

1988 წლის 5 მაისს მიღებული იქნა სოციალური ქარტიის პირველი დამატებითი ოქმი, რომელიც ძალაში შევიდა 1992 წელს. ოქმში დაფიქსირდა უფლებათა ორი ჯგუფი: 1) შრომის პირობებთან დაკავშირებული და 2) სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული.

1991 წელს მიღებული იქნა მეორე დამატებითი ოქმი, რომელმაც სრულყო ორგანიზაციული მხარე და საზედამხედველო სისტემა. 1995 წლის 9 ნოემბერს მიღებული იქნა ევროპის სოციალური ქარტიის მესამე დამატებითი ოქმი, რომელიც ძალაში შევიდა 1998 წლის 1 ივლისს, ამ ოქმით შემოღებული იქნა სოციალური ქარტიის შესრულებაზე ზედამხედველობის ახალი კოლექტიური საჩივრის მექანიზმი, ისინი შეიძლება იყვნენ: დამქირავებელთა საერთაშორისო

ორგანიზაციები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები.

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია ასევე განიხილება როგორც ადამიანის საყოველთაო უფლებათა დაცვის რეგიონული მექანიზმი. იგი მიღებული იქნა 1969 წელს, რომელსაც ეწოდა ინტერ-ამერიკული კონვენცია და ძალაში შევიდა 1978 წელს და რატიფიცირებული იქნა 25 სახელმწიფოს მიერ. იგი ეხება მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებს. შედგომში მიღებული იქნა ორი დამატებითი ოქმი, პირველი ეხება ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ უფლებებს. მეორე სიკვდილით დასჯის აკრძალვას (იგი სრულყოფილად ძალაში არ არის შესული, ა.შ.შ. 37 შტატში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, 13 შტატში – არა).

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის შესრულებაზე კონტროლს აწესებს: ა) ამერიკის ქვეყნებსშორისო ადამიანის უფლებათა კომისია და ბ) ამერიკის ქვეყნებსშორისო ადამიანის უფლებათა სასამართლო.

კომისია შედგება 7 წევრისაგან, რომლებსაც ირჩევენ 4 წლის ვადით. მის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კოლექტიური საჩივრების განხილვას, გარდა ინდივიდუალურისა.

ამერიკის ქვეყნებსშორისო სასამართლო შედგება 7 მოსამართლისაგან, მათ ირჩევენ წევრ-სახელმწიფოთა მიერ წარდგენილი კანდიდატურებისაგან. სასამართლო თუკი დაადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტს ადგენს დარღვეული უფლების აღდგენის უზრუნველყოფას, კომპენსაციის გადახდას და ა.შ. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. იგი ანგარიშვალდებულია გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე.

ადამიანის და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია მიღებული იქნა 1981 წელს ქ. ნაირობაში, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ. იგი ძალაში შევიდა 1986 წლის 21 ოქტომბერს, რომელიც აფრიკის 51 სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული. აფრიკული ქარტიის განსხვავება ევროპული და ამერიკული კონვენციებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ იგი უფლებათა გვერდით აყალიბებს მოვალეობებს, განსაზღვრავს ხალხის ანუ კოლექტიურ უფლებებს, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების გვერდით განსაზღვრავს ეკონომიკურ-კულტურულ და სოციალურ უფლებებს. გარდა ამისა, ქარტია წევრ-სახელმწიფოებს ნებას აძლევს შესაბამის პირობებში ძალზე შეზღუდოს ან შეამციროს უფლებებით სარგებლობა. ქარტიის თანახმად იქმნება აფრიკის ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმი, ადამიანისა და ხალხის უფლებების 11 წევრიანი აფრიკული კომისია.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო ისლამური დეკლარაცია მიღებული იქნა 1981 წელს ქ. პარიზში. იგი არ წარმოადგენს სახელმწიფოთაშორის სახელშეკრულებო საერთაშორისო აქტს, რადგანაც იგი მიღებულია და ეფუძნება საერთაშორისო ისლამურ-რელიგიურ მოძღვრებას. მიუხედავად ამისა, სპეციალისტები მას განიხილავენ ადამიანის საყოველთაო უფლებათა დაცვის მექანიზმებს შორის. დეკლარაციაში აღიარებულია ადამიანის უფლებების ღვთიური წარმოშობა და მისი შეზღუდვა არ შეიძლება ოფიციალური სტრუქტურების მიერ. დეკლარაცია გარდა პირადი (მოქალაქეობრივი) უფლებებისა, აღიარებს პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის პრეამბულაში მითითებულია, რომ მსოფლიოში სამართლიანობა და მშვი-

დობა დაკავშირებულია ფუნდამენტური უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების პატივისცემასთან. თუ როგორ არის სამართლებრივად უზრუნველყოფილი პოლიტიკური ტრადიციებისა და იდეალების მემკვიდრეობა, თავისუფლებათა და სამართლიანობის პატივისცემაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ევროპის ქვეყნების მთავრობები ცდილობენ ცხოვრებაში განახორციელონ საყოველთაო დეკლარაციაში ფორმულირებული უფლებანი და თავისუფლებანი.

„ადამიანის უფლებები ეფუძნება პიროვნების ღირსებასა და პრინციპული ღირებულების განუყოფელ პრინციპებს. ისინი ყოველთვის უნივერსალური, განუსხვისებელი და თანასწორია. ეს ნიშნავს, რომ ისინი ყველა ადამიანს გააჩნია, რომ მათზე უარის თქმა ან მათი წართმევა არავის შეუძლია. უფლებები ყველას თანაბრად გააჩნია, განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა მრწამსისა, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი, წოდებრივი თუ დაბადების ან სხვა ნიშნისა“[6] ზემოაღნიშნულ ფუნდამენტურ დოკუმენტებს შორის ის განსხვავებაა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია იცავს სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს, ხოლო ევროპის კონვენცია, ძირითადად ეხება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, ამასთანავე ეკონომიკური და სოციალური უფლებები დაცულია ევროპის საბჭოს სისტემაში ევროპის სოციალური ქარტიით.

ბუნებრივია, საერთაშორისო დეკლარაციები და კონვენციები ვერ განხორციელდება, თუ ყველა სახელმწიფომ და მათ შორის საქართველომაც ვერ უზრუნველყო თავიანთი კონსტიტუციებისა და კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ და აღებულ

ვალდებულებებთან, რომლებიც ეხებიან ადამიანის უფლებათა დაცვის და შესრულების საკითხებს.

ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, მათ შორის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია შეიცავენ პირობებს, რომლებიც ნებას რთავენ საგანგებო მდგომარეობაში მყოფ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ნაწილობრივ გადაუხვიონ ზოგიერთი ვალდებულებიდან. ამგვარი გადახვევები ზღუდავენ ამ დოკუმენტებით აღიარებულ ადამიანის უფლებათა დაცვას.

საერთაშორისო ხელშეკრულებები ავალდებულებს ყველა ხელმომწერ სახელმწიფოს, მიიღოს სავალდებულო ადმინისტრაციული და ზემოქმედების იძულებითი ზომები საკუთარი კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესრულების უზრუნველსაყოფად, რათა არ დაირღვეს ადამიანის უფლებები, თუკი საჭირო იქნა, სახელმწიფომ უნდა გაატაროს დამრღვევის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები და აღადგინოს მოქალაქის დარღვეული უფლებები. კონვენცია იტოვებს უფლებას, თუკი ეს არ გაკეთდა ეროვნული კანონმდებლობის მიერ, იმ შემთხვევაში ამოქმედდება კონვენციების გათვალისწინებული იძულებითი მექანიზმები. მე-13 მუხლით გათვალისწინებულია, „ყოველ ადამიანს, რომლის კონვენციის გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები ირღვევა, „ეძლევა ეფექტური ზომების მიღების უფლება ეროვნული ხელისუფლების წინაშე მისდა მიუხედავად, ეს დარღვევა ჩადენილი იქნა თუ არა იმ პირების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ ოფიციალური უფლებამოსილებით“. უფრო მეტიც, კონვენციის მთელი სულისკვეთება, მისი პირობების საფუძველზე შექმნილ ორგანოთა დასკვნები და გადაწყვეტილებები მიმართულია სამართლებ-

რივი სახელმწიფოს პრინციპების აღიარებისაკენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც ერთი პირი და ორგანიზაცია არ შეიძლება იდგეს კანონის ზევით, კანონის დამრღვევისათვის არ უნდა არსებობდეს იმუნიტეტი, რომელიც მას სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლებს.[7]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულია სამართლიანი სასამართლო, რაც არის სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების არსებითი ელემენტი. ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

სამართლიან სასამართლოში განხილული შეიძლება იყოს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, ასევე დისციპლინური სამართალდარღვევაც. აქცენტი გადატანილია უფრო დანაშაულის ხასიათსა და სასჯელის სიმკაცრეზე, ვიდრე სამართალდარღვევის კატეგორიასა და მის ოფიციალურ კლასიფიკაციაზე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით ყველას აქვს უფლება საკუთარი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ან მისთვის წაყენებული ბრალდების დასადგენად განიხილოს მისი საქმე კანონის შესაბამისად შექმნილმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ სამართლიანად, საჯაროდ და გონივრულ ვადაში. მაგრამ პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული მთელ სხდომაზე ან მის ნაწილზე, დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების თვალსაზრისიდან გამომდინარე, თუ მას მოითხოვს არასრულწლოვანის ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესები, სასამართლოს მიერ მკაცრად განსაზღვრულ აუცილებელ ფარგლებში განსაკუთრებული გარემოებების არსე-

ბობისას, როდესაც საჯაროობა საფრთხეს შეუქმნის მართლმსაჯულების ინტერესებს.

სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები მიღებულია გაეროს მიერ მიღებული დანაშაულის წინააღმდეგ და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესზე ქ. მილანში, 1985 წლის 26 აგვისტოს და 6 სექტემბერს, რომელიც ძალაში შევიდა გაერთიანებული ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციებით. მასში აღიარებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა, რაც ნიშნავს: სასამართლოს დამოუკიდებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ და დაცული ქვეყნის კონსტიტუციით ან კანონით. ყველა სამთავრობო და სხვა დაწესებულებათა მოვალეობაა პატივი სცენ სასამართლოს დამოუკიდებლობას.

ამასთან დაკავშირებით, მიღებული იქნა რეზოლუცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასამართლოს ხელისუფლების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ, უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მოსამართლეების მიერ პარნუში 1996 წლის 25 ოქტომბერს. რეზოლუცია მხარს უჭერს ევროპის საბჭოს იმ ღონისძიებათა ინტენსიურობის ზრდაში, რომლებიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების სამართლიანობისა და ეფექტურობის ამაღლებას და დემოკრატიული მართლმსაჯულების განვითარებას, რომელსაც ახორციელებენ იმ სტატუსის მოსამართლეები, რომელნიც მათ ანიჭებს მოქალაქეთა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტური დაცვის უფლებამოსილებას.

1998 წლის 13-15 მაისს ბუდაპეშტში გამართულ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ოცი ქვეყნის მოსამართლეთა ასოციაციების თავმჯდომარეებისა და წევრების შეხვედრაზე, რომლის მიზანი იყო მოსამართლეთა დამოუკიდე-

ბლობის გარანტიებზე მსჯელობა, გაკეთდა საინტერესო დასკვნები, რომელთა შესავალში აღნიშნულია, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა მოქალაქეთა უფლებაა და არა მოსამართლეთა პრივილეგია. სასამართლო დაწესებულებების ნებისმიერი რეფორმა, რომელიც პატივს სცემს კანონის უზენაესობას, უნდა გულისხმობდეს სასამართლოების დამოუკიდებლობას იმდენად, რამდენადაც გულისხმობს თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობას.[8]


სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულებების ფორმები და მეთოდები დღითიდღე იხვეწება. ევროპის საბჭომ შეიმუშავა მრავალი ფუნდამენტური საერთაშორისო კონვენცია, მათ შორის უპირატესია ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, რომელშიც შემდგომში შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი დამატებები კონვენციის 12 ოქმის სახით. ასევე აღსანიშნავია, ევროპის სოციალური ქარტია, რომელიც მიღებული იქნა 1961 წ., რასაც მოჰყვა 1996 წელს მისი გადასინჯვისას მიღებული ტექსტი. აღსანიშნავია ადამიანის უფლებების სამართლის განვითარებისათვის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის 1973 წლის 3 ივლისის ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ხაზი გაესვა ადამიანის უფლებების და ძირითად თავისუფლებების ხელშეწყობისა და დაცვის უზრუნველყოფას, მის საყოველთაო მნიშვნელობას.

1986 წლის 19 იანვარს ვენაში შეიკრიბა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, სადაც მიღებული იქნა მნიშვნელოვანი დოკუმენტი ადამიანის უფლებების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. ხაზი გაესვა მონაწილე სახელმწიფოთა 10-მდე ვალდებულებას ადამიანის უფლებების შემდგომი გაუმჯობესების და დაცვის დარგში.

ასევე აღსანიშნავია ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის 1990 წლის 29 ივნისის კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. თათბირის დოკუმენტში განსაკუთრებულად აღინიშნა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის პრობლემები. გარდა ამისა მნიშვნელოვანია პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის (1990), ჟენევის დოკუმენტი ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ (1991), მოსკოვის დოკუმენტი ადამიანური განზომილების თაობაზე (1991), ჰელსინკის დოკუმენტი დროის მოთხოვნათა შესახებ (1992), რომის გადაწყვეტილებები უშიშროების უზრუნველყოფის თაობაზე (1993), ბუდაპეშტის დოკუმენტი ახალ ეპოქაში ჭეშმარიტი თანამშრომლობის შესახებ (1994).

დღემდე ევროპულ საბჭოს მიღებული აქვს 170-ზე მეტი დოკუმენტი, რომლებიც ეხება ეროვნულ უმცირესობებს, რეგიონალურ ენებს, არჩევნების დემოკრატიზაციას, წამების აკრძალვას[9] და ა.შ. უფრო ეფექტური და მოქნილი ხდება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონული დაცვის მექანიზმები, მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში პრობლემები მაინც არსებობს, რომელთა გადაჭრაც XXI საუკუნის პრიორიტეტს წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტრუქტურა



§3. ადამიანის უფლებები და ევროკავშირი (EU)

ევროკავშირის შექმნის დასაწყისად მოიაზრება პარიზის 1952 წლის ხელშეკრულება, რომელმაც ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანება დააფუძნა. მისი შექმნა დაეყრდნო თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს. ამას მოჰყვა 1957 წლის ორი ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზე ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება შეიქმნა. 1967 წლიდან „ხელშეკრულებით შერწყმის შესახებ" შეიქმნა ევროპის გაერთიანების ერთიანი სახელმძღვანელო ორგანოების სისტემა. 1991 წლის 11 დეკემბერს დაიდო „ხელშეკრულება პოლიტიკური კავშირის შესახებ", რომელმაც გააფართოვა ევროკავშირის მოქმედების არეალი. 1993 წლის 1 ნოემბერს ეკონომიკური კავშირის ხელშეკრულების ძალაში შესვლამ ეს ორი გაერთიანება ევროპის კავშირად გარდაქმნა. ევროპის კავშირი დღეისათვის 15 წევრ-სახელმწიფოს აერთიანებს. მათგან 8 რესპუბლიკა და 7 კონსტიტუციური მონარქიაა (საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ინგლისი, ირლანდია, დანია, საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია, შვეცია, ფინეთი და ავსტრია. ევროკავშირში გაერთიანდნენ აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები: ჩეხეთი, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია...). ევროპის კავშირის წევრ-სახელმწიფოებში 1995 წლის 26 მარტიდან ძალაში შევიდა კავშირის შიდა საზღვრების თავისუფალი გადალახვის კანონი, ამავე წელს გერმანიის, საფრანგეთის და ბენელუქსის სამი ქვეყნის მთავრობებმა ხელი მოაწერეს შენგენის ხელშეკრულებას. ხელშეკრულებას მიუერთდა ავსტრიაც. ევროკავშირის წევრების კანდიდატებისათვის დაწესდა გარკვეული მოთხოვნები:

1) დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანთა უფლებებისა და ეროვნული უმცირესობათა უფლებების დაცვის სტაბილური ინსტიტუტების არსებობა.

2) ფუნქციონალური საბაზრო ეკონომიკის არსებობა და უნარი, კონკურენციის პირობებში იარსებოს ევროკავშირის საზღვრებში.

3) უნარი იტვირთოს ევროკავშირის წევრობის პასუხისმგებლობა და კავშირის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფულად საკრედიტო მიზნების სრული მხარდაჭერა. გარდა ამისა, წევრობის კანდიდატმა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ადმინისტრაციული სტრუქტურების რეფორმირება, რათა შესაბამისი ინსტიტუციონალური მექანიზმების საშუალებით შეძლოს ევროკავშირის კანონმდებლობის ეროვნულ კანონმდებლობასთან დაახლოება და ეფექტური შერწყმა.

1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სამი პრეზიდენტისა და ევროკავშირის ხელმძღვანელობას შორის გამართული შეხვედრის დროს ხელი მოეწერა შეთანხმებას. ამ შეთანხმებით საქართველომ და ევროკავშირმა აიღეს ურთიერთვალდებულებანი, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის თაობაზე.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, გატარებული პროცედურების შემდეგ 1999 წლის 1 ივლისს შევიდა ძალაში. განვლილ პერიოდში საქართველოსათვის ევროგაერთიანების ხაზით გაწეულმა დახმარებამ გრანტების სახით 300 მლნ. ევროს გადააჭარბა.

ევროკავშირის დახმარებით და მხარდაჭერით საქართველო 1999 წელს ევროპის საბჭოში და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანდა. ევროგაერთიანების ექსპერტების ხელშეწყობით საქართველოში სასამართლო რეფორმა გატარდა. მათივე დახმარებით კონფლიქტის ზონებში ამოქმედდა რეაბილიტაციის პროგრამები. დახმარების პროგრამები შემდეგი მიმართულებებით წარიმართა: ა) სასურ-

სათო უსაფრთხოების ბ) ფინანსური და გ) ტექნიკური დახმარების.

ევროკავშირის (გაერთიანების) ძირითადი ორგანოებია:

1. **კომისია,** რომელიც შეიმუშავებს კავშირის ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას. იგი არის კანონმდებლობის მთავარი ინიციატორი, ევროპარლამენტთან ერთად. კომისია კონტროლს უწევს ქვანახშირისა და ფოლადის ფასებს, ებრძვის მონოპოლიზმს.[10] კომისია უფლებამოსილია გამოიძიოს წევრ-სახელმწიფოთა მიერ კანონის დარღვევის შემთხვევები, აჯარიმებს დამრღვევ მხარეს ან მასალებს გადასცემს სასამართლოს. კომისია შედგება 20 წევრისაგან, რომლებსაც ნიშნავენ 5 წლის ვადით. კომისიას ჰყავს დამხმარე სამსახურები: გენერალური მდივნის, იურიდიული სამსახურის, თარგმანის ბიუროს სახით. აგრეთვე 23 გენერალური დეპარტამენტი დირექტორების მეთაურობით.

2) **ევროპარლამენტი,** რომელიც ითვლება კავშირის საკანონმდებლო ორგანოდ კომისიასთან ერთად. იგი შედგება 626 წევრისაგან, რომლებსაც ირჩევენ მთელ ტერიტორიაზე 5 წლის ვადით. მის კომპეტენციაში შედის ა) ბიუჯეტის მიღება; ბ) დადგენილებების, დირექტივებისა და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა კომისიასთან ერთად;

გ) კონტროლი კომისიის საქმიანობის მიმართ; დ) პოლიტიკური ფორუმების მოწვევა; ე) პარლამენტს უფლება მიეცა მიიღოს პეტიციები კავშირის მოქალაქეებისაგან. ამ პეტიციების განხილვისათვის დაინიშნა ომბუდსმენი.

3) **მინისტრთა საბჭო,** იგი წარმოადგენს ევროკავშირის ღონისძიებათა ჩატარების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებათა მიღების ორგანოს, რომელსაც ასევე საბოლოო სიტყვა ეკუთვნის კანონის მიღებაში. სტრუქტურებს შორის მნიშვნელოვანია ა) საერთო საკითხების საბჭო, ბ) **ევროპის საბჭო,** რომელიც თავისი წევრი ქვეყნების სახელმწიფოების მეთა-

ურებს აერთიანებს. იგი წელიწადში ორჯერ იკრიბება და განიხილავს მის კომპეტენციაში შემავალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ზოგად საკითხებს. მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებს ამზადებს გ) გენერალური სამდივნო, სამდივნოს სისტემის სათავეში დგას 1) მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი, რომელიც შედგება წევრ სახელმწიფოთა წარგზავნილი ელჩებისაგან — მინისტრებისაგან, მათი ძირითადი მოვალეობაა მინისტრის საბჭოს სხომებისათვის მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება; 2) აუდიტორთა კომიტეტი; 3) ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კომიტეტი; 4) ევროპის საინვესტიციო ბანკი.

ევროპის კავშირის სამართალშემოქმედება ხორციელდება რამდენიმე სახის აქტით: ა) საერთო გამოყენების საკანონმდებლო აქტები — დადგენილებანი, მათი მოქმედების არეალი ვრცელდება წევრ-სახელმწიფოთა ტერიტორიაზე; ბ) დირექტივები, რომლებიც ვრცელდება საკითხის შემხებ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე და მათ სავალდებულო ძალა აქვთ; გ) გადაწყვეტილებანი, ისინი ეხებიან კონკრეტულ საკითხებს და სავალდებულოა იმ ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის, ვისთვისაცაა ის მოცემული; დ) რეკომენდაციები და შეხედულებანი. მათ იურიდიული ძალა არ გააჩნიათ, მაგრამ დიდ ყურადღებას მოითხოვენ. გენერალურ სამდივნოში 2200 თანამშრომელი მუშაობს.

მხარეების დავების განსახილველად შექმნილია ევროპის გაერთიანებათა სასამართლო, აუდიტორთა კომიტეტი, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კომიტეტი და ევროპის საინვესტიციო ბანკი. ევროკავშირის მთელი სტრუქტურული ერთეულები უამრავ საკითხთან ერთად წყვეტენ ადამიანის უფლებისა და თავისუფლების სფეროს მნიშვნელოვან პრობლემებს.

§4. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და ადამიანის უფლებები

ეუთო – (OSCE, ОБСЕ) უსაფრთხოების რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის წევრი 55 სახელმწიფოა. იგი შეიქმნა გაეროს წესდების VIII თავის შესაბამისად. ევროპაში კონფლიქტების თავიდან აცილების, კრიზისის მართვისა და კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით: ისეთ სფეროებში, როგორიცაა: შეიარაღების კონტროლი, გაეროს პრევენციული დიპლომატია, ადამიანის უფლებები, არჩევნების მონიტორინგი, ეკონომიკური და გარემოს უსაფრთხოება, ყველაფერი ზემოთ აღნიშნული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სხვადასხვა სფეროს უკავშირდება. 1990 წლამდე ეუთო იწოდებოდა, როგორც ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი (ეუთო).

1994 წლის სამიტზე ორგანიზაციას ეუთო ეწოდა „ამან ორგანიზაციას ახალი პოლიტიკური იმპულსი მისცა, მით უფრო, რომ ეს იყო „ცივი ომის" დასრულების შემდეგ ორგანიზაციის ინსტიტუციური განვითარების გამოხატულება".[11]

1999 წლის სტამბოლის სამიტზე მიღებული იქნა ევროპული უსაფრთხოების ეუთოს ქარტია, რომელმაც მიზნად დაისახა ეუთოს ქმედუნარიანობის გაუმჯობესება.

ეუთო თავისი უფლებამოსილების განხორციელებას სტრუქტურაში შემავალი ორგანოების მეშვეობით ახდენს. მისი მთავარი ორგანოა მუდმივი საბჭო, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება წევრ-სახელმწიფოთა წარმომადგენლობითი ელჩებით, რომლებიც ყოველკვირეულად იკრიბებიან ქ. ვენაში. არსებობს მთავარი საბჭოც, რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება ქ. პრაღაში. ეუთოს სხვადასხვა ორგანოებს შორის ძალზე მნიშვნელოვანია დემოკ-

რატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR), რომელიც აქტიურადაა ჩაბმული ევროპის ქვეყნების (და არა მარტო) არჩევნების მონიტორინგსა და ეროვნული საარჩევნო და ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტების შექმნასა და განვითარებაში. ზრუნავს ეროვნული დემოკრატიული და სამართლებრივი ინსტიტუტების ტექნიკურ გამართულობასა და მათი მუშაობის სრულყოფისათვის. იგი დიდ როლს თამაშობს არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის ხელისშეწყობაში. ამ ორგანოს ოფისი ქ. ვარშავაშია, ეუთოში 1992 წლიდან გაერთიანებულია საქართველოც.

ეუთოს ჰყავს მოქმედი თავმჯდომარე*, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა აღმასრულებელი საქმიანობისათვის. თავმჯდომარე 6 თვეში ერთხელ იცვლება, მას შეუძლია დანიშნოს პირადი წარმომადგენლები კონკრეტულ საკითხებზე. ეუთოს გენერალური მდივანი, რომლის ადგილსამყოფელია ქ. ვენა (ავსტრია), ითვლება მოქმედი თავმჯდომარის წარმომადგენლად და ეხმარება მას პრობლემების გადაჭრაში. გენერალური მდივნის კომპეტენციაში შედის სამდივნოს ხელმძღვანელობა, რომლის ადგილსამყოფელია ვენა. მის სტრუქტურაში შედის გენერალური მდივნის ოფისი, კონფლიქტების თავიდან აცილების ცენტრი, ადმინისტრაციისა და ოპერაციების დეპარტამენტი, ეკონომიკურ და გარემოს დაცვის სფეროში კოორდინატორი და სხვა ინსტიტუტები.

ეუთოს გააჩნია შერიგებისა და არბიტრაჟის სასამართლო ქ. ჟენევაში. წევრ-სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს შერიგებისა და არბიტრაჟის კონვენციას, შეუძლიათ სასამართლოს გადასცენ სადავო საკითხები, რო-

* შესაბამისი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი.

მელსაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი ან შერიგების კომისია გადაწყვეტს.

ეუთო-ს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და დიდია მისი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო და რეგიონალურ მექანიზმებს შორის.

ეუთოს დასკვნითმა აქტებმა შეაჯამა საერთაშორისო თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფის სფეროში და იგი ცალკე პრინციპად გამოყო. 1975 წლის 1 აგვისტოს დასკვნითი აქტის მონაწილე სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრეს, პატივისცემით მოეკიდონ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, მათ შორის აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას ყველასათვის, განურჩევლად რასისა, სქესისა და რელიგიისა; ხელი შეუწყონ და განავითარონ სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა ფაქტორები. სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიაზე ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობანი, ასევე ვალდებულებას კისრულობენ პატივისცემით მოეკიდონ ასეთ უმცირესობათა თანასწორობის უფლებას კანონის წინაშე.[12]

ეუთოს საქმიანობა ადამიანის უფლებათა სფეროში მოიცავს მოლაპარაკებას, შუამავლობას და ფაქტების დადგენის მრავალსაფეხუროვან პროცესს, რაც ასევე გულისხმობს ორმხრივ და მრავალმხრივ მოლაპარაკებებს, ექსპერტთა და მომხსენებელთა მისიების დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის ხელშეწყობით. პროცესში ებმება ბრალმდებელი სახელმწიფო მეორის მიმართ, რომელიც არ მოქმედებს ეუთოს ადამიანური განზომილების ვალდებულებათა შესაბამისად. ეუთოს ტერმინოლოგიის თანახმად ტერმინი „ადამიანური განზომილება“ იხმარება ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიასთან დაკავშირებული საქმიანობის იმ ნორმებისა და სახეობების ერთობლიობის აღსანიშნავად, რომელთაც ეუთო განიხილავს

როგორც უშიშროების სამი განზომილებიდან ერთ-ერთს თანაბრად სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკურ-ეკოლოგიური განზომილებისა. ამდენად, ტერმინი „ადამიანური განზომილება“ გულისხმობს იმასაც, რომ ადამიანურ განზომილებასთან დაკავშირებული ეუთოს ნორმები უფრო ფართო სფეროს მოიცავს, ვიდრე „ადამიანის უფლებათა ტრადიციული უფლება“.[13] ამას მოსდევს დიპლომატიური გაცვლები დროის გარკვეულ მონაკვეთში. თუკი საკითხი ამ გზით არ მოწესრიგდა, მაშინ მომჩივანი სახელმწიფოები სხვა წევრი სახელმწიფოების ყურადღებას მიაქცევენ მას და სვამენ საკითხს ეუთოს ადამიანური განზომილების კონვენციაზე განსახილველად. თუკი ამ ღონისძიებებს შედეგი არ მოჰყვა, ექსპერტებს უფლება ეძლევათ შეუდგნენ გამოძიებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მესამე მხარის ფაქტების დამდგენი და შუამავალი პირები, რომლებიც საქმის შესწავლის შემდეგ შეადგენენ შესაბამის დასკვნას, რომლის შესრულებაც სავალდებულო ხასიათისაა.

§5. ადამიანის უფლებები და სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში დიდ როლს თამაშობენ სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ.

ისტორიულად ცნობილია, რომ სახელმწიფოზე ბევრად ადრე საზოგადოება წარმოიშვა და დიდხანს არსებობდა მის გარეშე. სახელმწიფოს არსებობის ობიექტური აუცილებლობა სწორედ საზოგადოების შინაგანი სტრუქტურის გართულებასთანაა დაკავშირებული, ამიტომაც სახელმწიფოს მოიაზრე-

ბენ, როგორც მთელი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტს.

სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში მოცემულია ადამიანთა საზოგადოების მრავალი განსაზღვრება და დახასიათება, მაგრამ ყველა მათგანის ძირითადი აზრი ერთია: საზოგადოება არის ადამიანთა ურთიერთქმედების შედეგი, მათი ცხოვრების გარკვეული ორგანიზაცია, შინაგანად წინააღმდეგობრივი ორგანიზმი, რომლის არსი მდგომარეობს მრავალფეროვან (ეკონომიკურ, ზნეობრივ, რელიგიურ და სხვა) კავშირებში, ადამიანთა გაერთიანებებისა და ერთობების ურთიერთობებში.

ეს არის კავშირების რთული, თვითგანვითარებადი სისტემა, რომელიც ეკონომიკური, ოჯახური, ჯგუფური, ეთნიკური, წოდებრივი, ურთიერთობებითა და ინტერესებით ერთიანდება, სადაც, პირველ რიგში, მოქმედებენ სოციალური კანონები.

როგორც უკვე აღინიშნა, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში არისტოტელე (384-322 წწ. ძვ.წ.აღ-ის) ამბობდა, რომ ადამიანი არის მოაზროვნე საზოგადოებრივი არსება. ამიტომ საზოგადოების მთავარი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ იგი გონიერ არსებათა ურთიერთკავშირების სისტემას წარმოადგენს. საზოგადოებასთან ურთიერთობისას ადამიანი ვითარდება თვითონ და ავითარებს თავის სოციალურ თვისებებს და ძალებს. ამით იგი ხდება პიროვნება და ახდენს საზოგადოებრივი პროგრესის სტიმულირებას.

საზოგადოება ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ფორმებს იღებდა, იცვლებოდა მისი სიმწიფის ხარისხი, შინაგანი აგებულება, ე.ი. ეკონომიკური, სოციალურ-კლასობრივი, პოლიტიკური სტრუქტურა. დიდი ხნის მანძილზე პირველყოფილი საზოგადოება, მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან-კოლექტიური იყო, არ იცოდა სოციალური და სხვა დაყოფა. შემდეგში, თანდათანობით გართულდა სა-

ზოგადოების სტრუქტურა: ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილებასთან ერთად გაჩნდა სოციალური ერთობები, ჯგუფები, კლასები და ა.შ., რომლებსაც თვიანთი ინტერესები და თავისებურებები ჰქონდათ.

აღიარებულია, რომ საზოგადოების ზემოქმედება სახელმწიფოზე არის პირდაპირი კავშირი, ხოლო სახელმწიფოსი საზოგადოებაზე — უკუკავშირი. საზოგადოებაზე განვითარებული სახელმწიფოს ზემოქმედების მრავალწახნაგოვანი უკუკავშირი საკვანძო, მაგრამ არასაკმარისად შესწავლილი პრობლემაა, რომელშიც მთავარია სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების თანაფარდობა შეგნებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ მოწესრიგებასა და სტიქიურ საბაზო თვითრეგულირებას შორის.

საზოგადოების სტრუქტურის სირთულე ბევრ მომენტთანაა დაკავშირებული, ამიტომ არსებობს მისი განხილვისადმი სხვადასხვა მიდგომა: ა) ზოგადთეორიული. ბ) კონკრეტულ-ისტორიული. ამჯერად საზოგადოების ყოველმხრივი განხილვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, იგი გვაინტერესებს იმდენად, რომ დავახასიათოთ საზოგადოების ის ნაწილი, რომლებიც ქმნიან სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს.

არასამთავრობო ორგანიზაცია (დაწესებულება) არის ზოგადად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ხელშემწყობი ორგანიზაცია, რომლის შექმნაში არანაირად არ მონაწილეობს სახელმწიფო ან მისი სტრუქტურები და არ ფინანსდება ქვეყნის ბიუჯეტიდან.

ფართო გაგებით არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია (NGO) არის რამდენიმე სახელმწიფოს საზოგადოებრივი ჯგუფის, კავშირის ან კერძო პირთა მიერ შექმნილი გაერთიანება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო თუ სხვა სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებისა და გაღრმავების მიზნით; არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია სტატუსის

მოპოვებისათვის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს; საქმიანობას უნდა ეწეოდეს ორზე მეტ სახელმწიფოში, ორგანიზაცია თავისი სტრუქტურით, მიზნებითა და ფინანსური მხარდაჭერით საერთაშორისო ხასიათს უნდა ატარებდეს.

საერთაშორისო მიდგომებით, არასამთავრობო ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მონიტორინგი, ანუ თვალყურის დევნება, როგორ იცავს სახელმწიფო კონსტიტუციურ ნორმებს და როგორ ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

არასამთავრობო ორგანიზაციები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: ა) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, ბ) რეგიონალური და გ) ადგილობრივი.

არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებს აქვთ ევროპის წინაშე საკონსულტაციო სტატუსი და შეტანილი არიან სამთავრობო კომიტეტის მიერ შედგენილ სიაში. მაგალითად, **საერთაშორისო ამნისტია,** რომელიც შეიქმნა ბრიტანელი ადვოკატის პიტერ ბენენსონის თაოსნობით 1961 წლის 28 მაისს. საერთაშორისო ამინისტიის (AMNESTY INTERNATIONAL) მმართველ ორგანოს წარმოადგენს საერთაშორისო საბჭო, რომლის სხდომებს შორის მის ფუნქციებს ასრულებს აღმასრულებელი კომიტეტი. ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობის შესრულებას უზრუნველყოფს საერთაშორისო სამდივნო გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით, რომლის შტაბ-ბინა იმყოფება ლონდონში. საერთაშორისო ამინისტია თავის საქმიანობას წესდების მიხედვით წარმართავს, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს თვალ-ყური ადევნოს სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესრულების მიმდინარეობას. **ადამიანის უფლებათა დარაჯი,** რომელიც დაარსდა ჰელსინკში 1978 წელს, არის თვითდაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს

დაიცვას ადამიანი უსაფუძვლო დაპატიმრების, წამების, აზრის, სინდისის, რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისაგან. ამ ამოცანებს იგი წყვეტს ადამიანის უფლებათა დარღვევებზე მოკვლევის ჩატარების, დოკუმენტების შეგროვება-გამოქვეყნების გზით, რითაც ამხელს სახელმწიფოებს ადამიანის უფლებათა დარღვევებში. **იურისტთა საერთაშორისო კომისია**, რომელიც დაფუძნდა ბერლინში 1952 წელს, არის არასამთავრობო ორგანიზაცია, მასთან 1978 წლიდან არსებობს **მოსამართლეთა და ადვოკატთა დამოუკიდებელი ცენტრი**, მათი საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს ადამიანის საყოველთაო უფლებების დაცვის მექანიზმების ხელისშეწყობა. საკმაოდ მაღალკვალიფიციური იურისტები ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე აწარმოებენ მოკვლევებს, მხარს უჭერენ გაეროს შესაბამის სტრუქტურებს. გარდა ამისა, ორგანიზაცია აქტიურად ეხმარება იმ ქვეყნებს, რომელთა ნებაა აღიარონ ადამიანის უფლებები და სრულყონ მათი დაცვის მექანიზმები, შესაბამის ორგანოებს უწევენ მეთოდურ კონსულტაციებს და კადრების გადამზადებაში დახმარებას. იურისტთა საერთაშორისო კომისიას სხვადასხვა ქვეყანაში გააჩნია განყოფილებები და ფილიალები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

ახალი ათასწლეულის დასაწყისისათვის არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვმა 20 ათასს გადააჭარბა. ისინი წარმოადგენენ რგოლს, რომელიც მოსახლეობას აკავშირებს მთავრობასთან, ერთ ხალხს მთელი მსოფლიოს სხვა ხალხებთან. ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან ძალას, რომელიც უნდა ემსახურებოდეს განათლების, თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროებს და კონფლიქტების თავიდან აცილებას.

რაც შეეხება სამთავრობო ორგანიზაციებს, მათი ცნება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

სამთავრობო ორგანიზაცია (დაწესებულება), არის სახელმწიფო სტრუქტურაში შემავალი ან დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომლის შექმნასა და ჩამოყალიბებაში მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფო ან მისი რომელიმე უწყება და მთლიანად ან ნაწილობრივ ფინანსდება ქვეყნის ბიუჯეტიდან.

სამთავრობო ორგანიზაციის (დაწესებულების) კომპეტენცია დადგენილია კანონით, რომელსაც უფლება არა აქვს გადასცეს სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებებს უფლებები და მოვალეობები, რომელიც მის კომპეტენციას განეკუთვნება. იგი გამოსცემს აქტებს. ასრულებს მოქმედებებს კანონების და სხვა ნორმატიული აქტების შესასრულებელად, რაც არ ევალება არასამთავრობო ორგანიზაციებს.

საქართველოს, მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო გახდა, ანგარიშს უწევს მსოფლიო პროგრესული საზოგადოება.

საქართველოს პარლამენტის მიერ კონსტიტუციის მიღების შემდგომ, საქართველომ შეძლო სახელმწიფოთა მსოფლიო გაერთიანებას შემატებოდა და თავისი სიტყვა ეთქვა. თუმცა, ჯერ კიდევ 1992 წლის 31 ივლისიდან საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა. ის გახდა აგრეთვე გაეროს სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციების, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ევროპის საბჭოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. დღეს საქართველო დაახლოებით 100-ზე მეტი საერთაშორისო სამთავრობათშორისო ორგანიზაციის შემადგენლობაშია.

საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია იქმნება მთავრობებს შორის ამა თუ იმ სფეროში თანამშრომლობის, მათი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით. მათ შექმ-

ნაში აქტიურობენ სახელმწიფოები. სამმა სახელმწიფომ მაინც უნდა შეიმუშაოს საერთაშორისო შეთანხმების დამფუძნებელი აქტი, წესდების სახით.

რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებას, იგი გულისხმობს ორი ან მეტი სახელმწიფოს ან სხვა საერთაშორისო სამართლის სუბიექტების შეთანხმებას, უფლებათა და ვალდებულებათა ჩამოყალიბებას, შეცვლის ან გაუქმების შესახებ, ასეთი შეთანხმება შეიძლება იყოს კონვენციის, პაქტის, ოქმის, ხელშეკრულების სახით, რომელსაც აუცილებლად წერილობითი ფორმა აქვს, სადაც მკაფიოდ უნდა იყოს ასახული მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენცია განსაზღვრავს საერთშორისო ხელშეკრულების გამოყენებას, „თვითშესრულებადი" და „არათვითშესრულებადი" ნორმების მოქმედების ვადებს, მისი შეჩერების, ნოვაციის და აღიარების ფორმებს. ხელშეკრულება შეიძლება იყოს ვადიანი ან უვადო.

საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ აწესრიგებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართებას ქართულ კანონმდებლობასთან, რომლის ძალითაც საერთაშორისო ხელშეკრულება მისი ძალაში შესვლის მომენტიდან ხდება ეროვნული სამართლის ნაწილი და მისი კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის, რადგანაც საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას, შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ აქვს უპირატესი იურიდიული ძალა.

სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულების მაგალითია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან აზერბაიჯანის, საქარ-

თველოს, თურქეთისა და აშშ შორის დადებული ხელშეკრულება, ნავთობსადენის სიგრძე 1765 კმ-ია, მაქსიმალური სიმაღლე 2800 მ. 8 საქაჩი სადგურიდან ორი საქართველოს ტერიტორიაზე გარდაბანსა და თეთრწყაროშია დამონტაჟებული. პროექტი 2 მილიარდი აშშ დოლარითაა დაფინანსებული; მილსადენში პირველმა ნავთობის პარტიამ უნდა გაიაროს 2005 წლის მეორე კვარტალში. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ მილსადენის კომპანიამ (BTC) მარტში დაასრულა ადამიანთა უფლებების მონიტორინგის პირველი ეტაპი, რომელიც აშშ-ს იურიდიული ფირმის Foley Hoad-ის ექსპერტთა ჯგუფის მეშვეობით განხორციელდა.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათი ეკოლოგიური უფლების დაცვას ემსახურება BTC-ს სახელით არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision“ მიერ განხორციელებული პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (HIV) და სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მილსადენზე დასაქმებულ პირთა ჯანმრთელობას. მნიშვნელოვანია ტრასეკა (TRACECA - Transport Corridor Europe-Caucasus-Asia) ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო-სამართლებრივ შეთანხმებას. იგი ხელმოწერილი იქნა 1998 წლის 8 სექტემბერს ქ. ბაქოში გამართულ კონფერენციაზე 45 სახელმწიფოს მიერ. შეთანხმება შედგება 16 მუხლისაგან და მისი მოქმედების ვადა ათი წელია. შეთანხმების შედეგად მისი 5 წლით გაგრძელება შემდგომში შესაძლებელია. შეთანხმების ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკური ურთიერთობის, ვაჭრობისა და სატრანსპორტო მიმოსვლის განვითარებას ევროპის, შავი ზღვის, კავკასიის, კასპიის ზღვისა და აზიის რეგიონებში; საბოლოო ჯამში ხელი შეუწყოს რეგიონალურ ურთიერთობათა მოწესრიგებას, რაც თავისთავად გულისხ-

მობს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრობლემებსაც.

დღითიდღე მტკიცდება საქართველოს კავშირები საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მხარს უჭერს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც შუამავლის, დამაკავშირებელ როლს ასრულებენ ადამიანთა სულ სხვადასხვა ჯგუფებს შორის მთელ მსოფლიოში.

ბევრმა არასამთავრობო ორგანიზაციამ იმდენად დახვეწა მუშაობის ფორმები და მეთოდები, რომ ჩამოაყალიბეს სამართლებრივი მექანიზმებიც.

ისინი ახერხებენ ინდივიდების, ადამიანთა ჯგუფების თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, საჩივრების რეგისტრაციას ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევის შესახებ. ახერხებენ შეისწავლონ და შეაგროვონ შესაბამისი დოკუმენტები, რათა შემდგომში ისინი წარმართონ სამთავრობო სტრუქტურებში ან სასამართლო ორგანოებში.

გარდა ამისა არასამთავრობო ორგანოები გამოდიან გაეროს ექსპერტებისათვის ინფორმაციის მიწოდების წყაროებად და აქტიურად თანამშრომლობენ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში დაკავებული კომისიების მუშაობაში. რაც შეეხება საერთაშორისო ამნისტიას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციას, ისინი დამოუკიდებლად აწარმოებენ ადამიანთა უფლებათა დაცვის ფაქტების შესწავლას.

ძალზე დიდია არასამთავრობო ორგანიზაციათა როლი და დამსახურება საინფორმაციო ქსელის გაფართოებაში, რაც მსოფლიოში დაწყებული გლობალიზაციის პროცესის ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ეს იძლევა საშუალებას ადამიანის უფლებათა ყველა სერიოზულ დარღვევაზე ინფორმირებული იყოს მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოება და შესაბამისი საერთაშორისო ორგანოები, რაც იწვევს ღონ-

ისძიებათა ოპერატიულ გატარებას, დარღვეულ უფლებათა აღდგენის თვალსაზრისით.

პოლიტიკური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის სახელმწიფოებთან. ის აქტიურად თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო სამთავრობათშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია, გაეროს სხვა სპეციალიზებული დაწესებულებანი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო, ნატო, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და სხვ.[14]

სამეცნიერო ლიტერატურაში საერთაშორისო ორგანიზაციის ცნებაში მოიაზრებენ ცალკეული სახელმწიფოების სამთავრობათაშორისო და არასამთავრობათაშორისო საზოგადოებების, ასოციაციების გაერთიანებას, რომლის საქმიანობას საფუძვლად უდევს ინტერესთა ერთიანობის ამსახველი დამფუძნებელი აქტი, რომელიც შეიძლება იყოს წესდების სახით, სადაც მოცემულია საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის მიზანი, კომპენტენცია, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, ხელმძღვანელ ორგანოთა სისტემა და ა.შ.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სავაჭრო თანამშრომლობა აქვს ყოფილ პოსტსაბჭოურ სივრცეში შემავალ დამოუკიდებელ ქვეყნებთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა არსებობს 1993 წლიდან. ის კოორდინაციას უწევს ევროპის უშიშროების ორგანიზაციასთან თანამშრომლობას.

ფაქტიურად, ბოლო ათი წლის განმავლობაში, თითქმის ყველა ქვეყანამ ორმხრივი ურთიერთობა დაამყარა საქართ-

ველოსთან. 30-მდე სახელმწიფოსთან სამართლის სხვადასხვა სფეროში დამყარებულია საერთაშორისო ურთიერთობანი.

ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ბოლო წლებში მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ორმხრივ ხელშეკრულებებს ისეთ სახელმწიფოებთან, როგორიცაა — დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, რუსეთი, უკრაინა, ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და სხვა. ამ ხელშეკრულებებში ცენტრალური ადგილი ეთმობა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობისა და მომსახურების საკითხებს.

უცხოეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მნიშვნელოვან ადგილს იჭერს საქართველოს თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა: პოლიტიკა, ეკონომიკა, ადამიანის უფლებათა დაცვა, ეკოლოგია, ტრანსპორტი, ტურიზმი, ვაჭრობა, საბაჟო საქმე, ჰუმანიტარული სამართალი და სხვა მრავალი. საქართველო გავიდა დიდ საერთაშორისო ასპარეზზე.[15]

საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალსუბიექტურობა აღიარებულია ვენის 1986 წლის კონვენციით „სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ან თვით საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების შესახებ".

თითოეულ საერთაშორისო ორგანიზაციას აქვს დამფუძნებელი აქტი, წესდება, რომელიც განსაზღვრავს მის მიზნებსა და ამოცანებს, ფუნქციებსა და კომპეტენციას, რომელიც მოიცავს მის უფლებებსა და მოვალეობებს სახელმწიფოების და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ. თითოეულ მათგანს აქვს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა. საერთაშორისო ორგანიზაციები იქმნებიან სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების საფუძველზე და მათივე შეთანხ-

მებით განისაზღვრება ამ ორგანიზაციების უფლებამოსილებათა წრე ანუ კომპეტენცია.

იმისათვის, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია ცნობილი იქნას საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, მას უნდა ახასიათებდეს შემდეგი ნიშნები:


1. სახელშეკრულებო საფუძველი; 2. განსაზღვრული მიზნები და ფუნქციები; 3. შესაბამისი ორგანიზებული სტრუქტურა; 4. დამოუკიდებელი უფლება-მოვალეობანი; 5. საერთაშორისო აღიარება.

საერთაშორისო ორგანიზაციის უფლებაუნარიანობა მოიცავს მის უფლებას დადოს ხელშეკრულებები, როგორც სახელმწიფოსთან, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საქართველოს 1994 წელს ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა 54 ქვეყანასთან, 1995 წელს — 71-თან, 1996 წელს — 83-თან, 2000 წელს — ასამდე ქვეყანასთან.

გაეროს განვითარების პროგრამების განხორციელებით ჩვენს ქვეყანაში არაერთი სასიკეთო საქმე გაკეთდა. მრავალი ორგანიზაცია და დაწესებულება, მათ შორის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ოფისი ჩაერთო ინტერნეტულ ქსელში, რამაც გაზარდა ინფორმაციის მოპოვების გზები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, გაფართოვდა ექსპერტებთან ურთიერთობა, გაიხსნა ადამიანის უფლებათა ბიბლიოთეკა — საინფორმაციო-სადოკუმენტაციო ცენტრი. გახშირდა საქართველოში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ერთობლივი სემინარების ჩატარება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თემაზე.

საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა სქემა



ლიტერატურა:

1. ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1993 წ. *1.* გვ. 12.
2. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2003 წ. *2.* გვ. 46; *4.* გვ. 112; *9.* გვ. 113; *11.* გვ 125; *12.* გვ. 14.
3. ბ. სავანელი, საერთაშორისო სამართლის საფუძვლები, თბ., 2000, *3.* გვ. 93.
4. ლ. ფაფიაშვილი, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს, თბ., 2001. *5.*
5. ადამიანის უფლებები და პოლიცია. სტრასბურგი, 1999 წ. *6.* გვ. 11; *7.* გვ 16.
6. დაწ. სამართლიანი სასამართლოს უფლება. თბ., 2000 წ. *8.* გვ. 12-13.
7. ვ. ქარუმიძე, საერთაშორისო ორგანიზაციები, თბ., 2003 წ., *10.* გვ. 220; *15.*
8. ვ. ლორია, მ. ბენდელიანი, ბ. გელაშვილი, ადამიანის უფლებები და რელიგია, თბ., 2004 წ. *13.* გვ. 162.
9. გ. ჯოლია, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები, 1998, *14.* გვ. 210.
10. Международный Билль о правах человека. Женева, 1998.
11. М. Дженис, Р. Кей. Европеиское право в области прав человека, 1997.
12. Human rights and the judiciary, Warsaw, 2000.

თავი III

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გარანტიები

§1. ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიათა კლასიფიკაცია

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მკაცრი დაცვა მსოფლიო საზოგადოების პრობლემას წარმოადგენს, რომელსაც სჭირდება გარანტიათა მწყობრი სისტემა. გარანტიები არის პირობების, საშუალებებისა და მეთოდების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველას საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების აღმოჩენის, შეძენისა და რეალიზაციის უნარს თანაბარი სამართლებრივი შესაძლებლობებით. მათი კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მეთოდით.

მოქმედების სფეროს მიხედვით ასხვავებენ საერთაშორისო-სამართლებრივ (პლანეტარულ) გარანტიებს, გარანტიებს რეგიონალური საერთაშორისო გაერთიანებების ფარგლებში, შიდასახელმწიფოებრივ და ავტონომიურ გარანტიებს.

საერთაშორისო-სამართლებრივი გარანტიები განსაზღვრულია 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, საერთაშორისო პაქტებითა და სხვა უნივერსალური დოკუმენტებით. მათ სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტის მეშვეობით ახორციელებს გაერო, მისი ორგანოები და აგრეთვე ის ორგანიზაციები, რომლებიც მისი ეგიდით მოქმედებენ. ამ თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ უშიშროების საბჭოს, გენერალური ასამბლეის კომიტეტებს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ

უფლებათა გაეროს კომიტეტს, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა გაეროს კომიტეტს, ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს და სპეციალიზებული დაწესებულებების — ადამიანის უფლებების დაცვის, ბავშვთა უფლებების დაცვის, წამების საწინააღმდეგო კომიტეტების მოღვაწეობას. ისინი იღებენ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის პასუხისმგებლობას და გაეროს წევრ სახელმწიფოებს გადასცემენ.

ასე მაგალითად, გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად უშიშროების საბჭომ 1993 წელს, რუანდაში მომხდარი მასობრივი მკვლელობების გამოსაძიებლად სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალი შექმნა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სასამართლო დევნა, როგორც იმ პირთა მიმართ, რომლებმაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დანაშაული ჩაიდინეს რუანდის ტერიტორიაზე, ასევე რუანდის მოქალაქეების მიმართ, რომლებმაც ამგვარი დანაშაული ჩაიდინეს მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ასეთი სასამართლო პროცესი აშურაში (ტანზანია) უკვე გაიმართა, რომელმაც რუანდის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ჟაკ კამბანას, ნახევარი მილიონი ტუტსის მკვლელობაში მონაწილეობის გამო, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ეს იყო გენოციდის ბრალდებით გასამართლების პირველი შემთხვევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამავე პროცესზე გაუპატიურების ბრალდებით გაასამართლეს რუანდის ერთ-ერთი პატარა ქალაქის მერიც, სასამართლომ გაუპატიურებაც გენოციდის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნია. ტრიბუნალი ახორციელებს დევნას შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის: 1) გენოციდი; 2) მშვიდობისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული. ტრიბუნალის სტრუქტურაა: 1) ორი სასამართლო და ერთი სააპელაციო კამერა; 2) ბრალმდებელი პროკურორის ოფისი; 3) სამ-

დივნო, სულ 8 მოსამართლე, 5 სააპელაციო და სამი მოსაშართლე (კამერის).

1998 წლის ივნისსა და ივლისში რომში 150-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. დელეგატებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (International Criminal Court, ICC) შექმნის შესახებ, როგორც დამოუკიდებელი და პერმანენტული სტრუქტურა, რომელმაც უნდა განიხილოს გენოციდის, ადამიანურობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისა და ომის დანაშაულის შემთხვევები. რომის ხელშეკრულება ძალაში შევა იმ შემთხვევაში, თუ სულ მცირე 60 სახელმწიფო მაინც მოახდენს მის რატიფიცირებას.

ადამიანის უფლებების დაცვას გარკვეულწილად ემსახურება საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები და საყოველთაო დეკლარაციები. მათგან აღსანიშნავია: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, გაეროს დეკლარაცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. საერთაშორისო კონვენცია აპარტეიდის დანაშაულის ჩახშობისა და დასჯის შესახებ, კონვენცია გენოციდის, დანაშაულის აცდენისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის საყოველთაოდ აღიარებული მინიმალური წესები და ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობის შესახებ, კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ და ა.შ.

რეგიონალური საერთაშორისო გაერთიანებები (ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ბალტიის ზღვის სახელმწიფოთა საბჭო, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია, ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა

თანამეგობრობა), აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებები ადამიანის უფლებათა დაცვას ახორციელებენ შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე, ამ რეგიონისათვის სპეციფიურ თავისუფლებათა გათვალისწინებით.

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ 1950 წლის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციით და მისი დამატებითი ოქმებით. მათი რეალიზაციის ზედამხედველობა ევალება ადამიანის უფლებების ევროპულ კომისიას და სასამართლოს. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრმა ქვეყნებმა მიიღეს მთელი რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონალური საერთაშორისო გაერთიანებების ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვის საქმეს. მაგ. რეგიონალურ დოკუმენტებად ჩაითვლება ადამიანის უფლებების ამერიკული კონვენცია, აფრიკული ქარტია და ისლამური დეკლარაცია, რომლებიც ითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა დაცვის პროცესუალურ მექანიზმებს, რეგიონალურ ჩარჩოებში. კერძოდ, ეს არის 1993 წლის 22 იანვრის კონვენცია სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებში. 1993 წლის 24 სექტემბრის დეკლარაცია საერთაშორისო ვალდებულებებზე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში, 1994 წლის 9 დეკემბრის შეთანხმება ურთიერთუფლებების აღიარებაზე, მუშა-მოსამსახურეებისათვის ზიანის მიყენების ანაზღაურებაზე, პროფესიული დაავადებით ან ჯანმრთელობის დაზიანების რაიმე სხვა შემთხვევაში მათ მიერ შრომითი ვალდებულებების შესრულების დროს, 1995 წლის 6 მაისის დსთ კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ.

შიდასახელმწიფოებრივი გარანტიები დამტკიცებულია სახელმწიფოების კონსტიტუციით და სხვა საკანონმდებლო

აქტებით და უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და ორგანიზაციული საშუალებებით.

შინაარსისა და საქმიანობის მიხედვით არსებობენ ეკონომიკურ-სამართლებრივი (ეკონომიკური მოღვაწეობის თავისუფლების განმტკიცება, კერძო, სახელმწიფო, მუნიციპალური და სხვა სახის საკუთრების აღიარება და თანაბრად დაცვა, სოციალური პარტნიორობა), პოლიტიკურ-სამართლებრივი (სახალხო ხელისუფლების მექანიზმი, ხელისუფლების დაყოფა და თანასწორობა, მრავალპარტიულობა, აზრთა პლურალიზმი), სოციალურ-სამართლებრივი (სოციალური, რასობრივი, ეროვნული და რელიგიური უთანხმოების აღკვეთა, ძირითადი, საერთო და საშუალო პროფესიული, საყოველთაოდ მისაწვდომი და უფასო განათლება) და სამართლებრივი (კანონმდებლობის განვითარებული სისტემის არსებობა, კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების საშუალება, ნებისმიერი პიროვნების უფლება კანონით დაშვებული ყველა საშუალებით დაიცვას საკუთარი უფლებები და თავისუფლება) გარანტიები.

სამართლებრივი გარანტიები შეიძლება იყოს მატერიალური (უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის პირობების განმსაზღვრავი ნორმატიული დადგენილებები), იდეალური (უდანაშაულობის პრეზუმფცია, იურიდიული ფიქციები), პროცესუალური (ზედამხედველობისა და კასაციის ინსტიტუტები, მოსამართლეთა უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები), ტექნიკურ-იურიდიული (სამართლებრივი ნორმების მიმნდობ-სავალდებულო ხასიათის ამსახველი, სამოქალაქო-სამართლებრივი სარჩელის, ხელშეკრულებების კონსტრუქციები).

სამართლებრივი გარანტიების ხარისხში განიხილავენ იურიდიულ პასუხისმგებლობასაც. იგი შედგება პიროვნების ვალდებულებისაგან აიტანოს სახელმწიფო იძულებითი ზომები მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის, მის

მიერ შეუსრულებელი, ან არასათანადოდ შესრულებული იურიდიული მოვალეობებისათვის.

ასეთია ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიათა კლასიფიკაცია, რომელსაც აღიარებს ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი.

§2. ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური გარანტიები

ნებისმიერი ქვეყნისათვის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ერთ-ერთი მთავარი გარანტი უზენაესი კანონი — კონსტიტუციაა. ტერმინი „კონსტიტუცია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დაწესებას, დადგენას. მისი შექმნის იდეა ინგლისიდან მოდის, მაგრამ პირველად კონსტიტუცია დაიწერა ჯერ აშშ-ში 1787 წელს, შემდეგ კი — საფრანგეთსა და პოლონეთში — 1791 წელს.

კონსტიტუციის ცნების სხვადასხვა ვარიაცია არსებობს, მაგრამ ჩვენთვის მისაღებია შემდეგი განსაზღვრება: კონსტიტუცია არის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული იმპერატიული ძალის მქონე ნორმატიული აქტი, ანუ ქვეყნის უზენაესი კანონი, რომლის მეშვეობითაც ხალხი აფუძნებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოწყობის ძირითად პრინციპებს, განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების სუბიექტებს, ხელისუფლების განხორციელების მექანიზმს, განამტკიცებს სახელმწიფოს მიერ დაცულ სამოქალაქო საზოგადოებასა და ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს.[1]

კონსტიტუციას გააჩნია ძირითადი ნიშნები, რომელიც მათ განასხვავებს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ესენია: ფუნდამენტურობა, რაც ვლინდება მის საბაზო ხასიათში,

პირველადობაში, რაზედაც დაფუძნებულია ქვეყნის კანონშემოქმედება.

კონსტიტუციას ასევე ახასიათებს ლეგალურობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხალხის მიერ არჩეული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ღებულობს მას მხოლოდ საყოველთაო სახალხო განხილვის შემდეგ. სტაბილურობა განმტკიცებულია მის ბუნებაში, რომ მისი გადასინჯვისა და კონსტიტუციური ცვლილებების პროცედურა შედარებით გართულებულია. უზენაესობა გულისხმობს კონსტიტუციის უმაღლეს იურიდიულ ძალას სხვა ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში. რეალობა გამოიხატება იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რომელიც ასახავს ქვეყნის რეალიებს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. პროგრამულობა ვლინდება იმ ძირითად პრინციპებსა და მიზნებში, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ძირითად მიმართულებებს.

ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუციას, ნიშნების გარდა, გააჩნია ძირითადი ფუნქციები, რომლებიც ვლინდება სამ ძირითად სფეროში. ესენია: იურიდიული, პოლიტიკური და იდეოლოგიური, რომელთა ერთობლიობა ფაქტობრივად ქმნის სახელმწიფოს აბსოლუტურ სუვერენულობას საშინაო და საგარეო ფუნქციების განხორციელებაში.

საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტი) მიერ 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ იქნა კონსტიტუცია, რომელიც ძალაში შევიდა იმავე წლის 26 ნოემბერს. იგი 9 თავისა და 109 მუხლისაგან შედგება.* კონსტიტუციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახ-

* საქართველოს კონსტიტუციაში სერიოზული ცვლილებები შეტანილი იქნა 2004 წლის 6 თებერვალს კონსტიტუციური კანონით.

ელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებს ამ კონსტიტუციას.*

---

* საქართველოს პარლამენტში შესულია კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ". წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებებს საქართველოს კონსტიტუციაში, რომლებითაც ახლებურად წესრიგდება რამდენიმე საკითხი. მათ შორის, საქართველოს კონტროლის პალატისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა თანამდებობიდან გადაყენების პროცედურა, საერთო სასამართლოების სისტემა, უფლებამოსილება და კონსტიტუციური კონტროლის საკითხი. 64-ე მუხლში გათვალისწინებული ცვლილებებით იმპიჩმენტს ექვემდებარებიან არა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, არამედ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებიც. საიმპიჩმენტო ჩამონათვალს ემატება ასევე საქართველოს სახალხო დამცველიც. ამავე მუხლში ჩნდება კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების თანამდებობიდან გათავისუფლების ახალი, არასაიმპიჩმენტო პროცედურა. მათი თანამდებობისათვის შეუფერებლობის საფუძვლით აღნიშნული გადაწყვეტილება საჭიროებს უფრო მაღალ (სიითი შემადგენლობის 3/5) კვორუმს ვიდრე იმპიჩმენტი (სიითი შემადგენლობის უმრავლესობა). სანაცვლოდ, აღძრის პროცედურა იძლევა აღნიშნული თანამდებობის პირების კონტროლის შესაძლებლობას, რაც აქამდე კონსტიტუციით გათვალისწინებული არ იყო. კანონპროექტით ასევე იცვლება საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლი, რომლის მიხედვით საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა განისაზღვრება 150 წევრით. შემოთავაზებული საკანონმდებლო ნოვაციით გათვალისწინებულია, რომ საარჩევნო სისტემის საფუძვლები, ანუ პარლამენტის წევრთა პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნების წესი განისაზღვრება ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული ორგანული კანონით. მოცემული ცვლილების მომზადების დროს გათვალისწინებულია საერთაშორისო, მათ შორის ევროპის იმ ქვეყნების პრაქტიკა, სადაც თანაფარდობა მოსახლეობის და პარლამენტის წევრების რაოდენობისა არის მსგავსი. კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.

კონსტიტუციის პირველ თავში განხილული ზოგადი დებულებები თერთმეტი მუხლისაგან შედგება. მეორე თავში მოცემულია საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. მესამე თავი ეძღვნება საქართველოს პარლამენტს და შედგება ოცდაერთი მუხლისაგან. მეოთხე თავში მოცემულია საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებანი, რომლებიც ცალკე თავშია განთავსებული, მეხუთე თავში ათ მუხლად მოცემულია სასამართლო ხელისუფლება. მეექვსე თავში ექვს მუხლად განხილულია სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი. მეშვიდე თავი ოთხ მუხლად ეძღვნება სახელმწიფოს თავდაცვას. მერვე თავი ორ მუხლში უშვებს კონსტიტუციის გადასინჯვას და მეცხრე თავის ექვსი მუხლი ეძღვნება გარდამავალ დებულებებს.

როდესაც საქართველოს კონსტიტუციის ავკარგიანობაზეა საუბარი, სპეციალისტები თვლიან, რომ მის ერთ-ერთ ღირსებას წარმოადგენს მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, რომელსაც 36 მუხლი ეძღვნება.

კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით. დღევანდელ პერიოდში საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შეძთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება, ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან (მუხ. 12). კონსტიტუცია ავალებს სახელმწიფოს უმფარველოს თავის მოქალაქეს მიუხედავად მისი ადგილსამყოფელისა, უკრძალავს მოქალაქეობის ჩამორთმევისა და გაძევების

შესაძლებლობას. ასევე ზღუდავს საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემას, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ასეთი გადაწყვეტილება გასაჩივრდება სასამართლოში (მუხლი 13).

კონსტიტუციის შესაბამისად ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორი, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა (მუხ. 14).

ამ მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპები საკმაოდ სერიოზული განაცხადია საერთაშორისო თვალსაზრისით ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების სფეროში, რასაც ვერ ნახავთ ჩვენს ქვეყანაში მანამდე მოქმედ სხვა კონსტიტუციებში, ან თუ ნახავთ, მათი რეალური შესრულების არავითარი გარანტია არ არსებობდა.

კონსტიტუციით ხელშეუხებელია ყველაზე დიდი სიკეთე, როგორიცაა ადამიანის სიცოცხლე. ამის რეალური სამართლებრივი უზრუნველყოფა იყო სასჯელის უმაღლესი ზომის — სიკვდილით დასჯის გაუქმება 1997 წლის 11 ოქტომბერს, სადაც მე-15 მუხლით „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი, სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე შეიძლება გათვალისწინებული იქნას ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს“[2], თუმცა კონსტიტუციაში ცვლილებები დღემდე შეტანილი არ არის, ჰუმანურობის თვალსაზრისით ამ ნაბიჯის გადადგმა, რა თქმა უნდა, სამართლიანი იყო. თავის დროზე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძე გა-

მოდიოდა, მაგრამ ქვეყნის რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე იმ პერიოდისათვის იგი ნაადრევად იქნა მიჩნეული, რაც შემდგომ დაადასტურა მაშინდელი პრეზიდენტის ალიარებამ მისი ნაჩქარევად გადაწყვეტის თაობაზე. კონსტიტუცია ამკვიდრებს ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობას. გამორიცხავს წამებას, არაჰუმანურ, სასტიკ მოპყრობას (მუხ. 17). სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა — 9 თვეს.

დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა, თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

კონსტიტუციამ აღჭურვა ადამიანი სიტყვის, აზრის, სინდისისა, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლებით. გამორიცხა დევნა, სიტყვის, აზრის აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას შეხედულება მათ შესახებ. როგორც ვხედავთ, საქართველოს კონსტიტუციამ მე-19 მუხლში მოათავსა სიტყვის, აზრის, სინდისის აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, რასაც ვერ ნახავთ თუნდაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში, სადაც ისინი ცალ-ცალკეა მოცემული. ამით ჩანს, მათი განსხვავების მიუხედავად, საერთო პრინციპები, რადგანაც ერთი რომელიმე მათგანის დარღვევა იწვევს სხვა თავისუფლების დარღვევას. ამასთანავე, მათი ერთ სიბრტყეში დანახვა ხაზს უსვამს ამ თავისუფლებათა ერთნაირ ღირებულებებს, ხოლო მე-19

მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოყალიბებულ კლაუზულას, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს, ეს ღირებულებები თავისუფლების უმაღლეს ხარისხში აჰყავს.[3] კონსტიტუციამ უზრუნველყო საცხოვრებელი ბინისა და სხვა სიკეთეების მფლობელ პირთა ნების გამოხატვა და დაცვა. დააფიქსირა და აღიარა კერძო საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, თავისუფლად გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

კონსტიტუციით უზრუნველყოფილია ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება და მისი შეხლშეუვალობა, ყოველ ადამიანს მიეცა უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. აიკრძალა ცენზურა მასმედიაზე, ინფორმაციისა და მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაცია.

ყველას (პოლიციისა და უშიშროების მუშაკების გარდა) აქვს უფლება წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ, მაგრამ ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილება აუცილებელია, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხის ან ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება და თუკი მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო, შესაძლებელია მისი იძულებით შეწყვეტა.

კონსტიტუციით ადამიანს უფლება აქვს იყოს ნებისმიერი საზოგადოებრივი გაერთიანების, მათ შორის პროფესიული კავშირების წევრი ან მათი შექმნის ინიციატორი. ორგანული კანონის შესაბამისად დაშვებულია პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური გაერთიანებები, მათში მონაწილეობა და საქმიანობა კანონის ფარგლებში. საქართველოს ყოველ მოქალაქეს, როდესაც 18 წლის შეუსრულდება, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში,

ქვეყანაში აღიარებულია შრომის თავისუფლება, გაფიცვის უფლება და ა.შ.

სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის, განათლების განვითარებას. კონსტიტუციის 35-ე მუხლის შესაბამისად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა, სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს.

კონსტიტუციით ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას, ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, სამედიცინო დახმარებით. საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლით საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ერთერთ გარანტად სასამართლო გამოდის,* რომელიც უზრუნველყოფს დაცვის უფლებას, განმეორებით სასჯელის დადების შეუძლებლობის დაუშვებლობას, ახლობლის მიმართ საწინააღმდეგო ჩვენების მიცემა სავალდებულო არაა, ზარალის ანაზღაურებას კისრულობს სახელმწიფო და ა.შ.

საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის შემოღება კიდევ ერთი კონსტიტუციური ნაბიჯია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გზაზე, რაზედაც ცალკე გვექნება მსჯელობა.

გარდა კონსტიტუციის მეორე თავისა, მის სხვა თავებსა და მუხლებშიც ვხვდებით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტიის დადგენას. მაგ. 94-ე მუხლის თანახმად კანონით შეიძლება გადასახადებისა და

* სასამართლო, როგორც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი, ცალკე თავად განიხილება.

მოსაკრებლების შემოღება. ეს დებულება გადასახადებისა და მოსაკრებლების უკანონო დაწესებისაგან იცავს ადამიანებს[4]. კოლექტიურ პოლიტიკურ უფლებებს ეხება 105-ე მუხლი[5] და ა.შ. მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კონსტიტუციის მე-19 მუხლში აღიარებული ადამიანთა თანასწორობა განურჩევლად მისი რელიგიისა, თუმცა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებს საქართველოს კონსტიტუცია პირველივე მე-9 მუხლში ეხება. 2001 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, რომელიც შეეხო რელიგიის საკითხებს. კონსტიტუციის მე-9 მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნულია, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. 2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საქართველოს სახელმწიფოს სახელით, პრეზიდენტმა, და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით, კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, ხელი მოაწერეს და გააფორმეს კონსტიტუციური შეთანხმება, რითაც საქართველოში მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესია უპირატესობას ინარჩუნებს სხვა კონფესიებთან მიმართებაში, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს სხვა რელიგიების დისკრიმინაციას. კონსტიტუციით კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის, სულ ცოტა, სამი მეხუთედი. მაშინ, როდესაც კონსტიტუციური კანონის მიღებას სჭირდება პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი ე.ი. არც ერთ კანონს არ სჭირდება ხმების ამდენი რაოდენობა. ამით კარგად ჩანს, მისი უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.[6] აქედან დასკვნა,

კონსტიტუცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს რელიგიის სფეროში.

კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად „ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე“.[7]

ასეთია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონსტიტუციური გარანტიები.

§3. საკონსტიტუციო სასამართლო – ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი

კაცობრიობა დასაბამიდან ეძებდა მყარ გარანტიებს ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, მაგრამ მრავალსაუკუნოვანი ნაოცნებარი სრულყოფილი საყოველთაო დეკლარაციის სახით მხოლოდ 5 ათეული წლის წინათ ჩამოყალიბდა.*

თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი გარანტი სახალხო დამცველის ინსტიტუტთან ერთად საკონსტიტუციო სასამართლოა. სანამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციებს და სტატუსს შევეხებოდეთ, გვინდა ერთ საკითხსა და ერთ მოსაზრებაზე გავამახვილოთ ყურადღება. სამწუხაროდ, სსრ კავშირის არსებობის პერიოდში „ერთიან ქვეყანაში“, სადაც 15 მოკავშირე რესპუბლიკა იყო გაერთიანებული და სხვადასხვა დროს 50-მდე არაერთგვაროვანი დონის კონსტიტუცია ფუნქციონირებდა, არ არსებობდა საკონსტიტუციო სასამართლო. ისმის კითხვა – რატომ? აქ ორი პასუხი უნდა ვეძებოთ. ერთი, რომ არსად და არასდროს არ ირღვეოდა კონსტიტუცია, რასაც არავინ დაიჯერებს და მეორე, სახელმწიფოს არ სურდა ისეთი ორ-

* შესრულდა ადამიანის საყოველთაო დეკლარაციის მიღების 55-ე წლისთავი.

განოს შექმნა, რომ არ გამოეაშკარავებინა ის კონსტიტუციური დარღვევები, რაც ქვეყანაში ხდებოდა. ალბათ, მეორე ვარიანტი უფრო მისაღები უნდა იყოს. საბჭოურ ენციკლოპედიებში ვერ ნახავთ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებასაც კი, და თუ ვნახავთ, ძალიან მწირ ინფორმაციას, რაც იმ პოლიტიკური წყობის „დემოკრატიულობაზე" მიუთითებს.* უფრო მეტიც, ძნელია ყოფილ სსრკ-ის კანონების კონსტიტუციურობაზე კონტროლის მსგავსი რამ იპოვო. ასეთი კონტროლის უფლება სასამართლოებს მინიჭებული არ ჰქონდათ. მას პროკურატურაც ვერ განახორციელებდა, რადგან მისი ფუნქცია მხოლოდ კანონების დაცვა იყო. ერთადერთი წესი კანონის კონსტიტუციურობაზე კონტროლის შესახებ — კონსტიტუციის მე-20 მუხლი იყო, რომელიც ადგენდა, რომ როცა მოკავშირე რესპუბლიკის კანონი არ ეთანხმებოდა საერთო-საკავშირო კანონს, მოქმედებდა საერთო-საკავშირო კანონი.[8] მეორე ესაა კონცეფცია, რომლის მიხედვით „ევროპული კონვენცია წარმოდგენილია, როგორც კონსტიტუცია და მისი სასამართლო აღიარებულია როგორც კონსტიტუციური სასამართლო,"[9] მაგრამ კონსტიტუციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს (მითუმეტეს სხვა სასამართლოს) გაიგივება შეუძლებელი და მიუღებელია ბევრი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია და მასთან პარალელიზმი დაუშვებელია, მეორეც, სტრასბურგის სასამართლო თავისი კომპეტენციით

---

* სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ ძალზე დაგვიანებით შეგნებულად დაშვებული ამ „შეცდომის" გამოსწორება სცადა გადაწყვეტილებით, შექმნილიყო სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი. სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ აირჩია ამ კომიტეტის წევრები, რომელთა შორის იყო ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის იმდროინდელი დეკანი, პროფესორი გივი ინწკირველი.

ვერ შეაჩერებს და ვერ გააუქმებს საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ აქტებს. აქედან გამომდინარე, „ევროპული კონვენცია კონსტიტუციის ფუნქციას ვერ იკისრებს, ხოლო სტრასბურგის სასამართლო – საკონსტიტუციო სასამართლოს როლს“,[10] – ასეთია ამ საკითხზე მართებული აზრი. უფრო მეტიც, უზენაესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოების უფლებამოსილებისა და ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულებასა და გამიჯვნაზე იმსჯელა 1997 წლის 21-23 ოქტომბერს პრაღასა და ბერნში გამართულმა ცენტრალური და ალმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მოსამართლეების შეხვედრამ, სადაც ჩამოყალიბდა 5 პუნქტიანი დასკვნა. დოკუმენტში მითითებულია, რომ უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოები ქმნიან იურიდიული კონტროლის დამატებით სისტემებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება შემადგენლობით, ფუნქციებითა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული ამოცანაა კანონების კონსტიტუციურობისა და მათი საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობის შეფასება. ის განიხილება, არა როგორც ზემდგომი ინსტანცია, რომელიც ორიენტირებულია უზენაესი და ჩვეულებრივი სასამართლოების გადაწყვეტილებათა ზოგად გადასინჯვაზე, არამედ როგორც სპეციალიზებული სასამართლო, რომლის უფლებამოსილების სფერო განსხვავდება უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილების სფეროსაგან. რაც მათი როლების სპეციფიკურობასა და პროცედურებთანაა დაკავშირებული. აღნიშნული განსხვავებების მიუხედავად, ორივე სასამართლოს საერთო მიზანია ადამიანის უფლებათა და პიროვნულ თავისუფლებათა გარანტირება, რომელიც დემოკრატიული სამართლებრივი სისტემის საფუძველია.[11]

საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი საფუძველი განმარტებულია საქართველოს უზენაესი კანონის, კონსტიტუციის 88-ე მუხლით,* რომლის მიხედვით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრ 9 მოსამართლისაგან შედგება. სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს პარლამენტი, სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით _ სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადა 10 წელია. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, კონსტიტუცია თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევას კრძალავს.

---

* კონსტიტუციური კანონპროექტით საკონსტიტუციო სასამართლო აღარ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ნაწილს. საკონსტიტუციო კონტროლს დაეთმობა ცალკე თავი. აღნიშნული ცვლილებები ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უჩნდება ახალი უფლებამოსილება – საკონსტიტუციო კონტროლი განახორციელოს საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. რადგან საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს სამივე სახელისუფლებო შტოზე მიზანშეწონილია, რომ იგი არ მიეკუთვნებოდეს არც ერთ მათგანს. შეცვლილია საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების პრინციპი. კანონპროექტით საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრს პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. ისინი აირჩევიან სიითი შემადგენლობის არანაკლებ 3/5-ით, ერთი და იმავე კანდიდატის წარდგენა შეიძლება მხოლოდ 2-ჯერ. კანონპროექტით დასაშვებია ერთი და იგივე პირის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის 2-ჯერ არჩევა. 30 წლამდე მცირდება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობისათვის დადგენილი ასაკი. კანონპროექტით ასევე ზუსტდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებანი.

ასევე არ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

კონსტიტუციით განისაზღვრა სასამართლოს წევრის ქვედა ზღვრული ასაკი — 35 წელი, მაგრამ განათლებით მხოლოდ და მხოლოდ იურისტი. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებების დაცვა თვითონ კონსტიტუციამ აიღო თავზე და განამტკიცა მოსამართლის გარანტიები: დაუშვებელია სასამართლოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა.

კონსტიტუცია გამონაკლისს უშვებს იმ შემთხვევაში, ფუკი მოსამართლე დანაშაულზე წაასწრეს, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. მაგრამ თუკი სასამართლო დასტურს არ მისცემს შესაბამის ორგანოს, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს დაუყოვნებლივ ათავისუფლებენ. კონსტიტუციის 89-ე მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, სახალხო დამცველის და მოქალაქის სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან კანონის ან პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამობის საკითხებზე;

ბ) იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;

გ) იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;

დ) იხილავს რეფერენდუმებისა და არჩევნების კონსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებულ დავას;

ე) იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით (საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი);

ზ) ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. საქართველოს კონსტიტუციამ განსაზღვრა, რომ სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და სამართლის საქმიანობის სხვა საკითხები განსაზღვროს კანონებით.[12] გარდა ამისა საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრის, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს უზენაესი კანონის კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევის საკითხს.

სწორედ ამ საკონსტიტუციო მოთხოვნათა შესაბამისად, 1996 წლის 31 იანვარს ხელი მოეწერა და გამოქვეყნდა კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, რომელიც ოთხი თავისა და 53 მუხლისაგან შედგება. ამის შემდეგ კანონში რამდენჯერმე იქნა შეტანილი ცვლილებები და დამატებები.

1996 წლის 21 მარტს კი მიღებული იქნა კანონი საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ, რომელიც ოთხი თავისა და 35 მუხლისაგან შედგება.[13]

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია ასევე საქართველოს 1996 წლის 25 ივლისის კანონით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ.

კანონით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ (მუხ. 1), საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა. სასამართლოს წევრს ეკრძალება რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანება ან სხვა პოლიტიკური საქმიანობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს და მისი წევრების უფლებამოსილებიდან გამომდინარე, მოთხოვნის შეუსრულებლობა ან შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა ასევე ისჯება კანონით.

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს ნებისმიერი აქტის კონსტიტუციურობა და თუკი რომელიმეს ცნობს არაკონსტიტუციურად, მაშინ აქტი მთლიანად ან ნაწილობრივ კარგავს იურიდიულ ძალას, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან. ადამიანის უფლებების დაცვის პოზიციებიდან გამომდინარე, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული

აქტის მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს – ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგი, მას შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროს სადავო აქტის მოქმედება.

საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე არ დაიშვება პირი, რომელსაც არ შესრულებია 16 წელი, თუ ის არ არის მოწმე. აგრეთვე იკრძალება შეიარაღებული პირის შესვლა სხდომაზე გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი ასრულებენ დაცვის ფუნქციას. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, მაგრამ ადამიანის უფლებების დაცვის სულისკვეთებიდან გამომდინარე, სასამართლო ითვალისწინებს, რომ მიუჩინოს თარჯიმანი პროცესის ნებისმიერ მონაწილეს, თუ ის ვერ ფლობს სამართალწარმოების ენას.

ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს ემსახურება საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლება, გადაწყვეტილების მიღებისას ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმით ერთვება მასალებს და ქვეყნდება ოფიციალურ პრესაში.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან, პლენუმის შემადგენლობაში შედის კონსტიტუციური სასამართლოს ცხრა წევრი, ხოლო კოლეგიის შემადგენლობა განისაზღვრება ოთხი წევრით, რომელთა შორის განსჯადი საკითხები გამიჯნულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის“ 21-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებია *გადაწყვეტილება, განჩინება და დასკვნა.*

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის დაწყების საფუძველია *კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინების* შეტანა.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განსახილველად მომზადებისა და ორგანიზაციის სხვა წესები განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლო რეგლამენტით, რომელსაც თვითონ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები ამტკიცებენ (მხარი უნდა დაეჭიროს არანაკლებ 6 წევრისა).

თუ კი რომელიმე ნორმატიული აქტით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, კერძოდ, ხელყოფილი იქნა სიცოცხლის უფლება, პატივი და ღირსება, თავისუფლება, პირადი ცხოვრება და ა.შ. პიროვნებას უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოში უშუალოდ შეიტანოს კონსტიტუციური სარჩელი, ასეთ შემთხვევაში მოპასუხედ იქნება ის ორგანო, რომლის აქტითაც დაირღვა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. როდესაც მოქალაქე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანს კონსტიტუციურ სარჩელს, მასში აუცილებლად, როგორც წესი, მითითებული უნდა იქნას შემდეგი: საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება, მოსამართლის ან წარდგინების ავტორის და მოპასუხის მითითება მისამართის ჩვენებით, სადავო აქტისა და მისი გამომქვეყნებელი ბეჭდვითი ორგანოს დასახელება, აგრეთვე სადავო ნორმატიული აქტის სხვა რეკვიზიტები, მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას, მითითებული უნდა იქნეს ის კონსტიტუციური დებულებანი, რომელთაც არ შეესაბამება ან არღვევს სადავო აქტი. მკაფიოდ უნდა ჩანდეს მოთხოვნის არსი, ნორმები, რომლებიც იძლევიან საშუალებას სარჩელის შეტანისათვის, სარჩელზე დართული უნდა იყოს დოკუმენტების ჩამონათვალი, აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართები, რომლებიც გამოძახებული უნდა იქნენ საკონსტიტუციო სასამართლოში.

კონსტიტუციურ სარჩელს ან წარდგინებას აუცილებლად უნდა დაერთოს სადაო ნორმატიული აქტი, აგრეთვე მოსარჩელეს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, საბანკო დაწესებულების მიერ დამოწმებული ცნობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ.[14]

სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

კონსტიტუციური სარჩელის განხილვის მაქსიმალურ ვადას წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის დაწყებიდან 30 დღე. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ შეიძლება მოხდეს საქმის განხილვის ვადის გაგრძელება არაუმეტეს 30 დღისა.[15]

საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება ძალაში შესულად ჩაითვლება, მისი სხდომაზე საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან და ექვემდებარება გამოქვეყნებას ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში 7 დღის ვადაში. გადაწყვეტილების ასლი ეგზავნებათ მხარეებს, გადაწყვეტილებისა და დასკვნის ასლები ასევე აუცილებლად უნდა მიეწოდოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ცალკე განხილვის საგანია ადამიანის უფლებათა საყოველთაო ხელშეკრულებისა და ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში: სპეციალისტების მონაცემებით, თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, უკვე არაერთხელ გამოიყენა საერთაშორისო აქტები. იგი იყენებს, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რო-

მელიც არ ეხება ადამიანის უფლებათა დაცვას, ისევე ხელშეკრულებებს, რომლებიც აწესრიგებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს. საკონსტიტუციო სასამართლომ 10 შემთხვევაში გამოიყენა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოკლებით. უფრო ხშირად გამოყენებულ იქნა საერთაშორისო პაქტი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებას, იგი 7 შემთხვევაში იქნა გამოყენებული.[16] ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ცდილობს თავის პრაქტიკაში დანერგოს უფრო ფართო მასშტაბით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების გამოყენება, რაც მას აახლოებს ევროპულ სტანდარტებთან და იძენს მეტ გარანტიებს ადამიანის დარღვეული უფლების აღდგენის თვალსაზრისით.

ასეთია საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა და სტრუქტურა. ის მოწოდებულია ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვისათვის, რასაც საფუძვლად უდევს უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური დებულება.

§4. საქართველოს საერთო სასამართლოები — ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი

საქართველოს უზენაესი კანონის, კონსტიტუციის მეხუთე თავი ეძღვნება სახელმწიფო ორგანოთა—სისტემის ერთერთ შტოს — სასამართლო ხელისუფლებას, რომელიც ხორ-

ციელდება საკონსტიტუციო კონტროლის მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი და სხვა ფორმების მეშვეობით. სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. იმისათვის, რომ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მაქსიმალურად იქნას დაცული ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა, კონსტიტუცია კრძალავს სპეციალური ან საგანგებო სასამართლოს შექმნას.

კონსტიტუციის შესაბამისი თავი განსაზღვრავს ზოგად პრინციპებს, როგორიცაა: სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა; მოსამართლის დამოუკიდებლობა, ხელშეუხებლობა, უსაფრთხოება, სასამართლოს საჯაროობა, უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, კომპეტენცია, შექმნის წესი.

სასამართლო ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტთა შორის ერთ-ერთი წამყვანი რგოლია, რომელსაც შეიძლება მიმართოს ნებისმიერმა პირმა უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით. ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიულობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დონეა. იგი შეუვალი უნდა იყოს ხელისუფლების სხვა შტოების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი), სახელმწიფო სტრუქტურების, უწყებების, თანამდებობის პირების მხრიდან.

მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება, ეს იქნება შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო ნორმათა თვალსაზრისით. მოსამართლე ანგარიშვალდებული არ არის არავის წინაშე მის მიერ კონკ-

რეტულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გამო. სასამართლოს და მოსამართლეს იცავს კანონი.

სასამართლო გამოდის ადამიანის დარღვეული უფლებისა და თავისუფლების აღდგენის გარანტად. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ყოველ ადამიანს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე, რომლის დაცვაც გარანტირებულია. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისთვის. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა.

კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს, ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვთ. არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და მმართველ ორგანოთა და მომსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლოს წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.[17]

სასამართლო სისტემა და კანონი ქმნის ფართო შესაძლებლობებს ადამიანის უფლებათა რეალური დაცვისათვის არა მარტო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, არამედ უცხოელებისთვისაც. ამ უკანასკნელთ ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს თავიანთი დარღვეული უფლებების აღსადგენად.

საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით სასამართლოების შესახებ, განტკიცებულია უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი პირი უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. სასამართლო გადაწყვეტილების (განაჩენის) გამოტანისას მხოლოდ და მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს, კონსტიტუციას და შესაბამისი დარგის სამართლის ნორმებს უნდა ეყრდნობოდეს და ყოველი ეჭვი, რომელიც ამძიმებს პირის ბრალეულობას და ვერ დასტურდება კანონით, უნდა გადაწყდეს მის სასარგებლოდ. ნებისმიერ პიროვნებას დაკავების მომენტში აქვს დუმილის უფლება, შეუძლია საკუთარი გადაწყვეტილებით მიიღოს იურიდიული დახმარება და არ არის სავალდებულო, მიმართოს სახელმწიფოს მიერ დანიშნულ დამცველს.

სახელმწიფო უზრუნველყოფს სასამართლოს მეშვეობით პროფესიული კავშირების უფლებათა დაცვას, იმ თანამდებობის პირთაგან, როლმლებიც უგულველყოფენ კანონს ამ მასიური და „სახალხო“ კავშირის შესახებ.

რაც შეეხება სასამართლო სისტემას,* იგი დღითიდღე იხვეწება და, კანონმდებლობის თვალსაზრისით, მსოფლიო

---

* კანონპროექტით მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის საერთო სასამართლოთა სისტემა. შემოდის მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი. ამ თანამდებობაზე გასამწესებლად დადგენილი ასაკი უფრო მცირეა (27 წელი). უფრო მცირეა განმწესების ასაკი – 5 წელი. კანონპროექტით მოსამართლეებს ასევე ეძლევა სამეცნიერო მოღვაწეობის უფლებამოსილება. კანონპროექტით ახლებურადაა განსაზღვრული უზენაესი სასამართლოს ადგილი საერთო სასამართლოთა სისტემაში. უზენაესი სასამართლო წარმოადგენს უმაღლეს საკასაციო სასამართლოს. სიითი შემადგენლობის 3/5-მდე გაზრდილია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის კვორუმი. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს საერთო სასამართლოთა შესახებ ერთიანი საკანონმდებლო აქტების არსებობას.

მოთხოვნათა სტანდარტებში ჯდება. ამის ნათელი დადასტურებაა საკონსტიტუციო შესწორებით ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტების შემოღება. ჯერ კიდევ 1997 წლის 13 ივნისის ორგანულმა კანონმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ შეცვალა არსებული სასამართლო სისტემა. ჩამოყალიბდა I ინსტანციის რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, რომლებსაც არ გააჩნიათ რაიონული დაყოფა, სადაც გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე ერთპიროვნულად და საოლქო კოლეგიური სამი მოსამართლისაგან შემდგარი სასამართლოები, რომელთა მოქმედების სფერო განისაზღვრა იუსტიციის საბჭოს წარდგინების საფუძველზე და პრეზიდენტის ბრძანებულებით. II ინსტანციის დონეზე, უმაღლესი სასამართლოების სახით, შეიქმნა სააპელაციო სასამართლოები თბილისში, ქუთაისში, აფხაზეთსა და აჭარაში. ინსტანცია (კასაცია) საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატები და დიდი პალატა. ის საბოლოო ინსტანციის სასამართლოა და გადასინჯავს ქვედა ინსტანციების გადაწყვეტილებებს.

სააპელაციო სასამართლოებში ხდება I ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების გასაჩივრება. ქვეყანაში მართლმსაჯულების განხორციელებას ხელმძღვანელობს და საპროცესო ფორმით ზედამხედველობს საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომლის საქმიანობის რეგლამენტი მოაწესრიგა 1999 წლის 12 მაისს მიღებულმა ორგანულმა კანონმა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს“ შესახებ. უზენაეს სასამართლოში შექმნილია სამი საკასაციო პალატა და ერთი სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია. ესენია 1.სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, 2. სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, 3. ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პლატა, 4. სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია. თითოეულ პალატას და

კოლეგიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც იმავდროულად არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2001 წლიდან შეიქმნა დიდი პალატა, რომელიც შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, პალატების თავმჯდომარეებისა და პლენუმის მიერ პალატებიდან არჩეული არანაკლებ თორმეტი მოსამართლისაგან.

უზენაეს სასამართლოში შექმნილია პლენუმი, რომელიც შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების, აფხაზეთის და აჭარის უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების, აფხაზეთის და აჭარის უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების, აგრეთვე ქუთაისისა და თბილისის საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეებისაგან.;

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებს აქვთ თავიანთი უმაღლესი სასამართლოები, რომლებშიც შექმნილია 3 კოლეგია და 3 პალატა.

2000 წლის 23 თებერვალს მიღებული იქნა კანონი „საქართველოს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების“ შესახებ. მანამდე საქართველოს პრეზიდენტმა 1998 წლის 7 აგვისტოს გამოსცა „459 განკარგულება „მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის ფორმის, მანტიის დამტკიცების“ შესახებ. და 609 ბრძანებულება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოების, თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ბინის დაქირავების ზარჯების“ შესახებ. ხოლო 2000 წლის 4 აგვისტოს 347 ბრძანებულება „მოსამართლეთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების“ შესახებ. ეს ის ძირითადი ნორმატიული აქტებია, რითაც განმტკიცებულია სასამართლოთა კომპეტენცია. კანო-

ნით დაცული სასამართლოები უფრო საიმედო გარანტია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში.

მრავალი ქვეყნის, მათ შორის გერმანიის, ავსტრიის, იტალიის, ესპანეთის, ბელგიისა და თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოში საკითხის აღძვრის უფლებით სარგებლობენ ჩვეულებრივი (საერთო) სასამართლოებიც, იმ შემთხვევაში, თუ საერთო სასამართლო მიდის იმ დასკვამდე, რომ კანონი, რომელიც მან უნდა გამოიყენოს კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეესაბამება კონსტიტუციას, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას, რომელიც განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ. მართლმსაჯულების განხორციელების ეს ძირითადი პრინციპი დაამკვიდრა საქართველოს კანონმდებლობამაც, რომელიც არის კანონიერების, მოქალაქეების და ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია.

საქართველოს საერთო სასამართლოებში დამკვიდრდა ევროპული კონვენციის გამოყენების პრაქტიკა. მკვლევართა მიერ, სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოები ევროპულ კონვენციას იყენებენ როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის განმარტების საშუალებას. იგი გამოყენებულია გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, როგორც სასამართლო საქმის გადაწყვეტის სამართლებრივი საფუძველი.[18]

რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საპროცესო მდგომარეობას საქართველოს კანონმდებლობით, როგორც უკვე ითქვა, უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აქვთ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორც საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია კანონმდებლობით.

საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის 29 აპრილს მიღებული „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონით* (57-ე მუხლი) „უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები სამოქალაქო პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, როგორითაც საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები“.

აქედან გამომდინარე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ აღძრან სარჩელი სასამართლოში თავიანთი დარღვეული უფლებების დასაცავად — ე.ი. იყვნენ მოსარჩელე და მოპასუხე პროცესში, ჩაებან მესამე პირებად. ისინი სარგებლობენ ყველა უფლებით, რითაც სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები. მათ შეუძლიათ სასამართლოში საქმე აწარმოონ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით.

„შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ უცხოელებს საქართველოში მინიჭებული აქვთ ნაციონალური რეჟიმი თავიანთი უფლებებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად“.[19]

1993 წლის 12 ივლისს საქართველო შეუერთდა ვენის 1961 წლის „დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ“ და „საკონსულო ურთიერთობათა შესახებ“ კონვენციებს, რომელთა შესაბამისად და საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის (59 მუხლი) ძალით განმტკიცდა დიპლომატიური მისიის წევრების იმუნიტეტი, ე.ი. ამ სიაში მოხვედრილი პერსონები თავისუფლდებიან საქართველოს სასამართლოების განსჯადობისგან.

ვენის 1961 წლის კონვენცია შეიცავს სარჩელების ჩამონათვალს, რომელთა აღძვრის შემთხვევაში დიპლომატიური იმუნიტეტი მოხსნილია მაგ. კერძო სანიეთო, მემკვიდრეობის

* კანონი შედგება ათი თავისა და 74 მუხლისაგან.

სარჩელები, ასევე, სარჩელები, რომლებიც ეხება პროფესიულ თუ კომერციულ საქმიანობას „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონით (61 მუხლი) გათვალისწინებულია ექსტერიტორიალობის სხვა შემთხვევებიც. 1. საქართველოს სასამართლოების განსჯადობა არ ვრცელდება საქართველოში სამსახურეობრივი მოწვევით მყოფ უცხო ქვეყნების წარმომადგენლებზე და მათ თანმხლებ პირებზე. 2) საქართველოს სასამართლოების განსჯადობა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესების ან სამართლის სხვა ნორმების შესაბამისად თავისუფლდებიან საქართველოს განსჯადობისაგან“.*

ასეთია საერთო სასამართლოების როლი და დანიშნულება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

გარდა ამისა საქართველოს სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა შეზღუდვით მართლზომიერების შეფასების იმ კრიტერიუმებით, რომლებიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, რადგანაც იგი აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად. ევროპული კონვენციის მე-8-11 მუხლებით გათვალისწინებულია სახელმწიფოს უფლება გარკვეულ შემთხვევაში მართლზომიერად შეზღუდოს ადამიანის უფლებები.**

სასამართლოებში მოქალაქეთა სასარჩელო განცხადების ფორმისა და განხილვის წესი დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით.

პირველი ინსტანციით (რაიონული ან საქალაქო სასამართლოები, საოლქო სასამართლოს კოლეგიები, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოების კოლეგიები) საქმის განხილვის საფუძველია სასარჩელო განცხადება, რომელიც იწერება რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის

---


* იხ. საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1998 წლის 1 ოქტომბრიდან.

** იხ. დანართში ევროპული კონვენცია.


სახელზე, სადაც მოსარჩელე უთითებს გვარს, სახელს და მამის სახელს, მისამართის მითითებით (თუ წარმომადგენელს შეაქვს სარჩელი ანალოგიურად უთითებს მონაცემებს). თუ მოსარჩელე იურიდიული პირია, სარჩელში მიეთითება ფირმის სახელწოდება და მისამართი. სასარჩელო განცხადებაში მიეთითება იმ გარემოებათა შესახებ, რამაც გამოიწვია სარჩელის შეტანა. საჭიროა იმ ფაქტების დასახელება, რომლითაც დასტურდება სასარჩელო განცხადების გარემოებანი.

გარდა ამისა, მოსარჩელეს უფლება აქვს სასარჩელო განცხადებაში ჩამოაყალიბოს გარკვეული მოთხოვნები სასამართლოს მიმართ. ასე მაგ.: დაევალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომელზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნებს. დროულად შეატყობინონ და სასამართლო სხდომაზე გამოიძახონ მოწმეები, რომელთაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები და ა.შ. სასარჩელო განცხადება არ მიიჩნევა სრულყოფილად, თუ მოსარჩელე სასამართლოს არ წარუდგენს თანდართული საბუთების ასლებს, რამდენი მოპასუხეცაა და სასარჩელო განცხადებას არ დაერთო სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, მოსამართლეები ვალდებული არიან დაიცვან საქმეთა განხილვის საპროცესო ვადები, რითაც დაცული იქნება იმ მოქალაქეთა უფლებები, რომლებიც მიმართავენ სასამართლო ხელისუფლებას და მათი რიცხვი არც ისე ცოტაა.

საერთო სასამართლოების სტრუქტურა



მათი დაყოფა ინსტანციების მიხედვით



§5. ომბუდსმენის ინსტიტუტი, როგორც ადამიანის უფლებების დამცველი

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პრობლემის გააქტიურება დაიწყო მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან და იგი იქცა XXI საუკუნის დასაწყისის უპირველეს საზრუნავად, რადგანაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მეტ-ნაკლებად ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი კვლავ პრობლემად რჩება.

ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ურთულეს გზაზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში კიდევ ერთი გარანტი სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაარსება იყო.

ომბუდსმენის ინსტიტუტს განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ მექანიზმებს შორის, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა თვითნებობისაგან იცავს. ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება განპირობებული იყო სახელმწიფო ორგანოთა მიერ ადამიანის უფლებების დარღვევისას უფლებების დაცვის გაზრდის, მოქალაქეებში ბიუროკრატიული სისტემის მიმართ დაუცველობის გრძნობის შემცირების, მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებისა და პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ჰუმანიზირების მიზნით.[20]

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის საფუძველზე, 1996 წლის 16 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, რომელიც შედგება ხუთი თავისა და 27 მუხლისაგან. პირველ თავში მოცემულია ზოგადი დებულებანი (1-5 მუხლები), მეორე თავი ეძღვნება საქართველოს სახალხო დამცველის არჩევას და მისი უფლებამოსილების შეწყვეტას (6-

11 მუხ.), მესამე თავი – საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებას (12-22 მუხ.), მეოთხე თავში განხილულია საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივი გარანტიები (23-25 მუხ.), ხოლო მეხუთეში მოცემულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შემადგენლობა და მისი სტრუქტურა (26-27 მუხ.). კანონმა განსაზღვრა საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილება, მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ფორმები, სახალხო დამცველის უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივი გარანტიები და მისი საქმიანობის მიმართულებები, კერძოდ:

ზედამხედველობა გაუწიოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას საქართველოს ტერიტორიაზე, გამოავლინოს დარღვევის ფაქტები, ხელი შეუწყოს შელახული უფლებების აღდგენას;

კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და სახელმწიფოს მიერ მათი უზრუნველყოფის მიზნით, ზედამხედველობა გაუწიოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობის და იურიდიულ პირთა საქმიანობას, შეაფასოს მათ მიერ მიღებული აქტები, მისცეს რეკომენდაციები და წინადადებები;

ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით, ქვეყანაში შექმნილი რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით აღჭურვილი ინსტიტუტი, რომელიც, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რეალურად შეძლებდა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. კანონმდებელმა გაითვალისწინა ეს აუცილებლობა და საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ კანონის მე-4 მუხლით განამტკიცა საქართ-

ველოს სახალხო დამცველის დამოუკიდებლობა: „საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება საქართველოს სახალხო დამცველზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში, აკრძალულია და ისჯება კანონით".[21]

საქართველოს სახალხო დამცველის დამოუკიდებლობას მნიშვნელოვნად განამტკიცებს ის გარემოება, რომ იგი არ შედის აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში და არ არის ანგარიშვალდებული მის წინაშე, რაც, უდავოდ, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობის მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

ეს არის თვისობრივად ახალი კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელმაც, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.[22]

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ კონსტიტუციური დებულება სახალხო დამცველის შესახებ გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის სწორედ იმ თავში, რომლითაც დამკვიდრებულია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ამსახველი ნორმები. ამით აღიარებულ იქნა და საფუძველი ჩაეყარა ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებას საქართველოში. თავად სიტყვა „ომბუდსმენი" შვედური სიტყვაა და ვისიმე ინტერესების დაცვას ნიშნავს. ორი საუკუნის წინ სწორედ შვეციაში ჩამოყალიბდა ეს ინსტიტუტი. უფრო ზუსტად, თუმცა ტერმინი გერმანული წარმოშობისაა, მაგრამ შვეციის 1809 წლის კონსტიტუციაში დაფიქსირდა იუსტიციის ომბუდსმენის თანამდებობა. ამ სახელწოდების პირს დავალებული ჰქონდა დაზარალებული მხარის სახარგებლოდ დამნაშავისაგან ჯარიმის ამოღება.

მეორე ქვეყანა, სადაც შემოიღეს ომბუდსმენის ინსტიტუტი, ფინეთია. ამჟამად კი ის მსოფლიოს 45 ქვეყანაში მოქმედებს, თუმცა მისი აღმნიშვნელი ტერმინები ყველა ქვეყანაში ერთნაირი არ არის. ასე მაგ.: სკანდინავიის ქვეყნებში გამოიყენება – იუსტიციის ომბუდსმენი, ანგლო-საქსურ ქვეყნებში საპარლამენტო რწმუნებულის სახელითაა ცნობილი, ისრაელში – რწმუნებული საჩივრების დარგში, აშშ სხვადასხვა შტატში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი. მაგ. აიოვას შტატში სახალხო ადვოკატია და ა.შ.

იურიდიულ ლიტერატურაში „სახალხო დამცველი (ომბუდსმენი) არის კონსტიტუციით ან საკანონმდებლო ხელისუფლების აქტით გათვალისწინებული სამსახური, რომელსაც სათავეში უდგას უმაღლესი რანგის დამოუკიდებელი სპეციალური პირი, რომელიც პასუხისმგებელია საკანონდებლო ხელისუფლების წინაშე“. ომბუდსმენს ქართულად შესანიშნავი შესატყვისი აქვს – სახალხო დამცველი და იგი მოიაზრება, როგორც შუამავალი ხალხსა და ხელისუფლებას შორის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახალხო დამცველი კანონმდებლობის შესაბამისად ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ებრძვის მათ გამომწვევ მიზეზებს, ხელს უწყობს ადამიანთა შებღალული უფლებების აღდგენას.

იგი აკონტროლებს სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობისა და იურიდიულ პირთა საქმიანობას, აფასებს მათ მიერ მიღებულ აქტებს, აძლევს რეკომენდაციებსა და წინადადებებს. გარდა ამისა, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში.

სამართლებრივად სახალხო დამცველი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში

მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. იმ შემთხვევაში თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. პარლამენტი ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართვიდან არა უგვიანეს 14 დღისა.

სახალხო დამცველის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების შესახებ თანხმობისას მისი უფლებამოსილება შეჩერდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ხოლო მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის, ან მარეაბილიტირებელ საფუძველზე საქმის შეწყვეტის შემთხვევაში, უფლებამოსილება აღდგება.

სახალხო დამცველს კანონი აძლევს უფლებას, არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს. ეს უფლება მას უნარჩუნდება თანამდებობიდან წასვლის შემდეგაც. აკრძალულია სახალხო დამცველისათვის განკუთვნილი წერილობითი მასალის დაყადაღება. იგი პასუხისგებაში არ მიეცემა მოვალეობის შესრულებისას გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

არსებული წესის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველად აირჩევა საქართველოს მოქალაქე პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობით 5 წლის ვადით. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის წევრთა, სულ ცოტა, ათკაციან ჯგუფს, რომლებიც არ შედიან არც ერთ ფრაქციაში.

კენჭისყრის წინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სხდომას აცნობს კანდიდატთა სიას და მათ წერილობით თანხმობას საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე არჩევის შესახებ. ყოველ ასარჩევ კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე ფარულად.

ახლადარჩეული სახალხო დამცველის უფლებამოსილება იწყება ამ თანამდებობაზე მყოფის უფლებამოსილების ვადის გასვლის მომდევნო დღიდან, თუ იგი არჩეულ იქნა ამ ვადის გასვლამდე, ხოლო არჩევის მომდევნო დღიდან, თუ არჩეული იქნა ამ ვადის გასვლის შემდეგ, ანდა თუ საქართველოს წინა სახალხო დამცველის უფლებამოსილება ვადამდე იქნა შეწყვეტილი.

საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილება წყდება არჩევიდან 5 წლის თავზე, ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას.

კანონი უფლებას იძლევა სახალხო დამცველის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი არჩეულ იქნას მხოლოდ ორჯერ.

სახალხო დამცველის თანამდებობა შეუთავსებელია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წევრობასთან, სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერ თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და სახელოვნებო მოღვაწეობისა. იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

სახალხო დამცველს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ბ) ზედიზედ ოთხი თვის განმავლობაში ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას;

გ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

დ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ან გარდაცვლილად;

ე) დაიკავა, ან უკავია სახალხო დამცველის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

ვ) ნებაყოფლობით გადადგა;

ზ) გარდაიცვალა.

ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება არ წყვეტს სახალხო დამცველის საქმიანობას და არ ზღუდავს მის უფლებამოსილებას.

სახალხო დამცველი განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა, ქვეყანაში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა, თანამდებობისა და იურიდიულ პირთა ქმედობებს ან მათ აქტებს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და პენიტენციალურ დაწესებულებებში მყოფ პირთა მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის გაგზავნილი განცხადებები, საჩივრები და წერილები კონფიდენციალურია, მათი გახსნა და ცენზურა აკრძალულია; ისინი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს სახალხო დამცველს.

განცხადება და საჩივარი არ იბეგრება სახელმწიფო გადასახადით.

სახალხო დამცველის მიერ დაინტერესებული პირისათვის გაწეული სამსახური უფასოა.

შემოწმების ჩატარებისას კანონი სახალხო დამცველს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას. მას შეუძლია:

ა) დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის სამხედრო ქვედანაყოფში, დაკავების, წინასწარი პატიმრობის და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში;

ბ) მოსთხოვოს და მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სახელმწიფო და არასახელმწიფო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებისაგან, აგრეთვე თანამდებობის და იურიდიულ პირთაგან შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა;

გ) მიიღოს ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე ნებისმიერი თანამდებობის პირისაგან;

დ) სახელმწიფო და (ან) არასახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევები და მოამზადოს დასკვნები; მოიწვიოს სპეციალისტები საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად;

გაეცნოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რომელთა თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული.

შემოწმების შედეგების მიხედვით სახალხო დამცველი უფლებამოსილია:

ა) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის მიზნით წინადადებები წარუდგინოს პარლამენტს კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ;

ბ) ადამიანის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა აღსადგენად რეკომენდაციები გაუგზავნოს იმ სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის ან იურიდიულ პირს, რომლის მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა დარღვევა;

გ) დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, მის ხელთ არსებული მასალები გადასცეს შესაბამის ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის რეკომენდაციით;

დ) შეიტანოს წინადადებები შესაბამის ორგანოებში იმ პირთა დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;

ე) რეკომენდაციით შეუდგეს შესაბამის სასამართლო ინსტანციაში ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმების თაობაზე, თუკი შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სასამართლო წარმოების პროცესში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას შეეძლო არსებითად ემოქმედა სასამართლო გადაწყვეტილების მიღებაზე;

ვ) აცნობოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით ჩატარებული შემოწმების შედეგები;

ზ) შემოწმების შედეგების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები გამოაქვეყნოს სპეციალურ მოხსენებებსა და ყოველწლიურ ანგარიშებში;

თ) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უხეშ ან მასობრივ დარღვევათა შემთხვევაში, წერილობით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს და მოხსენებით წარსდგეს პარლამენტის წინაშე, თუკი მის განკარგულებაში არსებული რეაგირების საშუალებები არასაკმარისი იქნება;

ი) კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ ამომრჩეველთა მოთხოვნის

მიუხედავად არ დაინიშნა რეფერენდუმი; თუ მიიჩნევს, რომ რეფერენდუმის ჩატარება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, ან თუ ნორმატიული აქტით ან მისი ცალკეული ნორმებით დარღვეულია კონსტიტუციის მე-2 თავში აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი;

კ) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართოს პარლამენტს, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისა და პარლამენტის მიერ საკითხის განხილვის მოთხოვნით.

სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სპეციალურ მოხსენებას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ყოველწლიური ანგარიში ქვეყნდება პარლამენტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. ხოლო სპეციალური მოხსენება შეიძლება გამოქვეყნდეს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით.

სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანო, თანამდებობის თუ იურიდიული პირი ვალდებულია, ყოველმხრივ დაეხმაროს სახალხო დამცველს, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება მას თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად. მისი საქმიანობის უზრუნველყოფისათვის იქმნება სამუშაო აპარატი, რომლის სტრუქტურა, მუშაობის წესი და ორგანიზაცია განსაზღვრულია შესაბამისი დებულებით, რომლის მიხედვითაც, სახალხო დამცველის სამუშაო აპარატს ხელმძღვანელობს დამცველის მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სახალხო

დამცველი. მოადგილე და აპარატის თანამშრომლები კანონის მე-18 და მე-19 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ან მის ნაწილს ახორციელებენ სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, საქართველოს სახალხო დამცველის გარდა, ახორციელებენ რეგიონალური ომბუდსმენებიც. ასე მაგ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1998 წლის 20 მარტს მიიღო ორგანული კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) შესახებ“, რომელიც შეესაბამება საქართველოს შესაბამის ორგანულ კანონს და იგი ექვსი თავისა და 40 მუხლისაგან შედგება. სპეციალისტები ლაპარაკობენ აჭარის ორგანული კანონის „რიგ ნაკლოვანებებზე, რომლითაც შეიძლება დაბრკოლდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველის საქმიანობა, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიქმნა ომბუდსმენის ინსტიტუტი, უკვე მრავლისმეტყველია.“[23]

რაც შეეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, რომელიც 1992 წლის დეკემბერში შეიქმნა და 1998 წლის 4 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველის ინსტიტუტად გადაკეთდა, თავის საქმიანობას წარმართავს დებულებით, რომელიც მიღებული იქნა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 1999 წლის 4 აპრილს. იგი 5 მუხლისაგან შედგება და თითოეული მუხლი ჩვეულებრივზე მეტ ნაწილებს მოიცავს. ასე მაგ. მუხლი 1, ზოგადი დებულებები შედგება 11, მეორე მუხლი – 16, მესამე – 22, მეოთხე – 6, მეხუთე კი 6 ნაწილისაგან.

აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო დამცველის ინსტიტუტებს, არსებული რეალობიდან გამომდინარე, განსხვავებული ფუნქციების შესრულება უწევთ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველს ერთდროულად ორი დატვირთვა აქვს. ჯერ ერთი ის, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი, ზოგადად თანამშრომლობს ყველა შესაბამის უწყებასთან ამ სფეროში. მეორე, მისი შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალ პირთათვის, რადგანაც მათი უფლებები აშკარად და უფრო მეტადაა დარღვეული, ვიდრე საქართველოს ნებისმიერი სხვა მოქალაქისა, თუ არ ჩავთვლით სამაჩაბლოს.

საბოლოოდ, მთელს მსოფლიოში, სახელმწიფოებრივი საქმიანობის კრიტიკის მიუხედავად, ომბუდსმენი ხელს უწყობს ადმინისტრაციისადმი ნდობის გაზრდას. სწორედ ამიტომ, ეს ინსტიტუტი ითვლება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში კანონიერებისა და სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცების მნიშვნელოვან ფაქტორად, არასამართლო კონტროლის ფორმად. მისი მთავარი პრინციპია საპარლამენტო, სასამართლო, ადმინისტრაციული თუ სხვაგვარი კონტროლისა და ზედამხედველობის ფორმისაგან განსხვავებით, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დაცვა.[24]

პრობლემისადმი ასეთი მიდგომის უფლებას იძლევა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2002 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, სადაც პირუთვნელადაა ასახული ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც ჯერ კიდევ გადაულახავ ბარიერებად რჩება საკანონმდებლო სფეროში. გარდა ამისა, „ბოლო პერიოდში ქვეყანაში მოხდა უფლებადაცვითი პრობ-

ლემების უკიდურესი პოლიტიზაცია, როდესაც „პოლიტიკანების“ ხელში ადამიანის უმთავრესი უფლებები და თავისუფლებები კონიუნქტურული მიზანშეწონილობის მსხვერპლად გვევლინება.“[25] იმედია, ასეთი პროცესები დიდხანს არ გასტანს და ჩვენი ქვეყანა ჩაჯდება დემოკრატიული საზოგადოების მშენებელი ქვეყნის სტანდარტებში.

მოკლედ შევეხებით პროცედურას მოქალაქისა და სახალხო დამცველის აპარატს შორის ურთიერთობის სფეროში.

საქართველოს სახალხო დამცველს წერილობითი განცხადებით შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა მოქალაქემ, სადაც ნაჩვენები იქნება განმცხადებლის სახელი, გვარი, მოქალაქეობა და მისამართი. განცხადებაში აუცილებლად უნდა იქნას მითითებული განმცხადებლის უფლებების სავარაუდო დამრღვევი უწყება, თანამდებობის პირი და დარღვევის დეტალური შინაარსი, ფაქტები და დოკუმენტები. სასურველია განცხადებაში მითითებული იყოს იმ თანამდებობის ან სხვა პირთა სახელები და გვარები, უწყებების ზუსტი დასახელებები და მისამართები, ვისაც რაიმე კავშირი აქვს დარღვევასთან ან დაადასტურებს მას. განმცხადებელმა სასურველია განცხადებასთან ერთად სახალხო დამცველთან წარადგინოს მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია.

სახალხო დამცველს, გარდა წერილობითი განცხადებისა, შესაძლებელია მოქალაქემ მიმართოს სატელეფონო ზარით და ზეპირი განცხადებით, სახალხო დამცველის აპარატი უზრუნველყოფს წერილობითი განცხადებების მიღებასა და რეგისტრაციას, ორგანიზაციას უკეთებს მოქალაქეთა მიღებას.


განცხადების შესწავლის შედეგად ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლინების შემთხვევაში მზადდება რეკომენდაცია შესაბამის უწყებაზე, რომელიც ვალდებულია ერთი თვის ვადაში განიხილოს და წერილობით აცნობოს სახალხო დამცველს განხილვის შედეგები, თავის მხრივ კი

სახალხო დამცველის აპარატი უზრუნველყოფს წერილობით ინფორმაციას განმცხადებლისადმი.

სახალხო დამცველს არა აქვს უფლება განიხილოს მოქალაქეთა საჩივრები და განცხადებები, რომლებიც ეხება: ა) ფიზიკურ პირებს შორის წარმოშობილ დავებს; ბ) გამოძიების სტადიაში მყოფ საქმეებს; გ) სასამართლო განხილვის სტადიაში მყოფ საქმეებს. სახალხო დამცველის საქმიანობა მხოლოდ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ეფექტურია იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის უფლებები დაარღვიეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, საწარმოებში, თანამდებობისა და იურიდიულმა პირებმა. სახალხო დამცველის ანგარიშებში ნათლად ჩანს მათ მიერ ამ კუთხით გაწეული დადებითი მუშაობა.

„სახალხო დამცველის ინსტიტუტმა დაამტკიცა მისი არსებობის აუცილებლობა და გაწეული მუშაობის ეფექტურობა“, მათ მუშაობას დადებითად აფასებენ არა მარტო პოსტსაბჭოურ სივრცეში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იმედია, მომავალში კვლავ გაიზრდება აღნიშნული საქმიანობის მასშტაბები და მოსახლეობა დაინახავს მათი მოღვაწეობის რეალურ შედეგებს.

სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურა



§6. ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო გარანტიები

კაცობრიობამ, სამწუხაროდ, გვიან დაიწყო ბავშვის უფლებათა სამართლებრივ დაცვაზე ზრუნვა. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ხაზს უსვამს, რომ დედობა და ჩვილი ბავშვის ყოლა იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობის და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთიანი სოციალური დაცვით. აქედან გამომდინარე, ბავშვის* უფლების დაცვა სათუთი და საშური საქმეა კაცობრიობისათვის. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული იქნა ბავშვის უფლებების 1959 წლის 20 ნოემბერს 1386 (XIV) რეზოლუციის დეკლარაცია და 1989 წლის 20 ნოემბრის 44/25 რეზოლუციით ბავშვის უფლებების კონვენცია. ამ საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტებით განმტკიცდა ბავშვის უფლებები, რადგანაც იგი მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვასა და მზრუნველობას, შესაბამისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდგომ. მანამდე ბავშვის უფლებების დასაცავად გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული ჯერ კიდევ ჟენევის 1924 წლის დეკლარაციით, რომლის მიზანი იყო ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვა.

გენერალურმა ასამბლეამ დეკლარაციაში დააფიქსირა საერთო პოლიტიკა ბავშვის მიმართ, რათა მას ჰქონდეს ბედნიერი ბავშვობა. საზოგადოების კეთილდღეობისათვის მისი მომზადება დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება

---

* კონვენციით ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყველა ადამიანი, თუ იმ კანონით, რომელიც ბავშვზე ვრცელდება, სრულწლოვანების უფრო ადრეული ასაკი არ არის გათვალისწინებული.

და თავისუფლება მოუწოდებს მშობლებს, ორივე სქესის ადამიანებს, ორგანიზაციებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და ეროვნულ მთავრობებს აღიარონ და დაიცვან ეს უფლებები დეკლარაციაში ჩამოთვლილი 10 პრინციპის შესაბამისად. რაც შეეხება ბავშვთა უფლებათა კონვენციას, რომელიც პრიამბულის სამი ნაწილისა და 54 მუხლისაგან შედგება, გლობალურადაა მოცემული ბავშვის უფლებები და კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოთა ვალდებულებანი გაერთიანებული ერების წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად.* საქართველომ აღნიშნული კონვენციის რატიფიკაცია 1994 წლის 21 აპრილს მოახდინა, რითაც პირო ვალდებულება შეესრულებინა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებანი. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი ერთგულება ადამიანის ძირითადი უფლებების, მისი პატივისა და ღირსებებისადმი და თითოეულმა ქვეყანამ მიზნად დაისახა სოციალური პროგრესი და ცხოვრების უკეთესი სტანდარტების შექმნისათვის ხელის შეწყობა საყოველთაო თავისუფლების პირობებში. ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით გაერთიანებულმა ერებმა აღიარა ბავშვის უფლება, სარგებლობდეს საყოველთაო ზრუნვითა და დახმარებით. განსაკუთრებული ხაზი გაესვა ოჯახის როლს, როგორც საზოგადოების ძირითად უჯრედს და მისი თითოეული წევრის, განსაკუთრებით ბავშვის აღზრდისა და კეთილდღეობის გამო უნდა სარგებლობდეს აუცილებელი დაცვითა და დახმარებით, უნდა სრულდებოდეს საზოგადოების აღებული ვალდებულებები. ბავშვი როგორც პიროვნება, ჰარმონიულად უნდა აღიზარდოს ოჯახში, სადაც უნდა სუფევდეს ბედნიერება, სიყვარული და ურთიერთგაგების ატმოსფერო. საზოგადოებას სჭირდება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებული,

* იხ. დანართი ბავშვის უფლებათა კონვენცია.

გაერთიანებული ერების წესდებით აღიარებული იდეების, განსაკუთრებით მშვიდობის, თავისუფლების, თანასწორობის და სოლიდარობის სულისკვეთებით აღზრდილი ბავშვი.

სპეციალისტები კონვენციაში განმტკიცებული ძირითადი უფლებებიდან პრიორიტეტს ოთხ ძირითად მიმართულებას ანიჭებენ: 1) სიცოცხლეს. ნებისმიერ ბავშვს აქვს სიცოცხლისა და გადარჩენის, სამედიცინო მომსახურების, წყლითა და სანიტარული სისტემით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლება. 2) განვითარებას. ბავშვებს აქვთ განათლების, ინდივიდუალობის განვითარების, გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის უფლება. 3) დაცვას. კონვენციით ბავშვებს აქვთ უფლება დაცულნი იყვნენ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და ექსპლოატაციისაგან, ომისა და გაჭირვებისაგან. 4) მონაწილეობას. ბავშვებს აქვთ უფლება გააჩნდეთ საკუთარი აზრი, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულებანი, მიიღონ სასურველი ინფორმაცია.

კონვენცია ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს. კერძოდ, ა) მუხლი მე-2, ყოველგვარი დისკრიმინაციული ქმედების გამორიცხვა, ბ) მუხლი მე-3, ბავშვის ინტერესების დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფა, გ) მუხლი მე-6 სიცოცხლისა და ჯანსაღი განვითარების უფლება, დ) მუხლი მე-12 ბავშვის შეხედულებათა მაქსიმალური გათვალისწინება.

კონვენციის შესაბამისად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ბავშვის უფლებათა პრიორიტეტულობა განმტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებებით საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ თუ აღმასრულებელ სფეროში, რაზედაც საუბარი შემდეგ პარაგრაფში გვექნება.

მიუხედავად გაეროს დიდი ძალისხმევისა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მეტ-ნაკლებად არიან ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ განსაკუთრებით რთულ პირობებში და რომ ისინი საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ პრობლემებით უფრო მეტად დატვირთულია განვითარებადი ქვეყნები, სადაც

გაცილებით ცუდი ცხოვრების პირობებია ყველასათვის და მათ შორის ბავშვებისთვისაც. ამიტომაც საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება სწორედ განვითარებად ქვეყნებზეა გადატანილი.

რაც შეეხება ბავშვთა უფლების დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს, გარდა ზემოაღნიშნული დაკუმენტებისა, ისინი განმტკიცებულია გაეროს მიერ შემუშავებულ არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების სტანდარტულ მინიმალურ წესებში („პეკინური წესები") დეკლარაციაში კონფლიქტების დროს ქალთა და ბავშვთა დაცვის შესახებ.

1984 წლის 14-18 მაისს ქ.პეუინში გაიმართა რეგიონთაშორისო თათბირი, რომელიც მიეძღვნა არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის აღკვეთისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის თემას და გაეროს მეექვსე კონგრესის (კარაკასი 1980 წლის 25 აგვისტო 5 სექტემბერი) გადაწყვეტილებას. პეკინში შემუშავებული იქნა არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების მინიმალური სტანდარტული წესების მოდელი, რომელიც მეტ-ნაკლებად მისაღები იყო წევრი სახელმწიფოებისათვის. 1985 წლის 26 აგვისტოს დაწყებულმა და 6 სექტემბრამდე გაგრძელებულმა გაეროს VII კონგრესმა ქ. მილანში, სადაც იხილებოდა საკითხი, ახალგაზრდობა, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება, თითქმის მოიწონა და მიიღო პეკინში ჩატარებული რეგიონთაშორის შეხვედრაზე მომზადებული პროექტი, რომელსაც უწოდა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ", ანუ „პეკინური წესები".

დოკუმენტი ექვსი თავისა და 30 მუხლისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია ზოგადი პრინციპები (9 მუხლი), მეორე ნაწილი ეძღვნება საქმეთა გამოძიებასა და

სასამართლო წესით განხილვას, (სასჯელების გამოტანა და სასჯელის ზომის არჩევა (8 მუხლი), მესამე ნაწილი ეძღვნება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანას და სასჯელის ზომის არჩევის პრინციპებს (9 მუხლი), მეოთხე ნაწილში მოცემულია სამართალდამრღვევებთან მოპყრობა გამოსასწორებელი დაწესებულებების გარეთ (3 მუხლი), მეხუთე ნაწილით მოწესრიგებულია სამართალდამრღვევებთან მოპყრობა გამასწორებელ დაწესებულებებში (4 მუხლი), ნაწილი მეექვე ითვალისწინებს გამოკვლევებს, პოლიტიკის განსაზღვრას, შემუშავებასა და შეფასებას.[26] „პეკინური წესების" ძირითად მიზანს წარმოადგენს წევრ სახელმწიფოთა სწაფვა, ხელი შეუწყონ არსრულწლოვანის და მისი ოჯახის კეთილდღეობას, პირობების შექმნას, შესაძლო რესურსების მობილიზირებას, ოჯახში, საზოგადოებაში, სკოლებსა და სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებში, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მხრიდან დამნაშავეობისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შემცირებას.

§7. ბავშვის უფლებები და ქართული კანონმდებლობა

საქართველოში შექმნილია სამართლებრივი მექანიზმები, რომელთა დანიშნულებაა ბავშვთა ინტერესების ცხოვრებაში რეალიზაცია, მათი ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით. ეს მექანიზმები განმტკიცებულია სახელმწიფოს მიერ დადგენილი საკანონმდებლო აქტებით, რომელთა ერთობლიობით იქმნება ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვის სამართლებრივი გარანტიები.

საქართველოს კანონმდებლობა ბავშვის სრულწლოვნობის და სრულქმედუნარიანობის ასაკად 18 წელს ადგენს.

უფლებაუნარიანობა, სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, არის ფიზიკური პირის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ადამიანს უფლებაუნარიანობა წარმოეშობა დაბადების მომენტიდან და გრძელდება მის გარდაცვალებამდე.

ქმედუნარიანობა განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის მე–12 მუხლის თანახმად, იგი არის პირის უნარი თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. 18 წელს მიღწევისთანავე პირს წარმოეშობა სრული მოცულობის ქმედუნარიანობა. 7 წლამდე მოზარდი კანონის შესაბამისად ქმედუუნაროა, რადგანაც იგი დამოუკიდებლად ვერ განახორციელებს სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს: ამ შემთხვევაში მოზარდის ინტერესებს იცავს კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი, მეურვე). 18 წლამდე ასაკის ბავშვი შეზღუდული ქმედუნარიანობის მატარებელია, რა დროსაც აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს.

არის ერთი თავისებურებაც. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელმაც იქორწინა 18 წლამდე ასაკს მიღწევამდე, 16 წლის ასაკში შეიძლება ქორწინება, თუ მშობლების, ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა იქნება.

ყურადღება გვინდა მივაქციოთ კიდევ ერთ თავისებურებას, რაც ბავშვის უფლებებთანაა დაკავშირებული. „სამოქალაქო სამართალი იცავს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის ინტერესებსაც, უფრო ზუსტად, ჩასახული ნაყოფის ინტერესებს... ჩასახულის სამართლებრივი დაცვის ფორმები სრულიად სხვადასხვაა იმის მიხედვით, თუ სამართლის რომელი დარგი ეხება ამ პრობლემატიკას. მაგ. სისხლის სამართალი აბორტის აკრძალვის გზით იცავს ჯერ კიდევ დაუბადებელი

ბავშვის ინტერესებს; კონსტიტუციური სამართალი ჩასახულ ბავშვს ძირითადი უფლებების სუბიექტად აღიარებს და ა.შ."[27]

სრულ ქმედუნარიანობასთანაა დაკავშირებული პოლიტიკური უფლებების გაჩენა, კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების ძალით 18 წლის ასაკს მიღწეულ პირს უჩნდება რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება, კონსტიტუციით უზრუნველყოფილია ნების თავისუფალი გამოვლინება.

სამოქალაქო კანონმდებლობით (994-ე მუხლი) ათი წლის ასაკს მიუღწეველი ბავშვი პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისათვის (დელიქტუნარიანობა) ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშობლებს, ან ბავშვის სხვა მეთვალყურე პირთ.

ათ წელზე მეტი ასაკის ბავშვი სხვაზე მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეცნობიერებინა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მშობლებისა და შვილების ურთიერთუფლებებისა და მოვალეობების პრობლემებზე (მუხ. 1187-1194-1195-1198-1210-1212) მოწესრიგებულია ბავშვის შვილად აყვანის პროცედურები, რადგანაც შვილება არის იურიდიული ფაქტი, რომელიც ძალაში შედის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. გადაწყვეტილება კი რეგისტრირებული უნდა იქნეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1255-ე მუხლის თანახმად, იმ ბავშვის შვილად აყვანა, რომელსაც ათი წელი შეუსრულდა, დაუშვებელია მისი თანხმობის გარეშე, ბავშვის თანხმობას ადასტურებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. კანონის თანახმად, მშვილებელი ბავშვზე უფროსი

უნდა იყოს 16 წლით მაინც. 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი „შვილად აყვანის წესის შესახებ“ აწესებს უცხოელ მოქალაქეთათვის ბავშვის მიშვილების საკითხებს, როგორც ალტერნატიულ საშუალებას.

სამოქალაქო კოდექსის მეექვსე თავი ეძღვნება შვილობის ინსტიტუტს, სადაც დეტალურადაა მოცემული შვილად აყვანის სამართლებრივი პროცედურები და ბათილად ცნობის მექანიზმები (მუხ. 1239-1274).

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მზრუნველობისა და მეურვეობის პრობლემის მოწესრიგებასაც. მზრუნველსა და მეურვეს კანონი სერიოზულ ვალდებულებებს აკისრებს. იმ შემთხვევაში, თუ მეურვე ან მზრუნველი ჯეროვნად არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, შესაბამისი ორგანო გაათავისუფლებს მას ამ მოვალეობის შესრულებისაგან, ხოლო თუ მეურვე ან მზრუნველი ანგარების მიზნით გამოიყენებს თავის მოვალეობას და სამეურვეო (სამზრუნველო) პირს დატოვებს ზედამხედველობისა და აუცილებელი დახმარების გარეშე, ის პასუხს აგებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით (მეურვედ ან მზრუნველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის, სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი, აგრეთვე პირი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება).

მეურვეობა შეწყდება, თუ გარდაიცვალა სამეურვეო პირი, თუ არასრულწლოვანმა მიაღწია 7 წლის ასაკს, ანუ თუ 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი აღსაზრდელად მშობელს დაუბრუნდა. თუ სამეურვეო არასრულწლოვანმა მიაღწია 7 წლის ასაკს, მაშინ მეურვეობა წყდება და მეურვე ავტომატურად ხდება მზრუნველი მანამ, სანამ არ მოისპობა ის მიზეზები, რამაც გამოიწვია მზრუნველობა; კერძოდ, სამზრუნველო პირის გარდაცვალება, სრულწლოვნობის მიღწევა, დაქორწინება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე კარის პირველი თავი (მუხ. 1275-1305) ეძღვნება მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტს, სადაც ცნებიდან დაწყებული განმტკიცებულია მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხის გასაჩივრება სასამართლოში.[28]

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს. დამნაშავის ასაკის მიხედვით არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი. არასრულწლოვან დამნაშავეს შეიძლება დაენიშნოს სასჯელი ან აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება. სასჯელის სახეებია: ა) ჯარიმა, ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, დ) თავისუფლების შეზღუდვა, ე) ტუსაღობა, ვ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. ჯარიმის დანიშვნის შემთხვევაში არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი ხელფასი ან ქონება, ჯარიმის მინიმალური ოდენობაა ხუთი დღიური ანაზღაურება, მაქსიმალური — ორასი დღიური ანაზღაურება, საერთო ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ოთხას დღიურ ანაზღაურებას. არასრულწლოვანს საქმიანობის ჩამორთმევა ენიშნება ერთიდან სამ წლამდე ვადით.

არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება ოციდან ას სამოც საათამდე ვადით. თხუთმეტ წლამდე სრულწლოვანისათვის ის არ უნდა აღემატებოდეს დღეში ორ საათს, ხოლო თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანისათვის — დღეში სამ საათს. გამასწორებელი სამუშაო ენიშნება ორი თვიდან ერთ წლამდე ვადით. რაც შეეხება თავისუფლების შეზღუდვას, ენიშნება ოთხ წლამდე ვადით. ტუსაღობა შეიძლება დაენიშნოს თექვსმეტი წლიდან, ერთიდან ოთხ თვემდე ვადით მხოლოდ მამრობითი სქესის არასრულწლოვანს. რაც შეეხება ვადიანი

თავისუფლების აღკვეთას, ენიშნება არა უმეტეს ათი წლის ვადით, რომელსაც სრულწლოვნობამდე იხდიან აღმზრდელობით დაწესებულებაში. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა ათ წლამდე მეტი ვადით, მაგრამ არა უმეტეს თხუთმეტი წლისა.

იგივე სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს არასრულწლოვნის განთავისუფლებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან: პირველად ჩადენილი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, აღმზრდელობითი ხასიათის იძულებით ღონისძიებად შეიძლება გამოყენებული იქნას ა) გაფრთხილება, ბ) საზედამხედველოდ გადაცემა გ) ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება, დ) ქცევის შეზღუდვა, ე) სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა აწესებს პასუხისმგებლობას დანაშაულისათვის ჩადენილს არასრულწლოვნის წინააღმდეგ. გათვალისწინებულია არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, კერძოდ პროსტიტუციაში, ან სხვა სექსუალურ გარყვნილობაში, ანდა მისი დაყოლიება მათხოვრობაზე, ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე, იგულისხმება მათი ჩაბმა გამაბრუებელ ან სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში.

კანონმდებლობა ითვალისწინებს არასრულწლოვანთა ყიდვას ან გაყიდვას, ანდა მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას და ა.შ.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 2003 წლის 6 ივნისსა და 14 აგვისტოს შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებანი. მანამდე არსებული 172-ე მუხლი „არასრულწლოვნით ვაჭრობა“ შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „არასრულწლოვანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება

შვილად აყვანის მიზნით“ და შეტანილ იქნა ახალი მუხლები 143^1-ე და 143^2-ე, რომლებიც სამართლიანად ჩაჯდა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილში. აღნიშნულ მუხლებში შედარებით ფართოდაა გავრცელებული დამამძიმებელი გარემოებანი და გარკვეულწილად გამკაცრებულია სასჯელთა ზომებიც, — განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა პასუხისმგებლობას აწესებს ბავშვის შეცვლისათვის ანგარების მოტივით ან სხვა გრძნობით. გარდა ამისა, კანონით გათვალისწინებულია პასუხსმგებლობა შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებისათვის მშობლების ნებასურვილის გარეშე. ბავშვის სასარგებლოდ კანონმდებლობა მშობლების ერთნაირ პასუხსმგებლობას აწესებს ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდების შემთხვევაში. ასევე პასუხსმგებლობაა დაწესებული ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპიული ნივთიერებების, მისი ანალოგის მოხმარებაზე არასრულწლოვნის დაყოლიებისათვის.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მომკვლევი, გამომძიებელი ან მოსამართლე ვალდებული არიან უზრუნველყონ არასრულწლოვანის საქმეში დამცველის მონაწილეობა პირველი დაკითხვისთანავე. დაკითხვაზე არასრულწლოვნის გამოძახება დასაშვებია მხოლოდ მისი მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, ხოლო დაკითხვა ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სახით არ შეიძლება შეუსვენებლად გაგრძელდეს ორ საათზე მეტ ხანს, დღეში 4 საათზე მეტ ხანს.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ასევე ადგენს არასრულწლოვანი მოწმის უფლებებს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გათვალისწინებულია ნორმები, რომლებიც მიმართულია არასრულწლოვანთა დასაცავად. ადმინისტრაციული

კანონმდებლობა პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის აკისრებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირს. პასუხისმგებლობა ეკისრება მშობლებს, ან მათ შემცვლელ პირებს არასრულწლოვანი ბავშვის აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობისათვის, შვილად აყვანის დადგენილი წესის დარღვევისათვის. როდესაც ბავშვის უფლებებზე ვმსჯელობთ, გვერდს ვერ ავუვლით საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, რომლის მე-2 თავის გარკვეული მუხლები ეხება ბავშვის მოქალაქეობის პრობლემებს.

ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ ითვლება დაბადების ადგილის მიუხედავად.

მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ:

ა) დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ) დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) ერთ-ერთი მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის (დაბადების ადგილის მიუხედავად) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე — მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცნობია.

მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა და ორივე ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება მშობელთა შეთანხმებით, მშობლების შეუთანხმებლობის შემთხვევაში — იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვი დაიბადა.

იმ ბავშვის მამობის დადგენის—შემთხვევაში, რომლის დედა მოქალაქეობის არმქონე პირია, ხოლო მამად მიჩნეულია

საქართველოს მოქალაქე, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე დაბადების ადგილის მიუხედავად.

საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვები საქართველოს მოქალაქეები არიან, თუ ისინი დაიბადნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, რომლის მშობლები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, წყდება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვი, რომლის ორივე მშობელი უცნობია, ითვლება საქართველოს მოქალაქედ, სანამ სხვა რამ არ დადგინდება.

ორივე მშობლის მოქალაქეობის შეცვლა შესაბამისად იწვევს 14 წელს მიუღწეველი ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას.

14-დან — 18 წლამდე ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით.

1. ერთ-ერთი მშობლის მიერ საქართველოს მოქალაქეობის შეცვლისას, ბავშვი ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ იგი საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებლად რჩება.

2. თუ საქართველოს მოქალაქეობიდან გადის ერთ-ერთი მშობელი და 14 წელს მიუღწეველ ბავშვთან ერთად მუდმივ საცხოვრებლად მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ბავშვს უწყდება საქართველოს მოქალაქეობა.

3. ერთ-ერთი მშობლის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ან მოქალაქეობის დაკარგვა არ იწვევს ბავშვის მოქალაქეობის შეწყვეტას.

თუ ერთ-ერთი მშობელი იძენს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ, მშობელთა ერთობლივი შუამდგომლობით ბავშვი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე.

თუ ერთ-ერთი მშობელი იძენს საქართველოს მოქალაქეობას, ხოლო მეორე რჩება მოქალაქეობის არმქონე პირად, ბავშვი ხდება საქართველოს მოქალაქე.

თუ მშობლებს სხვადასხვა მოქალაქეობა აქვთ და ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, პირი სრულწლოვანების მიღწევისას სურვილისამებრ ირჩევს ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობას.

ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია და მას შვილად აიყვანს საქართველოს მოქალაქე (მოქალაქეები), მშვილებლის (მშვილებელთა) შუამდგომლობით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

ბავშვი, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია, იმ მეურლეების მიერ შვილად აყვანის შემთხვევაში, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა, მშვილებელთა ერთობლივი შუამდგომლობით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, უცხოელი მოქალაქეების ან საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი მოქალაქე მეურლეების მიერ შვილად აყვანის შემთხვევაში ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას. ასეთ შემთხვევაში მშვილებლების შუამდგომლობით ბავშვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის ნება ეძლევა.

ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, თუ იგი შვილად აიყვანეს მოქალაქეობის არმქონე პირებმა ან საქართველოს მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე მეურლეებმა, ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

ბავშვი, რომელსაც დაწესებული აქვს მეურვეობა ან მზრუნველობა, თუ მშობელი ან ერთ-ერთი მათგანი ტოვებს საქართველოს მოქალაქეობას, მეურვის ან მზრუნველის შუამდგომლობით ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

დავა მშობლებს, მეურვეებს და მზრუნველებს შორის ბავშვის, არაქმედუნარიან ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა მოქალაქეობის თაობაზე განიხილება სასამართლოს წესით ბავშვის, ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა ინტერესებიდან გამომდინარე.

არასრულწლოვანთა მიმართ გარდა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობისა, თავისებურებებს ითვალისწინებს სამოქალაქო და შრომის სხვა საკანონმდებლო ნორმებიც.

ასეთია ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ ქართული კანონმდებლობის დამოკიდებულება.

§8. ქალის უფლებების დაცვის საერთაშორისო გარანტიები

თავის დროზე ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და მოაზროვნე არჩ. ჯორჯაძე წერდა „ქართულ მწერლობაში ქალის შესახებ ლაპარაკი ფრიად იშვიათი მოვლენაა და როდესაც კი ლაპარაკი ამ საგანზე ჩამოვარდებოდა ხოლმე, იგი ყოველთვის სასტიკად განსაზღვრულ კალაპოტში ტრიალებდა. ეს კალაპოტი იყო ქალის უფლებრივი მდგომარეობა და ამ უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროება“.[29]

საკითხის ასეთი დასმა სინამდვილეს არ ყოფილა მოკლებული. მართლაც, მსოფლიოში მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქალთა უფლებრივი მდგომრეობის გაუმჯობესებაზე ცოტას წერდნენ და ლაპარაკობდნენ.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ინფორმაციას, რომელიც ქვეყნდებოდა გასული საუკუნის დასაწყისის ქართულ პერიოდულ პრესაში.

10 თებერვალს ბერლინში ქალებმა საპროტესტო კრება გამართეს... კრებამ მოითხოვა მთელი გერმანიისათვის ერთიანი საკრებო კანონის გამოცემა, როგორც მამაკაცებისათვის, ისე დედაკაცებისათვის. — დანიის მუშა ქალების წინსვლის ამბავი. მაისის თვეში აქ ქალებს ქალაქების არჩევნებში მონაწილეობის და ხმის უფლება მიეცათ. — გერმანიაში მიიღო წელს ერთმა დოქტორის ხარისხი; მისი სახელი არის კაროლინა სტიუარტი. — ჰოლანდიაშიც დანიშნეს ამას წინათ გიმნაზიაში მათემატიკის და ბუნების მეტყველების მასწავლებლად ერთი ქალიშვილი, სახელად ვან დე კამარი, რომელსაც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი აქვს მიღებული. — ავსტრიის სწავლა—განათლების მინისტრი აპირებს ქალებისათვის ლიცეების დაარსებას. — იაპონიაში ქალების მდგომარეობას შესამჩნევი წინსვლა ეტყობა, ქ.ტოკიოში გაიხსნა ამ გაზაფხულზე ახალი უნივერსიტეტი ქალებისათვის.[30]

რეალურად დასავლეთ ქვეყნებში ქალების პოლიტიკური უფლებები გაიზარდა XX საუკუნის ათიანი წლებიდან. კერძოდ, ინგლისში, პოლონეთში, ირლანდიაში არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიენიჭათ 1918 წლიდან, გერმანიაში, შვედეთსა და ნიდერლანდებში — 1919 წელს. ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაში, აშშ-ში ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ 1920 წლიდან აქვთ. როდესაც პოლიტიკური უფლებების მოპოვებაზე ვსაუბრობთ, ეს იყო გზა, რომელმაც ხელი შეუწყო ცხოვრების სხვა სფეროში ქალების დამკვიდრებას. თუმცა არც ისე უმტკივნეულოდ, ემანსიპაციისათვის ბრძოლა მათ დიდხანს მოუხდათ, რომ მიეღწიათ მამაკაცებთან რეალური თანასწორობისათვის, რამაც საბოლოოდ ასახვა ჰპოვა სამართალშიც.

ცნობილია, რომ ზოგადად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საკითხებზე საუბარი აქტიურად დაიწყო და პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა მეორე მსოფ-

ლიო ომის შემდგომ პერიოდში. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც მიღებული და გამოცხადებულია გენერალური ასამბლეის 1948 წლის 10 დეკემბრის 217 (III) რეზოლუციით აღიარებს მამაკაცისა და ქალის სრულ თანასწორობას. ყოველ სრულწლოვან მამაკაცსა და ქალს რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე უფლება აქვს დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი. ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებით შეუღლების, ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს.

1946 წელს გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან (ეკოსოსი) შეიქმნა ქალთა მდგომარეობის კომისია, რომელიც 32 სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან შედგება და ისინი 4 წლით აირჩევიან. იგი იკრიბება წელიწადში ერთხელ, კომისიას ევალება რეკომენდაციების, მოხსენებებისა და საკონსულტაციო დასკვნების მომზადება ეკოსოსისათვის ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვის სფეროში. კომისიის დიდი დამსახურებაა მონაწილეობა კონვენციების მომზადებაში, რომლებიც ეხებიან ქალთა პრობლემებს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის საფუძველზე 1952 წელს მიღებული იქნა კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომლის შესაბამისად ქალებს მიეცათ ხმის უფლება, სახელმწიფო სამსახურებში პოსტების დაკავების და სახელმწიფო ფუნქციების განხორციელების გარანტიები. ამას მოჰყვა 1957 წელს მიღებული კონვენცია, სადაც გათვალისწინებულია ქალის მიერ თავისი მოქალაქეობის შენარჩუნება, მიუხედავად მისი ოჯახური მდგომარეობისა, რადგანაც ქალის უფლებრივი სტატუსი უკავშირდება მის ქორწინებას, რის შედეგადაც იგი უფრო ქმრის მოქალაქეობაზე ხდება დამოკიდებული.

1979 წლის 18 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ქალთა დისკრი-

მინაციის* ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია. იგი, როგორც საერთაშორისი ხელშეკრულება, ძალაში შეიდა 1981 წლის 3 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც მეოცე ქვეყანამ მოახდინა მისი რატიფიკაცია. კონვენციის მეათე წლისთავისთვის, რომელიც 1989 წელს აღინიშნა, თითქმის ასმა სახელმწიფომ გამოხატა თანხმობა, დაეცვა მისი დებულებები, რასაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა ყველა იმ სფეროს გამოვლენისათვის, რაშიც ქალები მოკლებულნი არიან მამაკაცის თანაბარ უფლებებს. გაეროს ძალისხმევა, რომელიც მიმართულია ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, არის კონვენცია ქალთა დასკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ.

აღნიშნულ კონვენციას** მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის უფლებათა სფეროში, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების პრობლემათა რიგში, რომლებსაც აწყდება კაცობრიობის მდედრობითი ნაწილი იგი თავის სულიერ საწყისს იღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებიდან: განამტკიცოს რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, პიროვნების ღირსებისა და ღირებულებებისადმი, ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობისათვის. ამის გამო კონვენცია წარმოადგენს არა მარტო ქალთა უფლებების საერთაშორისო აქტს, არამედ მონაწილე სახელმწიფოთა პროგრამას ამ უფლებათა განხორციელების გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით;

---

* ტერმინი დისკრიმინაცია ნიშნავს ადამიანის უფლებათა შეზღუდვას ან შელახვას სოციალური, რასობრივი, ეროვნული, ენობრივი, სქესობრივი, კუთვნილების, პოლიტიკურ, რელიგიურ ან სხვაგვარ შეხედულებათა, ანდა ქონებრივ, ასაკობრივ ან სხვაგვარი მდგომარეობის მიხედვით.

** საქართველომ კონვენციის „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ რატიფიცირება მოახდინა 1994 წლის 25 ნოემბერს.

პრეამბულაში კონვენცია არაორაზროვნად აღიარებს, რომ „ძველებურად ხდება ქალთა მნიშვნელოვანი დისკრიმინაცია“, და ხაზგასმულია, რომ ასეთი დისკრიმინაცია „არღვევს თანასწორუფლებიანობისა და ადამიანის ღირსების პატივისცემის პრინციპებს“. I მუხლში მოცემული განსაზღვრის თანახმად, დისკრიმინაცია გულისხმობს, „ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას ან შეზღუდვას სქესის ნიშნით... პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში“. კონვენცია სრულიად გარკვევით ამტკიცებს თანასწორობის პრინციპს, რომელიც შეიცავს მონაწილე სახელმწიფოებისადმი მიმართულ მოთხოვნას, მიიღონ „ყველა საჭირო ზომა, მათ შორის საკანონმდებლო, რათა უზრუნველყონ ქალთა ყოველმხრივი განვითარება და პროგრესი, მათ მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელება და გამოყენება მამაკაცებთან თანასწორობის საფუძველზე“ (მუხლი3).

თოთხმეტ მომდევნო მუხლში დაკონკრეტებულია, თუ რა არის აუცილებელი, რომ გაკეთდეს თანასწორობის უზრუნველსაყოფად. კონვენციის პოზიციიდან, ქალთა მდგომარეობის მიმართ, გამოიყოფა სამი ასპექტი. გამახვილებულია ყურადღება ქალთა სამოქალაქო უფლებებსა და სამართლებრივ სტატუსზე. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა შესახებ სხვა ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, კონვენცია ეხება, აგრეთვე, მოსახლეობის აღწარმოებისა და სქესთა შორის ურთიერთობაზე კულტურული ფაქტორის ზემოქმედების ასპექტს.

კონვენციის მე-10, მე-11 და მე-13 მუხლებში შესაბამისად მტკიცდება ქალის უფლება, დისკრიმინირებული არ იყოს განათლების, დასაქმებისა და ეკონიმიკურ, აგრეთვე, სოციალური ცხოვრების სფეროებში. ამ მოთხოვნებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პერიფერიებსა და სოფელ ადგილას მცხოვრებ ქალთა მდგომარეობასთან დაკავშირებით.

მათი განსაკუთრებული პრობლემები და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური წვლილი, როგორც აღნიშნულია მე-14 მუხლში, მოითხოვს დიდ ყურადღებას ოპტიმალური პოლიტიკის დაგეგმვისას. მე-15 მუხლში დადასტურებულია ქალთა სრული თანასწორობა სამოქალაქო და კომერციულ საქმეებში. იგი შეიცავს აგრეთვე მოთხოვნას „გაუქმებულად ჩაითვალოს“ ყველა დოკუმენტი, რომელიც მიმართული იყო ქალთა უფლებაუნარიანობის შეზღუდვისაკენ. ბოლოს, მე-16 მუხლში კონვენცია კვლავ ეხება ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობების საკითხს, როდესაც ადასტურებს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს მეუღლის არჩევისას, მშობელთა ფუნქციების შესრულებისას, პირად უფლებებს და ქონების განკარგვის უფლებებს.

სამოქალაქო უფლებების საკითხების გვერდით კონვენციაში სერიოზული ყურადღება ეთმობა ქალებისათვის ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან ასპექტს, როგორიც არის მათი უფლებები აღწარმოების სფეროში. ამ საკითხთან დაკავშირებით ტონს იძლევა პრეამბულა, რომელშიც მითითებულია, რომ „ქალის როლი თაობის გაგრძელებაში არ უნდა იყოს დისკრიმინაციის მიზეზი“. კონვენცია არაერთგზის უბრუნდება დისკრიმინაციასა და რეპროდუქციულ ქცევას შორის კავშირის თემას. მაგალითად, მე-5 მუხლში მითითებულია აუცილებლობა „უზრუნველყო... დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორის გაგება“. იგი შეიცავს აგრეთვე მოთხოვნას, რომ ორივე სქესს შორის სრულად იყოს განაწილებული პასუხიმგებლობა შვილების აღზრდისათვის. ამის შესაბამისად, აღიარებულია დედობისა და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული პრინციპები, როგორც ძირითადი. კონვენციის ყველა ნაწილი, რაზეც უნდა იყოს მასში საუბარი: დაქირავებაზე, ოჯახურ უფლებებზე, ჯანმრთელობის დაცვასა თუ განათლებაზე, შეიცავს დამატებით შენიშვნებს აღნიშნულის თაობაზე. რეკომენდებულია და „არ

ითვლება დისკრიმინაციულად“ სპეციალური ზომები, რომელთა მიზანია დედობის დაცვა (მუხლი 4). კონვენცია ამტკიცებს აგრეთვე ქალის უფლებას, გააკეთოს არჩევანი ბავშვის დაბადების საკითხში. უნდა აღინიშნოს, რომ კონვენცია ერთადერთია ადამიანის უფლებათა შესახებ ხელშეკრულებებს შორის, რომელშიც მოიხსენიება ოჯახის დაგეგმვის საკითხი. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ოჯახის სიდიდის დაგეგმვის შესახებ კონსულტაციები შეიტანონ სწავლების პროცესში (მუხლი 106). შეიმუშავონ ოჯახური კოდექსები, რომლებიც გარანტიას მისცემენ ქალებს, ჰქონდეთ უფლება „თავისუფლად და პასუხიმგებლობით წყვეტნდნენ შვილების რაოდენობისა და მათ დაბადების შორის დროის შუალედების საკითხს და ჰქონდეთ ინფორმაციის, განათლების მიღებისა და იმ საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლებიც ხელს უწყობს მათ ამ უფლებების განხორციელებაში“ (მუხლი 16).

მესამე ზოგადი მითითება, რომელზეც ორიენტირებულია კონვენცია, არის ადამიანის უფლებათა გაფართოებული გეგმა. მასში ოფიციალურად აღიარებულია კულტურული გარემოსა და ტრადიციების როლი ქალთა მიერ თავიანთი ძირითადი უფლებების სრულად გამოყენების შეზღუდვასთან დაკავშირებით. ეს ძალები თავს იჩენენ ისეთი ფორმებით, როგორიცაა სტერეოტიპული წარმოდგენები, ჩვეულებები და ნორმები, რომლებიც მრავალრიცხოვან სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაბრკოლებებს ქმნიან ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების გზაზე. როდესაც აღნიშნავს ამ ურთიერთკავშირს, კონვენციის პრეამბულა ხაზს უსვამს, „რომ მამაკაცთა და ქალთა სრული თანასწორობის მისაღწევად საჭიროა საზოგადოებასა და ოჯახში, როგორც მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენების აღმოფხრისა და იმ ადათ-წესებისა და სხვა პრაქტიკის გაუქმების მიზნით, რომლებსაც საფუძვლად

უდევს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობას, ან მამაკაცთა და ქალთა სტერეოტიპულობის იდეა“ (მუხლი 5). შემდეგ, მე-10 მუხლის c) პუნქტით ევალებათ, გადასინჯონ სახელმძღვანელოები, სკოლის პროგრამები და სწავლების მეთოდები განათლების მიზნით. ბოლოს, კონვენციის ყველა დებულება, რომელშიც დადასტურებულია ორივე სქესის თანასწორი მოვალეობანი, როგორც ოჯახურ ცხოვრებაში, ისე განათლებისა და დასაქმების სფეროში, სერიოზული მსჯელობა კულტურის დარგში არსებული შაბლონების წინააღმდეგ, რადგანაც საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროს მამაკაცის პრეროგატივად მიიჩნევს, ხოლო სახლს — ქალის საქმიანობის ასპარეზად. მთლიანად კონვენცია წარმოადგენს ყოვლისმომცველ სტრუქტურას და საშუალებას იძლევა, ბრძოლა გამოეცხადოს სხვადასხვა ძალას, რომლებიც ეწევიან ან მხარს უჭერენ დისკრიმინაციას სქესის ნიშნით.

კონვენციის შესრულების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს **ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი**, რომელიც შეიქმნა 1979 წელს. კომიტეტის მანდატსა და ხელშეკრულების შესრულების წესს განსაზღვრავს კონვენციის მე-17 და 30-ე მუხლები. კომიტეტი შედგება მთავრობების მიერ წამოყენებული და მონაწილე სახელმწიფოების მიერ თავიდან 18, შემდგომში კი 4 წლის ვადით არჩეული 23 ექსპერტისაგან, რომლებსაც „აქვთ მაღალი მორალური თვისებები და კომპეტენტურნი არიან კონვენციით გათვალისწინებულ სფეროში“.

გათვალისწინებულია, რომ მონაწილე სახელმწიფოები კომიტეტს, სულ ცოტა, ყოველი ოთხი წლის შემდეგ მოხსენებას წარუდგენენ ქვეყნების შესახებ, რომლებშიც აცნობებენ მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს კონვენციის დებულებათა შესასრულებლად. ყოველწლიურ სესიებზე კომიტეტის წევრები განიხილავენ ამ მოხსენებას მთავრობათა წარმომადგენლებთან ერთად და სწავლობენ კონკრეტული

ქვეყნების შემდგომი მოქმედების გზებს. კომიტეტი გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით გაეროს გენერალურ ასამბლეას ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას თავისი საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, კომიტეტს გამოაქვს საერთო რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებისათვის ქალთა დისკრიმინაციის ლაკვიდაციის საკითხებთან დაკავშირებით.

2000 წლის სექტემბერში 147 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურების მიერ მიღებული იქნა „გაეროს ათასწლეულის დეკლარაცია“, რომელიც რვა ძირითად მიმართულებასა და მიზანს ემსახურებოდა: ა) სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა; ბ) მსოფლიო მასშტაბით დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა; გ) სქესთა თანასწორობისა და ქალთა ძალაუფლების გაზრდა; დ) ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; ე) ქალთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება; ვ) შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა; ზ) გარემოსდამცავი ღონისძიებების უზრუნველყოფა; თ) განვითარებისათვის მსოფლიოს თანამშრომლობის ჩამოყალიბება. აღნიშნულ მიმართულებებს შორის ოთხი ძირითადი პოზიცია ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების დაცვას ემსახურება. ასე რომ, ახალ ათასწლეულ ს მსოფლო უამრავი გადაუწყვეტელი პრობლემით შეხვდა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

კომიტეტის წევრები იღებენ გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ გასამრჯელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახსრებიდან, იმ წესითა და პირობებით, რომლებსაც ადგენს ასამბლეა კომიტეტის მოვალეობათა მნიშვნელობის გათვალისწინებით.

გარდა საერთაშორისო კონვენციებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმებისა, ქალის უფლებებს და თავისუფლებებს იცავს კანონმდებლობა, უპირველეს ყოვლისა, უზენაესი კანონი, კონსტიტუცია, სამოქალაქო, შრომის სამართალი

და სხვა დარგობრივი ნორმები. ქალის უფლებათა დაცვის გარანტად სახელმწიფო გამოდის, რომელიც ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად.

§9. ქალის უფლებები და ქართული კანონმდებლობა

ბოლო დრომდე ადამიანის უფლებების საერთაშორისო დოკუმენტების უმრავლესობა ვიწრო ინტერპრეტაციას აძლევდნენ ქალებთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს.[31]

ასეთი შეფასება შეიძლება არ ეხებოდეს ქართულ და პოლიტიკურ აზროვნებას ქალთა სქესთან დაკავშირებით, ასევე ფეოდალურ და თანამედროვე კანონმდებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს. ბუნებრივია ქალს კანონმდებლობა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, რადგანაც ის მშვენიერთა სქესის წარმომადგენელია, მაგრამ გარკვეულ შეღავათებს მაინც ავრცელებს.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (მუხ. 44) არ დაენიშნება ორსულ ქალს და ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე ასაკის შვილი. თავისუფლების შეზღუდვა (მუხ. 47) არ შეიძლება დაენიშნოს ასევე ორსულ ქალს და შვიდ წლამდე ასაკის ბავშვის დედას. ქალის მიმართ შეღავათი ვრცელდება ტუსაღობის დანიშვნის შემთხვევაში (მუხ. 48) იგი არ შეიძლება დაენიშნოს ორსულ და შვიდ წლამდე ასაკის ბავშვის დედას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს სასჯელის მოხდა ორსულ

ქალს და ქალს, რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე შვილი მანამ, სანამ ის ხუთი წლის გახდება.

ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით გამოირჩევა შრომის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც მუშა-მოსამსახურეთა სხვა სამუშაოზე გადაყვანის შემთხვევაში ორსულ ქალებს სამედიცინო დასკვნის შესაბამისად შეუმცირდებათ გამომუშავებისა და მომსახურეობის ნორმები ან ისინი წინანდელი საშუალო ხელფასის შენარჩუნებით გადაჰყავთ სხვა უფრო მსუბუქ სამუშაოზე, რომელიც გამორიცხავს ხელსაყრელი საწარმო პირობების გაუარესებას.

შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებში ორსულ ქალებსა და იმ ქალებს, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ (მარტოხელა დედებს – 14 წლამდე ასაკის ან 16 წლამდე ინვალიდი ბავშვის ყოლისას) მათი დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით დაუშვებელია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის გარდა.

შრომის კანონმდებლობა ითვალისწინებს სამუშაო დროის ხანგრძლიობის შემდეგ სახეებს: ნორმალური ხანგრძლივობის სამუშაო დრო (არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 41 საათს, საჯარო მოსამსახურეებისათვის კი 40 საათს) შემცირებული ხანგძლივობის სამუშაო დრო (შემცირებული ხანგრძლივობა განისაზღვრება ექვსდღიანი სამუშაო კვირის მიხედვით. შეიძლება ხუთდღიანი სამუშაო კვირა, მაგრამ საათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 7 საათს) და არასრული სამუშაო დრო (არასრული სამუშაო დღის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 4 საათზე ნაკლები, ხოლო კვირის განმავლობაში 20–24 საათზე ნაკლები)

შრომის კანონმდებლობა არასრული სამუშაო დღით ან არასრული სამუშაო კვირით სარგებლობის უფლებას აძლევს ორსულ ქალს, აგრეთვე ქალს, რომელსაც თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს, აგრეთვე გათვალისწინებულია მეურვეო-

ბაც, ან სამედიცინო დასკვნის საფუძველზე უვლის ავადმყოფ ოჯახის წევრს;

შრომის კანონმდებლობით მოწესრიგებულია დასვენების დროის ხანგრძლივობა და პირობები, რითაც დაწესებულია დამატებითი შესვენებები, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო. კერძოდ, ქალებს, რომლებსაც წლინახევრის ასაკამდე ბავშვები ჰყავთ, საერთო შესვენების გარდა შეუძლიათ ისარგებლონ დამატებითი შესვენებით ბავშვის კვებისათვის.

შრომის კანონმდებლობა კატეგორიულია ქალის შრომის გამოყენების მიმართ მავნე პირობებიან, მიწისქვეშა სამუშაოებზე (დასაშვებია არაფიზიკური საქმიანობა) კანონმდებლობით სამუშაოზე მიღებისას მინიმუმამდე ზღუდავს ქალისათვის უარის თქმას, მითუმეტეს ორსულობის ან სამწლამდე ასაკის ბავშვის მოტივით (იგულისხმება ხელფასის შემცირებაც) თუ კი უარის თქმის საფუძველი იარსებებს ადმინისტრაცია ვალდებულია წერილობით აცნობოს განმცხადებელს.

კანონმდებლობა გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს ქალის შრომაზე ღამის სამუშაოზე. ასევე არ დაიშვება ორსული ქალებისა და იმ ქალების შრომის გამოყენება, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ ღამისა და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე დასვენების დღეებში და ა.შ.

შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულება, რომლის ხანგრძლივობა მშობიარობამდე 70 კალენდარული დღეა და შემდგომ 56 კალენდარული დღე, სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში (გართულება, ტყუპების დაბადება და ა.შ.) ითვალისწინებს დღეთა რაოდენობის გაზრდასაც 70 კალენდარულ დღემდე. ქალები, რომლებმაც იშვილეს ახალშობილი, სარგებლობენ ყველა შეღავათით, როგორითაც დედა სარგებლობს შვილის 8 წლის ასაკის მიღწევამდე.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს (მუხ. 233) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვას მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე, რაც გულისხმობს საქმის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირს) წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის საწყისებზე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის აღნიშნულ მუხლში როგორც ვხედავთ სქესს ხაზი ესმება, რითაც ქალის რაიმე დისკრიმინაციულ მდგომარეობას გამორიცხავს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული სახდელი პატიმრობის სახით არ შეიძლება შეეფარდოთ ორსულ ქალებს, ან დედებს, რომლებსაც ჰყავთ 12 წლამდე ასაკის ბავშვები, ხოლო 34-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება გადაცდომის ჩადენა ორსული ქალის ან იმ ქალის მიერ, რომელსაც ჰყავს 1 წლამდე ასაკის ბავშვი.

ასეთია ქალის სამართლებრივი მდგომარეობა ქართულ კანონმდებლობაში, რომელიც ემყარება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს.

ლიტერატურა:

1. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2004 წ. *1.* გვ. 82.
2. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2004 წ. *2.* გვ. 11; *5.* გვ. 57; *7.* გვ. 21; *17.* გვ. 19-20.
3. თქვენი უფლებები. თბ., 2002 წ. *3.* გვ. 13.
4. გ. გიორგაძე, ვ. თოდრია, ვ. ხმალაძე. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. თბ., 2001 წ. *4.* გვ. 51.
5. ვ. ლორია, მ. ბენდელიანი, ბ. გელაშვილი. „ადამიანის უფლებები და რელიგია“, თბ., 2004 წ. *6.* გვ. 140.
6. რ. დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ., 1993 წ. *8.* გვ. 18.
7. ჟურნალი „სამართალი“, თბ., 2001 წ. №12. *9.* გვ. 8. *10.*
8. სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბ., 2000 წ. *11.* გვ. 162.
9. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995 წ. *12.* გვ. 47-48.
10. ადამიანების უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები. თბ., 1998 წ. *13.* გვ. 141-182; *26.* გვ. 525.
11. საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების ადამიანთა უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონცეფციები“. 1998, *14.* გვ. 167.
12. საქართველოს ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები. თბ., 1998, *15.* გვ. 142.
13. კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. თბ., 2004, *16.* გვ. 143-149; *18.* გვ. 137.

14. თ. ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2001 წ. *19.* გვ. 140.
15. გ. მიქანაძე, ევროპის ომბუდსმენები, თბ., 1999 წ. *20.* გვ. 10; *23.* გვ. 307; *24.* გვ. 10.
16. საქართველოს კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის“ შესახებ. თბ., 1997 წ. *21.*
17. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. 2000 წ. *22.* გვ. 5; *25.* გვ. 5.
18. ლ. ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ძირითად ნაწილში. თბ., 2000, *27.* გვ. 132.
19. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბ., 2000 წ. *28.*
20. ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მესამე, თბ., 1911, *29.* გვ. 107.
21. გაზ. „კვალი“, №30, 1901 წ. *30.*
22. D. Thomas and M. Beeasiey. Domestic Violemce as Numan Rights issue 15 Hum. Rts Quarterty 36, 37 (1993). *31.*

თავი IV

სახელმწიფო და ადამიანის უფლებები

§1. სამართლებრივი სახელმწიფო და ადამიანის უფლებები

იურიდიულ და პოლიტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალისტები სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს[1] კონცეფციას ხშირად განიხილავენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებისა და დაცვის კონტექსტში. მისი ძირითადი შინაარსი სამართლის სფეროში აისახება სახელმწიფოთა საქმიანობაში. თუ როგორ თავსდება ხელისუფლების მოღვაწეობა ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართლის ჩარჩოებში.

მანამ, სანამ ადამიანის უფლებები მხოლოდ ქაღალდზე იქნება ფიქსირებული და ყოველდღიურ ცხოვრებაში არ იქნება რეალიზებული, სანამ არ მოიპოვებს უმაღლესი ფასეულობის სტატუსს, სანამ არ გახდება სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობის შემზღუდველი, საზოგადოება ვერ შეფასდება როგორც დემოკრატიული, ხოლო სახელმწიფო — როგორც სამართლებრივი.

სახელმწიფოს მხრიდან უფლებებისა და თავისუფლებების აღიარების და დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს ხელისუფლების შეზღუდვის თავისებურ მექანიზმს, რომელიც ყოველთვის მიისწრაფვის ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში გაძლიერებისა და გაფართოებისაკენ. სწორედ ამიტომ, აუცილებელი გახდა ახალი სამართლებრივი ხასიათის გარანტიების შექმნა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ მექანიზმების სრულყოფა.[2]

მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის საწყისები უნდა ვეძიოთ იმ პერიოდში, როცა ადამიანური ცივილიზაცია ჯერ კიდევ აკვანში იმყოფებოდა. იმ დროს ადამიანი უკვე ცდილობდა აეხსნა და გაეუმჯობესებინა მის მსგავს არსებებთან ურთიერთობის ფორმები, შეეგრძნო თავისი თუ სხვისი თავისუფლების, სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობისა და უსამართლობის, წესრიგისა და ქაოსის არსი. პირველყოფილი საზოგადოების (გვარი, ტომი, ტომთა კავშირი) ცხოვრების წესები (ჩვეები, ტრადიციები), რომლებიც განპირობებულნი იყვნენ და ეყრდნობოდნენ ავტორიტეტს საბოლოოდ ბუნებითი სამართლის ნორმებში აისახნენ. ისინი ასრულებდნენ ძირითად და უშუალო მომწესრიგებლის როლს ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობაში და გარკვეულ მომენტამდე ჰარმონიულად ათანხმებდნენ მათ.

სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდგომ ხელისუფლებამ შეძლო ბუნებითი სამართალი თავის საკუთრებად გაეხადა და ხელთ ეგდო თვით სამართლებრივი ნორმების შექმნის შესაძლებლობა. ამიტომაც სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ჯერ კიდევ ძველმა რომაელებმა შესთავაზეს კაცობრიობას. ჩამოყალიბდა ფორმულა „ვინ უნდა მეთვალყურეობდეს მათ, ვინც ჩვენ გვმეთვალყურეობს“?! ამ საკითხს პირველად პლატონმა მიაქცია ყურადღება, რაზედაც ცოტა ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

მომდევნო ეტაპზე სახელმწიფო გახდა შუამავალი ინდივიდსა და საზოგადოებას შორის და სამართლის ჰუმანური საწყისების გამოყენების გზით იგი საკუთარი მიზნების განხორციელების ძირითად ინსტრუმენტად გადააქცია. შემდგომი პერიოდიდან კაცობრიობა იძულებული გახდა ხელახლა დაეწყო შეთანხმების ოპტიმალური ფორმების ამჯერად უკვე პიროვნების, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის გონივრული შეთანხმების, მოთხოვნილებებისა და ინ-

ტერესების დაკმაყოფილების გზების ძიება და ამისათვის სამართალი გამოიყენა.

სამართლებრივ სახელმწიფოზე მოძღვრების წინაპირობად კანონის უზენაესობის, მისი ღვთაებრივი და სამართლიანი შინაარსის, კანონის სამართალთან შესაბამისობის აუცილებლობის იდეა შეიძლება მივიჩნიოთ. სამართლის, როგორც გარდუვალ ცხოვრებისეულ ამაოებაზე ამაღლებული მოვლენის, ჭეშმარიტი პატივისცემის პირველ მაგალითს გვაძლევს ანტიკური ისტორია: ბრძენმა სოკრატემ მიიღო სიკვდილი, არ ინდომა გასცლოდა სასამართლო განაჩენს (მიუხედავად მისი უსამართლობისა).

გაურკვეველია, თუ რატომ გაუსწორდა ასე მკაცრად ჰელეია სოკრატეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრული ბრალდების არც ერთი პუნქტი თითქმის არ დადასტურდა (ერთი გამონაკლისის გარდა გ.ლ.) მითუმეტეს, უფრო გაუგებარია სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი სოკრატეს სიკვდილით დასჯის შესახებ. იმ დროს ათენის სახელმწიფოში მხოლოდ და მხოლოდ ოთხი სახის დანაშაული — მკრეხელობა, სხვისი ქონების დატაცება, თავისუფალ მოქალაქეთა და მონათა გატაცება-გაყიდვა და სახელმწიფოს ღალატი ისჯებოდა სიკვდილით. რაც შეეხება სოკრატეს წინააღმდეგ აღძრული ბრალდების საფუძველზე მის დადანაშაულებას, ახალგაზრდობის გარყვნასა და ძველი ღმერთების ნაცვლად ახალი ღმერთების შემოღების ცდას, ეს ამ პერიოდის ათენის სახელმწიფოს კანონების მიხედვით დამნაშავის სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ათენის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს სოკრატეს სიკვდილით დასჯის შესახებ ბევრი ათენელი იმთავითვე უკმაყოფილოდ შეხვდა. ერთ-ერთი იყო კრიტონი, რომელიც სოკრატეს თავს დასტრიალებს სიკვდილით დასჯამდე, გულმოდგინედ ამზადებს ციხიდან გაქცევას და ცდილობს დაარწმუნოს იგი, რომ უსამართლო

განაჩენის აღსრულებისაგან თავის დასაღწევად ციხიდან გაქცევა უსამართლობა სრულებითაც არ იქნება. ათენის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით ასევე უკმაყოფილო იყო სოკრატეს კეთილისმსურველი აპოლოდორე. ის აშკარად გამოთქვამდა სინანულს, რომ ბრალდებულს სიკვდილი უსამართლოდ მიუსაჯეს, რაზედაც სოკრატეს ღიმილით უპასუხნია: „ჩემო ძვირფასო აპოლოდორე, შენთვის განა უფრო სასიამოვნო იქნებოდა სამართლიანად დავსჯილიყავ, ვიდრე უსამართლოდ?“. სოკრატემ ამით ეპოქალური პასუხი გასცა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უსამართლოდ ხელყოფას, რასაც შეიძლება დღესაც ჰქონდეს ადგილი.

სიკვდილით დასჯის წინ სოკრატეს ასე მიუმართავს ათენელებისათვის: „ვისაც რა ადგილი უკავია საზოგადოებაში, მას იგი უნდა მიაჩნდეს საუკეთესოდ, ანდა, ვინც სადაც დააყენა უფროსმა, ჩემი აზრით, ყოველგვარი საფრთხის მიუხედავად, იგი სწორედ იქ უნდა დარჩეს და არაფრად უნდა ჩააგდოს არც სიკვდილი და არც სხვა რამ, გარდა სირცხვილისა“.[3]

სახელმწიფოს ნორმალური განვითარების სამართლებრივი კანონების მნიშვნელობისა და მმართველთა თვითნებობის შეზღუდვის შესახებ პლატონი წერდა: „მე ვხედავ იმ სახელმწიფოს დაღუპვას უახლოეს დროში, რომელშიც კანონს ძალა არ გააჩნია და იმყოფება ვიღაცის ძალაუფლების ქვეშ. იქ კი, სადაც კანონი მმართველობის მბრძანებელია, ხოლო ისინი კი — მისი მონები, მე ვჭვრეტ სახელმწიფოს გადარჩენას და ყველა იმ სიკეთეს, რომელიც კი ძალუძთ ღმერთებს მიანიჭონ სახელმწიფოს“.[4] ანალოგიურ შეხედულებებს მისდევს არისტოტელეც, როდესაც ხაზს უსვამს, რომ „იქ, სადაც არ არსებობს კანონის ძალა, არა აქვს ადგილი სახელმწიფოებრივი წყობის არანაირ ფორმას“.

ანტიკური მოაზროვნეებისაგან მიიღეს ესტაფეტა ახალი დროის ევროპულმა მოძღვრებებმა. კ. იასპერსი სამართლებ-

რივად აღიარებდა ისეთ სახელმწიფოს, რომელშიც მოქმედებს კანონებზე დაფუძნებული თავისუფლება.[5] მკვლევარები თვლიან, რომ მისაბაძი პოლიტიკური თავისუფლების კლასიკური ტიპი ჩამოყალიბდა ინგლისში 700 წლის წინ. ჯერ კიდევ 1328 წელს ნორთჰემპტონის სტატუტში ნათქვამია, რომ სახელმწიფოს არანაირ განკარგულებას არ შეუძლია ზემოქმედება მართლმსაჯულებაზე. იმ დროისათვის, როდესაც ჯ. ლოკმა დაწერა თავისი პამფლეტი მთავრობაზე, ინგლისში უკვე ჩამოყალიბდა პოლიტიკური სისტემის ისეთი ტიპი, რომელშიც უკვე რეალური იყო სასამართლოსადმი პატივისცემა და ხელისუფლებასთან ურთიერთობაში თავშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების გარკვეული სისტემა.

ხელისუფლების დანაწილების, მოქალაქეთა უფლებითა და თავისუფლებით უზრუნველყოფის იდეებმა შემდგომი განვითარება ჰპოვეს შ. მონტესკიეს ნაშრომებში. „თუკი, — წერდა იგი, — კანონმდებელი და აღმასრულებელი ხელისუფლება გაერთიანდება ერთ პიროვნებაში, ან ერთ დაწესებულებაში, მაშინ თავისუფლება არ იქნება, რადგანაც იქმნება საშიშროება, რომ ეს მონარქი, ანდა ეს სენატი დაიწყებს ტირანული კანონების შექმნას, რათა ასევე ტირანულად გამოიყენოს ისინი. არ იქნება თავისუფლება იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო ხელისუფლება არ იქნება გამოყოფილი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. თუ იგი შეერთებული იქნება საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, მაშინ მოქალაქეთა სიცოცხლე და თავისუფლება აღმოჩნდება ბედის ანაბარად მიტოვებული, რადგანაც მოსამართლე კანონმდებელი იქნება. თუკი სასამართლო ხელისუფლება შეერთებული იქნება აღმასრულებელთან, მაშინ მოსამართლეს ექნება საშუალება გახდეს მჩაგვრელი“.[6]

სამართლებრივ სახელმწიფოზე მოძღვრების ფილოსოფიურ დასაბუთებას, მის სისტემურ ხედვაში უკავშირებენ კანტისა და ჰეგელის სახელებს. კანტი სახელმწიფოს

აღიქვამს, როგორც სამართლისა და კანონსდაქვემდებარებულ ადამიანთა ერთობლიობას. მისი კატეგორიული გონების ბრძანება მოითხოვდა ისეთ მოქცევას, რომ საკუთარი ინტერესების თავისუფალი გამოვლინება შეთავსებადი ყოფილიყო ნებისმიერი პიროვნების თავისუფლებასა და საყოველთაო კანონთან. ჰეგელისათვის სახელმწიფო იგივე იყო, რაც სამართალი, („თავისუფალი ნების არსებობა“), მაგრამ ყველაზე უფრო მეტად განვითარებული (სამართლის მთელი სისტემა), რომელიც თავის თავში მოიცავდა პიროვნებისა და საზოგადოების სამართალს, ამიტომაც, სამართლის სისტემა, ე.ი. სახელმწიფო, მისი დიალექტიკური გაგებით, არის რეალიზებული თავისუფლების სამეფო.

სიტყვათშეხამება, „სამართლებრივი სახელმწიფო“, პირველად გვხვდება გერმანელი მეცნიერების: კ. ველკერის (1813 წ.) და ი. ფრაიხერ ფონ არეტინის (1824 წ.) ნაშრომებში. მაგრამ აღნიშნული ტერმინი იურიდიულად პირველმა გააანალიზა და მეცნიერულ მიმოქცევაში შეიტანა მათმა თანამემამულემ რობერტ ფონ მოლემმა (1832 წ.). იგი განიხილავდა სამართლებრივ სახელმწიფოს, როგორც მუდმივად განვითარებადი მოძღვრების კატეგორიას სახელმწიფოზე და მიაკუთვნებდა მას მეხუთე ადგილს პატრიარქალური, თეოკრატიული, დესპოტური და ლიბერალური სახელმწიფოების შემდეგ. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროიდან დაწყებული იდეა სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ საუკუნეზე მეტ ხანს იყო გერმანული მეცნიერებისა და პოლიტიკოსების ყურადღების ცენტრში.

სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფილია სამართლებრივი სახელმწიფოს გერმანული იდეის განვითარების ოთხი ეტაპი: 1848 წლის რევოლუციამდე იგი ფორმირდებოდა, როგორც მისი შექმნის თეორიული და კონსტიტუციურ-პოლიტიკური საფუძველი. 1848 წლის პაულკირხენის კონსტიტუციის პროექტში იყო სამართლებრივი სახ-

ელმწიფოსა და დემოკრატიის იდეების გაერთიანების მცდელობა. 1871 წლიდან ხელისუფლების დანაწილების, კანონის ცნებისა და სასამართლო პროცესის პრინციპები დეტალურად მუშავდებოდა. 1919 წლის ვაიმარის კონსტიტუცია, რომელიც აერთიანებდა სამართლებრივ სახელმწიფოს და წარმომადგენლობით-საპარლამენტო ელემენტებს. დღეს მოქმედი ძირითადი კანონით გფრ სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოა. გერმანულ ლიტერატურაში მრავალგზის გამოთქმულია აზრი (იგი ფართოდაა გავრცელებული) იმის შესახებ, თითქოს პირველი სამართლებრივი სახელმწიფო გერმანიაში ჩამოყალიბდა 1880 წელს.

დასავლეთის მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემების ისეთი ტიპი, რომელთა მოწყობის პრინციპი მრავალ საკითხში შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეებს. გერმანიის, აშშ-ს, საფრანგეთის, ინგლისის, ავსტრიის, საბერძნეთის, ბულგარეთის, საქართველოს და მთელი რიგი სხვა ქვეყნების კონსტიტუციებსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში პირდაპირ თუ გადატანითი მნიშვნელობით დაფიქსირებულია, რომ მოცემული სახელმწიფოები სამართლებრივნი არიან.* ამ იდეის გავრცელებასა და პლანეტის მასშტაბით რეალიზაციას აქტიურად უწყობს ხელს გაერო თავისი ორგანიზაციული სტრუქტურებისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მეშვეობით.

* * *

იდეას სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ თვალსაჩინო ადგილი უკავია საერთო ცივილიზებულ ჰუმანისტურ

---

* ბევრ ქვეყანაში კონსტიტუციური ნება „სამართლებრივი სახელმწიფო" პრაქტიკულად ხორციელდება, ბევრი ქვეყნის სამართლებრივ აქტში ეს მხოლოდ იდეად რჩება.

აზროვნებაში, ვინაიდან ის ორიენტირებულია ისეთ სახელმწიფოებზე, სადაც პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობები სამართლის მკაცრ საფუძვლებს ემყარება და გამორიცხავს ურთიერთდაპირისპირებას. სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია უზრუნველყოფს პიროვნების ავტონომიას, ე.ი. განსაზღვრავს ადამიანის თავისუფლების გამოვლენის სფეროს, რომელშიც სახელმწიფოს ჩარევა არა მხოლოდ მიზანშეუწონლად, არამედ კანონსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არსებობს სამართლებრივი სახელმწიფოს ყველასთვის მისაღები განსაზღვრება. ეს აიხსნება სხვადასხვა ფაქტორების მოქმედებით, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: ისტორიული და კულტურული განვითარების განსაკუთრებულობა, დემოკრატიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ტრადიციები, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცულობის დონე, პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების თავისებურება, განსხვავება სამართლის ცნებასა და სამართლის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების და კავშირების უნივერსალურ-სოციალური საშუალების გააზრებას შორის. ამასთან ერთად, რამდენადაც უნდა განსხვავდებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს განსაზღვრების დეფინიციები, შეიძლება გამოვყოთ ზოგიერთი საერთო თვისება. ამ პოლიტიკურ-სამართლებრივი მოდელის საბოლოოდ დასრულებას უკავშირებენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მაქსიმალურ უზრუნველყოფას, სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მოქალაქის წინაშე და მოქალაქის პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე, კანონის უზენაესობას და მის მკაცრ დაცვას ყველა სახელმწიფოებრივი ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, კოლექტივისა და მოქალაქის მიერ, სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურ მუშაობას.

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ემყარება საერთო ფილოსოფიურ წარმოდგენას სამართალზე, როგორც უმაღლეს ღირებულებაზე, რომელსაც თავისი შინაარსი აქვს.

თავისი არსებობის მანძილზე სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტრუქციამ თანდათან მიიღო უფრო ფორმალიზებული, სრულყოფილი სახე. სამართლებრივი სახელმწიფოებრიობა ობიექტურად ვარაუდობს ინდივიდის ავტონომიურობას და პოლიტიკურ თავისუფლებას, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმეებში პრიორიტეტს ანიჭებს პიროვნების სოციალურ მიზნებს.

კატეგორიები, „საერთო კეთილდღეობა“ და „უმაღლესი სამართლიანობა“, თავისი განუსაზღვრელობის გამო, ადგილს უთმობს სამართლებრივი სახელმწიფოს „კლასიკურ“ ნიშნებს. ამ პროცესის დასაწყისს საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ, ორატორმა და იურისტმა მ. ციცერონმა. ის სახელმწიფოს (respublica) განსაზღვრავს, როგორც ხალხის საკუთრებას (res populi). მისი თვალსაზრისით, „ხალხი არის ადამიანთა არა ნებისმიერი კავშირი, არამედ ადამიანთა მასიური გაერთიანება, რომლებიც ერთმანეთთან სამართლითა და ინტერესების ერთობით არიან დაკავშირებულნი“.[7] თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, ციცერონი სახელმწიფოს განიხილავს არა როგორც საერთო ინტერესების შემცველს, არამედ როგორც განსაზღვრულ სამართლებრივ წარმონაქმნს, როგორც ზოგადად მათლწესრიგს. ციცერონის მიხედვით, სამართალს საფუძვლად უდევს არა მხოლოდ ბუნებისთვის ჩვეული, არამედ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი არამთლიანობა. მისი აზრით, ფიზიკური და სოციალური სამყარო, თვით ადამიანის ყოფა, სული და სხეული, მიკრო და მაკროკოსმოსის — სამართლის ჭეშმარიტი წყაროა. ციცერონი მიესალმება მოქალაქეთა პოლიტიკურ აქტიურობას. იგი დგას სახელმწიფოს იურიდი-

ზაციის სათავეებთან, რომელიც შემდეგ სამართლებრივ სახელმწიფოდ გარდაიქმნა.

სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი, არსებითი საკითხი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარებასთან, მათ თეორიულ გააზრებასთან ერთად გახდა ხელისუფლების და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა. მისი გადაწყვეტა წარმოქმნის სახალხო სუვერენიტეტის იდეას, რომელიც თავისი არსით სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ ნიშანს წარმოადგენს.

სახალხო სუვერენიტეტი ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ძალაუფლების წყარო არის მხოლოდ ხალხი. მის ბრუნვაში თავისთავად მოიაზრება უფლებებითა და თავისუფლებებით აღჭურვილი ადამიანი, ადამიანთა ჯგუფები და მთელი საზოგადოება. ეს გაბედული აზრი თავის დროზე შუასაუკუნეების ცნობილმა მეცნიერმა მარს დიუს პადუელმა წამოაყენა. „მშვიდობის დამცველის“ ავტორი თვლიდა, რომ სახელმწიფოს სუვერენია ხალხი – კანონმდებელი. ეს იყო საერთო ახალი ჰუმანისტური გაგება ადამიანის, როგორც საკუთარი ბედ-იღბლის შემქმნელის და შემოქმედისა.

ეს კონცეფცია გაიზიარა და შემდგომ განავითარა ჟანჟაკ რუსომ. სუვერენიტეტის მისეული გაგება ეფუძნება იმას, რომ სახელმწიფო (რესპუბლიკა) წარმოადგენს საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგს. სუვერენული ხელისუფლება უნდა გავიგოთ, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის გამოხატვა. სახელმწიფოში ყოველი ადამიანი იძენს მოქალაქეობრივ თავისუფლებას თავისი საკუთარი დამოუკიდებლობის ნაცვლად. რუსოსთან „საერთო ნება“ გარდუვლად იღებს სამართლებრივ ხასიათს და ბუნებითი სამართლის ჩარჩოებში თავსდება. თანაც, სუვერენული ხელისუფლება სამართლის სამსახურშია და სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ორგანიზმი, წყვეტს არსებობას, თუ სუვერენობა არ

გამოხატავს ხალხის საერთო ნებას. სახელმწიფო ხელისუფლება და მართვა-გამგეობა ლეგიტიმური უნდა იყოს.

ეს და მსგავსი თეორიული წანამძღვრები ზოგიერთ სამართლებრივ დოკუმენტშიც აისახა. აშშ-ის წარმომადგენელთა დამოუკიდებლობის დეკლარაცია მოიცავს შემდეგ დებულებას: „ჩვენ ვთვლით თვით სიცხადედ შემდეგ ჭეშმარიტებას: ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორად, რომელსაც მინიჭებული აქვს (თანდაყოლილი) განუსხვისებელი უფლებები სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე და ბედნიერებისაკენ სწრაფვაზე. ამ უფლებების უზრუნველყოფისათვის ადამიანები ქმნიან მთავრობას, რომელიც იღებს თავის თავზე სამართლიან მმართველობას ადამიანთა თანხმობით...“ სამართლებრივი სახელმწიფოსათვის აუცილებელია სახალხო სუვერენიტეტი, როგორც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წყარო და საფუძველი. სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობას, დამოუკიდებლობას, სისრულეს, საყოველთაობას და განსაკუთრებულობას.

სამართლებრივ სუვერენიტეტში მოიაზრება ეროვნული სამართლებრივი სისტემის რეალიზაციის შესაძლებლობა ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო სამართლის ჭრილში ადამიანის საყოველთაო უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში.

ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს უკავშირდება სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთი ნიშანი, როგორიცაა კანონის უზენაესობა, ვინაიდან სუვერენიტეტი გულისხმობს უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივ ორგანიზაციას, მისი განხორციელების იურიდიულ პროცედურას, პიროვნების და ხელისუფლების ურთიერთობის პრინციპებს. სახელმწიფოს, როგორც იურიდიულად ორგანიზებული საზოგადოებრივი მთლიანობის, საქმიანობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ სამართლებრივი ფორმით და სამართლის

შესაბამისად — ეს მთლიანად ეხება როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, რითაც აღიარებულია კონსტიტუციის დომინირება სხვა ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების პრიმატის გათვალისწინება შიდა კანონმდებლობის სისტემაში.

თეორიულად კანონის უზენაესობა გამოიხატება იმით, რომ ის წარმოადგენს არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი ნების პროდუქტს, არამედ ინდივიდების სამართლცნობიერებით ჩამოყალიბებული იდეის რეალიზაციას, რომელთანაც სახელმწიფო საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში იმყოფება.

სამართლის გენეზისი კონტინენტური ევროპის ქვეყნებში პირობითად შემდეგი სქემით მიმდინარეობს: თავდაპირველად საზოგადოებაში წარმოიშვება სამართლებრივი იდეები, რომლებიც მტკიცდებიან იურიდიულ ნორმებში, ხოლო შემდეგ სამართლის სუბიექტების კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში რეალიზდებიან.

მაშასადამე, სამართლებრივი სახელმწიფო იღებს მკაცრი კანონიერების ფორმას. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გაფართოებით ხასიათდებოდა XII საუკუნის ქართული სამართალი, — მინიმუმამდე შემცირდა სხვისი ქონების ხელყოფა, აიკრძალა სიკვდილით დასჯა, გაუმჯობესდა ქალის სამართლებრივი მდგომარეობა, რაზედაც საუბარი მაშინდელმა ცივილიზებულმა სამყარომ ცოტა მოგვიანებით დაიწყო. უფრო მეტიც, ჯორდანო ბრუნოს მაშინდელი ქართული სახელმწიფო და ეკლესია კოცონზე არ დაწვავდა, რადგანაც, ალბათ ყველა მოაზროვნე ქართველი გაიაზრებდა დედამიწის რეალური ფორმით არსებობას.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დიდი გარანტის სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია **ხელისუფლების დანაწილება**. ამ კონცეფციის დამფუძნებლად ითვლება ცნობილი ფრანგი განმანათ-

ლებელი მონტესკიე. თუმცა მანამდე მსგავსი მოსაზრებები გამოთქვა ჯ. ლოკმა, უფრო ადრე პოლიბიოსმა.** თავის დროზე ხომ რომის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობაც ხელისუფლების განაწილების საწყისებზე იყო დაფუძნებული. მონტესკიეს აზრით, ვერც ერთი სახელმწიფო წყობა ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ ადამიანს ბუნებითი თავისუფლება ექნება. ასეთი გარანტიების რეალურად არსებობისათვის აუცილებელია ხელისუფლების იმდაგვარი მოწყობა, რომ მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა გამოირიცხოს. ეს კი მისი კონცეფციით მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ ძალაუფლების სხვადასხვა შტო განაწილებული იქნება უწყებებს შორის, აუცილებელია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება სხვადასხვა უწყებას ეკუთვნოდეს. ეს სამი ხელისუფლება აწონასწორებს და აკავებს ერთიმეორეს. თუ ეს პირობა არ იქნება დაცული, მაშინ თავისუფლება ნებისმიერი ფორმის სახელმწიფო წყობის დროს დაიკარგება.[8]

ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ XII საუკუნის საქართველოში შეიქმნა ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა, რომელიც ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნით გამოდიოდა.

ამიტომაა მეცნიერ-მკვლევართა მიერ შეფასებული ყუთლუ-არსლანის და მის „მოდასეთა“ გამოსვლა ეპოქისათ-

---

* შარლ ლუი დე სეკონდა ბარონი დე ლა ბრედი და დე მონტესკიე (1689-1755) დაიბადა ბედიის ციხე-სიმაგრეში, ქ. ბორდოს ახლოს, დაამთავრა ბორდოს უნივერსიტეტი სამართლის დარგით.

** ბერძენი ისტორიკოსი, პოლიბიოსი (201-120 წწ.) თხზულებაში „საყოველთაო ისტორია“ იხილავს ცალკეული ქვეყნების ისტორიის მაგალითზე მმართველობის ფორმებს, სადაც უპირატესობას ანიჭებს მონარქიული, არისტოკრატიული და დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს, ასეთად იგი რომის სახელმწიფოს მიიჩნევდა.

ვის წინსწრებად,[9] რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის სერიოზულ პრეტენზიად განიხილება.

ასეთი სახელმწიფოებრივი მექანიზმის შექმნის იდეა გამორიცხავს ძალაუფლების თავმოყრას ერთ ხელში. ხელისუფლების ყველა შტო (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) დამოუკიდებელია, აქვს თავისი კომპეტენცია და სხვების საქმიანობაში არ ერევა.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.

დემოკრატიზაციის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პროკურატურის სისტემაში. საქართველოში 2000 წლის 15 იანვარს გადაწყდა გენერალურ პროკურატურაში ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების შექმნა.

ხელისუფლების დანაწილების კონცეფციის ერთ-ერთი ვარიანტი ვარაუდობს ე.წ. „თავშეკავების და საპირწონეების სისტემის“ შექმნას, როდესაც ხელისუფლებას გააჩნია მრავალი შესაძლებლობა აკონტროლოს და შეზღუდოს ერთმანეთი. ასეთი სახელმწიფოებრივი მექანიზმი ფუნქციონირებს აშშ-ში. მეორე ვარიანტი ვარაუდობს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს, საკანონმდებლო პრიორიტეტს, რაც დამახასიათებელია, მაგალითად, ინგლისისათვის.

ძალაუფლების დაბალანსება ეფუძნება სახალხო სუვერენიტეტს, რაც ზოგ თანამედროვე სახელმწიფოში კონსტიტუციურად არის განმტკიცებული. იდეის მიხედვით, საკანონმდებლო ხელისუფლებამ უნდა მიიღოს კანონები, აღმასრულებელმა — ორგანიზაცია გაუკეთოს მის შესრულებას, ხოლო სასამართლომ — კანონით გადაწყვიტოს დავა უფლებებზე.

საქართველოს კონსტიტუცია გარანტად დგება ხელისუფლების რეალური დანაწილების პრინციპის განხორციელების საქმეში, „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“.[10]

ამჟამად შეინიშნება აღმასრულებელი ხელისუფლების გააქტიურება, რომელიც თანდათან აფართოებს თავისი საქმიანობის ასპარეზს. ეს ობიექტური კანონზომიერებაა, ვინაიდან თანამედროვე სახელმწიფოს ცხოვრება უფრო რთულდება და მოითხოვს ხელისუფლების ოპერატიულ ჩარევას, რომელიც წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, მთავრობის ფუნქციას, ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის, რომ აღმასრულებელი სახელისუფლებო ორგანოების საქმიანობა ხორციელდებოდეს სამართლებრივ ფორმებში საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული აქტების საფუძველზე.

უნიტარულისაგან განსხვავებით, ფედერაციულ სახელმწიფოში ძალაუფლების „ჰორიზონტალურ“ გაყოფასთან ერთად გამოიყენება „ვერტიკალური“ გაყოფის პრინციპი ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის.

სახელმწიფოსა და საინფორმაციო საშუალებებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება.

სახელმწიფო ხელისუფლების სამ ტრადიციულ შტოსთან ერთად (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) გასათვალისწინებელია ე.წ. „მეოთხე ხელისუფლების“ ფუნქციონირება. საზოგადოებრივი აზრის, საინფორმაციო საშუალებების, „მასმედიის“ (პრესის) როლი და მნიშვნელობა, ადამიანის უფლებებისა და თაისუფლებების დაცვის სფეროები მაკონტროლებელი ორგანოების, სამართალდამცავ ორგანოებსა და ძალისმიერ სტრუქტურებთან ურთიერთობაში.

სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ნიშანია ადამიანის ბუნებითი უფლებების და თავისუფლებების აღიარება და მათი დაცვის რეალური უზრუნველყოფა. ადა-

მიანის უფლებები არის სამართლებრივი სახელმწიფოს კვინტესენცია, საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ცნობილმა სოფისტმა პროტაგორამ (481-811 წ. ძვ. წ. აღ.) ჩამოაყალიბა შემდგომი ეპოქებისათვის მნიშვნელოვანი ფორმულა: „ადამიანი საზომია ყველა საგნისა“. დროთა განმავლობაში შემოვიდა იმის გაგება, რომ ადამიანის უფლებების საუკეთესო გარანტია შეიძლება იყოს კანონი, რომელიც იცავს პიროვნების ინტერესებს.

ამასთან დაკავშირებით, მართებულია გავიხსენოთ გერმანელი ფილოსოფოსის ი. კანტის (1724-1804 წწ.) მოსაზრებანი, რომლებიც უკვე მე-19 საუკუნის პირველ მესამედში სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიად იყო აღიარებული. მისი აზრით, პოზიტიური კანონმდებლობის ნორმები იმდენად წარმოადგენს სამართალს, რამდენადაც ისინი შეესაბამება გონებას, რომელიც ადამიანს თავისუფლების გარანტიას აძლევს. სამართალი აწესრიგებს ურთიერთობებს, ინდივიდებს, თავისუფალი ნების მატარებლებს შორის და საბოლოოდ გამოდის პირობების ერთობლიობით, რომელიც ნებას რთავს, ერთი პირის თავისუფლება შეთავსებულ იქნეს სხვა პირის თავისუფლებასთან საყოველთაო კანონის თვალსაზრისით. მაშასადამე, სამართალი, კანტის მიხედვით, არა მხოლოდ გარეგანი თავისუფლების ფორმალური პირობაა, არამედ მისი ყოფის არსებითი ფორმაც არის. გონებით წარმოშობილ ქცევის წესებს კანტი „იმპერატივს“ უწოდებს.

კონტინენტურ ევროპაში დომინირებს სამართლებრივი სახელმწიფოს გერმანული მოდელი, რომელიც რაციონალურ ტრადიციას ემყარება. მისი საფუძველია კანტის, უმეტესად კი ჰეგელის ფილოსოფია. ჰეგელს კაცობრიობის ევოლუცია მიაჩნდა, როგორც თავისუფლების თანამიმდევრული განვითარება თვითნებობის დაძლევის გზით. გერმანული იურისპრუდენციისათვის (და არა მხოლოდ მისთვის) დამახასიათებელია სამართლის, სახელმწიფოს, თავისუფლების, რო-

გორც რაღაც განუყოფელი და შესატყვისი კატეგორიების ინტერპრეტირება. სამართლებრივი სახელმწიფოს ეს ვერსია დიდი ლიბერალური პოტენციალის შემცველია.

სამართლებრივ სახელმწიფოში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ პატერნალისტურ გუნება-განწყობილებას, რომელთა თანახმად სახელმწიფო მოქალაქეებს რაღაც უფლებებით და თავისუფლებებით „ასაჩუქრებს“. ადამიანს დაბადებისთანავე ენიჭება სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების, ბედნიერებისაკენ სწრაფვის ბუნებითი უფლებები. ისინი თვითცხად აპრიორულ ჭეშმარიტებას წარმოადგენენ და დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოს კონსტიტუციაში აისახებიან. გარდა ამისა, ინდივიდი არის პოლიტიკური კავშირის (სახელმწიფოს) წევრი და გამოდის, როგორც მოქალაქე. სახელმწიფოს და მოქალაქის ურთიერთობები უნდა ემყარებოდეს სამართლის მყარ საფუძველს და წარმოადგენდეს საჯარო-სამართლებრივ კავშირს, რომელიც ბუნებითი უფლებების და თავისუფლების ურთიერთაღიარებას ვარაუდობს. ამ დოქტრინიდან გამომდინარეობს განუსხვისებელი და თანდაყოლილი ადამიანური ღირსების ცნება, რომლის მიხედვითაც ხელისუფლებას იმდენი უფლება აქვს ადამიანის მიმართ, რამდენსაც კანონი ანიჭებს. ამას სხვაგვარად შეზღუდული უფლების პრინციპსაც უწოდებენ. რაც შეეხება ადამიანს, მას აქვს ყველა ის უფლება, რასაც კანონი არ უკრძალავს.

სპეციალისტები ადამიანის უფლებებში ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ: მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებებს. მატერიალურ უფლებებში მოიაზრება პირადი ანუ სამოქალაქო უფლებები და თავისუფლება, რაზედაც ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი. რაც შეეხება საპროცესო უფლებებს, მათ ადამიანები მოქმედებაში მოიპოვებენ და მათი დახმარებით თავს იცავენ ხელისუფლების მხრიდან უხეში ჩარევისაგან. ადამიანის უფლებათა

დაცვის საპროცესო გარანტიებს მიაკუთვნებენ საკონსტიტუციო სასამართლოს, სახალხო დამცველის და სხვა სამთავრობო ანალოგიურ ინსტიტუტებს, ამაში შედის რეფერენდუმის მოწყობის უფლებაც და ა.შ.

სამართლებრივი სახელმწიფოს სხვა მნიშვნელოვან ნიშნებს მიეკუთვნება განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობა და დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ძალაუფლების თავმოყრას ერთი პირის, ან ორგანოს ხელში. კონსტიტუციური კანონების უზენაესობა და სამართლიანობა, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ლეგიტიმურობა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დავის გარანტიაა. სასამართლოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალების, ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოს უზენაესობას.

სახელმწიფოს არ შეუძლია (მით უმეტეს სამართლებრივს) არსებობა მდგრადი პოლიტიკური ინსტიტუტების, ორგანიზაციის, დაწესებულების, გაერთიანების და ერთობების გარეშე. ისინი ასრულებენ საზოგადოებისათვის აუცილებელ ფუნქციებს. ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურა სამი ელემენტისაგან შედგება: საზოგადოების პოლიტიკური სისტემა, ადამიანთა პოლიტიკური მოღვაწეობა, პოლიტიკური კულტურა. სამივე ელემენტი ერთმანეთიდან გამომდინარეობს და ერთმანეთს განაპირობებს. რაც შეეხება საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას, იგი არის პოლიტიკური ურთიერთობების, მათი მომწესრიგებელი ნორმების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და სოციალური ინსტიტუტების ერთობლიობა. იგი შესაბამისად დაკავშირებულია პოლიტიკური თეორიებისა და იდეების ფორმირებასთან, ადამიანთა აქტივობასა და საქმიანობასთან, მათი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციასთან.

სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიის ნაირსახეობას წარმოადგენს განვითარებული და ზუსტად განსაზღვრული სამართლებრივი სისტემა, ანუ „სამართლის უზენაესობის“ კონცეფცია,[11] რომელიც ჩამოყალიბდა ლიბერალური პარადიგმის ჩარჩოებში და უპირველეს ყოვლისა, ანგლო-საქსური სამართალ-პოლიტიკური ტრადიციისათვის არის დამახასიათებელი. შედარებით სამართლისმცოდნეობის დარგის ცნობილი სპეციალისტის რ. დავიდის სამართლიანი შენიშვნის მიხედვით, „საერთო სამართალს დღემდე აზის თავისუფლების ბეჭედი“,[12] რადგანაც თანამედროვე სამართლებრივ რუკას კომპლექსურად შეისწავლის შედარებითი სამართლმცოდნეობა (ლათ. comperetirus). შედარებითი სამართალმცოდნეობა ადგენს და იკვლევს იმას, რაც საერთოა ორი ან მეტი სამართლის სისტემისათვის, განსაზღვრავს მათ ბუნებას, ფორმას, როლს, აგრეთვე, გამოყოფს შესადარებელი სამართლის სისტემის სპეციფიკურ თავისებურებას. ამით უკეთ შეისწავლება მთლიანად სამართალი, როგორც თანამედროვე საზოგადოების, სამართლებრივი სახელმწიფოს სულიერი კულტურის ფენომენი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საიმედო გარანტი. შედარებითი სამართალმცოდნეობა არა მხოლოდ ხელს უწყობს „სამართლის უზენაესობის“ თეორიის გაღრმავებას, არამედ საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყნების იურისტებს, სრულყონ თავიანთი ეროვნული სამართალი და ჩამოაყალიბონ ისეთი სამართლებრივი სისტემა, სადაც „სამართლის უზენაესობა“ დამკვიდრდება, რომელიც ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის, მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი დონის მიღწევას და სამართლებრივი სახელმწიფოს პრაქტიკულ არსებობას. გარდა ამისა, შედარებითი სამართალმცოდნეობა ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას, ერთიანი მსოფლიო სა-

ზოგადოების, ურთიერთდამოკიდებული სახელმწიფოს ხალხის ცხოვრების ოპტიმალური სამართლებრივი რეჟიმის დაცვას.

ინგლისური სამართლებრივი სისტემა ჩამოყალიბდა მოსამართლეების მიერ და ახლაც, პრეცენდენტული სამართალი არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების უდიდეს სფეროს. სასამართლო პრაქტიკის როლი არსებითი და მნიშვნელოვანია დღესაც. ისე მოხდა, რომ თავდაპირველად ინგლისში, შემდეგ კი აშშ-ში სამართლის უზენაესობის იდეა იყო მატერიალიზებული, ძლიერი, დამოუკიდებელი სასამართლოს ინსტიტუტში, რომელიც ინდივიდს და ხელისუფლებას, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალურს შორის თავისებური ბუფერი გახდა. საზოგადოებრივ ცნობიერებაში და სამართლებრივ სისტემაში განმტკიცდა პიროვნების ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის თეზისი. მსგავსი პოზიცია გამოიხატება კანონებისა და სახელისუფლებო ინსტიტუტების განკარგულებებისადმი ფრიად ფხიზელი დამოკიდებულებით, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის ალბათობა აქტუალურია ყოველთვის ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმის დროს. საზოგადოებრივი ცნობიერება მუდმივად უკეთებს დემონსტრირებას ნდობის უმაღლეს ფაქტორს, უპირველეს ყოვლისა სასამართლოს მიმართ და ადამიანის უფლებების ყველაზე მნიშვნელოვან გარანტად მიიჩნევს მას. ამგვარად, თანდათან ჩამოყალიბდა შეზღუდული სახელმწიფოს იდეა.

ყურადსაღებია, რომ „სამართლის უზენაესობის“ თეორია და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ერთი სულიერი წყაროდან — აღორძინების ფილოსოფიიდან იღებს სათავეს. ამასთან ერთად, სამართლებრივი სახელმწიფოს რომანულ-გერმანულ თეორიას აქვს მკაფიოდ გამოსახული რაციონალური ასპექტი, ვინაიდან საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება მხოლოდ პოზიტიური სამართლის საშუალებით მოიაზრება. ამ თვალსაზრისით სამართალი აღიქმება,

როგორც თავისებური დისციპლინარული სოციალური სისტემა. არსებითად, გერმანული სამართლებრივი სახელმწიფო არის განმტკიცებული „მართლწესრიგის განსახიერება“ და სხვა არაფერი. ის გამოიყურება, როგორც კანონწესრიგის სახელმწიფო, ხოლო მისი ანგლოსაქსური ვერსია ვარაუდობს შეზღუდულ სახელმწიფოს და თავისუფალ სამართლებრივ საზოგადოებას. უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფოს ენიჭება არბიტრის, შუამავლის როლი, რომელიც სამართლებრივ კონფლიქტში ჩაერევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამოწურულია ყველა სხვა შესაძლებლობა და საჭირო ხდება მოთხოვნილება აქტიურ უფლებრივ მოქმედებაში.

სამართლის უზენაესობის კონცეფცია ფრიად თანამიმდევრულად გამოხატავს თავდადებას კლასიკური ლიბერალიზმის იდეებისადმი. ჯ. ლოკმა, ადამიანის ბუნებითი უფლებების თავისი ცნობილი ტრიადის — „სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება“ — დასაბუთებით ბუნებრივად გამოაცხადა კერძო სამართლის ძირითადი პრინციპები, დაამტკიცა მათი პრიორიტეტულობა პოზიტიური სამართლის მიმართ. ამ პრინციპების დაცვით იზღუდება სახელმწიფოს უფლებები, ამიტომ ლოკის იდეალია სამართლებრივი საზოგადოება, რომლის არსებობის ერთ-ერთი პირობა შეზღუდული სახელმწიფოა. საჯარო სამართლით განსაზღვრული ხელისუფლების და პიროვნების ურთიერთობები აღიარებული შეიძლება იყოს იმდენად, რამდენადაც ისინი კერძო სამართლის სფეროში ბუნებრივად ჩამოყალიბებულ პრინციპებს აღიქვამენ. ინდივიდის და სახელმწიფოს კონფლიქტი ღებულობს ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს შორის კოლიზიის ფორმას, ამ შემთხვევაში სამართალს ყოველთვის ეკუთვნის საბოლოო სიტყვა, ვინაიდან თავისუფლება ინდივიდუალურია და უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს. „სამართალს სხვა რა აქვს საგნად, თუ არა მართლის მფარველობა“,[13] — წერდა ილია ჭავჭავაძე.

შეუძლებელია არ განვიხილოთ სამართლის უზენაესობის კონცეფციის სწრაფვა პიროვნების ინტერესების დასაცავად. სამართალი ამ შემთხვევაში არის საზოგადოების მოღვაწეობის პროდუქტი, ხოლო სახელმწიფოს ფაქტორი სამართლის ჩამოყალიბებაში ფრიად უმნიშვნელოა და ფორმალური. „სამართლიანობას ყოველთ უწინარეს, ხელთ უნდა ეჭიროს სასწორი საზოგადოებრივის საქმის განაჩენისათვის“.[14] ილია ჭავჭავაძის ეს შეფასება კარგად ეხმიანება სამართლის უზენაესობის იდეას, რომელიც წარმოქმნის ძალიან მოქნილ, სიახლეების ამთვისებელ სამართლებრივ სისტემას. ეს უკანასკნელი, მისი სირთულის მიუხედავად, საიმედო გარანტია ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ამ თეორიულ კონსტრუქციას აქვს სუსტი მხარეები, და მაინც, სამართლის უზენაესობის იდეას გარდაუვალი ჰუმანისტური მნიშვნელობა ენიჭება. ეს არის თავისებური სამართლებრივი ორიენტირი, ეტალონი, მიზანი, რომლისკენაც საჭიროა სწრაფვა. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სამართალს ნამდვილად აქვს მაღალი სოციალური ღირებულება. „სამართლის უზენაესობის“ კონცეფცია ანაყოფიერებს სამართლებრივი ინსტიტუტების ევოლუციას, აგულიანებს უსასრულო სრულყოფისათვის პროგრესის და თავისუფლების გზაზე. სამართლისა და კანონის უზენაესობა არის სამართლებრივი სახელმწიფოს ერთი მედლის ორი მხარე, რომლებიც პრინციპში შერწყმული უნდა იყოს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთიან ცნებაში, სადაც სახალხო სუვერენიტეტის, კანონისა და სამართლის უზენაესობის, ხელისუფლების დანაწილების პრინციპით მაღალ დონეზეა უზრუნველყოფილი ადამიანის, მოქალაქისა და საერთოდ პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

და ბოლოს, კიდევ ერთ ნიშანზე შეიძლება საუბარი, ესაა:

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგება, რაც გულისხმობს საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად, ადამიანის კონსტიტუციურ, რელიგიური უფლების დაცვასა და უზრუნველყოფას.

რელიგიური წარმოდგენები სათავეს იღებს სახელმწიფოს წარმოშობამდე, მაგრამ სრულყოფილებას იგი აღწევს სწორედ სახელმწიფოებრიობის პირობებში. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ რელიგია რწმენის სფეროა და არა ცოდნის. ე.ი. რელიგია არის ზებუნებრივი ძალების რწმენა, სადაც ერთიანდება შეხედულებები, ემოციები და კულტი. ნებისმიერი რელიგია რწმენის მეშვეობით ცდილობს განსაზღვროს ადამიანის ადგილი და დანიშნულება სამყაროში, თუ როგორ და რისთვის უნდა იცხოვროს, ეს კი მოითხოვს გარკვეული ზნეობრივი ნორმების დაწესებას, რომელთა დაცვა და შესრულება ადამიანს მიიყვანს სასურველ მიზნამდე. ამისათვის რელიგია აყალიბებს მცნებებს, რომლებიც შეიცავენ მოთხოვნებს, რა უნდა აკეთოს და რა არ უნდა აკეთოს ადამიანმა. ილია ჭავჭავაძე წერდა: „ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ქრისტიანობა ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელი საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას, დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან – გაქართველდაო“.[15]

დიდი ილიას სიტყვებიდან გამომდინარე, ქვეყანაში ქრისტიანული რელიგია სახელმწიფოს ეხმარება ზნეობრიობაში. ამიტომ სამართლებრივ სახელმწიფოში მხარს უჭერენ ძირითადი რელიგიის განვითარებას, ხელს არ უშლიან დასაშვებ რელიგიურ მიმდინარეობებს, რაც არ ნიშნავს ქვეყანაში ამ კუთხით ქაოსსა და გაუგებრობას, პირიქით, სამართლებრივ სახელმწიფოში ისინი მკვეთრადაა გამიჯნული

სახელმწიფო რელიგიისაგან და მათ შორის ურთიერთობა კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

მსოფლიოს უდიდესი რელიგიების ფუძემდებლები ქადაგებდნენ, რომ ადამიანს პატივისცემითა და თანაგრძნობით უნდა მოვექცეთ, ეს კი ნიშნავს რელიგიის თავისუფლებას, ანუ ადამიანის უფლებას საკუთარი ნებასურვილით შეცვალოს ან აღიაროს ნებისმიერი რელიგია ან მრწამსი და გამოხატოს ის ღვთის სამსახურის, რიტუალურ წესჩვეულებათა დაცვის და მათი აღსრულების დროს. იგი გულისხმობს მორწმუნის და აგრეთვე, არამორწმუნის თანასწორობას კანონის წინაშე. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ რელიგიური და პოლიტიკური უფლებები ერთმანეთთან განუყოფლადაა დაკავშირებული. ის გარემოება, რომ რელიგიის თავისუფლება კანონიერი ძალის მქონე პრინციპს წარმოადგენს, აღიარებულია თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ და ითვლება XX საუკუნის ერთ-ერთ მთავარ მონაპოვრად.[16]

კონსტიტუციურად „სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან“.[17]


კონსტიტუციის მე-9 მუხლით ეს პრინციპები განსაზღვრულია კანონით, რის საფუძველზედაც საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, 2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ხელმოწერილი იქნა კონსტიტუციური შეთანხმება, რითაც სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

ე.ი. სამართლებრივია სახელმწიფო, რომლის სუვერენიტეტი აბსოლუტურად დაცულია, აღიარებული და გარანტირებულია კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება, პიროვნების ბუნებითი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება და მათი დაცვის რეალური უზრუნველყოფა, სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული, პოლიტიკური და რელიგიური ინსტიტუტების არსებობა, განვითარებული და ზუსტად განსაზღვრული სამართლებრივი სისტემა. ასეთ სახელმწიფოში მოქალაქეებსა და სახელმწიფოს ერთმანეთის მიმართ აქვთ უფლებები და ეკისრებათ შექცევადი ურთიერთპასუხისმგებლობა.

საბოლოოდ, სამართლებრივ სახელმწიფოსთან მიმართებაში ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ა) სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის პირველი სურვილები გაჩნდა პლატონისა და არისტოტელეს შრომებში. ბ) სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა მეცნიერულად დაამუშავა შ.ლ. მონტესკიემ. გ) სამართლებრივი სახელმწიფოს ფილოსოფიური დასაბუთება მოგვცეს კანტმა და ჰეგელმა. დ) სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის პრაქტიკული განხორციელება მოხდა გერმანიაში, ავსტრიაში, ამერიკაში, ინგლისში და რიგ სხვა ქვეყნებში.

ასეთია სამართლებრივი სახელმწიფოს არსი და დამახასიათებელი ნიშნები, როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უპირველესი გარანტი.

სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშნები



§2. ადამიანის უფლებები და სამოქალაქო საზოგადოება

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტად მოიაზრება სამოქალაქო საზოგადოება, რომლის ჩამოყალიბების (Civil society) იდეას განვითარების ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. იგი ხასიათდება ყველა დროის მოაზროვნეთა მისწრაფებით — შეექმნათ მოდელი რეალური იდეალური საზოგადოებრივი წყობისა, სადაც უნდა ებატონა ადამიანის აზროვნებას, თავისუფლებას, კეთილდღეობას და სამართლიანობას. სამოქალაქო საზოგადოების იდეის ჩამოყალიბებისას ყოველთვის ჩნდებოდა სახელმწიფოს სრულყოფასთან, კანონისა და სამართლის მნიშვნელობის ამაღლებასთან დაკავშირებული პრობლემები.

სამოქალაქო საზოგადოების იდეა პირველად პლატონისა და არისტოტელეს თეორიებში გაჩნდა. ისინი ითვალისწინებდნენ სახელმწიფო თვითზეწოლის პირობებში მოქალაქეთა გაერთიანებას. რაც შეეხება ციცერონს, იგი ასაბუთებდა რა ადამიანთა სამართლებრივ თანასწორობას, წერდა: „სამართალი არის სამოქალაქო საზოგადოების შემაკავშირებელი რგოლი“.

კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე სამოქალაქო საზოგადოება მთლიანად გაიგივებული იყო სახელმწიფოსთან. ეს გრძელდებოდა საკმაოდ დიდხანს და განპირობებული იყო ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების დონით (შრომის დანაწილების პრიმიტიული ფორმები, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების საწყისი ეტაპი, საზოგადოებრივი ცხოვრების გასახელმწიფოებრიობა, სოციალური სტრუქტურის კასტური ხასიათი).

საზოგადოებრივი ურთიერთობების შემდგომმა თანამიმდევრულმა განვითარებამ განაპირობა სამოქალაქო სა-

ზოგადოების შესახებ სწავლულთა შეხედულებების ტრანსფორმირება. XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე ნ. მაკიაველის, ჰ. გროციუსის, თ. ჰობსის, ჯ. ლოკის, შ. მონტესკიეს, ჟან-ჟაკ რუსოს ნაშრომებში უკვე დასაბუთებული იყო სამოქალაქო საზოგადოების შესაბამისობა არა ნებისმიერ, არამედ, მათი აზრით, მხოლოდ სახელმწიფოებრივი მოწყობის პროგრესულ ფორმებთან, რომლებიც დაფუძნებული იყვნენ ბუნებით სამართლებრივ საწყისებზე. კერძოდ, ჯ. ლოკი თვლიდა, რომ „აბსოლუტური მონარქია... შეუთავსებელია სამოქალაქო საზოგადოებასთან და, აქედან გამომდინარე, საერთოდ არ შეიძლება იყოს სამოქალაქო მმართველობის ფორმა“, მაკიაველს საუკეთესოდ მიაჩნდა სახელმწიფოს შერეული ფორმა, შედგენილი მონარქიის, არისტოკრატიისა და დემოკრატიისაგან, სადაც თითოეული მათგანი მოწოდებულია შეაკავოს და დაიცვას დანარჩენი ორი.

სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლების ფილოსოფიურ დახასიათებას გვაძლევს ი. კანტიც. მისი აზრით, უმთავრესია შემდეგი იდეები:

ა) ადამიანმა ყველაფერი საკუთარი ძალებით უნდა შექმნას და პასუხი უნდა აგოს თავის ქმნილებაზე.

ბ) ადამიანური ინტერესების შეჯერება და მათი დაცვის აუცილებლობა არის ადამიანის თვითსრულყოფის საფუძველი.

გ) კანონით დაცული სამოქალაქო თავისუფლება არის თვითგანვითარების აუცილებელი პირობა, ადამიანური ღირსების შენარჩუნებისა და ამაღლების გარანტი.

ეს იდეები შეიძლება დაედოს საფუძვლად სამოქალაქო საზოგადოების თეორიას. კანტს გადააქვს რა ინდივიდებს შორის ანტაგონიზმის კონცენტრაცია, როგორც მათი თვითგანვითარების სტიმული, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაზე, კაცობრიობისათვის უდიდეს პრობლემაზე, აკეთებს დასკვნას, რომ თვით ბუნება განსაზღვრავს საყოველთაო

სამართლებრივი სამოქალაქო საზოგადოების შექმნას. ვ. ჰუმბოლდტმა მიიღო კანტის ფილოსოფიური მოძღვრება და კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით შეეცადა ეჩვენებინა წინააღმდეგობა და სხვაობა სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის. სამოქალაქო საზოგადოებას იგი აკუთვნებს:

ა) პირადად ინდივიდების მიერ შექმნილ ეროვნულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა სისტემებს;

ბ) ბუნებით და საერთო სამართალს;

გ) ადამიანს;

მისი აზრით, სამოქალაქო საზოგადოებისაგან განსხვავებით სახელმწიფოს გააჩნია:

ა) სახელმწიფო ინსტიტუტების სისტემა;

ბ) სახელმწიფოს მიერ გამოცემული პოზიტიური სამართალი;

გ) ჰყავს მოქალაქე.

სამოქალაქო საზოგადოების ცნების განსაზღვრის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჰეგელს. წარმოადგინა რა იგი როგორც კერძო ინტერესების მოქმედების სფერო, მან აქვე მიუჩინა ადგილი ოჯახს, წოდებრივ ურთიერთობებს, რელიგიას, სამართალს, მორალს, განათლებას, კანონსა და მათგან გამომდინარე სუბიექტების იურიდიულ ურთიერთკავშირს. ჰეგელი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ურთიერთდაპირისპირებულ ინდივიდებს.

ჰეგელს სახელმწიფო, რომელიც საერთო ინტერესების სფეროს წარმოაჩენს, განვითარების უფრო მაღალ საფეხურად მიაჩნია, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოება. სახელმწიფო, აერთიანებს რა ინდივიდებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, მაღლდება საზოგადოებაზე, აწესრიგებს მის წინააღმდეგობას, ათანხმებს დაპირისპირებულთა ინტერესებს.

მოვლენებსა და მათ ამსახველ კატეგორიებს მატერიალისტური დახასიათება მისცეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა.

სამოქალაქო საზოგადოება დაუკავშირეს ინდივიდების მატერიალურ ურთიერთობას, საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრულ დონეს. ისტორიული მონაცემებისა და მოყვანილი მსჯელობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი რთული და წინააღმდეგობრივია. იგი მოიცავს ათეულობით საუკუნეს, იწყება ანტიკურ სამყაროში (ათენი, რომი) და მიემართება ახალი დროის ევროპისა და ამერიკის განვითარებული საზოგადოებრივი სისტემებისაკენ. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება დამოკიდებულია ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების დონეზე, ინდივიდების პირადი და ეკონომიკური თავისუფლების რეალობაზე, სახელმწიფოებრივ-ძალოვან სტრუქტურაზე, საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმის მუშაობაზე. სამოქალაქო საზოგადოების ხარისხი ჩადებულია ნებისმიერ სამოქალაქო სისტემაში, მაგრამ მათ შეიძლება განვითარების სხვადასხვა დონე ჰქონდეთ. ასე რომ, დროის გარკვეულ მონაკვეთში, ისინი ჩანასახის მდგომარეობაში არიან, ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში კი შეიძლება დროებით დათრგუნული, შეკუმშული ზამბარის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მკვეთრად გამოხატული კლასობრივი ხასიათის საზოგადოებრივ წყობაში გარკვეული დოზით არსებობენ და მხოლოდ სოციალური თანასწორობის მიღწევისას დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის პირობებში ვითარდებიან და ხდებიან მნიშვნელოვანნი.

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა ჯანსაღი, სამართლიანი საზოგადოების როლსა და დანიშნულებას. მას მიაჩნდა, რომ „საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა აზრის კაცთან იჭერს საქმეს. რისა და ვისს მიმდევარს უნდა ათხოვოს თავისი ყურადღება“. იგი გულისხმობს ხელისუფლებას, შემდეგ თვითონ რომ უნდა გახდეს საზოგადოების კეთილდღეობისათვის მზრუნველი. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ,

„საზოგადოება მარტო იმას კი არ უნდა სჯერდებოდეს, ვინ ვის რას ემართლება, ვინ ვის რას ერჩის, ვინ ვისკენ სამართლიანად ხელს იწვდის. განა კაცთა ადამიანური ცხოვრება, ისტორია, პროგრესი და სხვა რაიმე სიკეთე შესაძლებელია თუ ადამიანთა ურთიერთობაში ამის პასუხი არ ეძიე,"[18] საზოგადო სარბიელი მოედანია საზოგადო ცხოვრებისა, რომელიც... სხვა არ არის რა გარდა აზრთა და საქმეთა ერთმანეთთან ბრძოლისა ცხოვრებისავე ესე თუ ისე მოსაწყობად და მოსამართავად.[19] რის გარეშეც ნამდვილ შინაგანად ჭეშმარიტ საზოგადოებას ვერ ჩამოვაყალიბებთ.

სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე გაგება ითვალისწინებს მასში მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებების კომპლექსის არსებობას. მათი უქონლობა ან განუვითარებლობა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სოციალური ორგანიზმის „ჯანმრთელობის" მდგომარეობა და მისი თვითგანვითარების აუცილებელი მიმართულებები. განვიხილოთ ეს ნიშან-თვისებები უფრო დაწვრილებით.

სამოქალაქო საზოგადოება არის თავისუფალი ინდივიდების ერთობლიობა. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, რომ თითოეული ადამიანი წარმოადგენს მესაკუთრეს, რეალურად ფლობს იმ საშუალებებს, რომლებიც აუცილებელია მისი ნორმალური არსებობისათვის. იგი თავისუფალია საკუთრების შეძენა-განკარგვაში, პროფესიის არჩევაში, სოციალური თვალსაზრისით, ინდივიდის რომელიმე სოციალურ ერთობაში გაწევრიანება აუცილებელი არ არის. მას შეუძლია დამოუკიდებლად იარსებოს, აქვს საკმარისი ავტონომიური თვითორგანიზაციის უფლება საკუთარი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ადამიანის, როგორც მოქალაქის, თავისუფლების პოლიტიკურ ასპექტს წარმოადგენს მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან, ანუ, მას შესაძლებლობა აქვს იყოს იმ პოლიტიკური პარტიის ან გაერთიანების წევრი, რომელიც გამოდის არსე-

ბული სახელმწიფო ხელისუფლების კრიტიკით, მისი უფლებაა — მიიღოს ან არ მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. თავისუფლება გარანტირებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ინდივიდს გარკვეული მექანიზმების (მაგალითად, სასამართლო) საშუალებით შეუძლია შეზღუდოს სახელმწიფო ან სხვა სტრუქტურების თვითნებობა საკუთარი უფლებების დასაცავად.

სამოქალაქო საზოგადოების დედააზრია ღია სოციალური წარმონაქმნი. მასში უზრუნველყოფილია სიტყვის თავისუფლება კრიტიკის თავისუფლების ჩათვლით, სხვადასხვა სახის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, თავისუფალი მიმოსვლის უფლება, სხვადასხვა ქვეყნის ინფორმაციული და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ფართო და მუდმივი გაცვლა-გამოცვლა, უცხო ქვეყნების სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კულტურული და ეკონომიკური თანამშრომლობა, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მონაწილეობის მიღება საერთაშორისო და უცხოური გაერთიანებების საქმიანობაში. იგი საერთო ჰუმანიტარული პრინციპის მომხრეა და ღია ურთიერთქმედებისა ანალოგიურ წარმონაქმნებთან პლანეტის მასშტაბით.

სამოქალაქო საზოგადოება რთული სტრუქტურის პლურალისტური სისტემაა. სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი ფორმებისა და ინსტიტუტების (პროფკავშირი, პარტია, მეწარმეთა გაერთიანება, მომხმარებელთა საზოგადოება, კლუბები და ა.შ.) არსებობა იძლევა ინდივიდის ნებისმიერი მოთხოვნილების, ინტერესების გამოხატვისა და რეალიზაციის, ადამიანის არსის მთელი ორიგინალობით გახსნის საშუალებას. პლურალიზმი, როგორც საზოგადოებრივი სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციონირების დამახასიათებელი ნიშანი, მჟღავნდება მის ყოველ სფეროში: ეკონომიკურში —

ეს არის საკუთრების მრავალგვარი ფორმა (კერძო, სააქციო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი და სახელმწიფო), სოციალურ და პოლიტიკურში — არის საზოგადოებრივი წარმონაქმნების ფართო და განვითარებული ქსელები, რომლებშიც ინდივიდს საშუალება აქვს წარმოაჩინოს და დაიცვას თავი. სულიერში — მსოფლმხედველობის თავისუფლების დაცვა, იდეოლოგიური მოტივებით დისკრიმინაციის გამორიცხვა, სხვადასხვა რელიგიური და საწინააღმდეგო შეხედულებების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება.

სამოქალაქო საზოგადოება არის თვითგანვითარებული და თვითმართვადი სისტემა. ინდივიდები ერთიანდებიან სხვადასხვა ორგანიზაციებში და აწესრიგებენ ურთიერთშორის დამოკიდებულებებს, ათანხმებენ თავიანთ, ხანდახან წინააღმდეგობრივ ინტერესებს. ყოველივე ამით უზრუნველყოფენ საზოგადოების ჰარმონიულ, მიზანდასახულ განვითარებას. სამოქალაქო საზოგადოებას გააჩნია საკუთარი სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი, თვითგანვითარების შინაგანი წყაროები. უფრო მეტიც, ამის წყალობით მას შეუძლია შეზღუდოს სახელმწიფოს ძალისმიერი ზემოქმედება. საზოგადოების დინამიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს სამოქალაქო ინიციატივა, როგორც შეგნებული და აქტიური მოღვაწეობა საზოგადოების საკეთილდღეოდ. ისეთ ზნეობრივ კატეგორიებთან ერთად, როგორიცაა მოქალაქეობრივი ვალდებულება და მოქალაქეობრივი სინდისი, იგი სამოქალაქო საზოგადოების შემდგომი განვითარების საიმედო საშუალებად გვევლინება.

სამოქალაქო საზოგადოება არის სამართლებრივი დემოკრატიული საზოგადოება, რომლის შემაკავშირებელ ფაქტორად ადამიანისა და მოქალაქის ბუნებითი და შეძენილი უფლებების უზრუნველყოფა და დაცვა გვევლინება. სამოქალაქო საზოგადოების იდეებს ხელისუფლების გონიერებასა და სამართლიანობაზე, პიროვნების თავისუფლებასა და

კეთილდღეობაზე, შეესაბამება იდეები სამართლის პრიორიტეტის, სამართლისა და კანონის ერთიანობის, სახელმწიფო ხელისუფლების ცალკეული შტოების მოღვაწეობის სამართლებრივი გამიჯვნის შესახებ. სამართლიანობისაკენ მიმავალი სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოსთან ერთად ვითარდება, სამართლებრივი სახელმწიფო კი შეიძლება სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შედეგად და მისი შემდგომი სრულყოფის პირობად მივიჩნიოთ.

სამოქალაქო საზოგადოებას დემოკრატიული, განვითარებული სახელმწიფო შეესაბამება, რომელიც მატერიალურ და ზნეობრივ სტიმულებზე და მეთოდებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს საზოგადოების მთლიანობას, ახორციელებს მათი მოღვაწეობის მოქნილ კონტროლს კანონისა და სამართლის საფუძველზე და აქედან გამომდინარე, ადამიანის სამსახურში აყენებს სამართლებრივი სახელმწიფოს მთელ შემოქმედებით პოტენციალს.

ცივილიზებული მიდგომა ამ პრობლემის მიმართ გამოიხატება იმაში, რომ სამართლებრივი სახელმწიფო არ უპირისპირდება სამოქალაქო საზოგადოებას, პირიქით, ნორმალური ფენქციონირებისა და განვითარების ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებს უქმნის მას. ასეთი ურთიერთქმედება იძლევა დაპირისპირების სამართლებრივი, ცივილიზებული გზით მოგვარების, სოციალური კატაკლიზმების აღმოფხვრის, საზოგადოების თანდათანობითი, მშვიდობიანი განვითარების გარანტიებს. სამოქალაქო საზოგადოება არის კონკრეტულ ადამიანზე ორიენტირებული თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი საზოგადოება. იგი ქმნის სამართლებრივი ტრადიციებისა და კანონების, საერთო ჰუმანიზმის იდეალების პატივისცემის ატმოსფეროს, უზრუნველყოფს შემოქმედებითი და მწარმოებლური საქმიანობის თავისუფლებას, შესაძლებელობას უქმნის ადამიანისა და მოქალაქის კეთილდღეობასა და სამართლის რეალიზაციას, ორგანულად გამოიმუშავებს

სახელმწიფოს მოღვაწეობის შეზღუდვისა და კონტროლის მექანიზმს.

მაშასადამე, სამოქალაქო საზოგადოება არის ქვეყნის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელია. იგი მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს, რომელთაც მოქალაქენი ქმნიან საკუთარი კერძო ინტერესებისა და მიზნების განსახორციელებლად, რომლებიც არ უპირისპირდებიან საზოგადოებრივს და გამოდიან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტის როლში.

ე.ი. „სამთავრობო ორგანიზაციები არ წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოებებს, ისინი ქმნიან საჯარო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებას არც კორპორაციები, კომერციული საწარმოები და ინდივიდუალური მეწარმენი წარმოადგენენ. ეს უკანასკნელნი შეადგენენ კერძო სექტორს. არამედ სამოქალაქო საზოგადოება იმყოფება საჯარო და კერძო სტრუქტურებს შორის, ურთიერთმოქმედებს მათთან“.[20]

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება XXI საუკუნის რეალობაა, თუმცა მისი მრავალი დამახასიათებელი ნიშან-თვისების ჩამოყალიბება და ფორმირება დაწყებულია. დღეს ეს პროცესი რთულდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების არასტაბილურობით, ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობებზე შენელებული გადასვლით, მესაკუთრეთა ფართო სოციალური ფენის არარსებობით, პიროვნების სამართლებრივი დაცვის მექანიზმის დაბალი ეფექტურობით. და მაინც, სხვადასხვა სახის კატაკლიზმებისა და დაპირისპირებების მიუხედავად, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება თავსდება მსოფლიო განვითარების კალაპოტში, საკუთარი წარსულის დადებითი გამოცდილების გათვალისწინებითა და თვითმყოფადობის დაბრუნებით. 1995 წლის 24 აგვისტოს ახალი კონსტიტუციის მიღებით სამო-

ქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პროცესმა მიიღო მძლავრი იმპულსი და მისი განხორციელებისათვის გარკვეული იურიდიული გარანტიები. კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი აღიარებს მთავარს, რომ საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. კონსტიტუციურად გამყარდა სამოქალაქო საზოგადოების ფუძემდებლური იდეები, ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები გამოცხადებულია უმაღლეს ღირებულებად. ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება და დაცვა კი სახელმწიფოს ვალდებულებაა. საქვეყნოდ გამოცხადებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დაყოფა, რეალობად იქცა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა.

მართალია, სამოქალაქო საზოგადოება მოსახლეობის ის ნაწილია, რომლის შექმნა-ჩამოყალიბებაში სახელმწიფო არ მონაწილეობს, მაგრამ სახელმწიფოს გარეშე მისი არსებობა შეუძლებელია, პირიქით, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება და სრულყოფა სწორედ სახელმწიფოსა და სამართლის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობს. მკვლევარები ასეთ სახელმწიფოს, სამართლებრივის გარდა, „თანამედროვე წარმომადგენლობით სახელმწიფოს“ უწოდებენ. მას ახასიათებს:

ა) სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, ხელისუფლების უზენაესობა არ არის დამოკიდებული სხვა სახელმწიფოზე, საეკლესიო ხელისუფლებაზე, სამხედრო ელიტაზე, არასამთავრობო ორგანიზაციაზე.

ბ) სახელმწიფო გამოდის მთელი მოსახლეობის სახელით და იცავს ქვეყნის საერთო ინტერესებს.

ის ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების შექმნას და ცდილობს სახელმწიფო სტრუქტურები თანამშრომლობდეს მასთან, ზრუნავს საგადასახადო პოლიტიკის სრულიად

გატარებაზე, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების წყარო და ხალხის კეთილდღეობის ძირითადი პირობაა.

დ) სახელმწიფო შედგება მმართველობითი სისტემისაგან. უამრავი ადამიანია დასაქმებული ოფიციალურ სტრუქტურებში, მუდმივმოქმედ არმიაში. აქ მუშაობენ სხვადასხვა განათლებისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანები, რომელთა ოჯახის წევრები შეიძლება წარმოადგენდნენ სამოქალაქო საზოგადოების ნაწილს, ეს კი ქვეყანაში საერთო საზოგადოებრივი მთლიანობის ჯაჭვში მნიშვნელოვანი რგოლია. ეს მოსამსახურეები ხელფასს ღებულობენ სახელმწიფოსაგან, რაც ეკონომიკური კავშირის თავისებურ ფორმას წარმოადგენს.

ე) სახელმწიფო გადასახადებს ახდევინებს ყველას, რომელიც შედის სახელმწიფო ბიუჯეტში, საიდანაც ფინანსდება როგორც სახელმწიფო მანქანა, ისე სოციალური სფერო, რომელიც კავშირის კიდევ ერთ სახეს წარმოადგენს.

ვ) თანამედროვე წარმომადგენლობითი სახელმწიფო ოფიციალურად აღიარებს ყველა ადამიანის სამართლებრივ თანასწორობას, მათ უფლებებსა და თავისუფლებებს.

რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლის კავშირს, ის გამოიხატება შემდეგში: ქვეყანაში სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობრივი სახელოები იქმნება სამართლის, კანონის შესაბამისად, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების, ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების შექმნისა და ჩამოყალიბების სფერო წესრიგდება კანონმდებლობით. გარდა ამისა, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი, მათი განხორციელების შესაძლებლობანი კანონით არის განსაზღვრული. სამოქალაქო საზოგადოების ყველა წევრს შეუძლია აკეთოს ის, რაც კანონით არ არის აკრძალული, რაც მათ უპირატესობას წარმოადგენს. ხოლო სახელმწიფო მოხელეს, გარდა კანონისა, ზღუდავს სხვა აქტების მოთხოვნებიც. ჩვეულებრივი მოქალაქე პასუხს აგებს მხოლოდ კა-

ნონის დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფო მოხელე კი, ამის გარდა, პასუხს აგებს მათთვის წაყენებული სხვა ეთიკური ნორმების დარღვევისათვის და ა.შ.

ზემოაღნიშნულის გარდა, სამოქალაქო საზოგადოების შემდგომი განვითარება დამოკიდებულია სახელმწიფოსგან საკუთრების გონივრულ და თანმიმდევრულ გამოყოფაზე, ბიუროკრატიული აპარატის შემცირებასა და ნეიტრალიზაციაზე, ქვეყნისათვის მისაღებ მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებაზე, წარმოების აღორძინების სტიმულთა სისტემის შექმნაზე, ოპტიმალური სოციალური პროგრამების შემუშავებაზე და ა.შ. ამ ჭრილში ერთ-ერთ მოქმედ ბერკეტს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტური ურთიერთობების სამართლებრივი – მოწესრიგება, რომლის მნიშვნელობაც გამოიხატება სამართლის საშუალებებით სამი ძირითადი მიზნის მიღწევაში: შეიზღუდოს – სახელმწიფოს მიერ ზედმეტი ჩარევა სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობაში და მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში, დაფიქსირდეს სახელმწიფოს ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, უზრუნველყოფილ იქნეს კონსტიტუციური დებულებების რეალიზაცია სახელმწიფოში.

სამეცნიერო და პოპულარულ ლიტერატურაში სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ხშირად არის საუბარი, ეს პროცესი ახალი ათასწლეულის კუთვნილებაა და სასურველია ჩვენი ქვეყანაც არ ჩამორჩეს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებით ჰუმანიზაციისაკენ მიმავალ ცივილიზებულ მსოფლიოს, სადაც პრიორიტეტი ადამიანის უფლებების დაცვას ენიჭება.

§3. სახელმწიფო, ხალხი, ეროვნული უმცირესობა და მათი უფლებები

საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოს განიხილავს როგორც უნივერსალური სამართალსუბიექტურობის მქონე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმას.

სახელმწიფოებს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს, აქვთ ძირითადი უფლებები და მოვალეობანი, რაც დაფიქსირებულია საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში. მაგ. გაეროს წესდებაში განმტკიცებულია სახელმწიფოს ძირითადი უფლებები: სუვერენიტეტი, ჩაურევლობა, ტერიტორიული უზენაესობა, საზღვრების ურღვეობა, თანასწორობა, თავდაცვის უფლება. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი პრიორიტეტს ანიჭებს „სახელმწიფოს სამი ელემენტის მოძღვრებას“: ა) ტერიტორია ბ) ხალხი გ) ხელისუფლება. ასევე საერთაშორისო პაქტებსა და სხვა დოკუმენტებში მკაფიოდაა განსაზღვრული რა ვალებულებებიც აკისრია სახელმწიფოს. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში ჩამოყალიბებულ ცნებებს შორის ერთ-ერთ მისაღებ განსაზღვრებად მიგვაჩნია „სახელმწიფო არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის გარანტი.[21]

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა დააჩქარა კოლონიური სისტემის მსხვრევა, ამას დაემატა 90-იანი წლებიდან სსრ კავშირის დაშლა. ამ პერიოდისათვის საერთაშორისო რუკაზე 100-ზე

მეტი სახელმწიფო ჩნდება. კოლონიური სისტემის დაშლის და ახალი სახელმწიფოს შექმნის პროცესში გადამწყვეტი როლი შეასრულა გაერომ, მისმა გენერალური ასამბლეის 1960 წლის 14 დეკემბრის დეკლარაციამ კოლონიური ხალხებისა და ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, აგრეთვე მისმა 1962 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციამ, სადაც პირველად ჩამოყალიბდა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპების შინაარსი, რასაც შემდგომში მოყვა გაეროს 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ და ეუთოს 1975 წლის დასკვნითი აქტი, ამ დოკუმენტებში განმტკიცებულმა პრინციპებმა ასახვა ჰპოვეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტებში. მხედველობაშია მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ძირითად დებულებებს:

— ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და ისწრაფვიან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისაკენ;

— მიზნის მისაღწევად შეუძლია თავისუფლად განკარგოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები იმ ვალდებულებების დაურღვეველად, რომლებიც გამომდინარეობენ საერთაშორისო სამართლიდან და, ურთიერთხელსაყრელობის პრინციპიდან და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობიდან;

— ამ პაქტში მონაწილე ყველა სახელმწიფომ, მათ შორის, რომელნიც პასუხს აგებენ არათვითმართველი და სამეურვეო ტერიტორიების მართვისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დებულებების შესაბამისად, უნდა წაახალისონ უფლება თვითგამორკვევაზე და პატივი სცეს ამ უფლებას ე.ი. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება.

ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად, გარედან ჩაურევლად განსაზღვრავენ თავის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას. ყველა ხალხს შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს მის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები. ხალხის მიერ თვითგამორკვევის უფლების განხორციელების საშუალებებს წარმოადგენს სუვერენული სახელმწიფოს შექმნა, დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან თავისუფალი შეერთება ან მასთან გაერთიანება, ან სხვა ნებისმიერი სტატუსის დადგენა, რომელსაც ხალხი თავისუფლად განსაზღვრავს.[22] ხალხი არ არის მისტიური ცნება, ეს არის ადამიანების ჯგუფი, რომლის თითოეულ წევრს გააჩნია თავისი საკუთარი ღირსება, ხალხი არის ისტორიული ფენომენი, რომლებიც ცხოვრობენ გარკვეულ ტერიტორიაზე, თავისი საჯარო ინსტიტუტებით, საერთო პასუხისმგებლობის გრძნობით და ემორჩილებიან სამართლებრივ საწყისებს. სხვაგვარი მიდგომით ხალხი ეს არის დემოკრატიულად კონსტიტუციურებული თანასაზოგადოება, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის ღირსების დაცვაზე და რომელიც ხედავს ამაში თავის ვალს, ნებისმიერი დემოკრატიის ღერძი არის ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელი და მფლობელი, ამით კი საბოლოოდ ბედი წყდება ისტორიული ბრძოლისა ხელისუფლებისათვის სახელმწიფოში, აქედან გამომდინარე მოქალაქის ბედი უწყვეტ კავშირშია შესაბამისი ქვეყნის ცხოვრებასთან, მოქალაქეები სარგებლობენ სახელმწიფოს მიღწევებით, მაგრამ ასევე მსხვერპლნი ხდებიან მისი სისუსტის, წარუმატებლობისა და დამარცხების.

თვითგამორკვევაზე ხალხის უფლების რეალიზაციას საერთაშორისო სამართალი უკავშირებს კოლონიური ქვეყნების მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების უფლებას. გაეროს წესდებით და სხვა მრავალი საერთაშორისო დოკუმენტებით სახელმწიფოები (მათ შორის არათვითმმართ-

ველი და სამეურვეო ტერიტორიების მმართველებიც) ხელს უნდა უწყობდნენ თვითგამორკვევის განხორციელებას და პატივს სცემდნენ ამ უფლებას. უფრო მეტიც, კოლონიური თუ უცხოური ბატონობის უღელქვეშ მყოფი ხალხი, რომელსაც წინ აღუდგებიან თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციაში, უფლებამოსილია იარაღით მოიპოვოს დამოუკიდებლობა, რაშიც გაეროს წევრმა და სხვა სახელმწიფოებმა მას დახმარება უნდა აღმოუჩინოს, მხარდაჭერა თავისთავად იგულისხმება. ეს პრინციპი[23] ვრცელდება არა მხოლოდ თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებზე, არამედ სუვერენული სახელმწიფოების შემქმნელ ხალხებზეც. იგი უკავშირდება სახალხო და ეროვნული სუვერენიტეტის პრობლემებს, მაგრამ ერთი რამ ნიშანდობლივი და ყველასათვის გასათვალისწინებელია. თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია არ ნიშნავს არსებული სახელმწიფოდან აუცილებელ გამოყოფას, თუ ეს სახელმწიფო დემოკრატიულია ანუ აღიარებს ხალხთა თანასწორუფლებიანობასა და თვითგამორკვევის უფლებას და თუ ამ სახელმწიფოში არ არსებობს კოლონიალიზმის ნიშნები, არ არსებობს ბატონობა თუ ექსპლუატაცია მასში მცხოვრები სხვა ხალხების მიმართ.

თანამედროვე მსოფლიოში ეს პრინციპი გვევლინება ამა თუ იმ სახელმწიფოს დემოკრატიულობის შეფასების კრიტერიუმად, კონკრეტულად თუ როგორაა დაცული იმ მოსახლეობაში შემავალი მცირერიცხოვანი თუ ეროვნულ, ეთნიკურ ან სხვა უმცირესობაში მყოფი ხალხების ენის, კულტურისა და ჩვეულებათა განვითარება, საჭიროების შემთხვევაში მათთვის ტერიტორიული და პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების მზადყოფნა და ა.შ. მეორე მხრივ, ამ ხალხების ყოველი მცდელობა იარაღით ხელში განახორციელონ თავიანთი პრეტენზიები დამოუკიდებლობის შესახებ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.

ხალხის (ერის) თვითგამორკვევის უფლების ერთიანი ცნების ფარგლებში საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები გამოყოფენ საგარეო და საშინაო თვითგამორკვევის უფლებებს. საგარეო თვითგამორკვევა დაკავშირებულია სუვერენიტეტთან, საშინაო თვითგამორკვევა კი მმართველობის ფორმასთან. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა პაქტებიდან გამომდინარე, ერთმანეთისაგან განასხვავებენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ თვითგამორკვევას ე.ი. პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა და ბუნებრივი რესურსების და სიმდიდრეების განკარგვა.

გათვალისწინებულია ხალხის (ერის) კულტურული თვითგამორკვევის უფლება, რაც ნიშნავს ისწავლოს და ასწავლოს მშობლიურ ენაზე, განავითაროს თავისი კულტურა და ბოლომდე დაიცვან ტრადიციები და ჩვეულებანი.

რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობათა საკითხს, იგი საერთაშორისო სამართლის სერიოზული პრობლემაა.[24] ბოლო პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბდა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ეროვნული უმცირესობანი არიან სახელმწიფოში მცხოვრები მოქალაქეთა ჯგუფები, რომლებიც რიცხობრივად მცირეა ძირითად მოსახლეობასთან შედარებით და განსხვავდება მისგან თავისი ენით, რელიგიით, ეთნიკური კუთვნილებით.

თავის დროზე ეროვნულ უმცირესობათა ასეთი სტატუსი ჩამოყალიბდა საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი სტრუქტურების და საერთაშორისო ექსპერტთა მუშაობისა და შეთანხმების შედეგად.

ფეოდალურ ეპოქაში ეროვნულ უმცირესობათა აღმნიშვნელ ცნებაში მოიაზრებოდა „რელიგიური უმცირესობა“, რადგანაც პრიორიტეტი რელიგიას ენიჭებოდა და სამყარო ჯერ კიდევ არ იცნობდა ერის ცნებას, ამიტომ სახელმწიფოები ცდილობდნენ დაეცვათ სხვა ქვეყნებში მცხოვრები ერთმორწმუნე ადამიანთა ჯგუფები. ამას აღწევდნენ დადე-

ბული შეთანხმებების საფუძველზე. ეს პროცესი ისტორიაში ცნობილია XVII საუკუნიდან. ასეთ შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს ეკუთვნის მაგ. 1774 წლის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება, ვესტფალიისა და ინსბრუკის 1648 წლის ხელშეკრულებანი, 1815 წლის ვენის კონგრესის აქტი და ა.შ.

თავის დროზე ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს იცავდა ერთა ლიგა. რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოზიციას, ამ პრობლემისადმი განსხვავებულია, რადგანაც გაერო არ უარყოფს ეროვნულ უმცირესობათა უფლებას, მაგრამ კრძალავს უშუალოდ მიმართონ მას პეტიციით, მაგრამ ამასთან ერთად აძლიერებს მოთხოვნას თვით სახელმწიფოების მიმართ ადამიანისა და ერების ღირსებისა და თავისუფლების ხელშეუხებლობის დარგში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისმება დამნაშავე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი.

გაეროს წესდება არ ხმარობს ტერმინს „ეროვნული უმცირესობა“, მაგრამ მის შინაარსში ჩადებულია მათი რეალური დაცვის გარანტიები. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ აღიარებს ამ ინდივიდთა უფლებებს, რომლებიც „ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ ჯგუფებს მიეკუთვნებიან“ შექმნან ფართო ავტონომია, ბოლო პერიოდში დადგენილია, რომ ასეთ ჯგუფებს (ეროვნულ უმცირესობას) საერთაშორისო სამართლით დადგენილი მოტივების გარეშე არ შეიძლება გაუჩნდეთ პრეტენზია იმ სახელმწიფოსაგან გამოყოფაზე, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ. ე.ი. მათზე არ შეიძლება გავრცელდეს ხალხთა თვითგამორკვევის უფლება თუკი უმცირესობაში მყოფი ადამიანთა ჯგუფები ქვეყნის ძირ-ძველი მოსახლეობაა, მით უმეტეს არ გააჩნიათ გამოყოფის უფლება. საბოლოო ჯამში „ეროვნულ უმცირესობათა“ სტატუსი ჩამოყალიბდა 1992 წლის გაეროს „დეკლარაციაში იმ პირთა უფლებების

შესახებ, რომლებიც ეროვნულ თუ ეთნიკურ, რელიგიურ თუ ენობრივ უმცირესობებს მიეკუთვნებიან".

დეკლარაციიდან გამომდინარე მათ მიეცათ უფლება თავისუფლად ეზიარონ თავის კულტურას, რელიგიას, გამოიყენონ თავისი ენა სახლში და პირად ცხოვრებაში. აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ქვეყნის ცენტრალური თუ ადგილობრივი ორგანოების იმ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომელიც ეხება უმცირესობის ბედს იმ რეგიონში, სადაც ისინი ცხოვრობენ, უმცირესობათა წევრები უფლებამოსილნი არიან ურთიერთობა დაამყარონ თავიანთ და სხვა ჯგუფის წევრებთან, ამ უმცირესობის მონათესავე პირებთან, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ. ზემოაღნიშნული უფლებანი განმტკიცებულია დეკლარაციის პირველ და მესამე მუხლებში. რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობას, მისი კონცეპტუალური ან აკადემიური ცნება დღემდე არ არსებობს, მოდელური განსაზღვრება კი ასეთია: „ეროვნული უმცირესობა არის ადამიანთა ის ჯგუფი, რომლის ხვედრითი წილი უფრო ნაკლებია, ვიდრე სატიტულო ერისა და რომელსაც არ უკავია ხელისუფლების სადავეები", ე.ი. უმცირესობა გულისხმობს რაოდენობრივ სიმცირეს და არა მის გენეტიკურ ბუნებას.

უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას, რომლებიც განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, ყოველ პირს ავალდებულებს, რომელიც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნის, იცავდეს ეროვნულ კანონმდებლობას და პატივს სცემდეს სხვათა უფლებებს, კერძოდ, იმ პირთა უფლებებს, ძირითად ეროვნულ ჯგუფებს ან სხვა ეროვნულ უმცირესობებს ეკუთვნიან. არავის არა აქვს უფლება ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, ან სჩადიოდეს ნებისმიერ მოქმედებას, რომლებიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ ნორმებს, კერძოდ, სახელმწიფოთა სუვერ-

ენული თანასწორობის, ისტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპებს.

როდესაც ვიწყებთ მსჯელობას „ეროვნული უმცირესობის“ პრობლემაზე „თვითგამორკვევის“ პრინციპი დაზუსტებას საჭიროებს. იგი არ არის „გომოგენური“ ანუ ერთგვაროვანი. მას ორბუნებრიობა (გეტოგენურობა) ახასიათებს, შედგება ორი ელემენტისაგან: ა) თანასწორუფლებიანობა და ბ) თვითგამორკვევა. ამ ელემენტებს შორის წამყვან როლს სწორედ თანასწორუფლებიანობა თამაშობს. ამ კონცეფციის მიმართ არაკეთილგანწყობილ პოლიტიკურ ლიტერატურაში თანასწორუფლებიანობის პრინციპს უმნიშვნელო ადგილი დაუმკვიდრეს ანუ მისი ამპუტირება მოახდინეს და თითქმის ერთადერთ პრინციპად თვითგამორკვევა გამოაცხადეს. დისკრედიტაცია უფრო შორს წავიდა. პრინციპის სუბიექტად გამოაცხადეს არა ხალხი, არამედ ერი. უფრო მეტიც, დამახინჯდა თვითგამორკვევის ცნებაც, სადაც თვითგამორკვევა ნიშნავს მხოლოდდამხოლოდ გამოყოფას.

თუკი კრიტიკულად მივუდგებით ამ პრობლემის გაშუქებას აღმოვაჩენთ, რომ არაერთ საერთაშორისო აქტში ხაზგასმულია: თვითგამორკვევა უფრო ღრმა თვისებისა და ფართო შინაარსის ფენომენია, ასე მაგ. 1) ერს შეუძლია შეუერთდეს ფედერაციულ სახელმწიფოს და გახდეს მისი სუბიექტი; 2) ერს შეუძლია შეუერთდეს უნიტარულ სახელმწიფოს, ე.ი. დაუკავშიროს თავისი ისტორიული ბედი სატიტულო ერის ბედს. 3) დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ შექმნან სახელმწიფო კავშირი, სადაც აისახება მათი პოლიტიკური ნება (ბოსნია-ჰერცოგოვინას მაგალითი).

რაც შეეხება გამოყოფის უფლებას, რომელიც შეუზღუდავი არ არის 1) ხალხი, როდესაც არის აშკარად დისკრედიტირებული და არ სჩანს გარანტია ახლო მომავალში მისი რეალური გამოსწორების (საერთაშორისო სამართალი ამ შემთხვევაში გარკვეულ წინააღმდეგობაში ვარდება,

რადგანაც დისკრიმინაცია შეიძლება იყოს დროებითი მოვლენა და უკავშირდებოდეს პოლიტიკურ რეჟიმს, რომელსაც დიდი დღე არ უწერია).

2) როდესაც აშკარად ირღვევა საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები.

3) როდესაც მთლიანად ან ნაწილობრივ ირღვევა ტერიტორიული მთლიანობა.

რაც შეეხება ეროვნულ კანონმდებლობას, სახელმწიფოები იღებენ ზომებს, რათა კანონის წინაშე სრული თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ უმცირესობათა ყოველი წარმომადგენლისათვის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა და რეალიზაცია. თითოეულ პიროვნებას ექმნება ყველა პირობა გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობანი, განავითაროს საკუთარი კულტურა, ენა, რელიგია, ტრადიციები, ჩვეულებანი, მაგრამ მისი კონკრეტული საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართალს. დეკლარაციის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც „ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებსა და პრინციპებს, მათ შორის სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპებს“.[25]

საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა უგულვებელყოფის მკაფიო მაგალითია აფხაზეთის,[26] და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე შექმნილი მდგომარეობა, გასული საუკუნის 90 წლებიდან დაწყებული მოვლენების და გარეშე ძალების დახმარებით სეპარატისტთა მიერ შეიარაღებული გზით დამყარებული რეჟიმები და მათ მიერ ე.წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღიარების მცდელობა, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობა არა მარტო უარს ამბობს მათ უკანონო მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე, არამედ გმობს და

უარყოფითად აფასებს მათ მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფის ფაქტს.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ „ეროვნული უმცირესობა“ პირობითი ტერმინია, რადგანაც ნებისმიერი მცირერიცხოვანი ხალხი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში მცხოვრები არის, იმ ძირითადი ერის ნაწილია, სადაც მათ სახელმწიფოებრიობა გააჩნიათ. მაგ. სომხური დიასპორა ხომ სომეხი ხალხის ნაწილია, იგივე შეიძლება ითქვას აზერბაიჯანელებზე, ოსებზე. რაც შეეხება აფხაზებს ისინი ეროვნულ უმცირესობად შეიძლება არ მივიჩნიოთ, რადგანაც ისტორიულად აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს ნაწილი იყო და იქ მცხოვრებნი ქართველთა წიაღში აღმოცენებულ ეთნოსად მიიჩნეოდა, ისე როგორც ქართები, კოლხები, სვანები. ქართველთა მეფეები შემთხვევით არ იწოდებოდნენ მეფე აფხაზთა, კახთა, რანთა და ა.შ. არც ის არის შემთხვევითი, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III სწორედ აფხაზეთის ტერიტორიაზე ბედიის ტაძარშია დაკრძალული. მაშინ რომ რაიმე სადავო ყოფილიყო, რატომ დაკრძალავდნენ იმ ადგილზე და არა სხვაგან? რაც შეეხება დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს, ისინი შემდგომი პერიოდის კავკასიელ ხალხთა ნაკრებია ქართველების გარდა, რომლებიც სხვადასხვა დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე დასახლდნენ, მათ შორის ხომ ბევრი ქართველიც „გააფხაზდა“ სხვადასხვა მიზეზთა გამო.

მეცნიერთა გარკვეულ წრეებში გაჩნდა კრიტიკული მიდგომა ამ კონცეფციისა, რომელიც ერს და სახელმწიფოს ერთ კონტექსტში განიხილავს.[27]

საკითხი ეხება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო ფუნდამენტალურ დოკუმენტებს, სადაც დომინირებს ტერმინი ხალხი და არა ერი. ამასთან დაკავშირებით მეცნიერებაში ერთიანი აზრი დღემდე

ჩამოყალიბებული არ არის, მაგრამ როდესაც ერზეა მსჯელობა იგი გარკვეულ მოთხოვნებს და კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს.

ერის თეორიისა და პრაქტიკის შემუშავებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს. ჯერ კიდევ 1907 წელს გაზ. „ისარში“ არჩ. ჯორჯაძე აქვეყნებდა წერილებს „მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად“, ეს იყო მცდელობა ჩამოეყალიბებინა ერის ცნება. იგი ერის არსებობას უკავშირებს სახელმწიფოს წარმოშობას, რომლის ძირითად ნიშნებად მიიჩნევს: ა) საერთო ტერიტორიას, ბ) ენას, გ) რასას, დ) კულტურას და ე) საერთო თავგადასავალს.[28] ილია ჭავჭავაძე ერის ცნებაში მოიაზრებდა ტერიტორიას (სახელმწიფოს), ენას, საერთო რელიგიას, ისტორიულ ბედს და ერთსულოვნებას.[29]

საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ერის ჩამოყალიბებისა და ცნების განსაზღვრების თვალსაზრისით მიხაკო წერეთელი, ერის წარმოშობას იგი უკავშირებს ტომების დაშლას ხალხებად, რომელთა ნიადაგზე აღმოცენდა ერები „ხალხი ორგანული მასალაა ერის ორგანიზმის შესაქმნელად“. მისი აზრით, ერი მყარი და დაუშლელი მონადაა, მას ვერც გლეხთა ბრძოლა შლის და ვერც დაპყრობა, ერს აქვს ინდივიდუალობა, საკუთარი სოციალობა, ენა, ლიტერატურა, სამართალი, პოლიტიკა, სარწმუნოება, თითოეული მათგანი შეიძლება ერთი ერის კუთვნილება იყოს. მაგრამ თითოეული ერი თავის ელფერს სძენს ამ სოციალურ ფენომენებს. მისი ყოფიერების განმსაზღვრელია თავდაცვის თვითშეგნება. საბოლოოდ მ. წერეთელი ერის ასეთ განსაზღვრებას გვთავაზობს „ერი , სოციალური სუპერ-ორგანიზმია ანუ ჰიპერორგანიზმი, შემდგარი ერთგვარ ან მრავალგვარ ეთნიკურ და სოციალურ მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი

გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებით: ენით, სარწმუნოებით, მეცნიერებით, ზნეობით, ხელოვნებით, სამართლით და პოლიტიკით, საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიით, ტიპითა და თვითშეგნებით სრული ინდივიდუალობით".[30]

მ. წერეთელს ეკუთვნის ერის უფლებათა დაცვის საინტერესო კონცეფცია, მას მიაჩნდა „უფლება არსებობისა და ხელშეუხებლობისა, თანასწორობა სრული და სამართლიანი, უფლება რომელიმე ფორმის სახელმწიფოს დაარსებისა, უფლება საზოგადოებათა, საზოგადოების წინაშე სამართლის პოვნისა და თანასწორი სამართლიანი ვალდებულება მის წინაშე, აი, ერის უფლება" – წერდა იგი. მისივე აზრით „ერი რჩება უმაღლეს უდიდეს და უბუნებრივეს და დღეს თითქმის ერთადერთ დიდ ჭურჭლად საზოგადოებრიობისა მთელ კულტურულ კაცობრიობაში".[31]

„ერის" ყველაზე მკაფიო განსაზღვრება თავის დროზე ჩამოაყალიბა ი. სტალინმა, „ერი ეს არის ადამიანთა მყარი ერთობა ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრების და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოსახულებაა ნაციონალური კულტურის თავისუფლებათა ერთობა",[32] ამის მიხედვით იგი ხუთი ნიშნისაგან შედგებოდა, ესენია: ენის ერთობა, საერთო ტერიტორია, ეკონომიკური წყობის ერთობა და საერთო ფსიქიკური და კულტურული ეროვნული ხასიათი. ამ განსაზღვრებას მაშინაც და ახლაც ჰყავს მოწინააღმდეგენი და მომხრეები. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ეს ნიშნები ახასიათებს ნებისმიერ ეთნიკურ ერთობას (ტომს – ხალხს), ამიტომ ერის რაობის გარკვევას საკუთარი სახელმწიფოს არსებობას უკავშირებენ. ე.ი. ერად შეიძლება ჩაითვალოს ის პოლიტიკური ერთობა, რომელსაც აქვს თავისი სახელმწიფო. ერის რაობის ეს კონცეფცია იდენტურია დასავლეთში გავრცელებულ წარმოდგენასთან,

სადაც სახელმწიფო და ერი თითქმის გაიგივებულია. საერთაშორისო სამართალი ამ საკითხს შემდეგნაირად ხსნის, „რადგან დასავლეთ ევროპაში ერის ჩამოყალიბება მათი სახელმწიფოების წარმოქმნასთან ერთად მოხდა (ასეთი თეორია წამოყენებული იყო იტალიაში XIX ს. დამლევს და მიზნად ისახავდა დაქუცმაცებული იტალიის გაერთიანებას). ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ინგლისურ და ფრანგულ ენებში სიტყვა „ერი“ (the nation, la nation) უფრო პოლიტიკური მნიშვნელობისაა, ვიდრე ეთნიკური“.

სპეციალისტები თვლიან, რომ ქართულ და რუსულ ენებშიც, სადაც ამ სიტყვას უფრო ეთნიკური დატვირთვა აქვს გვხვდება სიტყვათა წყობა, სადაც „ერი“ სახელმწიფოს მნიშვნელობით გამოიყენება. მაგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეროვნული ვალუტა, ეროვნული შემოსავალი და ა.შ.

„ერისა“ და „სახელმწიფოს“ იდენტურობის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „ერი სახელმწიფო“ ან „ეროვნული სახელმწიფო“ (Nation-state). ამ ცნებაში იგულისხმება, რომ ასეთი სახელმწიფოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, ერთი ერის წარმომადგენელია“.[33] მაგ. ქართველი ერი, ამერიკელი ერი, ფრანგი ერი და ა.შ.

ეს ტერმინოლოგიური მრავალმნიშვნელობა მაინც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ერი სახელმწიფო (ისევე როგორც ეროვნული სახელმწიფო) ნებისმიერ შემთხვევაში გულისხმობს სახელმწიფოში ერთი დომინანტი ერის (ეთნოსის) არსებობას. უფრო კონკრეტულად, სახელმწიფოთა კლასიფიკაციას ერ-სახელმწიფოებად, ეროვნულ სახელმწიფოებად და მრავალეროვან სახელმწიფოებად საფუძვლად უდევს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და დომინანტი ეთნოსის ხვედრითი წილი. მაგრამ დღეს დასავლეთის ქვეყნებში ჭეშმარიტ ერ-სახელმწიფოებად ითვლება ისეთი სახელმწიფოები, რომელთა მოსახლეობა თავს

მიიჩნევს ერთი ერის წარმომადგენლად, მიუხედავად თავიანთი ეთნიკური კუთვნილებისა.[34]

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო თვალსაზრისით, ერის ცნების ჩამოყალიბების პრობლემის მიმართ ცალსახა მიდგომა არ არსებობს და მასზე მსჯელობა კვლავაც გაგრძელდება. თვითგამორკვევის უფლება დაკავშირებულია მკვიდრი ხალხის პრობლემასთან. სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურაში მკვიდრი ხალხი აღქმულია, როგორც ხალხის ერთობა, რომელიც გარკვეულ ტერიტორიაზე ცხოვრობს უხსოვარი დროიდან და არ გააჩნიათ სახელმწიფოებრიობა. მათ მოიხსენებენ, როგორც აბორიგენებს, ავტოქტონებს, ტრიბალებს. მკვიდრი ხალხი 300 მილიონამდე ითვლება 70-მდე ქვეყანაში. ისინი ძირითადად ცხოვრობენ აზიისა და ამერიკის კონტინენტებზე. მკვიდრი ხალხი მსოფლიოში ყველაზე არახელსაყრელ პირობებში იმყოფებიან, როგორც კულტურული განვითარების, ისე დემოგრაფიული თვალსაზრისით, მათ არსებობას ფიზიკური გაქრობის საფრთხე ემუქრება. ბუნებრივია, საერთაშორისო თანამეგობრობა გულგრილი ვერ დარჩება მათი მდგომარეობის გამო. პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც მიუძღვნა მკვიდრ ხალხს იყო 1957 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია. 1990 წლის 18 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას და მკვიდრი ხალხის პრობლემების დაძლევის ღონისძიებათა გაფართოებას, ჯანმრთელობის, განათლების, გარემოსა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.

1993 წლის 20 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია მკვიდრი ხალხის პირობების გასაუმჯობესებლად, მათ საკითხს ასამბლეა კვლავ დაუბრუნდა რეზოლუციის სახით 1994 წლის 23 დეკემბერს. სამწუხაროდ, მკვიდრი ხალხის უფლებათა დაცვის პრობლემა

გაეროს დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის და მათი უფლებების დაცვას კვლავ დიდი ძალისხმევა ესაჭიროება, რადგანაც ისინი ფაქტობრივად სრულყოფილად ვერ მონაწილეობენ პოლიტიკური პროცესებში, აქტიურად ვერ იბრძვიან თავიანთი უფლების დასაცავად, რეპრესიებისა და ღირსების შემლახველი სხვა დამამცირებელი მოპყრობის შიშით. ამის გამო ისინი ხშირად მალავენ თავიანთ წარმომავლობას, ივიწყებენ ენას და ტრადიციებს, სამაგიეროდ ისტორიული ნაყოფიერი მიწების და იაფი მუშახელის ხარჯზე კაპიტალს აგროვებენ კაზინოები, ბანკები, ნაციონალური და ტრანსნაციონალური კორპორაციები.

§4. ადამიანის უფლებების ევოლუცია ქართულ ტრადიციულ სამართალში

ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში, წოდებრივ-წარმომადგენლობითი სისტემის გამო, ადამიანის უფლებები იმის მიხედვით განისაზღვრებოდა, თუ რა პატივი და ღირსება ჰქონდა მინიჭებული ამა თუ იმ პიროვნებას საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ. მკვლევართა აზრით, „ცხრა ძმათა კოლაელთა მარტვილობის“ მიხედვით, ადრეფეოდალური ხანის საქართველოში, ქრისტიანობის წინა და მისი დამკვიდრების პერიოდში მამაკაცის ძალაუფლება ოჯახში ისე ძლიერი იყო, რომ ის გულისხმობდა შვილების მიმართ სიკვდილ-სიცოცხლის განკარგვის უფლებასაც.

ანალოგებს ვნახულობთ რომაულ სამართალში. იქ მამის უფლება სიცოცხლის მანძილზე გრძელდებოდა ოჯახის წევრთა მიმართ. ბერძნული სამართალი ამ პრობლემისადმი „ლიბერალურ“ დამოკიდებულებას იჩენდა. საბერძნეთში მამის უფლებები კანონით იყო განსაზღვრული. მას შვილებზე უფლება გააჩნდა მხოლოდ არასრულწლოვნობის პერიოდში.

შემდეგ კი წყდებოდა. ე.ი. საბერძნეთში მამის უფლება კანონით შემოიფარგლებოდა, რომში კი ეს შეზღუდვები არ იყო. როგორც გერმანელი სამართალმცოდნე გეორგ ელინეკი აღნიშნავს, ძველი რომაული ოჯახის მდგომარეობას თუ თანამედროვე თვალსაზრისით მივუდგებით, მცირე მონარქისაგან მხოლოდ ტერიტორიული პრინციპით განსხვავდებოდა, რომ არა პიროვნული კავშირი.[35]

უნდა დავეთანხმოთ ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარებს, რომლებიც ქართულ ადრეფეოდალური ხანის ოჯახს რომისას უფრო ამსგავსებენ.

ჩვენი მეზობელი სომხეთის ისტორიაშიც ქრისტეშობიდან მეორე საუკუნეში ოჯახის უფროსს შეეძლო ცოლის, შვილისა და უშვილო დის, ან ძმის მოკვლაც.[36]

მართალია, ქართული ან ბერძნული წყაროები ამის შესახებ დაწვრილებით არაფერს გვეუბნება, მაგრამ სავარაუდოთ იმ პერიოდის საქართველოშიც მდგომარეობა ანალოგიური უნდა ყოფილიყო. ამ აზრს იზიარებს მკვლევართა უმრავლესობა.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ მართლმადიდებლური ცხოვრების პრინციპებმა ქართული სამართლის თეორიული და იდეოლოგიური საფუძვლების როლი შეასრულა,[37] ქრისტიანული მოძღვრება ღვთის წინაშე ადამიანის თანასწორობას აღიარებდა, მიუხედავად მისი წარმომავლობისა და სოციალური მდგომარეობისა. თანდათანობით ეს უპირველესი პრინციპი მეტ-ნაკლებად სამართლებრივ ძეგლებშიც პოულობდა ასახვას.

ქრისტიანულმა რელიგიამ პრიორიტეტი მონოგრამიური ოჯახის დამკვიდრებას მიანიჭა. აიკრძალა მრავალცოლიანობა, იგი ებრძოდა უსაფუძვლო განქორწინებას, განსაზღვრა ქორწინების აკრძალვის ფარგლები და სისხლის ნათესავთა წრე, დაამკვიდრა სულიერი ნათესაობა — „ნათლიმირონობა“

ნათლობის გზით. ყოველივე ეს საზოგადოებაში ზნეობრიობის დამკვიდრებას ემსახურებოდა.[38] ქრისტიანულმა რელიგიამ ჩამოაყალიბა „მცნებანი-მოთხოვნანი“, თუ რა უნდა აკეთოს და რა არ აკეთოს ადამიანმა. ამ თვალსაზრისით ძველი აღთქმიდან ცნობილია ათი მცნება, მათგან შეიძლება სანიმუშოდ გამოვყოთ რამდენიმე: „პატივი ეცი მამასა და დედასა შენსა“, „არა კაც ჰკლა“, „არ იქურდო“, „არა ცილი სწამო“. ეს შეგონებები საფუძვლად დაედო არა მარტო ქრისტიანულ, არამედ საყოველთაო მორალს, ადამიანის უფლებებს, მის ღირსებებს და შემდგომში სამართლებრივი მნიშნელობაც შეიძინა. ქართულმა სამართალმა უმკაცრესი სანქციები დააწესა უსაფუძლოდ ოჯახის დანგრევისათვის. დამნაშავე მხარე სიკვდილით ისჯებოდა, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა გამოვლინებული არ არის.

ქრისტიანული რელიგია აღმოჩნდა სწორედ ის სულიერი საზრდო, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ეძებდა ქართველი კაცი. „ღვთაების სიყვარული ადამიანურ სიყვარულში მყღავნდება, მოყვასი იყო და არის უდიდესი ღირებულება ამ ქვეყნად „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ — აი . ქართველთა საარსებო ჭეშმარიტებად ქცეული ქრისტიანული მოძღვრების არსი“.[39]

სამწუხაროდ, ქართული სამართლის ძეგლები წერილობითი სახით ფაქტობრივად IX საუკუნემდე არ მოგვეპოვება, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური და, ნაწილობრივ, სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ვღებულობთ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებიდან, როგორიცაა იაკობ ცურტაველის „შუშანიკის მარტვილობა“ ანუ „წამებაი წმინდისა შუშანიკისა“, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ „აბო თბილელის წამება“ გ.მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და ა.შ.

თხზულება „შუშანიკის მარტვილობა“ ეხება ქვემო ქართლის გამგებლის ვარქსენ პიტიახშის და მისი სახლობის

ცხოვრებას. ცოლ-ქმარს შორის დაპირისპირების ძირითადი მიზეზია პოლიტიკური მოსაზრებების გამო ვარქსენ პიტიახშის მიერ სარწმუნეობის შეცვლა და სპარსეთის შაჰის წინაშე აღებული ვალდებულებები.

ნაწარმოებიდან სჩანს, რომ არც თუ ისე შორეულ წარსულში ჩვენში მრავალცოლიანობა მართლაც არსებობდა. მისი გამოძახილი იყო, რომ ქორწინებაში მყოფმა ვარქსენ პატიახშმა, პოლიტიკური მიზნებით, მეორე ცოლის შერთვა განიზრახა. ნაწარმოების ავტორი, იაკობ ხუცესი, აღწერს თუ როგორ ტოვებს შუშანიკი ვარქსენის სახლს. აქ უნდა ვეძებოთ პროტესტი არა მარტო ქმრის მიერ ქრისტიანული დოგმების დარღვევისათვის, არამედ პირადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავადაც. თვით შუშანიკიც შეგნებულად ავლენს თავის ქცევაში ისეთ ქმედებას, ვარქსენმაც რომ პირადი პატივისა და ღირსების შელახვად მიიჩნია. მხედველობაში გვაქვს ქმრის ნებართვის გარეშე ოჯახის დატოვება, სუფრაზე უდანაშაულო რძლისათვის ჭიქა ღვინის შესხმა და ა.შ. ნაწარმოების პერსონაჟთა ქცევაში ადგილი აქვს თვითდამკვიდრების მცდელობასაც, რაც თავისთავად ბუნებითი უფლებების დარღვევის მიმართ პროტესტსაც ნიშნავდა.[40]

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, რელიგიის არჩევის თავისუფლებას შეეწირნენ სპარსი ევსტათი, არაბი აბო და სხვა მრავალი არაქართული წარმოშობის ადამიანი, ჩვენთვის საინტერესო პრობლემებისადმი თავისებურ მიდგომებს ვხედავთ გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობაშიც.

ადამიანის უფლებისა და თავისუფლებების დაცვის პრეტენზიების მცდელობა იკვეთება ყუთლუ-არსლანის, თამარ მეფის (ეკონომიკის მინისტრის, მეჭურჭლეთუხუცესის) ვეზირის პოლიტიკურ მოთხოვნებში. პროფესორი ვ აბაშმაძე წერდა, ,,ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში მთელი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების გარ-

დაქმნის იურიდიულ საფუძვლად მიჩნეულია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საერთო მოძღვრება“.[41] როდესაც სამართლებრივ სახელმწიფოზე ვსაუბრობთ, სადაც გაცილებით მაღალია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი სწორედ ხელისუფლების დანაწილებაა. ქართველი მკვლევარები მაღალ შეფასებას აძლევენ ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ პროგრამას,. მიიჩნევენ, რომ მასში „დიდი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმწიფე გამოსჩანს... სრულიად აზიის მცხოვან ისტორიას ასეთი რამ არ მოსწრებია“,[42] „ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა, რომელიც იმ დროისათვის მართლაც დაუჯერებელსა ჰგავს, მთელი საუკუნით უსწრებდა „დიდი ქარტიის“ მიღებას ინგლისში“,[43] ეს უკანასკნელი კი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში პირველ ფუნდამენტალურ დოკუმენტად განიხილება მაშინდელ მსოფლიოში. ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ პროგრამაზე უამრავი მოსაზრებაა გამოთქმული, მათ შორის ურთიერთსაპირისპიროც, მაგრამ პოლიტოლოგ-მკვლევართა აზრით „ერთ-ერთი ასეთი სიახლე კი არათუ საქართველოსათვის, იმდროინდელი მსოფლიოსათვისაც ერთობ უჩვეულო ე.წ. კონსტიტუციონალისტების მოძრაობა იყო, რომელსაც 1184-1186 წლებში მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი ედგა სათავეში“.[44]

დიახაც, ეს იყო პარლამენტარიზმის შემოტანის იდეა და ხელისუფლების დანაწილების მცდელობა, რაც მოდასეების მაღალ პოლიტიკურ სიმწიფეზე მეტყველებდა.

ადამიანის სოციალური უფლებების დაცვას ემსახურებოდა თამარ მეფის ეპოქაში სამეფო ხაზინიდან „ქვრივ-ობრებისა“ და მიუსაფართათვის გამოყოფილი 25% ფინანსური დახმარება.

როდესაც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საკითხს ვიხილავთ, გვერდს ვერ ავუვლით XII საუკუნის

უკვდავ ქმნილებას, შოთა რუსთაველის „ვეფხვისტყაოსანს“, რომელშიაც გლობალური აზროვნებითაა განხილული უამრავი პრობლემა, რაც მაშინდელ კაცობრიობას აწუხებდა და აწუხებს დღესაც. „ვეფხვისტყაოსანში“ გატარებული „მართალი სამართლისა“ და „სამართლიანი მეფის“ იდეა საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებების დაცვას. თუ კი ქვეყანაში მეფე გამოირჩევა სიუხვით, სამართლიანობით, მოწყალების გაღებით, ამ შემთხვევაში ხალხში ჩნდება პატივისცემა ხელისუფლებისადმი, მაღალია მისი ლეგიტიმურობა. ნდობის ფაქტორი ვრცელდება ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად, რადგანაც პოემაში აღწერილი ინდოეთი ძალიან ჰგავს საქართველოს, ქვეყანა სამეფოებისაგან შედგება, არაბეთისა და ინდოეთის სამეფოების ვეზირები კი მსხვილი ფეოდალები არიან, რომელთაც აქვთ საკუთარი სამფლობელო, ქალაქები და ციხე სიმაგრეები, ჰყავთ სამოხელეო სამსახურები[45] და ა.შ. ვასალებზე, ხელქვეითისადმი დამოკიდებულება ვრცელდება ზემოდან ქვევით და იგი ქვეყნის ცხოვრების წესად იქცეოდა, ბუნებრივია ეპოქის და ფეოდალური ყოფის ფარგლებში. ე.ი. ნაკლებად ირღვეოდა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ საქართველოში პატრონყმური დამოკიდებულება გაცილებით უკეთესი და მისაღები იყო, ვიდრე მაშინდელ ევროპაში გავრცელებული ვასალური ურთიერთობა, ამ დამოკიდებულებების გარეშე მდგომ თავისუფალ პირთა, „ახსნილების“[46] რაოდენობა საკმაოდ დიდი ყოფილა

თანასწორობის იდეის შესახებ რუსთაველი ამბობს, „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების“.[47] შოთა რუსთაველი მართლაც ორიგინალური და მსოფლიოსათვის საინტერესო მოაზროვნეა, სამართლის ფილოსოფიის თვალსაზრისით, რომელსაც ღრმა მეცნიერული შესწავლა და ანალიზი სჭირდება თანამედროვე სამართლებრივი სახელმწი-

ფოს, ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის ბუნებითი უფლებების თეორიისა და პრაქტიკის განზომილებაში. რუსთაველმა პირველმა აღიარა სამართლიანობის ღვთიური ძალის იდეა: „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლად“. ამიტომაც იყო, რომ ცნობილი ქართველოლოგი აკადემიკოსი მარი ბროსე „ვეფხვისტყაოსანს“ უწოდებდა „ჭეშმარიტების მაღალფილოსოფიურ მხატვრობას“.[48]

შემდგომი პერიოდის ფეოდალურ საქართველოში ადამიანის პატივი და ღირსება (უფლებანი და თავისუფლებანი) სამართლის ნორმებით იმდაგვარად იყო დაცული, რის უფლებასაც იძლეოდა ფეოდალური საზოგადოება. იმდროინდელ სამართლის ძეგლებში ეხვდებით სოციალური კიბის თითქმის ყველა წარმომადგენლის პატივისა და ღირსების დაცვის ელემენტებს, მაგრამ სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით. მაღალი წრის წარმომადგენლის პატივისა და ღირსების, სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში მაღალი იყო სახდელები, „სისხლის ფასი“. ასე მაგ., ვახტანგ VI კანონთა კრებულით „სისხლის“ გადასახადი განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, თუ რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნოდა პიროვნება, ან რა თანამდებობა ეკავა სარგოთა იერარქიაში. „დიდებულის სისხლი“ ღირდა 1536 თუმანი, საშუალო ფენის თავადის „სისხლი“ ფასობდა 768 თუმნად, საშუალოზე დაბალის — 384, მაღალი ფენის აზნაურისა — 192, საშუალოსი — 96, ხოლო დაბალი რანგის აზნაურის 48 თუმანი.

ასევეა სვანეთის ისტორიულ ძეგლებშიც, სამართლებრივ პრაქტიკაში იყენებდნენ ცნებებს; „საპატიო სვანის სისხლი“, ჯაფარიძის, იოსელიანის, ყიფიანის და ა.შ.[49]

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი ითვალისწინებდა ეპისკოპოსის და საერთოდ სამღვდელო პირთა პატივსა და ღირსების დაცვას. მათი უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის შემთხვევაში გარკვეული ჯარიმები და ბოდიშის

მოხდაც იყო დაწესებული მიუხედავად იმისა, რომელი სოციალური წრიდანაც არ უნდა ყოფილიყო მათი ღირსებისა და პატივის ხელმყოფი (მუხ. 106, 107, 108).

ქართული ფეოდალური სამართალი იმ დროისათვის, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ზოგიერთი ქვეყნის სამართალთან შედარებით გაცილებით წინ წავიდა. მან შეცვალა ძველი შეხედულება დანაშაულობასა და ბოროტებაზე, რომელსაც რაიმე ზიანი ან ზარალი მოაქვს. ქართულმა სამართალმა ახალი აზრი დაამკვიდრა, რადგანაც მან ყურადღება მიაქცია ბოროტ განზრახვას, რაც დანაშაულის შემცირებასა და აღკვეთას ემსახურებოდა. უფრო სწორად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. „ალბუღას სამართალი ადგენს, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს იმისდაგვარადაც, თუ რამდენად ბოროტი გამოიხატა იმის მოქმედებაში და მარტო ზარალის მიხედვით არ უნდა მიეზღოს სამაგიერო“.[50]

ამ დებულებამ განვითარება და ასახვა ჰპოვა შემდგომში ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულში. კერძოდ, 59-ე მუხლში ჩაწერილია, „თუ კაცი კაცს მოღალატედ ან გზაზე სადმე, სოფლად ღამით გამოსასვლელს ადგილს თუ სადაც იარაღით სასიკვდილოდ გამომეტებით დაუდგეს, და ის საქმე გამოჩნდეს, რომე სდომოდეს და მერმე იმ ხანად იმ კაცს აღარ გაევლოს და წასულიყოს, თავის გუნებით სიკვდილი სდომებია, მაგრამ ღმერთსა და ბედს მოურჩენია რომ იმ გზაზე აღარ გამოუვლია, ამისათვის მთელი სისხლი მოღალატემ იმ კაცს მისცეს, ერთი ღალატად დადგომისათვის და ერთი სიკვდილისა“.[51]

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, ერთმანეთისაგან განირჩევა მკვლელობის მცდელობა, რომელიც სისხლით ისჯება, წინასწარ განზრახვით მკვლელობა ორკეცი სისხლით, ხოლო მკვლელობა ჩადენილი აუცილებელი მოგერიების დროს, სისხლით არ ისჯება.

ქართული სამართლის წყაროები იცნობს თავშესაფრის უფლებას, რომლის შესატყვის ტერმინად აღიქმებოდა „შეხუეწა“ ე.ი. „თავის შეფარება“. აქედან დასკვნა, უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეეძლო თავშესაფარი ეპოვნა საქართველოში და ასეთი ადამიანის გაცემა სამარცხვინო საქციელად ითვლებოდა.

ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული აფიქსირებს ცრუ ჩვენების მიცემას, ანუ „ცრუ მთხრობელს“. ბუნებრივია, ეს მიდგომა ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვის პრინციპებიდან ამოდიოდა (მე-15 და 39-ე მუხლები).

ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ქართული სამართლის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა და დამნაშავეს თუ დამრღვეს არავითარ შეღავათს არ აძლევდა. ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულის 93-ე მუხლით, „ღვინოში, რომ კაცმან ან კაცი მოკლას, ან დაჭრას თუ რაც უყოს, მთელ სისხლზე თუ არა მეტი, ნაკლები არ მიეცემის, ამისათვის, რომ ის რომ იცის ღვინოში აჩქარებული არის, რატომ დალევს ამდენს, რომ ამგვარ საქმეს აქნევინებს“.[52]

როდესაც ანალიზს ვუკეთებთ სასამართლო პრაქტიკას საქართველოში, ამასთანავე ბექა-აღბუღასა და ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულს, ნათლად სჩანს ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ტრადიციულად მოწმე სამართლის განვითარების ყველა ეტაპზე სასამართლო პროცესის მონაწილეთა შორის მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებებად ჩაითვლება ვახტანგ VI, სოლომონ I, ერეკლე II-ის ძალისხმევა ისეთი უმძიმესი დანაშაულის წინააღმდეგ, როგორიც იყო „ტყვეთა სყიდვა“. „ტყვედ გაყიდვა“, თანამედროვე ტერმინოლოგიით — ადა-

მიანებით ვაჭრობა, რომელიც დროთა ვითარებაში შინაარსს იცვლიდა. ფეოდალს კანონი არ უკრძალავდა ყმა გლეხის ოჯახის წევრის ცალ-ცალკე და უადგილ-მამულოდ გაყიდვას ან გაჩუქებას, თუმცა აკრძალულ იყო ყმა გლეხის გაყიდვა ქვეყნის გარეთ. სამწუხაროდ, XVII-XVIII საუკუნეებში ტყვეთა გაყიდვამ, საზღვარგარეთ, რომელიც ითვლებოდა „სჯულის საწინააღმდეგო“ ქმედებად, მასიური ხასიათი მიიღო. ტყვეთა გამტაცებლებს განსაკუთრებით ეკლესია ებრძოდა, მაგრამ უშედეგოდ.

ადამიანის გამტაცებლებს და მკვლელებს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა. მან დამნაშავეთა მიმართ უმკაცრესი სასჯელების გამოტანის ხარჯზე თითქმის შეძლო ამ ორი მძიმე სახის დანაშაულობათა აღკვეთა, (დაფიქსირებულია დამნაშავეთა ცოცხლად დაწვის შემთხვევა).

ანალოგიურად ებრძოდა ადამიანების გაყიდვასა და დაგირავებას. სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი მისი 1842წ. 16 ნოემბრის „ადამიანის დაგირავების აკრძალვის შესახებ“ ბრძანება აცხადებს „აღეკრძალვის ყოველთა ესევითარი, რომელ არავინ მამა შვილსა, გინ ძმა ძმასა და ნათესავთ ნათესავსა ანუ კაცი სულსა ვერ დააგირავებენ“.[53] იგივე დავით დადიანის 1846 წლის 3 ივნისის ბრძანებაში „შვილის გასყიდვის აკრძალვის შესახებ“ ვკითხულობთ, „ერთის კერძოობითს შემთხვევისაგან ცნობილ არს მომხდარი 1835-ს წელშიდ მამისაგან გასყიდვა შვილსა, რასა ზედა მებატონეს განუცხადებია თანხმობა და ხელი მოუწერია“.[54] იმავე ბრძანებით დავით დადიანი საქმის გამოძიებას ითხოვს და კრძალავს მსგავს შემთხვევებს, ადამიანებით მოვაჭრეებს კი მკაცრი სასჯელით ემუქრება.

აღნიშვნის ღირსია XIX საუკუნის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი წარმომადგენლების პატრიოტიზმით, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების

პატივისცემით გაჯერებული თეორიები, მხედველობაში გვაქვს ილია ჭავჭავაძის „წოდებათა შერიგების“, არჩ. ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“, ვ. ფშაველას „ადგილის დედის და ბუნებითი სამართლის“ ფუნდამენტალური მიმართულებები. ადამიანის საკუთრების უფლებათა დაცვის საუკეთესო მაგალითია 1861 წლის ცნობილი „რეფორმის“ „გლეხთა განთავისუფლების“ პროცესის მიმართ დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ვახტანგ ორბელიანის დამოკიდებულება. მან მოუწოდა ქართველ მემამულეთ, „ნუ ვიქნებით უმადურნი, ეს ერი (გულისხმობს გლეხებს გ.ლ.) ჩვენ ყმებად გვყვავდნენ და გვემსახურებოდნენ ერთგულად, ჩვენც გვემსახურებოდნენ და ჩვენს ქვეყანასაც. მათი საუკეთესო ნაწილი ყოველთვის ბრძოლის ველზედ წვებოდა... ამ ერს ჩვენი სამსახურებისაგან ათავისუფლებდნენ და ათავისუფლებენ ცარიელს... მოდით ჩვენდა სასახელოდ ამ ჩვენ უმცროს ძმებს თითო სახლის და ეზოს მიწები დავუთმოთ და ვაჩუქოთ ჩვენს სამახსოვრად“.[55] მსგავს მოსაზრებას გამოთქვამდა თვით ი.ჭავჭავაძე და მრავალი სხვა მოღვაწე, რასაც, ჩვენი აზრით, კომენტარი აღარ სჭირდება.

და ბოლოს, ფეოდალური საქართველოს სასამართლოებში მიმდინარეობდა წერილობითი ფორმით სასამართლო გამოძიება. მოსამართლე ასრულებდა ბრალმდებლის ფუნქციას, დაცული იყო საქმეთა განხილვის საჯაროობის, კოლეგიალობის, მხარეთა შეჯიბრობითობის პრინციპები. პროცესზე ხდებოდა მტკიცებულებათა შეფასება, მოწმეთა დაკითხვა და სხვა მოქმედებები, რაც თავისთავად იყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტი.

უფრო მოგვიანებით საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებისა და დაცვის რეალური მცდელობა იყო 1921 წლის კონსტიტუციაში განმარტებული პრინციპები. კონსტიტუციის მე-3 თავში „მოქალაქის უფლებები“, რომლებიც განთავსებულია 30 მუხლად და იმ დროის

გადასახედიდან კონსტიტუციის ერთ-ერთ დადებითი მომენტად უნდა ჩაითვალოს. მოქალაქენი კანონის წინაშე თანასწორნი არიან. არ არსებობს წოდებრივი განსხვავება, სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, ყოველი მოქალაქე გასამართლებული უნდა იქნას სასამართლო საერთო წესით, ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია, კერძო მიწერ-მოწერა დაცულია, ყოველი მოქალაქე მიმოსვლისა და ბინადრობის არჩევაში თავისუფალია, ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო დაუშვებელია, ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვითი ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო ეკონომიკურ და საოჯახო უფლებით. პოლიტიკური დევნილი, რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეხიზნული, სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა. კონსტიტუციაში განსაზღვრულია ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის საპროცესო ნორმები. ასე მაგ. „როგორც სასამართლო ორგანოთა, ისე ადმინისტრაციის ბრძანებით შეპყრობილი 24 საათის განმავლობაში უახლოეს სასამართლოში უნდა იქნეს წარდგენილი; თუ სასამართლო ისეა დაშორებული, რომ 24 საათში დამნაშავის წარდგენა შეუძლებელია, ეს ვადა განგრძობილ უნდა იქნეს ადგილობრივ გარემოების მიხედვით, მხოლოდ არა უმეტეს 48 საათისა (მუხ. 25); ან კიდევ სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა, დაჰკითხოს, ხოლო შემდეგ წერილობითი ბრძნება გასცეს ან მისი შეპყრობის განგრძობისა, ან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის[56] (მუხ. 26). სამწუხაროდ მათი ამოქმედება პრაქტიკულად არ მომხდარა ცნობილი მიზეზების გამო.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 2004 წ. *1.* გვ. 4 (პრეამბულა).
2. გ. მიქანაძე, ევროპის ომბუდსმენები, თბ., 1999. *2.* გვ. 9-10.
3. ვ. აბაშმაძე „ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“, თბ., 1997, *3.* გვ. 136-140.
4. პლატონი, თხზ. ტ. 3, რუს. გ. 1972, *4.* გვ. 189.
5. Ясперс К., Смысл и назначение истории М. 1991. *5.* с. 215.
6. Монтескье Ш. Избранные произведения м. 1955 *6.* ст. 290-291.
7. Цицерон. Диалоги М. 1966 г. *7.* ст. 24-25.
8. შ.ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ., 1994, *8.* გვ. 13.
9. გ. ლობჟანიძე, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძღვრების ისტორიიდან. ქუთ. 1998, *9.* გვ. 133-141; *37.* გვ. 35-43; *40.* გვ. 35-73.
10. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995, *10.* გვ. 6; *17.* გვ. 7.
11. მართლმსაჯულების მაცნე, №4, თბ., 1998 წ. *11.*
12. რ. დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ., 1993, *12.* გვ. 33.
13. ი. ჭავჭავაძე, ივერია, №103, 1888, *13.* გვ. 2; *14.* თხზ. ტ.VI, გვ. 136; *18.* ტ. IX გვ. 278-279; *19.* ტ. III. გვ. 198; *29.* ტ. IV, გვ. 9.
14. გაზ. „ივერია“, 1888 წ. №9, *15.* გვ. 2.
15. ვ. ლორია, მ. ბენდელიანი, ბ. გელაშვილი. ადამიანის უფლებები და რელიგია. თბ., 2004 წ. *16.* გვ. 20-21.
16. ბ. სავანელი, ადამიანის უფლებები, თბ., 2001, *20.* გვ. 169.
17. გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2003 წ. *21.* გვ. 93.

18. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2003 წ. *22.* გვ. 406.
19. Л. Матарадзе, О принципе равноправия и самоопределения народов, საქართველო და საერთაშორისო სამართალი, თბ., 2001 წ. *23.* გვ. 10-21.
20. Л. Матарадзе, Национальные меньшества в контексте международного и конституционного права зарубежных стран. «Вечерный Тбилиси», 11-12 июня, 2002 г. *24.*
21. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2003 წ. *25.* გვ. 123-124. *33.* გვ. 119-120.
22. Л. Матарадзе, Об Абхазской проблеме без гнева и пристрастия, Российско-грузинские отношения. Абхазский ракурс. Тбилиси, 2004, *26.* с. 248-270.
23. დ. სუმბაძე, „ერის უფლებისა და ღირსებისათვის", თბ., 2002. *27.*
24. არ. ჯორჯაძე, თხზულებანი, წ. I, *28.* გვ. 43; *50.* გვ. 11.
25. მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ., 1990 წ. *30.* გვ. 15; *31.* იქვე.
26. ჟურნალი «Просвещение», М., 1913, №3-4-5 (ი. სტალინი, თხზ. II, გვ. 369-370). *32.*
27. ზ. დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003 წ. *34.* გვ. 33-43.
28. გ. ელინეკი, ზოგიერთი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, 1980, *35.* გვ. 30 (რუსულ ენაზე).
29. გ. ხალატიანცი, სომხეთის ისტორიის ნარკვევები, მოსკოვი, 1910, *36.* გვ. 328-330.
30. ჟურნალი „ალმანახი", თბ., 2000, *38.* გვ. 53.
31. გ. მურღულია, გ. ალიბეგაშვილი, ვ. მაღლაფერიძე, საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 1992, *39.* გვ. 12.

32. ვ. აბაშმაძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენები, თბ., 1992, *41.* გვ. 95.
33. ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, თბ., 1992, *42.* გვ. 95.
34. გ. აბაშიძე, წინაპრები და თანამემამულენი, თბ., 1979, *43.* გვ. 23.
35. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, №99, 1 მაისი 2004. *44.*
36. ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1986, *45.* გვ. 146.
37. გ. ნადარეიშვილი, სახელმწიფო სამართალი და მორალური ნორმები „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, თბ., 2002, *46.* გვ. 26.
38. შ. რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი", თბ., 1986, *47.* გვ. 40.
39. ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბ., 1991 წ. 48. გვ. 8.
40. გ. გასვიანი, სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა XI-XVIII სს. თბ., 1980, *49.* გვ. 54-56. (რუსულ ენაზე).
41. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955, *51.* გვ. 67; *52.* გვ. 74.
42. ხელნაწერთა ინსტიტუტი, რ. ერისთავის პირადი ფონდი, №30, *53.* ფურ. 33; *54.* ფურ. 44.
43. ზ. ჭიჭინაძე, ვ. ორბელიანი, 1982, *55.* გვ. 24.
44. საქართველოს კონსტიტუცია (მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წ. 21 თებერვალს), თბ., 1992 წ. *56.* გვ. 15-16.

თავი V

ადამიანის უფლებების დაცვა საომარი მდგომარეობის დროს

§1. ომი და ადამიანის უფლებები

კაცობრიობა გასული საუკუნის დასასრულს და ახალი ათასწლეულის დასაწყისს სერიოზული პრობლემებით შეხვდა. მსოფლიოს მრავალ კუთხეში გაჩნდა ახალი საერთაშორისო და არასაერთაშორისო საომარი კერები, რომლებიც წარმოიშვნენ იმპერიების დაშლის, ექსტრემისტული, ნაციონალური, რელიგიური და სხვა მოტივებით. ერთ-ერთ ძირითად მიზეზად, შექმნილიყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი დარგი, ზემოთ აღნიშნული მოვლენებიც უნდა მივიჩნიოთ. იგი მოიცავს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას, კონვენციასა და სხვა აქტებს, რომელიც ეხება ადამიანის ბედს შეიარაღებულ კონფლიქტებში. მართალია, ჩვეულებები და კანონები მაქსიმალურად ზღუდავენ ომის დაწყების შესაძლებლობას და რომ აგრესიული ომი კანონგარეშეა გამოცხადებული, მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში არ არსებობს ასეთი ომის დაწყების შესაძლებლობის გამომრიცხავი სრული გარანტიები. ამიტომ, ამ პრობლემის ამსახველი კონვენციები საერთაშორისო სამართლის არეალში XIX საუკუნის შუა წლებიდან ჩნდება.

ქრონოლოგიური ნიშნის მიხედვით, ისინი, როგორც ჰუმანიტარული სამართლის წყაროები, ასე ლაგდება:

- პარიზის 1856 წლის დეკლარაცია საზღვაო ომის შესახებ.

- 1868 წელს სანკტ–პეტერბურგში მიღებული იქნა დეკლარაცია, ომის დროს ზოგიერთი სახის ჭურვის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

- 1899 წელს, 29 ივლისს ჰააგაში მიიღეს დეკლარაცია ისეთი ტყვიების აკრძალვის თაობაზე, რომლებიც ადვილად ბრუნავს და ბრტყელდება ადამიანის სხეულში (ტყვიები დუმ–დუმ).

- 1907 წლის 18 ოქტომბერს მიღებული იქნა (IV) სახმელეთო ომის კანონიერებისა და ჩვეულებებისადმი მიძღვნილი კონვენცია და დებულება.

- 1925 წლის 17 ივნისს ჟენევაში მიღებული იქნა ოქმი ომში მხუთავი, ტოქსიკური და სხვა მსგავსი აირებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებების გამოყენებისა და აკრძალვის თაობაზე.

- 1948 წლის 9 დეკემბერს მიღებული იქნა კონვენცია გენოციდის, როგორც საერთაშორისო დანაშაულის შესახებ.

- 1949წ. 12 აგვისტოს, ჟენევაში მიღებული იქნა I კონვენცია მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. იმავე დღეს მიღწეული იქნა II კონვენცია საზღვაო შეიარაღებულ ძალებში დაჭრილთა, ავადმყოფთა, ხომალდის კატასტროფის შესახებ. III კონვენცია შეეხო სამხედრო ტყვეების მოპყრობას IV კონვენცია ეხება ომის დროს სამოქალაქო პირთა დაცვის პრობლემებს.

- 1954წ. 14 მაისის კონვენცია ეხება შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში კულტურულ ფასეულობათა დაცვის საკითხებს.

- 1972წ. 10 აპრილის კონვენცია ეხება ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის წარმოების, დაგროვების და გამოყენების აკრძალვებს.

- 1976 წლის 10 დეკემბრის კონვენცია ლაპარაკობს ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მქონე ტექნიკის სამხედრო ან სხვა მავნე მიზნებისათვის გამოყენების აკრძალვაზე.

- 1977 წლის 8 ივნისს მიიღეს პირველი და მეორე ოქმი, რომელიც იყო 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის დამატება შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვის შესახებ. იმავე დღის II ოქმი არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვის შესახებ. ჟენევის კონვენციებს დღეისათვის 188 ქვეყანა აწერს ხელს, დამატებით პირველ ოქმს – 152, ხოლო დამატებით მეორე ოქმს – 144 ქვეყანა.

- 1980 წლის 10 ოქტომბრის კონვენცია ზოგიერთი ტიპის ჩვეულებრივი შეიარაღების აკრძალვის ან შეზღუდვის თაობაზე, კონვენციას თან ერთვის I, II და III ოქმი. მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითად წყაროებად მიჩნეულია ჟენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები (4 კონვენციას+2), რომლებიც მიჩნეულია „ჟენევის“ სამართლის ქვაკუთხედად.

ჰუმანიტარული სამართლის სფეროს მიეკუთვნება ასევე 1990 წელს ჟენევაში მიღებული სამხედრო მოქმედებათა მართვის საერთაშორისო სამართალი, რომელიც „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტმა მოამზადა. 1988 წელს ინგლისურ ენაზე გამოიცა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ყველა კონვენციისა და კონფლიქტებთან დაკავშირებული სხვა ტექსტების კრებული. 1999 წელს ქ. თბილისში ქართულ ენაზე გამოიცა ჰანს-პეტერ გასერის შრომა, „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“, რომელიც დაიბეჭდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრში, „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტის ხელშეწყობით.

ამ პრობლემით დაინტერესებული მკვლევარები,[1] სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები იმედს გამოთ-

ქვამენ, რომ გაერო, როგორც საერთაშორისო საზოგადოების ფლაგმანი, მომავლისათვის კიდევ უფრო დიდ ყურადღებას დაუთმობს „ჰუმანიტარული სამართლის პატივისცემის საკითხს“. ამასთანავე, უდიდესი როლის შესრულება შეუძლია ისეთ ტრადიციულ ორგანიზაციას, როგორიცაა „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტი, „რომელსაც ჰუმანიტარულ დიპლომატიაში უდიდესი გამოცდილება გააჩნია“. კომიტეტის საქმიანობა შემდგომშიც „სახელმწიფოთა საყოველთაო მხარდაჭერას იმსახურებს. მიზანი ამართლებს ძალისხმევას: საქმე ხომ საომარ დაცვას ეხება“,[2] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით ტერმინი „სამხედრო ტყვე“ ნიშნავს პირს, რომელიც მეორე მხარის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნის, სამხედრო ტყვეებად ითვლებიან შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში შემავალი პირები, პარტიზანები, მოხალისეთა რაზმები, არაკომბატანტები, წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები. სამწუხაროდ, ტყვეთა საშინელი წამების ფაქტებს ვხვდებით პლანეტის სხვადასხვა კუთხეში. ამის რეალური დადასტურებაა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პირთა მოქმედება ერაყში, რამაც მსოფლიო სკანდალი გამოიწვია და თუ ამას სჩადიან ისეთი დემოკრატიული ქვეყნის სამხედროები, როგორიც ამერიკაა, გასაგებია რასაც ჩაიდენენ ზოგიერთი სხვა ქვეყნის სამხედროები. ამით იმის თქმა გვსურს, რომ პრობლემა კვლავ აქტუალურად დგას დღის წესრიგში მსოფლიოს წინაშე.

სხვა ორგანიზაციებთან ერთად ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის სფეროში აქტიურ მუშაობას ეწევა რაულ ვალენბერგის დამოუკიდებელი აკადემიური ინსტიტუტი. ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს განათლებას ადამიანის უფლებათა სფეროში, ატარებს კვლევებს, „ტრეინინგებს“ ჰუმანიტარულ და ლტოლვილთა, ინტელექტუალური სამართლის, საკითხების, შრომის საერთაშორისო

სტანდარტების და საერთაშორისო სისხლის სამართლის პრობლემებს. იგი დაარსდა 1984 წელს.

დღემდე ჰუმანიტარულ სამართალში ცალკე ნაშრომი ქართულ ენაზე არ გვქონია,[3] ამიტომ ჰანს-პეტერ გასერის ნაშრომს „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი" დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც აკადემიკოსი, პროფესორი ლევან ალექსიძე წერს, „ნაშრომი დაწერილია უბრალო ენით, გასაგებად. ამიტომ იგი მისაწვდომია ყველა სახის მკითხველისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან აღნიშნული პრობლემით. ეს ნაშრომი უნდა იქცეს სამაგიდო წიგნად საქართველოს სამხედრო და სამართალდამცავ სტრუქტურებში მომუშავე პირებისათვის, უმაღლესი განათლების დაწესებულებათა სტუდენტებისათვის, განსაკუთრებით იურისტებისათვის".[4]

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი განასხვავებს კონფლიქტის სახეებს. ერთ-ერთ სახედ მიჩნეულია **საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი**. იგი გამოიხატება ორი ან მეტი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის ან ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობასა და მეტროპოლიის შეიარაღებულ ძალებს შორის სამხედრო მოქმედებებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე პარტიზანების ბრძოლით.

არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მიმდინარეობს, შეიძლება არსებობდეს კონფლიქტები, რომლებიც ორ სახელმწიფოს შორის მიმდინარეობს, მაგრამ აგრესიის ხასიათი ვერ დადგინდეს.

შეიარაღებული კონფლიქტები დღეს არ დაწყებულა. ისინი ყველა დროის მოვლენებია. ომები, საერთაშორისო თუ არასაერთაშორისო მნიშვნელობისაა იგი, უამრავი ადამიანის დაღუპვის მიზეზი გახდა და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. თუმცა, პირველი კონფლიქტების დროიდან თანამედროვე ჰუმანიტარული სამართლის წარმოშობამდე, დაფიქ-

სირებულია 500-ზე მეტი ორმხრივი ხელშეკრულება (კარტელი), ქცევითი კოდექსი, შეთანხმება და სხვა დოკუმენტი, რომელთა მიზანი იყო საომარი მოქმედებების მიმდინარეობის მოწესრიგება. „ფორმალურად არავის ჰქონდა უფლება თავს დასხმოდა სხვა სახელმწიფოს, თუ მას ამისათვის რაიმე იურიდიული გამართლება არ ჰქონდა მსხვერპლის „ბრალის“ შესახებ. არავის ჰქონდა უფლება სხვა სახელმწიფოს (რასაკვირველია „ცივილიზებულის“) ტერიტორიის დაპყრობისას უმოწყალოდ გაენადგურებინა ადგილობრივი მოსახლეობა ან საერთოდ ჩაედინა ქმედობა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ხალხთა შორის ჩამოყალიბებულ ჩვეულებებს, მოწყალების კანონებს, საზოგადოებრივი შეგნების და კაცთმოყვარეობის მოთხოვნებს ცივილიზაციის იმპერატივებს“.[5]

თავის დროზე ომის კანონებისა და ჩვეულებების, ომების გამომწვევი მიზეზების შესწავლის საქმეს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ჰილანდიელმა იურისტმა ჰუგო გროციუსმა (1583-1645 წ.წ.), რომელსაც სპეციალისტები საერთაშორისო სამართლის მეცნიერების მამამთავრად მიიჩნევენ. მის ნაშრომებში ჩამოყალიბებულ დოკუმენტებს იყენებდნენ სახელმწიფოთაშორის არსებული დავების დროს საერთაშორისო სამართლის ნორმების არსებობის დასაზუსტებლად.

იმ დოკუმენტებს შორის ცნობილია კოლუმბიის კოლეჯის პროფესორის ფრენსის ლიბერის კოდექსი, რომელიც აბრაჰამ ლინკოლნის თხოვნით შეადგინა. იგი იყო სახელმძღვანელო ინსტრუქციების კრებული შეერთებული შტატების ჯარისკაცებისთვის ამერიკის სამოქალაქო ომის დროს. კოდექსი ძალაში შევიდა 1863 წლის აპრილში. ამ დოკუმენტის მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ იგი წარმოადგენდა ომის არსებული კანონებისა და ჩვეულებების კოდიფიკაციის პირველ მცდელობას, მაგრამ მას არ ჰქონია ხელშეკრულების სტატუსი.[6]

ბუნებრივია, 1863 წელს „წითელი ჯვრის“ დაარსებას ან 1864 წელს ჟენევის პირველ კონფერენციას არ მოჰყოლია თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჩამოყალიბება, თუმცა, პირველყოფილი ხალხების ომების პრაქტიკაც შეიცავდა საერთაშორისო ნორმების სხვადასხვა სახეობას, რომლებიც დღესდღეობითაცაა ცნობილი. საკმარისია აღინიშნოს ძველი ჩინეთის სამხედრო ხელოვნების ამსახველი ტრაქტატები. მათ შორის ძველი წელთაღრიცხვის VI ს. ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისის მოღვაწე სუნ-ძის და ძვ. წ. IV ს-ის უ-ძის ტრაქტატები. „ამ ორი ტრაქტატის რეპუტაცია ასეთია: ჯერ კიდევ უძველეს დროში ჩინეთსა და იაპონიაში ითვლებოდა, რომ ძველი ჩინეთის სამხედრო ხელოვნება იყო „სამხედრო ხელოვნება სუნ უ“ (სუნ უ ბინ ფა).[7]

ამიტომ საერთაშორისო სამართალი გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ საკაცობრიო პრობლემების მიმართ, რომელიც „ადრე ომის სამართლის სახელით“ იყო ცნობილი. ნაშრომის ავტორი, ჰანს-პეტერ გასერი ლოგიკურად და საინტერესოდ სვამს კითხვას: „ომი და სამართალი?“, „სამართალს შეუძლია თუ არა ომის თავიდან აცილება?“, „უნდა დაინტერესდეს თუ არა სამართალი ომით?“, „უნდა მიეცეს თუ არა ომს რესპექტაბელური ხასიათი?“ რა სარგებლობა შეიძლება მოიტანოს სამართალმა პრაქტიკაში, ბრძოლის ველზე ან ციხის კედლებში“ და ბოლოს, მართალი იყო თუ არა ციცერონი, როდესაც სკეპტიკურად განაცხადა „ომის დროს კანონები დუმს?“

ავტორმა ყველა დასმულ შეკითხვას ნაშრომში პასუხი გასცა. დაწვრილებით გაცნობას მკითხველი შეძლებს სხვა პუბლიკაციებშიც.[8]

განვიხილოთ რა არის კონფლიქტი და რას წარმოადგენს ომი. პოლიტიკურ მეცნიერებაში შემოვიდა დისციპლინა, რომელსაც კონფლიქტოლოგია ეწოდება. ტერმინი

„კონფლიქტი“ ლათინური წარმოშობისაა (Confliqtus) და ნიშნავს შეჯახებას, დავას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სოციალურ სფეროში. კონფლიქტებს ხშირად მოსდევს აშკარა ბრძოლა, როცა საქმე ეხება სხვადასხვა ინტერესებისა და რელიგიური წარმოდგენების, ჯგუფებისა და გაერთიანებების რადიკალურ მოთხოვნებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ძალაუფლებისათვის ბრძოლაში გადაიზრდება.

მარქსისტულ-ლენინური კონცეფციით, „ომი არის პოლიტიკის ძალდატანებითი გაგრძელება“, ის შეიძლება იყოს სამართლიანი და უსამართლო, აგრესიული და რეაქციული. ე.ი. ომის თითოეულ სახეობას განსაზღვრავს მისი პოლიტიკური შინაარსი. ომები ტერიტორიული ნიშნის მიხედვით შეიძლება დავყოთ:[9] 1. მსოფლიო ომი. 2. კონტინენტური მნიშვნელობის ომები. 3. რეგიონალური ომები ანუ I. დაპირისპირებული სისტემების და იდეოლოგიის მქონე სახელმწიფოთა ომი. II. ერთ სახელმწიფოში სამოქალაქო ომი. III. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომები. თანამედროვე მიდგომით, ომები შეიძლება ასე გავიაზროთ — აგრესიული ომი, როდესაც ერთი სახელმწიფო თავს ესხმის მეორეს და მეორეს მიერ წარმოებული თავდაცვითი ომი.

მეომარ მხარეში იგულისხმება საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი, რომელიც წარმოიშობა ომის დაწყების შემდეგ და ომის კანონებისა და ჩვეულების საფუძველზე წესრიგდება. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი განასხვავებს მეომარი მხარის ორ კატეგორიას: შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტში მონაწილე და საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, პოზიციების შესაბამისად, გარდა მეომარი სახელმწიფოებისა იყოფა:

ა) არამეომარი სახელმწიფო, ქვეყანა, რომელიც ფორმალურად ომში ჩაბმული რომელიმე სახელმწიფოს მხარეზე

არ იბრძვის, მაგრამ იტოვებს უფლებას დახმარება გაუწიოს რომელიმე მათგანს იარაღით, საბრძოლო ბაზებით და ა.შ.;

ბ) ნეიტრალური ქვეყანა, იგი არ მონაწილეობს საომარ სიტუაციებში, მისი ტერიტორია არ გამოიყენება საომარი მოქმედებებისთვის და ომის დამხმარე ოპერაციებისათვის;

გ) მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსის მქონე სახელმწიფო არა მარტო არ მონაწილეობს რაიმე საომარ-მოქმედებებში, არამედ მშვიდობიან დროსაც კი თავს იკავებს ყოველგვარი ისეთი შეთანხმებებისაგან და ხელშეკრულებაში მონაწილეობისაგან, რაც სამხედრო მიზნებთანაა დაკავშირებული. დღემდე ასეთ სახელმწიფოებად ითვლება შვეიცარია 1815 წლიდან და ავსტრია 1955 წლიდან;

დ) აგრესორი სახელმწიფო, რომელიც თავს ესხმის სხვა სახელმწიფოს თუ სახელმწიფოებს, აგრესორის როლში შეიძლება მოგვევლინოს სახელმწიფოს ჯგუფი ან გაერთიანება, მაგ. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანია-იტალიის ბლოკში შემავალი სახელმწიფოები.

აგრესიასთანაა დაკავშირებული ანექსია ანუ სხვა სახელმწიფო ტერიტორიის ან მისი ნაწილის მითვისება ძალის გამოყენებით ან მისი გამოყენების დამუქრებით.

კაცობრიობის უჭკვიანესი ადამიანები, განურჩევლად ეროვნებისა, ქმნიან უფრო და უფრო დახვეწილ საომარ საშუალებებს თავდასხმისა და თავდაცვისათვის, პარალელურად პოლიტიკოსები სამშვიდობო ხელშეკრულებებს აწერენ ხელს და თავდაცვით ბლოკებში ერთიანდებიან. ხელოვნების მუშაკები ომის საშინელების ამსახველ ნაწარმოებებს ქმნიან, იღებენ ფილმებს, დგამენ სპექტაკლებს. სამწუხაროდ, ომის მიზეზები, სამხედრო კომპლექსების ინტერესები სერიოზული კვლევა-ძიების და შესწავლის მიღმა რჩება. ალბათ ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა, რომ დღემდე არ შეუწყვეტია კაცობრიობას ხან „ომობიას თამაში“, ხან კიდევ სერიოზული ომების წარმოება, რომელიც „უზომოდ ავი და ბოროტი, ძლიერი და

დაუზოგავი, ტრაგიკული თანამგზავრია ადამიანთა ისტორიისა, ომი ყველაზე საშინელი მდგომარეობაა საზოგადოებისათვის, როდესაც სახელმწიფო აგზავნის თავის მოქალაქეებს, რომ მოკლან და იყვნენ მოკლულნი, როდესაც განურჩევლად ნადგურდება მანამდე შექმნილი მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, როდესაც კაცთაკვლა გამართლებულად მიიჩნევა და ძალადობა ზეიმობს და ღირსებად ითვლება, სინამდვილეში კი ომი — ადამიანისა და მთელი კაცობრიობის დამღუპველია, ომი სიკვდილია."[10] „ომები წითელ ზოლად გასდევს კაცობრიობის ისტორიას. გამოთვლილია ომების საერთო რაოდენობა, კაცობრიობის ისტორიაში, დიდ მონაკვეთზე დაახლოებით 3500 წლიდან ჩვენს ერამდე. მათი საერთო რაოდენობა 14500 აჭარბებს, მაშინ, როდესაც უომარ მდგომარეობაში მსოფლიო ხალხებმა სულ რაღაც 300-იოდე წელი თუ იცხოვრა... არაერთგვაროვანი იყო და არის ომების ხასიათი და მასშტაბები, მაგ,: პირველი მსოფლიო ომში მონაწილეობდა 38, ხოლო მეორე მსოფლიო ომში 72 ქვეყანა".[11] შეიარაღებულ კონფლიქტებს მე-20 საუკუნეში საშუალოდ 191 მილიონი ადამიანი შეეწირა და მათგან ნახევარზე მეტი სამოქალაქო პირები იყვნენ. მაგრამ ბირთვულ ომში, თუ იგი თავს დაატყდა კაცობრიობას, ჩაბმული აღმოჩნდება ნებისმიერი ქვეყანა, მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და სურვილის მიუხედავად, თუ ადრინდელ ომებს, რომელიმე მხარის გამარჯვება მოსდევდა, ბირთვული ომის შემთხვევაში საერთოდ გამორიცხული იქნება რომელიმე მხარის გამარჯვება. მანამდე მომხდარ ომებს ნგრევა და განადგურება მოჰქონდა, მაგრამ დღის წესრიგში არასოდეს დამდგარა სახელმწიფოთა გლობალური კატასტროფა და თვით ადამიანთა სიცოცხლის არსებობა მთელ პლანეტაზე ისეთ ვითარებაში, როდესაც სამხედრო არსენალი 50000 ერთეულ ბირთვულ იარაღს ითვლის, ხოლო მისი 5%-ც კი საკმარისია სიცოცხლის მოსასპობად დედანიწაზე.

ბირთვული ომის ტოტალური საფრთხე დამოკლეს მახვილივით აწევს თანამედროვე კაცობრიობას.[12] ამიტომაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისი წესდებით ომს, ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალის გამოყენების მუქარას კრძალავს. ის ყველა სახელმწიფოს ავალდებულებს ნებისმიერ სიტუაციაში მშვიდობიანი გზით გადაჭრან ყველა პრობლემა, მაგრამ თუკი სახელმწიფოთა შორის ომი დაიწყება, მოქმედებას იწყებს ჰუმანიტარული სამარლის ნორმები. როგორც მეხანძრეა მზად ცეცხლთან საბრძოლველად, მაგრამ არ სურს ხანძრის კერების წარმოშობა, ასევეა ჰუმანიტარული სამართალიც. მართალია, ის მაშინ იწყებს მოქმედებას, როდესაც ომის კერა გაჩნდება, მაგრამ წინააღმდეგია ომის წარმოების. ამ პრობლემას ხაზს უსვამს ჟენევის კონვენციის I დამატებითი ოქმის პრეამბულა „1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციები არ იქნა გაგებული ისე, თითქოს ისინი აკანონებდნენ ან ნებას რთავდნენ აგრესიის რაიმე აქტის ან სხვა სახის ძალის გამოყენებას, რომელიც შეუსაბამოა გაეროს წესდებასთან“.

გაეროს წესდება და საერთაშორისო სამართალი რამდენადაც კრძალავს ძალის გამოყენებას და აგრესიას, იმდენად არ კრძალავს ძალის გამოყენებას, როდესაც ამა თუ იმ სახელმწიფოს თავს ესხმიან და იძულებულია დაიცვას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. ე.ი. გამოიყენოს თავდაცვის უფლება, სახელმწიფომ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად სხვა სახელმწიფოებთან ერთად, გაუწიოს წინააღმდეგობა აგრესიულ სახელმწიფოს შეიარაღებულ თავდასხმას. გაეროს წესდებაში აღნიშნულია „ეს წესდება ოდნავადაც არ ეხება ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის ხელშეუვალ უფლებას“, წესდება ითვალისწინებს, თავდაცვის უფლება განხორციელდეს გაეროს მხრიდან სათანადო რეაგირებამდე და იგი ვრცელდება გაეროს წევრ

სახელმწიფოთა გარდა ყველაზე. ომის გამოცხადებას, წარმოებას და დამთავრებას აწესრიგებს ჰუმანიტარული სამართალი საერთაშორისო სამართალთან ერთად. ომის გამოცხადება არის ამა თუ იმ სახელმწიფოსთან სამშვიდობო ურთიერთობის გაწყვეტა და საომარ მდგომარეობაში გადასვლა, ეს განსაზღვრება მოცემულია 1907 წლის ჰააგის მესამე კონვენციის საომარ მოქმედებათა დაწყების შესახებ.

ომებს* ყველა ეპოქაში ბევრი ტკივილი და ტანჯვა მოჰქონდა ადამიანებისთვის, ამიტომ მეომარი მხარეები ყოველთვის ცდილობდნენ გარკვეულ ფარგლებში ომის მძიმე შედეგების შემსუბუქებას ჩვეულებითი თუ საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმების საშუალებით.

ომის დამთავრება განიხილება, როგორც იურიდიული ფაქტი, რომელსაც გაფორმების თვალსაზრისით სხვადასხვა საშუალება გააჩნია. მათგან ყველაზე მისაღები სამშვიდობო ხელშეკრულების მიღებაა, რაც განაპირობებს მშვიდობის დამყარებას, გადაწყდება ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, განისაზღვრება სამხედრო ტყვეთა ბედი, სამხედრო დამნაშავეთა დასჯის საკითხი და ა.შ. ნებისმიერ ომს მსხვერპლი ახლავს. ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, ომის მსხვერპლად ითვლება სამოქალაქო მშვიდობიანი მოსახლეობა, სამხედრო ტყვეები, დაჭრილები, ავადმყოფები, საზღვაო კატასტროფისა და შეიარაღებულ კონფლიქტებში მოხვედრილი პირები. მათი სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება ხდება ჟენევის 1949 წლის ოთხივე კონვენციით და 1977 წლის დამატებითი ოქმებით. ამავე დოკუმენ-

---

* ტერმინით „ცივი ომი“ აღინიშნება მწვავე დაპირისპირება ერთი მხრივ, ა.შ.შ.-სა და დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებს, ხოლო მეორეს მხრივ, საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტებს შორის, იგი მოიცავდა პერიოდს 1945-1990 წ.წ. სატელიტი სახელმწიფო არის ფორმალურად დამოკიდებული ქვეყანა, მაგრამ ფაქტობრივად დამოკიდებულია რომელიმე ძლიერ სახელმწიფოზე.

ტებით დადგენილია წესები, რომლებიც კრძალავენ ომის წარმოების ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა: მოწინააღმდეგე მხარეზე მებრძოლ პირთა მუხანათური მკვლელობა ან დაჭრა; წამება, ეროვნული და საერთაშორისო უფლებების ბოროტად გამოყენება და ა.შ.

საერთაშორისო სამართალი კრძალავს ომის წარმოების ისეთი საშუალებების გამოყენებას, რომლებიც ზედმეტად ტანჯავენ მოწინააღმდეგე მხარის ცოცხალ ძალას, მშვიდობიან მოსახლეობას.

ჰანს-პეტერ გასერს მიაჩნია, რომ ჰუმანიტარული სამართლის წარმოშობა დაკავშირებულია ანრი დიუნანისა და ფრენსის ლიბერის სახელებთან, რომლებმაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღწერეს ბრძოლის ველის საშინელებანი და სწორედ მათმა შეხედულებებმა დაუდო საფუძველი ჰუმანიტარული სამართლის ჩამოყალიბებას, რომელსაც სისტემურობის თავისებურება ახასიათებს. იგი ეხება ისეთ პრობლემებს, როგორიცაა – ომის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა, საომარი მოქმედებების საშუალებებისა და მეთოდების სამართლებრივი შეზღუდვები, ძირითადი ნორმები, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტების დროს გამოიყენება, ომის წარმოების ზოგადი ხასიათის შეზღუდვები, ომის წარმოების საშუალებებისა და მეთოდების არჩევის უფლების შეზღუდვები, სამოქალაქო მოსახლეობის და ობიექტების დაცვა, სამოქალაქო ომის ვითარებისათვის ადამიანის ძირითადი უფლებათა კოდიფიკაცია, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია: კონტროლისა და აღკვეთის ასპექტები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევა, სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება, ეროვნული სასამართლოების მიერ სახელმწიფოთა საერთაშორისო პასუხისმგებლობა და ა.შ.

წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო კომიტეტის მიერ შემოთავაზებული დეფინიციით,

„საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არის ისეთი საერთაშორისო სახელშეკრულებო ან ჩვეულებების ერთობლიობა, რომელიც სპეციალურად არის მოწოდებული უშუალოდ საერთაშორისო და არასაერთაშორისო ამოცანების გადასაწყვეტად და რომელიც ჰუმანური მოსაზრებებით ზღუდავს კონფლიქტში მონაწილე მხარეთა ნებას, ამოირჩიონ საომარ მოქმედებათა მეთოდები და საშუალებები, ასევე იცავს პირებსა და ქონებას, რომლებიც დაზარალდნენ ან შეიძლება დაზარალდნენ კონფლიქტის გამო“.[13]

არსებობს სხვა განმარტებაც, რომლის მიხედვით საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან ნაწილს და შედგება ნორმებისაგან, რომელთა დანიშნულებაა შეიარაღებული კონფლიქტის დროს იმ პირთა დაცვა, ვინც არ ან აღარ იღებს მონაწილეობას საომარ მოქმედებებში და აგრეთვე შეზღუდვების დაწესება ომის წარმოების მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებაზე.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოიხსენიება აგრეთვე, როგორც შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი ან ომის სამართალი, რომელიც თავის დროზე შედგებოდა ორი ცალკეული დარგისაგან: **„ჟენევის სამართალი“**, ანუ ჰუმანიტარული სამართალი ვიწრო გაგებით, რომლის დანიშნულებაა დაიცვას სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც არ ან აღარ მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებებში და პირები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, კერძოდ სამოქალაქო მოსახლეობა, ე.ი. ჟენევის სამართალი უფრო ახლოსაა ადამიანის უფლებათა სამართალთან.

„ჰააგის სამართალი“ (ომის სამართალი) განსაზღვრავს ომის წარმოების შეზღუდვების საერთაშორისო წესებს, რომლებიც სამხედრო ოპერაციების წარმოებას ეხება,

მებრძოლ მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ზღუდავს მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენების საშუალებებს.

მიუხედავად მათი დამოუკიდებლობისა, ისინი მაინც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, ვინაიდან ჰააგის სამართლის ზოგიერთი ნორმის მიზანია კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვა, მაშინ, როდესაც ჟენევის სამართლის ზოგიერთი ნორმის მიზანი არის საომარი მოქმედებების დროს მებრძოლ მხარეთათვის შეზღუდვების დაწესება. 1977 წლის დამატებითი ოქმების მიღების შემდეგ, ფაქტიურად მოხდა ორივე დარგის გაერთიანება, ამ განსაზღვრებამ კი ისტორიული და დიდაქტიკური მნიშვნელობა შეიძინა.

ჰუმანიტარული სამართალი, ჰანს-პეტერ გასერის მიდგომით, შეიარაღებული კონფლიქტის ორ კატეგორიას ცნობს, რომელთა განმასხვავებელ ნიშნად სახელმწიფო საზღვარს მიიჩნევს. „ომი ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად იწოდება – ხოლო შეიარაღებული შეტაკება, რომელიც ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ხდება – არასაერთაშორისო – შიდა შეიარაღებულ კონფლიქტად მიიჩნევა (ჩვეულებრივ, მას სამოქალაქო ომს უწოდებენ). გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი სიტუაცია, როცა ხალხი თვითგამორკვევის უფლების განხორციელების მიზნით კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ აღდგება. ჟენევის ოქმის მიღების შემდეგ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომები საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებად კვალიფიცირდება.

ომი ძალადობის უხეში და პრიმიტიული გამოვლინებაა, როდესაც სახელმწიფოებს არ ძალუძთ, ან არ სურთ უთანხმოების თუ დავის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტა, მაშინ იარაღს მიმართავენ, წერს ავტორი, ტანჯვა და მძიმე მატერიალური ზარალი ომის უცილებელი შედეგებია, იგი თავისი არსით ბოროტებაა. ეს აქსიომა აღიარებულია ნიუმბერგის ტრიბუნალის მიერ და მას იზიარებს თანამედროვე ცივი-

ლიზებული სამყარო. ამიტომაც გამართლება არა აქვს არანაირ ომს. მაგრამ თუ მაინც ხდება, კონფლიქტში მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, ამისათვის მხარეებმა მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩაატარონ ჯერ კიდევ მშვიდობიანობის პერიოდში. ჟენევის კონვენციებისა და I დამატებითი ოქმის მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სერიოზული დარღვევები სისხლის სამართლებრივ დანაშაულად ითვლება, როგორიცაა განზრახ მკვლელობა, წამება ან დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ ჩადენილი ძალადობა, სამოქალაქო მოსახლეობაზე ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე თავდასხმა, რასაც შედეგად მოჰყვება მსხვერპლის სიკვდილი, სხეულის ან ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება და ა.შ. იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ითვლება ომის დანაშაულად, რომელიც შეიძლება საერთაშორისო დანაშაულად იქნას განხილული. ის არის სახელმწიფოს ან ინდივიდის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლის შედეგად ირღვევა საერთაშორისო მშვიდობა ან ხალხთა უშიშროება. მათ რიცხვს განეკუთვნება: ა) აგრესია, ბ) ომის კანონებისა და ჩვეულებათა დარღვევა, გ) დანაშაულობანი ადამიანურობის წინააღმდეგ, დ) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა, ე) ინტერვენცია, ვ) ეთნიკური წმენდა.

კონვენციის მე-15 მუხლი ითვალისწინებს - „შესაძლო ნაწილობრივ გაუქმებას“, როცა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას აქვს ადგილი ომის ან საგანგებო სიტუაციის პირობებში, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლეს, სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც დროებით აუქმებს ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით მიღებულ საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ

უნდა აცნობოს კომპეტენტურ ორგანოებს ასეთი ზომების მიღების შესახებ, შესაბამისი საერთაშორისო აქტების თანახმად.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შესრულდეს ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, საჭიროა კონვენციების მონაწილე სახელმწიფოთა ნაციონალური კანონმდებლობა მიუახლოვდეს იმ საერთაშორისო და ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს, რაც მოგვცემს დარღვევების დანაშაულებრივად აღიარების საშუალებას და დააწესებს შესაბამის სანქციებს, განსაზღვრავს დევნის პროცედურას. ყველა პირმა პასუხი უნდა აგოს ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის ე.ი. პასუხისმგებლობა პერსონიფიცირებულია. რაც შეეხება სამხედრო მეთაურებს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ, რაც გამოიხატება მათ მოვალეობაში — ყველაფერი გააკეთონ შესაძლებლობის ფარგლებში, რომ თავიდან აიცილონ კონვენციებისა და I დამატებითი ოქმით გათვალისწინებულ ნორმათა დარღვევები.

ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ევროპის კონვენციის ნაწილობრივი გადახვევის ზომები გათვალისწინებულია მე-15 მუხლით, სადაც საუბარია, რომ ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც ემუქრება ერის არსებობას, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს უფლება აქვს მიიღოს ზომები, რომლებიც გვერდს უვლიან ამ კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებებს მანამ, სანამ ეს გამოწვეული იქნება აუცილებლობით. თუმცა გათვალისწინებულია, რომ ამგვარი ზომები არ უნდა იქნას შეუსაბამო საერთაშორისო სამართლით ქვეყნის მიერ აღებული სხვა ვალდებულებებისაგან.

გამონაკლისები და გადახვევები არ დაიშვება მე-2 მუხლიდან, რომელიც უკავშირდება სიცოცხლეს (თუკი გარდაცვალება დადგა ომის კანონებით წარმოებული საბრძოლო მოქმედების შედეგად); აგრეთვე მე-3, მე-4, მე-7 მუხლებიდან,

რომლებიც შეიცავენ წამებისა და მონობის აკრძალვას, რეტროაქტიური სისხლის სამართალდარღვევათა და სასჯელის შემოღებას.[14] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო წესები ადამიანის უფლებებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გადაწყვეტილების მე-16 მუხლით, ავალდებულებს კონფლიქტში მონაწილე ქვეყნებს უფრო მეტი საერთაშორისო სამართლის უაპელაციო ნორმების და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პატივისცემას. მიუხედავად პრობლემის სიმძიმისა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოებს არ შეუძლიათ იმოქმედონ არც საერთაშორისო სამართლის ნორმების და არც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევით.

ჟენევის კონვენციებისათვის საერთო მე-3 მუხლით „კონფლიქტში მყოფი მხარე მფარველობის ქვეშ მყოფ პირებს მოეპყრობა თანაბრად, რასის, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე“.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გაუმართლებელ ზომად მიიჩნევს საომარი მოქმედების დროს ისეთი მეთოდების, იარაღის, ტექნიკური საშუალებების, ნივთიერებების გამოყენებას, რომელიც გადამეტებულ ტანჯვასა და მძიმე შედეგებს გამოიწვევს.[15] გარდა ამისა, ადგენს შეზღუდვებს სასიკვდილო განაჩენის გამოტანასთან მიმართებაში. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, დაუშვებელია იმ პირის სიკვდილით დასჯა, რომელსაც სამართალდარღვევის ჩადენის მომენტში არ შესრულებია 18 წელი, ასევე ფეხმძიმე ქალების და იმ პირთა, რომლებსაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ.

გარდა ამისა, ოკუპანტ ქვეყანას ეკრძალება სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ქვეყანაში, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებული ან აკრძალულია კანონმდებლობით.

მიუხედავად იმისა, რომ ომის სამართალი რამდენიმე საუკუნეს ითვლის, ტერმინი კომბადანტი 1977 წლიდან ჩნდება I დამატებით ოქმში. კომბადანტები არიან შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარის შეიარაღებულ ძალებში შემავალი პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, ესენია: სახმელეთო, სამხედრო-საზღაო და სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობა, პარტიზანები და მოხალისეები, რომლებიც ღიად ატარებენ იარაღს, იცავენ ომის კანონებსა და ჩვეულებებს, ჰყავთ პასუხისმგებელი სამხედრო ხელმძღვანელი, მოსახლეობა, რომელიც იარაღით ხელში იცავს თავს დამპყრობლებისაგან, სამხედრო ხომალდების ეკიპაჟები.

მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების ქვეშ მოხვედრილი პირი, რომელიც სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობდა სამხედრო ტყვედ ითვლება, და სარგებლობს ამ სტატუსით.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით არაკომბადანტი ეწოდება შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალ პირს, რომლის ფუნქციაში შედის მხოლოდ შეიარაღებული ძალების მომსახურეობა, ასეთი შეიძლება იყოს მედიცინის მუშაკი, სამეურნეო სამსახურის თანამშრომელი. კომბადანტის და არაკომბადანტის სტატუსით არ სარგებლობენ ჯაშუშები, დაქირავებული პირები — „ბოევიკები". „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს მსტოვარსა (ჯაშუშს) და სამხედრო მზვერავს. პირველი ფარულად შედის მტრის დაკავებულ ტერიტორიაზე და ასევე ფარულად, გადაცმული აგროვებს სათანადო ცნობებს. დაჭერისას იგი ისჯება მკაცრად, მაგრამ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. თუ მშვიდობით დაბრუნებული მსტოვარი შემდეგ მოხვდება ტყვედ, იგი არ აგებს პასუხს თავისი ძველი მოქმედებისათვის. მზვერავი პირიქით, შემოდის სამხედრო მოქმედების არეში სამხედრო

ფორმაში, მისი დაჭერის შემთხვევაში მასზე უნდა გავრცელდეს სამხედრო ტყვეობის რეჟიმი. კატეგორიულად აკრძალულია მტრის მიერ მეორე მხარეს მოლაპარაკებისათვის გამოყოფილი პირის — პარლამენტიორის მოკვლა".[16]

მათ დიფერენციაციას განსაზღვრავს ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციები, ჟენევის 1949 წ. კონვენცია, 1977 წლის 8 იანვრის ჟენევის და 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის დამატებითი ოქმები, რომლის მიხედვითაც დაქირავებულ მეომრებს არა აქვთ უფლება ფლობდნენ კომბადანტის ან სამხედრო ტყვის სტატუსს; 1989 წლის გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია დაქირავებულთა შეკრების, გამოყენების, დაფინანსების და სწავლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

უფრო დაწვრილებით ჟენევის 1864 წლის კონვენციის მე-6 მუხლში მითითებულია „დაჭრილ და ავადმყოფ კომბადანტებს, რომელ სახელმწიფოსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, უნდა აღმოეჩინოთ დახმარება". იგივე კონვენცია დატყვევებულ კომბადანტებისა და ომის მსხვერპლი სამოქალაქო პირების დაცვასაც ითვალისწინებს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი უმწეოთა მფარველობასაც უზრუნველყოფს. ამ კატეგორიაში იგულისხმება მეომარი სახელმწიფოების მოქალაქეები, რომლებმაც შეწყვიტეს ბრძოლა ჭრილობათა გამო ან მოყვნენ ხომალდის კატასტროფაში, ან ნებით დაყარეს იარაღი, ეს პრინციპები ვრცელდება სამხედრო და სამოქალაქო ტყვეებზეც.

I დამატებითი 75-ე მუხლის თანახმად იკრძალება „სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის ხელყოფა, კერძოდ, აკრძალულია მკვლელობა, ადამიანის ღირსების აბუჩად აგდება, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობა, პროსტიტუციის იძულება" და ა.შ.

I დამატებითი ოქმის III კარში ჩამოთვლილია პირთა სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც საჭიროებენ დამატებით დაცვას. ასე მაგ. ლტოლვილები და მოქალაქეობის არმქონე პირები (73-ე მუხლი), ომის გამო გათიშული ოჯახები (74-ე მუხლი), ქალები (76-ე მუხლი), ბავშვები (77-ე და 78-ე მუხლები) და ჟურნალისტები (79-ე მუხლი).

საერთაშორისო სამართალი იცნობს **ოკუპაციის** ორ გაგებას: 1) ისეთი ტერიტორიის დაკავება, რომელიც არც ერთ სახელმწიფოს არ ეკუთვნის, 2) სამხედრო ოკუპაცია ძალის გამოყენებით. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის დროებითი დაკავება, სამხედრო ოკუპაციის დროს დამყარებული ხელისუფლება სუვერენიტეტს მოკლებული დროებითი ფაქტობრივი ხელისუფლებაა, რომელმაც პატივი უნდა სცეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებებს, დაამყაროს იქ წესრიგი და რამდენადაც შესაძლოა შეინარჩუნოს და პატივი სცეს იქ არსებულ კანონებს, რადგანაც ოკუპანტს არა აქვს უფლება შეცვალოს მოქმედი კანონმდებლობა, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ეს გამოწვეულია სამხედრო აუცილებლობით ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით. პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით ტერმინებს **„სამოქალაქო მოსახლეობა“, „მშვიდობიანი მოსახლეობა“**, რომელთა ირგვლივაც მოიაზრებიან ადამიანები, რომლებიც არ არიან გაწვეული სამხედრო სავალდებულო სამსახურში ომის დროს. გარდა ამისა, მათ რიგებში აერთიანებენ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დემობილიზებული არიან საპატიო მიზეზებით, ასევე საზოგადოების ამ ნაწილში ითვლებიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც არავითარი შეხება არა აქვთ კონფლიქტის მხარეებთან.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებულია **„მფარველობაში პირთა აყვანა“**, მათი სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია ჟენევის 1949 წლის

კონვენციებით, 1977 წლის დამატებითი ოქმებით „ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ „ჟენევის სამართალი“ ერთმანეთისაგან განასხვავებს მფარველობაში მყოფ პირთა რამდენიმე კატეგორიას, როგორც შეიარაღებულ ძალებში, ისე სამოქალაქო მოსახლეობაში, ესენია: დაჭრილები, ავადმყოფები და ხომალდის კატასტროფაში მოყოლილი პირები, სამხედრო ტყვეები, ინტერნირებული სამოქალაქო პირები, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მყოფი სამოქალაქო პირები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი სამოქალაქო პირები. ჟენევის 1949 წლის კონვენციების მეორე დამატებითი ოქმი სხვა მიდგომას იჩენს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მიმართ. იგი არ ცნობს იმ პირთა განსაკუთრებულ სტატუსს, რომლებიც მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში. მფარველობაში მყოფ პირებად შეიძლება აღმოჩნდნენ დაჭრილები, ავადმყოფები, ტყვეები, მოსახლეობა, რომელიც საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობს, ანდა პირები, რომლებიც აღარ თუ ვეღარ მონაწილებენ საომარ მოქმედებებში.

აღსანიშნავია პოლონეთის ჰელსინკის კომიტეტის 1982 წელს სამხედრო მდგომარეობის პერიოდში არალეგალურად დაფუძნებული, პოლონელ ინტელექტუალთა ჯგუფის საქმიანობა, რომელიც აღიარებული იქნა, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობისა და ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საუკეთესო ნიმუში, რომელიც დღესაც აგრძელებს წარმატებულ მოღვაწეობას.

ყველასათვის ცნობილია, რომ სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, როგორც წესი, გამოიყენება მხოლოდ მის ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქეების მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი უფრო შორს მიდის, ვინაიდან ის ჟენევის კონვენციებს მიერთებული სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, მოიძიონ და დასაჯონ ნებისმიერი პირი, რომელმაც ჩაიდინა

მძიმე დარღვევა, მისი მოქალაქეობის ან სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიუხედავად. იურისდიქციის ამ უნივერსალური პრინციპის გამოყენება აუცილებელია მძიმე დარღვევათა ეფექტური აღკვეთის გარანტიებისათვის. მითუმეტეს, როდესაც საქმე გვაქვს ომის დანაშაულთან, რომლის ქვეშაც მოიაზრება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევა, ანუ ტრადიციული ტერმინოლოგიით, კონფლიქტის ხასიათის მიუხედავად ჩადენილი ომის კანონთა და ჩვეულებათა მძიმე დარღვევა. საერთაშორისო დანაშაულად ითვლება სახელმწიფოს ან ინდივიდის მიერ განხორციელებული მართალსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის შედეგად ირღვევა საერთაშორისო მშვიდობა ან ხალხთა უშიშროება. ნიურბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალთა წესდებებსა და განაჩენებში, რომლებიც მთავარ სამხედრო დამნაშავეებს შეეხება, ჩამოყალიბებულია საერთაშორისო სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპები აგრესორი სახელმწიფოების, მათ მეთაურთა და ქმედების უშუალო ჩამდენთა პასუხისმგებლობის დასადგენად. ეს არის დანაშაული: ა) მშვიდობის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს აგრესიული ომის დაგეგმვას, მომზადებას, გაჩაღებასა და წარმართვას; ბ) ადამიანურობის წინააღმდეგ ე.ი. სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი განადგურება, დამონება, გადასახლება, დევნა პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური მოტივებით; გ) სამხედრო დანაშაული, ომის კანონებისა და ჩვეულებათა დარღვევა, ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის მასობრივი განადგურება, წამება, დამონება, იგივე ქმედებანი სამხედრო ტყვეთა მიმართ. მძევლების მკვლელობა. სახელმწიფოთა და კერძო საკუთრების გაძარცვა, ქალაქე- ა და სოფლების განადგურება. ასეთ საერთაშორისო დ შაულთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე ეროვნულ-გამანთავ უფლებელი მოძრაობის ჩახშობის ცდა, ინტერვენცია და ა.შ. ომის დანაშაულად საყოველთაოდ აღიარებულ ნუსხას ადგენს სისხლის სამართლის საერ-

თაშორისო სასამართლოს შექმნაზე მომუშავე გაეროს მოსამზადებელი კომიტეტი. ომის დანაშაულად 1997 წლიდან აღიარებულია თავდასხმა, რომელიც ხორციელდება ნებისმიერი იმ პირის წინააღმდეგ, ვინც არ ან აღარ იღებს მონაწილეობას საომარ მოქმედებებში. ასეთ მოქმედებად ჩაითვლება – განზრახ მკვლელობა, წამება და არაადამიანური მოპყრობა, ძლიერი ტანჯვის განზრახ მიყენება, ფიზიკური ხელშეუხებლობის ან ჯანმრთელობის სერიოზული საფრთხის შექმნა, სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმა, მოსახლეობის ჯგუფების დეპორტაცია ან უკანონო გადაადგილება, აკრძალულია იარაღის ან ომის წარმოების მეთოდების, წითელი ჯვრის ან წითელი ნახევარმთვარის ან სხვა დამცველი ნიშნის ვერაგულად გამოყენება, საზოგადოებრივი ან კერძო საკუთრების ძარცვა.*

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება რამდენიმე დასკვნის გაკეთება:

1. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვით სარგებლობს ადამიანთა განსაზღვრული წრე, რომელიც მისი იურისდიქციის ფარგლებში ექცევა.

2. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი იცავს სამხედრო კონფლიქტებში მონაწილე ადამიანთა ინტერესებს. მისი ძირითადი ამოცანაა: არ შეილახოს ადამიანთა ღირსება, ეხმარება ძალადობის და მისი გამოყენების შედეგად გამოწვეული ტანჯვის გადალახვაში, იცავს მათ სოციალურ ინტერესებს.

3. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი იცავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მხოლოდ კონკრეტულ უფლებათა ჯგუფს.

---

* იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა აღიარა, რომ ომის დანაშაულის ცნება ასევე მოიცავს არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების დროს ჩადენილ მძიმე დარღვევებს.

საბოლოოდ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი საერთაშორისო საჯარო სამართლის შემადგენელი და დამოუკიდებელი დარგია, რომელიც ემსახურება მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა უფლებებსა და ინტერესებს, რომლის ნორმების დაცვა ყველა ქვეყნისათვის სავალდებულოა. ამდენად, სტუდენტმა-ახალგაზრდობამ, მომავალმა იურისტებმა და პოლიციის მუშაკებმა უნდა იცოდნენ ის ძირითადი მოთხოვნილებანი, რაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებითაა გათვალისწინებული და მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მაქსიმალური დაცვისაკენ ტყვეობაში თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნის დროს, ყველას უფლებების განსაზღვრისა და განმტკიცებისათვის. მითუმეტეს, საქართველოსათვის ამ დარგს არა მარტო თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია,[17] რადგანაც ქვეყნის ტერიტორიაზე არა ერთ შეიარაღებულ კონფლიქტს უკვე ჰქონდა ადგილი და მომავალშიც მსგავსი მოვლენებისაგან არა ვართ დაზღვეული.

„ამავე დროს მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ წარმოშვა ომის საშუალებათა ისეთი სახეები, რომლებიც კაცობრიობას სრული განადგურებით ემუქრებიან. ბირთვული და სხვა მსგავსი იარაღის გამოყენებამ უშიშროების საკითხი გლობალურ პრობლემად აქცია, ყველა ქვეყნის უშიშროება ერთმანეთს დაუკავშირა და ერთი ჯაჭვით გადააბა“.[18]

საბოლოოდ ასეთ დასკვნამდე მივდივართ: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა სამართალი დამოუკიდებლად განვითარდნენ, როგორც საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი დარგები. მიუხედავად მოქმედების სფეროების მნიშვნელოვანი განსხვავებისა, ადამიანის უფლებათა სამართალი სახელმწიფოს ზღუდავს მისივე მოქალაქეების და სხვა პირების მიმართ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კი მეომარ მხარეთა შორის ურთიერთობებზე ზეგავლენის მოხდენის გზით მტრის

ხელში ჩავარდნილი პირის, ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. გარდა ამისა, სამოქალაქო ომის დროს „მტრის ხელში ჩავარდნილი პირები“ იმავე სახელმწიფოს მოქალაქეები არიან. შესაბამისად ხდება ადამიანის უფლებათა სამართლისა და ჰუმანიტარული სამართლის მექანიზმებისა და გარანტიების თანხვედრა, რამაც განაპირობა ნაშრომში ამ პრობლემების განხილვა.

§2. ადამიანის უფლებები და „ჰუმანიტარული ჩარევის“ კონცეფცია

საერთაშორისო სამართლის მიხედვით „ინტერვენცია“ ნიშნავს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში ძალის გამოყენებით ჩარევას ან სხვაგვარ უკანონო ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს ამ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის დარღვევას, პოლიტიკური წეს-წყობილების ან ორიენტაციის შეცვლას, რაც შეუთავსებელია გაეროს წესდებასთან.

„ჰუმანიტარული მოტივებით ჩარევის უფლება“ ანუ „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ არის ადამიანის უფლებათა უხეში და მასობრივი დარღვევების ჩამდენი სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სამხედრო ეკონომიკური და სხვა სახის მოქმედების ძალის გამოყენება, რადგან არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება ჩაიდინოს თავის ტერიტორიაზე საერთაშორისო სამართლით აკრძალული დანაშაულობანი, როგორიცაა გენოციდი, აპარტეიდი, ეთნიკური წმენდა და ა.შ.

ჩარევის უფლება და მოვალეობა გულისხმობს ჰუმანიტარული მოტივებით შეიარაღებული ჩარევის გამართლებას. ეს პრობლემა არ შედის ჰუმანიტარული სამართლის სფერო-

ში, არამედ განეკუთვნება ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობებში შეიარაღებული ძალის გამოყენების კანონიერებას, ე.ი. jus at bellum-ს.

გაეროს წესდების 51-ე მუხლი არ კრძალავს ძალის გამოყენებას, როდესაც სახელმწიფოს თავს ესხმიან და იგი იძულებულია თავი დაიცვას, ძალის გამოყენება ნებადართული და გამართლებულია მესამე სახელმწიფოსათვის, რომელიც ეხმარება აგრესიის მსხვერპლ სახელმწიფოს. იმავე წესდების მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფში ნათქვამია: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრმა საერთაშორისო ურთიერთობებისას თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალის გამოყენების, მუქარის, ან რაიმე სხვა მოქმედებისაგან, რომელიც არ შეესაბამება გაერთიანებული ერების მიზნებს“. აქედან გამომდინარე საჭიროა გაირკვეს სად გადის ზღვარი ძალის გამოყენების აკრძალვასა და დაშვებას შორის, ასევე დასადგენია განსხვავება „ინტერვენციასა“ და „ჰუმანიტარულ ჩარევას“ შორის.

ამისათვის გარკვეული ექსკურსის გაკეთებაა აუცილებელი.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა სახელმწიფოსაგან ადამიანის განთავისუფლების იდეა ანუ სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ადამიანის პირად ცხოვრებაში უხეში და უკანონო ჩარევისაგან თავის დაცვის ცნება, „თუკი დევნა აღწევს აუტანელ ზღვარს, ერებს შეუძლიათ დაეხმარონ გაუბედურებულ ხალხებს.“

ჰუგო გროციუსი თავის ნაშრომში, „ომისა და მშვიდობის უფლების შესახებ“, უშვებდა სამართლიანი ომის შესაძლებლობას. მას მიაჩნდა, რომ სამართლიანი ომი დაშვებულია არა მარტო თავის, არამედ სხვათა ქვეშევრდომთა დაცვის მიზნით, თუ მათ მიმართ ადგილი აქვს „აშკარა უკა-

ნონობას". ჰ. გროციუსის ეს კონცეფცია შემდგომში იქცა „ჰუმანიტარული ჩარევის თეორიად". ამ იდეის გავრცელებას ხელი შეუწყო ხალხთა ისტორიაში მანამდე არსებულმა ფაქტებმა, მაგ. ჯვაროსნული „ინტერვენციები" რელიგიური შეფერილობით, შემდგომში, 1860 წელს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა აიძულეს თურქეთი დათანხმებოდა ჩარევას „ევროპის სახელით". საფრანგეთის ძალების მეოხებით დაეცვათ ლიბანის ქრისტიანი მოსახლეობა რუსების ძალადობისაგან. 1870 წელს ბულგარეთში განხორციელებულმა მისიამ რუსეთის მიერ, ხოლო 1878 წელს თურქეთმა აიღო საერთაშორისო ვალდებულება დაეცვა ეროვნული უმცირესობანი, მათ შორის ქრისტიანული დიასპორა.[19]

თანამედროვე პირობებში გაეროს უშიშროების საბჭოსაც ძალისმიერი მეთოდების გამოყენება უხდება ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიანი დარღვევების გამო. გაეროს წესდების მე-7 თავი უშვებს ისეთ შესაძლებლობებს, როდესაც საფრთხე ექმნება მშვიდობას ან არღვევს მას, ან კიდევ ადგილი აქვს აგრესიის აქტს. მსგავსი ღონისძიებები ჩატარდა ერაყში, ჰაიტიში ყოფილი იუგოსლავიის მიმართ და ა.შ. ამ გზას უშიშროების საბჭო ადგება მაშინ, როდესაც ამოწურავს ყველა შესაძლებლობას იარაღის გამოყენების გარეშე გადაჭრას პრობლემა. ამ შემთხვევაში მას უფლება აქვს იმოქმედოს წესდების თანახმად, იწყებს სამხედრო მოქმედებებს, წევრ-სახელმწიფოებთან შეთანხმების შემდეგ ნიშნავს სარდალს, ოპერაციის საერთო ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებლობა რჩება გაეროს გენერალურ მდივანს. ე.ი. გაეროს ჯარების ასეთი სამხედრო მოქმედებანი და ასეთი ჩარევა ითვლება კანონიერად.

„ჰუმანიტარული ჩარევის" ერთ-ერთი ტენდენციაა გაეროს ჯარების უფლება მონაწილეობა მიიღონ გაეროს მიერ გამოცხადებულ ბლოკადაში, ან კიდევ ჰუმანიტარული

დახმარების ტვირთების უსაფრთხოდ ცხელ წერტილში ჩატანის უზრუნველყოფა.

„ამ შემთხვევაში მათ ეძლევათ უფლება აქტიურად იხმარონ იარაღი თავისი ამოცანების შესასრულებლად. ასე მოხდა სერბიის მიმართ გაეროს მიერ მიღებულ ღონისძიებათა რეალიზაციის დროს (1992 წლის ოქტომბერ-დეკემბერი) უფრო ფართომასშტაბიანი ოპერაციები ჩატარდა სომალიში, სადაც გაეროს ძალებმა მიიტანეს იერიში იმ ქვეყანაში ერთმანეთთან მებრძოლი სამხედრო დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომლებიც აბრკოლებდნენ მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას“.[20]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაეროს წესდება, ძალისმიერი მეთოდების აკრძალვებთან ერთად, უშვებს „ჰუმანიტარული ჩარევის“ შესაძლებლობას, მაგრამ მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში.

ყველა ახალ კონცეფციას ჰყავს მომხრეები და მოწინააღმდეგეებიც. დარგის სპეციალისტთა აზრით, ჰუმანიტარული ჩარევა ნიშნავს საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას სახელმწიფოს კანონმდებლობაში. ადამიანის უფლებათა დარგში საერთაშორისო სტანდარტები, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სახელმწიფოთა მიერ თავისი საკონსტიტუციო კანონმდებლობის მოყვანას ზოგად საერთაშორისო სტანდარტებთან, შემდგომ კი მათი განხორციელების პრაქტიკას.[21] ამ დებულებების მხარდაჭერის საფუძველს იძლევა „მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ პაქტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი. იგი ითვალისწინებს, რომ ამ შეთანხმების თითოეული მონაწილე მიიღებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რაც აუცილებელია პაქტის მიერ აღიარებული უფლებების განხორციელებისათვის. ამ კონცეფციის კრიტიკოსები გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში ეჭვის ქვეშ აყენებენ შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის სუვერენიტეტს ან უშვებენ

მის „ნაწილობრივ კვდომას“, თუმცა „ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობა ადამიანის საყოველთაო უფლებების „ინტერვენციული“ ხასიათი“.[22] მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ადამიანის უფლებების დაცვის მოტივით დასავლეთმა მრავალ ქვეყანაში განახორციელა მთელი რიგი (მათ შორის სამხედრო) ღონისძიებებიც. ამ პროცესს „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ სახელი უწოდეს და მართლაც ჰუმანური მიზნების ფონზე (შიმშილის, სილარიბის, სტიქიური უბედურების, ადამიანთა უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით) ადგილი ჰქონდა ქვეყნის ფაქტიურ ოკუპაციას[23] და იქ მათთვის მისაღები ხელისუფლების დასმას. გარდა ამისა, მოსახლეობის მატერიალური დახმარებისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით „ჰუმანიტარულ ინტერვენციას“ ზოგიერთ შემთხვევაშ სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან სახელმწიფოები ვერ წყვეტენ ადამიანთა უფლებების პრობლემებს.[24]

„ჰუმანიტარული ჩარევის“ კონცეფცია აქტუალური თემაა. იგი კვლავ საჭიროებს ღრმა და საფუძვლიან შესწავლას, პრინციპებისა და ნიშნების ჩამოყალიბებას. მის თეორიულ ბუნებაში დამაჯერებლობისა და სიცხადის შეტანას, ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცევას.

§3. ომის „ხელოვნება“ და საქართველო

ჰუმანიტარული სამართლის ჩანასახების საკითხზე მსჯელობა შეიძლება დავიწყოთ ქართული სახელმწიფოსა და სამართლის შექმნიდან. მართალია, IX-X სს-მდე სამართლის ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველები მის გარეშე ცხოვრობდნენ. ძველბერძნული და ბიზანტიური წყაროები ბევრ საინტერესო მასალას გვაწვდიან საქართველოსა და ქართველების კულ-

ტურის, სიმამაცის, ომის წარმოების ხელოვნების და მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის შესახებ.

წყაროთა უმრავლესობაში დაფიქსირებულია მაშინდელი ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი მოწესრიგება, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობდა გარკვეული საკანონმდებლო აქტები, რითაც რეგულირდებოდა ქართველთა ყოფა-ცხოვრება.[25]

საქართველო თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე გამუდმებულ ომებს აწარმოებდა სხვადასხვა ჯურის დამპყრობელთა წინააღმდეგ. მას რომ თავისი საომარი ხელოვნება არ ჰქონოდა, ალბათ აღიგვებოდა ერი მიწისაგან პირისა.

ბაგრატ III-მ სამხედრო ხელოვნების წყალობით შეძლო გარეშე ძალის დამარცხება და ქვეყნის გაერთიანება. საომარი ხელოვნების მაღალმა კულტურამ შეაძლებინა დავით აღმაშენებელს ძლიერი და ერთიანი კავკასიური სახელმწიფო შეექმნა, მოეგო ისეთი ომები, სადაც ერთი ქართველის პირისპირ 15 მოწინააღმდეგე იდგა. დავით აღმაშენებელმა ყივჩალთა ჩამოსახლების შემდეგ შექმნა რეგულარული ჯარი, რომლებსაც ჯამაგირს აძლევდა, სამაგიეროდ აკრძალა ბრძოლის დროს მოპოვებული ალაფისა და ტყვეების მეომრებს შორის განაწილება. ასეთ მეომარ ქვეყანას არ შეიძლებოდა რომ არ ჰქონოდა „ომის კანონები“, იგივე ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა მსგავსი ჩვეულებები. სანამ ამ კუთხით სამართლის ძეგლების მოკლე ანალიზს გავაკეთებდეთ, მანამდე გადავხედოთ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებს, სადაც აღწერილი და ასახულია მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობის პრობლემები.

ლექსი „ვეფხი და მოყმე“, რომელიც ითვლება ქართული ფოლკლორის ნიმუშად, ასახავს ქართველი დედის ჰუმანიზმს, რაც ამავდროულად ქართველი ხალხის მტრისადმი განწყობასაც გამოხატავს.

მკითხველისათვის ცნობილია აკაკი წერეთლის პოემაში თორნიკე ერისთავის ჰუმანური დამოკიდებულება დამარცხებული მტრისადმი. პატრიოტი სარდალი მიზნის მისაღწევად, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა საშუალებას იყენებს, თვალს უხვევს მტერს, მოხერხებულად იყენებს ომის ფანდებს, მაგრამ როცა მტერი მარცხდება, მის მიმართ შემწყნარებელი ხდება. იგი მხედრობას მოუწოდებს „გზას ნუ შეუკრავთ გაჭირვებულებს, და გაიქცნენ, მიეცით ნება!“, ხოლო ბრძოლის დამთავრების შემდეგ ასეთ ბრძანებას სცემს:

„... სულ ერთიანად მოჰკიდეთ ხელი!
სიკვდილი ყველას ათანასწორებს:
თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!..
ვეცადოთ ყველა და ნუ დავაკლებთ
დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს სამარეს.
ნურვინ გაჰბედავს, დატყვევებულებს
რომ მიაყენოს შეურაცხყოფა!
ვაჟკაცს რომ ბედი სხვას დაამონებს,
დასატანჯავად ისიც ეყოფა!“[26]

გრ. ორბელიანი, რომელმაც თავისი ცხოვრება ბრძოლაში გაატარა, „სადღეგრძელოში“ წერს: „ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად სურს სისხლი კაცისა?“

ალექსანდრე ყაზბეგი მოთხრობაში „ელგუჯა“ ამბობს: „ჩვენმა ხალხმა კარგად იცის გარჩევა და მკვდარს დაუმარხავს არავინ დატოვებს, მტერიც რომ იყოს“.

ლ. გოთუას „უგზო ქარავანში“ მტერთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნილ თურქ ისკანდელს ქართული სოფელი შეინახავს და მშვიდობიან გზას მისცემს. ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეში“ გერმანელ ტყვეს სოსოიას სახლში მამიდა უკანასკნელ ლუკმას აძლევს. ამ თვალსაზრისით, კლასიკურ მაგალითებს იძლევა ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. პოემა „სტუმარ-მასპინძელში“ ქისტი ჯოყოლა წინ აღუდგა

მოსისხლე მტრის ზვიადაურის დასჯას – „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“, ალუდა ქეთელაური კი საკლავს სწირავს ქისტ ვაჟკაცს, მუცალს და ა.შ.

გაზეთ ივერიის ფურცლებზე ილია ჭავჭავაძე წერდა: „ომი სისხლის ღვრაა, ომი უბედურებაა, ომი დამთქმნელია ადამიანის სიცოცხლისა, ადამიანის ღვაწლისა, მონაგარისა, გული სწუხს და იტანჯება, როცა ეს აგონდება.“[27] „ნიკოლოზ გოსტაბაშიშვილი“ – „შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია, ცოდვაა შენი გაფუჭება, წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო“ – ასეთი იყო ქართველის განწყობა დამარცხებული გულადი მტრისადმი.

ქართული სამართლის ძეგლები, მათ შორის ბაგრატ III კურაპალატის, ოპიზის სიგელი, რუის-ურბნისის ძეგლისწერა, დავით აღმაშენებლის ანდერძი, გიორგი III სიგელი, გიორგი V ძეგლთა დადება, ხელმწიფის კარის გარიგება, წესი და განგება მეფედ კურთხევისა, ბექა-აღბუღას სამართალი, ქართველ მოღვაწეთა ნათარგმნი კანონიკური კრებული „მცირე სჯულის კანონი“, „დიდი სჯულის კანონი“, რომლებიც ეროვნული სულით იყვნენ გაჯერებული, დაამკვიდრეს ჰუმანიტარული სამართლისათვის დამახასიათებელი ნორმები. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ შეუწყო ხელი მაშინდელ საქართველოში ჰუმანიზმის და კაცთმოყვარეობის იდეების განვითარებას. მარტო ის რად ღირს, რომ ჯერ კიდევ XII საუკუნეში, როდესაც თამარ მეფემ სიკვდილით დასჯა აკრძალა, ხოლო ქვეყანაში ისეთი წესრიგი დაამყარა, რომ ადგილი აღარ ჰქონია ძარცვას, ქურდობას, კაცის კვლას და ა.შ.

ზემოაღნიშნული გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ მიუხედავად გამუდმებული ომებისა, არც ხალხი, არც ხელისუფლება და არც კანონი არ გაბოროტებულა და მტრის მიმართ სასტიკი არ გამხდარა, პირიქით, ყოველთვის ცდილობდა დამარცხებულის მიმართ ლმობიერი ყოფილიყო,

რამაც ასახვა ჰპოვა შემდეგი პერიოდების პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებაში.

ქართულ ცეკვებში კარგადაა ასახული ფარის, სატევარისა და ხანჯლის ხმარების ხელოვნება, რომელიც დღესაც აოცებს ნებისმიერ ადამიანს.

XIX საუკუნის II ნახევარში, როდესაც გამალებული მსოფლიო შეიარაღება მიმდინარეობდა, ნიკო ნიკოლაძემ ციურიხის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები“. ავტორს მიენიჭა სამართლის დოქტორის ხარისხი, ხოლო ნაშრომი ფრანგულ ენაზე ცალკე წიგნად გამოიცა ჟენევაში.

* * *

საქართველო 1993 წელს შეუერთდა ჟენევის კონვენციებს, რითაც იკისრა ვალდებულება, დაიცვას ამ დოკუმენტებში განმტკიცებული წესები. 2001 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დეკლარაცია, რომლითაც მხარი დაუჭირა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლიმენტაციას, და მისი მასობრივი სწავლების პროცესს ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში. ამ მხრივ უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ისწავლება თბილისის, ქუთაისის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. გარდა ამისა, ქვეყანაში და საზღვარგარეთის ქვეყნებში ტარდება ჰუმანიტარული სამართლის საკითხებზე სემინარები, სადაც მონაწილეობას ღებულობენ როგორც სტუდენტი ახალგაზრდობა, ასევე სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, რომელთა მიზანია იურისტებში, სამთავრობო და აკადემიურ წრეებში ამაღლდეს ჰუმანიტარული სამართლის ცოდნა და მისი პრინციპებისადმი პატივისცემა,

რამაც თავისთავად ასახვა ჰპოვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები ითვალისწინებენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევას სახელმწიფოთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, კერძოდ, 411-ე მუხლით სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო პირებზე, სამოქალაქო ობიექტებზე განურჩეველი თავდასხმა, როცა ცნობილია, რომ ეს გამოიწვევს მსხვერპლს ან დაზიანებას, მომეტებული საშიშროების შემცველ ობიექტებზე, ნაგებობებზე, დანადგარებზე, დაუცველ ადგილზე ან დემილიტარიზებულ ზონაზე, პირზე, „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“, ანდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიერ აღიარებული სხვა დაცვითი ნიშნის ან სიგნალის ვერაგულად გამოყენება და ა.შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ პირთა წინააღმდეგ მიმართულ არამართლზომიერ ქცევას, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, ან არა აქვთ თავდაცვის საშუალებანი, აგრეთვე დაჭრილთა, ავადმყოფთა, სამედიცინო და სასულიერო პერსონალის, სანიტარული ნაწილების, სანიტარული სატრანსპორტო საშუალებების, სამხედრო ტყვეების, სამოქალაქო პირების, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან საომარი მოქმედებების ზონაში მყოფი სამოქალაქო მოსახლეობის, დევნილების, აპარტეიდების საომარი მოქმედებების დროს დაცვით მოსარგებლე სხვა პირების წინააღმდეგ და ა.შ.

412-ე მუხლი ითვალისწინებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევას სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნით ან ფიზიკური დამახინჯებით ჩადენილ ქმედობებს, როდესაც მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების დაცვით მო-

სარგებლე დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ ისეთი სამედიცინო პროცედურების ჩატარება, რომელსაც არ მოითხოვს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და რომელიც არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ სამედიცინო ნორმებს, თუნდაც ამ პირის თანხმობით.

რაც შეეხება 413-ე მუხლს, გათვალისწინებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სხვა დარღვევა, როგორიცაა: მოროდიორობა, მოქალაქეთა გამოყენება ჯარის ან ობიექტების სამხედრო ოპერაციებისაგან დასაცავად, სამხედრო ოპერაციებში ან შეიარაღებულ კონფლიქტებში იარაღის გამოყენება, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ომის სხვა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.*

ჰუმანიტარული სამართალი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართული სამართლის სისტემაში. სამწუხაროდ, ქვეყანა ჩაბმულია არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში (რომელიც ეხება ოსურ-აფხაზურ პრობლემას). აფხაზეთში შიდაკონფლიქტი დაიწყო 1992 წლის 14 აგვისტოს. მათი უკანონო შეიარაღებული ფორმირებები თავს დაესხა აფხაზეთის ტერიტორიაზე შესულ ცენტრალური ხელისუფლების შეიარაღებულ ძალებსა და მილიციის კონტიგენტს, რომელთაც ევალებოდათ ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, რეგიონში რკინიგზის ხაზის დაცვა, ტერორისტებისა და სხვა შეიარაღებული დანაშაულებრივ დაჯგუფებათა

---

* საქართველოს კანონი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ მიღებულია პარლამენტის მიერ 1997 წლის 16 ოქტომბერს, რომლითაც განსაზღვრულია საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, შესრულებისა და მოქმედების წესი. კანონს საფუძვლად უდევს საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენცია.

თარეშის ალაგმვა, საქართველოს ხელისუფლება შეეცადა კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას. 1993 წლის 3 სექტემბერს ხელი მოეწერა „მოსკოვის შეთანხმებას შეიარაღებული მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე". მიუხედავად ამისა, ერთი თვის შემდეგ 3 ოქტომბერს სეპარატისტებისა და საზღვარგარეთიდან შემოსული ძალების შეიარაღებული ფორმირებების ერთიანმა ძალებმა წამოიწყეს ახალი საბრძოლო მოქმედებანი, რომელიც დროებით შეწყდა 1993 წლის 27 ივლისს. მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა, იმავე წლის 16 სექტემბერს კვლავ დაიწყო ბრძოლები ქართველებსა და სეპარატისტებს შორის, მათ მხარს უჭერდა აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის რეგულარული ნაწილები და „მთიელი ხალხების კონფედერაციის" ბოევიკები. სეპარატისტებმა შეძლეს აფხაზეთის (ქართული ტერიტორიის ამ ნაწილის) ხელში ჩაგდება და იქედან ქართველთა გამოდევნა ეთნიკური წმენდის გამოყენებით, რასაც საერთაშორისო სამართალი გენოციდად აღიარებს.[28]

დღემდე უშიშროების საბჭოს 20-ზე მეტი რეზოლუცია აქვს მიღებული, მაგრამ მდგომარეობის მოწესრიგებისათვის პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა. „ერთ მხარეს სახეზეა აგრესიული სეპარატიზმის მესვეურთა რეჟიმი, რომელიც მხილებულია ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის. ხოლო მეორე მხარეს გვევლინება მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა (გაერო, ეუთო, ევროკავშირი, ევროპის საბჭო), რომელიც დღემდე მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებების გამოყენებას ცდილობს, რაც სეპარატისტებში დაუსჯელობის ეიფორიას აღვივებს. დროა, რომ აფხაზეთში საქართველოს ამ ისტორიულად კუთვნილ რეგიონში, არსებული კონფლიქტის ფართომასშტაბიანი მოგვარება წარიმართოს არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად ანუ „ხვეწნის" პოლიტიკიდან გაერო და სხვა

ორგანიზაციები უნდა გადავიდნენ დამნაშავე მხარის მიმართ მრავალფეროვანი იძულებითი საშუალებების გამოყენებაზე.[29]

ასეთია მოკლედ ქართული ტრადიციებისა და კანონმდებლობის დამოკიდებულება ჰუმანიტარულ სამართალთან, რომელსაც შეიძლება სპეციალური გამოკვლევაც მიეძღვნას. სეპარატისტები თავიანთ დოკუმენტებში აფიქსირებენ ტერმინს „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი", რაც საერთაშორისო სამართლის თეორიის მიხედვით არასწორია, რადგანაც პრობლემა ქვეყნის შიდა ურთიერთობებს და მის მოწესრიგებას ეხება.

§4. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და ადამიანის უფლებები

წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბების სათავეებთან დგას ანრი დიუნანი, რომელმაც 1859 წლის 24 ივლისს თავის თვალით ნახა ჩრდილოეთ იტალიის პატარა ქალაქ სოლფერინოს ახლოს ავსტრიისა და საფრანგეთის არმიების ბრძოლის ველზე დატრიალებული საშინელება, ერთმანეთში არეული ცოცხალ-მკვდარი ჯარისკაცები, მიტოვებული დაჭრილები და დაუმარხავი დახოცილები. მან თხოვნით მიმართა ახლომახლო მოსახლეობას დახმარებოდნენ დაჭრილების მოვლა-პატრონობაში, ეს იყო პირველი შემთხვევა მოსახლეობის აქტიური დახმარებისა დაჭრილთა მიმართ. შვეიცარიაში დაბრუნების შემდეგ დიუნანმა გამოაქვეყნა წიგნი სათაურით „მოგონებანი სოლფერინოს ბრძოლაზე", სადაც აღწერილი იყო ომის საშინელებანი. ავტორმა საზოგადოებას შესთავაზა შემდეგი წინადადებანი:

1) მშვიდობიან პერიოდში შექმნილიყო ნებაყოფლობითი საზოგადოება, რომლის მიზანი იქნებოდა ომის პერიოდში დაჭრილების დახმარება.

2) მიღებული ყოფილიყო საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავდა ამ ორგანიზაციის უფლებამოსილებას, რომლის ძირითად დანიშნულებად აღიარებდა არმიებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენას.

1863წ. ჟენევის საქველმოქმედო საზოგადოებამ შექმნა 5 კაციანი კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა დიუნანის წინადადებათა მიზანშეწონილობა და პრაქტიკულად მათი განხორციელების შესაძლებლობანი. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: გუსტავ მუანე, ანრი დიუფურა, ლუი აპპია თეოდორა მონუარი და თვითონ დიუნანი. მათი თაოსნობით ჩამოყალიბდა დაჭრილთა დახმარების საერთაშორისო კომიტეტი, რომლის ძალისხმევით და დიდი შრომის ფასად 1863 წლის 26 ოქტომბერს ჟენევაში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 26 ქვეყნის წარმომადგენელმა და ოთხმა ფილანტროპიულმა ორგანიზაციამ. სწორედ ჟენევის ამ კონფერენციაზე გადაწყდა წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბება და მიღებული იქნა ამ ორგანიზაციის ემბლემა — წითელი ჯვარი თეთრ ფონზე.

ორგანიზაციის მოქმედების არიალის და უფლებების გაფართოვების მიზნით, 1864 წელს ჟენევაში მოწვეული იქნა დიპლომატიური კონფერენცია, სადაც დამტკიცდა კომიტეტი და რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო 12 ქვეყნის დიპლომატიურმა კორპუსმა, მიიღეს ჟენევის კონვენცია მოქმედ არმიაში დაჭრილებისა და ავადმყოფთა მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების თაობაზე. ფაქტიურად ეს იყო პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელმაც საფუძველი დაუდო საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1949წ. მიღებული

იქნა ჟენევის ოთხი კონვენცია, რომლითაც გაძლიერდა სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის მდგომარეობა ომის პირობებში. 1977წ. მიღებული იქნა ორი დამატებითი ოქმი ამ კონვენციებთან მიმართებაში („წითელი ჯვარი“ ქრისტიანულ სამყაროში აღნიშნული ორგანიზაციის სიმბოლოდ იქცა. აზერბაიჯანში, ტაჯიკეთში, თურქეთში, უზბეკეთში, ავღანეთში, პაკისტანში, თურქეთსა და არაბულ ქვეყნებში — წითელი ნახევარმთვარე, ირანში — წითელი ლომისა და მზის საზოგადოება), მრავალ ქვეყანაში შეიქმნა ორგანიზაციები, რომლებიც ომის დროს ეხმარებიან სამხედრო ტყვეებს, ავადმყოფ და დაჭრილ მეომრებს, მშვიდობიან პერიოდში დახმარებას უწევენ სტიქიური უბედურების დროს დაზარალებულებს, მთელ რიგ ქვეყნებში ატარებენ ამა თუ იმ დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. საერთაშორისო მასშტაბით, იურიდიულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი „წითელი ჯვრის“ ეროვნული საზოგადოებები ქმნიან საერთაშორისო „წითელ ჯვარს“ და გაერთიანებული არიან „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტისა და „წითელი ჯვრის“ საზოგადოებების ლიგაში. მოქმედი დებულების თანახმად (მიღებულია 1965), საერთაშორისო „წითელი ჯვრის“ ადგილსამყოფელია ჟენევა.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაცია შეიქმნა 1919 წელს საფრანგეთში ქ. პარიზში. იგი აერთიანებს 175 ქვეყანაში არსებული წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნულ საზოგადოებებს. ხელმძღვანელობს 1977 წლის 12 ოქტომბერს მიღებული წესდებით, რომლის ძალითაც ფედერაცია ეროვნულ საზოგადოებებს ეხმარება ბუნებრივი ან ხელოვნური კატასტროფებით გამოწვეულ უბედურებათა თავიდან აცილებასა და შემსუბუქებაში, განვითარების გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებასა და გავრცელებაში, კოორდინაციას უწევს

საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების პროგრამების განხორციელებას.

ფედერაციის უმაღლესი ორგანოა კონფერენცია, სადაც განისაზღვრება ფედერაციის პოლიტიკა, ხდება ახალი ეროვნულ საზოგადოებათა მიღება ან მათი გარიცხვა. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ესწრებიან არა მარტო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, ფედერაციისა და ეროვნული საზოგადოების წარმომადგენლები, არამედ ჟენევის 1949 წლის კონვენციებისა და მათი დამატებითი ოქმების ხელმომწერი სახელმწიფოების დელეგაციებიც. თუ რომელიმე სახელმწიფომ თავის ტერიტორიაზე აკრძალა ეროვნული საზოგადოების საქმიანობა, იგი ავტომატურად კარგავს სტატუსს, თუმცა ფედერაციას მიზეზებში გარკვევის და რეკომენდაციების მიცემის უფლება გააჩნია, მათი მიღება-არ მიღების პრეროგატივა კი სახელმწიფო უფლებაა.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოებების ჩამოყალიბება განისაზღვრა 1863 წელს საკონსულტაციო კონფერენციაზე. ისინი მოქმედებენ თავიანთ სახელმწიფოებში და ეფუძნებიან მათ კანონმდებლობას, ისევე როგორც წითელი ჯვრის სამართლებრივ ნორმებს. ეროვნული საზოგადოებები იმყოფებიან ორმაგ დაქვემდებარებაში. წითელი ჯვრის ფარგლებში ეროვნული საზოგადოებისათვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭება ავალდებულებს მათ იმოქმედონ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ყველა წევრისათვის საერთო მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო საქმიანობაში იხელმძღვანელონ წითელი ჯვრის პრინციპებითა და ნორმებით. ისინი რეგისტრაციას გადიან ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით, რაც მათ ავალდებულებს პატივი სცენ ეროვნულ კანონმდებლობას. წესდებაში მკაფიოდაა განსაზღვრული მათი ფუნქციები და მოვალეობანი, სავალდებუ-

ლოა შესასრულებლად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ათი წესი, რომლის კონტროლს ახორციელებს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, როგორც ნეიტრალური ორგანო. ეროვნული საზოგადოება ითვლება წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის წევრად.

რაც შეეხება წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ორგანიზაციას ყოფილ საბჭოთა კავშირში, იგი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია იყო, რომელიც ეხმარებოდა ჯანდაცვის ორგანოებს პროფილაქტიკური და სანიტარულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებაში, აგრეთვე დახმარებას უწევდა სტიქიური უბედურებებისა და საომარი მოქმედებების დროს დაზარალებულებსა და დაშავებულებს.

1918 წლის 7 აგვისტოს გამოქვეყნდა ვ.ი. ლენინის ხელმოწერილი მთავრობის დეკრეტი, რომელშიც განსაზღვრული იყო „წითელი ჯვრის“ საზოგადოების შინაგანი და საერთაშორისო საქმიანობა. 1918 წლის 20 ნოემბერს მიიღეს წესდება და აირჩიეს რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების ცკ. ანალოგიური საზოგადოებები შეიქმნა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც და მათ შორის საქართველოშიც. 1923 წლის 29 მაისს საზოგადოების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას „სსრკ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის“ შექმნის შესახებ.

კავშირში შევიდა წითელი ჯვრის 11 და წითელი ნახევარმთვარის 4 რესპუბლიკა. საზოგადოების წესდების შესაბამისად, მისი უმაღლესი ორგანო იყო საკავშირო ყრილობა, ყრილობებს შორის პერიოდში — აღმასკომი და მისი პრეზიდიუმი. კავშირი ხელს უწყობდა უსასყიდლო დონორობის განვითარებას, გამოსცემდა ჟურნალ „საბჭოთა წითელ ჯვარს“ (1951 წლიდან), სასწავლო და სანიტარულ-

განმანათლებელ ლიტერატურას. „იგი ატარებდა აქტიურ საერთაშორისო საქმიანობას, დახმარებას უწევდა საზღვარგარეთის ქვეყნებს ეპიდემიების, შიმშილობის, სტიქიური უბედურებების დროს“ და ა.შ.

1965 წელს ვენაში შედგა „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საერთაშორისო ორგანიზაციის XX კონფერენცია, სადაც მიღებულ იქნა მისი საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები, როგორიცაა:

1) **ჰუმანურობის პრინციპი** გულისხმობს „წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის“ საერთაშორისო კომიტეტის მიზანს, ბრძოლის ველზე აღმოუჩინოს დახმარება ყველას, განურჩევლად, თუ ვის მხარეზე იბრძვიან ისინი, ასევე შეუმსუბუქონ ადამიანებს ბრძოლებისაგან მიყენებული ტანჯვის პროცესები. დაიცვან მათი პიროვნული ღირსება. ორგანიზაციები ამკვიდრებენ ხალხთა შორის მეგობრობას და სახელმწიფოთა თანაარსებობას მშვიდობიან გარემოში.

2) **მიუკერძოებლობის პრინციპის** საფუძველზე მოძრაობა არ ითვალისწინებს არანაირ დისკრიმინაციას, რომელიც დაკავშირებული იქნება ეროვნულობასთან, ეროვნებასთან, რელიგიასთან, კლასთან ან პოლიტიკურ მრწამსთან და ა.შ. ორგანიზაცია, პირველ რიგში, ეხმარება და უმსუბუქებს მდგომარეობას იმ ადამიანებს, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.

3) **დამოუკიდებლობის დაცვის პრინციპი** ითვალისწინებს — მოძრაობამ შეინარჩუნოს საზოგადოებრიობის ნდობა, საკუთარ ქვეყანას დაეხმაროს და დაემორჩილოს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს, შეინარჩუნოს ავტონომიურობა, რომ შეძლოს „წითელი ჯვრის“ პრინციპებით მოქმედება.

4) **ნებაყოფლობის პრინციპის** შესაბამისად, მოძრაობაში მონაწილეობა ნებაყოფლობის საფუძველზე ხდება, კანონით იკრძალება ზეწოლა და პირადი გამორჩენის მიზნით მოქმედება.

5) ნეიტრალობითობის პრინციპი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი თავის მოძრაობას ანიჭებს კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შორის თანაბარი მოქმედების შესაძლებლობას, რაიმე მოტივით რომელიმე მხარეზე გადახრა დაუშვებელია.

6) ერთადერთობის პრინციპის საფუძველზე ქვეყანაში მხოლოდ ერთი „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა არსებობდეს, რომელიც ყველასათვის მისაწვდომი და გამჭირვალე იქნება და ჰუმანიტარულ მისიას შეასრულებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.

7) უნივერსალურობის პრინციპი მოძრაობას ანიჭებს მსოფლიო ხასიათს. ყველა ეროვნული საზოგადოებანი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით და ვალდებულნი არიან დაეხმარონ ერთმანეთს.[30]

რაც შეეხება ორგანიზაციის სამართლებრივ სტატუსს, საერთაშორისო „წითელი ჯვარი და წითელი ნახევარმთვარის“ საზოგადოება არის დამოუკიდებელი არასამთავრობო საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რომელსაც სამხედრო კონფლიქტების დროს ადამიანთა დახმარების უფლების მანდატი მიანიჭა ჟენევის ოთხმა კონვენციამ და მასზე ხელმომწერმა სახელმწიფოებმა. ის სარგებლობს განსაკუთრებული სტატუსით. არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. „წითელი ჯვარი“ სარგებლობს განსაკუთრებული იმუნიტეტით, რომლითაც არ განიცდის ადმინისტრაციულ და სასამართლო დევნას, მისი შენობები, არქივები და სხვა დოკუმენტები სარგებლობენ ხელშეუხებლობით. ეს საკანონმდებლო შეღავათები ორგანიზაციას უფლებას აძლევენ გააფორმოს ისეთი ხელშეკრულება შვეიცარიის მთავრობასთან, რომლის ძალი-

თაც მას ეძლევა თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქმიანობაში.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს ჟენევის ოთხი კონვენცია. პირველი კონვენცია ეხება მოქმედ არმიაში დაჭრილებისა და ავადმყოფების ხვედრის გაუმჯობესებას, რომელიც შედგება 9 თავისა და 64 მუხლისაგან.

მეორე კონვენციით განსაზღვრულია დაჭრილების, ავადმყოფებისა და გემის დაღუპვის დროს დაზარალებულების მდგომარეობის გაუმჯობესება. იგი შედგება 8 თავისა და 63 მუხლისაგან. მესამე კონვენცია ეხება სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის ღონისძიებებს, რომელიც ექვსი ნაწილისაგან და 143 მუხლისაგან შედგება.

მეოთხე კონვენციით წესრიგდება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ღონისძიებანი ომის დროს. იგი ხუთ ნაწილს და 159 მუხლს მოიცავს. რაც შეეხება დამატებით ოქმებს, ისინი აწესრიგებენ „საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტებით მსხვეპლთა და არასაერთაშორისო მსხვერპლთა დაცვას.[31]

სტრუქტურული თვალსაზრისით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი წარმოადგენს მოძრაობის ფლაგმანს, უფრო დაწვრილებით იგი შეიქმნა 1864 წელს შვეიცარიელი მოქალაქეების ა. დიუნინის, ჰ. მუანიეს, გ. დიუფურის, ლ. აპიასა და დ.ტ. მონუარის ინიციატივით. კომიტეტი ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნებით შუამავლად გამოდის საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში. ატარებს შესაბამის ღონისძიებებს კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის. ასევე შინააშლილობისა და ქვეყანაში სხვადასხვა სახის ძალადობათა შემთხვევაშიც, რასაც ითვალისწინებს ჟენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები, კომიტეტი არასამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციაა და

განსხვავდება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან. მისი ფუნქციების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ჰუმანიტარული სამართლის განვითარება. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, გააკონტროლოს ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დაცვის მდგომარეობა შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წესდებით განსაზღვრულია მისი სტრუქტურა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გამიჯნულია მათი ფუნქციები. მაგ. შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედებს კომიტეტი, ხოლო ტექნოლოგიური კატასტროფებისა და სტიქიურ უბედურებათა დროს ფედერაცია. კომიტეტი მოქმედებს შვეიცარიის კანონების საფუძველზე, მისი მანდატი საერთაშორისო ხასიათისაა და მის საქმიანობას საერთაშორისო მასშტაბები გააჩნია. კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს დელეგატების მეშვეობით. მისი უმაღლესი ორგანოა 25 წევრისაგან შემდგარი კონფერენცია, რომლის წევრები ირჩევიან ოთხ წელიწადში ერთხელ და მხოლოდ შვეიცარიის მოქალაქეები არიან. კონფერენციის თავმჯდომარესაც 4 წლის ვადით ირჩევენ, შესაძლებელია მისი არაერთგზის არჩევაც.

კომიტეტის ოპერატიული მართვის ორგანოა 7 წევრისაგან შემდგარი კომიტეტი (პრეზიდენტი, მუდმივი ვიცე-პრეზიდენტი, ასამბლეის ორი სხვა წევრი და 3 დირექტორი). კომიტეტს თავისი მუდმივი წარმომადგენელი ჰყავს 58 ქვეყანაში და მოღვაწეობს მსოფლიოს 80 ქვეყანაში.

„წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოებანი“, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის ფედერაცია, რომლებიც თავის საქმიანობას წარმართავენ „წითელი

ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საერთაშორისო მოძრაობის სახელმძღვანელო პრინციპებით, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებენ. ისინი ანხორციელებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს დაწყებული კატასტროფების შემთხვევაში, მაშველების როლს თუ სამედიცინო და სოციალურ დახმარებას. ომის შემთხვევაში დახმარებას უწევენ მშვიდობიან მოსახლეობას. კონფლიქტების შემთხვევაში მხარში უდგანან ეროვნულ სამედიცინო სამსახურებს.

„წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ ფედერაცია ხელმძღვანელობს სავალდებულო პრინციპებით. იგი ყოველგვარ დახმარებას უწევს ეროვნულ ორგანიზაციებს. მათი საქმიანობის პრიორიტეტული სფეროებია სოციალურად დაუცველი, სტიქიური უბედურებით, ტექნოგენური კატასტროფით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება. საერთაშორისო ფედერაცია არის ოფიციალური წარმომადგენლობა თითოეულ ქვეყანაში საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული ორგანიზაცია თანამშრომლობს ქვეყნის სამთავრობო, არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან წესდებით განსაზღვრულ სფეროებში.[32]

შვეიცარიის, როგორც საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციის შემქმნელი ქვეყნის, პატივისცემის ნიშნად წითელი ჯვრის ემბლემად აღიარებული იქნა შვეიცარიის ჰერალდიკური ნიშნის ფერთა პირიქით განლაგება, ე.ი. თეთრ ფონზე წითელი ჯვრის გამოსახულება. 1929 წლიდან დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღებულ იქნა ახალი ემბლემა „წითელი ნახევარმთვარის“. „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ გამოსახულებით, როგორც ემბლემას, ორი ძირითადი ფუნქცია გააჩნია: 1) დაცვითი ფუნქცია; 2) ამოცნობის ფუნქცია.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ადგენს არა მარტო ემბლემის გამოყენების წესებს, არამედ აკრძალვებს, თუ ვის არა აქვს მისი გამოყენების უფლება. ასე მაგალითად:

„კერძო პირებს, საზოგადოებრივი ან კერძო ფირმების ან კომპანიების წარმომადგენლებს“.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით აკრძალულია საერთაშორისო შეთანხმებებით აღიარებული ამა თუ იმ ემბლემის არადანიშნულებისამებრ, უკანონოდ ან წინასწარი განზრახვით ბოროტად გამოყენება. ეს ემბლემებია: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, კულტურული საგანძურის აღმნიშვნელი ემბლემები, ნეიტრალური ან იმ სახელმწიფოს ემბლემები, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტში არ მონაწილეობენ.[33]

რაც შეეხება წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ემბლემის გამოყენებას, თავისი სამართლებრივი საფუძვლები გააჩნია ჟენევის კონვენციებით, ემბლემის, როგორც დამცავი ნიშნის გამოყენება, სამედიცინო პერსონალის, ქვედანაყოფებისა და ტრანსპორტისათვის მინიჭებული დაცვის თვალსაჩინო გამოვლინებაა, როგორც ომის, ისე მშვიდობიან დროს. ეს მიუთითებს, რომ ამა თუ იმ პირს, ტრანსპორტს ან ქონებას კავშირი აქვს „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საერთაშორისო მოძრაობასთან. კონვენციებით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ ემბლემების გამოყენება არ იზღუდება, მისით სარგებლობა ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი.

იმის გამო, რომ ადგილი ჰქონდა ემბლემების არადანიშნულებისამებრ და ბოროტად გამოყენების შემთხვევებს, საერთაშორისო ჰუმანიტარულმა სამართალმა განსაზღვრა ემბლემის ბოროტად გამოყენების სამი სახეობა. ესენია — **იმიტაცია, უზურპაცია და ვერაგობა.**

იმიტაცია გულისხმობს ისეთი ნიშნის გამოყენებას, რომელიც თავისი ფორმით ანდა ფერის გამო შეიძლება შეცდომით წითელი ჯვრის ემბლემად იქნეს მიჩნეული.

უზურპაცია ნიშნავს ემბლემის იმ პირების ან ორგანიზაციების მიერ გამოყენებას, ვისაც არ ჰქონდა ამის უფლება.

ვერაგობის ქვეშ იგულისხმება ემბლემის გამოყენება კონფლიქტის დროს, კომბადანტების ან შეიარაღების დაცვის მიზნით და იგი ითვლება „ომის დანაშაულად“.

დღეისათვის „წითელი ჯვარი“ და „წითელი ნახევარმთვარე“ თანაბარი უფლებამოსილებით გამოიყენება სახელმწიფოებისა და ჟენევის კონვენციების ხელმომწერი ყველა სახელმწიფოს ეროვნული საზოგადოებების მიერ. ისრაელი ჟენევის კონვენციების ქვეშ მყოფი პირებისა და ობიექტების აღსანიშნავად დავითის წითელ ფარს იყენებს, რომელიც არაა აღიარებული საერთაშორისო სამართლის მიერ. მიუხედავად ამისა, ეს ემბლემა პატივისცემით სარგებლობს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში, ისრაელის ეროვნულ საზოგადოებას „დავითის წითელი ვარსკვლავის“ საზოგადოება ეწოდება.

ვინაიდან ამ საზოგადოებამ ჟენევის I კონვენციით გათვალისწინებული არც ერთი ემბლემა არ სცნო, „წითელი ჯვრის“ მოძრაობას მისი აღიარება არ შეუძლია.[34]

ემბლემებთან და ნიშნებთან დაკავშირებით, 1974-1977 წლების დიპლომატიურმა კონფერენციებმა სამედიცინო ფორმირებებისა და სატრანსპორტო საშუალებების აღნიშვნასა და ამოცნობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, სანიტარულ საფრენ აპარატებზე უნდა იდგას მოციმციმე ლურჯი ფერის ნათურა, აგრეთვე დაინერგა ობიექტების რადიოსიგნალური და მეორადი რადიოლოკაციური ამოცნობის წესი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ჟენევის კონვენციების მონაწილე ქვეყნებმა იკისრეს დააწესონ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა ემბლემის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, როგორც ომის, ასევე მშვიდობიან პერიოდში.

წესდების შესაბამისად, წ.ჯ.ს.კ.-ის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარების ხელისშეწყობა და დაცვის უზრუნველყოფა, რასაც იგი ახორციელებს სხვადასხვა საშუალებით:

1) **პრაქტიკული საქმიანობით,** რაც გამოიხატება კონფლიქტის მსხვერპლთათვის განხორციელებული საქმიანობით, რომელიც ითვალისწინებს დაცვასა და დახმარებას, კერძოდ, თავისუფლებააღკვეთილ პირთა (მათ შორის ტყვეთა) მონახულებას, ოჯახის დაცილებულ წევრთა შორის კავშირის აღდგენას, ჰუმანიტარულ და სამედიცინო დახმარებას, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ ცოდნის გავრცელების ხელშეწყობას.

2) **პრევენციული ზომების** მიღებით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი სახელმწიფოებს შეახსენებს, რომ მათ იკისრეს ამ სამართლის შესახებ ცოდნის გავრცელების ვალდებულება, რათა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა ჰუმანიტარული სამართლის ეფექტური გამოყენებისა და აქედან გამომდინარე, დაცვის უზრუნველყოფისათვის. წ.ჯ.ს.კ. ამგვარ საქმიანობას ახორციელებს თავისი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკონსულტაციო სამსახურების მეშვეობით.

3) **ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის შემთხვევაში კონკრეტული ზომების მიღებით, რაც გამოიხატება შემდეგში:**

ა) წ.ჯ.ს.კ. კონფიდენციალური ხასიათის განცხადებებით მიმართავს ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებს დარღვევების შესახებ. თუ დარღვევა მძიმე ხასიათისაა და არაერთხელ იყო ჩადენილი, ამასთან თუ უეჭველად შეიძლება მომხდარი ფაქტის დადასტურება წ.ჯ.ს.კ. იტოვებს უფლებას საჯაროდ განაცხადოს მის შესახებ. ეს კეთდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი საჯაროობა დაზარალებულთა ან საფრთხეში მყოფ პირთა ინტერესებს ემსახურება და ეს განსაკუთრებული ხასიათის ზომას წარმოადგენს.

ბ) წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მხარს უჭერს სახელმწიფოებს ისეთი ეროვნული კანონმდებლობის მიღებაში, რომელიც მათ მძიმე დარღვევების ჩამდენთა სისხლისსამართლებრივი წესით დევნის საშუალებას მისცემს.

გ) კონფლიქტის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს შეუძლია მიმართოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, როგორც ნეიტრალურ შუამავალს, თხოვნით გადასცეს მოწინააღმდეგე მხარეს საჩივარი ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევის თაობაზე. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ასევე შეუძლია ბრალდებულ მხარეს შესთავაზოს თავისი სამსახური ბრალდებაზე პასუხის გაცემასთან დაკავშირებით.

დ) წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი არ არის სასამართლო ორგანო და არც ბრალმდებლის ან მოსამართლის როლის შემსრულებელი. იგი მხოლოდ აკმაყოფილებს თხოვნას დარღვევათა დადასტურების თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ მისი დელეგატების ადგილზე ყოფნა ხელს უწყობს ჰუმანიტარული ამოცანების შესრულებას და თუ ის მიიღებს იმის გარანტიას, რომ მათი ადგილზე ყოფნა არ იქნება გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისათვის.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობს გაეროსთან, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსის სხვადასხვაობისა, რომელთა შორისაც დგას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, რადგანაც გაეროს ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ მებრძოლი ჯარები უშუალოდ იღებენ მონაწილეობას შეიარაღებულ კონფლიქტებში, თავის მხრივ გაერო განსაზღვრავს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მხოლოდ პრინციპები და სულისკვეთება გამოიყენონ ამ ძალების მიმართ. ექსპერტების მიერ შემუშავებულია იმ „პრინციპებისა და სულისკვეთების“ არსის განმსაზღვრელი ქცევის კოდექსის პროექტი, რომელთა დაცვა და განხორციელება თავის თავზე აიღო გაერომ, როდესაც კი ძალის გამოყენება დაშვებულია კანონიერი თავდაცვის გამო ან უშიშროების საბჭოს მიერ გაცემული განსაკუთრებული მანდატით.

§5. წითელი ჯვარი და საქართველო

წითელი ჯვრის საზოგადოების ფუნქციონირება საქართველოში იწყება 1918 წლიდან, რომელიც 1923 წელს შეუერთდა საკავშირო წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა ალმასკომს. 1991 წლიდან საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება დამოუკიდებელ საზოგადოებად ჩამოყალიბდა.

წითელი ჯვრის საზოგადოების „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოში 1992 წლის 27 თებერვალს ჩამოვიდა,* რომლის აუცილებლობაც 1991 წლის სამოქალაქო ომმა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე (ე.წ. სამხრეთ ოსეთში) მომხდარმა მოვლენებმა განაპირობა. ამ ხნის მანძილზე ორგანიზაციამ ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. საქართველოს ხელისუფლების თანხმობით წ.ჯ.ს.კ. დელეგატები და სამედიცინო პერსონალი სისტემატურად ნახულობენ თავისუფლებააღკვეთილ პირებს პენიტენციურ დაწესებულებებში, პოლიციის განყოფილებებში და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, სადაც ადამიანები იძულებითი მკურნალობის ქვეშ იმყოფებიან. საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის ოქტომბრის ბრძანებულებით წ.ჯ.ს.კ. დელეგატებს უფლება ეძლევათ მოინახულონ დაკავებული პირები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ზეპირი შეთანხმების საფუძველზე ისინი სისტემატიურად ახერხებდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე ენახათ ტყვედ აყვანილი თუ დაკავებული საქართველოს მოქალაქეები, ხოლო ეს შეთანხმება 1999 წლის დეკემბერში წერილობით გაფორმდა.

---

* საქართველოში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაციამ თავისი წარმომადგენლობა 1993 წელს გახსნა.

იგივე სამუშაო ჩატარდა (ე.წ. სამხრეთ ოსეთში) სამაჩაბლოს ტერიტორიაზე.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მოძიების სამსახური ძირითად საქმიანობასთან ერთად საქართველოში ეწევა „წითელი ჯვრის“ ბარათების შეგროვებას, გაგზავნას და კონფლიქტის შედეგად დაცილებული ოჯახების გაერთიანებას, მათი ძალისხმევით კონფლიქტის შედეგად 1993 წლიდან 425 დაცილებული ოჯახი გაერთიანდა საქართველოში, ხოლო საზღვარგარეთ — 74. გარდა ამისა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების კომისიას აქტიური ტექნიკური დახმარება გაუწია წ.ჯ.ს.კ.-მა კონფლიქტის დროს ეგზგუმაციისა და გვამების იდენტიფიკაციის პროცესში მოწვეული ექსპერტების და სპეციალისტების მეშვეობით. უამრავ სოციალურად დაუცველ იძულებით ადგილმონაცვლე ადამიანს გაეწია დახმარება საკვებით, ჯანმრთელობის დაცვის, შრომისა და სოცუზრუნველყოფის სფეროებში.

1997 წლის ნოემბრის თვიდან წ.ჯ.ს. კომიტეტმა გაითვალისწინა საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების წვლილი, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დაცვა-განხორციელების თვალსაზრისით და მიიღო „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საერთაშორისო ფედერაციისა და შესაბამისად, „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ კომიტეტის სრულუფლებიან წევრად. დღეისათვის ის წარმოდგენილია 11 რეგიონალური ორგანიზაციით და მუშაობას წარმართავს 1997 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით „საქართველოს წითელი ჯვრის შესახებ“, რომლითაც მოწესრიგებულია საზოგადოების საქმიანობა, განსაზღვრულია მისი სტატუსი, ფუნქციები, მიზნები და ამოცანები. საზოგადოება თავის საქმიანობას წარმართავს მიმართულებების მიხედვით ჩამოყალიბებული სტრუქტურებით: ა) მოწყალების სამსახური; ბ) ძიების სამსახური; გ) სამაშ-

ველო სამსახური; დ) საერთაშორისო ურთიერთობათა და ჰუმანიტარული დახმარების სამსახური; ე) წითელი ჯვრის მოძრაობის შესახებ ცოდნის გავრცელების სამსახური; ვ) საინფორმაციო სამსახური; ზ) ახალგაზრდული დეპარტამენტი.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს საომარი მოქმედებების რაიონში „წითელი ჯვრის“ ან „წითელი ნახევარმთვარის“ ნიშნების უკანონოდ ტარებას იმ პირთა მიერ, რომელთაც ამის უფლება არა აქვთ, აგრეთვე ომიანობის დროს „წითელი ჯვრისა“ და „წითელი ნახევარმთვარის“ ალმების ან ნიშნების, აგრეთვე სანიტარული ევაკუაციის სატრანსპორტო საშუალებებისათვის მიკუთვნებული შეფერადების ბოროტად გამოყენებისათვის პასუხისმგებლობას.

§6. ადამიანის უფლებები და ლტოლვილები

საერთაშორისო ხასიათი მიიღო ლტოლვილთა და იძულებით ადგილმონაცვლეთა პრობლემამ, იგი შეეხო მსოფლიოს ბევრ რეგიონს. განსაკუთრებით ყოფილ პოსტსაბჭოურ სივრცეს და, მათ შორის, საქართველოსაც. ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს წარმოადგენს სამართლებრივად განვასხვაოთ ლტოლვილი, იძულებით გადაადგილებულისაგან და შევაფასოთ მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობა. **„ჰუმანიტარული თანამეგობრობა“** უფრო და უფრო აცნობიერებს იძულებით გადაადგილებულის პრობლემას, რომელიც 20 მილიონზე მეტ ადამიანს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა უპირველესად ეროვნული ხელისუფლებისა და ადგილობრივი მთავრობების მოვალეობად რჩება, საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამოძებნოს კრიზისული სიტუაციე-

ბისა და კონფლიქტის დროს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის საქმეში მხარდაჭერისა და საკუთარი წვლილის შეტანის საუკეთესო გზები, — აღნიშნა ჰუმანიტარულ საქმეთა გენერალური მდივნის მოადგილემ სერჯიო ვიეირა დე მელომ.[35]

საერთაშორისო საზოგადოებრიობა დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანის წინაშე, უზრუნველყოს იმ პირთა დაცვა, რომელთაც იძულებით მიატოვეს თავიანთი საცხოვრებელი ადგილი შეიარაღებული კონფლიქტებისა ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევების ან სხვა ტრამვული მოვლენების გამო, მაგრამ დარჩნენ თავიანთი ქვეყნის ფარგლებში, ისინი თითქმის ყოველთვის განიცდიან სასტიკ უუფლებობას, გაჭირვებასა და დისკრიმინაციას.[36]

ლტოლვილთა სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სამართლებრივი ნორმებით. სამეცნიერო ლიტერატურაში ლტოლვილად მიჩნეულია უცხოეთის მოქალაქე, ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც თავშესაფარი ნახა უცხო ქვეყანაში, ხოლო იძულებით ადგილმონაცვლედ (იგულისხმება იძულებით გადაადგილებული) მოიაზრება ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც იძულებული ხდება საკუთარი საცხოვრისი დატოვოს თავის ქვეყანაში, მაგრამ ერთი განსხვავებით — იძულებით ადგილმონაცვლედ შეიძლება ჩაითვალოს უცხოეთის მოქალაქეც ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც კანონის საფუძველზე უკვე დიდი ხანია მუდმივად ცხოვრობს ამა თუ იმ ქვეყანაში და იძულებული იყო თავის დროზე დაეტოვებინა სამშობლო სხვადასხვა მიზეზების გამო.

იმის გამო, რომ ლტოლვილობა და იძულებით ადგილმონაცვლეობა სერიოზული პრობლემა გახდა, საერთაშორისო სამართლის სფეროში არის მცდელობა, რომ ცალკე დარგად ჩამოყალიბდეს ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი[37],

თუმცა ამ აზრს დარგის ყველა სპეციალისტი როდი იზიარებს, რადგან ისინი შედიან გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის სამსახურის მანდატით მინიჭებული დაცვის სფეროში, ამასთანავე იმ შემთხვევაში, როდესაც პიროვნება შეიარაღებული კონფლიქტის გამო ხდება ლტოლვილი, მას იცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალიც. ჟენევის მეოთხე კონვენცია და დამატებითი ოქმი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფთ სპეციალურ დაცვას ანიჭებს მეოთხე კონვენცია, ასევე მიუთითებს ნონრეფოლმენტის პრინციპზე, რომელზეც ლტოლვილთა სამართლებრივი მდგომარეობა არის დაფუძნებული.

გარდა ამისა, საკუთარი ქვეყნის ფარგლებში გადაადგილებული პირნი (იძულებით ადგილმონაცვლე – გ.ლ.) იმყოფებიან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დაცვის ქვეშ, რომელიც ასევე უზრუნველყოფს სამოქალაქო მოსახლეობის ფართო დაცვას.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს იძულებით გადაადგილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ან გადაუდებელი სამხედრო საჭიროების გამო. უფრო მეტიც, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიერ სამოქალაქო მოსახლეობის გარანტირებული დაცვა უნდა ითვალისწინებდეს იძულებით გადაადგილების შეზღუდვასაც, რაც ბოლო პერიოდში არ იცვლება, ამიტომ უფრო მნიშვნელოვანია არსებულ ნორმათა დაცვა და მექანიზმების მთელი დატვირთვით ამოქმედება.

1951 წლის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ტერმინი „ლტოლვილი“ გამოიყენება ყველა პირის მიმართ, რომელიც „რასის, სარწმუნოების, მოქალაქეობის, გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური მრწამსის ნიშნით დევნის მსხვერპლად ქცევის საფუძვლიანი შიშის გამო იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ

შეუძლია ისარგებლოს შესაბამისი მფარველობით ამ საშიშროების გამო, ანდა არ გააჩნია გარკვეული მოქალაქეობა და მსგავსი მოვალეობის შედეგად იმყოფება, საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, რის გამოც არ შეუძლია ან არ სურს დაბრუნდეს იქ ამგვარი საშიშროების გამო". აფრიკის ერთობის ორგანიზაციის კონვენციამ და კარტახენის დეკლარაციამ გააფართოვა ეს განსაზღვრება და მოიცვა ის პირები, ვინც გაქცევით შველის თავს ისეთ პირობებში, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზულ დარღვევას იწვევს. ეს შეიძლება იყოს შეიარაღებული კონფლიქტები და არეულობები.

საერთაშორისო და ჰუმანიტარული სამართლით ლტოლვილები გამონაკლის შემთხვევაში სარგებლობენ უვიზო შესვლით ამა თუ იმ სახელმწიფოში, რაც ნიშნავს შესვლას სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ვიზის მიცემის აუცილებლობის გარეშე. ამ შემთხვევაში სახელმწიფოებს შეუძლიათ საზღვარი გახსნან ცალმხრივად, რომლის პირობები ხელშეკრულებაში ან ცალმხრივ აქტში არის განსაზღვრული, შეიძლება დაიშვას საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი საბუთების საფუძველზე (მაგ. პირადობის მოწმობის წარდგენით) არსებული საბაჟო თუ სანიტარული წესების დაცვით.

პროცენტულად ყველაზე მეტი საქართველოს მოქალაქე, როგორც ლტოლვილი, ცხოვრობდა და დღესაც ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში, რაც განაპირობებს ამ პრობლემის შედარებით ფართოდ განხილვას რუსეთის ფედერაციის კანონების მაგალითზე, რადგანაც კანონის შესაბამისად, ბევრმა მათგანმა მიიღო იმ ქვეყნის მოქალაქეობა და, ბუნებრივია, მოეხსნა ლტოლვილის სტატუსი.

რუსეთის ფედერაციაში ლტოლვილთა და იძულებით ადგილმონაცვლეთა სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია 1993 წლის 19 თებერვლის, 1995 წლის 20 დეკემ-

ბრის და 1998 წლის 21 ივლისის კანონებით. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისგან ზემოაღნიშნული კატეგორიები განსხვავდებიან შეზღუდვებით შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე.

ლტოლვილსა და იძულებით ადგილმონაცვლეთა შორის უფლებრივი სხვაობა შემდეგია, მაგ.: ლტოლვილს შეუძლია ფლობდეს უძრავ ქონებას კანონის იმ ფარგლებში, რისი უფლებაც გააჩნიათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 59-ე მუხლის შესაბამისად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში იწვევენ რუსეთის მოქალაქეებს, რაც არ ვრცელდება ლტოლვილებზე. კანონის შესაბამისად, ფედერაციაში ლტოლვილად ითვლება პიროვნება 3 წლის განმავლობაში, ხოლო იძულებით ადგილმონაცვლედ კი – 5 წლის ვადით.

რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით, ლტოლვილისა და იძულებით ადგილმონაცვლის სტატუსი უწყდებათ იმ შემთხვევაში:

1) როდესაც ლტოლვილი ან იძულებით ადგილმონაცვლე ღებულობს რუსეთის ფედერაციის ან რომელიმე სხვა ქვეყნის მოქალაქეობას.

2) როდესაც ლტოლვილი ან იძულებით ადგილმონაცვლე ტოვებს რუსეთის ფედერაციას და მუდმივ საცხოვრებლად გადადის სხვა ქვეყანაში.

3) როდესაც ნებაყოფლობით მიმართავს დახმარებისათვის იმ ქვეყანას, რომელიც თავის დროზე დატოვა.

რუსეთის ფედერაციის ფედერალური და ადგილობრივი საემიგრაციო სამსახურებს იმ შემთხვევაში ეძლევათ უფლება გააუქმონ სტატუსი, თუკი დევნილი ან იძულებით ადგილმონაცვლე ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს, მიეცემა პასუხისგებაში და სასამართლო ცნობს დამნაშავედ. ასევე, თუ პირმა წარადგინა ყალბი საბუთები, ან შეგნებულად არასწორი მონაცემები შეიტანა მასში, კანონი

მოითხოვს სახელმწიფოს მიერ მათზე გამოყოფილი თანხების უკან დაბრუნებას.

ხელისუფლების მიერ მათი დეპორტაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დამრღვევ პირებს ეცნობება სამი დღის განმავლობაში და მათზე გაცემული პირადობის მოწმობა ჩაითვლება გაუქმებულად. ასეთ შემთხვევაში პირს შეუძლია მიმართოს მიგრაციულ სამსახურს, თუკი მისთვის მისაღებ პასუხს ვერ მიიღებს, კანონმდებლობა აძლევს შესაძლებლობას მიმართოს უფრო მაღლა მდგომ ორგანოს საემიგრაციო სამსახურს.

საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, ლტოლვილების და იძულებით ადგილმონაცვლის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს პირს, ვისაც ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული კაცობრიობის წინაშე, ან მონაწილეობა აქვს მიღებული ამა თუ იმ ფორმით გენოციდში.

საერთაშორისო კანონმდებლობით შედარებით უფრო მოწესრიგებულია ლტოლვილთა სამართლებრივი მდგომარეობა, ვიდრე იძულებით ადგილმონაცვლეთა, რადგანაც სამეცნიერო ლიტერატურაში ლტოლვილთა ისტორიის დასაწყისი 3500 წლის წინათ მოიაზრება. XX საუკუნის დასაწყისიდან პირველად იქმნება რუს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, მეორე მსოფლიო ომის პირობებში შეიქმნა გაეროს დახმარებისა და რეაბილიტაციის ადმინისტრაცია (UNRRA), ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IRO), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) და ა.შ. დოკუმენტები, რითაც წესრიგდებოდა მათი მდგომარეობა, შემდეგია: საბაზო დოკუმენტად ითვლება 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, 1951 წლის 28 ივლისის ლტოლვილთა სტატუსის კონვენცია, რომელიც ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის საფუძველს წარმოადგენს და რასის, რელიგიის ან სახელმ-

წიფოებრივი კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე უნდა გამოიყენებოდეს. თუმცა, იგი ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, ვინც ლტოლვილად იქცა 1951 წლის იანვრამდე. 1967 წლის 31 იანვარს მიღებული იქნა ლტოლვილთა კონვენციის ოქმი (პროტოკოლი), რომელიც კონვენციით გათვალისწინებულ დაცვას ყველა ლტოლვილზე ავრცელებს, იმისდა მიუხედავად, თუ როდის იქცნენ ისინი ლტოლვილებად; 1969 წლის 10 სექტემბრის აფრიკული ერთობის ორგანიზაცია (OAU); 1984 წლის 10 დეკემბერს ლათინური ამერიკის ერთმა ქვეყანამ კარტახენას დეკლარაცია მიიღო, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლთა დაცვას ითვალისწინებს დაცვის საერთაშორისო მექანიზმის ფარგლებში. 1998 წლის ლტოლვილთა კონვენციას და ოქმს მსოფლიოს 136 ქვეყანა შეუერთდა. „არც ერთმა წევრმა სახელმწიფომ არც ერთი ფორმით არ უნდა გააძევოს ან დააბრუნოს ლტოლვილი ტერიტორიაზე, სადაც მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, რასის, ალმსარებლობის, მოქალაქეობის, სოციალური კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის ნიშნით დევნის გამო“.[38]

რაც შეეხება ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციას, იგი 1947 წლიდან არსებობს. 1949 წ. 3 დეკემბრიდან გაეროს ეგიდით შეიქმნა გაეროს უმაღლესი კომისარიატი (გლუკი). გაეროს გენერალური ასამბლეის 1950 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციით (428 (V)) დამტკიცდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წესდება, რომლის შესაბამისად იგი მოქმედებს გენერალური ასამბლეის დაქვემდებარების ქვეშ, როგორც მისი დამხმარე ორგანო და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელით ახორციელებს იმ ლტოლვილთა ინტერესების დაცვას, რომელთა სტატუსი განისაზღვრება წესებით. გლუკი არის არაპოლიტიკური, ჰუმანიტარული ორგანიზაცია, კომისარიატი სახელმ-

წიფოთა მთავრობებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეთანხმებისა და თანამშრომლობის გზით ახდენს ლტოლვილთა ნებაყოფლობით რეპატრიაციას ან მათ ასიმილაციას ახალ ეროვნულ საზოგადოებაში. კომისარიატი ფინანსდება გაეროს ბიუჯეტიდან. გარდა ადმინისტრაციული დანახარჯებისა, რაც ანაზღაურდება ნებაყოფლობითი შემოწირულობებით.

ლტოლვილთა საქმეების გაეროს უმაღლესი კომისრის პოსტი გენერალური ასამბლეის მიერ შემოღებული იქნა 1951 წლის 1 იანვარს, რომელიც უფლებამოსილია გაეროს სახელით დაიცვას ლტოლვილთა ინტერესები თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემდეგი საშუალებებით:

ა) ლტოლვილთა შესახებ საერთაშორისო კონვენციების მიერთება და რატიფიკაცია, მათ მოთხოვნათა შესრულებაზე თვალყურის დევნება;

ბ) სახელმწიფოთა მიერ ლტოლვილთა სოციალური უზრუნველყოფისათვის ღონისძიებათა ხელისშეწყობა;

გ) თანამშრომლობა არასამთავრობო და კერძო სექტორთან, რომლებიც მოწოდებულნი არიან და ხელს უწყობენ ლტოლვილთა ნებაყოფლობითი რეპატრიაციასა და ასიმილაციას ახალ ქვეყნებში;

დ) ლტოლვილთა საკუთრებაში მყოფი ნივთების გადატანის უფლების მიღება და თანხმობის მიღწევა ქვეყნებს შორის;

ე) ყოველგვარი ინფორმაციის მიღება სახელმწიფოებისაგან ლტოლვილებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მათ რიცხობრივ რაოდენობას, მდგომარეობას, კანონებსა და სამთავრობო გადაწყვეტილებებს;

ვ) არასამთავრობო და სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება.

გარდა ამისა, ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის ფუნქციაში შედის რეპატრიაციასთან დაკავშირებული

გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებები. ასევე დახმარების გაწევა მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, მათი რიცხვის შემცირებაზე ზრუნვა.

ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი 50 მილიონ ადამიანს დაეხმარა და ადგილი მოუძებნა ცხოვრებაში. ორგანიზაცია 118 სახელმწიფოში მუშაობს და 5500 კაციანი შტატი ემსახურება.

გლუკ-ი სამართლებრივი მანდატით უზრუნველყოფს, რომ თავშესაფრის მაძიებელ პირებს მიენიჭოთ ლტოლვილის სტატუსი, როდესაც არის ამის საჭიროება. მხარს უჭერს თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის შესაბამის ორგანოებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების ეფექტური პროცედურის შექმნაში. თვალყურს ადევნებს, თუ როგორ იცავენ ლტოლვილთა უფლებებს საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით. ცდილობს შეაფერხოს ლტოლვილების იმ ქვეყანაში იძულებითი დაბრუნება, სადაც მათი სიცოცხლე და თავისუფლება საფრთხეში იქნება. ეხმარება თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის მთავრობებსა და ლტოლვილებს პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტის პოვნაში. ხელს უწყობს სახელმწიფოებს შეუერთდნენ ლტოლვილთა საკითხებზე არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. მხარს უჭერს ლტოლვილთა კანონმდებლობის განხორციელებას.

რაც შეეხება იძულებით გადაადგილებულთ (ადგილმონაცვლეთა – გ.ლ.), არსებობს გაეროს რეკომენდაცია სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ, რომელიც ეხება მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ (ადგილმონაცვლე – გ.ლ.) პირთა სპეციფიურ პრობლემებს. მასში მოცემულია ის უფლებები და გარანტიები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც პირთა იძულებით გადაადგილებისაგან დაცვასთან, ასევე მათი გადაადგილების, დაბრუნების ან განსახლებისა და რეინტეგრაციის დაცვასა და დახმარებასთან. დასახელებული პრინციპიდან გამომდინარე, იძულებით გადაადგილებულ

პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებული იქნენ ან იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს და ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი. სახელმძღვანელო პრინციპები ასახავს და შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. იგი შედგება ხუთი თავისა და 30 პრინციპისაგან. პირველი კარი 4 ზოგადი პრინციპისგანაა შემდგარი, მეორე და მესამე კარი ეხება გადაადგილებისაგან დაცვის პრონციპებს. მეოთხე კარი ჰუმანიტარულ დახმარებას ასახავს, ხოლო მეხუთე კარში მოცემულია დაბრუნების, განსახლებისა და რეგისტრაციის შესახებ პრინციპები, რომლებიც რეკომენდაციას აძლევენ ხელისუფლების ორგანოებს, შეუფერხებლად დაუშვან და გაუადვილონ საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებსა და შესაბამის დაწესებულებებს თავისი მანდატის განხორციელების შესაძლებლობა, რათა მათ სწრაფად და შეუფერხებლად განახორციელონ იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება მათი დაბინავების, განსახლებისა და რეგისტრაციის პროცესში.

§7. თავშესაფრის უფლება

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მნიშვნელოვანია პოლიტიკური შეხედულებებისა და საქმიანობისათვის საკუთარ ქვეყანაში შევიწროებული და დევნილი მოქალაქის (ან აპატრიდის – მოქალაქეობის არმქონე პირის) უფლება, თავი შეაფაროს სხვა სახელმწიფოს და არ იქნეს

დაბრუნებული თავისივე ან სხვა სახელმწიფოში, რომელიც მას (მათ) დევნის.

თავშესაფრის პრობლემა ახალი არ არის, ადამიანს სდევნიდნენ ჯერ კიდევ პირველყოფილ თემურ-გვაროვნული წყობილების დროსაც (ოღონდ მოტივი სხვა იყო). რაც შეეხება თავშესაფრის უფლებას, იგი გვხვდება სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების მომენტიდან და მისი შინაარსი იცვლებოდა საზოგადოების განვითარების პარალელურად. სამეცნიერო ლიტერატურაში „თავშესაფრის უფლებას“ პირველად ვხვდებით 1725 წლიდან.

საერთაშორისო სამართალში თავშესაფრის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს უფლებას, პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს უცხოელს, რომელსაც დევნიან საკუთარ ქვეყანაში. ამ უფლებით სარგებლობენ მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით დევნილები, თავშესაფრის მიცემის საკითხს ყოველი სახელმწიფო დამოუკიდებლად წყვეტს, რადგანაც იგი ქვეყნის საშინაო კომპეტენციაა, მაგრამ არსებობს საერთაშორისო შეთანხმებები, რის საფუძველზედაც ხდება შიდა გადაწყვეტილების მიღება. ეს პრობლემა მოწესრიგებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-14 მუხლით, სადაც აღნიშნულია „ყოველ ადამიანს აქვს უფლება დევნისაგან თავშესაფარი სხვა ქვეყანაში ეძებოს და ისარგებლოს ამ თავშესაფრით“* და გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაციით „ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1967 წლის 14 დეკემბერს.

საერთაშორისო სამართალი იცნობს თავშესაფრის ორ ფორმას: 1) ტერიტორიული 2) დიპლომატიური. ტერიტორიული თავშესაფრის უფლება გულისხმობს ამა თუ იმ პირის უფლებას, მოითხოვოს უცხოეთის სახელმწიფოში თავშესაფარი საკუთარ სახელმწიფოში პოლიტიკური დევნის

---

* იხ. დანართი. გვ. 403.

გამო. ეს პრინციპი, როგორც უკვე ითქვა, განმტკიცებულია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და „ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ“ დეკლარაციით. დიპლომატიური თავშესაფრის უფლებით სარგებლობენ ესა თუ ის პირები დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ტერიტორიაზე, სახმელეთო ან საზღვაო ხომალდებზე, სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალით არ შეიძლება თავშესაფარი მიეცეთ: სამხედრო დამნაშავეებს, ან იმ პირებს, რომელთა მიმართაც არსებობს სერიოზული საფუძველი ჩაითვალოს სამხედრო ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩამდენად. აგრეთვე თავშესაფარი არ მიეცემათ სისხლის სამართლის დამნაშავეებს.

დიპლომატიური თავშესაფრის უფლების თვალსაზრისით განიხილავენ სახელმწიფოთა ოთხ ჯგუფს: 1) სახელმწიფოები, რომლებიც არ ცნობენ ამ ინსტიტუტს; 2) სახელმწიფოები, რომლებიც კრძალავენ დიპლომატიურ თავშესაფარს თავის ტერიტორიაზე, მაგრამ ანიჭებენ ამ უფლებას თავის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლებს (საფრანგეთი, ინგლისი, აშშ); 3) სახელმწიფოები, რომლებსაც აძლევენ დიპლომატიურ თავშესაფარს თავის დაწესებულებებში და აღიარებენ ამ უფლებას მათ ტერიტორიაზე მდებარე დიპლომატიურ და სხვა დაწესებულებათა მიმართ (ლათინური ამერიკის ქვეყნები); 4) სახელმწიფოები, რომლებიც თვით არ ანიჭებენ დიპლომატიურ თავშესაფარს, მაგრამ აღიარებენ ასეთ უფლებას მათ ტერიტორიაზე (საბერძნეთი, ლათ. ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა).

საერთაშორისო ხელშეკრულებები ავალდებულებენ პოლიტიკურ თავშესაფრის მიმცემ სახელმწიფოებს, შეუქმნან თავშეფარებულებს უსაფრთხო ცხოვრების პირობები და არ გადასცეს იგი იმ სახელმწიფოს, რომელშიც მის მიმართ კვლავ შეიძლება პოლიტიკური დევნა განხორციელდეს. თავ-

შეფარებულ პირებს მიანიჭოს ყველა ის უფლება, რითაც მოცემულ ქვეყანაში უცხოელები სარგებლობენ. 1961 წლის ვენის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ, კრძალავს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა გამოყენებას ოფიციალური მიზნების შესრულებისათვის შეუთავსებელი საქმიანობის საწარმოებლად.[39]

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლი ადასტურებს საერთაშორისო ხელშეკრულებების ამ ძირითად პრინციპს და აღიარებს, რომ საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, ასევე დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.[40]

კონსტიტუციით განმტკიცებული თავშესაფრის უფლების ინსტიტუტი არ შედის იმ ურთიერთობათა სფეროში, რომელიც არსებობს სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის. ეს ძირითადად შეეხება უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლებს[41], რადგანაც პირი, რომელსაც მიეცემა თავშესაფარი საქართველოში, თუკი ის არ მოინდომებს შემდგომში გახდეს კანონის შესაბამისად ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, ასეთ შემთხვევაში უთანაბრდება უცხოელ მოქალაქეს, რომელიც იმყოფება საქართველოს იურისდიქციის ქვეშ. საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის გ) პუნქტით „ქვეყნის პრეზიდენტი „წყვეტს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს“.[42]

ასეთია მოკლედ თავშესაფრის უფლების ფონზე ადამიანის უფლების აღიარებისა და დაცვის ერთ-ერთი პრობლემა.

§8. საქართველო, ლტოლვილები და მათი უფლებები

საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც ჰყავს რამდენიმე ათასი ლტოლვილი პანკისის ხეობაში და ასევე იძულებით ადგილმონაცვლე საკუთარ ქვეყანაში. ამიტომ მათი სტატუსის განსაზღვრა და ეროვნული კანონმდებლობით სამართლებრივი მოწესრიგება, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა აქტუალური საკითხია, რადგანაც ხშირად ირღვევა და იზღუდება ამ ადამიანთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური უფლებები და თავისუფლებები. მათი სამართლებრივი მდგომარეობა საარჩევნო კანონმდებლობისადმი და ა.შ.

საქართველოში, კანონმდებლობის მიხედვით, „ლტოლვილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველოს არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგანაც იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყანაში მფარველობით ასეთი საშიშროების გამო“.[43]

ლტოლვილთა და იძულებით ადგილმონაცვლეთა სტატუსის, მათი უფლება-მოვალეობათა სამართლებრივი მოწესრიგების მიზნით, შექმნილია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, რომელსაც გააჩნია თავისი სტრუქტურა, აპარატი.

1997 17 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა №667 ბრძანებულება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დებულების შესახებ, რომელიც ეყრდნობა 1997 წლის 15 აპრილის კანონს „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ.“ დებულების შესაბამისად, სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე, რომელიც წარმართავს სამინისტროს საქმიანობას და ახორციელებს მის სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონით დადგენილი წესით. სამინისტროს მმართველობის სისტემაშია აფხაზეთის შესაბამისი დეპარტამენტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რეგიონალური და ადგილობრივი სამსახურები. სამინისტროს დაფინანსების წყაროა ბიუჯეტი, რომელსაც გააჩნია ბეჭედი, სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და დასრულებული ბალანსი. მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს: საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბება და ამ სფეროში ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების კოორდინაცია, ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, ლტოლვილთა თავშესაფრის მაძიებელთა, დევნილთა, დერეპატრიანტთა, საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვა) გამოწვეული მიგრაციული ნაკადების რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზაცია, ადაპტაცია – ინტეგრაციის პირობების შექმნა, სოციალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვა და ა.შ.

რაც შეეხება სამინისტროს ფუნქციებს, ისინი გამომდინარეობს ამოცანებიდან და აისახება სტრატეგიისა და პოლიტიკის, წინადადებებისა და პროექტების შემუშავებაში, რომლებიც წარედგინება ქვეყნის პრეზიდენტს. ამასთან, გათვალისწინებულია მიგრანტთა სოციალური და სამართლებრივი უფლებების დაცვის მიზნით საკანონმდებლო და აღმას-

რულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან ერთად სამართლებრივი ბაზის მომზადება, საქართველოს სახელით საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობა და სათანადო ინფორმაციის გავრცელება. დებულების შესაბამისად, სამინისტროს საკმაო უფლებამოსილებანი გააჩნია. კერძოდ: სახელმწიფო და სხვა ორგანოებისაგან, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან, თანამდებობის პირებისაგან გამოითხოვოს სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა მასალა. გასწიოს მიგრაციის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობა, სამინისტრო უფლებამოსილია აღძრას სათანადო ორგანოებში უკანონო მიგრანტთა გაძევების საკითხი. ასევე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და მიიღებს ნორმატიული ხასიათის აქტებს და შეუძლია შესაბამის უწყებებს მოსთხოვოს მისი შესრულება. იღებს და იხილავს მოქალაქეთა და მიგრანტთა წერილებს, საჩივრებს, წინადადადებებს და ახდენს მათზე რეაგირებას კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჩარჩოებში. და ა.შ.

სამინისტროს ხელმძღვანელობაში შედიან მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, მინისტრთან არსებობს სათათბირო ორგანოები (საბჭოები, კომისიები), რომელთა კომპეტენცია განსაზღვრულია დებულებით.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დებულებამ არაერთხელ განიცადა ცვლილებები (2000 წლის 29 იანვრის №336 ბრძანება, 2001 წ. 6 აპრილის №123 ბრძანება).

ლტოლვილთა სტატუსის მისაღებად მიმართვის, რეგისტრაციის, უფლება-მოვალეობები, მათი ცნობის წესი, სტატუსის შეწყვეტის პირობები განსაზღვრულია 1998 წლის 18 თებერვლის საქართველოს კანონით ლტოლვილთა შესახებ

და დებულებით ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურის შესახებ.

საქართველოს კანონი ლტოლვილთა შესახებ 15 მუხლისაგან შედგება, რომლის შესავალში ვკითხულობთ: „კანონი განსაზღვრავს საქართველოში ლტოლვილთა სამართლებრივ მდგომარეობას, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის წესს, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე იმ პირთა სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, რომლებმაც იძულებით დატოვეს თავიანთი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა და შევიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. კანონის მეორე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე, ვალდებულია ლტოლვილად ცნობის თაობაზე პირადად მიმართოს განცხადებით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია ლტოლვილად ცნობის თაობაზე მიღებულ განცხადებაზე რეაგირება მოახდინოს სამი დღის განმავლობაში. ხოლო რეგისტრაციიდან ხუთ დღეში ეძლევა ნებართვა დროებით ჩასახლების თაობაზე, რომელსაც, კანონის თანახმად, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებამდე უწესდება უფლებამოვალეობანი.

პირის ლტოლვილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამინისტროში შექმნილი კომისია, განცხადების რეგისტრაციიდან ოთხი თვის განმავლობაში და მისი ლტოლვილად ცნობის გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთ დღეში, ეძლევა დადგენილი ნიმუშის მოწმობა. ლტოლვილები ყოველწლიურად გადიან სამინისტროში ხელახალ რეგისტრაციას.

იმ შემთხვევაში, თუ პირს უარი ეთქვა ლტოლვილად ცნობის თაობაზე, კომისიის მიერ მას პასუხი უნდა ეცნობოს ხუთ დღეში, რომელსაც რჩება უფლება, გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

ლტოლვილის უფლებები განსაზღვრულია კანონის მე-5 მუხლით, ხოლო მოვალეობანი – მე-6 მუხლით. მის სამართლებრივ გარანტიებს ეხება მე-8 მუხლი, ხოლო მოქალაქეობის მიღების წესს – მე-9 მუხლი, სადაც მითითებულია, რომ ლტოლვილი საქართველოს მოქალაქეობას იღებს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა და მოხსნა მოწესრიგებულია კანონის მე-10 მუხლით, პირს უწყდება ლტოლვილის სტატუსი, თუ: მიიღო საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, ნებაყოფლობით ისარგებლა იმ სახელმწიფოს მფარველობით, რომლის ტერიტორიაც იძულებით დატოვა, მუდმივ საცხოვრებლად გაემგზავრა საქართველოს ფარგლებს გარეთ, აღარ არსებობს ის გარემოებები, რამაც პირი აიძულა ლტოლვილის სტატუსი მიეღო.

ლტოლვილს აქვს იგივე უფლებები, რაც საქართველოს მოქალაქეებს, გარდა პოლიტიკური უფლებებისა. ლტოლვილს არ შეუძლია არჩევნებში ხმის მიცემა, არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრა, სამთავრობო სტრუქტურებში სამსახური, გარდა ამისა, ლტოლვილი არ შეიძლება გაწვეული იყოს თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის სამხედრო სავალდებულო სამსახურში. არ შეიძლება ლტოლვილთა გაძევება, მათი სურვილის გარეშე.

გარდა უფლებებისა, კანონმდებლობა გარკვეულ ვალდებულებებსაც აკისრებს მათ, კერძოდ: დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, წინასწარ აცნობოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რომ სურს შეცვალოს ადრე არჩეული საცხოვრებელი ადგილი, ყოველწლიურად გაიაროს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში რეგისტრაცია. მისი სოციალურ-ეკონომიკური გარანტიები განსაზღვრულია მე-11 მუხლში. ლტოლვილთა მიღებასა და მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები განსაზღვრულია მე-

12 და მე-13 მუხლებით. რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, კანონის დარღვევისათვის ნებისმიერი ლტოლვილი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურის შესახებ დებულება . ემყარება საქართველოს კანონს „ლტოლვილთა შესახებ“ და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. იგი განსაზღვრავს ლტოლვილთა სტატუსის მაძიებელ პირთა რეგისტრაციას, მათთვის სათანადო პროცედურის ჩატარების, სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის ან მოხსნის წესს, აგრეთვე მათ უფლებებსა და მოვალეობებს.

საერთაშორისო დაცვის თვალსაზრისით, საქართველოში აქტიურად მოღვაწეობს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (გლუკ-ის) წარმომადგენლობა, რომელსაც გახსნილი აქვს სამსახურები თბილისში, ზუგდიდსა და სოხუმში. 1998 წელს ამ წარმომადგენლობამ საქართველოში დააფინანსა ათი მილიონ სამასი ათას დოლარზე მეტი ღირებულების სპეციალური პროგრამები დევნილებისა და ლტოლვილებისათვის. გლუკ-ის აპარატი უმთავრეს როლს ასრულებს ლტოლვილთა და ადგილმონაცვლე პირთა სოციალურ-სამართლებრივი დაცვის საქმეში. გლუკ-ის მანდატით დაცულია ყველა ის პირი, ვინც 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის საფუძველზე ლტოლვილად შეიძლება იქნეს მიჩნეული. იგი მოწოდებულია, უზრუნველყოს ლტოლვილები თავშესაფრით, დაიცვას მათი სამართლებრივი უფლებები. არ დაუშვას მათი ძალით დაბრუნება იმ ქვეყანაში, საიდანაც ისინი იქცნენ ლტოლვილებად.[44]


გაეროს გენერალურმა ანსამბლეამ გლუკ-ს მიანიჭა სტატუსი დახმარება გაუწიოს ქვეყნისავე ტერიტორიაზე ლტოლვილთა ანალოგიურ პირობებში მყოფ ადამიანებს, რაც მათ აძლევთ საშუალებას აქტიურად იმუშაონ საქართველოში

და დაეხმარონ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით ადგილმონაცვლეებს.

გარდა ამისა, იძულებით ადგილმონაცვლეთა და ლტოლვილთა სოციალური დაცვის მიკრო პროგრამებს ახორციელებენ საქართველოში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. მათ შორის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა დეპარტამენტი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გაეროს ასოციაცია და ა.შ.

დღევანდელი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიიდან იძულებით ადგილმონაცვლე ქართულ მოსახლეობას თავიდანვე ლტოლვილი უწოდეს, რაც, ბუნებრივია, სწორი არ იყო. საკუთარ ქვეყანაში არ შეიძლება ლტოლვილი გახდე. შემდგომში მათ სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ — დევნილი, იძულებით გადაადგილებული, რაც დაფიქსირებულია საერთაშორისო დოკუმენტებშიც, მაგრამ, ჩვენი აზრით, იძულებით ადგილმონაცვლეობა უფრო შეესაბამება მათ სამართლებრივ და რეალურ მდგომარეობას, რადგანაც ადამიანი ნივთი არ არის, რომ გადააადგილო. ბუნებრივია, პრობლემა საერთაშორისო მასშტაბით აქტუალურია, მსოფლიოს მრავალ კუთხეში უამრავი ცხელი წერტილია და სამწუხაროდ, ლტოლვილთა და იძულებით ადგილმონაცვლეთა რიცხვი არ კლებულობს. ამიტომ ამ სფეროში საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება კიდევ უფრო კონკრეტულს გახდის მათ სტატუსს. იძულებით ადგილმონაცვლეთა დახმარებისათვის აუცილებელია სამართლებრივი და ინსტიტუციონალური არეალის განვითარება და ქვეყნის შიდა მისიების განხორციელება, რათა საბოლოოდ მაქსიმალურად იქნას დაცული ადგილმონაცვლეთა უფლებები და თავისუფლებები.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სტრუქტურა



ლიტერატურა:

1. მ. შენგელია, საერთაშორისო სამართალი. ქუთ. 2002 წ. *1.*
2. ჰანს-პეტერ გასერი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. თბ., 1999, *2.* გვ. 193; *4.* გვ. 9; *13.* გვ. 46; *17. 34.* გვ. 75; *39.* 215-216.
3. გ. თორაძის „დამხმარე სახელმძღვანელო სამხედრო ინსტრუქციებისათვის", თბ., 2001 წ. *3.*
4. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1998, *5.* გვ. 9; *16.* გვ. 305; *18.* გვ. 12; *20.* გვ. 303.
5. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, თბ., 2002, *6.* გვ. 9.
6. ნ. კონრადი, სუნ-ძი, თბ., 2000, *7.* გვ. 11; *10.* გვ. 5.
7. Michel Walzer, Just and Unjust Wars, New York, 1977. Marie-Francoise Furet, Jean-Claude Martinez and Henri Dorandeu, La guerre et le droil, Paris 1979; Goefferey Best, Humanity in Warfare; London, 1980; William V.O. 'Brinj, The Conduct of Just and Limited War, New york, 1981; Jean Pictet, Development and Principles of Humanitarian Law, Dordrecht/Geneva 1985. *8.*
8. Michel Walzer, Just and Unjust Wars, დასახ. ნაშრ. *9.* გვ. 36.
9. ბ. ლუტიძე, გლობალიზაცია: არსი, პრობლემები, თბ., 2003, *11.* გვ. 54; *12.* გვ. 54.
10. ადამიანის უფლებები და პოლიცია. სტრასბურგი. 31 ივლისი, 1999, *14.* გვ. 16.
11. ჟურ. „სამართალი", მ. შენგელია, ომის წარმოების ზოგიერთ საშუალებათა შესახებ, 2004 წ. №1-2, *15.* გვ. 104-107.
12. ბ. სავანელი, დას. ნაშრ. *19.* გვ. 40; *21.* გვ. 51; *22.* იქვე.

13. ზ. დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003 წ. *23.* გვ. 292; *24.* გვ. 374.
14. გ. ლობჟანიძე. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბ., 2001 წ. *25.* გვ. 63-71.
15. ა. წერეთელი. „თორნიკე ერისთავი", რჩეული ნაწარმოები ხუთ ტომად. თბ., 1989. ტ.2. *26.* გვ. 69.
16. ი. ჭავჭავაძე. გაზ. „ივერია", №8, 1877 წ. *27.* გვ. 1.
17. გ. ლობჟანიძე, საერთაშორისო დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა, თბ., 2002 წ. *28.* გვ. 19-43.
18. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, ტ. IV, თბ., 2001 წ. *29.* გვ. 258.
19. Международный комитет красного креста. Мос. 2002 г. *30.* стр. 8.
20. Женевские Конвенции. От 12 Августа 1949 г. и дополнительные протоколы к ним, М. 1997 г. *31.*
21. დ. შინდლერი, წითელი ჯვრის საერთაშორისო სამართალი და ადამიანის უფლებები, ჟენევა, 1979 წ. *32.*
22. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2003 წ. *33.* გვ. 290-293; *39.* გვ. 145-146; *44.* გვ. 176-178.
23. სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, თბ., 2000, *35.* გვ. 1; *36.* გვ. 2.
24. შესავალი ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში. თბ., 2001 წ. *37.*
25. საკანონმდებლო კრებული ლტოლვილთათვის. თბ., 2001 წ. *38.* გვ. 19-20.
26. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2004 წ. *40.* გვ. 21-22.
27. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2004 წ. *41.* გვ. 264; *42.* გვ. 37.
28. საქართველოს კანონი ლტოლვილთა შესახებ, თბ., 1998, *43.* გვ. 1.
29. Международное право, Введение боевых действии, М., 1995.

თავი VI

ადამიანის უფლებები და პოლიცია

§1. გლობალიზაცია და ადამიანის უფლებები

XXI საუკუნე პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში შეფასებულია, როგორც გლობალიზაციისა და სახელმწიფოთა ინტეგრაციის ეპოქის დასაწყისი, რაც უდიდეს გავლენას მოახდენს შემდგომშიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მსოფლიოს მასშტაბით. რამდენადაც წინამდებარე თავში განსახილველი საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული ამ მოვლენასთან, მოკლედ შევჩერდებით მისი კონტურების განხილვაზე.

ტერმინი „გლობალიზაცია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მთლიანობას, დედამიწას ანუ „გლობუსს“. ტერმინი სამეცნიერო და პოლიტიკურ ლექსიკონში შემოიტანა ტ. ლევიტმა 1983 წელს გამოცემულ თავის ერთ-ერთ სტატიაში. შემდგომ წიგნში „მსოფლიო საზღვრების გარეშე“ იხმარა იაპონელმა კ. ომაემ 1990 წელს. შემდგომში გლობალიზაციის ცნების ჩამოყალიბება სცადა უოტერსმა. მისი განსაზღვრებით „გლობალიზაცია არის პროცესი, რომლის მსვლელობაში იხსნება სოციალური და კულტურული სისტემების გეოგრაფიული საზღვრები და მოსახლეობა სულ უფრო და უფრო აცნობიერებს ამ საზღვრების ქრობას“.[1]

გლობალიზაცია ისტორიულ-ობიექტური პროცესია, ანუ ინტეგრაციაა ფართო გაგებით, რომელიც რეალობაში მოიცავს პოლიტიკას, ეკონომიკას, სამართალს, იდეოლოგიას, რელიგიას, ზრდის ხალხებს, ერებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მასშტაბებს.

გლობალიზაციის თანმხვედრი მოვლენები დიდ გავლენას ახდენს სამართალდამცავი ორგანოებისა და ძალოვანი სტრუ-

ქტურების საქმიანობაზე, რაც თვალნათლივ აისახება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში. თანამედროვე პირობებში მას ხელს უწყობს პოლიტიკურ და ცხოვრების სხვა სფეროებში გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების ზეგავლენა, მასში სახელმწიფოთა აქტიური ჩაბმა. დღეისათვის გაეროს სამშვიდობო მისიებში გვერდიგვერდ თანამშრომლობენ სხვადასხვა სამართალდამცავი უწყებები და დანაყოფები. საერთაშორისო კონვენციები, დეკლარაციები, ქვეყნებს შორის დადებული ორმხრივი შეთანხმებები, საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით ჩატარებული სემინარები და განხორციელებული პროგრამები სხვადასხვა ქვეყნის შესაბამისი სტრუქტურებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებას იძლევა, გარდა ამისა, მსოფლიო ქვეყნების პოლიციური სამსახურები სულ უფრო აქტიურად თანამშრომლობენ საერთაშორისო ტერორიზმთან, ტრანსნაციონალურ დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში.

გლობალიზაციის პირობებში, ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, რელიგიური, კომუნიკაციური და სხვა ფაქტორების გავლენით, შეიცვალა დამოკიდებულებები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ, ეს ტენდენციები ჯერ ევროპაში გავრცელდა, ახლა კი მსოფლიო მასშტაბებს ღებულობს, რაშიც დიდი როლი ითამაშა თავის დროზე გაერომ და ევროპის საბჭომ.

„გლობალიზაცია თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაიმსხვრა მსოფლიოს ხალხთა მეტნაკლებად იზოლირებული, კარჩაკეტილი, საკუთარი კალაპოტიდან გაუსვლელი ცხოვრების წესი. ამის სანაცვლოდ, ამიერიდან მკვიდრდება დედამიწის ყველა, მათ შორის ტერიტორიულად უკიდურესად დაშორებული ქვეყნების, ასევე ხალხებისა და საზოგადოებების განსხვავებული ცივილიზაციების გაცხოველებული ურთიერთკავშირი, ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთზეგავლენა, მათგან გამომდინარე,

როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგებით".[2] ე.ი. გლობალიზაციამ და ინტეგრაციულმა პროცესებმა „მსოფლიო დააპატარავა". იგი ხელმისაწვდომი გახადა ყველასათვის, აუხდენელი ოცნება თითქმის აღარ დაუტოვა ადამიანებს. ზღაპრები რეალობად აქცია და ადამიანის გონებას „ახალი საფიქრალი" და საზრუნავი გაუჩინა.

გლობალიზაციას ბევრ დადებით მომენტთან ერთად თან ახლავს არასახარბიელო მოვლენების განვითარება არა მარტო რომელიმე ცალკე აღებული ქვეყნისათვის, არამედ რეგიონისა და მთელი მსოფლიოსათვისაც. ასეთად შეიძლება განვიხილოთ საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულობის ისეთი სახეები, როგორიცაა ნარკომანია, იარაღით ვაჭრობა, თრეფიკინგი, ტერორიზმი და ა.შ.

ნარკომანია, როგორც პრობლემა, ახალი არ არის კაცობრიობისათვის. საბჭოურ სივრცეში მას არ განიხილავდნენ, როგორც სერიოზულ ორგანიზებულ დამნაშავეობას, ებრძოდნენ მხოლოდ შედეგს და თვალს ხუჭავდნენ მის გამომწვევ მიზეზებზე.

სამწუხაროდ, საქართველო სერიოზულად დაზიანებულ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, არა მარტო ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების, არამედ როგორც კონტრაბანდისა და ტრანზიტის თვალსაზრისით. ერთი წლის განმავლობაში ქართველი სამართალდამცავები დაახლოებით 5.000 სისხლის სამართლის საქმეს აღძრავენ, იმდენივე და უფრო მეტ პიროვნებას აძლევენ სხვადასხვა ნარკოტიკული მუხლებით პასუხისგებაში. ნარკობიზნესში ჩაბმული ადამიანები არა მარტო საკუთარ უფლებებსა და თავისუფლებებს ხელყოფენ, არამედ უამრავი ადამიანის უფლებებს არღვევენ. ამიტომ 1988 წელს გაერომ მიიღო კონვენცია, რომელიც ქვეყნებს ავალდებულებდა ამ კუთხით განსაკუთრებული საკანონმდებლო ზომების მიღებას. მათივე ექსპერტების მონაცემებით წელიწადში ნარკობიზნესს 400 მილიარდი ამერიკული

დოლარი მოაქვს, რაც მსოფლიო ვაჭრობის 8%-ს შეადგენს, აქედან შეგვიძლია გარკვეული დასკვნა გავაკეთოთ, თუ რამდენი ადამიანის გაუბედურების მიზეზი ხდება ნარკობიზნესი.

ადამიანებისათვის არანაკლები უბედურება მოაქვს იარაღით არალეგალურ ვაჭრობას, მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ლეგალური იარაღია, რომელიც ისევ ადამიანს ემუქრება, ემუქრება მის სრულ მოსპობას დედამიწაზე, თუ ამას იარაღის არალეგალურ არსენალსაც მივუმატებთ, ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რა „როლი აკისრია“ ამ მოვლენას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ უამრავ „საშუალებათა შორის“.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სერიოზულ დარღვევად აღიქმება ტრანსნაციონალური დანაშაულის ისეთი სახე, როგორიც „ადამიანებით ვაჭრობაა“. მკვლევარ-კრიმინოლოგთა აზრით, თრეფიკინგი მსოფლიოში იარაღით და ნარკოტიკებით ვაჭრობის შემდეგ მესამე უდიდესი და ყველაზე სწრაფად მზარდი მომგებიანი კრიმინალური საქმიანობაა, ამიტომაც გაეროს თორმეტზე მეტი კონვენცია მიიღო ადამიანებით ვაჭრობის, მოსობისა და ექსპლუატაციის პრობლემებზე.

თრეფიკერები იყენებენ კარგად დახვეწილ სხვადასხვა მეთოდებს მსხვერპლთა დასამონებლად: მოტაცება, ცრუ ინფორმაციების მიწოდება მშობლებისა და ნათესავებისათვის ახალგაზრდების წასაყვანად, შანტაჟი, ტყუილი დაპირებები კარგ ცხოვრებასა და ანაზღაურებაზე, მოქალაქეობის სტატუსი, ქორწინების გარანტიები და სხვა.

ამჟამად კომუნიკაციების საშუალებათა გაიოლების შედეგად მილიონობით ადამიანმა დაიწყო მოგზაურობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ბედის საძებნელად.

პროსტიტუცია, რომელიც ადრე შეზღუდული იყო ტრადიციების და ჩვევების საშუალებით, ამჟამად მსოფლიოს

უდიდეს მარკეტად გადაიქცა. სამსახურის შოვნის დაპირებებით მილიონობით ქალი, მეტწილად სოფლებიდან და პროვინციებიდან, ხდებიან კრიმინალების ტყუილების და იძულებითი პროსტიტუციის მსხვერპლნი. უამრავი ახალგაზრდა გოგონა არის არალეგალურად გადაყვანილი საზღვარზე და ფაქტიურად იმყოფება, როგორც პატიმარი უცხოეთის საროსკიპოებში.

ადამიანთა თრეფიკინგი არის კრიმინალური გზით ადამიანთა უფლებების დარღვევა. სახელმწიფოთა უმრავლესობამ აღიარა, რომ თრეფიკინგის ფართო ქვეყანათაშორისი ქსელის არსებობა ნიშნავს, რომ მთავრობებს დამოუკიდებლად არ ძალუძთ ებრძოლონ ამ კრიმინალურ საქმიანობას.[3]

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების ყველაზე საშიში მტერი ტერორიზმი გახდა, იგი მასობრივად ანადგურებს, როგორც ადამიანებს, ასევე მატერიალურ სიკეთეს, ამ მოვლენამ შინაარსი შეიცვალა. ადრე მას თვლიდნენ ისეთ ძალადობად, რომელიც მიმართული იყო არა იმდენად სამიზნის ფიზიკური განადგურებისაკენ, არამედ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსის გამოსაწვევად.[4]

ტერორისტული აქტების საუკუნის სერიალები სწორედ XXI საუკუნის დასაწყისში განხორციელდა (2001 წ. 11 სექტემბრის მოვლენები აშშ-ში, ტერაქტების სერიალი ისრაელში, ერაყში, ესპანეთში და ა.შ.). გაეროს ანტიტერორისტული კომიტეტი თავის ყოველწლიურ ანგარიშში უთითებს იმ ქვეყნებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან ანტიტერორისტული 12 ძირითადი კონვენციის მონაწილე, მათ შორის საქართველოსაც, რომელიც მსოფლიო ხუთ კონვენციასთანაა მიერთებული. ასე რომ ახალი ათასწლეული სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. მის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოთა მხრიდან გლობალური ღონისძიებების ჩატარებას მოითხოვს, რათა საერთაშორისო სტანდარტებით დაცული იქნას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

§2. უფლებადაცვითი ევროპული სტანდარტები და პოლიცია

თანამედროვე მსოფლიო სტანდარტები სხვა მოთხოვნებს უყენებს პოლიციის სტრუქტურებში დამკვიდრებულ ქცევის კულტურის ასპექტებს, განსაკუთრებით კი მოსახლეობასთან უშუალო შეხებაში მყოფ პოლიციელებს, რადგანაც ყველაზე საშიში და მანკიერი პრაქტიკა სწორედ იმ სფეროშია, რომელიც არ თავსდება ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონის უზენაესობის პრინციპებში.

პოლიცია მკაცრად დისციპლინირებული გასამხედროებული იერარქიული სტრუქტურის მქონე აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემავალი სახელმწიფო უწყებაა, რაც განაპირობებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საპოლიციო დანაყოფების საერთო ნიშნების ერთობლიობისა და ფუნქციონალურ მოვალეობათა ნათესაობას.

ერთ-ერთი ყველაზე ჩაკეტილი უწყება პოსტსაბჭოურ პერიოდში, რომელსაც ყველაზე ნაკლები და შეზღუდული კონტაქტები გააჩნდა მაშინდელ კაპიტალისტურ სამყაროსთან, იყო პოლიცია. ლაპარაკი არ არის სამსახურეობრივ კავშირებზე. ტურისტული საგზურით საზღვარგარეთ გასვლა სწორედ ამ უწყებას ჰქონდა შეზღუდული. იყო ასეთი შემთხვევა, თბილისის შს სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილების უფროსის მოადგილემ გაძარცვული ამერიკელი მოქალაქეების საქმე გახსნა, ნივთები დაუბრუნა და თავის კაბინეტში კონიაკით გაუმასპინძლდა, ამ საქციელისათვის სასტიკად დასაჯეს, რადგან მან გაბედა კაპიტალისტური ქვეყნის მოქალაქეებთან კონტაქტში შესვლა. ამიტომ ჩვენი აქცენტი სწორედ ამ უწყებაზეა გადატანილი, რადგანაც თანამედროვე მსოფლიო სტანდარტები სხვა მოთხოვნებს უყენებს პო-

ლიციის სტრუქტურებში დამკვიდრებულ ქცევის კულტურის ასპექტებს, განსაკუთრებით კი მოსახლეობასთან უშუალო შეხებაში მყოფ პოლიციელებს, რადგანაც ყველაზე საშიში და მანკიერი პრაქტიკა სწორედ იმ სფეროშია, რომელიც არ თავსდება ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონის უზენაესობის პრინციპებში.

რენატა ვებერის კონცეფციით, პოლიცია ძირითადი საზოგადოებრივი ძალაა, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლება სამართალდამცავი მიზნისათვის იყენებს. ტრადიციული დემოკრატიული ქვეყნების კანონები და საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტები პოლიციას სამართალდამცავ ორგანოთა შორის განიხილავენ. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიციის რეპრესიული ფუნქცია მნიშვნელობით ამ ინსიტუტის მიზნებს შორის მეორეა, ე.ი. წინა პლანზეა წესრიგის დაცვის პრევენციული ფუნქცია. ამიტომ დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ნიშანია პოლიციისა და მოქალაქეების ურთიერთობის მოწესრიგების, განხორციელებისა და კონტროლის მეთოდი.[5] აქედან გამომდინარე, პოლიცია ვალდებულია არა მარტო პატივი სცეს ადამიანის, მოქალაქის, პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ აქტიურად უნდა დაიცვას ისინი. უფრო მეტიც, პოლიციის ეფექტურ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ავტორიტეტი საერთაშორისო თვალსაზრისით. ამ სფეროში პოლიციის როლსა და დანიშნულებაზე ცოტა ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

რა როლი აკისრია პოლიციას ასეთ შემთხვევაში? იგი მოწოდებული უნდა იყოს დაიცვას კანონის პროცესუალური მოთხოვნები და შესაბამისი ინსტრუქციები. ყველა პოლიციელი კანონის საფუძველზე ინდივიდუალურად პასუხს აგებს თავის საქციელზე და, მიუხედავად მოვლენის სერიოზულობისა, გადაცდომის შემთხვევაში მის მიმართ გათ-
ალისწინებული იქნება შესაბამისი ზომების გატარება.

მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ხელმძღვანელის ავტორიტეტი, რომელიც პირადი თვისებებით, პროფესიონალური მომზადებითა და განათლების დონით საუკეთესო მაგალითს უნდა წარმოადგენდეს ხელქვეითებისათვის. მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თვალყური ადევნოს, რომ პოლიციელებმა იცოდნენ როგორც თავისი უფლებამოსილებანი, ასევე სხვისი უფლებების დაცვა, ძალის გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში კი მოქმედების ფარგლები, რომელიც დასაშვებია ეჭვმიტანილის დასაკავებლად, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღის და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენების დროს და ა.შ.

შემთხვევითი არ არის, როდესაც 1979 წლის 17 დეკემბერს 34/169 რეზოლუციით განისაზღვრა და მიღებული იქნა მართლწესრიგის დამცავ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, სადაც მითითებულია, რომ ყოველი სამართალდამცავი ორგანო უნდა იქნას წარმომადგენლობითი, მთლიანად შეესაბამებოდეს საზოგადოების მოთხოვნებს და ანგარიშვალდებული იყოს მის წინაშე.

ბუნებრივია, ასეთი მოთხოვნები საჭირო გახდა იმისათვის, რომ პოლიცია და სხვა სამართალდამცავი ორგანოები ყოველთვის როდი იცავდნენ საერთაშორისო სამართლითა და დეკლარაციებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ესეც არის ერთი პირობა, რომ ევროპის კომიტეტმა მოამზადა ანგარიში „დანაშაულის პრობლემის შესახებ“, გამომდინარე პოლიციის ქცევის კოდექსიდან.[6]

ტერმინი „სამართალდამცავი პირები“ მოიცავს სამართლის ყველა, როგორც დანიშნულ, ისე არჩეულ პირებს, ვინც პოლიციელის, განსაკუთრებით კი, დაპატიმრების ან დაკავების უფლებამოსილებას ახორციელებს.[7]

სამართალდამცავი თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის მე-3 მუხლი პოლიციისაგან მოითხოვს ძალის გამოყენებისას ზომიერებისა და კანონის ფარგლების პრინციპების

დაცვას. ამ მუხლის შესაბამისად, პოლიციას შეუძლია ძალის გამოყენება მხოლოდ დაშვებულის ფარგლებში, ე.ი. დანაშაულის თავიდან აცილების, პირის დაკავებისას; ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას უშვებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდო სამართალდამრღვევი შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს, ან აშკარად უქმნის საფრთხეს სხვა პირებს. თუმცა, პოლიციის თანამშრომელმა ყველა ზომა უნდა მიიღოს, რომ ცეცხლმსროლი იარაღის გამოყენებამდე კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაჭრას. იმავე კოდექსის მე-5 მუხლი ხაზს უსვამს წამების ან სხვა სახის სასტიკი მოპყრობის აკრძალვის მასშტაბებს.

მართლწესრიგის დამცველ არც ერთ თანამშრომელს არა აქვს უფლება, გამოიყენოს, წააქეზოს, ან მოთმინებით შეხვდეს წამებას ან სხვა სახის სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას, ან სასჯელს.

დაკავებულთა და ეჭვმიტანილთა მიმართ, კანონის, წესებისა და ინსტრუქციების პატივისცემა, რათა თავიდან იქნას აცილებული ცრუ აღიარებების გამოძალვა, ყალბ „მტკიცებულებათა“ შექმნა და ა.შ.

პოლიციის შესახებ ევროპის საბჭოს დეკლარაციის მე-8 მუხლი უკრძალავს პოლიციელებს უთვალთვალონ, დააპატიმრონ, დააკავონ ან გადაადგილონ ის პირები, რომლებიც არ არიან ეჭვმიტანილნი სამართალდარღვევაში. პოლიციის ნებისმიერი მუშაკი ვალდებულია, პატივი სცეს პიროვნების, აზრის, სინდისის, რელიგიის თავისუფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების უფლება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ მშვიდობიანი შეკრებისა და ასოციაციების თავისუფლების უფლება წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებას დემოკრატიულ საზოგადოებაში. აქ კი პოლიციის როლი ძალზე დიდია, თუნდაც უკა-

ნონო და არასანქცირებული მიტინგების, შეკრებების დაშლის შემთხვევაში.

მართლწესრიგის დამცველ პირთა მიერ ძალის, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპების მე-12 მინიშნება (პრინციპი) ხაზს უსვამს მშვიდობიან და კანონიერ შეკრებებში მონაწილეობის უფლებას. საუბარია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაზე, რომელიც დაშვებულია მე-13 და მე-14 პრინციპების შესაბამისად, თუმცა იქვე მითითებულია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა თავად უნდა დაიყვანონ ამგვარი აუცილებლობა მინიმალურ დონემდე. მე-14 პრინციპი იარაღის გამოყენების აუცილებლობას უშვებს იმ შემთხვევაში, როცა უსაფრთხო მეთოდები აღარ იძლევა შედეგს და მაშინაც შეზღუდულ ფარგლებში. მისი გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ სიცოცხლის მოსპობის ან სხეულის სერიოზული დაზიანების გარდაუვალი მუქარის დროს.

რადგანაც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების პრობლემას შევეხეთ, საჭიროა განვიხილოთ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები, რომელიც მიღებული იქნა დანაშაულის აღკვეთისა და სამართალდარღვევების აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების მერვე კონგრესის მიერ კუბაში (ჰავანა), 1990 წლის 27 აგვისტოსა და 7 სექტემბრის სხდომებზე, რომელიც 26 პრინციპისაგან შედგება. აღნიშნულ დოკუმენტში ლაპარაკია ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მაქსიმალურ შეზღუდვებზე და მასთან დაკავშირებულ ეთიკურ ნორმებზე.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უნდა შემცირდეს მართლწესრიგის დაცვის ორგანოების თანამშრომლებისა და პოლიციის მხრიდან თავდაცვითი აღჭურვილობის გამოყენების ხარჯზე, როგორიცაა: ფარი, მუზარადი, ტყვიაგაუმტარი ჟილეტი, ტყვიაგაუმტარი სატრანსპორტო საშუალება და ა.შ.

სპეციალურ დებულებებში მითითებულია, რომ შესაძლებელია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მხოლოდ თავის, ან სხვა პირის დასაცავად, სიცოცხლის რეალური საფრთხისა ან სერიოზული დასახიჩრებისაგან, ან მძიმე დანაშაულის აღსაკვეთად, ისეთი პირის დასაკავებლად, თუ იგი წინააღმდეგობას უწევს მართლწესრიგის დამცველს, ან მისი გაქცევის აღსაკვეთად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ღონისძიებები არასაკმარისია აღნიშნული მიზნების მისაღწევად. ყველა შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღის განზრახ სასიკვდილოდ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა გზით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა გამორიცხულია. დოკუმენტის მე-9 პრინციპი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებამდე მუშაკს ავალებს თავის წარდგენას და გარკვევით სიტყვიერ გაფრთხილებას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თაობაზე, რეაგირებამდე საკმარისი დროით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ქმედებები ქმნიან მართლწესრიგის დამცველ პირთა მიმართ, ან სხვისი სიცოცხლის, ან სერიოზული ზიანის მიყენების საშიშროებას. ზოგადად ასეთია ის აკრძალვები და დაშვებები, რაც დაკავშირებულია ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან. სამართალდამცავმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ პოლიციელის ეთიკისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს, რაც დაკავშირებულია საქმეთა გამოძიების პროცესში ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ალტერნატივებთან. კრიზისული სიტუაციების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტასთან, ხალხის მასებსა თუ ცალკეულ ინდივიდებთან დარწმუნების მეთოდების აქტიურ გამოყენებასთან. აღნიშნული მიდგომის პრაქტიკაში რეალიზაციით გაცილებით ეფექტური იქნება პოლიციის მუშაობა, რომლის არეალი ძალზე ფართოა.

ის არის მოქალაქეთა ქონების დაცვის შეუცვლელი გარანტიც.

ცივილიზებული დასავლეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ზრუნავენ, შექმნან ისეთი იარაღი, რომელიც სამართალდამრღვევს მწყობრიდან გამოიყვანს დროებით (რამდენიმე საათის განმავლობაში) და მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხეს არ შეუქმნის, ფაქტობრივად ასეთი სახის იარაღები შექმნილია და უკვე პრაქტიკაშიც იყენებენ. ეს ღონისძიებები მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიებისაკენ.

ცალკე მსჯელობის საგანია, საერთო ევროპულ ღირებულებათა დაცვის პრობლემა, სადაც პოლიციის მუშაობას მნიშვნელოვანი მისია აკისრია, აქ კი უდიდეს როლს თამაშობს „პოლიციის საქმიანობაში პროფესიონალიზმის“ თეორია, სადაც გაერთიანებულია პოლიციის საქმიანობის ეფექტურობა და კანონიერების დაცვა.

სწორედ იმ ორი დიდი ფაქტორის ჰარმონიზაცია იძლევა პროფესიონალიზმს.

ეფექტურობა აისახება პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტაში. რაც შეეხება კანონიერებას, ის ორ კომპონენტს აერთიანებს. ესაა პროპორციულობისა და არადისკრიმინაციის პრინციპის დაცვა. პროპორციულობა საჭიროა ბალანსის დაცვისათვის, რაც გამოიხატება ერთი მხრივ, აზრის, თავისუფლების, სინდისის და რელიგიის, ან შეხედულებების გამოხატვის თავისუფლებისა და მეორე მხრივ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის.

დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი პოლიციის მიერ გამოიყენება ადამიანის უფლებათა დაცვისას და იმ მინიჭებულ უფლებათა გამოყენებისას, რომლებიც გარკვეულწილად ზღუდავენ ამ უფლებას. ამ შემთხვევაში პოლიცია უფლებამოსილებით იცავს საერთაშორისო ნორმების პრო-

პორციულობისა და არადისკრიმინაციის პრინციპების განხორციელებას, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს საერთოევროპული ღირებულებების დაცვის ორგანიზაციას.

საერთო ევროპული სტანდარტების და ღირებულებების დაცვის სფეროში პოლიციის ფუნქციაა: დანაშაულის თავიდან აცილება და მომხდარი დანაშაულის გახსნა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და დარღვეული უფლებების აღდგენისათვის ზრუნვა, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანებისათვის დროული დახმარების აღმოჩენა. ეს მოთხოვნები ვრცელდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1997 წლის 690 რეზოლუციის მიერ მიღებული „პოლიციის შესახებ დეკლარაცია“ ითვალისწინებს თანამშრომელთა საქმიანობის ეთიკურ ნორმებს, რომელიც 16 სახელმძღვანელო პრინციპისაგან არის ჩამოყალიბებული. დეკლარაციით პოლიციელი ასრულებს კანონით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, იცავს რა საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქეებს და საზოგადოებას ძალადობრივი, დანაშაულებრივი, ან სხვა საზიანო ქმედებებისაგან, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით. პოლიციელი უნდა მოქმედებდეს პატიოსნების, მიუკერძოებლობის და ღირსების პრინციპების შესაბამისად. კერძოდ, მან თავი უნდა შეიკავოს კორუფციული ქმედებებისაგან და ყოველნაირად წინ აღუდგეს კანონსაწინააღმდეგო ქცევას.

პოლიციელს უფლება აქვს არ დაემორჩილოს, ან არ შეასრულოს ისეთი ბრძანება ან ინსტრუქცია, რომელიც გულისხმობს გამოძიებისა და სასამართლო განაჩენის გარეშე სასჯელის დადებას რაიმე იძულებითი სახის ღონისძიებებს, წამებას და ღირსების შემლახველ მოპყრობას. ე.ი. პოლიციელი ასრულებს ზემდგომი მეთაურის ბრანებას, გარდა ზემოაღნიშნულისა, იგი ვალდებულია წინ აღუდგეს სამართალდარღვევებს და ასეთ შემთხვევაში, რომელმაც გამოიწვია

უშუალოდ მიყენებული ზიანი, ან აუნაზღაურებელი სერიოზული ზარალი, პოლიციელი დაუყოვნებლივ იღებს ზომებს, შესაძლებლობის ფარგლებში, აღკვეთოს ასეთი დარღვევით დამდგარი შედეგი ან მისი განმეორების შესაძლებლობა. პოლიციელის მიმართ კანონით იკრძალება სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინური ზომების გამოყენება, თუ მან უარი განაცხადა უკანონო ბრძანების შესრულებაზე.[8]

პოლიციელები იღებენ გასაგებ და ზუსტ მითითებებს იარაღის, სპეც. საშუალებებისა და მათი გამოყენების დასაშვებ გარემოებებთან მიმართებაში.

დეკლარაცია ავალდებულებს პოლიციელს, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო პერსონალის დახმარებით უზრუნველყოს მის მიერ დაკავებული ნებისმიერი პიროვნებისათვის დახმარების აღმოჩენა ჯანმრთელობის დასაცავად და სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

სახელმწიფოსა და სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიციელი მოვალეა საიდუმლოდ შეინახოს კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაცია.

დეკლარაცია მთავრდება შემდეგი ტექსტით, (მე-16 მუხლი) „პოლიციელი, რომელიც იცავს წინამდებარე დეკლარაციის დებულებებს, იმსახურებს აქტიურ მორალურ და ფიზიკურ მხარდაჭერას საზოგადოების მხრიდან, რომელსაც იგი ემსახურება“.[9]

ამ შემთხვევაში დარგობრივი ნიშნის მიხედვით განვიხილავთ ყველა იმ ძირითად მიმართულებებს, რომელსაც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები ავალდებულებენ პოლიციელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში.

ადამიანის საყოველთაო უფლებათა დეკლარაციით, სიცოცხლის უფლება უმთავრესსა და უპირატესს წარმოადგენს და იგი უპირობოდაა გამოხატული (მუხლი 3). სიცოცხლის უფლების დაცვაში პოლიციელს განსაკუთრებული როლი

აკისრია. აქ პრობლემა ორი მიმართულებით უნდა განვიხილოთ. სხვისი სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში (მაგ. მკვლელობის) საქმეების დროული და ყოველმხრივი გამოძიებისათვის ხელისშეწყობა, და მეორე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, თუნდაც ეჭვმიტანილის სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში კანონის მაქსიმალური დაცვა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არა ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს პირის წამებისა და არამართებული მოპყრობის აკრძალვას (მე-5 მუხლი). გარდა დეკლარაციისა, ამ პრობლემას იხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მე-3 მუხლი), ევროპის საბჭოს დეკლარაცია პოლიციის შესახებ (მე-3 მუხლი), სამართლებრივი სფეროს მოხელეთა ქცევის კოდექსი (მე-5 მუხლი), წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის საწინააღმდეგო კონვენცია (მუხლი მე-10, მე-11, მე-12) და ა.შ.

ადამიანის წამებისა და არამართებული მოპყრობის აღკვეთის სერიოზული ძვრები საპოლიციო სამსახურების მოვალეობაცაა, უპირველეს ყოვლისა თითოეულ პოლიციელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს წამებისა და არამართებული მოპყრობის სრული და უპირობო აკრძალვის მნიშვნელობა. შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ცოდნა, ასეთ შემთხვევაში მას ექნება შესაძლებლობა კარგად გააცნობიეროს ხელმძღვანელის მიერ გაცემული ბრძანების მართებულობა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მუხლი 3. 59). პიროვნებას ანიჭებს თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას. აქედან გამომდინარე, ევროპის საბჭოს დეკლარაცია პოლიციის შესახებ (მე–8 მუხლი) ითვალისწინებს პიროვნების ხელშეუხებლობის უფლებას დანაშაულში ეჭვმიტანილი იმ პირებისათვისაც, რომელთა ჩხრეკა, დაკავება ან სამართალში მიცემა ხდება, ამისათვის კი საჭიროა პროცე-

სუალური ნორმების ცოდნა, კომპეტენციის ფარგლებში პოლიციამ კანონის სრული დაცვით უნდა განახორციელოს ადამიანის თავისუფლების აღკვეთის უფლებამოსილება. გარდა ამისა დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილისა და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავებისას იმოქმედოს მხოლოდ ობიექტურ ფაქტებსა და შემოწმებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. განუხრელად შეასრულოს დაკავებასთან დაკავშირებული წესები და პროცესუალური მოთხოვნები, ამასთანავე უზრუნველყოს დაკავებულ პირთა უფლებების დაცვა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მუხლი 12), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მუხლი 8), ევროპის საბჭოს მოხელეთა ქცევის კოდექსი (მუხლი 4) იცავს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და კორესპოდენციის ხელშეუხებლობის უფლებას და ამ უფლების შესრულებაში გარკვეულ მოვალეობებს აკისრებს პოლიციას. უპირველეს ყოვლისა იმის ცოდნაა საჭირო, რომ ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და კორესპონდენციის ხელშეუხებლობა ადამიანის ძირითად უფლებას წარმოადგენს. ნებისმიერი ქმედება, რომელიც ზღუდავს ამ უფლებას, უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ კანონის ფარგლებში და პროცესუალურ ნორმებში.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას, აზრის გამოხატვის თავისუფლებას ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მუხლი 18), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მუხლი 9), ევროპის საბჭოს დეკლარაცია პოლიციის შესახებ. (მუხლი 8). დეკლარაცია ნებისმიერი სახის შეუწყნარებლობისა და რელიგიური რწმენის საფუძველზე ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. (მუხლი 1, მუხლი 2, მუხლი 4) დებულებით განმტკიცებულია ზემოაღნიშნულ უფლებათა

დაცვა, იმ მექანიზმებისა და უწყებების საშუალებით, რომლებიც მისთვის არიან მოწოდებული, მათ შორისაა პოლიციაც.

პოლიციის მუშაკისათვის მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება და აზრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის მნიშვნელოვანი უფლებებია და მათი განხორციელება ემსახურება დემოკრატიის გაფართოებასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას. (დეკლარაციის (მე-20 მუხ.), კონვენციის (მე-11 მუხ.)) სამართალდამცავი სფეროს მოხელეთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ ძირითად პრინციპებში (მე-12, მე-14) მოცემულია არაკანონიერი, არამშვიდობიანი შეკრების დაშლის შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეც. საშუალებების გამოყენების პრინციპები. ასეთი ღონისძიებების ჩატარების დროს პოლიციის თანამშრომელმა აუცილებელია იცოდეს, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით აღიარებულია მშვიდობიანი შეკრება და გაერთიანების თავისუფლება, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი ატრიბუტი. უფრო მეტიც, ერთის მხრივ, პოლიცია მოვალეა დაიცვას მნიშვნელოვანი შეკრება და გაერთიანება. მეორე მხრივ კი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულის თავიდან აცილების, აგრეთვე სხვათა უფლების დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებში უნდა გაითვალისწინოს ბალანსისა და თანაზომიერების პრინციპი.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (მე-17 მუხ.) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმით, (მუხ. 10), ევროპის საბჭოს დეკლარაცია პოლიციის შესახებ. (1 და მე-2 მუხ.), სამართლდამცავი სფეროს მოხელეთა ქცევის კოდექსით (მუხ. 2, მუხ. 7) გათვალის-

წინებულია საკუთრებისა და ქონების თავისუფლად სარგებლობის უფლების უზრუნველყოფა. ამ პრობლემის გადაწყვეტასთან მიმართებაში პოლიციას ევალება ქურდობისა და ქონების დაზიანების აღკვეთისა და მომხდარი დანაშაულის დროული გახსნისა და გამოძიების მეშვეობით საკუთრების თავისუფლად განკარგვის უფლების დაცვა, კანონის მოთხოვნების ზედმიწევნით ცოდნის საფუძველზე, მხედველობაშია მისაღები ქონების კონფისკაციის ან მასზე ყადაღის დადების პროცესების გათვალისწინება.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პიროვნების თავისუფალი გადაადგილების უფლებას. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მუხ. 13), უფლებათა ევროპული კონვენცია, ოქმი №4 (მე-2 მუხლი) ადამიანს აძლევს თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი აკისრია პოლიციას. მას მოეთხოვება კომპეტენციის ფარგლებში და კანონის სრული დაცვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შესაბამისი რეაგირება მოახდინოს ამ უფლებისა და თავისუფლების დარღვევის შემთხვევაში.

ასეთია მოკლედ პოლიციის მოვალეობანი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების და ეროვნული მოთხოვნებიდან გამომდინარე განუხრელად დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი სხვადასხვა სფეროში.

* * *

გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაეროს, ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში პოლიციის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის ძალისხმევას. ამ მიმართულებით განსაკუთრე-

ბით მნიშვნელოვანია პოლიციის ხელმძღვანელის როლისა და ავტორიტეტის ამაღლება. „მთელი ევროპული ოჯახის ინტერესები მოითხოვს, რომ პოლიტიკური საქმიანობა განახორციელონ ისეთმა ადამიანებმა, რომლებიც იცავენ კანონს და პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს“ – ვკითხულობთ ევროპის საბჭოს ერთ-ერთ დოკუმენტში.

ეროვნული სტანდარტებით, პოლიციის ხელმძღვანელთა ინსტიტუტი ზოგადად სამი რგოლისაგან შედგება (პირველი საფეხური, შუა და ზედა რგოლი) პირველი რგოლის ხელმძღვანელები უშუალო კონტროლს ახორციელებენ ოპერატიულ (და არა მარტო) თანამშრომელთა საქმიანობაზე და პირდაპირი გავლენა გააჩნიათ და პასუხს აგებენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და ქცევაზე. ევროპული სტანდარტების დონეზე შუა რგოლის ხელმძღვანელები გარკვეულ წილად დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენენ პოლიტიკის განმსაზღვრელ რგოლსა და ოპერატიულ თანამშრომლებს შორის, ამასთანავე პასუხისმგებელი არიან ამ პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებაზე. რაც შეეხება ზედა რგოლს, მისი ხელმძღვანელობა შეიმუშავებს პოლიტიკასა და სტრატეგიას და უზრუნველყოფს მის ცხოვრებაში განხორციელებას.

პოლიციის ხელმძღვანელობას სამსახურებრივად ევალება ისეთი საკითხების გადაჭრა, როგორიცაა სტრატეგიული დაგეგმვა, რეფორმებისა და განვითარების პროცესების წარმართვა. გატარებული ოპერატიულ სამძებრო და სხვა საქმიანობის შეფასება, პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების კორექტირება დასახული მიზნების სრულფასოვნად შესრულების უზრუნველსაყოფად.

საპოლიციო საქმიანობაში პრიორიტეტი ენიჭება სტრატეგიულ დაგეგმვას. ამიტომ გათვალისწინებული უნდა იქნას წარმატებული გამოცდილება და დაშვებული შეცდომები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ადამიანის

უფლებათა დაცვის, პოლიტიკური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს. ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში იმ საერთაშორისო სტანდარტებსაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომლებიც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა იურიდიულ აქტებსა და კონვენციებში.

კონკრეტულ საქმიანობაში ხელმძღვანელი ვალდებულია იზრუნოს კადრების შერჩევაზე, რათა პოლიციელთა რიგები დაკომპლექტდეს საქმისადმი ერთგული და სათანადო განათლების პიროვნებებით. შემდგომში საჭიროა მათი სწავლება და მომზადება, აღჭურვა თავდაცვითი საშუალებებით, იარაღით და სპეც. ტექნიკით, კანონმდებლობის ფარგლებში მათი გამოყენების წესების სწავლება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესების ზედმიწევნით ცოდნას.

ხელმძღვანელობამ თითოეული ოპერაციის დაგეგმვისას უნდა უზრუნველყოს ოპერატიული ინფორმაციის სათანადო დამუშავება. ხელქვეითებთან სათანადო ინსტრუქტაჟის ჩატარება. ოპერაციის მართვისა და კონტროლის ბერკეტების ხელში აღება, შემდგომში ოპერაციის ჩატარების შედეგების გაანალიზება.

პოლიციის ხელმძღვანელობა ვალდებულია უზრუნველყოს თავისი მუშაკების მომზადება, ოპერაციის დროს დაკავებულ პირებთან სათანადო მოპყრობისა და დაკითხვის პროცესებში გამოძიებისათვის დახმარების გარკვეული მეთოდების ცოდნა, კონსპირაციის დაცვა და. ა.შ. ხელმძღვანელი პასუხს აგებს, თუ როგორ ფლობს და იცნობს მისი ხელქვეითი თავის უფლებებსა და მოვალეობებს, პიროვნების თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს, პროცესუალურ ნორმებს კომპეტენციის ფარგლებში.

პოლიციის ხელმძღვანელობა ვალდებულებას იღებს, ხელქვეითებმა კარგად იცოდნენ, თუ რა უფლება-

მოვალეობები გააჩნიათ ჩხრეკის, კორესპოდენციების, ნივთიერი მტკიცებულებების ამაღლების, სატელეფონო საუბრების მოსმენის და ფარული თვალთვალის განხორციელებისას;

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიციელთა მომზადებას, რაც იმას უზრუნველყოფს, რომ მათი გამოყენება არ მოხდეს არადანიშნულებისამებრ.

პოლიციის ხელმძღვანელის მოვალეობაა, თანამშრომლებმა კარგად იცოდნენ საზოგადოებრივი შეკრების დასაცავად ისეთი სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენება, რომელმაც არ შეიძლება თავად მოახდინოს ძალადობის პროვოცირება. უნდა გამოიყენოს მართვისა და კონტროლის ისეთი მეთოდები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება პოლიციის ძალებით საზოგადოებრივი შეკრების დაცვა, მათ შორის ოპერატიული ინფორმაციის სათანადო დამუშავების, ოპერაციის დაგეგმისა და ხელქვეითებისათვის მკაფიო მითითებების მიცემის მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემის, ღონისძიების წარმართვისა და შემდგომი გაანალიზებისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანის მეშვეობით.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არასანქცირებული და არამშვიდობიანი შეკრების დაშლისას ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას, მათ მინიმალურ დონემდე დაყვანას და მაქსიმალურად კანონის დაცვას.

პოლიციის ხელმძღვანელის ფუნქციონალური მოვალეობის შესრულებაში ძალიან დიდი ადგილი უკავია სხვისი ქონების ქურდობის და დაზიანების აღკვეთა-აცილებისა და ამასთან დაკავშირებული მომხდარი დანაშაულის დროულ გახსნას. ის ამ ფუნქციის შესრულებას წარმატებით გაართმევს თავს, თუ პოლიციის ყველა თანამშრომელს კარგად ეცოდინება თავისი უფლება-მოვალეობანი სხვისი ქონების ქურდობასა და დაზიანებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან, კერძოდ: ქონების კონფისკაციის, ყადაღის დადების, ნივთიერი

მტკიცებების ამოღების შემთხვევებში კანონიერ და საპროცესო ნორმების დაცვასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობამ ამასთანავე უნდა უზრუნველყოს პოლიციის მიერ კანონიერად ჩამორთმეული ან დაყადაღებული ქონების დეტალური აღრიცხვის სისტემის შემუშავება, აგრეთვე ჩამორთმეული ქონების და ნივთიერი მტკიცებულების სპეციალური საცავების მოწყობა და მათი შენახვა.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროს მიეკუთვნება დეკლარაციით ან კონვენციის ოქმებით მინიჭებული ესა თუ ის უფლება და თავისუფლება და ყოველგვარი დისკრიმინაციის დაუშვებლობა. ამისათვის პოლიციის ხელმძღვანელის მოვალეობაა: უზრუნველყოს მათი ყოველდღიური საქმიანობის ამსახველი ოქმების, მოხსენებითი ბარათების ჩანაწერების, მათ შორის სატაბელო და სამორიგეო ჟურნალების ჯეროვანი წარმოება, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევებზე მოკვლევის წარმოებას.

ამასთან უზრუნველყოს დანაყოფში სამუშაო პირობებში კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვაში დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპების გათვალისწინება, მისი განუხრელი დაცვა დაამკვიდროს პირადი მაგალითითა და საზედამხედველო ღონისძიებებით, ამ პრინციპების უპირობო შესრულება.

საბოლოო ჯამში გლობალიზაციის პირობებში პოლიციის ხელმძღვანელობის მოვალეობათა სფეროა: საერთაშორისო ხელშეკრულებების განუხრელი დაცვა, საერთო ევროპული ღირებულებების ცოდნა და პატივისცემა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დამკვიდრება პრაქტიკაში, კანონისა და ადამიანის უფლებების სრული პატივისცემა, რაც ევროპული ოჯახის საერთო ღირებულებათა რეალიზაციის აუცილებელი პირობაა, ეროვნულ ნიადაგზე, ეროვნული კანონმდებლობის ბაზის გათვალისწინების საფუძ-

ველზე, რაც კიდევ ერთი გარანტი იქნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მექანიზმებში.

§3. ადამიანის უფლებები და გენდერული ძალადობა

მსოფლიო მასშტაბით ბოლო წლებში აქტიური თემა გახდა ძალადობის პრობლემა, რომელიც სხვადასხვა ფორმებს მოიცავს. ძალადობის ყველა ფორმა განიხილება, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევად, რომლის გადაჭრის გზაზე, გაეროს სამართალდამცავი ორგანოებისათვის ძალიან ძნელი აღმოჩნდა ძალადობის ყველა ფორმის შესაბამისი დამცავი მექანიზმების შემუშავება, ამიტომ 1993 წლის ივნისში გამართულმა ადამიანის უფლებების საერთაშორისო კონფერენციამ, წინა პლანზე წამოსწია ოჯახური ძალადობის საკითხი, როგორც მსოფლიო პრობლემა. ამასთან დაკავშირებით ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნა ავტორთა კოლექტივის მიერ შემნილი ნაშრომი „ოჯახური ძალადობა და სახელმწიფო“,* რომელიც მნიშვნელოვანი შენაძენია ამ პრობლემით დაინტერესებული მკითხველისა და მკვლევარებისათვის, მის ძირითად მიზანს წარმოადგენს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების თავ-თავიანთ ქვეყნებში საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის ფარგლებში ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების გადაწყვეტაში დახმარება გაუწიონ სამართალდამცავ ორგანოებს. ნაშრომში განხილულია ადამიანის უფლებების ის საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც მხარს უჭერენ

* ნაშრომის თანაავტორებია: გლედის აკოსტა ვარგა, მიშელ ბისლი, შეილა ჯაიმა, საკუნტალა კარდიგამარ-რაჯაშინგემ, მარგარეტ ა. შულერი, რებეკა პ. სიუელი, არატი კასანი, ინგლისურიდან თარგმნა ხ. ახობაძემ, წიგნი გამოსცა საქართველოს „ქალთა ცენტრმა“ პრ. ი. ვერულაშვილის ხელმძღვანელობით.

ვალდებულებას, ეროვნულ კანონმდებლობაში შეტანილი იქნეს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ეფექტურად მოაწესრიგებენ ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. წიგნში მოცემულია ოჯახური ძალადობით დაინტერესებულ მკვლევართათვის საინტერესო მასალები, რომლებიც ეხებიან მსოფლიო ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებს და იგი მნიშვნელოვანი წყარო იქნება, როგორც გაეროსათვის, ისე ადამიანის უფლებათა სამართალდამცავი ორგანოებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

ძალადობის ცნების მრავალი განსაზღვრება არსებობს, მაგრამ ყველა მათგანი აღიარებს, **როგორც პირის განზრახ ქმედებას ან განზრახვის გაცნობიერებით ჩადენილ ქმედობას, რომ ფიზიკური ზიანი მიაყენოს მეორე პიროვნებას,** მაგრამ როდესაც გენდერულ ძალადობაზე ვსაუბრობთ, აქ უკვე იგულისხმება ქალის მიმართ სხვადასხვა ფორმით ჩადენილი ძალადობა.

ოჯახური ძალადობა კი არის განმეორებადი და ხშირი ციკლი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური შეურაცხყოფისა, რომელსაც ოჯახის ერთი წევრი ახორციელებს მეორე წევრზე, მასზე კონტროლისა და ძალადობის მოპოვების მიზნით.

ძალადობა ოჯახში არის რეალური ქმედება ან მუქარა კონკრეტული პიროვნების მხრიდან, რომელიც სქესობრივ ან სხვა ურთიერთობაში იმყოფება პარტნიორთან.[10]

ოჯახი, სადაც ძალადობას სისტემატური ხასიათი აქვს, უარყოფითად მოქმედებს, როგორც ბავშვებზე, ასევე მოზრდილებზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბავშვები „სუფთა დაფებია“ „TABULARASA“, არავინ იცის, სად და როდის გამოვლინდება მათში ძალადობრივი ქცევა, რომელიც შესაძლებელია მომავალში აგრესიულ მოქმედებად გადაიქცეს. გარდა ამისა, ასეთ ოჯახებში აღზრდილი ბავშვები ადვილად

უერთდებიან ქუჩას და დამნაშავეთა სამყაროს შემავსებელ წყაროდ გვევლინებიან.

როდესაც ოჯახურ ძალადობაზე ვსაუბრობთ, აქცენტი ყოველთვის გადაგვაქვს ქალისა და ბავშვის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ძალადობის მსხვერპლი შეიძლება იყოს მამაკაცი, თუმცა უფრო იშვიათ შემთხვევაში, ან კიდევ ზრდასრული შვილი და ოჯახის სხვა წევრებიც.

ნაშრომში „ოჯახური ძალადობა და სახელმწიფო“ განხილულია 21 ქვეყნის კონსტიტუციური, სამოქალაქო, სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელთა უმრავლესობა ვერ პასუხობს შექმნილ რეალობას. ზოგადად უმრავლესი მსოფლიო ქვეყნების კანონმდებლობა ვერ აფასებს გენდერული შეურაცხყოფის და ოჯახში ძალადობის მავნე შედეგებს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა კი პრობლემას მხოლოდ ნაწილობრივ აწესრიგებს. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ამერიკის შეერთებულ შტატებში. სადაც მიღებულია კანონი, რომელიც განსაზღვრავს ოჯახური ძალადობის კრიმინალურ ასპექტებს და შემუშავებულია მისი აღკვეთა-აცილების სამართლებრივი გზები.

იმისათვის, რომ რეალურად შევხედოთ შექმნილ მდგომარეობას, უნდა ვიცოდეთ პრობლემის კრიმინოლოგიური ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, თუ რა ტიპის ძალადობაა გამოკვეთილი. სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, ძირითადად ჩამოყალიბდა:

ძალადობა – აშკარა ფიზიკური შეურაცხყოფით;

ძალადობა – ფსიქოლოგიური ზემოქმედებით;

ძალადობა – ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობისათვის საჭირო რესურსების აკრძალვის გზით;

ძალადობა ქალთა განივთების გზით (თრეფიკინგი).

ადამიანის თრეფიკინგი არის ყველაზე სწრაფად მზარდი, მსოფლიოში მესამე* უდიდესი კრიმინალური საქმიანობა, რომელიც იწვევს ადამიანთა უფლებების მასშტაბურად დარღვევას. ეს დანაშაული იქცა გლობალურ კრიმინალურ ფენომენად და მილიონობით ადამიანი გახდა მისი მსხვერპლი. გაეროს მონაცემებით ამ საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის ძირითადი ობიექტი ბავშვები და ქალები გახდნენ. მათ იტაცებენ, ყიდიან ან პროსტიტუციასა და მონურ შრომას აიძულებენ.

გაეროს და ევროპის პარლამენტი განუწყვეტლივ უსვამენ ხაზს არასამთავრობო ორგანიზაციების უდიდეს როლს ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლაში და მოუწოდებენ მათ უფრო აქტიური მოქმედებისაკენ.

გენდერულ ძალადობას ადგილი აქვს სამ სფეროში: ა) ოჯახში, ბ) საზოგადოებაში, გ) სახელმწიფოში.

ოჯახი თავის წევრებს უთანასწორო იერარქიული ურთიერთობებისათვის ამზადებს, რაც სქესთა შორის უთანასწორო შრომის განაწილებასა და ფინანსების განკარგვის უფლებაში გამოიხატება.

საზოგადოება ისეთ მექანიზმებს უზრუნველყოფს, რომელიც მამაკაცთა კონტროლს აწესებს ქალთა სექსუალობაზე, მობილურობაზე და შრომაზე.

სახელმწიფო აკანონებს მამაკაცთა მესაკუთრულ უფლებებს ქალზე და ოჯახზე, ამით საზოგადოებას იურიდიულ საფუძველს უქმნის სამუდამოდ არსებობდეს ეს ურთიერთობანი. სახელმწიფო ამას დისკრიმინაციული კანონებისა და პოლიტიკის შემოღებით ან კანონის დისკრიმინაციული გამოყენებით ასრულებს. როდესაც სახელმწიფოზე ვსაუბრობთ, იგულისხმება კერძო სტრუქტურები და სახელმწიფო დაწესებულებები.

---

* კრიმინოლოგები მას უკვე მეორე ადგილზე განიხილავენ.

ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მრავალ სახელმწიფო სტრუქტურას ევალება. წიგნის ავტორთა აზრით, პრობლემის სერიოზულობის ერთ-ერთი მიზეზი „გენდერულ დამნაშავეობათა და პოლიციის უფლებამოსილების არაადეკვატური განსაზღვრაა“.

არის მეორე მიზეზიც „პოლიციის დამოკიდებულება ქალთა ძალადობის მიმართ“. ისინი თვლიან, რომ მოვლენა პირადულია და მათ არ ეხებათ. ასეთი დამოკიდებულების შეცვლისათვის საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი ნორმების შეტანა კანონმდებლობაში, რითაც განისაზღვრება პოლიციის უფლება-მოვალეობანი, და მეორე, პოლიციის რიგებში საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება მათი მსოფლმხედველობის შესაცვლელად გენდერული ძალადობის მიმართ.

ბრაზილიაში შემუშავდა რეკომენდაციები, რაც ითვალისწინებდა ისეთი სამსახურების შექმნას, რომლებიც მხოლოდ ქალებით იქნებოდა დაკომპლექტებული და იმუშავებდნენ ძალადობის პრობლემებზე, ეს საკითხი განხილვის პროცესშია. რაც შეეხება ძალადობის სამართლებრივ წყაროებს, ესენია:

1994 წელს მიღებული ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის თაობაზე დეკლარაცია, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფოებს აქტიურად ებრძოლონ ქალთა მიმართ ძალადობას და მოეთხოვებათ დეკლარაციის რატიფიცირება და სისხლის სამართლის, სამოქალაქო, შრომითი და ადმინისტრაციული სანქციები შეიტანოს საოჯახო სამართალში ძალადობის მსხვერპლ ქალთა მიმართ მიყენებული ბოროტების დასასჯელად და ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად. მართლმსაჯულების მექანიზმები ხელმისაწვდომი რომ იყოს... გააცნოს ქალებს მათი უფლებები. ანაზღაურების თაობაზე... გასაგებად ჩამოაყალიბოს აღმკვეთი ღონისძიებანი და სამართლებრივი, პოლიტიკური, ადმინისტრაციული და კულტურული ხასიათის ის ზომები, რაც ხელს შეუწყობს

ქალთა ნებისმიერი სახის ძალადობისაგან დაცვას და საფუძველს მოგვცემს, რომ ხელახლა აღარ მოხდება ქალთა მსხვერპლად გადაქცევა იმის გამო, რომ კანონი გულგრილია გენდერული საკითხების მიმართ.“[11]

აღსანიშნავია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაციის ზოგადი რეკომენდაცია №19. ეს დოკუმენტიც ზრდის სახელმწიფო პასუხისმგებლობას ოჯახური ძალადობის კერძო შემხვევების აღკვეთა-აცილების მიზნით. მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ინტერამერიკული კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ქალების დაცვას, როგორც საზოგადოებრივი ხასიათის, ისე პირადი ცხოვრებისეული ძალადობისაგან. დიდი მნიშვნელობა აქვს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციას, რომლის პირველი მუხლით ცნება „ქალთა დისკრიმინაცია“ ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას, ან შეზღუდვას სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს ან არარად აქცევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში მამაკაცთა და ქალთა მიერ – მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად – ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარების, სარგებლობასა და განხორციელებას.“[12]

პრობლემის გადაწყვეტისათვის ეროვნულმა კანონმდებლობამ, „უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულთა ოჯახური ძალადობის მოწმეთა, დაზარალებულთა ახლობელთა სახელმწიფო და კერძო სამედიცინო სამსახურის წარმომადგენელთა და ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული თანადგომის ცენტრთა უფლება, საჩივრით მიმართოს პოლიციას, ოჯახური ძალადობის თაობაზე საჩივარი აღძრას სასამართლოში.“[13]

როგორ გამოიყურება ძალადობა ციფრებში: ყოველწლიურად ძალადობა კლავს 1,6 მილიონზე მეტ ადამიანს, საშუ-

ალოდ 1424 ადამიანი იღუპება თვითმკვლელობის გამო – თითქმის ერთი ადამიანი ყოველ ერთ წუთში, დაახლოებით ერთი ადამიანი ასრულებს სიცოცხლეს ყოველ 40 წამში, დაახლოებით 35 ადამიანი არის მოკლული შეიარაღებული კონფლიქტის გამო ყოველ ერთ საათში. ძალადობა არის 15-დან 44 წლამდე ასაკის ადამიანის სიკვდილის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, მათ შორის 14% მოდის მამაკაცებზე და 7% ქალებზე.

მოკლედ განვიხილოთ ამ პრობლემის გადაჭრისათვის, თუ რას მოითხოვს პოლიციისაგან საერთაშორისო კონვენციები, ხელშეკრულებები და კანონები.

სპეციალისტების მიერ შემუშავებული იქნა კანონმდებლობის ნიმუში ოჯახურ ძალადობაზე, რომლის მიზანია სისხლის სამართლის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში ამ მიმართულებით არსებული სიცარიელის შევსება და ხარვეზების გამოსწორება, ამ შემთხვევაში ჩვენს მიერ მხოლოდ პოლიციის უფლება-მოვალეობაზე გამახვილდა ყურადღება, სადაც პოლიციის მუშაკთა მოვალეობაა, რეაგირება მოახდინოს ოჯახური ძალადობის ნებისმიერ შემთხვევაზე.

რაც შეეხება დაზარალებულს, მის უფლებაში შედის, რომ პოლიციის მუშაკმა გააცნოს საქმის შესწავლის პირველ ეტაპზე სამართლებრივი დაცვის რა საშუალებებით შეუძლია ისარგებლოს და რა მოვალეობა აკისრია პოლიციას და მართლმსაჯულებას დაზარალებულის დარღვეული უფლების აღდგენის პროცესთან დაკავშირებით. ამისათვის პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია: დაზარალებულს ელაპარაკოს მისთვის გასაგებ ენაზე, დაასახელოს თავისი ვინაობა და წარუდგინოს პირადობის მოწმობა, კანონი მოითხოვს, რომ პოლიციამ დაზარალებულს და სამართალდამრღვევს უნდა აუხსნას, რომ ოჯახური ძალადობა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და ისჯება კანონით. პოლიციელმა ან უნდა და-

აკაეოს ეჭვმიტანილი, ან მოაშოროს ოჯახს. თუკი მას სხეულის დაზიანებები აღენიშნება, უნდა გადაიყვანოს სამედიცინო დაწესებულებაში.

თუკი დაზარალებული განუცხადებს პოლიციას, რომ მას სურს ოჯახი დატოვოს, უნდა მოხდეს მისი უსაფრთხო ტრანსპორტირება, მისთვის სასურველ ადგილამდე.

პოლიციის მუშაკმა დაზარალებულს წერილობით ახსნა-განმარტება უნდა მისცეს მისი უფლება-მოვალეობების თაობაზე და სასამართლოსათვის მიმართვის პროცედურებზე, სასამართლო ბრძანების შესახებ, რომლის ძალითაც ცალმხრივი შეზღუდვის თაობაზე წინასწარი დახმარების და თავშესაფრის მოთხოვნის ან სამართალდამრღვევის სახლიდან იძულებითი წესით გაყვანის ღონისძიებათა შესახებ. ამ პროცედურაში ადვოკატის მონაწილეობა აუცილებელი არ არის.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც ძალადობა ხდება ღამით, შაბათ-კვირას ან დასვენების დღეებში, დაზარალებული ინფორმირებული უნდა იყოს საგანგებო დაცვის საშუალებათა შესახებ. სამართალდამრღვევს ცალმხრივი შეზღუდვის ბრძანებას პოლიცია გადასცემს. პოლიციის მუშაკი, რომელიც ადგენს საქმეს ოჯახური ძალადობის ფაქტის თაობაზე, მოვალეა: შეადგინოს პატაკი, რომლის ტექსტიც ოქმში შედის, პატაკის თითო ეგზემპლარს უგზავნის იურიდიულ განყოფილებას და სასამართლოს. პატაკი იწერება პოლიციის უფროსის სახელზე, სადაც შედის დეტალური ინფორმაცია: მხარეთა სქესის, განათლებისა და საქმიანობის შესახებ. აღინიშნება ზუსტი დრო და თარიღი. ძალადობის ფაქტი შეხებაში არის თუ არა ბავშვებთან, მათი თანდასწრებით ხდებოდა თუ არა ძალადობა. შეურაცხყოფის სახე და დონე, გამოყენებული საგნები და იარაღები.

პოლიციელი ასევე აფიქსირებს რამდენი დრო დასჭირდა საქმის მოწესრიგებას და სხვა ღონისძიებების გატარებას და

ბოლოს ფაქტის ანალიზის საფუძველზე აყენებს წინადადებებს ინციდენტის სრული მოწესრიგებისათვის.

რაც შეეხება პოლიციის უფროსს, მისი სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით ყოველწლიურად კრიბავს მონაცემებს ოჯახური ძალადობის ფაქტებზე ცალკეულ თანამშრომელთა მიერ შედგენილი პატაკების საფუძველზე და წარუდგენს ინფორმაციას იუსტიციის სამინისტროს და ქალთა საქმეთა დეპარტამენტს.

ინფორმაცია (ანგარიში) უნდა შეიცავდეს შემდეგ სავალდებულო მონაცემებს: განყოფილებაში შემოსული განცხადებებისა და პატაკების მთლიანი რიცხვი, მათ შორის შესწავლილ განცხადებათა რაოდენობა, ორივე სქესის მოქალაქეთა განცხადებების რაოდენობა ცალ-ცალკე, მათ შორის რამდენი იქნა შესწავლილი, თითოეულ განცხადებაზე რეაგირების ფორმა, დრო და კონფლიქტების მოწესრიგებისათვის მიღებული ზომები, დაპატიმრებულთა რიცხვი[14] და ა.შ.

სხვადასხვა ქვეყნის და მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებამ აჩვენა, რომ პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურების ჩარევა ოჯახური ძალადობის პრობლემის გადაწყვეტაში საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. შემუშავებულია საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთა თანამშრომლობის აპრობირებული მეთოდები, რომლებიც იძლევიან დადებით შედეგებს ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუკი პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს, ექიმების, მასწავლებლების, მსხვერპლთა დაცვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები პრობლემის გადაწყვეტის ეფექტურ კოალიციას შექმნიან, გაცილებით ადვილად დავძლევთ ხარვეზებს კანონმდებლობაში, რაც საბოლოოდ ადამიანის უფლების და თავისუფლების დაცვის კიდევ ერთი გარანტი იქნება.

ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო პროგრამა შეიქმნა და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი

საქართველოშიც განხორციელდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკომანიისა და სამართლის საქმეთა ბიუროს მიერ დაფინანსებული პროექტი „ჰარმონია“, რომელიც რუსეთის, უკრაინის და საქართველოს ბაზაზე განხორციელდა. ნაყოფიერად მუშაობს საერთაშორისო ქალთა დახმარების ორგანიზაცია, რომლის დამფუძნებელი დირექტორია ფიდა რიფლი (Fidda Ripply), ამ ორგანიზაციის წარმომადგენლობა „საერთაშორისო ქალთა დახმარება – კავკასიის“ სახელით, გახსნილია საქართველოშიც, რომელიც რეგიონალური ორგანიზაციაა და მუშაობს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრობლემებზე.

საერთაშორისო ქალთა დახმარებამ, კავკასიის 16 დღის პროგრამის ფარგლებში, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში, მოაწყო ძალადობასა და ჯანმრთელობაზე მსოფლიო მოხსენების პრეზენტაცია. ამ მეტად მნიშვნელოვანი მოხსენების წარმოდგენა შესდგა 2002 წლის 7 დეკემბერს ქ. ბაქოში, ხოლო 17 დეკემბერს – ქ. ერევანში.

მოხსენებასთან დაკავშირებით ნელსონ მანდელამ აღნიშნა „მე-20 საუკუნე ხალხის მეხსიერებაში დარჩება, როგორც ძალადობის საუკუნე. მისი მემკვიდრეობაა ნაკლებად ყოველდღიური ტანჯვა, ეს არის მშობლების მიერ დაჩაგრული ბავშვების და ტრავმირებული და შეურაცხყოფილი ქალების ტანჯვა, ცუდი ზრუნვით ტრავმირებული მოხუცები, ვერც ერთი ქვეყანა და ქალაქი ვერ სცდება ამ ტრაგედიას. მაგრამ არც ჩვენ ვართ უძლურნი მასთან საბრძოლველად. ძალადობის თავიდან აცილება შესაძლებელია. ამისათვის საჭიროა ჩვენი დაუღალავი შრომა არა მარტო მშვიდობის, სამართლიანობის და კეთილდღეობის მისაღწევად, არამედ საზოგადოებისა და ოჯახის წევრებისათვისაც. ჩვენ უნდა ვეძებოთ ძალადობის ფესვები. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ მთელი საუკუნის მემკვიდრეობის დამსხვრევას და

მისგან გამაფრთხილებელი გაკვეთილების მიღებას". მოხსენების ღირებულებაზე ლაპარაკობს გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის სიტყვები: „ძალადობა ქალის მიმართ არის უნივერსალური პრობლემა და მისი მასშტაბები მატულობს". მოხსენება ამ მხრივ ხაზს უსვამს, რომ ქალები დგანან რისკის წინ ოჯახებისა და მათთვის ახლო გარემოებებში იმ ქალებიდან, რომლებიც მკვლელობის მსხვერპლი ხდებიან. ნახევარზე მეტი მოკლულნი არიან ქმრებისა და მეგობარი მამაკაცების მიერ. ზოგიერთ ქვეყნებში ამაზე მოდის შემთხვევათა 70%-მდე. შემთხვევათა მესამედს თან ახლავს სექსუალური ძალადობა. ქვეყნების ნაწილში ბევრი მოზარდი გოგონა ხდება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. აღნიშნული როდი გამორიცხავს ანალოგიურ ძალადობას მამაკაცების და მოზარდების მიმართ, მაგრამ შემთხვევათა პროცენტი იმდენად დაბალია ქალთა და ბავშვთა ძალადობასთან შედარებით, რომ ამაზე დიდი ყურადღების გამახვილება არ მიგვაჩნია საჭიროდ.

2002 წლის 18 დეკემბერს ქ. თბილისში გაიმართა ძალადობასა და ჯანმრთელობაზე მსოფლიო მოხსენების პრეზენტაცია,[15] სადაც გაკეთდა შემდეგი დასკვნები:

მიუხედავად ამ სფეროში არსებული ინფორმაციისა და ცოდნის ნაკლებობისა, კვლევების ჩატარების აუცილებლობისა, შეძენილმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი ძვრები მოახდინა ძალადობის თავიდან აცილებისა და მისი შედეგების შემსუბუქების საქმეში.

არის კიდევ ერთი გარემოება: ხშირად შესაძლებელია ძალადობის წინასწარი განჭვრეტა და მისი თავიდან აცილება. როგორც ძალადობასა და ჯანმრთელობაზე მსოფლიო მოხსენებაშია აღნიშნული, არსებობენ ნიშნები, რომლებიც ზუსტად მიგვითითებენ შესაძლო ძალადობის მოხდენაზე, თუმცა, უშუალო მიზეზების დადგენა ზოგჯერ დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ამ ფაქტორების ამოცნობამ და განსაზღვრამ

შესაძლოა მოახდინოს სახელისუფლო მოხელეთა გაფრთხილება, რათა მათ შეძლონ დროული რეაგირება. უფრო მეტიც, ადამიანის ჯანმრთელობისკენ მიმართული კვლევების გაუმჯობესების პარალელურად ყოველდღე მატულობს სხვადასხვა ღონისძიების ჩასატარებლად საჭირო ფინანსების რაოდენობა. მთელს მსოფლიოში შეიმჩნევა ტენდენცია იმისა, რომ ხელისუფლება მოქმედებს მხოლოდ ძალადობის ფაქტის გამოვლინების შემდეგ. მაგრამ მისი თავიდან აცილებისათვის გაწეული ხარჯები კი შესაძლოა უფრო ნაკლები და უფრო ეფექტური იყოს.

ძალადობის არსის გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს ღონისძიებების გატარების მეთოდების შექმნისთვის.

ძალადობა ხდება ყველა საზოგადოებაში, მაგრამ მისი არსი და გარემო, რომელშიც იგი გამოვლინდება და მისი სახეობა, მისადმი საზოგადოების დამოკიდებულება, ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისგან. როდესაც ძალადობის თავიდან აცილების პროგრამები იქმნება, აუცილებელია ძალადობის არსის განხილვა იმ საზოგადოების წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით, რომლისთვისაც ეს პროგრამა არის გათვალისწინებული.

ძალადობის ფორმები მრავალნაირად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და ხშირად საერთო რისკ-ფაქტორები აქვთ. სამწუხაროდ, კვლევების ჩატარება და ძალადობის ფორმების თავიდან აცილების მეთოდების შექმნა ხშირად იზოლირებულად ხდება. თუ მივაღწევთ ამგვარი გათიშვების დაძლევას, ღონისძიებების მასშტაბები და ეფექტურობა ბევრად გაუმჯობესდება. რესურსები მიმართულნი უნდა იყვნენ მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენებისკენ. ძალადობა, ისევე როგორც ადამიანის ჯანმრთელობის ბევრი პრობლემა, არაბუნებრივი მოვლენაა. მართალია ის გვხვდება სოციალური ფენის ყველა დონეზე, მაგრამ კვლევები აჩვენებენ, რომ მოსახლეობის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური

სტატუსის მქონე ნაწილი უფრო მეტი რისკის ქვეშ იმყოფება. ძალადობის თავიდან აცილების საქმეში პროგრესის მისაღწევად საჭიროა შეწყდეს ღარიბი ხალხის საჭიროებათა უგულებელყოფა – ბევრ ქვეყანაში დაცვისა და დახმარების სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან ღარიბები იღებენ ყველაზე ნაკლებ მომსახურებას.

თვითკმაყოფილება და თვითდამშვიდება წარმოადგენენ მნიშვნელოვან წინააღმდეგობას ძალადობის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გასატარებლად.

ისინი, თვითკმაყოფილება და სიმშვიდე, ხშირად კერძო ინტერესებითაც არის განპირობებული, რადგან საზოგადოებაში მხოლოდ კაცებს აქვთ „მინიჭებული უფლება“ ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინონ, „შეცვალონ“ და „შეუსწორონ“ თავიანთ მეუღლეებს.

როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი ძალადობის შემთხვევების შემცირება დამოკიდებულია მისი ნებისმიერი ფორმის მიმართ გულგრილობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ჯანსაღი საზოგადოების არსებობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძალადობის შესაჩერებლად პოლიტიკური ნების არსებობას. მართალია, ბევრის მიღწევაა შესაძლებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ფიზიკური პირების აქტიურობით, მაგრამ ჯანსაღი საზოგადოების შექმნა ძირითადად მაინც სახელმწიფოს, ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული.

პოლიტიკური ნების არსებობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეროვნულ დონეზე, სადაც ხდება პოლიტიკური, საკანონმდებლო და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება, არამედ რეგიონებისა და მხარეების დონეზე, ვინაიდან სწორედ იქ ხდება პოლიტიკისა და პროგრამების ყოველდღიურ ცხოვრებაში გატარება. ხშირად ძალადობის შესაჩერებლად პოლიტიკური ნების მისაღწევად

საჭიროა საზოგადოების სხვადასხვა ფენების მუდმივი მცდელობა.

ძალადობა არ არის გარდუვალი და შეუქცევადი პროცესი. მისი თავიდან აცილება შესაძლებელია. მართალია, მსოფლიოს ჯერ კიდევ არ აქვს მთლიანად შესწავლილი იმ მოვლენის მასშტაბები, რომლებიც ძალადობის დასაძლევადაა საჭირო და მას არ აქვს ყველა ის იარაღი, რომლითაც ამ ამოცანის გადაჭრაა შესაძლებელი. მაგრამ ცოდნის ბაზა იზრდება და ბევრი საჭირო გამოცდილება უკვე შეძენილია. ჯანმრთელობასა და ძლადობაზე მსოფლიო მოხსენება ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ამ მიმართებით ცოდნის ბაზის გაფართოებაში. ის ხელს შეუწყობს თანამშრომლობას, განახლებას და ნებას ძალადობის თავიდან აცილებისათვის მთელს მსოფლიოში, რაც კიდევ ერთი გარანტი იქნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში.

§4. ადამიანის უფლებები და ქართული პოლიცია

საპოლიციო სისტემა სახელმწიფოს ფუნქციონირების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელ ქვეყანაშია ეს უწყება და მისი მოხელეები რა სახელწოდებით მოიხსენიებიან. ამ თვალსაზრისით, ქვეყნის შიგნით წესრიგის დასამყარებლად ქართულმა სახელმწიფომაც საკუთარი ტრადიციები შექმნა.

ჩვენს ქვეყანაში ისტორიულად საპოლიციო ფუნქციების შესრულება დაკისრებული ჰქონდათ ერისთავებს, რეგიონის მასშტაბით — მამასახლისს, ადგილობრივი მნიშვნელობით — ეზოსმოძღვარს ლოკალურ ტერიტორიაზე, ხოლო მთის რე-

გიონებში — ხევისბერებს და ა.შ. ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში საპოლიციო ფუნქციების შემსრულებელთა სახელწოდებაც იცვლებოდა. გაჩნდა ჩუხჩერახის, ამირსპასალარის, ამილახორის, არგნოსნიებისა და მანდატურების სახელოები.

ქართული სახელმწიფოსა და სამართლის სრულყოფა-განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა საშინაო უწყებათა სტრუქტურებიც. საქართველოს სიძლიერის ეპოქაში (XI–XIIსს.) ჩამოყალიბდა კარგად ორგანიზებული საპოლიციო სამსახური, რომლის სათავეში იდგა მანდატურთუხუცესი (იგივე შინაგან საქმეთა მინისტრი), რომლის დაქვემდებარებაში შედიოდა ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ნაწილობრივ მართლმსაჯულების განხორციელებაც. მანდატურთუხუცესს ემორჩილებოდნენ მანდატურები, მპარავთმძებნელები, მეკობრეთმძებნელები, ჩუხჩები, ჩენილები; გარკვეულწილად წესრიგის დაცვის ფუნქციით იყო დაკავებული ამირეჯიბი და მსტოვრების ინსტიტუტი, რომლის შექმნა და ჩამოყალიბება დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული.

შემდგომ ეპოქაში მუსლიმური ქვეყნების მიერ საქართველოს არაერთგზის დაპყრობამ და მათ მიერ საკუთარი მმართველობის შემოღებამ, გარკვეულწილად შეცვალა ქართული საპოლიციო სისტემა და წესრიგის სფეროში დასაქმებულ ადამიანებსაც შეეცვალათ სახელები.

XVII–XVIII საუკუნეებში მოსამართლისა და წესრიგის დაცვის ფუნქცია დაეკისრა ფეოდალს, რომლებსაც საკუთარი აპარატი ჰყავდა. გარკვეულ როლს, როგორც სოფლად, ისევე ქალაქებში, მოურავი თამაშობდა. შემდეგ მოდიოდა მამასახლისი, მელიქი, ნაცვალი, ციხისთავი ანუ მინბაში. საგადასახადო საქმის მოწესრიგებას ემსახურებოდნენ კაფანდრები (მწონავი), მდივანბეგები (მუშირები), ქეთხუდები და ა.შ.[16]

1801 წლის სექტემბრის მანიფესტის შემდეგ, როდესაც საქართველოში დამყარდა რუსული მმართველობა, თანდათან შეიცვალა მმართველობის ფორმებიც, რასაც მოჰყვა სახელისუფლო სტრუქტურების შეცვლა და მათ შორის „ქართული მილიციის“ ჩამოყალიბებაც, რომელმაც დღემდე სახელოვანი ტრადიციები შექმნა. მოკლედ ასეთია ქართული საპოლიციო სტრუქტურების ისტორიული გზა, რომელიც მთელი არსებობის მანძილზე იცავდა ეპოქებთან და კანონმდებლობასთან მიმართებაში ადამიანის უფლებებს.

* * *

თანამედროვე ქართული პოლიცია სამართალდამცავი, გასამხედროებული სახელმწიფო ორგანოა, რომელიც შედის ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და მოწოდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოში არსებული კანონიერების რეჟიმის განუხრელი დაცვა. ე.ი. იგი კონსტიტუციური დაწესებულებაა და ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთი კომპონენტია.

საქართველოს უზენაესი კანონის კონსტიტუციის მე-12-47-ე მუხლები ეძღვნება საქართველოს მოქალაქეობას, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთა დაცვის ერთ-ერთ გარანტად შინაგან საქმეთა ორგანოებიც გვევლინება. მათი მუშაობის ორგანიზაცია საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 27 ივლისს მიღებული „კანონი პოლიციის შესახებ“* (შემდგომში მიღებული დამატებებითა და შესწორებებით) და სხვა ნორმატიული აქტებით არის მოწესრიგებული და ემყარება კანონიერების, ადამიანის, პი-

* კანონი პოლიციის შესახებ შედგებოდა 36 მუხლისაგან, ერთი მუხლი ამოღებულია. შს სამინისტროს სისტემაში მიმდინარე რეფორმები მოითხოვს ახალ საკანონმდებლო ბაზის შექმნას, მაგრამ ჩვენს მიერ ნაშრომში განხილული საკითხები, ალბათ, იქაც აისახება.

როვნების პატივისა და ღირსების დაცვას, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიზმის და საჯაროობის პრინციპებს.

კანონმა პოლიციის შესახებ, რომლის მიხედვითაც სათანადო სამსახურებს ევალებათ პიროვნების, დაწესებულებისა და ორგანიზაციის უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, საზოგადოებრივი წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, დამნაშავე პირის ძებნა, დანაშაულის გახსნა და კანონით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება, განსაზღვრა ამ ორგანოს ძირითადი ამოცანები. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, კანონი კრძალავს პოლიციის გამოყენებას ისეთი ამოცანების შესასრულებლად, რომელიც მას კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით არ ევალება (ეკისრება).

ზემოაღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად, როგორც უკვე ითქვა, პოლიციის საქმიანობა ემყარება: კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვას, განურჩევლად სოციალური, ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა, სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა.

კანონმდებლობის ფარგლებში ზემოქმედების სხვადასხვა ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით, პოლიცია ვალდებულია: მოქალაქეებს აღმოუჩინოს სათანადო და დროული დახმარება, მიიღოს და რეგისტრაციაში გაატაროს შემოსული ინფორმაცია დანაშაულის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, საზოგადოებრივად სხვა ქმედობის და უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა შესახებ. გარდა ამისა, პოლიცია ვალდებულია დაადგინოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების გამომწვევი მიზეზები და პირობები, მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად, ჩაატაროს სამართალდამ-

რღვევ პირებთან ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღძრას სისხლის სამართლის საქმე, გაატაროს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები; თუ არსებობს ისეთი დანაშაულის ნიშნები, რომლის გამოც, წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა, გამოვლენილი დანაშაულის, დაწყებული საქმის წარმოების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პროკურატურას (პროკურორს).

კანონის ძირითადი ლეიტმოტივია ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა, რა პირობებში და სიტუაციაშიც არ უნდა იყვნენ ისინი. ამიტომაც კანონი დიდ ადგილს უთმობს დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა სამართლებრივ მდგომარეობასაც.

კანონი პოლიციას ავალდებულებს შესაძლებლობა მისცეს დაკავებულ და დაპატიმრებულ პირს განახორციელოს სამართლებრივი დაცვის უფლება, შეატყობინოს მის ოჯახს, სამუშაო ან სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელობას მომხდარი ფაქტის შესახებ.

მოქალაქესთან ურთიერთობის დროს ზუსტად უნდა იქნას დაცული სამსახურებრივი ეთიკის ნორმები. ამისათვის კი მარტო კანონის მოთხოვნათა შესრულება საკმარისი არ არის. საჭიროა მაღალი სამართლებრივი კულტურა, შეგნება და ა.შ.

გარდა მოვალეობისა, კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, პოლიციას საკმაოდ ფართო უფლებები გააჩნია (27 სხვადასხვა სახის უფლება), მათ შორის: მოსთხოვოს მოქალაქეს – დაიცვას მართლწესრიგი, შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები. მოქალაქეს შეუმოწმოს პირადობის დამადასტურებელი საბუთები, თუკი არსებობს საკმარისი მონაცემები მის მიერ დანაშაულის ან ადმინისტრაციული გადაცდომის ჩა-

დენის შესახებ. თუ არსებობს სათანადო საფუძვლები, პოლიციაში გამოიძახოს მოქალაქე, ჩამოართვას ახსნა-განმარტება, მოსთხოვოს საჭირო ცნობები და დოკუმენტები. შეუძლია იძულების წესით წარადგინოს მოქალაქე პოლიციაში, თუ იგი არასაპატიო მიზეზებით თავს არიდებს გამოცხადებას და ა.შ.

პოლიციას უფლება აქვს შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუფარდოს დამრღვევს ადმინისტრაციული სახდელი. დაკავებული 8 საათის განმავლობაში ამყოფოს პოლიციაში პიროვნების დადგენის, ან სხვა მიზეზების გამო.* დადგენილი წესით დააკავოს პირი, რომელსაც მიესაჯა პირობით თავისუფლების აღკვეთა ან პირი, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლდა, მაგრამ თვითნებურად მიატოვა სამუშაო ადგილი. გარდა ამისა, შეუძლია სამედიცინო დაწესებულებაში წარადგინოს პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური სიმთვრალის შედეგად საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ.

ძალზე მნიშვნელოვანია პოლიციის მუშაკისათვის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესების ცოდნა, რადგანაც პრაქტიკაში გვაქვს თანამშრომელთა მხრიდან აღნიშნული იარაღის უკანონო გამოყენების, ან გამოუყენებლობის არაერთი შემთხვევა.

კანონის შესაბამისად:

— პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს სამსახურებრივი საშტატო იარაღი;

— პოლიციის თანამშრომლის განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

---

* ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 247-ე მუხლის შესაბამისად დაკავების ვადა განისაზღვრება 3 საათის ვადით.

— ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებად ითვლება გამიზნული გასროლა;

— პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს, უკიდურესი ღონისძიების სახით, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი:

ა) მოქალაქისა და თავის დასაცავად ისეთი საფრთხისაგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად;

გ) მძევლების გასათავისუფლებლად;

დ) დაკავების ან პატიმრობის ადგილიდან გაქცევის აღსაკვეთად;

ე) მძიმე დანაშაულის აღსაკვეთად, ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას, თუ იგი წინააღმდეგობას უწევს პოლიციის თანამშრომელს, ან შეეცდება გაქცევას;

ვ) მოქალაქეთა ბინებზე, დაცულ ობიექტებზე, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო საკუთრების ობიექტებზე თავდასხმის მოგერიებისას;

ზ) მოქალაქეთა დაცვისას საშიშ ცხოველთა თავდასხმისაგან;

თ) განგაშის, სიგნალის მიცემის, ან დამხმარე ძალის გამოძახებისას;

ი) სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით სატრანსპორტო საშუალების დაზიანებისათვის, თუ მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას და არ ემორჩილება პოლიციის თანამშრომლის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ;

— ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს სიტყვიერი გაფრთხილება მისი გამოყენების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა.

— გაფრთხილების გარეშე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეიძლება:

ა) შეიარაღებული, საბრძოლო ტექნიკის, ნებისმიერი სახის სატრანსპორტო ან მექანიკური საშუალებით მოულოდნელი თავდასხმისას;

ბ) ტრანსპორტის გამოყენებით ან სატრანსპორტო საშუალებიდან დაკავებულის ან პატიმრის გაქცევისას;

გ) დამნაშავის დაკავების ან დაპატიმრების დროს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას;

დ) დაკავებულის ან დაპატიმრებულის შეიარაღებული გაქცევისას;

ე) დაკავებულის ან დაპატიმრებულის სატრანსპორტო საშუალებებიდან, ან შეზღუდული ხილვადობის და ტყიან ადგილებში გაქცევისას.

— აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის ისეთ ადგილებში გამოყენება, სადაც შესაძლოა სხვა პირთა დაშავება, აგრეთვე ცეცხლსაშიშ და ფეთქებადსაშიშ ადგილებში; ასევე ორსულობის, მცირეწლოვნობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი შეიარაღებულნი არიან, ან ჯგუფურად ესხმიან თავს, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქის, ან პოლიციის თანამშრომლის სიცოცხლეს.

— ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელი მოვალეა, ყოველი ღონე იხმაროს სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაზარალებულისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გასაწევად.

— პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს თავის უშუალო უფროსს და პროკურორს.

— პოლიციის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების ნუსხა დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

— აკრძალულია ისეთი სახის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოყენება, რომელიც ადამიანის მძიმე დასახიჩრებას იწვევს, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან და იკრძალება საერთაშორისო კონვენციებით და აქტებით (მუხლი 13).

გარდა ცეცხლსასროლი იარაღისა, პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს გამოიყენოს *ფიზიკური იძულება*. დაშვებულია ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები პირადი და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, პოლიციას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის, დანაშაულთან და საზოგადოებრივად საშიშ ქმედებებთან ბრძოლის მიზნით, უფლება აქვს გამოიყენოს **სპეციალური სხვა საშუალებანი:** რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების ზოგიერთი მოწყობილობა, დაბრკოლების დამანგრეველი და ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, სპეციალური საღებავი, სასამსახურო ძაღლი და ცხენები, ელექტროშოკური მოწყობილობა.

თითოეულ სპეციალურ საშუალებას თავისი დანიშნულება გააჩნია და მათი გამოყენება ხდება კანონის ფარგლებში, დაზიანების ან ზარალის მინიმალური გათვლით. იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალური საშუალებანი — ფიზიკური იძულება და ცეცხლსასროლი იარაღი იქნება გამოყენებული, პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულ პირს, ვინც არ უნდა იყოს ის. ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშუალო ხელმძღვანელს და პროკურორს.

ადამიანის უფლებათა დაცვის მოტივით პოლიციას ეკრძალება იძულების სპეციალური საშუალების გამოყენება ორსულობის, მცირეწლოვნობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნის მატარებელ პირთა მიმართ, იმ შემთხვევების გარდა, როცა ისინი შეიარაღებულ ან ჯგუფურ თავდასხმას ახდენენ, ასევე შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ პოლიციას, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა და პოლიციის მუშაკთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, და ისიც მაშინ, თუ სხვაგვარი ხერხებითა და საშუალებებით ასეთი დავდასხმის მოგერიება შეუძლებელია.

პოლიციის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებანი უნდა ინახებოდეს ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ პირობებში.

კანონით, პოლიციის თანამშრომელს ეკრძალება ისეთი ფიზიკური იძულების და სპეციალური საშუალებების გამოყენება, რომელიც ადამიანის მძიმე დასახიჩრებას იწვევს, ან დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან და იკრძალება საერთაშორისო კონვენციებითა და აქტებით.

გარდა პოლიციის შესახებ კანონისა, პარლამენტის მიერ 1999 წლის 30 აპრილს მიღებული იქნა **საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ.*** ეს არის კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურის მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ღია და ფარული მეთოდებით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ამასთანავე, პოლიციის შესახებ კანონი აძლევს პოლიციას უფლებას გათვალისწინებულ შემთხვევებში განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო ღონ-

---

* ძალაში შევიდა 1999 წლის 15 მაისიდან, შედგება VII თავისა და 22 მუხლისაგან.

ისძიებები. პენიტენციური სისტემის რეფორმის გარდამავალ პერიოდში, რომლის ვადებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი ევროსაბჭოს რეკომენდაციებით, თავისი ამოცანების შესასრულებლად შინაგან საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დანიშნოს პოლიციის ოფიცერი.[17]

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანებია: დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება, ისეთი პირების დადგენა, რომლებიც ამზადებენ, სჩადიან, ან ასევე ჩადენილი აქვთ დანაშაული ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებანი.

აწარმოონ იმ პირთა ძებნა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში წარდგენა, რომელიც ემალება მოკვლევას, წინასწარ გამოძიებას, სასამართლოს. თავს არიდებს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის, ან იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა მოხდას.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში შედის დანაშაულებრივი და დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა, ასევე უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების დაძებნა, სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება და ა.შ.

კანონით იკრძალება ისეთი ოპერატიული სამძებრო ღონისძიებანი, რომლებიც საფრთხეს უქმნიან პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, სახელმწიფო, საზოგადოებრივ, მეწარმეთა ქონებას. კანონით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს და ა.შ.

უფრო კონკრეტულად, პოლიციის საქმიანობის (ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაც) სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, კანონი პოლიციის შესახებ, კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, საქართველოს კანონები, საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ნორმა-

ტიული აქტები, საქართველოს შს სამინისტროს ნორმატიული აქტები, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციური ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ნორმატიული აქტები, ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კანონმდებლობას.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საფუძველზე დადგენილი წესით, საქართველოს გენერალური პროკურორის თანხმობით, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ცალკეულ საკითხებზე გამოსცენ უწყებრივი ნორმატიული აქტები.

ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს არა მარტო პოლიცია, არამედ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მთელი სამართალდამცავი სისტემა ემსახურება. დღეისათვის საკმაო სამართლებრივი ბაზა არსებობს ამ პრობლემების გადაჭრისათვის. აქ უკვე მხედველობაში გვაქვს არა საერთაშორისო პაქტები და ხელშეკრულებები, არამედ ეროვნული კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლის საფუძველზეც მუშაობს ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები:

სსრ კავშირის დაშლამ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წარმოქმნამ, პოსტსაბჭოურ სივრცეში ბევრი პრობლემა წარმოშვა. უფრო სწრაფად იცვლება სახელისუფლო სტრუქტურები, მმართველობის ფორმები, იქმნება ახალ-ახალი სამთავრობო ორგანოები, დეპარტამენტები, სამინისტროები და ა.შ. მაგრამ ძალიან რთულად და ძნელად მიმდინარეობს ხალხის ცნობიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალ ეპოქასთან შეგუების პროცესები, ამას დაემატა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ზრდა, რამაც იმოქმედა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გარანტიებზე.

პარალელურად ევროპის და ამერიკის ყველა სახელმწიფოს (და არა მარტო) მოქალაქეები მოითხოვენ დამნაშავეობისა და მასიური არეულობებისგან თავის დაზღვევას, უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტურ დაცვას. გამჭირვალობის ინფორმატიზაციის პირობებში, ხალხის ფართო მასები პოლიციისაგან მოითხოვს კანონიერებისა და ჰუმანიზმის პრინციპების უფრო მკაცრ დაცვას, რაც დაკავშირებულია სამართლებრივ და საშემსრულებლო კულტურასთან. აქედან გამომდინარე, შესაცვლელია კადრების შერჩევისა და მომზადება-გადამზადების მეთოდები, დასახვეწია პოლიციის თანამშრომელთა მიმართ მზრუნველობის, წახალისებისა და ანაზღაურების ფორმები, რითაც ამაღლდება კანონისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, გაიზრდება პროფესიონალიზმი, დაიხვეწება თანამშრომელთა ქცევის ნორმები, გაუმჯობესდება ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამ მხრივ ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გათვალისწინებულია ახალი „ადამიანის უფლებებისა და ღირსების ხელმყოფი“ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა თავის შეტანა.

გასაზიარებელია ის წინადადებანი, რომელიც სხვადასხვა დროს გამოთქვეს ქართველმა იურისტებმა პერიოდულ პრესაში, რომელიც ეხება ქართულ კანონმდებლობას, რომელმაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში ასახული ადამიანის უფლებათა სტანდარტების საფუძველზე სრულყოს კანონმდებლობა და პრაქტიკა. ეს პრაქტიკა ანუ ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართალი დაეხმარება ეროვნულ სასამართლოებს კონვენციის სწორ განმარტებებში[18] (იგულისხმება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია, გ.ლ.).

უკანასკნელ პერიოდში მართლაც ბევრმა ქვეყანამ გაითავისა კონვენციების საფუძველზე მიღებული პრეცენდენტების მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და სახელმწიფოებს შეაქვთ ეროვნულ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებები, შესწორებანი და დამატებები თავიანთი კანონმდებლობის, კონვენციების დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კანონმდებლობის სრულყოფა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, პოლიციას მისცემს დიდ საშუალებას, მართლაც შეასრულოს ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტის როლი და ფუნქცია, რადგანაც თანამედროვე ცივილიზაციათა განვითარებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს კანონის დაცვა და მისი პატივისცემა ყველას მხრიდან, ვინც პასუხისმგებელია კანონის შესრულებაზე და ადამიანის უფლებათა აბსოლუტური პატივისცემა მათი მხრიდანაც, ვინც პასუხისმგებელია მათ დაცვაზეც.

საზოგადოების შეგნებული ნაწილი აფასებს თავისი უფლებების დაცვის გარანტს — პოლიციას. ამის საუკეთესო მაგალითი იყო 9 აპრილისა და 23 ნოემბრის (ვარდების რევოლუციის) მოვლენები, როცა საქართველოს პოლიცია უყოყმანოდ დადგა თავისი ქვეყნის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

და ბოლოს, XXI საუკუნის სამართალდამცავ სტრუქტურებს, მათ შორის პოლიციას, სხვა მოთხოვნებს წაუყენებს ცხოვრება. ამიტომ უმაღლესმა სასწავლებლებმა, რომლებიც ამზადებენ კადრებს „ძალოვანი“ და სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის, უნდა გადახედონ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს და სათანადო დატვირთვა მისცენ ისეთ დისციპლინებს, რომლებიც ორიენტირებული არიან ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის პრობლემებზე.

ლიტერატურა:

1. С.А. Удовик, Глобализация Семиотические подходы, М., 2002, *1.* ст. 1.
2. ბ. ლუტიძე, გლობალიზაცია, არსი, პრობლემები. თბ., 2003 წ. *2.* გვ. 5.
3. გ. ლობჟანიძე, საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა. 2002 წ. *3.* გვ. 86-112; *4.* გვ. 112-113; *11.* გვ. 61.
4. შენიშვნები ადამიანის უფლებათა და ადამიანის უფლებათა მონიტორინგის შესახებ, 1998 წ. *5.* გვ. 34.
5. European committee on crime problems. Strasburg, 22 July, 2001. *6.*
6. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დოკუმენტები (წიგ. II) თბ., 1999 წ. *7.* გვ. 102; *12.* 24.
7. მ. ობერი, უფროსი სამხედრო ხელმძღვანელების ბრძანებებისა და მეთაურების პასუხისმგებლობის საკითხი, ჟენევა, 1994 წ.; *8. 9.* 172-173.
8. პროექტი „ჰარმონია" პროგრამის სასწავლო მასალები. თბ., 2000. *10.* გვ. 7.
9. ოჯახური ძალადობა და სახელმწიფო. თბ., 2002 წ. *13.* გვ. 110; *14.* გვ. 110-113.
10. გ. ლობჟანიძე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო გარანტიები, თბ., 2003 წ. *15.* გვ. 191-205.
11. დაწ. გ. ლობჟანიძე, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2002 წ. *16.* გვ. 383-386.
12. პოლიციის უფლებები და მოვალეობები. სტრასბურგი, 2001 წ. *17.* გვ. 14.
13. გაზ. „24 საათი", 10 ნოემბერი, №167, 2002 წ. *18.* გვ. 4.
14. Patterns of global terrorism 2001 United States Department of state May 2002.
15. L.L. Lindsey, Gender Rolcs, A sociological Perspective Prentice hall, upper saddie river New Jerscy, 07458.

Givi Lobzhanidze
Law of Human Rights

Resume

The work of Givi Lobzhanidze is dedicated to the law problems of political sciences of one of the most needed and actual human universal rights and the matters of lawful state and civil society formulation. In this work there are taken into the consideration in this sphere modern conceptions and dogmas. The work has the meaning of scientific-utilization direction. It is a collection of fresh ideas and scientific research with its conclusions and recommendations. The main theses of the book are:

1. The pluralistic democracy and lawful state are inevitable elements for the development of all main human rights and freedom; it provides contacts between people and the respect of other humanitarian problems connected with the development.
2. The lawful state means not just formal legislation, which provides regularity and succession in the establishment and preservation of democratic rules but the justice as well. It is based on the acknowledgement and complete share of person's highest dignity and on that institution existence guarantee, which makes an affective structure and, on its side, provides its complete expression.
3. Democracy is inseparable element of the lawful state and civil society.

The work has utilization and scientific-practical meaning and direction. In it, on the example of Georgia, there are given concrete scientific answers to lawful state and governmental and nongovernmental, international organizations of civil society, to great achievement of democracy in Georgia, to the institution of human's protector, to constitutional court, to the role and meaning of the police, to humanitarian law, to

and meaning of the police, to humanitarian law, to international action of Red Cross, to the lawful status of refugees and IDP and other important questions.

It is worth of mentioning that professor Givi Lobzhanidze created the book in the court of human rights, which is the result of long-lasting and fertile work. He gives an exact scientific and objective answer to almost all the questions of human rights.

Enumerating the questions is sufficient to give to the present work the scientific estimation.

The work consists of six chapters. In the first chapter, "The essence of human rights law" there are discussed questions: idea of human rights law, object and the method of search; human rights law in the public and juridical scientific system; sources of human rights law and the system; the idea of human rights and freedom; the evolution of human rights conception; universal and national standards of human's main rights and freedom; determination of law status of a person; law condition of the foreigners and their rights; human and law.

In the second chapter, "the mechanisms of universal and regional protection of human universal rights," there are presented questions: united nation organization and human rights; Europe soviet and human rights; human rights and EU; Osce and human rights; human rights and governmental and non-governmental international organizations.

In the third chapter, "international and innerstate guarantees of human rights protection", the author represents the following questions: the classification of guarantees of human rights protection; constitutional guarantees of human rights protection; constitutional court – the guaranty of human rights protection; common courts of Georgia – the protection guaranty of human rights and freedom; ombudsmen institution as the protector of human rights; international guarantees of chil-

dren rights; children's rights and Georgian legislation; international guarantees of women rights protection; women rights and Georgian legislation.

In the fourth chapter, "state and human rights" the reader will get introduced with the following questions: lawful state and human rights; human rights and civil society; state, people, national minority and their rights; the evolution of human rights in Georgian traditional law.

The author in the fifth chapter, "human's international rights at the time of military condition", pays an important attention to discussing the following questions: war and human rights; human rights and the conception of "humanitarian interfere"; "art" of war and Georgia; international comity of Red Cross and human rights; Red Cross and Georgia; human rights and refugees; shelter rights; Georgia, refugees and their rights.

In the sixth chapter "human rights and police" there are discussed the questions: globalization and human rights; European standards of rights protection and police; human rights and gender violence; human rights and police.

One of the most dignities of the book is its appendix. In the work there is represented almost all international documents of human rights protection.

We consider the book as positive and important acquisition of juridical science. It will help students, aspirants, professor – teachers, scientists, also lawful state and civil society to raise problem and all readers who are interested in learning law of human rights protection.

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა და გამოაცხადა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომლის სრული ტექსტიც აქ არის მოცემული. მიიღო რა ეს ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება, ასამბლეამ მოწოდებით მიმართა ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს გამოაქვეყნონ დეკლარაციის ტექსტი და ყველაფერი იღონონ „მის გავრცელების, საჯაროობისა და განმარტებისათვის, უმთავრესად სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, ქვეყნების ან ტერიტორიების პოლიტიკური სტატუსის განურჩევლად".

პრეამბულა

ვინაიდან, ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების და მათი თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს; და

ვინაიდან, ადამიანის უფლებათა უგულებელყოფამ და აბუჩად აგდებამ გამოიწვია ბარბაროსული აქტები, რომლებიც აღაშფოთებს კაცობრიობის სინდისს, და რომ ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომლებშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და მრწამსის თავისუფლება და რომელშიც ისინი თავისუფლად იქნებიან შიშისა და გაჭირვებისაგან, გამოცხადებულია ადამიანთა მაღალ მისწრაფებად; და

ვინაიდან, აუცილებელია ადამიანის უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, როგორც უკანასკნელ საშუალებას: და

ვინაიდან, აუცილებელია ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის, ხელის შეწყობა. და

ვინაიდან, გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულებისადმი და მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობისადმი და გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას მეტი თავისუფლების პირობებში; და

ვინაიდან, წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემას და დაცვას; და

ვინაიდან, ასეთ უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულების მთლიანად შესრულებისათვის,

ამიტომ,

გენერალური ასამბლეა

აცხადებს ადამიანის უფლებათა ამ საყოველთაო დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყველა ხალხი და ყველა სახელმწიფო, რათა ყოველი ადამიანის და საზოგადოების ყველა ორგანო, გამუდმებით გაითვალისწინებს რა ამ დეკლარაციას, მიისწრაფვოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და ამით საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ეროვნული და საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით, როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე მათ იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

მუხლი 1

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ ბოძებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.

მუხლი 2

წინამდებარე დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერისა, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის საფუძველზე.

უფრო მეტიც, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.

მუხლი 3

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

მუხლი 4

არავინ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.

მუხლი 5

არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან

სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი.

მუხლი 6

ყოველ ადამიანს, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, აქვს უფლება, რომ აღიარებულ იქნეს მისი სამართალსუბიექტობა.

მუხლი 7

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, აქვს უფლება, თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დასკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან.

მუხლი 8

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტიანად იქნეს აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური (ეროვნული) სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძარითალი უფლებები.

მუხლი 9

არავის დაპატიმრება, დაკავება ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად.

მუხლი 10

ყოველ ადამიანს თავის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლის სამართლებრივ ბრალდების საფუძვლიანობის დასადგენად, სრული თანასწორობის საფუძველზე აქვს უფლება, რომ მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

მუხლი 11

1. ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლება ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

2. არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს დანაშაულისათვის რაიმე ისეთი მოქმედების ჩადენის საფუძველზე, ანდა ისეთი უმოქმედობისათვის, რომლებიც ჩადენის დროს არ შეადგენდა დანაშაულს ეროვნული კანონის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არ შეიძლება აგრეთვე უფრო მძიმე სასჯელის დადება, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო დანაშაულის ჩადენის დროს.

მუხლი 12

არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციისა, ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.

მუხლი 13

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად გადაადგილდეს და აირჩიოს თავისი საცხოვრებელი ადგილი ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებში.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის თავისიც, და დაბრუნდეს საკუთარ ქვეყანაში.

მუხლი 14

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დევნისაგან თავშესაფარი სხვა ქვეყანაში ეძიოს და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.

2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი დევნის შემთხვევაში, რომლის საფუძველს ნამდვილად წარმოადგენს არაპოლიტიკური საფუძველი, ანდა ქმედებისა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 15

1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.

2 არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა.

მუხლი 16

1. სრულასაკოვნებას მიღწეულ კაცებსა და ქალებს უფლება აქვთ რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, დაქორწინდნენ და ოჯახი დააფუძნონ. ისინი ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ დაქორწინებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.

2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.

3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ.

მუხლი 17

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად.

2. არავის არ უნდა ჩამოერთვას მისი ქონება თვითნებურად.

მუხლი 18

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმასრულებლობისა, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წესჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.

მუხლი 19

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოხატვისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.

მუხლი 20

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.

2. არავის იძულება არ შეუძლია რაიმე ასოციაციაში შესასვლელად.

მუხლი 21

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში უშუალოდ, ან თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის საჯარო სამსახურში.

3. ხალხის ნება უნდა იყოს სახელმწიფო მთავრობის ძალაუფლების საფუძველი: ეს ნება უნდა გამოხატავდეს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებს, რომლებიც უნდა

ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების პირობებში, ფარული კენჭისყრით ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

მუხლი 22

ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ეროვნული ძალისხმევისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების თავისუფალი განვითარებისათვის.

მუხლი 23

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა ყოველგვარი დასკრიმინაციის გარეშე.

3. ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია, ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.

4. ყოველ ადამიანს უფლება აქვს შექმნას პროფესიული კავშირები და თავისი ინტერესების დასაცავად შევიდეს პროფესიულ გაერთიანებებში.

მუხლი 24

ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და თავისუფალი

დროის გამოყენების უფლება, სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და პერიოდული ანაზღაურებული შვებულების ჩათვლით.

მუხლი 25

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

2. დედობა და ჩვილი ბავშვის ყოლა იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარების სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთიანი სოციალური დაცვით.

მუხლი 26

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებით და ზოგად დონეზე, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი — ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თითოეულის უნარის მიხედვით.

2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გაძიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყ-

ნარებლობასა და მეგობრობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

3. მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება, აირჩიონ რა სახის განათლებაც სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის.

მუხლი 27

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრამაში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, რომლებიც არის შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორიცაა იგი.

მუხლი 28

ყოველ ადამიანს აქვს ისეთი სოციალური და საერთაშორისო წესრიგის უფლება, რომლის პირობებშიც შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება.

მუხლი 29

1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

2. ყოველი ადამიანი თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვას, როგორიც კანონითაა დადგენილი მხოლოდ იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და

საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

3. ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არვითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 30

ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალკეული პირებისათვის ისეთი უფლების მინიჭება, ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას, ან ჩაიდინონ ისეთი მოქმედება, რომლებიც მიმართულია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსპობისაკენ.

ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ

1950 წლის 4 ნოემბერი

მოცემულ კონვენციაზე ხელისმომწერი ევროპის საბჭოს წევრი მთავრობები

ითვალისწინებენ 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას.

ითვალისწინებენ, რომ ამ დეკლარაციის მიზანია მასში განცხადებული უფლებების საყოველთაო და ეფექტური აღიარება და დაცვა.

მიიჩნევენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მისი წევრების მჭიდრო ერთიანობის მიღწევა და რომ მისი ხორცშესხმის ერთ-ერთი გზაა ადამიანის უფლებათა და ძირითადად თავისუფლებათა დაცვა და მათი შემდგომი განხორციელება.

კვლავ ალიარებენ თავიანთ ღრმა რწმენას, რომ ეს ძირითადი თავისუფლებები წარმოადგენენ საფუძველს სამართლიანობის და დედამიწაზე მშვიდობისათვის, რომელთა მხარდაჭერა შეიძლება ერთის მხრივ, ეფექტური პოლიტიკური დემოკრატიით, ხოლო მეორეს მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთო გაგებით და დაცვით მათ მიერ, ვისზედაც ეს არის დამოკიდებული.

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ერთიანი პოლიტიკური ტრადიციის, თავისუფლების იდეალების, სამართლიანობის ბატონობის მქონე და თანამედროვე ევროპული მთავრობის სახით გადადგან პირველი ნაბიჯები საყოველთაო დეკლარაციაში მითითებული უფლებების კოლექტიური უზრუნველყოფისათვის. შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 — ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ მის იურისდიქციაში მყოფი ყოველი ადამიანისთვის იმ უფლებებს და თავისუფლებებს, რომლებიც გადმოცემულია მოცემული კონვენციის I ნაწილში.

ნაწილი I

მუხლი 2 — სიცოცხლის უფლება

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლებას იცავს კანონი. არავინ არ შეიძლება განზრახ გამოასალმონ სიცოცხლეს გარდა შემთხვევისა, როდესაც სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი სასამართლოს განაჩენი, რომელიც მოცემულ პირს მიიჩნევს დამნაშავედ ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას.

2. სიცოცხლის მოსპობა მოცემული მუხლის დარღვევად არ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როცა იგი შედეგია ძალის გამოყენებისა აბსოლუტური აუცილებლობის დროს:

ა) ნებისმიერი პირის უკანონო ძალადობისაგან დაცვის დროს;

ბ) კანონიერი დაპატიმრების ან კანონიერ საფუძველზე დაკავებული პირის გაქცევისათვის ხელის შეშლის დროს;

გ) ბუნტის ან აჯანყების ჩახშობისას ჩადენილი კანონიერი მოქმედების დროს.

მუხლი 3 — წამების აკრძალვა

არავინ არ შეიძლება აწამონ ან მოეპყრონ ან დასაჯონ მისი პიროვნული ღირსების დათრგუნვით.

მუხლი 4 — მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

1. არავინ არ შეიძლება ცხოვრობდეს მონობაში ან არათავისუფალ მდგომარეობაში.

2. ძალდატანებით არავინ არ უნდა ასრულებდეს იძულებით ან სავალდებულო შრომას.

3. ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო შრომა“ მოცემულ კონცეფციაში არ მოიცავს:

ა) რომელიმე სამუშაოს, რომელიც ჩვეულებრივ სრულდება მოცემული კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, მომხდარი დაპატიმრების ან ამგვარი პატიმრობიდან პირობითი გათავისუფლების დროს;

ბ) სამხედრო ხასიათის ყოველგვარ სამუშაოს, ხოლო ქვეყნებში, რომელთა მოქალაქენი უარს ამბობენ პოლიტიკური ან რელიგიურ-ეთნიკური მოტივებით ამგვარი სამუშაოს შესრულებაზე, იმ სამუშაოს, რომელიც სრულდება სავალდებულო სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ;

გ) სამუშაოს, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს განსაკუთრებული მდგომარეობის ან უბედურების დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლეს და კეთილდღეობას;

დ) ნებისმიერ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც ჩვეულებრივ სამოქალაქო ვალდებულებათა ნაწილს შეადგენს.

მუხლი 5 — თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

1. ყოველ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება. არავის არ უნდა წაერთვას თავისუფლება გარდა ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული პროცედურით:

ა) პიროვნების კანონიერი დაპატიმრება კომპეტენტური სასამართლოს მიერ მისი გასამართლების შემდგომ;

ბ) კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება პიროვნებისა სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების შეუსრულებლო-

ბის ან კანონით გათვალისწინებული რაიმე ვალდებულების შესასრულებლად;

გ) პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება, რათა იგი წარდგეს კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე საფუძვლიანი ეჭვის არსებობის დროს მის მიერ დანაშაულის ჩადენის გამო, ან იმ შემთხვევაში, როცა დასაბუთებულადაა მიჩნეული აუცილებელი წინააღმდეგობა გაეწიოს დანაშაულის ჩადენას ან გაქცევას დანაშაულის ჩადენის შემდეგ;

დ) არასრულწლოვანის დაკავება კანონიერი განკარგულებით, რათა ისწავლოს ზედამხედველობის ქვეშ ან მისი კანონიერი დაპატიმრება, რათა იგი წარდგეს კომპეტენტური სასამართლოს ორგანოს წინაშე;

ე) პირთა კანონიერი დაკავება გადამდები სნეულებების გავრცელების ხელის შეშლის მიზნით, აგრეთვე დაკავება ფსიქიურად დაავადებული ადამიანების, ლოთების, ან ნარკომანების და მაწანწალების;

ვ) კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება პირისა, რათა ხელი შეეშალოს მის უკანონო შესვლას ქვეყანაში, ან პირისა, რომლის მიმართაც ხორციელდება ღონისძიებები გასახლების ან გადაცემისათვის.

2. ყოველ დაპატიმრებულს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ აცნობებენ მისი დაპატიმრების მიზეზებს და ყოველგვარ წარდგენილ ბრალდებას.

3. ყოველი დაპატიმრებული ან დაკავებული პირი, ამ მუხლის 1c ქვეპუნქტის შესაბამისად. დაუყოვნებლივ მიჰყავთ მოსამართლესთან ან სხვა თანამდებობის პირთან, რომელსაც კანონის მიხედვით აქვს სასამართლო ძალაუფლება და უფლება აქვს მისაღებ ვადაში ჩაატაროს სასამართლო განხილვა, ან გათავისუფლება სასამართლომდე. გათავისუფლება დამოკიდებულია წარდგენილ გარანტიებზე სასამართლოში გამოცხადების შესახებ.

4. ყოველ პირს, რომელიც დაპატიმრებული ან დაკავებულია, უფლება აქვს განხილულ იქნეს მისი საქმე, რის შემდეგაც სასამართლო გამოიტანს განაჩენს მისი დაკავების კანონიერების შესახებ და დაადგენს მის გათავისუფლებას უკანონოდ დაკავების შემთხვევაში.

5. ყოველ პირს, რომელიც დაპატიმრებული ან დაკავებული იყო მოცემული მუხლის მითითების დარღვევით, უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია, რომელსაც სარჩელის ძალა აქვს.

მუხლი 6 — სამართლიანი მართლმსაჯულების უფლება

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს მისი სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების განსაზღვრის ან მისდამი წარდგენილი ყოველგვარი სისხლის სამართლის ბრალდების წარდგენის დროს ითხოვოს მისაღები ვადის განმავლობაში დამოუკიდებელი და მიუმხრობელი სასამართლოს მიერ მისაღები ვადის განმავლობაში დამოუკიდებელი და მიუმხრობელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანად და საჯაროდ განხილვა. განაჩენი ცხადდება საჯაროდ, მაგრამ შეიძლება პრესა და საზოგადოება არ იქნეს დაშვებული სხდომების ნაწილზე. დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან სახელმწიფო უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, როდესაც ამას ითხოვს მოზარდთა ინტერესები ან მხარეთა კერძო ცხოვრების დაცვა, რადგან საჯაროობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების ინტერესებს.

2. ყოველი ეჭვმიტანილი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი დანაშაული დადგენილი არ იქნება კანონის შესაბამისად.

3. სისხლის დანაშაულის ჩადენაში ყოველ ეჭვმიტანილს, როგორც მინიმუმი, შემდეგი უფლება აქვთ:

ა) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ გააგებინო

მისდამი წარდგენილი ბრალდების საფუძველი და ხასიათი;

ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი თავისი დაცვის მოსამზადებლად;

გ) დაიცვას თავი თვითონ ან შუამავლობით არჩეული პირის მეშვეობით. თუ არა აქვს საჭირო თანხა დამცველის მომსახურების ასანაზღაურებლად, შეუძლია უფასოდ ისარგებლოს მისი მომსახურებით, როცა ამას ითხოვს სასამართლოს ინტერესები;

დ) დაიკითხოს მოწმეები, რომლებიც მის საწინააღმდეგო ჩვენებებს იძლევიან. მოითხოვოს ამ მოწმეთა დაკითხვა, აგრეთვე თავის მოწმეთა დაკითხვა იმავე პირობების დაცვით, რომლებიც არსებობს მის საწინააღმდეგოდ გამოსული მოწმეებისათვის;

ე) თუ არ ესმის, ან არ ფლობს ენას, რომელსაც იყენებს სასამართლო მუშაობისას, ისარგებლოს მთარგმნელის უფასო დახმარებით.

მუხლი 7 — არავითარი სასჯელი კანონის გარეშე

1. არც ერთი ადამიანი არ შეიძლება მიჩნეული იქნას სისხლის სამართლის რაიმე დანაშაულის ჩამდენად, თუ ჩადენის მომენტისათვის რაიმე მოქმედების ან დაუდევრობის მიზეზით შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებობის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით მისი მოქმედება არ ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად. არ შეიძლება გამოტანილ იქნას უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე ის, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მომენტში.

2. წინა მუხლი არ კრძალავს სასამართლოსათვის ან დასასჯელად ნებისმიერი პირის გადაცემას, რომელმაც ჩაიდინა რაიმე მოქმედება და მისი ჩადენის მომენტში ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული სამართლის საერთო პრინციპებიდან გამომდინარე.

მუხლი 8 — პირადი და საოჯახო ცხოვრების პატივისცემის უფლება

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს პატივი სცენ მის პირად ან საოჯახო ცხოვრებას, საცხოვრებელს, მისი კორესპონდენციის საიდუმლოებას.

2. სახელმწიფო ორგანოების მხრივ, არავითარ შემთხვევაში ხელი არ უნდა შეეშალოს ამ უფლების განხორციელებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როცა საფრთხე ემუქრება სახელმწიფოს და საზოგადოების უსაფრთხოებას ან ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას, როცა საჭიროა უწესრიგობათა ან დანაშაულებათა თავიდან აცილება, მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობრიობის, ან სხვა პირთა უფლებათა ან თავისუფლებათა დაცვა.

მუხლი 9 — მრწამსის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება

1. ყოველ ადამიანს აქვს მრწამსის, სინდისის და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება გულისხმობს თავისუფლებას შეიცვალოს რელიგია ან რწმენა. აწარმოოს აღმსარებლობა როგორც პირადად, ისე სხვებთან ერთად. კერძოდ ან საჯაროდ: თავისუფლებას კულტმსახურების, მოძღვრების და სხვადასხვა რელიგიური და რიტუალური წესების აღსრულებისა.

2. რელიგიის ან მოძღვრებათა აღმსარებლობა შეიძლება შეზღუდულ იქნას მხოლოდ კანონით დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ან ზნეობრიობის ან სხვა პირთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით.

მუხლი 10 — აზრის გამოხატვის თავისუფლება

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას და დაიცვას თავისი აზრები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები სახელმწიფო ხელისუფალთა ან სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად, აღნიშნული მუხლი ხელს არ შეუშლის სახელმწიფოებს მოითხოვონ ლიცენზირება, რადიო-ტელე და კინოკომპანიებისათვის.

2. ვინაიდან მოცემულ თავისუფლებათა გამოყენება აკისრებს ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას, მათ განხორციელებას შეიძლება ახლდეს ფორმალურობანი, პირობითობანი, შეზღუდვები და სასჯელები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად, უწესრიგობათა და დანაშაულებათა თავიდან ასაცილებლად, მოსახლეობის ჯანმრთელობის და ზნეობის დასაცავად, სხვა პირთა რეპუტაციის ან უფლებათა დასაცავად, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გავრცელების ასაკრძალავად, ან სასამართლო ორგანოთა ავტორიტეტებისა და მიუკერძოებლობის დასაცავად.

მუხლი 11 — შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლება

1. ყოველ ადამიანს აქვს მშვიდობიანი შეკრებების, სხვებთან ერთად გაერთიანების, საკუთარი ინტერესების დასაცავად პროფკავშირების შექმნისა და მათში შესვლის თავისუფლების უფლებანი.

2. ჩამოთვლილ უფლებათა მოთხოვნა შეუზღუდავია, გარდა კანონით გათვალისწინებული აკრძალვებისა, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად, უწესრიგობათა ან დანაშაულებათა თავიდან ასაცილებლად. მოსახლეობის ჯანმრთელობის და ზნეობის დასაცავად ან

სხვა პირთა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი არ კრძალავს შემოღებულ იქნას კანონიერი შეზღუდვები შეიარაღებულ ძალებში, პოლიციაში ან სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებში შემავალი პირებისათვის.

მუხლი 12 — ქორწინების უფლება

საქორწინო ასაკს მიღწეულ მამაკაცებს და ქალებს უფლება აქვთ დაქორწინდნენ. შექმნან ოჯახი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს ამ უფლების განხორციელებას.

მუხლი 13 — კანონით ეფექტური დაცვის უფლება

ამ კონვენციაში მითითებული უფლებების და თავისუფლებების შელახვის შემთხვევაში, თუნდაც ეს დარღვევა მოხდეს სამსახურეობრივი მოვალეობის აღსრულების დროს, ყოველი პირის შელახული უფლებანი და თავისუფლებანი უნდა აღადგინოს ეროვნულმა სახელმწიფო ორგანომ.

მუხლი 14 — დისკრიმინაციის დაუშვებლობა

ამ კონვენციაში ჩამოყალიბებული უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობა შეუძლია ყველას, ყოველგვარი სახის — სქესობრივი, რასობრივი, კანის ფერის, ენის, რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნულ უმცირესობასთან კუთვნილების, ქონებრივი, წოდებრივი ან სხვაგვარი მდგომარეობის მიხედვით.

მუხლი 15 — დათქმა საგანგებო სიტუაციის დროს

1. ომის ან სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის დროს, როდესაც საფრთხე ემუქრება ერის არსებობას, მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველ სახელმწიფოს უფლება აქვს მიიღოს

ზომები და კონვენციით აღებული ვალდებულებები დათმოს იმ მოცულობით, რომელიც შეესატყვისება არსებულ საშიშროებას, მაგრამ იმ პირობით, რომ მსგავსი ზომები არ შეეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ აღებულ საერთაშორისო სამართლის შესაბამის ვალდებულებებს.

2. არავითარი გადახვევა დებულებიდან, რომელიც მე-2 მუხლშია მოყვანილი, გარდა კანონიერი საომარი მოქმედების დროს ადამიანების დაღუპვის, აგრეთვე 3, 4 (პუნქტი 1) და 7 მუხლების დებულებებიდან, ნებადართული არ არის.

3. მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი სახელმწიფო, რომელიც გამოიყენებს ვალდებულებებიდან გადახვევის ამ უფლებას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს სრულ ინფორმაციას აწვდის მიღებული ზომების და მათი მიღების მიზეზის შესახებ; ასევე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, როცა ამგვარი ზომების მოქმედება შეწყდება და კონვენციის დებულებანი ხელახლა შევა ძალაში.

მუხლი 16 — უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა

10, 11 და 14 მუხლები არ უკრძალავს სახელმწიფოს შემოიღონ შეზღუდვები უცხოელთა პოლიტიკურ მოღვაწეობაზე.

მუხლი 17 — უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა

ამ კონვენციაში არაფერი არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფს ან პირს უფლება აქვს აწარმოოს ნებისმიერი მოღვაწეობა ან შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რომლებიც მიმართული იქნება ამ კონვენციაში მითითებული უფლებების ან თავისუფლებების ლიკვიდაციისაკენ. და მათი შეზღუდვისაკენ უფრო მეტად, ვიდრე ეს კონვენციაშია მითითებული.

მუხლი 18 – უფლებათა შეზღუდვის გამოყენების ლიმიტირება

ამ კონვენციაში მითითებული შეზღუდვები არ შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა მიზნით, გარდა იმისა, რისთვისაც ისინი განკუთვნილია.

ნაწილი II
ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო

მუხლი 19 – სასამართლოს დაარსება

მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის იქმნება:

1. ადამიანთა უფლებების ევროპის კომისია, შემდგომ „კომისიად“ წოდებული;

2. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, შემდგომ „სასამართლოდ“ წოდებული;

მუხლი 20 – მოსამართლეთა რაოდენობა

სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა თანაბარი იქნება მაღალ ხელმომწერ მხარეთა რაოდენობისა.

მუხლი 21 – მოსამართლეთა არჩევის კრიტერიუმი

1. მოსამართლეები უნდა ხასიათდებოდნენ მაღალი მორალური თვისებებით და უნდა ჰქონდეთ მაღალი თანამდებობის დაკავებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია, ან უნდა იყვნენ აღიარებული კომპეტენციის იურიდიული კონსულტანტები.

2. მოსამართლეები სასამართლოში იმსახურებენ თავიანთი პირადი უფლებაუნარიანობით.

3. მათი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში მო-

სამართლები არ უნდა დაკავდნენ ისეთი საქმიანობით, რაც შეუთავსებელი იქნება მათ დამოუკიდებლობასთან და მიუკერძოებლობასთან ან სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოთხოვნებთან; ყველა საკითხი, რომელიც წარმოიშობა ამ პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით, გადაწყდება სასამართლოს მიერ.

მუხლი 22 – მოსამართლეთა არჩევა

1. მოსამართლეები აირჩევიან საპარლამენტო ასამბლეის მიერ ხმების უბრალო უმრავლესობით თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარის სურვილის გათვალისწინებით მათ მიერ წარმოდგენილი სამი კანდიდატისაგან შემდგარი სიიდან.

2. იგივე პროცედურა იქნება გამოყენებული სასამართლოს შესავსებად ახალი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიღებისა და სათანადო ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 23 – უფლებამოსილების ვადა

1. მოსამართლეები აირჩევიან ექვსი წლის ვადით. შესაძლებელია მათი ხელახალი არჩევა. ამასთან პირველ არჩევნებზე არჩეული მოსამართლეების ერთი ნახევრის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება პირველი სამი წლის ბოლოს.

2. მოსამართლეები, რომელთა უფლებამოსილების ვადა უნდა ამოიწუროს პირველი სამი წლის ბოლოს, აირჩევიან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ჩატარებული კენჭისყრით დაუყოვნებლივ მათი არჩევის შემდეგ.

3. იმისათვის, რომ მოსამართლეთა ნახევრის განახლება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი, საპარლამენტო ასამბლეამ შემდგომში არჩევნების ჩატარებამდე შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ერთი ან მეტი ასარჩევი მოსამართლის უფლებამოსილების ვადა ან ვადები არ განისაზღვროს ექვსი წლით და განისაზღვროს არა უმეტეს ცხრა და არა ნაკლებ სამი წლით.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა უფლებამოსილების ერთზე მეტი ვადა და საპარლამენტო ასამბლეა გამოიყენებს წინა პარაგრაფს, უფლებამოსილების ვადების განსაზღვრა მოხდება გენერალური მდივნის ან ევროპის საბჭოს მიერ არჩევნების შემდეგ კენჭისყრის დაუყოვნებლივ ჩატარებით.

5. მოსამართლე, რომელიც აირჩევა იმ მოსამართლის შესაცვლელად, რომლის უფლებამოსილების ვადაც არ არის ამოწურული, იმსახურებს მისი წინამორბედი მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

6. მოსამართლეთა უფლებამოსილება იწურება, როდესაც ისინი აღწევენ 70 წლის ასაკს.

7. მოსამართლეები მსახურობენ მათ შეცვლამდე. ამასთან, ისინი გააგრძელებენ მუშაობას იმ საქმეებზე, რომლებიც არიან მათი განხილვის ქვეშ.

მუხლი 24 – სამსახურიდან დათხოვნა

დაუშვებელია მოსამართლის დათხოვნა სამსახურიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა მოსამართლეები ხმების ორი მესამედით გადაწყვეტენ, რომ იგი ვეღარ აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 25 – კანცელარია და რეფერენტები

სასამართლოს აქვს კანცელარია, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია განისაზღვრება სასამართლოს რეგლამენტით. სასამართლო სარგებლობს რეფერენტთა მომსახურებით.

მუხლი 26 – სასამართლოს პლენარული სხდომები

პლენარულ სხდომებზე სასამართლო:

a. ირჩევს სასამართლოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ერთ ან ორ მოადგილეს სამი

წლის ვადით; შესაძლებელია მათი ხელახალი არჩევა;

b. ქმნის პალატებს განსაზღვრული ვადით;

c. ირჩევს სასამართლოს პალატების თავმჯდომარეებს; შესაძლებელია მათი ხელახალი არჩევა;

d. იღებს სასამართლოს რეგლამენტს;

e. ირჩევს კანცელარიის ხელმძღვანელსა და მის ერთ ან ორ მოადგილეს.

მუხლი 27 — კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა

1. შემოსულ საქმეებს სასამართლო განიხილავს სამი მოსამართლისაგან შემდგარ კომიტეტებში, შვიდი მოსამართლისაგან შემდგარ პალატებსა და ჩვიდმეტი მოსამართლისაგან შემდგარ დიდ პალატაში. სასამართლოს პალატები განსაზღვრული ვადით ქმნიან კომიტეტებს.

2. მოსამართლე არჩეული სახელმწიფოს მიერ, რომელიც მხარეა საქმეში, წარმოადგენს პალატისა და დიდი პალატიოს ex officio წევრს; ასეთი მოსამართლის არყოფნის შემტხვევაში, ან თუ მ,ას სხდომაში მონაწილეობა არ შეუძლია, მონაწილე სახელმწიფო ნიშნავს პირს, რომელიც სხდომაში მონაწილეობს მოსამართლის უფლებით.

3. დიდი პალატის შემადგენლობაში ასევე შედიან სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პალატის თავმჯდომარეები და სხვა მოსამართლეები, რომელთა არჩევა ხდება სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად, როდესაც 43-ე მუხლის შესაბამისად საქმე გადაეცემა დიდ პალატას, არც ერთი მოსამართლე იმ პალატიდან, რომელმაც გადასცა საქმე დიდ პალატას, არ შედის მის შემადგენლობაში სასამართლოს თავმჯდომარისა და იმ მოსამართლის გარდა, რომელიც განიხილავდა საქმეს საქმეში ჩართული სახელმწიფო მხარის წესის გათვალისწინებით.

მუხლი 28 — კომიტეტების მიერ საქმის მიუღებლობის გამოცხადება

კომიტეტს ხმების ერთსულოვნებით უფლება აქვს მიუღებლად გამოაცხადოს ან მისი საქმეების სიიდან ამოიღოს ინდივიდუალური განაცხადი, შემოსული 34-ე მუხლის მიხედვით, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებული იქნას შემდგომი განხილვის გარეშე. გადაწყვეტილება საბოლოო იქნება.

მუხლი 29 — პალატების გადაწყვეტილება საქმის მიღების და სათანადო ზომების შესახებ

1. თუკი გადაწყვეტილება არ არის მიღებული 28-ე მუხლის შესაბამისად, პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას 34-ე მუხლის მიხედვით შემოსული ინდივიდუალური განაცხადის თაობაზე და სათანადო ზომებზე.

2. პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას 33-ე მუხლის თანახმად შემოსული სახელმწიფოთაშორისი მიმართვების განსახილველად მიღებისა და სათანადო ზომების თაობაზე.

3. გადაწყვეტილება საქმის განსახილველად მიღების თაობაზე მიღებული იქნება განცალკევებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სასამართლო გამონაკლის შემთხვევაში სხვაგვარად გადაწყვეტს.

მუხლი 30 — დიდი პალატისათვის იურისდიქციის გადაცემა

იმ შემთხვევაში, როდესაც პალატის განხილვის ქვეშ მყოფი საქმე წამოჭრის სერიოზულ საკითხებს, რომლებიც ეხებიან კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებას, ან როდესაც პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გადაწყვეტილების გამოტანამდე

გადასცეს იურისდიქცია დიდ პალატას, თუკი საქმის არც ერთი მხარე არ იქნება ამის წინააღმდეგი.

მუხლი 31 — დიდი პალატის უფლებამოსილებანი

დიდი პალატა:

a. გადაწყვეტს 33-ე ან 34-ე მუხლების მიხედვით შემოსულ საქმეებს, როდესაც რომელიმე პალატა გადასცემს მას იურისდიქციას 30-ე მუხლის შესაბამისად, ან როდესაც მას საქმე გადაეცემა 43-ე მუხლის მიხედვით.

b. განიხილავს 47-ე მუხლის მიხედვით შემოსულ თხოვნებს კონსულტაციების თაობაზე.

მუხლი 32 — სასამართლოს იურისდიქცია

1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებასა და გამოყენებას, როგორც ეს განსაზღვრულია 33-ე, 34-ე და 47-ე მუხლებით.

2. სასამართლო თავად გადაწყვეტს დავას იმის თაობაზე, აქვს თუ არა მას იურისდიქცია კონკრეტულ საქმეზე.

მუხლი 33 — სახელმწიფოთაშორისი საქმეები

ნებისმიერ მაღალ ხელმომწერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა მაღალი ხელმომწერი მხარის მიერ კონვენციისა და მისი დებულებების ნებისმიერი დარღვევის თაობაზე.

მუხლი 34 — ინდივიდუალური განცხადებები

სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელმომწერი მხარის მიერ კონვენ-

ციითა და თანდართული ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელმომწერი მხარეები ვალდებული არიან არ შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტურ განხორციელებას.

მუხლი 35 — საქმის მიღების კრიტერიუმი

1. სასამართლოს შეუძლია მიიღოს საქმე მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული წესების თანახმად, ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება ამოიწურება, და ამასთან, ექვსი თვის ვადაში იმ თარიღიდან, როდესაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

2. სასამართლო არ მიიღებს 34-ე მუხლის მიხედვით შემოსულ ინდივიდუალურ საქმეებს, თუკი:

a. იგი არის ანონიმური, ან

b. არსებითად წარმოადგენს იგივე საკითხს, რომელიც უკვე განხილული იქნა სასამართლოს მიერ, ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურას და არ შეიცავს რაიმე ახალ ინფორმაციას.

3. სასამართლო გამოაცხადებს მიუღებლად ინდივიდუალურ განაცხადს, შემოსულს 34-ე მუხლის მიხედვით, თუკი მიიჩნევს, რომ განაცხადი შეუთავსებელია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად უსაფუძვლოა ან ბოროტად იყენებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.

4. სასამართლო უარყოფს განაცხადს, რომელსაც იგი მიიჩნევს მიუღებლად ამ მუხლის მიხედვით. სასამართლოს ამის გაკეთება შეუძლია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 36 — მესამე მხარის მონაწილეობა

1. პალატის ან დიდი პალატის მიერ განსახილველ ყველა საქმეში, მაღალ ხელმომწერ მხარეს, რომლის ერთ-

ერთი მოქალაქეც არის განმცხადებელი, უფლება ექნება წარმოადგინოს წერილობითი კომენტარები და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში.

2. სასამართლოს პრეზიდენტს შეუძლია მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, მოიწვიოს ნებისმიერი მაღალი ხელმომწერი მხარე ან ნებისმიერი პიროვნება, რომელიც არ არის მხარე პროცესში, რათა მათ წარმოადგინონ წერილობითი კომენტარები ან მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში.

მუხლი 37 — განაცხადის ამოღება სასამართლოს საქმეთა სიიდან

1. სასამართლოს შეუძლია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ამოიღოს განაცხადი მის საქმეთა სიიდან, როდესაც საქმის გარემოებებს იგი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ

a. განმცხადებელი არ აპირებს ბოლომდე მიჰყვეს მის განაცხადს;
b. საკითხი გადაწყდა;
c. სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით აღარ არის გამართლებული განაცხადის განხილვის გაგრძელება.

ამასთან, სასამართლო განაგრძობს განაცხადის განხილვას იმ შემთხვევაში, თუკი კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების პატივისცემა ამას მოითხოვს.

2. სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის მის საქმეთა სიაში აღდგენის შესახებ, თუკი მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებანი ამართლებენ ამგვარ ქმედებას.

მუხლი 38 — საქმის განხილვა და დავის მეგობრულად მოგვარების პროცედურები

1. თუკი სასამართლო გამოაცხადებს, რომ განაცხადი მიღებულია, იგი

a. შეუდგება საქმის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად, და თუკი საჭირო იქნება, ჩაატარებს გამოძიებას, რომლის ეფექტური განხორციელებისათვის შესაბამისი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელ საშუალებას;

b. შესთავაზებს შესაბამის მხარეებს თავის სამსახურს საქმის მეგობრულად მოგვარების მიღწევის მიზნით კონვენციითა და თანდართული ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების გათვალისწინებით.

2. 1. b პუნქტით გათვალისწინებული პროცედურები კონფიდენციალური ხასიათისაა.

მუხლი 39 — საქმის მეგობრულად მოგვარება

მეგობრულად მოგვარების შემთხვევაში სასამართლო ამოიღებს საქმეს თავისი სიიდან სათანადო გადაწყვეტილების მიღების გზით, რომელიც შემოიფარგლება ფაქტისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე აღნუსხვით.

მუხლი 40 — საჯარო მოსმენები და დოკუმენტების ხელმისაწვდომობა

1. სასამართლო მოსმენები იქნება საჯარო იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად გადაწყვეტს.

2. კანცელარიაში შესანახად გადაცემული დოკუმენტები ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისათვის, თუკი სასამართლოს თავმჯდომარე სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

მუხლი 41 — სამართლიანი დაკმაყოფილება

თუკი სასამართლო დაადგენს, რომ მოხდა კონვენციისა და მისი ოქმების დარღვევა, და თუკი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი მხოლოდ ნაწილობრივი დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა, სასამართლო აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს დაზარალებული მხარის სამართლიან დაკმაყოფილებას.

მუხლი 42 — პალატების გადაწყვეტილებები

პალატათა გადაწყვეტილებები საბოლოოა 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 43 — საქმის დიდ პალატაში გადაცემა

1. პალატის მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან სამი თვის ვადაში, საქმის ნებისმიერ მხარეს გამონაკლის შემთხვევებში შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა.

2. დიდი პალატის ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია მიიღებს თხოვნას იმ შემთხვევაში, თუკი საქმე ეხება კონვენციისა და მისი ოქმების გამოყენებასა და ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებულ საკითხებს ან სხვა ზოგადი მნიშვნელობის საკითხს.

3. თუკი კოლეგია მიიღებს თხოვნას, დიდი პალატა გადაწყვეტს საქმეს სასამართლო აქტის მიღების გზით.

მუხლი 44 — საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებები

1. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა.
2. პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა, როდესაც
   a. მხარეები აცხადებენ, რომ ისინი არ მოითხოვენ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემას;

b. გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში არ ყოფილა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის მოთხოვნა;

c. დიდი პალატის კოლეგია უარს ეტყვის 43-ე მუხლის შესაბამისად შემოსულ თხოვნას.

3. საბოლოო დადგენილებები უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 45 – სასამართლო დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების დასაბუთება

1. განაცხადის მისაღებლად ან მიუღებლად გამომცხადებელი აქტისა და გადაწყვეტილებების დასაბუთებანი წარმოდგენილნი უნდა იქნენ.

2. თუკი დადგენილება მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილი არ წარმოადგენს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერ მოსამართლეს უფლება აქვს წარმოადგინოს განსხვავებული მოსაზრება.

მუხლი 46 – სასამართლო აქტების სავალდებულო ძალა და მათი აღსრულება

1. მაღალი ხელმომწერი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ შეასრულონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ნებისმიერ საქმეზე, რომელშიც ისინი მხარეები არიან.

2. სასამართლოს საბოლოო აქტი გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობას უწევს მის აღსრულებას.

მუხლი 47 – საკონსულტაციო დასკვნები

1. სასამართლოს, მინისტრთა კომიტეტის თხოვნით, შეუძლია წარმოადგინოს საკონსულტაციო დასკვნები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხებიან კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებას.

2. ამგვარი დასკვნები არ უნდა ეხებოდეს კონვენციის პირველ ნაწილში და მის ოქმებში განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსთან ან მიზანთან დაკავშირებულ არც ერთ საკითხს, რომელსაც სასამართლო ან მინისტრთა კომიტეტი განიხილავენ სამართალწარმოების სათანადო წესით, როგორც ეს შეიძლება განსაზღვრული იქნას კონვენციის მიხედვით.

3. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნების მიწოდების მოთხოვნაზე საჭიროებს კომიტეტში სხდომის უფლების მქონე წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობას.

მუხლი 48 — სასამართლოს კომპეტენცია საკონსულტაციო დასკვნების მიმართ

სასამართლო წყვეტს, შედის თუ არა მის კომპეტენციაში მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი თხოვნა საკონსულტაციო დასკვნების შესახებ, იმგვარად, როგორც ეს დადგენილია 47-ე მუხლით.

მუხლი 49 — საკონსულტაციო დასკვნების დასაბუთება

1. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები უნდა იყოს დასაბუთებული.

2. თუკი საკონსულტაციო დასკვნა მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილი არ წარმოადგენს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერ მოსამართლეს უფლება აქვს წარმოადგინოს განსხვავებული მოსაზრება.

3. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს.

მუხლი 50 — სასამართლოს ხარჯები

სასამართლოს შენახვის ხარჯებს ფარავს ევროპის საბჭო.

მუხლი 51 – მოსამართლეთა პრივილეგიები და იმუნიტეტები

თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში მოსამართლეებს ენიჭებათ ევროპის საბჭოს წესდების მე-40 მუხლით და შესაბამისი შეთანხმებებით უზრუნველყოფილი პრივილეგიები და იმუნიტეტები.

ნაწილი III
სხვადასხვა დებულებები

მუხლი 52 – გენერალური მდივნის მოთხოვნები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისაგან მოთხოვნის მიღებისთანავე ნებისმიერი მაღალი ხელმომწერი მხარე მიაწვდის მას ახსნა-განმარტებას იმის თაობაზე, თუ რა გზებით უზრუნველყოფს მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა კონვენციის ნებისმიერი დებულების ეფექტურ განხორციელებას.

მუხლი 53 – ადამიანის არსებული უფლებების დაცვა

ამ კონვენციით გათვალისწინებული არც ერთი საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ადამიანის რაიმე უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა ან გადახვევა, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს რომელიმე მაღალი ხელმომწერი მხარის კანონმდებლობით ან მისი მონაწილეობით მიღებული სხვა შეთანხმებით.

მუხლი 54 – მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილება

ამ კონვენციით გათვალისწინებული არც ერთი საკითხი არ ზღუდავს ევროპის საბჭოს წესდებით მინისტრთა კომიტეტისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

მუხლი 55 – დავების მოგვარების სხვა საშუალებათა გამორიცხვა

მაღალი ხელმომწერი მხარეები თანხმდებიან, რომ სპეციალური შეთანხმების გარდა ისინი არ გამოიყენებენ მათ შორის მოქმედ შეთანხმებებს, კონვენციებსა და დეკლარაციებს იმ მიზნით, რომ პეტიციის გზით დაუქვემდებარონ ამ კონვენციის ახსნა-განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული დავა მოგვარების სხვა საშუალებებს, რომლებიც არ არიან გათვალისწინებულნი ამ კონვენციით.

მუხლი 56 – კონვენციის ტერიტრიული გამოყენება

1. ნებისმიერ სახელმწიფოს რატიფიკაციის დროს ან მის შემდეგ შეუძლია გააკეთოს განცხადება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე, რომ წინამდებარე კონვენციის მოქმედება ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვრცელდება მთელ ტერიტორიაზე, ან მის იმ ნაწილზე, რომლის საერთაშორისო ვალდებულებებზეც იგი პასუხს აგებს.

2. კონვენციის მოქმედება ვრცელდება შეტყობინებაში მითითებულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან ოცდამეათე დღეს.

3. ამ კონვენციის დებულებანი გამოიყენებიან ამ ტერიტორიებზე ადგილობრივი პირობების სათანადო გათვალისწინებით.

4. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ მუხლის I პუნქტის მიხედვით, შემდგომში ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს მისი ერთი ან მეტი ტერიტორიის სახელით, რომელთაც განცხადება ეხებათ, რომ იგი აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას მიიღოს განაცხადები ფიზიკური პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფისაგან ისე, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის 34-ე მუხლით.

მუხლი 57 – დათქმები

1. ნებისმიერ სახელმწიფოს კონვენციაზე ხელის მოწერის ან სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების დროს შეუძლია დააწესოს დათქმა კონვენციის რომელიმე კონკრეტული დებულების მიმართ, თუკი მის ტერიტორიაზე ძალაში მყოფი რომელიმე კანონი არ შეესაბამება კონვენციის შესაბამის დებულებას. დაუშვებელია საერთო ხასიათის დათქმების გაკეთება ამ მუხლის მიხედვით.

2. ამ მუხლის მიხედვით გაკეთებული ნებისმიერი დათქმა უნდა შეიცავდეს მოკლე განცხადებას სათანადო კანონის შესახებ.

მუხლი 58 – დენონსაცია

1. მაღალ ხელმომწერ მხარეს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსაცია მხოლოდ ხუთი წლის ვადის ამოწურვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც იგი გახდა მისი მხარე და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნიდან ექვსი თვის შემდეგ; გენერალური მდივანი ამის შესახებ ატყობინებს სხვა მაღალ ხელმომწერ მხარეებს.

2. ასეთი დენონსაცია ვერ გაათავისუფლებს შესაბამის მაღალ ხელმომწერ მხარეს ამ კონვენციით გათვალისწინებული მისი ვალდებულებისაგან რაიმე მოქმედების მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ამ ვალდებულებათა დარღვევას და შეიძლება მას ჩადენილი ჰქონდეს დენონსაციის ძალაში შესვლამდე.

3. მაღალი ხელმომწერი მხარე, რომელიც წყვეტს ევროპის საბჭოს წევრობას, ასეთივე პირობებით წყვეტს ამ კონვენციის წევრობას.

4. კონვენციის დენონსაცია შეიძლება მოხდეს წინა პუნქტების დებულებათა შესაბამისად, ნებისმიერ ტერიტორი-

ასთან მიმართებით, რომელთა მიმართაც მოხდა მისი დეკლარირება 56-ე მუხლის მიხედვით.

მუხლი 59 — ხელის მოწერა და რატიფიკაცია

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის. იგი ექვემდებარება რეტიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელი დეპონირებისათვის გადაეცემა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ათი სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების შემდეგ.

3. იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც მოგვიანებით მოახდენს კონვენციის რატიფიკაციას, კონვენცია ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების თარიღისათვის.

4. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს ყველა წევრს კონვენციის ძალაში შესვლის თაობაზე, მაღალ ხელმომწერ მხარეთა სახელებს, რომელთაც მოახდინეს რატიფიკაცია და სარატიფიკაციო სიგელების შესანახად ჩაბარების შესახებ, რომლითაც კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი

მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად, სარატიფიკაციოდ და მისაერთებლად გენერალურ ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200 (XXI) რეზოლუციით
ძალაშია: 1976 წლის 3 იანვრიდან, 27-ე მუხლის შესაბამისად

პრეამბულა

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად, ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი არის ღირსების, თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება, თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველი,

აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამომდინარეობს ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსებიდან.

აღიარებენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან თავდახსნილი პიროვნების იდეალის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა თითოეული შეძლებს ისარგებლოს თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით, ისევე, როგორც თავისი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით,

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით სახელმწიფოები ვალდებულნი არიან წაახალისონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემა და დაცვა,

ითვალისწინებენ, რომ თითოეული ადამიანი, აქვს რა ვალდებულებანი ადამიანებისა და კოლექტივის მიმართ, რომელსაც

ეკუთვნის, უნდა იღვწოდეს ამ პაქტით აღიარებულ უფლებათა წახალისებისა და დაცვისათვის,
შეთანხმდნენ შემდეგი მუხლების გამო:

ნაწილი I

მუხლი 1

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად აწესრიგებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

2. ყველა ხალხს თავისი მიზნების მისაღწევად შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს თავისი ბუნებრივი სიმდიდრენი და რესურსები ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობიდან და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულებას. არცერთ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წაერთვას საარსებო საზსრები, რომლებიც მათ ეკუთვნის.

3. ამ პუნქტის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მათ შორის, ის სახელმწიფოები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა არათვითმმართველი და სამეურვეო ტერიტორიების მართვისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, ხელს უნდა უწყობდნენ თვითგამორკვევის უფლებების განხორციელებასა და პატივს სცემდნენ ამ უფლებას.

ნაწილი II

მუხლი 2

1. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, ინდივიდუალური წესით და საერ-

თაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის წესით, კერძოდ, ეკონომიკურ და ტექნიკურ დარგებში, არსებული რესურსების მაქსიმალურ ფარგლებში მიიღოს ზომები, რათა თანდათან უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული განხორციელება ყველა მართებული საშუალებებით, მათ შორის, კერძოდ, საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღებით.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები იძლევიან ამ პაქტით გამოცხადებული უფლებების განხორციელების გარანტიას რასის, კანის ფერის, სქესის, ენის რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა გარემოებათა მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

3. განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ, ადამიანის უფლებებისა და თავიანთი სახალხო მეურნეობების სათანადო გათვალისწინებით, განსაზღვრონ, თუ რამდენად უზრუნველყოფენ ამ პაქტით აღიარებულ უფლებებს იმ პირთათვის, რომლებიც მათი მოქალაქენი არ არიან.

მუხლი 3.

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ მამაკაცებისა და ქალების თანასწორი უფლება, ისარგებლონ ამ პაქტით გათვალისწინებული ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით.

მუხლი 4.

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ იმ უფლებათა გამოყენების მხარით, რომელსაც ესა თუ ის სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ პაქტის შესაბამისად, ამ სახელმწიფოს შეუძლია ამ უფლებათა მხოლოდ ისეთი შეზ-

ღუდვები, რომლებსაც განსაზღვრავს კანონი და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შეთავსებადია აღნიშნულ უფლებათა ბუნებასთან, და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში საერთო კეთილდღეობას სახელმწიფოში.

მუხლი 5.

1. ამ პაქტში არ შეიძლება არაფრის განმარტება ისე, თითქოს ნიშნავდეს, რომ რომელიმე სახელმწიფოს, რომელიმე ჯგუფს ან რომელიმე პირს ჰქონდეს უფლება, ეწეოდეს რაიმე საქმიანობას ან ჩაიდინოს მოქმედება, რომელთა მიზანია ამ პაქტით აღიარებული რომელიმე უფლებებისა და თავისუფლებების მოსპობა ან მათი შეზღუდვა უფრო მეტი, ვიდრე ეს ითვლება.

2. არ შეიძლება ადამიანის რომელიმე ძირითადი უფლებები, რომელიც აღიარებულია ამ კანონის, კონვენციების, წესებისა, ზნე-ჩვეულებების ძალით, არსებობს რომელიმე ქვეყანა, არ შეიძლება შეიზღუდოს ან დაკნინდეს იმ საბაბით, რომ ამ პაქტით ასეთი უფლებები აღიარებული არ არის ან აღიარებულია ნაკლები მოცულობით.

ნაწილი III

მუხლი 6.

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეულ ადამიანის უფლებას, საარსებო სახსრები მოიპოვოს საკუთარი შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზედაც თავისუფლად დათანხმდება, და განახორციელებს სათანადო ღონისძიებებს ამ უფლებების უზრუნველსაყოფად.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებანი

უნდა შეიცავდეს პროფესიული და ტექნიკური სწავლებისა და წვრთნის პროგრამებს, პოლიტიკას და მეთოდოლოგიას, რათა მიღწეულ იქნას განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებადა სრული და სედეგიანი დასაქმება ისეთ პირობებში, სადაც თითოეული ადამიანის პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება დაცული იქნება.

მუხლი 7.

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, მათ შორის, კერძოდ:

a) ანაზღაურება, რომლითაც როგორც მინიმუმით ყველა მშრომელი იქნება თანაბარი უზრუნველყოფილი:

1) სამართლიანი ხელფასი და ტოლფასოვანი ანაზღაურება ტოლფასოვანი შრომისთვის რაიმე განსხვავების გარეშე, კერძოდ, ქალებისათვის გარანტირებული იყოს შრომის ისეთი პირობები, რომელიც მამაკაცთა შრომის პირობებზე უარესი არ იქნება, და თანაბარი იქნება თანაბარი ანაზღაურების თანაბარი შრომისათვის;

2) მათი და მათი ოჯახების დამაკმაყოფილებელი არსებობას ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად.

b) უსაფრთხო და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნების შესაბამისი შრომის პირობებს;

c) ყველასათვის ერთნაირი შესაძლებლობა, სამუშაოზე დაწინაურდეს შესაბამის უფრო მაღალ საფეხურზე მხოლოდ და მხოლოდ შრომის სტაჟისა და კვალიფიკაციის საფეხურზე;

d) დასვენების, თავისუფალი დრო და სამუშაო დრო გონივრული შეზღუდვა და პერიოდული ანაზღაურებადი შვებულების ისევე, როგორც ანაზღაურებას უქმე დღეებისათვის.

მუხლი 8.

1. ამ პუნქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ:

a) თითოეული ადამიანის უფლება თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების განხორციელებისა და დაცვისათვის, შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს ასეთ კავშირებში თავისი არჩევანით და ერთადერთი პირობით ორგანიზაციის შესაბამისი წესების თანახმად. აღნიშნული უფლების გამოყენება არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვას იმ შეზღუდვების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად;

b) პროფესიული კავშირების უფლება – შექმნან ეროვნული ფედერაციები ან კონფედერაციები და ამ უკანასკნელთა უფლება – შექმნან საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციები ან შეუერთდნენ მათ;

c) პროფესიული კავშირების უფლება – იმუშაონ შეუფერხებლად, რაიმე შეზღუდვის გარეშე, იმ შეზღუდვების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად;

d) გაფიცვების უფლება იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ხორციელდება თითოეული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ეს მუხლი არ ეწინააღმდეგება იმას, რომ კანონიერი შეზღუდვები შემოიღოს ამ უფლებების გამოყენების შეზღუდვას იმ პირთათვის, რომლებიც იმყოფებიან შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის შე-

მადგენლობაში.

3. ეს მუხლი იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ასოციაციათა თავისუფლებისა და ორგანიზაციის უფლების დაცვის 1948 წლის კონვენციაში უფლებას არ აძლევს მიიღონ საკანონმდებლო აქტები აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების საზიანოდ ან კანონი გამოიყენონ ისე, რომ ზიანი მიადგეს ამ გარანტიებს.

მუხლი 9.

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით.

მუხლი 10.

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ:

1. ოჯახს, რომელიც საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია, უნდა ჰქონდეს შეძლებისდაგვარად ყველაზე ფართო დაცვა და დახმარება, განსაკუთრებით მისი შექმნის დროს და, სანამ მას მათი აღზრდისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა და ზრუნვა, ვიდრე ისინი დამოუკიდებელნი გახდებიან. ქორწინება უნდა ხდებოდეს მექორწინეთა თავისუფალი თანხმობით;

2. განსაკუთრებული დაცვა ჰქონდეთ დედებს მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ დროის განსაზღვრული მონაკვეთის განმავლობაში. ამ პერიოდის მანძილზე მომუშავე დედებს უნდა ეძლეოდეთ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება, რომლის დროსაც მისცემენ საკმარის დახმარებას სოციალური უზრუნველყოფის;

3. დაცვისა და დახმარების განსაკუთრებული ღონისძიებანი უნდა ხორციელდებოდეს ყველა ბავშვისა და მოზარდის მიმართ ოჯახური წარმოშობისა ნიშნისა თუ რაიმე სხვა

ნიშნის მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ბავშვები და მოზარდები დაცულ უნდა იყვნენ ეკონომიკური და სოციალური ექსპლუატაციისაგან. მათი შრომის გამოყენება მათი ზნეობისა და ჯანმრთელობისათვის მავნე ან სიცოცხლისათვის საშიშ ან სხვა იმ დარგში, რომელსაც შეუძლია ავნოს მათ ნორმალურ განვითარებას კანონით უნდა ისჯებოდეს, გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ ასაკობრივი საზღვრები, რომლის ქვემოთ ბავშვთა ფასიანი ანაზღაურებადი შრომის გამოყენება აკრძალულია და კანონით ისჯება.

მუხლი 11.

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი კვების, ტანისამოსისა და ბინის ჩათვლით; აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ რომ, ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობას, მიიღებენ სათანადო ზომებს ამ უფლების განხორციელების უზრუნველყოფისათვის.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ თითოეული ადამიანის ძირითად უფლებას — თავისუფალი იყოს შიმშილისაგან, ინდივიდუალურად და საერთაშორისო თანამშრომლობის წესით უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები განსაკუთრებული პროგრამების ჩათვლით, რომლებიც საჭიროა, რათა:

a) გაუმჯობესდეს საკვები პროდუქტების წარმოების, შენახვისა და განაწილების მეთოდები ტექნიკური და სამეცნიერო ცოდნის სრული გამყარების, კვების პრინციპების შესახებ ცოდნის გავრცელებისა და აგრარული სისტემების

ისეთი განვითარებისა თუ რეფორმის გზით, რითაც მიიღწევა ბუნებრივი რესურსების ყველაზე ეფექტური გამოყენება და განვითარება, და

b) უზრუნველყონ საურათის მსოფლიო მარაგის სამართლიანი განაწილება, როგორც სურსათის იმპორტიორი, ისე ექსპორტიორი ქვეყნის პრობლემები, სურსათის მსოფლიო მარაგის მოთხოვნილების შესაბამისად სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 12.

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ჰქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს დონე.

2. ზომები, რომლებიც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამ უფლების სრული განხორციელებისათვის მოიცავენ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა:

a) მკვდრადშობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველყოფისათვის;

b) გარემოს ჰიგიენისა და მრეწველობაში შრომის ჰიგიენის ყველა ასპექტის გაუმჯობესებისათვის;

c) ეპიდემიური, ენდემური, პროფესიული და სხვა დაავადებების თავიდან აცილებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის;

d) ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც ყველასათვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებას და სამედიცინო მოვლას ავადმყოფობის შემთხვევაში.

მუხლი 13.

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას — განათლებაზე. ისინი

თანხმდებიან, რომ განათლება მიმართულ უნდა იყოს ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსების შეგნების სრული განვითარებისაკენ და უნდა განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას. ისინი თანახმანი არიან, რომ განათლებამ ყველას მისცეს შესაძლებლობა იყოს თავისუფალი საზოგადოების მონაწილე, ხელს უწყობდეს ყველა ერისა და ყველა რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ეხმარებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაკებს მშვიდობის შესანარჩუნებლად.

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ამ უფლების სრულად განხორციელებისათვის:

a) დაწყებითი განათლება უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასო;

b) საშუალო განათლება და მისი სხვადასხვა ფორმა, პროფესიულ-ტექნიკური საშუალო განათლების ჩათვლით, უნდა იყოს ყველასათვის მისაწვდომი ყველა საჭირო ზომის მიღებისა და, კერძოდ, უფასო განათლების თანდათანობით შემოღების გზით;

c) უმაღლესი განათლება ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის თითოეულის უნარის გათვალისწინებით და ყველა ზომის მიღების, და კერძოდ, უფასო განათლების თანდათანობითი შემოღების გზით;

d) შეძლებისდაგვარად უნდა ხდებოდეს ელემენტალური განათლების წახალისება ან ინტენსიფიკაცია იმათთვის, ვისაც არ გაუვლია ან არ დაუმთავრებია დაწყებითი განათლების სრული კურსი;

e) აქტიურად უნდა ხორციელდებოდეს ყველა საფეხურის სკოლების ქსელის განვითარება, უნდა დაწესდეს სტიპენდიების დამაკმაყოფილებელი სისტემა და განუწყვეტლივ უნდა უმჯობესდებოდეს მასწავლებელთა პერსონალის მატერიალური პირობები.

3. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობლებისა და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურნეების თავისუფლებას, თავიანთი ბავშვებისათვის აირჩიონ არა მარტო სახელმწიფო ხელისუფალთა მიერ დაარსებული სკოლები, არამედ სხვა სკოლები, რომლებიც შეესაბამება განათლების მოთხოვნების იმ მინიმუმს, რომელიც შეიძლება დააწესოს ან დაადგინოს სახელმწიფომ და უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი რწმენის შესაფერისად.

4. ამ მუხლის არც ერთი ნაწილი არ უნდა განიმარტოს ისე, რომ დაკნინდეს ცალკეულ პირთა და დაწესებულებათა თავისუფლება, შექმნან სასწავლებლები და უხელმძღვანელონ მათ უცვლელი პირობით, რომ დაიცვან ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოყალიბებულ პრინციპებს და მოთხოვნებს, რომ ასეთ სასწავლებლებში მიღებული განათლება შეესაბამებოდეს მოთხოვნათა და მინიმუმს, რომლებიც შეიძლება დააწესოს სახელმწიფომ.

მუხლი 14.

ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო, რომელსაც მონაწილედ შესვლის დროისათვის თავისი მეტროპოლიის ტერიტორიისა თუ თავის იურისდიქციის ქვეშ მყოფ სხვა ტერიტორიაზე უზრუნველყო საკმაოდ უფასო დაწყებითი განათლება, კისრულობს ვალდებულებას, ორი წლის მანძილზე შეიმუშაოს და მიიღოს ღონისძიებათა დეტალური გეგმა, რათა თანდათან, გარკვეული წლების მანძილზე, რომლების აღნიშნული უნდა იყოს ამგეგმებში, განახორციელოს საყოველთაო უფასო საყოველთაო განათლების პრინციპი.

მუხლი 15.

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას:

a) მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში;

b) სარგებლობდეს მეცნიერული პროგრესის შედეგებით და პრაქტიკულად იყენებდეს მათ;

c) სარგებლობენ იმ მორალური და მატერიალური ინტერესების დაცვით, რომლებიც ჩნდება ყველა იმ მეცნიერული, ლიტერატურულ თუ მხატვრულ ნაშრომებთან ერთად დაკავშირებით, რომელთა ავტორიც ის არის.

2. ზომები, რომლებიც უნდა მიიღონ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა ამ უფლების სრულად განხორციელებისათვის მოიცავენ იმ ღონისძიებებსაც, რომლებიც აუცილებელია მეცნიერულ და კულტურულ მიღწევათა დასაცავად, გასავითარებლად და გასავრცელებლად.

3. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ თავისუფლებას, რომელიც უთუოდ აუცილებელია სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მეცნიერებისა და კულტურის დარგებში საერთაშორისო კონტაქტებისა და თანამშრომლობის წახალისებისა და განვითარების სარგებლობას.

ნაწილი IV

მუხლი 16.

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, პაქტის ამ ნაწილის შესაბამისად წარმოადგინონ მოხსენებანი, თუ რა ზომებს იღებენ და რა პროგრესს მიაღწიეს ამ პაქტით.

2. a) ყველა მოხსენება წარედგინება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათ

ეგზემპლარებს განსახილველად გადაუგზავნის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად;

b) გაერთიანებული ერების გენერალურმა მდივანმა ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მოხსენებების ეგზემპლარები ან შესაბამისი ნაწილი ამ მოხსენებებიდან უნდა გადაუგზავნოს, აგრეთვე, სპეციალიზებულ დაწესებულებებს, რომელთა წევრებიც ეს სახელმწიფოები არიან იმდენად, რამდენადაც ასეთი მოხსენებები ან მოხსენებათა ნაწილები, ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა კონსტიტუციური აქტების თანახმად, მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში შემავალ რაიმე საკითხს ეხება.

მუხლი 17.

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები თავიანთი მოხსენებებს წარმოადგენენ ეტაპობრივად, იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ ამ პაქტის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში უნდა დაადგინოს მონაწილე სახელმწიფოებთან და დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებთან ან კონსულტაციით.

2. მოხსენებებში შეიძლება აღინიშნოს ფაქტორები და სიძნელეები, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პაქტით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების ხარისხზე.

3. თუ ამ პაქტის ცნობები გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ან რომელიმე სპეციალიზებულ დაწესებულებას წინასწარ გაუგზავნა, ამ ინფორმაციის გარემოება აუცილებლობას აღარ წარმოადგენს, საკმარისია აღნიშნულ ინფორმაციაზე ზუსტი მითითების გაკეთება.

მუხლი 18.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში გაერთიანებული ერების წესდებით განსაზღვრული

მოვალეობების შესაბამისად, ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს შეუთანხმდეს, წარმოადგინონ მოხსენებები ამ პაქტის იმ დებულებათა განხორციელებასთან დაკავშირებით მიღწეული პროგრამის შესახებ, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. ეს მოხსენებები უნდა შეიცავდეს განხორციელების მიზნით სპეციალიზებულ დაწესებულებათა და კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების დეტალურ აღწერას.

მუხლი 19.

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია ადამიანის უფლებათა კომისიას განსახილველად და ზოგადი რეკომენდაციების მისაცემად, ან შესაბამის შემთხვევებში, ცნობად გადასცეს მოხსენებები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს და რომლებსაც სახელმწიფოები წარმოადგენენ მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად, აგრეთვე მოხსენებები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს და რომლებსაც სპეციალიზებული დაწესებულებანი წარადგენენ მე-18 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 20.

ამ პაქტის მონაწილე დაინტერესებულ სახელმწიფოებს და სპეციალიზებულ დაწესებულებებს მე-19 მუხლის თანახმად შეუძლიათ ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს წარუდგინონ შენიშვნები, ნებისმიერ ზოგად რეკომენდაციის გამო ან ადამიანის უფლებათა კომისიის რომელიმე მოხსენების თუ რომელიმე სხვა დოკუმენტში მითითებული ასეთი ზოგადო რეკომენდაციის გამო.

მუხლი 21.

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია დრო-

დადრო წარუდგინოს გენერალურ ასამბლეას მოხსენებები, რომლებიც იქნება ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები და ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისა და სპეციალიზებული დაწესებულებებისაგან მიღებული იმ ცნობების მოკლე შინაარსი ეხება ამ პაქტით აღიარებული უფლებების საყოველთაო დაცვის უზრუნველყოფისათვის მიღებულ ზომებს და მიღწეულ შედეგებს.

მუხლი 22.

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა, მათი დამხმარე ორგანოებისა და ტექნიკური დახმარების გამწევ სპეციალიზირებულ დაწესებულებათა ყურადღება მიაქციოს პაქტის ამ ნაწილში აღნიშნულ მოხსენებებთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა საკითხებს, რომლებიც შესაძლოა სასარგებლო იყოს ამ ორგანოებისათვის როცა თითოეული მათგანს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოაქვს გადაწყვეტილებანი, თუ რამდენად მიზანშეწონილია საერთაშორისო ზომები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ამ პაქტის თანდათან და ეფექტიან განხორციელებას.

მუხლი 23.

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები თანახმანი არიან, რომ პაქტით აღიარებული უფლებების განხორციელების ხელშემწყობ საერთაშორისო ღონისძიებების განეკუთვნება ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორებიცაა კონვენციათა დადება, რეკომენდაციათა მიღება, ტექნიკური დახმარების გაწევა და კონსულტაციების მიზნით რეგიონალური თათბირების მოწვევა, აგრეთვე დაინტერესებულ მთავრობებთან ერთად ორგანიზებული გამოკვლევები.

მუხლი 24.

ამ პაქტში არაფერი უნდა განიმარტოს, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სპეციალიზებული დაწესებულებების სხვადასხვა ორგანოს შესაბამის მოვალეობათა განმსაზღვრეს სპეციალიზებულ დაწესებულებათა წესდების დებულებათა მნიშვნელობის დაკნინება იმ საკითხებში, რომლებშიც ეს პაქტი ეხება.

მუხლი 25.

ამ პაქტში არაფერი უნდა განიმატოს, როგორც დაკნინება ყველა ხალხის განუყოფელი უფლებისა — მთლიანად და თავისუფლად ფლობდნენ თავიანთ ბუნებრივ სიმდიდრეებსა და რესურსებს და სარგებლობდნენ მათით.

მუხლი 26.

1. ამ პაქტს შეუძლია ხელი მოაწეროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა ყველა სახელმწიფომ ან ყველა მისი სპეციალიზირებული დაწესებულების წევრმა, საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილე ყველა სახელმწიფომ და ყველა სხვა სახელმწიფომ, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა შესთავაზებს ამ პაქტში მონაწილეობას.

2. ეს პაქტი რატიფიცირებული უნდა იქნეს. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

3. ამ პაქტთან შეერთება შეუძლია ამ მუხლის პირველ პარაგრაფში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.

4. შეერთებისათვის საჭიროა შეერთების დოკუმენტის დეპონირება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უნდა აცნობოს ამ პაქტის ხელმომწერ ან მასთან

მიერთებულ ყველა სახელმწიფოს თითოეული სარატიფიკაციო ან მიერთების დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

მუხლი 27.

1. ეს პაქტი ძალაში შედის სამი დღის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დეპონირებიდან იქნება ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების დოკუმენტი.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ პაქტის რატიფიცირებას მოახდენს ან მას მიუერთდება ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელისა თუ შეერთების დოკუმენტი დეპონირების შემდეგ, ეს პაქტი ძალაში შედის ამ სახელმწიფოს იერ გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან საკუთარი სარატიფიკაციო ან მიერთების დოკუმენტის დეპონირების დღიდან სამი თვის შემდგ.

მუხლი 28.

ამ პაქტის დებულება ვრცელდება ფედერაციული სახელმწიფოთა ყველა ნაწილზე, რაიმე შეზღუდვისა თუ გამონაკლისის გარეშე.

მუხლი 29.

1. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შესწორებანი და წარუდგინონ ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი ნებისმიერ შეთავაზებულ შესწორებებს უგზავნის ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს მათ, შეატყობინონ მას, მომხრე არიან თუ არა, რომ მოიწვიონ მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენცია ამ წინადადებათა განსახილველად და კენჭის საყრელად, თუ მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი მაინც დაუჭერს მხარს ასეთ კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანი-

ზაციის გენერალური მდივანი იწვევს კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ყველა შესწორება, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსწრე კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, დასამტკიცებლად წარედგინება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

2. შესწორებანი ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა და თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი.

3. მას შემდეგ, რაც ძალაში შევა შესწორებანი ისინი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ისინი მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ პაქტის დებულებანი და მათ მიერ მიღებული ყველა წინა შესწორება.

მუხლი 30.

26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად გაკეთებული შეტყობინებისაგან დამოუკიდებლად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იმავე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს ატყობინებს შემდეგს:

a) ხელმოწერების რატიფიკაციების და შეერთების შესახებ 26-ე მუხლის თანახმად;

b) ამ პაქტის ძალაში შესვლის თარიღს 26-ე მუხლის თანახმად და ყოველგვარი შესწორების ძალაში შესვლის თარიღს 27-ე მუხლის თანახმად.

მუხლი 31.

1. ეს პაქტი, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია

შესანახად უნდა გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივს.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ პაქტის დამოწმებულ ასლებს უგზავნის 26-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების, მათი სწორი . და განუყოფელი უფლებების აღიარება არის თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველი;

აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამომდინარეობს ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსებიდან;

აღიარებენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან თავისუფალი ადამიანის პიროვნების იდეალის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა თითოეული შეძლებს ისარგებლოს თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით;

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით სახელმწიფოები ვალდებულნი არიან წაახალისონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემა და დაცვა;

ითვალისწინებენ, რომ თითოეული ცალკეული ადამიანი, აქვს რა ვალდებულებანი სხვა ადამიანებისა და იმ კოლექტივის მიმართ, რომელსაც ეკუთვნის, უნდა იღვწოდეს ამ პაქტით აღიარებულ უფლებათა წახალისებისა და დაცვისათვის;

შეთანხმდნენ შემდეგი მუხლების გამო:

ნაწილი I

მუხლი 1.

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით, ისინი თავისუფლად აწესრიგებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

2. ყველა ხალხს თავისი მიზნების მისაღწევად შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს თავისი ბუნებრივი სიმდიდრენი და რესურსები ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობიდან და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულებებს. არც ერთ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წაერთვას საარსებო სახსრები, რომლებიც მას ეკუთვნის.

3. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მათ შორის ის სახელმწიფოები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა არათვითმმართველი და სამეურვეო ტერიტორიების მართვისათვის ხელს უნდა უწყობდეს თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას და პატივს სცემდეს ამ უფლებას.

ნაწილი II

მუხლი 2.

1. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და თავისი ტერიტორიის ფარგლებსა და თავის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისათვის უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებები, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო.

2. თუკი ეს უკვე გათვალისწინებული არ არის არსე-

ბული ან სხვა საკანონმდებლო ღონისძიებებით, ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი თავისი საკონსტიტუციო პროცედურებისა და წინამდებარე პაქტის შესაბამისად, რათა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს პაქტით აღიარებული უფლებების განხორციელებისათვის.

3. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას:

a) ყველა პირი, რომლის ამ პაქტით აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი შელახულია, უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დარღვევა ჩაიდინეს ოფიციალურად მოქმედმა პირებმა;

b) უზრუნველყოს, რომ თითოეული პირის სამართლებრივი დაცვის უფლებას, ვინც კი ასეთ დაცვას მოითხოვს, ადგენენ კომპეტენტური სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ხელისუფალნი ან სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული ყოველი სხვა კომპეტენტური ორგანო განავითაროს სასამართლო დაცვის შესაძლებლობანი;

c) უზრუნველყოს კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ მათთვის მიცემული სამართლებრივი დაცვის საშუალებათა გამოყენება.

მუხლი 3.

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ მამაკაცებისა და ქალების თანაბარი უფლება ისარგებლონ ამ პაქტით გათვალისწინებული ყველა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებებით.

მუხლი 4.

1. სახელმწიფოში საგანგებო წესების შემოღების დროს, როდესაც ერის სიცოცხლე საფრთხეშია და ოფიციალურად გამოაცხადეს, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაუხვიონ პაქტით ნაკისრ ვალდებულებას იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე და განახორციელონ ეს ღონისძიებანი იმ პირობით, რომ ისინი შეუთავსებელი არ იქნება საერთაშორისო სამართლით დაკისრებულ სხვა ვალდებულებებთან და მხოლოდ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის თუ სოციალური წარმოშობის საფუძველზე.

2. ეს დებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს რაიმე გადახვევებს მე-6, მე-7, მე-8 (პირველი და მეორე პუნქტები), მე-11, მე-15, მე-16 და მე-18 მუხლებიდან.

3. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფომ, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივნის მეშვეობით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამ პაქტის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს, თუ რომელ დებულებებს გადაუხვია და რა მიზეზებმა მიაღებინეს ასეთი გადაწყვეტილება. იმავე შუამავლის მეშვეობით მან უნდა შეატყობინოს აგრეთვე თარიღი, როცა შეწყვეტს ასეთ გადახვევას.

მუხლი 5.

1. ამ პაქტში არ შეიძლება არაფრის განმარტება ისე თითქოს რომელიმე სახელმწიფოს, რომელიმე ჯგუფს ან რომელიმე პირს ჰქონდეს უფლება ეწეოდეს რაიმე საქმიანობას ან სჩადიოდეს რაიმე მოქმედებას, რომელთა მიზანია ამ პაქტით აღიარებული რომელიმე უფლებისა და თავისუფლების მოსპობა ან მათი შეზღუდვა, ვიდრე ამას ეს პაქტი ითვალისწინებს.

2. არ შეიძლება შეიზღუდოს ან დაკნინდეს ადამიანის

რომელიმე ძირითადი უფლება, რომელიც აღიარებულია ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოში, ან არსებობს კანონის, კონვენციების, წესებისა ან ზნე-ჩვეულებების ძალით, იმ საბაბით, რომ ამ პაქტით ასეთი უფლებები აღიარებული არ არის ან აღიარებულია ნაკლები მოცულობით.

ნაწილი III

მუხლი 6.

1. სიცოცხლის უფლება ადამიანის განუყოფელი უფლებაა. ამ უფლებას იცავს კანონი. არავის შეიძლება თვითნებურად წაართვან სიცოცხლე.

2. ქვეყნებში, რომლებსაც არ გაუუქმებიათ სიკვდილით დასჯა, სიკვდილის განაჩენი შეიძლება გამოიტანონ მხოლოდ ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის ჩადენის დროს და არ ეწინააღმდეგება ამ პაქტისა და გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და ამისათვის დასჯის შესახებ კონვენციის დებულებებს. ეს დასჯა შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ კომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო განაჩენის შესასრულებლად.

3. როცა სიცოცხლის წართმევა გენოციდის დანაშაულს შეადგენს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მუხლში არაფერი არ აძლევს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს უფლებას, რომ რაიმე საშუალებებით გადაუხვიონ რომელიმე ვალდებულებას, რომელიც იკისრეს გენოციდის დანაშაულეს თავიდან აცილებისა და მისთვის დასჯის შესახებ კონვენციის დებულებათა შესაბამისად.

4. თითოეულს, ვისაც სიკვდილი მიუსაჯეს, უფლება აქვს ითხოვოს შეწყალება ან განაჩენის შემსუბუქება. ამნისტია, შეწყალება ან სიკვდილის განაჩენის შეცვლა შეიძლება ნაბოძები იყოს ყველა შემთხვევაში.

5. სიკვდილის განაჩენის გამოტანა არ შეიძლება დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინეს 18 წლამდე ასაკის პირებმა, და მისი აღსრულება არ შეიძლება ფეხმძიმე ქალების მიმართაც.

6. ამ მუხლში არაფერი არ შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფომ გადადოს ან არ დაუშვას სიკვდილით დასჯის გაუქმება.

მუხლი 7

არავინ არ უნდა განიცდიდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან მისი ღირსების დამამცირებელ მოპყრობას თუ სასჯელს, კერძოდ, არც ერთ პირზე თუ არ იქნა მისი თავისუფალი თანხმობა, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდის ჩატარება.

მუხლი 8

1. არავინ არ უნდა ცხოვრობდეს მონობაში, აკრძალულია ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა;

2. არავინ არ უნდა ცხოვრობდეს დაბეჩავებულ მდგომარეობაში.

3. a) არავის არ უნდა დააძალონ იძულებითი თუ სავალდებულო შრომა;

b) იმ მუხლის 3(a) პარაგრაფი არ უნდა იქნეს გაგებული როგორც აკრძალვა,

იმ ქვეყნებში, სადაც დანაშაულისათვის სასჯელის სახით შეიძლება დანიშნონ თავისუფლების აღკვეთა, რომელიც დაკავშირებულია საკატორღო სამუშაოებთან. 3(a) არ ითვლება დაბრკოლებად, რათა შესრულდეს საკატორღო სამუშაოები იმ კომპეტენტური სასამართლოს განაჩენით, რომელმაც ასეთი სასჯელი გამოიტანა;

c) ამ პუნქტში ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო შრომა“ არ მოიცავს:

i) ნებისმიერი სახის სამუშაოს თუ სამსახურს, რომელიც ნახსენები არ არის (B) პუნქტში და რომელიც, როგორც წესი, უნდა შეასრულოს სასამართლოს კანონიერი განკარგულების საფუძველზე პატიმრობაში მყოფმა პირმა, ან ასეთი პატიმრობიდან პირობითად განთავისუფლებულმა პირმა;

ii) ნებისმიერი სამხედრო ხასიათის სამსახურს, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც აღიარებულია სამხედრო სამსახურზე უარის თქმა პოლიტიკური თუ შესაძლებლობა, ნებისმიერი სამოქალაქო სამსახური, რომელიც მოეთხოვება ასეთ პირობებს;

iii) ნებისმიერ სამსახურს, რომელიც საჭიროა შესასრულებლად საგანგებლო მდგომარეობის ან უბედურების დროს, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოების სიცოცხლესა და კეთილდრეობას;

iv) ნებისმიერ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც პირის ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ მოვალეობებს წარმოადგენს.

მუხლი 9

1. თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ შეიძლება თვითნებურად დააკავონ ან დააპატიმრონ. არავის შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარაგად, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა და პროცედურისა;

2. თითოეულ პირს დაკავების დრს უნდა ეცნობოს მისი დაპატიმრების მიზეზები და მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების შესახებ.

3. სისხლის სამართლის ბრალდებით დაპატიმრებული ან დაკავებული ყოველი პირი დაუყოვნებლივ უნდა წარსდგეს მოსამართლის ან სხვა თანამდებობის პირის წინაშე, რომელსაც კანონით უფლება აქვს განახორციელოს სასამართლო

ხელისუფლება და უფლება აქვს გონივრული ვადის მანძილზე მოთხოვოს სასამართლო გარჩევა ან გათავისუფლება. სასამართლო გარჩევაზე პირის დაკავება ზოგად წესად არ უნდა იქცეს, მაგრამ მათი გათავისუფლება შეიძლება დამოკიდებული იყოს სასამართლოში გამოცხადების, სასამართლო გარცევის ყველა სტადიაში გამოცხადებისა და, საჭიროების შემთხვევაში, განაჩენის შესასრულებლად გამოცხადების გარანტიების არსებობაზე.

4. თითოეულს პირს, ვისაც თავისუფლება აღეკვეთა დაკავების ან პატიმრობის შედეგად, უფლება აქვს მისი საქმე გაარჩიოს სასამართლომ, რათა დაუყოვნებლივ გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დაკავების კანონიერების, ან უკანონო დაკავების შემთხვევაში გათვალისწინების თაობაზე.

5. თითოეულ პირს, რომელიც უკანონო დაკავების ან პატიმრობის მსხვერპლი გახდა, აქვს კომპენსაციის უფლება.

მუხლი 10

1. ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს უფლება აქვს ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას.

2. a) ბრალდებული პირები, გარდა განსაკუთღებული შემთხვევებისა, განცალკევებული უნდა იყვნენ მსჯავრდებულებისაგან და ექვემდებარებიან ცალკე რეჟიმს, რომელიც შეესაბამება არამსჯავრდებულ პირთა სტატუსს;

b) არასრულწლოვანი ბრალდებულები მოთავსებული უნდა იქნენ სრულწლოვანებისაგან განცალკევებით და უმოკლეს ვადაში უნდა წარდგნენ სასამართლოს წინაშე გადაწყვეტილების მისაღებად.

3. პენიტენციალურ სისტემაში პატიმართა მიმართ განხორციელებული მოპყრობის მიზანია მათი გამოსწორება და სოციალური აღზრდა. არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები განცალკევებული უნდა იყვნენ სრულწლოვანებისა-

გან და უნდა იმყოფებოდნენ პირობებში, რომლებიც შეესაბამება მათ ასაკსა და სამართლებრივ სტატუსს.

მუხლი 11

არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე.

მუხლი 12

1. თითოეულ პირს, რომელიც კანონიერად იმყოფება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ ტერიტორიის ფარგლებში უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს და თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც.

3. ზემოაღნიშნული უფლებები არ შეიძლება შეიზღუდოს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის და შეესაბამება წინამდებარე პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებს.

4. არავის შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას უფლება დაბრუნდეს საკუთარ სახელმწიფოში.

მუხლი 13

უცხოელი, რომელიც კანონიერად იმყოფება წინამდებარე პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორაზე, შეიძლება გააძევონ მხოლოდ კანონის შესაბამისად გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე. თუ სახელმწიფო უშიშროების იმპერატიული მოსაზრებები სხვაგვარად არ მოითხოვენ, მას უფლება აქვს წარმოადგინოს უდავო

საბუთები თავისი გასახლების წინააღმდეგ, მოითხოვოს, რომ მისი საქმე გადასინჯოს კომპეტენტურმა ხელისუფლებამ და ამ მიზნით მათ მიერ სპეციალურად დანიშნულა პირმა ან პირებმა.

მუხლი 14

1. ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე. თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრისას, მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. შეიძლება, რომ პრესა და საზოგადოება არ დაუშვან მთელ სასამართლო გარჩევაზე, თუ მის ნაწილზე, მორალის, დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებებით, ან როცა ამას მოითხოვს მხარეთა კერძო ინტერესები ან, როდესაც, სასამართლოს აზრით, საჯაროობა შელახავს მართლმსაჯულების ინტერესებს. ყოველი სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო საქმის თაობაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევების, როცა ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები, ან როცა საქმე ეხება მატრიმონიალური დაცვას ან ბავშვთა მეურვეობას.

2) პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3) თითოეულ პირს უფლება აქვს მისთვის წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, როგორც მინიმუმი, სრული თანასწორობის საფუძველზე, მიიღოს შემ-

დეგი გარანტიები:

a) სასწრაფო წესით და დაწვრილებით მისთვის გასაგებ ენაზე შეატყობინონ მისთვის წაყენებული ბრალდების ხასიათისა და საფუძვლის შესახებ;

b) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს თავის დასაცავად და შეხვდეს მის მიერ არჩეულ დამცველს;

c) გაასამართლონ უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე;

d) გაასამართლონ მისი თანდასწრებით, რათა დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის საშუალებით; თუ არ ჰყავს დამცველი, შეატყობინონ, რომ მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს, აიყვანოს დამცველი, საჭიროების შემთხვევაში უსასყიდლოდ, თუკი მისი ხარჯების ასანაზღაურებელი სახსრები არა აქვს.

e) დაკითხოს მოწმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას, ან ჰქონდეს უფლება, რომ ეს მოწმეები სხვამ დაკითხოს, ასევე გამოიძახონ და დაკითხონ მისი მოწმენი იმავე პირობებით, რაც არსებობს მის წინააღმდეგ გამოსული მოწმეებისათვის;

f) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით თუ არ ესმის სამართალწარმოების ენა;

g) არავინ აიძულოს, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ, ან თავი დამნაშავედ აღიაროს.

4) არასრულწლოვანთა მიმართ პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ გათვალისწინებული იქნას მათი ასაკი და მათი ხელახალი აღზრდისათვის ხელშეწყობის სურვილი.

5) თითოეულ მსჯავრდებულ პირს უფლება აქვს, მისი ბრალდება და განაცენი კანონის შესაბამისად გადასინჯოს ზემდგომმა სასამართლომ.

6) თუ რომელიმე პირს საბოლოო გადაწყვეტილებით მსჯავრი დასდეს სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი გაუქმდა

ან მისთვის ნაბოძები იყო შეწყალება რაიმე ახალი ან მისთვის უცნობი გარემოებების გამო, რომლებიც უცილობლად ამტკიცებს, სასამართლოს შეცდომას, მაშინ ასეთი მსჯავრდადების შედეგად, დასჯილი პირი კომპენსაციას იღებს კანონის შესაბამისად, თუ არ დამტკიცდება, რომ აღნიშნული უცნობი გარემოება თავის დროზე ვერ აღმოაჩინეს მისი, ან ნაწილობრივ მისი მიზეზით.

7) არავინ შეიძლება მეორედ გაასამართლონ ან დასაჯონ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი უკვე იყო საბოლოოდ მსჯავრდადებული ან გამართლებული რომელიმე ქვეყნის კანონისა და სისხლის სამართლის პროცესუალური სამართლის შესაბამისად.

მუხლი 15

1. არავინ შეიძლება ცნონ დამნაშავედ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც ისეთი მოქმედების თუ შეცდომის შედეგია, რომელიც მისი ჩადენის მომენტში მოქმედი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობისა თუ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად. ასევე დაუშვებელია დაინიშნოს უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე ის, რომელიც უნდა გამოეყენებინათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მომენტში. თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ კანონით დადგენილია წესდება უფრო მსუბუქი სასჯელი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება იმ დამნაშავეზეც.

2. ამ მუხლში არაფერი უნდა უშლიდეს ხელს, პირის სასამართლოსათვის გადაცემას ან დასჯას იმ მოქმედების თუ შეცდომისათვის, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად ჩადენის მომენტში სისხლის სამართლის დანაშაული იყო.

მუხლი 16

თითოეულ ადამიანს, სადაც უნდა იყოს, უფლება აქვს, ცნონ მისი სამართალსუბიექტობის უფლება.

მუხლი 17

1. არავინ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა.

2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.

მუხლი 18

1. თითოეული ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით. ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიასა და მრწამსს, როგორც ცალკე, ისე სხვებთან ერთად, საჯარო თუ კერძო წესით, ასრულებდეს და გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ლოცვით, მოძღვრებითა და სწავლებით.

2. არავინ უნდა დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას ჰქონდეს ან მიიღოს საკუთარი არჩევანის რელიგია ან მრწამსი.

3. რელიგიისა და მრწამსის აღიარების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და საზოგადოების უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

4. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობელთა და,

შესაბამისად, კანონიერ მეურვეთა საკუთარი მრწამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა.

მუხლი 19

1. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი ვინმეს ჩარევის გარეშე;

2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით ან პრესისა და გამოხატვის მხატვრული საშუალებებით ან საკუთარი არჩევანით სხვა საშუალებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ მოვალეობასა და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. შესაბამისად, შეიძლება დაკავშირებული იყოს ზოგიერთ შეზღუდვასთან, რომლებიც უნდა იყოს კანონით დადგენილი და აუცილებელი:

a) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციისათვის;

b) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის დასაცავად.

მუხლი 20

1. ომის ყოველგვარი პროპაგანდა უნდა აიკრძალოს კანონით.

2. ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართული გამოსვლა, რომლის მიზანია დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზება, უნდა აიკრძალოს კანონით.

მუხლი 21

მშვიდობიანი შეკრებების უფლება აღიარებულია. ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც შეესაბამება კანონს და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის.

მუხლი 22

1. თითოეულ ადამიანს აქვს სხვებთან ასოციაციის უფლება, მათ შორის უფლება შექმნას და შევიდეს პროფკავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

2. ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს და, რომლებიც საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვის თუ სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის. ეს მუხლი ხელს არ უშლის, შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის შემადგენლობაში მყოფ პირთათვის ამ უფლებით სარგებლობის კანონიერი შეზღუდვების დაწესებას.

3. ამ მუხლში არაფერი აძლევს უფლებას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის ასოციაციათა თავისუფლებისა და ორგანიზაციის უფლების დაცვის შესახებ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების საზიანოდ, მიიღონ საკანონმდებლო აქტები ან კანონი გამოიყენონ ისე, რომ ზიანი მიადგეს ასეთ გარანტიებს.

მუხლი 23

1. ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და უფლება აქვს, რომ იგი დაიცვას საზოგადოებამ და სახელმწიფომ.

2. მამაკაცებს და ქალებს, რომლებმაც მიაღწიეს ქორწინების ასაკს, უფლება აქვთ დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი.

3. ქორწინება არ შეიძლება მოხდეს მექორწინეთა თავისუფალი და სრული თანხმობის გარეშე.

4. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დაქორწინების, ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს მეულლეთა თანასწორი უფლებებისა და მოვალეობების უზრუნველსაყოფად. განქორწინების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ბავშვის საჭირო დაცვა.

მუხლი 24

1. თითოეულ ბავშვს რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობისა თუ დაბადების გამო ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უფლება აქვს დაცვის ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც მას, როგორც მცირეწლოვანს, უნდა გაუწიოს მისმა ოჯახმა, საზოგადოებამ და სახელმწიფომ.

2. თითოეული ბავშვი დაბადების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა იყოს რეგისტრირებული და უნდა ჰქონდეს სახელი.

3. თითოეულ ბავშვს აქვს მოქალაქეობის მიღების უფლება.

მუხლი 25

თითოეულ მოქალაქეს მე-2 მუხლში ნახსენები რაიმე დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელ შეზღუდვათა გარეშე უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა:

ა) მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით.

ბ) მისცეს ხმა და არჩეულ იქნეს საყოველთაო პერიოდულ არჩევნებში, რომლებიც წარმოებს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით და უზრუნველყოფს ამომრჩევლების სურვილის გამოვლინებას.

ა) თავის ქვეყანაში თანასწორობის პირობებით შეეძლოს სახელმწიფო სამსახურში შესვლა.

მუხლი 26

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე კანონით თანაბარი დაცვის უფლება აქვს. ამ მხრივ უნდა აიკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტურ დაცვას რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოებების გამო დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

მუხლი 27

იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას განეკუთვნებიან, არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ თავიანთი რელიგია, აგრეთვე ილაპარაკონ მშობლიურ ენაზე.

ნაწილი IV

მუხლი 28

1. უნდა შეიქმნას ადამიანის უფლებათა კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი") შემდგარი თვრამეტი წევრისაგან, რომლებიც განახორციელებს ამ პაქტით გათვალისწინებულ ფუნქციებს.

2. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან პირები, რომლებიც წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეები არიან, აქვთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში აღიარებული კომპეტენცია, ამასთანავე გათვალისწინებულ უნდა იქნას იურიდიული გამოცდილების მქონე პირთა მონაწილეობაც.

3. კომიტეტის წევრები აირჩევიან და მუშაობენ პირადად.

მუხლი 29

1. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით იმ პირთა სიიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ 28-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომლებიც ამ მიზნით დაასახელეს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა.

2. ამ პაქტის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს არაუმეტეს ორი. ისინი უნდა იყვნენ ამ სახელმწიფოს მოქალაქენი.

3. ყველა პირს აქვს უფლება, რომ განმეორებით დაასახელონ.

მუხლი 30

1. პირველადი არჩევნები ეწყობა წინამდებარე პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ არაუგვიანეს ექვსი თვისა.

2. კომიტეტის არჩევნებამდე, გარდა 34-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებულ ვაკანსიათა შესავსები არჩევნე-

ბისა, სულ ცოტა ოთხი თვით ადრე გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი წერილობით სთხოვს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს სამი თვის მანძილზე წარმოადგინონ კომიტეტის წევრთა კანდიდატურები.

3. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ანბანური წესით ადგენს ამგვარად დასახელებულ პირთა სიას, სადაც აღნიშნულია წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებმაც ეს პირი დაასახელეს, და უგზავნის მას წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს. არჩევნების მოწყობის თარიღამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.

3. კომიტეტის წევრებს ირჩევენ წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იწვევს გაერთიანებული ერების ცენტრალურ დაწესებულებებში. ასეთ სხდომაზე, რომლის კვორუმი წარმოადგენს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ორ მესამედს, არჩეულად ითვლება პირი, რომელმაც მიიღო ყველაზე მეტი ხმა და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყარში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენელთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა.

მუხლი 31

1. კომიტეტში არ შეიძლება შევიდეს ერთი და იმავე სახელმწიფოს ერთზე მეტი მოქალაქე.

2. კომიტეტის არჩევნების დროს ითვალისწინებენ წევრთა სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების, სხვადასხვა ცივილიზაციისა და ძირითადი იურიდიული სისტემების წარმომადგენლობის პრინციპს.

მუხლი 32

1. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით. მათ უფლება აქვთ ხელახლა იყვნენ არჩეული მათი კანდი-

დატურების განმეორებით დასახელების შემთხვევაში, თუმცა პირველ არჩევნებზე არჩეული ცხრა წევრის ვადა იწურება ორწლიანი პერიოდის დამლევს. პირველი არჩევნების შემდეგ დაუყოვნებლივ ამ ცხრა წევრის სახელებს წილისყრით განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე, რაც აღნიშნულია 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში.

2. რწმუნებათა ვადის გასვლის შემდეგ არჩევნები ტარდება პაქტის ამ ნაწილის წინა მუხლების შესაბამისად.

მუხლი 33

1. თუ სხვა წევრთა ერთსულოვანი აზრით, კომიტეტის რომელიმე წევრმა რაიმე მიზეზით შეწყვიტა თავისი ფუნქციების შესრულება, გარდა დროებით არყოფნის მიზეზისა, კომიტეტის თავმჯდომარე ამის შესახებ ატყობინებს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, რომელიც ამ წევრის ადგილს ვაკანტურად აცხადებს.

2. კომიტეტის რომელიმე წევრის გარდაცვალების ან გადადგომის შემთხვევაში თავმჯდომარე დაუყოვნებლივ ატყობინებს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, რომელიც ამ ადგილს ვაკანტურად აცხადებს გარდაცვალების დღიდან, ან იმ დღიდან, როდესაც გადადგომა ნამდვილი ხდება.

მუხლი 34

1. 33-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული ვაკანსია, და შესაცვლელი წევრის რწმუნებათა ვადა არ იწურება ამ ვაკანსიის გამოცხადებიდან ექვსი თვის მანძილზე, გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ამის შესახებ ატყობინებს წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია ორი თვის მანძილზე 29-ე მუხლის შესაბამისად წამოაყენოს კანდიდატურა ასეთი ვაკანსიის შესავსებად.

2. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ანბანური წესით ადგენს ამრიგად წამოყენებულ პირთა სიას და წარუდგენს მას წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს. შემდეგი არჩევნების ვაკანსიის შესავსებად ეწყობა პაქტის ამ ნაწილის დებულებათა შესაბამისად.

4. 33-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული ვაკანსიის შესავსებად არჩეული კომიტეტის წევრი თანამდებობრივ მოვალეობებს ასრულებს იმ წევრის რწმუნების ვადის დარჩენილი ვადით, რომლებმაც გაათავისუფლა ადგილი კომიტეტში აღნიშნული მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 35

კომიტეტის წევრები იღებენ გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ ანაზღაურებას გაერთიანებული ერების სახსრებიდან გენერალური ასამბლეის მიერ დაგენილი წესითა და პირობებით კომიტეტის მოვალეობათა მნიშვნელობის გათვალისწინებით.

მუხლი 36

გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი უზრუნველყოფს საჭირო პერსონალსა და მატერიალურ სახსრებს წინამდებარე პაქტის შესაბამისად კომიტეტის ფუნქციათა ეფექტური განხორციელებისათვის.

მუხლი 37

1. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იწვევს კომიტეტის პირველ სხდომას გაერთიანებული ერების ცენტრალურ დაწესებულებებში.

2. პირველი სხდომის შემდეგ კომიტეტი იკრიბება პროცედურული წესებით გათვალისწინებულ დროს.

3. ჩვეულებრივ კომიტეტი იკრიბება გაერთიანებული ერების ცენტრალურ დაწესებულებებში ან გაერთიანებული ერების ჟენევის განყოფილებაში.

მუხლი 38

კომიტეტის თითოეული წევრი, სანამ თავის მოვალეობას შეუდგებოდეს, ღია სხდომაზე აკეთებს საჯარო განცხადებას, თავისი ფუნქციების მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შესრულების თაობაზე.

მუხლი 39

1. კომიტეტი საკუთარი თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლის ვადით. შეიძლება მოხდეს მათი ხელახალი არჩევა.

2. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს, რომლებიც inter alia, უნდა ითვალისწინებდეს, რომ:

a) კომიტეტის თორმეტი წევრი შეადგენს კვორუმს;

b) კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 40

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას წარადგინონ მოხსენებები, წინამდებარე პაქტით აღიარებულ უფლებათა განხორციელებისათვის მათ მიერ დასახული ღონისძიებებისა და პროგრესის შესახებ, რომელსაც ამ უფლებათა გამოყენებაში მიაღწიეს:

a) შესაბამის მონაწილე სახელმწიფოთა მიმართ ამ პაქტის ძალაში შესვლიდან ერთი წლის მანძილზე;

b) ნებისმიერ შემთხვევაში, კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად.

2. ყველა მოხსენება წარედგინება გაერთიანებული ერე-

ბის გენერალურ მდივანს, რომელიც მას განსახილველად უგზავნის კომიტეტს. მოხსენებაში უნდა აღინიშნოს ის ფაქტორები და სიძნელეები, თუ ასეთი არსებობს, რომლებიც გავლენას ახდენენ წინამდებარე პაქტის განხორციელებაზე.

3. გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ შეუძლია დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებს გაუგზავნოს მოხსენებათა იმ ნაწილების ეგზემპლარები, რომლებიც შეიძლება მათი კომპეტენციის სფეროს ეხებოდეს.

4. კომიტეტი სწავლობს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ მოხსენებებს, მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის თავის მოხსენებებსა და ზოგადი ხასიათის ისეთ შენიშვნებს, რომლებიც მიზანშეწონილად მიაჩნია, კომიტეტს შეუძლია აგრეთვე ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს მოხსენებათა ეგზემპლარებთან ერთად გაუგზავნოს შენიშვნები, რომლებიც მიიღო წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისაგან.

წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ კომიტეტს წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებანი ნებისმიერი შენიშვნის თაობაზე, რომლებიც შეიძლება გაკეთდეს მე-4 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 41

1. ამ მუხლის შესაბამისად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ყოველთვის განაცხადოს, რომ ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს ინფორმაცია, სადაც რომელიმე მონაწილე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს წინამდებარე პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობები კომიტეტმა შეიძლება მიიღოს და განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგინა მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც გააკეთა განცხა-

დება, რომ ცნობს ამ კომიტეტის კომპეტენციას. კომიტეტი არ იღებს არავითარ ცნობას, თუკი ეს უკანასკნელი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება. ამ მუხლის შესაბამისად მიღებული ცნობების განხილვა ხდება შემდეგი პროცედურის მიხედვით:

a) თუ წინამდებარე პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ახორციელებს წინამდებარე პაქტის დებულებებს, მას შეუძლია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოს. ამ შეტყობინების მიღების დღიდან სამი თვის მანძილზე მიმღებმა სახელმწიფომ წერილობით უნდა წარუდგინოს ასეთი ცნობის გამომგზავნ სახელმწიფოს განმარტება ან რაიმე სხვა განცხადება, სადაც განმარტებული იქნება ეს საკითხი, რომელიც შესაძლებლობის ან მიზანშეწონილობის ფარგლებში უნდა შეიცავდეს მითითებას შინაგანი პროცედურებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც სახელმწიფომ მიიღო, მიიღებს ან შეიძლება მიიღოს ამ საკითხზე;

b) თუ საკითხი ექვსი თვის მანძილზე არ გადაწყდა ორივე დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოსათვის დამაკმაყოფილებელად მას შემდეგ, რაც მეორე სახელმწიფომ მიიღო პირველი შეტყობინება, თითოეულ ამ სახელმწიფოს უფლება აქვს ეს საკითხი გადასცეს კომიტეტს. ამასთან უნდა შეატყობინოს მეორე სახელმწიფოს.

c) კომიტეტი მისთვის გადაცემულ საკითხს განიხილავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად ამ შემთხვევაში სცადეს და ამოწურეს ყველა ხელმისწვდომი შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებები. ეს წესი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა ამ საშუალებათა გამოყენება გაუმართლებლად ჭიანურდება;

d) ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობების განხილ-

ვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომებს;

e) კომიტეტი „c“ ქვეპუნქტის დებულებათა დაცვით კეთილ სამსახურს უწევს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მეგობრულად გადაწყვიტონ საკითხი წინამდებარე პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის საფუძველზე;

f) მის განსახილველად გადაცემულ ყველა საკითხზე კომიტეტმა „b“ პუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს შეიძლება სთხოვოს წარუდგინონ საქმესთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია;

g) „b“ პუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს უფლება აქვთ საკითხის განხილვისას წარმოდგენილი იყვნენ კომიტეტში და გააკეთონ წარდგინება ზეპირად ან წერილობით;

h) შეტყობინების მიღებიდან თორმეტი თვის მანძილზე კომიტეტი „b“ პუნქტის შესაბამისად წარადგენს მოხსენებას;

i) თუ მიღწეულია გადაწყვეტილება „e“ ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში, კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსით;

ii) თუ გადაწყვეტილება „e“ ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში მიღწეული არ არის, მაშინ კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტების მოკლე შინაარსით; მოხსენებას თან ერთვის დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობითი წარდგინებანი და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერი.

თითოეულ ამ საკითხზე მოხსენება ეგზავნება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს.

2. ამ მუხლის დებულებები ძალაშია, მას შემდეგ რაც წინამდებარე პაქტის მონაწილე ათი სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მონაწილე სახელმწიფოები ასეთი განცხადებების დეპონირებას ახდენენ გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან, რომელიც განცხადებების პირებს უგზავნის დანარჩენ მონაწილე სახელმწიფოებს. გენერალური მდივნისათვის შეტყობინებით განცხადების უკან წაღება ყოველთვის შეიძლება. ასეთი მოქმედება ხელს არ უნდა უშლიდეს რომელიმე საკითხის განხილვას, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული შეტყობინების საგანია. მას შემდეგ, არც გენერალური მდივანი მიიღებს შეტყობინებას, რომ განცხადება უკან წაიღეს, აღარ მიიღება მონაწილე სახელმწიფოს არავითარი შემდგომი ცნობები, თუ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს არ გაუკეთებია ახალი განცხადება.

მუხლი 42

1. a) თუკი რომელიმე საკითხი, რომელიც კომიტეტს 41-ე მუხლის შესაბამისად გადაეცემა, დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთათვის დამაკმაყოფილებლად არ გადაწყდება, კომიტეტს შეუძლია დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წინასწარი თანხმობით დანიშნოს სპეციალური შემათანხმებელი კომისია (შემდგომში „კომისია"). კომისია სამსახურს უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, წინამდებარე პაქტის დებულებათა დაცვის საფუძველზე საკითხების მეგობრულად გადაწყვეტის საქმეში.

b) კომისიის შემადგენლობაში შედის დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთთვის მისაღები ხუთი პირი. თუ სამი თვის მანძილზე დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ კომისიის მთელი შემადგენლობისა თუ შემადგენლობის ნაწილის თაობაზე, კომისიის იმ წევრებს, რომელთა დანიშვნის თობაზე ვერ მიაღწიეს თანხმობას, ირჩევენ ფარული კენჭისყრით კომიტეტის წევრთა შემადგნელობიდან კომიტეტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

2. კომისიის წევრები მოვალეობას ასრულებენ პირადად. ისინი არ უნდა იყვნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოების ან იმ სახელმწიფოს მოქალაქენი, რომელსაც არ გაუკეთებია განცხადება 41-ე მუხლის შესაბამისად.

3. კომისია ირჩევს თავმჯდომარეს და აღგენს პროცედურის საკუთარ წესებს.

4. კომისიის სხდომები ჩვეულებრივ ეწყობა გაერთიანებული ერების ცენტრალურ დაწესებულებებსა თუ გაერთიანებული ერებისათვის მოსახერხებელ ადგილებში, რომლებიც კომისიამ შეიძლება განსაზღვროს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან და შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებთან კონსულტაციით.

5. 36-ე მუხლით განსაზღვრული სამდივნო ემსახურება ამ მუხლის საფუძველზე დანიშნულ კომისიებს.

6. კომიტეტის მიერ მიღებული და შესწავლილი ინფორმაცია კომისიას განკარგულებაში გადაეცემა, და კომისიას შეუძლია სთხოვოს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს, წარუდგინონ საქმესთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია.

7. კომისიის მიერ საკითხის სრულად განხილვის შემდეგ, მაგრამ საკითხის გადაცემიდან არაუგვიანეს 12 თვისა, იგი კომიტეტის თავმჯდომარეს დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოებისათვის გასაგზავნად წარუდგენს მოხსენებას:

a) თუ კომისიას არ შეუძლია დაამთავროს ამ საკითხის განხილვა თორმეტი თვის მანძილზე, იგი მოხსენებაში მოკლედ აღნიშნავს, თუ რა მდგომარეობაშია ამ საკითხის განხილვა;

b) თუ მიღწეულია ამ საკითხის მეგობრული გადაწყვეტა წინამდებარე პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე, კომისია თავის მოხსნებაში სჯერდება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსს;

c) თუ „b“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილება მიღწეული არ არის, კომისიის მოხსენება შეიცავს მის დასკვნებს ფაქტობრივი ხასიათის ყველა საკითხის შესახებ, რომელიც ეხება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა დაცვას, და კომისიის მოსაზრებებს ამ საკითხის მეგობრულად მოგვარების შესაძლებლობის შესახებ. ეს მოხსენებები აგრეთვე შეიცავს დაინტერსებულ მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობით წარდგინებებსა და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერს;

d) თუ კომისიის მოხსენება წარდგენილია „c“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ამ მოხსენების მიღებიდან სამი თვის მანძილზე ატყობინებენ კომიტეტის თავმჯდომარეს ეთანხმებიან თუ არა კომისიის მოხსენების შინაარსს.

8. ამ მუხლის დებულებები არ აკნინებენ 41-ე მუხლით გათვალისწინებულ კომიტეტის მოვალეობებს.

9. დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები თანაბრად ანაზღაურებენ კომისიის წევრთა ყველა ხარჯებს იმ ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელსაც წარადგენს გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი.

10. გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, აანაზღაუროს კომისიის წევრთა ხარჯები, მანამ სანამ ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად აანაზღაურებდნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები.

მუხლი 43

კომიტეტისა და 42-ე მუხლის შესაბამისად დანიშნული სპეციალური შემათანხმებელი კომისიების წევრები, სარგებლობენ გაერთიანებული ერების მიერ მივლინებაში გაგზავნილ ექსპერტთა შეღავათებით, პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერთი-

ანებული ერების პრივილეგიებისა და იმუნიტეტის კონვენციის შესაბამის ნაწილებში.

მუხლი 44

წინამდებარე პაქტის განხორციელების დებულებები გამოყენებული უნდა იყოს ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ ადამიანის უფლებათა პროცედურებს, რომლებსაც ითვალისწინებს გაერთიანებული ერებისა და მის სპეციალიზებულ დაწესებულებათა დამფუძნებელი აქტები და კონვენციები, ან ეს დებულებები ხელს არ უნდა უშლიდეს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს მიმართონ დავის გადაწყვეტის სხვა პროცედურებს მათ შორის მოქმედ საერთო და სპეციალურ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე.

მუხლი 45

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საშუალებით კომიტეტი გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას წარუდგენს თავისი საქმიანობის ყოველწლიურ მოხსენებას.

ნაწილი V

მუხლი 46

წინამდებარე პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული როგორც გაერთიანებული ერების წესდებისა და გაერთიანებული ერებისა და მის სპეციალიზებულ დაწესებულებათა სხვადასხვა ორგანოების შესაბამის მოვალეობათა განმსაზღვრელი წესდებების დებულებათა მნიშვნელობის დაკნინება იმ საკითხებში, რომლებსაც ეს პაქტი ეხება.

მუხლი 47

წინამდებარე პაქტში არაფერი უნდა იყოს განმარტებული, როგორც ხალხის განუყოფელი უფლების დაკნინება

მთლიანად და თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს თვისი ბუნებრივი სიმდიდრეებითა და რესურსებით.

ნაწილი VI

მუხლი 48

1. წინამდებარე პაქტი ხელმოსაწერად ღიაა გაერთიანებული ერების ან ყველა მისი სპეციალიზებული დაწესებულების წევრი ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, აგრეთვე საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილე ყველა სახელმწიფოსა და ყველა სხვა სახელმწიფოსათვის, რომელსაც გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა შესთავაზებს წინამდებარე პაქტში მონაწილეობას.

2. ეს პაქტი საჭიროებს რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირებული უნდა იყოს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

3. წინამდებარე პაქტი მისაერთებლად ღიაა ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.

4. შეერთებისათვის საჭიროა შეერთების დოკუმენტის დეპონირება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

5. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ატყობინებს ამ პაქტის ხელმომწერ და მიერთებულ ყველა სახელმწიფოს, თითოეული სარატიფიკაციო სიგელისა თუ დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

მუხლი 49

1. ეს პაქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან დეპონირებული იქნება ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტი.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც წინამდე-

ბარე პაქტის რატიფიკაციას ახდენს ან უერთდება, მას ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, ეს პაქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა დეპონირებული იქნება მისი საკუთარი სარატიფიკაციო სიგელი თუ შეერთების დოკუმენტი.

მუხლი 50

წინამდებარე პაქტის დებულებები ვრცელდება ფედერაციულ სახელმწიფოთა ყველა ნაწილზე რაიმე შეზღუდვისა თუ გამონაკლისის გარეშე.

მუხლი 51

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შესწორებები და წარუდგინოს ისინი გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შემდეგ შემოთავაზებულ შესწორებებს უგზავნის წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს შეატყობინონ, მომხრე არიან თუ არა, ამ წინადადებათა განსახილველად და მათთვის კენჭის საყრელად მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევის. თუ მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა მესამედი მხარს დაუჭერს ასეთ კონფერენციას, გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ეგიდით. ყველა შესწორებას, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, დასამტკიცებლად წარუდგენენ გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას.

2. შესწორებები ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა და თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა – ორი მესამედი.

3. შესწორებების ძალაში შესვლის შემდეგ, ისინი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება წინამდებარე პაქტის დებულებები და მათ მიერ მიღებული ყველა წინა შესწორებები.

მუხლი 52

48-ე მუხლი „5“ პუნქტის თანახმად შეტყობინებისგან დამოუკიდებლად გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იმავე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს ატყობინებს შემდეგს:

a) 48-ე მუხლის თანახმად ხელმოწერების, რატიფიკაციებისა და შეერთებების შესახებ;

b) 49-ე მუხლის თანახმად წინამდებარე პაქტის ძალაში შესვლისა და 51-ე მუხლის თანახმად ყოველგვარი შესწორებების ძალაში შესვლის თარიღს.

მუხლი 53

1. ეს პაქტი, რომლის ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური ტექსტები ერთნაირად ავთენტურია, შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების არქივს.

2. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი წინამდებარე პაქტის დამოწმებულ პირებს უგზავნის 48-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი

მიღებულია და ხელმოსაწერად, რატიფიკაციისა და მიერთებისათვის ღიაა, გაერთიანებული ერების 2200 . (XXI) რეზოლუციით, 1966 წლის 16 დეკემბერს

წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის (შემდგომში „პაქტი“) მიზნების მისაღწევად და მისი დებულებების განსახორციელებლად მიზანშეწონილი იქნებოდა პაქტის IV ნაწილის საფუძველზე დაარსებულ ადამიანის უფლებათა კომიტეტს (შემდგომში „კომიტეტი“) მიეცეს შესაძლებლობა წინამდებარე ოქმის შესაბამისად მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები ცალკეული პირებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი პაქტში აღნიშნული რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლნი არიან,

შეთანხმდნენ:

მუხლი 1

პაქტის მონაწილე სახელმწიფო, რომელიც წინამდებარე ოქმის მონაწილე ხდება, აღიარებს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს შეტყობინება მისი იურისდიქციის ქვემდებარე პირებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აღნიშნული მონაწილე სახელმწიფოს მიერ პაქტში მოყვანილი რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლნი არიან. კომიტეტის მიერ არც ერთი შეტყობინება არ მიიღება, თუ იგი ეხება პაქტის მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც არ არის წინამდებარე ოქმის მონაწილე.

მუხლი 2

პირველი მუხლის დებულებების დაცვის შემთხვევაში პირებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პაქტში ჩამოთვლილი მათი რომელიმე უფლება დაირღვა, და რომლებმაც ამოწურეს იურიდიული დაცვის ყველა არსებული შიდა სახელმწიფოებრივი საშუალება, შეუძლიათ კომიტეტის განსახილველად წარადგინონ წერილობითი შეტყობინება.

მუხლი 3

კომიტეტს შეუძლია მიუღებლად გამოაცხადოს წინამდებარე ოქმის შესაბამისად წარდგენილი ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც ანონიმურია ან, მისი აზრით, წარმოადგენს ასეთი შეტყობინებების წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებას, ან შეუთავსებელია პაქტის დებულებებთან.

მუხლი 4

1. მე-3 მუხლის დებულებათა დაცვის შემთხვევაში კომიტეტი წინამდებარე ოქმის თანახმად წარდგენილ ნებისმიერ შეტყობინებას აცნობებს წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოებს, რომელიც მტკიცების თანახმად, არღვევს პაქტის რომელიმე დებულებას.

2. შეტყობინების მიმღები სახელმწიფო ექვსი თვის მანძილზე წარუდგენს კომიტეტს წერილობით განმარტებებს ან განცხადებებს, სადაც განმარტებული იქნება ეს საკითხი და ნებისმიერი ღონისძიება, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა, რომელიც შეიძლება ამ სახელმწიფოს მიერ იყო გამოყენებული.

მუხლი 5

1. კომიტეტი წინამდებარე ოქმის შესაბამისად მიღებულ შეტყობინებებს განიხილავს ცალკეული პირების და დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისთვის

წარდგენილი ყველა წერილობითი მონაცემების გათვალისწინებით.

2. კომიტეტი არ განიხილავს პირთა არც ერთ შეტყობინებას, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ:

a) იგივე საკითხი არ განიხილება საერთაშორისო გარჩევის ან მოწესრიგების სხვა პროცედურის შესაბამისად;

b) მოცემულმა პირმა ამოწურა სამართლებრივი დაცვის ყველა ხელმისაწვდომი შიდა სახელმწიფოებრივი საშუალება;

ეს წესი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა ამ საშუალებათა გამოყენება გაუმართლებლად ჭიანურდება.

3. ამ ოქმით გათვალისწინებული ცნობების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომას.

4. კომიტეტი თავის მოსაზრებებს აცნობებს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოსა და პირს.

მუხლი 6

კომიტეტი პაქტის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ ყოველწლიურ მოხსნებას ურთავს წინამდებარე ოქმის შესაბამისად გაწეული საქმიანობის მოკლე ანგარიშს.

მუხლი 7

გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 1960 წლის 14 დეკემბერს, კოლონიური ქვეყნებისა და ხალხების დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის თაობაზე მიღებული 1514 (XV) რეზოლუციის მიზნების მიღწევამდე, წინამდებარე ოქმის დებულებები არანაირად არ ზღუდავს გაერთიანებული ერების წესდებითა და გაერთიანებული ერებისა და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების სხვა საერთაშორისო კონვენციებითა და დოკუმენტებით ამ ხალხისათვის მინიჭებული პეტიციების წარდგენის უფლებას.

მუხლი 8

1. წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად პაქტის ხელმომწერი ყველა სახელმწიფოსათვის.

2. წინამდებარე ოქმი რატიფიცირებული უნდა იყოს ყველა სახელმწიფოს მიერ, რომელმაც პაქტის რატიფიკაცია მოახდინა ან შეუერთდა მას. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს.

3. წინამდებარე ოქმს შეუძლია შეუერთდეს ყველა სახელმწიფო, რომელმაც პაქტის რატიფიკაცია მოახდინა ან შეუერთდა მას.

4. შეერთებისათვის საჭიროა შეერთების დოკუმენტის დეპონირება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

5. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი აცნობებს ყველა სახელმწიფოს, რომლებმაც ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს ან შეუერთდნენ მას, თითოეული სარატიფიკაციო სიგელის თუ შეერთების დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

მუხლი 9

1. პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ, ეს ოქმი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან დეპონირებული იქნება მეათე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტი.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც წინამდებარე ოქმის რატიფიკაციას ახდენს ან უერთდება მას მეათე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების დოკუმენტის დეპონირების შედეგად, ეს ოქმი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა დეპონირებული იქნება მისი საკუთარი სარატიფიკაციო სიგელი თუ შეერთების დოკუმენტი.

მუხლი 10

წინამდებარე ოქმის დებულებანი ვრცელდება ფედერაციულ სახელმწიფოთა ყველა ნაწილზე რაიმე შეზღუდვისა თუ გამონაკლისის გარეშე.

მუხლი 11

1. წინამდებარე ოქმის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შესწორებები და წარუგზინოს ისინი გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შემოთავაზებულ შესწორებებს უგზავნის წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს შეატყობინონ, მომხრე არიან თუ არა, ამ წინადადების განსახილველად და მასზე კენჭის საყრელად მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევისა. თუ ასეთი კონფერენციის მოწვევას მხარს დაუჭერს მონაწილე სახელმწიფოთა არანაკლებ მესამედი, გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ეგიდით. ყველა შესწორებას, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, დასამტკიცებლად წარუდგენენ გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას.

2. შესწორებები ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა და კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა — ორი მესამედი.

3. შესწორებების ძალაში შესვლის შემდეგ, ისინი სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება წინამდებარე პაქტის დებულებები და მათ მიერ მიღებული ყველა წინა შესწორებები.

მუხლი 12

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე ოქმის დენონსაცია გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის სახელზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან სამი თვის შემდეგ.

2. დენონსაცია ხელს არ უშლის წინამდებარე ოქმის დებულებების გამოყენების გაგრძელებას ყოველგვარ შეტყობინებასთან, რომელიც წარდგენილია მე-2 მუხლის შესაბამისად დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღამდე.

მუხლი 13

წინამდებარე ოქმის მე-8 მუხლის 5 პუნქტის შესაბამისად შეტყობინებისაგან დამოუკიდებლად გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი პაქტის 48-ე მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს აცნობებს შემდეგს:

a) მე-8 მუხლის თანახმად, ხელმოწერების, რატიფიკაციებისა და შეერთებების შესახებ;

b) მე-9 მუხლის თანახმად, წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის თარიღს და მე-11 მუხლის თანახმად, ყოველგვარი შესწორებების ძალაში შესვლის თარიღს;

c) მე-12 მუხლის თანახმად, დენონსაციის შესახებ.

მუხლი 14

1. ეს ოქმი, რომლის ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური ტექსტები ერთნაირად ავთენტურია, შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების არქივს.

გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი წინამდებარე ოქმის დამოწმებულ პირებს უგზავნის პაქტის 48-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატური ოქმი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ

მიღებული და გამოცხადებულია გენერალური ასამბლეის 44/128 რეზოლუციით 1989 წლის 15 დეკემბერს

ამ ოქმის მონაწილე სახელმწიფოებს,

სჯერათ რა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება ხელს შეუწყობს ადამიანის ღირსების ამაღლებას და ადამიანის უფლებების პროგრესულ განვითარებას,

იხსენებენ რა, 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას და 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ,

ალნიშნავენ რა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლი მკაცრად მიუთითებს, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება სასურველია;

ითვალისწინებენ რა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება განხილულ უნდა იქნას როგორც სიცოცხლის უფლებით სარგებლობის საკითხში პროგრესული ნაბიჯი;

სურვილით განმსჭვალულნი მოქმედებაში მოიყვანონ საერთაშორისო მიზანდასახულობა სიკვდილით დასჯის გაუქმების გზაზე,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1. წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციაში არავინ შეიძლება სიკვდილით დაისაჯოს.

2. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომები, რათა მათი იურისდიქციის ფარგლებში გაუქმდეს სიკვდილით დასჯა.

მუხლი 2

1. წინამდებარე ოქმზე დათქმები დაუშვებელია, გარდა რატიფიკაციისა და მიერთების დროს დადებული დათქმებისა, რომელიც უზრუნველყოფს ომის დროს სიკვდილით დასჯის გავრცელებას სამხედრო ხასიათის ყველაზე საშიშ დანაშაულებებზე.

2. მონაწილე სახელმწიფომ, რომელიც რატიფიკაციის ან მიერთების დროს დათქმას აკეთებს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს უნდა აცნობოს ქვეყნის კანონმდებლობის იმ დებულებების შესახებ, რომლებიც ომის დროს გამოიყენება.

3. მონაწილე სახელმწიფომ, რომელსაც გაკეთებული აქვს დათქმა გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს უნდა აცნობოს მის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარი მდგომარეობის დაწყებისა და დასრულების შესახებ.

მუხლი 3

წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოებმა მათ მიერ ადამიანის უფლებების კომიტეტში წარდგენილ მოხსენებაში პაქტის მე-40 მუხლის შესაბამისად უნდა შეიტანონ ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომლებიც მათ მიერ მიღებულ იქნა წინამდებარე ოქმის განსახორციელებლად.

მუხლი 4

პაქტის იმ მონაწილე სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომლებმაც 41-ე მუხლის შესამისად აღიარეს ადამიანის უფლებების კომიტეტის კომპეტენცია, მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები, უნდა გავრცელდეს ამ ოქმის დებულებებზეც,

როდესაც ერთი მონაწილე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს მის ვალდებულებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაწილე სახელმწიფოს რატიფიკაციის ან მიერთების დროს გაკეთებული აქვს საწინააღმდეგო განცხადება.

მუხლი 5

1966 წლის 16 დეკემბრის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის პირველი ფაკულტატური ოქმის მონაწილე სახელმწიფოებთან მიმართებაში, ადამიანის უფლებათა კომიტეტის კომპეტენცია მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები სახელმწიფოს იურისდიქციის დაქვემდებარებული ინდივიდებისაგან, უნდა გავრცელდეს წინამდებარე ოქმის დებულებებზეც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაწილე სახელმწიფოს რატიფიკაციის ამ მიერთების დროს გაკეთებული აქვს საწინააღმდეგო განცხადება.

მუხლი 6

1. წინამდებარე ოქმის დებულებები უნდა განვიხილოთ როგორც აქტის დამატებითი დებულებები.

2. წინამდებარე ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად დათქმის გაკეთების შესაძლებლობის შეზღუდვის გარეშე, წინამდებარე ოქმის I მუხლის I პუნქტში აღნიშნული უფლება არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვას პაქტის მეოთხე მუხლის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 7

1. წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად პაქტის ხელმომწერი ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.

2. წინამდებარე ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას იმ სახელმწიფოს მიერ, რომელმაც მოახდინა პაქტის რატიფი-

კაცია ან მიურთდა მას. რატიფიკაციის დოკუმენტების დეპონირება ხდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

3. წინამდებარე ოქმი ღია უნდა იყოს მისაერთებლად იმ სახელმწიფოსათვის, რომლებმაც მოხდინეს პაქტის რატიფიკაცია ან მიერთდნენ მას.

4. მიერთება ძალაშია მიერთების დოკუმენტების გაერთიანებული ერების მდივანთან დეპონირების შემდეგ.

5. გაერთიანებული ერების გენერალურმა მდივანმა თითოეულ სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერა ან მიუერთდა წინამდებარე ოქმს უნდა აცნობოს რატიფიკაციის ან მიერთების თითოეული დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად, ადამიანთა ოჯახის ყველა წევრის თანაბარი და განუყოფელი უფლებების აღიარება თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველია,

აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამომდინარეობს ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ღირსებიდან,

ითვალისწინებენ სახელმწიფოთა ვალდებულებას წესდების, სახელდობრ, 55-ე მუხლის, შესაბამისად ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემას და დაცვას,

ითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლს და მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლს, რომელთა მიხედვით, არავინ არ უნდა განიცდიდეს წამებას და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასა და დასჯას, ითვალისწინებენ აგრეთვე წამებისაგან და სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯისაგან ყველა პირის დაცვის დეკლარაციას, რომელიც მიიღო გენერალურმა ასამბლეამ 1975 წლის 9 დეკემბერს, და რომლებსაც სურთ მთელ მსოფლიოში აამაღლონ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

ნაწილი I

მუხლი 1

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის, განსაზღვრება „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს ან ზნეობრივს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ცნობები ან აღიარება, დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი, ან ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი დისკრიმინაცია, როცა ასეთ ტკივილს ან ტანჯვას აყენებს სახელმწიფო თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან აყენებენ მათი წაქეზებით, ნებართვით ან მდუმარე თანხმობით. ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი ან ტანჯვა, რომელიც წარმოიშობა მხოლოდ კანონიერ სანქციათა შედეგად, ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მათგან გამოწვეული.

2. ეს მუხლი ზიანს არ აყენებს რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულებას ან ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს უფრო ფართოდ გამოყენების დებულებებს.

მუხლი 2

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო იღებს ეფექტიან საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სასამართლო და სხვა ზომებს თავის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე წამების აქტების თავიდან ასაცილებლად.

2. არავითარი განსაკუთრებული გარემოებებით, როგორიც უნდა იყოს ისინი, იქნება ეს საომარი მდგომარეობა თუ ომის საფრთხე, შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა თუ ნებისმიერი სხვა საგანგებო მდგომარეობა, არ შეიძლება წამების გამართლება.

3. ზემდგომი უფროსის ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანებით არ შეიძლება წამების გამართლება.

მუხლი 3

1. არც ერთმა მონაწილე სახელმწიფომ არ უნდა გაასახლოს, დააბრუნოს (refouler) ან გადასცეს რომელიმე პირი სხვა სახელმწიფოს, თუ არსებობს სერიოზული საფუძველი ეჭვისათვის, რომ მას იქ დაემუქრება წამების საფრთხე.

2. ასეთი საფუძვლის არსებობის დასადგენად კომპეტენტური ხელისუფალნი ითვალისწინებენ საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას, მათ შორის, შესაბამის შემთხვევებში, მოცემულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა უხეში, აღმაშფოთებელი და მასობრივი დარღვევის მუდმივ პრაქტიკას.

მუხლი 4

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ წამების ყველა აქტი, მისი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, განიხილებოდეს, როგორც დანაშაული. იგივე ეხება წამების მცდელობას და ნებისმიერი პირის მოქმედებას, რომელიც არის წამებაში თანამონაწილეობა ან მონაწილეობა.

2. ყოველი მონაწილე სახელმწიფო განსაზღვრავს შესაბამის სასჯელს ასეთი დანაშაულებისათვის, მათი სიმძიმის გათვალისწინებით.

მუხლი 5

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო იღებს ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მე-4 მუხლში აღნიშნულ დანაშაულთა მიმართ მისი იურისდიქციის დასადგენად, შემდეგ შემთხვევებში:

a) როცა დანაშაული ჩადენილია მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, ან მოცემულ სახელმწიფოში რეგისტრირებულ საზღვაო ან საჰაერო ხომალდზე;

b) როცა სავარაუდო დამნაშავე მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეა;

c) როცა მსხვერპლი მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეა ან თუ მოცემულ სახელმწიფოს ეს მიზანშეწონილად მიაჩნია.

2. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ანალოგიურად იღებს ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს, რათა დაადგინოს თავისი იურისდიქცია ასეთ დანაშაულთა მიმართ, იმ შემთხვევებში, როცა სავარაუდო დამნაშავე იმყოფება მის იურიდისქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე და იგი მე-8 მუხლის შესაბამისად არ გადასცემს მას ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს.

3. ეს კონვენცია არ გამორიცხავს ნებისმიერი სისხლის სამართლის იურისდიქციის განხორციელებას შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6

1. როცა ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება მე-4 მუხლში აღნიშნული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, თავის ხელთ არსებული ინფორმაციის განხილვის შემდეგ დარწმუნდება, რომ ამას გარემოება მოითხოვს, ამ პირს აპატიმრებს ან იღებს სხვა იურიდიულ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მის დასწრებას. დაპატიმრება და სხვა ასეთი ზომები ხორციელდება მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა

სისხლისსამართლებრივი საპროცესო მოქმედებისათვის ან გადასაცემად მოქმედებისათვის.

2. ასეთი სახელმწიფო დაუყოვნებლივ აცნობს ფაქტების წინასწარ გამოძიებას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დაპატიმრებულ ნებისმიერ პირს უნდა შეეწყოს ხელი, რათა დაუყოვნებლივ დაამყაროს კონტაქტი იმ სახელმწიფოს უახლოეს შესაბამის წარმომადგენელთან, რომლის მოქალაქეც ის არის, ან, თუ ის მოქალაქეობის არმქონე პირია, — იმ სახელმწიფოს წარმომადგენელთან, სადაც ის, ჩვეულებრივ, ცხოვრობს.

4. როცა სახელმწიფო ამ მუხლის შესაბამისად რომელიმე პირს აპატიმრებს, იგი დაუყოვნებლივ აცნობებს მე-5 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ სახელმწიფოებს ასეთი პირის დაპატიმრების ფაქტს და გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად დაედო მის დაკავებას. სახელმწიფო, რომელიც აწყობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ წინასწარ გამოძიებას, მიღებულ მონაცემებს დაუყოვნებლივ ატყობინებს ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებს ან მიუთითებს, აპირებს თუ არა იგი თავისი იურისდიქციის განხორციელებას.

მუხლი 7

1. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომლის იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიაზეც აღმოჩენილია მეოთხე მუხლში აღნიშნული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, მეხუთე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამნაშავეს არ გადასცემს, მოცემულ საქმეს გადასცემს თავის კომპეტენტურ ხელისუფალთ სასამართლო დევნისათვის.

2. ეს ხელისუფლები იღებენ ისეთივე გადაწყვეტილებას, როგორსაც ნებისმიერი ჩვეულებრივი სერიოზული დანაშაულის შემთხვევაში, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესა-

ბამისად. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ შემთხვევებში, სასამართლო დევნისათვის და მსჯავრდადებისათვის საჭირო მტკიცებებისადმი წაყენებული მოთხოვნები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს იმათზე ნაკლებად მკაცრი, რომლებიც გამოიყენება მე-5 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში.

3. ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება გარჩევა მე-4 მუხლში აღნიშნული ნებისმიერი დანაშაულის გამო, გარანტირებული აქვს სამართლიანი მოპყრობა გარჩევის ყველა სტადიაზე.

მუხლი 8

1. მე-4 მუხლში აღნიშნული დანაშაულები მონაწილე სახელმწიფოთა შორის არსებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში გადაცემის თაობაზე შეტანილ უნდა იქნას როგორც დანაშაულები, რომლებიც იწვევს დამნაშავის გადაცემას. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, ასეთი დანაშაულები შეიტანონ გადაცემის თაობაზე ერთმანეთთან დადებულ ხელშეკრულებაში, როგორც დანაშაულები, რომლებიც იწვევს გადაცემას.

2. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომელიც გადაცემას განაპირობებს ხელშეკრულების არსებობით, გადაცემის თაობაზე იღებს თხოვნას სხვა მონაწილე სახელმწიფოსაგან, რომელთანაც მას ასეთი ხელშეკრულება არ აქვს დადებული, მას შეუძლია ეს კონვენცია ასეთ დანაშაულთა მიმართ განიხილოს, როგორც სამართლებრივი საფუძველი გადაცემისათვის. გადაცემა ხდება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების შესაბამისად, რომელსაც მიმართეს თხოვნით გადაცემის თაობაზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც გადაცემას არ განაპირობებენ ხელშეკრულების არსებობით, ერთმანეთთან ურთიერთობაში ასეთ დანაშაულებს განიხილავენ, როგორც

დანაშაულებს, რომლებიც იწვევს გადაცემას იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, რომელსაც მიმართეს თხოვნით გადაცემის თაობაზე.

4. ასეთი დანაშაულები გადაცემის მიზნებისათვის, მონაწილე სახელმწიფოებს შორის განიხილება ისევე, როგორც ისინი ჩადენილი რომ ყოფილიყო არა მარტო მათი ჩადენის ადგილას, არამედ იმ სახელმწიფოთა ტერიტორიაზეც, რომლებიც ვალდებულნი არიან დააწესონ თავიანთი იურისდიქცია მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველაზე უფრო სრულ დახმარებას უწევენ ერთმანეთს მე-4 მუხლში ჩამოთვლილი ნებისმიერი დანაშაულის მიმართ გამოყენებული სისხლის სამართლებრივ საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებით, მათ შორის, გადასცემენ მათ ხელთ არსებულ ყველა მტკიცებას, რომლებიც საჭიროა სასამართლო გარჩევისათვის.

2. მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ ვალდებულებებს ასრულებენ ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად და სამართლებრივი ურთიერთდახმარების ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც შეიძლება დაიდოს მათ შორის.

მუხლი 10

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ სასწავლო მასალები და ინფორმაციები, რომლებიც ეხება წამების აკრძალვას, სრულად იქნეს შეტანილი სამართალდამცავი ორგანოების პერსონალის, სამოქალაქო ან სამხედრო, სამედიცინო პერსონალის, სახელმწიფო თანამდებობის პირთა და სხვა პირთა მომზადების პროგრამებში, რომლებსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეთ იმ პირთა პატიმრობაში ყოლასთან და დაკითხვებთან, რომლებიც ნებისმიერი

ფორმით დააპატიმრეს, დააკავეს ან საპატიმროში მოათავსეს, ან მათდამი მოპყრობასთან.

2. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს ასეთი აკრძალვა შეაქვს წესებში ან ინსტრუქციებში, რომლებიც ეხება ნებისმიერი ასეთი პირის მოვალეობებსა და ფუნქციებს.

მუხლი 11

ყოველი მონაწილე სახელმწიფო სისტემატურად განიხილავს წესებს, ინსტრუქციებს, მეთოდებსა და პრაქტიკას, რომლებიც ეხება იმ პირთა დაკითხვას, აგრეთვე პატიმრობაში ყოლისა და მოპყრობის პირობებს, რომლებიც ნებისმიერი ფორმით დააპატიმრეს, დააკავეს ან საპატიმროში მოათავსეს მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, რათა არ დაუშვან წამების რაიმე შემთხვევა.

მუხლი 12

ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ მისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა სწრაფად და მიუკერძოებლად მოაწყონ გამოძიება, როცა საკმარისი საფუძველი არსებობს ეჭვისათვის, რომ მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე გამოყენებული იყო წამება.

მუხლი 13

ყოველი მონაწილე სახელმწიფო ნებისმიერი პირისათვის, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი აწამეს ამ სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს ამ სახელმწიფოს კომპეტენტურ ხელისუფალთათვის საჩივრის წარდგენის და მათ მიერ ასეთი საჩივრის სწრაფად და მიუკერძოებლად განხილვის უფლებას. მიიღება ზომები მომჩივანისა და მოწმეთა დასაცავად საჩივრის ან

მოწმის ნებისმიერ ჩვენებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ფორმის უხეში მოპყრობისაგან ან დაშინებისაგან.

მუხლი 14

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო თავის სამართლებრივ სისტემაში უზრუნველყოფს, ჰქონდეს სამართლებრივი სანქციით განმტკიცებული უფლება სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციისა, რომ წამების მსხვერპლი იღებდეს ანაზღაურებას, და, მათ შორის, რაც შეიძლება სრული რეაბილიტაციისათვის საჭირო სახსრების მიღების უფლება. წამების შედეგად მსხვერპლის სიკვდილის შემთხვევაში კომპენსაციის უფლება ეძლევა მის კმაყოფაზე მყოფთ.

2. ამ მუხლში არაფერი არ ეხება მსხვერპლის ან სხვა პირის მიერ კომპენსაციის მიღების ნებისმიერ უფლებას, რომელიც შეიძლება არსებობდეს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 15

ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც, როგორც დადგინდა, გაკეთებული იყო წამების შედეგად, არ იქნეს გამოყენებული მტკიცებად ნებისმიერი სასამართლო გარჩევის დროს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი გამოიყენება იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება წამება, როგორც იმის მტკიცება, რომ ეს განცხადება გაკეთდა.

მუხლი 16

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, თავის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე თავიდან აიცილოს სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა და დასჯის სხვა აქტები,

რომლებსაც არ მოიცავს პირველ მუხლში აღნიშნული წამების განსაზღვრება, როცა ასეთ აქტებს სჩადის სახელმწიფო თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან სჩადიან მათი წაქეზებით, ნებართვით ან მდუმარე თანხმობით, სახელდობრ, ვალდებულებები, რომლებსაც შეიცავს მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 მუხლები, გამოიყენება ისე, რომ მათში ნახსენები განსაზღვრება „წამება“ შეიცვლება განსაზღვრებით „სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის სხვა სახეობანი“.

2. ამ კონვენციის დებულებები ზიანს არ აყენებს ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ხელშეკრულების ან ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს, რომლებიც კრძალავს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასა და დასჯას, ან ეხება დამნაშავის გადაცემას ან გასახლებას.

ნაწილი II

მუხლი 17

1. იქმნება წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (შემდგომ - „კომიტეტი“), რომელიც ახორციელებს ქვემოთ გათვალისწინებულ ფუნქციებს. კომიტეტი შედგება ათი ექსპერტისაგან, რომლებსაც მაღალი მორალური თვისებები აქვთ და რომლებიც თავიანთი კომპეტენტურობით აღიარებულნი არიან ადამიანის უფლებათა სფეროში და მოქმედებენ პირადად. ექსპერტებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები, ამასთან, ყურადღება ექცევა სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებას და იურიდიული გამოცდილების მქონე რამდენიმე პირის მონაწილეობის მიზანშეწონილობას.

2. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით, მონაწილე სახელმწიფოების მიერ დასახელებულ პირთაგან. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს ერთი კანდიდატურა თავის მოქალაქეთაგან. მონაწილე სახელმწი-

ფოები ითვალისწინებენ ისეთ პირთა დასახელების მიზანშეწონილობას, რომლებიც აგრეთვე მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის შესაბამისად დაარსებული ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრები არიან და რომლებიც გამოთქვამენ წამების საწინააღმდეგო კომიტეტში მუშაობის სურვილს.

3. კომიტეტის წევრთა არჩევნები ეწყობა მონაწილე სახელმწიფოთა თათბირებზე, რომლებსაც ორ წელიწადში ერთხელ იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი. ამ თათბირებზე, რომელთა ქვორუმი შეადგენს მონაწილე სახელმწიფოთა ორ მესამედს, კომიტეტის წევრებად არჩეულებად ითვლებიან კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა და თათბირზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტური რაოდენობა.

4. თავდაპირველი არჩევნები ეწყობა არა უგვიანეს ექვსი თვისა ამ კონვენციის ამოქმედების დღიდან.

მორიგი არჩევნების თარიღამდე სულ ცოტა ოთხი თვით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის წერილს, რომელიც შეიცავს წინადადებას, რომ სამი თვის ვადაში წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურები. გენერალური მდივანი ამზადებს სიას, რომელშიც ანბანური თანმიმდევრობით შეაქვს ამგვარად დასახელებული ყველა პირი იმ მონაწილე სახელმწიფოთა აღნიშვნით, რომლებმაც ისინი დაასახელეს, და ამ სიას წარუდგინეს მონაწილე სახელმწიფოებს.

5. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით. მათ აქვთ ხელახლა არჩევის უფლება, თუ განმეორებით იქნებიან დასახელებულნი, პირველ არჩევნებში არჩეული ხუთი წევრის უფლებამოსილების ვადა იწურება ორწლიანი პერიოდის დასასრულს. პირველი არჩევნებისთანავე განისაზ-

ღვრება ამ ხუთი წევრის ვინაობა წილისყრით, რომელსაც აწყობს ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული თათბირის თავმჯდომარე.

6. კომიტეტის წევრის სიკვდილის, თანამდებობიდან გადადგომის ან მის მიერ რაიმე სხვა მიზეზით კომიტეტში ფუნქციების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი კანდიდატურის შემთავაზებელი მონაწილე სახელმწიფო დარჩენილი ვადით ნიშნავს სხვა ექსპერტს თავის მოქალაქეთაგან, რომელსაც იწონებს მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა. კანდიდატურა მოწონებულად ითვლება, თუ მონაწილე სახელმწიფოთა ნახევარმა ან უფრო მეტმა უარყოფითად არ უპასუხა შეთავაზებული დანიშვნის თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისაგან ინფორმაციის მიღებიდან ექვსი კვირის განმავლობაში.

7. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ კომიტეტის წევრთა ხარჯების დაფარვას მათ მიერ კომიტეტში მოვალეობათა შესრულების პერიოდში.

მუხლი 18

1. კომიტეტი ირჩევს თავის თანამდებობის პირთ. ორი წლის ვადით, დასაშვებია მათი ხელახლა არჩევა.

2. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს, მაგრამ ამ წესებში, კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:

a) ექვსი წევრი ქმნის კვორუმს;

b) კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უზრუნველყოფს საჭირო პერსონალსა და პირობებს კომიტეტის ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებისათვის ამ კონვენციის შესაბამისად.

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს კომიტეტის პირველ თათბირს. კომიტეტი თავის პირველი თათბირის შემდეგ იკრიბება მისი პროცედურის წესებით გათვალისწინებული პერიოდულობით.

5. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ მონაწილე სახელმწიფოთა და კომიტეტის თათბირების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ნებისმიერი ხარჯების ანაზღაურებას, როგორიცაა პერსონალის გასამრჯელო და პირობების ხარჯები, რომლებსაც უზრუნველყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამ მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 19

1. მონაწილე სახელმწიფოები კომიტეტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით წარუდგენენ მოხსენებებს, ამ კონვენციის თანახმად, მოცემული სახელმწიფოსათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში თავიანთ ვალდებულებათა განსახორციელებლად მიღებული ზომების თაობაზე. შემდგომში მონაწილე სახელმწიფოები ოთხ წელიწადში ერთხელ წარადგენენ დამატებით მოხსენებებს ნებისმიერ ახალ მიღებულ ზომათა თაობაზე, აგრეთვე სხვა მოხსენებებს, რომლებიც შეიძლება მოითხოვოს კომიტეტმა.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ მოხსენებებს უგზავნის ყველა მონაწილე სახელმწიფოს.

3. თითოეულ მოხსენებას განიხილავს კომიტეტი, რომელსაც შეუძლია გააკეთოს ზოგადი შენიშვნები, რომლებსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს და უგზავნის მათ შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოს შეუძლია კო-

მიტეტს პასუხად წარუდგინოს ნებისმიერი შენიშვნა, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის.

4. კომიტეტს თავისი შეხედულებებისამებრ შეუძლია მის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი შენიშვნები, შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოსაგან მიღებულ მათზე შენიშვნებთან ერთად, შეიტანოს თავის ყოველწლიურ მოხსენებაში, რომელსაც ამზადებს 24-ე მუხლის თანახმად. შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით კომიტეტს შეუძლია აგრეთვე თავის მოხსენებაში შეიტანოს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ზემოაღნიშნული მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი მოხსენების ეგზემპლარი.

მუხლი 20

1. თუ კომიტეტი იღებს სარწმუნო ინფორმაციას, რომელიც, მისი აზრით, შეიცავს სრულიად დასაბუთებულ მონაცემებს რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე წამების სისტემატურად გამოყენების თაობაზე, იგი ამ მონაწილე სახელმწიფოს სთავაზობს თანამშრომლობას ასეთი ინფორმაციის განხილვაში და ამ მიზნით თავისი შენიშვნების წარდგენას ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

2. შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი შენიშვნის აგრეთვე მის ხელთ არსებული საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერი სხვა ინფორმაციის გათვალისწინებით, კომიტეტს შეუძლია, თუ მიზანშეწონილად ჩათვლის თავის ერთ ან რამდენიმე წევრს დაავალოს კონფიდენციალური გამოძიება და კომიტეტისათვის შესაბამისი მოხსენების სასწრაფოდ წარმოდგენა.

3. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ტარდება გამოძიება, კომიტეტი ესწრაფვის თანამშრომლობის დამყარებას შესაბამის მონაწილე სახელმწიფოსთან. ამ მონაწილე სახ-

ელმწიფოს თანხმობით ასეთი გამოძიება შეიძლება ითვალისწინებდეს მის ტერიტორიაზე ჩასვლას.

4. ამ წევრის ან წევრთა მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგების განხილვის შემდეგ, რომლებიც წარედგინება ამ მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, კომიტეტი ამ შედეგებს ნებისმიერ შენიშვნებთან და წინადადებებთან ერთად, რომლებიც მოცემულ სიტუაციაში მიზანშეწონილად მიაჩნია, უგზავნის შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს.

5. ამ მუხლის I-IV პუნქტში აღნიშნული კომიტეტის მთელი მუშაობა კონფიდენციალური ხასიათისაა და ამ სამუშაოს ყველა ეტაპზე უნდა ესწრაფოდნენ მონაწილე სახელმწიფოსთან თანამშრომლობას. მეორე პუნქტის შესაბამისად ჩატარებული გამოძიების თაობაზე ასეთი სამუშაოს დამთავრების შემდეგ კომიტეტს, შესაბამის მონაწილე სახელმწიფოსთან კონსულტაციების შემდეგ, შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ამ სამუშაოს შედეგების შესახებ მოკლე ანგარიშები შეიტანოს თავის ყოველწლიურ მოხსენებაში, რომელსაც 24-ე მუხლის შესაბამისად ამზადებს.

მუხლი 21

1. ამ მუხლის შესაბამისად ამ კონვენციის ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი ცნობს კომიტეტის კომპეტენციას, მიიღოს და განიხილოს ცნობები, რომლებიც ეხება ერთი მონაწილე სახელმწიფოს განცხადებას იმის თაობაზე, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს, ასეთი ცნობები ამ მუხლში ჩამოყალიბებული პროცედურების შესაბამისად მიიღება და განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარადგინა მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც გააკეთა განცხადება თავის მიმართ კომიტეტის კომპეტენციის ცნობის თაობაზე. კომიტეტი ამ მუხლის თანახმად არ განიხილავს ცნობებს,

თუ ისინი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც ასეთი განცხადება არ გაუკეთებია. ამ მუხლის თანახმად მიღებული ცნობები განიხილება შემდეგი პროცედურით:

a) თუ რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ამ კონვენციის დებულებებს მას შეუძლია, წერილობით აცნობოს ეს საკითხი აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოს. ამ ცნობის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში მისი მიმღები სახელმწიფო ცნობის გამომგზავნ სახელმწიფოს წერილობით წარუდგენს ახსნა-განმარტებას ან ნებისმიერ სხვა განცხადებას ამ საკითხზე ახსნა-განმარტებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, შიდა პროცედურები და ზომები, რომლებიც მიიღეს, უნდა მიიღონ ან შეიძლება მიიღონ ამ საკითხთან დაკავშირებით.

b) თუ საკითხი ვერ გადაწყდა დამაკმაყოფილებლად ორივე მონაწილე სახელმწიფოსათვის სახელმწიფოს მიერ თავდაპირველი ცნობის მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში ნებისმიერ მათგანს უფლება აქვს ეს საკითხი გადასცეს კომიტეტს და ამის თაობაზე აცნობოს კომიტეტსა და მეორე სახელმწიფოს.

c) კომიტეტი ამ მუხლის თანახმად მისთვის გადაცემულ საკითხს განიხილავს მხოლოდ მას შემდეგ რაც დარწმუნდება, რომ მოცემულ შემთხვევაში მიღებული იყო ყველა შიდა ხელმისაწვდომი ზომა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების შესაბამისად. ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ზომების მიღება გაუმართლებლად ჭიანურდება ან საეჭვოა, რომ ეფექტიან დახმარებას გაუწევს პირს, რომელიც ამ კონვენციის დარღვევის მსხვერპლია.

d) ამ მუხლის თანახმად ცნობების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომებს.

e) კომიტეტი c ქვეპუნქტის დებულებათა დაცვით კეთილ მომსახურეობას უწევს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს ამ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების პატივისცემის საფუძველზე საკითხის მეგობრულად გადაწყვეტის მიზნით. ამისათვის კომიტეტს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში შექმნას სპეციალური შემთანხმებელი კომისია;

f) კომიტეტს ამ მუხლის შესაბამისად მისთვის გადაცემული ნებისმიერი საკითხის გამო შეუძლია, მოუწოდოს b ქვეპუნქტში აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოებს წარმოადგინონ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია;

g) შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებიც აღნიშნული არიან b ქვეპუნქტში, აქვთ კომიტეტში საკითხის განხილვისას წარმომადგენლობის და წერილობით დასან ზეპირად წარდგინების უფლება;

h) კომიტეტი b ქვეპუნქტის შესაბამისად შეტყობინების მიღების შესაბამისად 12 თვის განმავლობაში წარმოადგენს ცნობებს:

i) თუ მიღწეულია გადაწყვეტილება e ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში, კომიტეტი თავის ცნობაში კმაყოფილდება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილებების მოკლედ ჩამოყალიბებით;

ii) თუ გადაწყვეტილება e ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში მიღწეული არ არის კომიტეტი თავის ცნობაში კმაყოფილდება ფაქტების მოკლედ ჩამოყალიბებით. ცნობას თან ერთვის შესაბამის მონაწილე სახელმწიფოთა წერილობითი წარდგინებანი და ზეპირ განცხადებათა ჩანაწერი.

ყოველ საკითხზე ცნობა ეგზავნება შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს.

2. ამ მუხლის დებულებანი ძალაში შედის როცა ამ კონვენციის ხუთი მონაწილე სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

ასეთ განცხადებებს მონაწილე სახელმწიფოები შესანახად აბარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათ ცალებს უგზავნის დანარჩენ მონაწილე სახელმწიფოებს. განცხადების უკან გატანა შეიძლება ნებისმიერ დროს, გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნით. განცხადების უკან გატანამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ნებისმიერი საკითხის განხილვას, რომელსაც შეიცავს ამ მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული ცნობა. ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს არავითარი სემდგომი ცნობა ამ მუხლის შესაბამისად არ მიიღება გენერალური მდივნის მიერ განცხადების უკან გატანის თაობაზე შეტობინების მიღების შემდეგ, თუ შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს ახალი განცხადება არ გაუკეთებია.

მუხლი 22

1. ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს ამ მუხლის შესაბამისად შეუძლია, ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი ცნობს კომიტეტის კომპეტენციას, მიიღოს და განიხილოს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ იმ პირთა ცნობები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციის დებულებათა დარღვევის მსხვერპლნი არიან, ან მათი სახელით შემოსული ამგვარი ცნობები. კომიტეტი არავითარ ცნობებს არ იღებს თუ ისინი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც ასეთი განცხადება არ გაუკეთებია.

2. კომიტეტი ამ მუხლის თანახმად მიუღებლად თვლის ნებისმიერ ცნობას, რომელიც ანონიმურია, ან, მისი აზრით, არის ცნობების წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენება ან შეუთავსებელია ამ კონვენციის დებულებებთან.

3. მეორე პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, კომიტეტი ამ მუხლის შესაბამისად მისთვის წარდგენილ ყველა ცნობას ატყობინებს ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს,

რომელმაც გააკეთა განცხადება პირველი პუნქტის თანახმად და რომელიც თითქოს არღვევს კონვენციის ამა თუ იმ დებულებას. ცნობის მიმღები სახელმწიფო კომიტეტს ექვსი თვის განმავლობაში წარუდგენს წერილობით ახსნა-განმარტებას ან განცხადებებს, რომლებიც აზუსტებს საკითხს ან ნებისმიერ ზომებს, რომლებიც შეეძლო მიეღო ამ სახელმწიფოს.

4. ამ მუხლის შესაბამისად მიღებულ ცნობებს კომიტეტი განიხილავს მთელ იმ ინფორმაციასთან ერთად, რომელსაც მას წარუდგენენ მოცემული პირი ან მისი სახელით და შესაბამისი მონაწილე სახელმწიფო.

5. კომიტეტი ამ მუხლის თანახმად არ განიხილავს არავითარ ცნობას რომელიმე პირისაგან, თუ იგი არ დარწმუნდება, რომ:

a) იგივე საკითხი არ განხილულა ან არ განიხილება საერთაშორისო გამოძიების ან რეგულირების რომელიმე სხვა პროცედურით.

b) მოცემულმა პირმა ამოწურა სამართლებრივი დაცვის ყველა შიდა ზომა; ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევებში, როცა ამ ზომების გამოყენება გაუმართლებლად ჭიანურდება ან საეჭვოა, რომ ეფექტიან დახმარებას გაუწევს პირს, რომელიც ამ კონვენციის დარღვევის მსხვერპლია.

6. ამ მუხლის მიხედვით ცნობების განხილვისას კომიტეტი აწყობს დახურულ სხდომებს.

7. კომიტეტი თავის აზრს აცნობს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს და მოცემულ პირს.

8. ამ მუხლის დებულებები ძალაში შედის, როცა ამ კონვენციის ხუთი მონაწილე სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. ასეთ განცხადებებს მონაწილე სახელმწიფოები შესანახად აბარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათ ცალებს უგზავნის დანარჩენ

მონაწილე სახელმწიფოებს. განცხადების უკან გატანა შეიძლება ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნით. განცხადების უკან გატანამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ნებისმიერი საკითხის განხილვას, რომელსაც შეიცავს ამ მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული ცნობა; ნებისმიერი პირის მიერ ან მისი სახელით გაგზავნილი არავითარი შემდგომი ცნობა ამ მუხლის შესაბამისად არ მიიღება გენერალური მდივნის მიერ განცხადების უკან გატანის თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ, თუ შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს ახალი განცხადება არ გაუკეთებია.

მუხლი 23

კომიტეტის და სპეციალური შემთანხმებელი კომისიის წევრებს, რომლებიც შეიძლება დაინიშნონ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის e ქვეპუნქტის თანახმად, აქვთ იმ ექსპერტთა შელავათების პრივილეგიებისა და იმუნიტეტის უფლება, რომლებიც მოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დავალებით, როგორიც ეს გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ კონვენციის შესაბამისი კარებით.

მუხლი 24

კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას ამ კონვენციის შესაბამისად წარუდგენს თავისი მუშაობის თაობაზე ყოველწლიურ მოხსენებას.

ნაწილი III

მუხლი 25

1. ეს კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის ხელმოსაწერად.

2. ეს კონვენცია სარატიფიკაციოა. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაეროს გენერალურ მდივანს.

მუხლი 26

ეს კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის შესაერთებლად. შეერთება ხდება შეერთების თაობაზე საბუთის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შესანახად ჩაბარებით.

მუხლი 27

1. ეს კონვენცია ძალაში შედის მე-20 სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების თაობაზე საბუთის გაეროს გენერალური მდივნისათვის შესანახად ჩაბარებიდან 30-ე დღეს.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ კონვენციის რატიფიცირებას მოახდენს ან შეუერთდება მას მე-20 სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების თაობაზე საბუთის შესანახად ჩაბარების შემდეგ ეს კონვენცია ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების თაობაზე საბუთის შესანახად ჩაბარების თარიღიდან 30-ე დღეს.

მუხლი 28

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის, ან მასთან შეერთების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი არ ცნობს მე-20 მუხლით განსაზღვრულ კომიტეტის კომპეტენციას.

2. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც გააკეთებს შენიშვნას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს უკან წაიღოს იგი, რაც

უნდა შეატყობინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 29

1. ამ კონვენციის ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შესწორება და წარუდგინოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შეთავაზებულ შესწორებას უგზავნის მონაწილე სახელმწიფოებს თხოვნით, რომ აცნობონ, უჭერენ თუ არა მხარს მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევას ამ წინადადების განხილვისა და მასზე კენჭისყრის მოწყობის მიზნით. თუ ასეთი წერილის გაგზავნის დღიდან ოთხი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა ერთი მესამედი მხარს დაუჭერს ასეთ კონფერენციას, გენერალური მდივანი იწვევს მას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ნებისმიერ შესწორებას, რომელსაც მიიღებს კონფერენციაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, გენერალური მდივანი წარუდგენს ყველა მონაწილე სახელმწიფოს დასამტკიცებლად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული შესწორება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შეატყობინებს, რომ მიიღეს ეს შესწორება თავისი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.

3. როცა შესწორებები ძალაში შედის, ისინი სავალდებულოა მათი მიმღები ყველა მონაწილე სახელმწიფოსათვის, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულოა ამ კონვენციის ის დებულებანი და ნებისმიერი წინა შენიშვნები, რომლებიც მათ მიიღეს.

მუხლი 30

1. ორი ან მეტი მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერი დავა ამ კონვენციის განმარტების ან გამოყენების გამო, რომელიც ვერ რეგულირდება მოლაპარაკების გზით, ერთ-ერთი მათგანის თხოვნით გადაეცემა არბიტრაჟს. თუ არბიტრაჟში თხოვნის შეტანის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას არბიტრაჟის ორგანიზაციების თაობაზე, ნებისმიერი მხარის თხოვნით დავა შეიძლება გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის შესაბამისად.

2. ყოველი სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის, ან მასთან შეერთების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი სავალდებულოდ მიიჩნევს ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებებს. სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები სავალდებულო არ იქნება იმ ნებისმიერი სახელმწიფოების მიმართ, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა.

3. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც გააკეთებს შენიშვას ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს უკან წაიღოს თავისი შენიშვნა, რაც უნდა შეატყობინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 31

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივნისათვის წერილობით შეტყობინებით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

2. ასეთი დენონსაცია მონაწილე სახელმწიფოს არ ათავისუფლებს ამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისაგან ნებისმიერი მოქმედებისათვის ან დაუდევრობისათვის, რო-

მელიც ჩადენილია დენონსაციის ძალაში შესვლამდე და დენონსაცია არანაირ ზიანს არ აყენებს ნებისმიერი საკითხის განხილვის განგრძობას, რომელსაც კომიტეტი განიხილავდა დენონსაციის ძალაში შესვლამდე.

3. დენონსაციის ძალაში შესვლის შემდეგ კომიტეტი, რომელიმე მონაწილე სახელმწიფოსათვის არ იწყებს ახალი საკითხების განხილვას, რომლებიც მოცემულ სახელმწიფოს ეხება.

მუხლი 32

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს და ყველა სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერა ამ კონვენციას ან შეუერთდა მას აცნობებს:

a) ხელმოწერას, რატიფიკაციასა და შეერთებას 25-ე და 26-ე მუხლების შესაბამისად;

b) ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს 27-ე მუხლის შესაბამისად და ნებისმიერი შესწორების ძალაში შესვლის თარიღს 29-ე მუხლის შესაბამისად;

c) დენონსაციებს 31-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 33

1. ეს კონვენცია, რომლის ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ კონვენციის დამოწმებულ ეგზემპლარს უგზავნის ყველა სახელმწიფოს.

1984 წლის 10 დეკემბერი
ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს

ბავშვის უფლებების დეკლარაცია

გამოცხადებულია გენერალური ასამბლეის
1959 წლის 20 ნოემბრის 1386 (XIV) რეზოლუციით

პრეამბულა

ვინაიდან გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებების, პიროვნების ღირსებისა და ღირებულებებისადმი და გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთესი დონის მიღწევას მეტი თავისუფლების პირობებში,

ვინაიდან გაერთიანებულმა ერებმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გამოაცხადა, რომ მასში მოხსენიებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით სარგებლობს ნებისმიერი ადამიანი, განურჩევლად განსხვავებისა რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის საფუძველზე,

ვინაიდან ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვასა და მზრუნველობას, შესაბამისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდგომ,

ვინაიდან განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა გამოცხადებულ იქნა ბავშვის უფლებების ჟენევის 1924 წლის დეკლარაციით და აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და იმ სპეციალიზებული დაწესებულებე-

ბისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებებით, რომელთა მიზანია ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვა,

ვინაიდან, კაცობრიობა ბავშვს აძლევს ყოველივე საუკეთესოს, რაც გააჩნია,

ამიტომ გენერალური ასამბლეა

აცხადებს ბავშვის უფლებათა ამ დეკლარაციას, რათა მას ჰქონდეს ბედნიერი ბავშვობა და საკუთარი და საზოგადოების კეთილდღეობისათვის გამოიყენოს აქ გამოცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება, და მოუწოდებს მშობლებს, ორივე სქესის ადამიანებს, ორგანიზაციებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და ეროვნულ მთავრობებს აღიარონ და დაიცვან ეს უფლებები საკანონმდებლო და სხვა საშუალებების თანდათანობით მიღებით ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპების შესაბამისად:

პრინციპი 1

ბავშვს უნდა ჰქონდეს ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება. თითოეული ბავშვი აღჭურვილია ამ უფლებებით მისი ან მისი ოჯახის წევრების კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის საფუძველზე რაიმე განსხვავების ან დისკრიმინაციის ან რაიმე გამონაკლისის გარეშე.

პრინციპი 2

ბავშვი ექვემდებარება განსაკუთრებულ დაცვას. საჭიროა საკანონმდებლო და სხვა შესაბამისი გზების მოძიება, რათა ბავშვს მიეცეს შესაძლებლობა და საშუალებები განვითარდეს

ფიზიკურად, გონებრივად, მორალურად, სულიერად და სოციალურად ჯანსაღი და მისაღები ფორმით, თავისუფლებისა და პატივისცემის ატმოსფეროში.

პრინციპი 3

ბავშვი დაბადებიდანვე აღჭურვილია სახელისა და ეროვნების ქონის უფლებით.

პრინციპი 4

ბავშვი უნდა იყოს სოციალურად დაცული. მას აქვს ჯანსაღ გარემოში აღზრდისა და განვითარების უფლება; ამ მიზნით, როგორც ბავშვი, ისე დედა უზრუნველყოფილი უნდა იყოს განსაკუთრებული მზრუნველობითა და დაცვით როგორც ბავშვის დაბადებამდე, ისე მისი დაბადების შემდგომ პერიოდში. ბავშვს აქვს სათანადო კვების, საცხოვრებლის, დასვენებისა და სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება.

პრინციპი 5

ფიზიკურად, გონებრივად ან სოციალურად არასრულფასოვანი ბავშვი აღჭურვილია მისი მდგომარეობის შესაფერისი განსაკუთრებული მოპყრობის, განათლებისა და მზრუნველობის მიღების უფლებით.

პრინციპი 6

ბავშვი მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის საჭიროებს სიყვარულსა და გაგებას. იგი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა იზრდებოდეს მშობლების ყურადღებისა და პასუხისმგებლობის ქვეშ და ნებისმიერ შემთხვევაში სიყვარულისა და მორალური და მატერიალური დაცვის ატმოსფეროში; მცირეწლოვანი ბავშვი, განსაკუთრებული გარემოებების გარდა, არ უნდა იქნას დედისაგან დაშორებული. საზოგადოებასა და სახელმწიფო ხელისუ-

ფლების ორგანოებს ევალებათ ოჯახისა და საარსებო საშუალებების გარეშე დარჩენილ ბავშვებზე ზრუნვა. სახელმწიფოს მხრიდან სასურველია მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ფინანსური და სხვაგვარი დახმარების აღმოჩენა.

პრინციპი 7

ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება, რომელიც დაწყებით დონეზე მაინც უფასო და სავალდებულო უნდა იყოს. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის ზოგადი კულტურის დონის ამაღლებას, თანაბარი შესაძლებლობის პირობებში მისი უნარის, მასში დამოუკიდებელი აზროვნებისა და მორალური და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას, რათა იგი აქციოს საზოგადოების სრულფასოვან წევრად. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მის აღზრდასა და განათლებაზე პასუხისმგებელი ყველა პირისათვის სახელმძღვანელო პრინციპია; ეს პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, ეკისრებათ მშობლებს.

ბავშვს აქვს თამაშისა და დასვენების უფლება, რომელიც მიმართული უნდა იყოს იმავე მიზნის განხორციელებისაკენ, რასაც ისახავს მისი განათლება; საზოგადოებამ და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა ამ უფლების განხორციელებისაკენ უნდა მიმართონ თავიანთი ძალისხმევა.

პრინციპი 8

ბავშვი ნებისმიერ გარემოებაში პირველი იღებს დაცვასა და დახმარებას.

პრინციპი 9

ბავშვი დაცული უნდა იყოს უგულებელყოფის, სასტიკი მოპყრობისა და ექსპლუატაციისაგან. იგი არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე ფორმის იძულებით დაქირავებულ შრომას.

არ შეიძლება ბავშვის შრომის გამოყენება, სანამ იგი შესაბამის მინიმალურ ასაკს არ მიაღწევს; არ შეიძლება ბავშვის იძულება ან მისთვის ნების დართვა დაიკავოს ადგილი ან ეწეოდეს შრომით საქმიანობას, რომელიც მის ჯანმრთელობაზე ან განათლებაზე უარყოფითად მოქმედებს ან ხელს უშლის მის ფიზიკურ, გონებრივ ან მორალურ განვითარებას.

პრინციპი 10

ბავშვი დაცული უნდა იყოს ისეთი ჩვეულებების გავლენისაგან, რომლებიც ალვიევებს რასობრივ, რელიგიურ და სხვა ფორმის დისკრიმინაციას. იგი უნდა იზრდებოდეს ურთიერთგაგების, შემწყნარებლობის, ხალხთა შორის მშვიდობისა და საყოველთაო ძმობის სულისკვეთებით, სრული გაცნობიერებით, რომ მისი ენერგია და ნიჭი ეძღვნება თანამედროვეობის სამსახურს.

ბავშვის უფლებების კონვენცია

მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად, სარატიფიკაციოდ და მისაერთებლად გენერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის 44/25 რეზოლუციით

ძალაშია 1990 წლის 2 სექტემბრიდან, 49-ე მუხლის შესაბამისად

პრეამბულა

წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები

მიიჩნევენ რა, რომ გაერთიანებული ერების წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად, კაცობრიობის ყველა წევრის თანდაყოლილი ღირსებისა და თანაბარი და განუყოფელი უფლებების აღიარება მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის დამყარების საფუძველია,

მხედველობაში იღებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებით კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი ერთგულება ადამიანის ძირითადი უფლებების, მისი პატივისა და ღირსებისადმი და მიზნად დაისახეს სოციალური პროგრესისა და ცხოვრების უკეთესი სტანდარტების შექმნისათვის ხელის შეწყობა საყოველთაო თავისუფლების პირობებში,

აღიარებენ რა, რომ გაერთიანებულმა ერებმა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით და საერთაშორისო პაქტებით გამოაცხადა და დაადასტურა, რომ ყველა ადამიანს აქვს ზემოაღნიშნული დოკუმენტებით აღიარებული უფლებები

და თავისუფლებები, განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, საკუთრების, დაბადების ან სხვა სტატუსისა,

შეახსენებენ რა, რომ ადამიანის საყოველთაო დეკლარაციით გაერთიანებულმა ერებმა აღიარა ბავშვის უფლება სარგებლობდეს განსაკუთრებული ზრუნვითა და დახმარებით,

დარწმუნებულნი არიან რა, რომ ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი, და მისი თითოეული წევრის, განსაკუთრებით ბავშვების, აღზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემო უნდა სარგებლობდეს აუცილებელი დაცვითა და დახმარებით, რათა სრულად იკისროს თავისი ვალდებულებები საზოგადოების წინაშე.

აღიარებენ რა, რომ ბავშვი მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის უნდა აღიზარდოს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

მიიჩნევენ რა, რომ ბავშვი სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღიზარდოს გაერთიანებული ერების წესდებით აღიარებული იდეალების, განსაკუთრებით მშვიდობის, ადამიანის ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით.

მხედველობაში იღებენ რა, რომ ბავშვისადმი განსაკუთრებული ზრუნვის გაფართოების აუცილებლობა გათვალისწინებულია ბავშვის უფლებების ჟენევის 1924 წლის დეკლარაციით, 1959 წლის 20 ნოემბერს გენერალური ასამ-

ბლეის მიერ მიღებული ბავშვის უფლებების დეკლარაციით და აღიარებულია ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, მისი 23-ე და 24-ე მუხლებით), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, მისი მე-10 მუხლით), აგრეთვე, ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე სპეციალიზირებული დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი დოკუმენტებით,

მხედველობაში იღებენ რა ბავშვის უფლებების დეკლარაციის მითითებას, რომ „ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესაბამისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“,

შეახსენებენ რა დეკლარაციის დებულებებს იმ სოციალური და სამართლებრივი პრინციპების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვის დაცვასა და კეთილდღეობასთან, განსაკუთრებით ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბავშვთა აღსაზრდელად გადაცემისა და შვილად აყვანისას; გაერთიანებული ერების მიერ დაწესებულ არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების სტანდარტული მინიმალური წესები („პეკინის წესები“); დეკლარაციას საგანგებო მდგომარეობისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალთა და ბავშვთა დაცვის შესახებ.

აღიარებენ რა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არიან ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ განსაკუთრებით რთულ პირობებში და რომ ასეთი ბავშვები საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

სათანადოდ ითვალისწინებენ რა ყველა ხალხის ტრადიციებსა და კულტურული ფასეულობების მნიშვნელობას ბავშვის დაცვისა და ჰარმონიული განვითარებისათვის.

აღიარებენ რა ყველა, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში, ბავშვთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი 1

ამ კონვენციის მიზნებისათვის, ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყველა ადამიანი, თუ იმ კანონით, რომელიც ბავშვზე ვრცელდება, სრულწლოვანების უფრო ადრეული ასაკი არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 2

1. მონაწილე სახელმწიფოები, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ თითოეული ბავშვის ამ კონვენციით აღიარებულ უფლებებს, ბავშვის, მისი მშობლების ან მეურვის რასობრივი კუთვნილების, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, საკუთრების, შრომისუუნარობის, დაბადების ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ბავშვის დაცვა დისკრიმინაციისა და სასჯელის ნებისმიერი ფორმისაგან, რომელიც უკავშირდება ბავშვის, მისი მშობლების, ან კანონიერი მეურვის, ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას, გამოთქმულ აზრებს ან რწმენას.

მუხლი 3

1. ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის – განმხორციელებელი – სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულება, სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანო – უპირატესობა ენიჭება ბავშვის ინტერესებს.

2. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ ბავშვი მისი კეთილდღეობისათვის აუცილებელი დაცვითა და მზრუნველობით, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უფლებებისა და მოვალეობების გათვალისწინებით და ამ მიზნით გაატარონ შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომები.

3. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ბავშვზე ზრუნვის და მისი დაცვისათვის განკუთვნილი დაწესებულებების, მომსახურების და საშუალებების შესაბამისობას უფლებამოსილი ორგანოების მიერ დაწესებულ სტანდარტებთან, განსაკუთრებით უშიშროებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მათი მომსახურე პერსონალის რიცხვისა და შესაბამისობის ისევე, როგორც კომპეტენტური ზედამხედველობის ნიშნით.

მუხლი 4

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა ზომას ამ კონვენციით აღიარებული უფლებების განსახორციელებლად. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა რეალიზაციისათვის მონაწილე სახელმწიფოები ასეთ ზომებს იღებენ მათ ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალური გა-

მოყენებით, აუცილებლობის შემთხვევაში კი — საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობლების ან შესაბამისად, ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით დიდი ოჯახის ან თემის წევრების, კანონიერი მეურვეების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების პასუხისმგებლობას, უფლებებსა და მოვალეობებს, ბავშვის განვითარების შესაბამისად უხელმძღვანელონ მის მიერ ამ კონვენციით აღიარებული უფლებების განხორციელებას.

მუხლი 6

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ თითოეულ ბავშვს აქვს სიცოცხლის თანდაყოლილი უფლება.

2. მონაწილე სახელმწიფოები, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანსაღ განვითარებას.

მუხლი 7

1. ბავშვი რეგისტრაციას გადის დაბადებისთანავე და მას დაბადებიდანვე გააჩნია უფლება ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია — უფლება იცნობდეს მშობლებს და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით.

2. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ უფლებების განხორციელებას საკუთარი კანონმდებლობისა და ამ სფეროში არსებული საერთაშორისო დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, განსაკუთრებით, თუ ბავშვი სხვაგვარად რჩება მოქალაქეობის გარეშე.

მუხლი 8

1. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ ბავშვის უფლებას კანონის შესაბამისად, შეინარჩუნოს თავისი პიროვნულობა, მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, უკანონო ჩარევის გარეშე.

2. თუ ბავშვს უკანონოდ ერთმევა მისი პიროვნების დამადასტურებელი ყველა ან ცალკეული ელემენტი, მონაწილე სახელმწიფოებმა, მისი პიროვნულობის ხელახლა აღდგენის მიზნით, უნდა უზრუნველყონ იგი შესაბამისი დახმარებითა და დაცვით.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მისი სურვილის წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უფლებამოსილი ორგანოები, შესაბამისი კანონისა და პროცედურული ნორმების საფუძველზე გადაწყვეტენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია ბავშვის ინტერესებისათვის. აღნიშნული გადაწყვეტილება ექვემდებარება სასამართლო წესით გასაჩივრებას. მისი მიღება შეიძლება აუცილებელი გახდეს ისეთ შემთხვევებში, როცა მშობლები სასტიკად ეპყრობიან ბავშვს, ან არ ზრუნავენ მასზე, ან, როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვის მიმდინარეობისას დაინტერესებულ მხარეებს უნდა მიეცეთ მასში მონაწილეობისა და საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

3. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელს დაშორებული ბავშვის უფლებას შეინარჩუნოს პირადი ურთიერთობები და ჰქონდეს პირდაპირი კონ-

ტაქტი ორივე მშობელთან, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი დაშორება გამოწვეულია მონაწილე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ისეთი ქმედებით, როგორიცაა, ერთი ან ორივე მშობლის ან ბავშვის დაკავება, დაპატიმრება, გასახლება, დეპორტაციოა ან სიკვდილი (სიკვდილის მიზეზის მიუხედავად, როცა პირი დაკავებულია), მონაწილე სახელმწიფომ ასეთ მშობლებს, ბავშვს ან შესაბამის შემთხვევაში – ოჯახის სხვა წევრს, მათი თხოვნის საფუძველზე, უნდა მიაწოდოს აუცილებელი ინფორმაცია ოჯახიდან წასული წევრის/წევრების ადგილსამყოფელის შესახებ, თუ ასეთი ინფორმაციის გაცემა ზიანს არ აყენებს ბავშვის კეთილდღეობას. მონაწილე სახელმწიფოებმა შემდგომში უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთმა მოთხოვნამ, თავის მხრივ, არ გამოიწვიოს შესაბამისი პირისათვის (პირებისათვის) არასასურველი შედეგები.

მუხლი 10

1. მონაწილე სახელმწიფოებმა, მათ მიერ მე-9 მუხლის პირველი პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, ბავშვის ან მისი მშობლების განცხადება ოჯახის გამთლიანების მიზნით მათ ტერიტორიაზე შესვლის ან იქიდან გამოსვლის თაობაზე უნდა განიხილონ პოზიტიურად, ჰუმანურად და ოპერატიულად. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ აღნიშნული თხოვნის წარდგენას განმცხადებლის ან მისი ოჯახის წევრებისათვის არ მოჰყვეს არასასურველი შედეგი.

2. ბავშვს, რომლის მშობლებიც სხვადასხვა სახელმწიფოთა რეზიდენტები არიან, უფლება აქვს შეინარჩუნოს რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტი ორივე მშობელთან. ამ მიზნით და მე-9 მუხლის პირველი პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად,

მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვისა და მისი მშობლების უფლებას დატოვონ ნებისმიერი ქვეყანა, საკუთარი ქვეყნის ჩათვლით, და დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში. ნებისმიერი ქვეყნის დატოვების უფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, ან ზნეობის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად და შეთავსებადია ამ კონვენციით აღიარებულ სხვა უფლებებთან.

მუხლი 11

1. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ზომებს ბავშვთა უკანონოდ გადაადგილების ან საზღვარგარეთ მათი უკანონოდ დატოვების წინააღმდეგ საბრძოლველად.

2. ამ მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დადებას ან მოქმედ შეთანხმებებთან მიერთებას.

მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი აზრის გამოხატვის უნარის მქონე ბავშვის უფლებას თავისუფლად გამოთქვას ეს აზრი ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. ამასთან, ბავშვის აზრი ფასდება მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.

2. ამ მიზნით, ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა მოუსმინონ სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმის განხილვისას როგორც უშუალოდ, ასევე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით და ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 13

1. ბავშვს აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება; ეს უფლება მოიცავს ნებისმიერი სახის ინფორმაციისა და იდეების ძიების, მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას, როგორც ზეპირად, ისე წერილობით ან ბეჭდვით, ხელოვნების ნაწარმოების ან რაიმე სხვა საშუალებით, ბავშვის არჩევანის შესაბამისად.

2. ამ უფლების განხორციელება შეიძლება დაექვემდებაროს განსაზღვრულ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია:

(a) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემის; ან

(b) სახელმწიფო უშიშროების, ან საზოგადოებრივი წესრიგის, ან მოსახლეობის ჯანმრთელობის, ან ზნეობის დაცვისათვის.

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობლების და შესაბამის შემთხვევაში — კანონიერი მეურვეების უფლებებსა და მოვალეობებს ბავშვის განვითარების უნარის გათვალისწინებით უხელმძღვანელონ მის მიერ საკუთარი უფლებების განხორციელებას.

3. რელიგიური აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან ზნეობის, ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას სარგებლობდეს ასოციაციების შექმნისა და მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლებით.

2. მოცემული უფლების განხორციელების მიმართ არ შეიძლება დაწესდეს რაიმე შეზღუდვა იმ შეზღუდვების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ან ზნეობის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის.

მუხლი 16

1. არც ერთმა ბავშვმა არ უნდა განიცადოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინისა და კორესპონდენციის, ასევე მისი პატივისა და ღირსების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა.

2. ბავშვს უფლება აქვს დაცული იყოს კანონით ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.

მუხლი 17

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ ბავშვისათვის სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაციისა და მასალების, რომლებიც მიმართულია მისი სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობის, აგრეთვე ჯანსაღი ფიზიკური და გონებრივი განვითარების ხელშეწყობისაკენ. ამ მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები:

(a) ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იმ ინფორმაციისა და მასალების გავრცელების წახალისებას, რომლებიც სასარგებლოა ბავშვის სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით და შეესაბამება 29-ე მუხლის სულისკვეთებას;

(b) ახდენენ საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას სხვადასხვა კულტურული, ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან მოპოვებული ასეთი ინფორმაციისა და მასალების მომზადების, გაცვლისა და გავრცელების მიზნით;

(c) ახდენენ საბავშვო ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების წახალისებას;

(d) ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წახალისებას, რათა მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ბავშვის ენობრივ მოთხოვნილებებს, რომელიც მიეკუთვნება უმცირესობის რომელიმე ჯგუფს ან მკვიდრ მოსახლეობას;

(e) ახდენენ იმ სახის ინფორმაციისა და მასალებისაგან ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების შემუშავების წახალისებას, რომლებიც საზიანოა მისი კეთილდღეობისათვის, მე-13 და მე-18 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები ბავშვის აღზრდასა და განვითარებასთან დაკავშირებით მიმართავენ ყოველგვარ ძალისხმევას ორივე მშობლის საერთო პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარების უზრუნველყოფისათვის. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევაში — კანონიერ მეურვეებს, ეკისრებათა პირდაპირი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე. ბავშვის საუკეთესო ინტერესები წარმოადგენს მათი ძირითადი ზრუნვის საგანს.

2. ამ კონვენციით აღიარებული უფლებების განხორციელების სათანადო გარანტიის შექმნისა და წახალისე-

ბისათვის მონაწილე სახელმწიფოები შესაბამის დახმარებას უწევენ მშობლებს და კანონიერ მეურვეებს ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული მოვალეობების განხორციელებაში და უზრუნველყოფენ იმ დაწესებულებების, საშუალებებისა და მომსახურების განვითარებას, რომელთა მიზანია ბავშვზე ზრუნვა.

3. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც მუშაობენ, უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ შესაბამისი აღმზრდელობითი დაწესებულებების მომსახურებითა და საშუალებებით.

მუხლი 19

1. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომებს მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის, ზიანის მიყენების ან შეურაცხყოფის, მათ შორის სქესობრივი ძალადობის, უყურადღებო, დაუდევარი და ცუდი მოპყრობის ან ექსპლუატაციისაგან ბავშვის დასაცავად.

2. დაცვის ასეთი ღონისძიებები აუცილებლობის შემთხვევაში მოიცავს ეფექტურ პროცედურებს სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის იმ მიზნით, რათა აუცილებელი მხარდაჭერა აღმოუჩინონ ბავშვს და იმ პირებს, ვინც მასზე ზრუნავს, აგრეთვე ხელი შეუწყონ ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ზემოაღნიშნული გამოვლინებების თავიდან აცილების, წინასწარი გამომჟღავნების, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, აუცილებლობის შემთხვევაში კი — სასამართლო პროცესის აღძვრას.

მუხლი 20

1. ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს ანდა მისივე საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დარჩეს ასეთ გარემოში, უფლება აქვს სარგებლობდეს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობითა და დახმარებით.

2. მონაწილე სახელმწიფოები თავიანთი კანონმდებლობის ფარგლებში უზრუნველყოფენ ასეთი ბავშვისთვის მზრუნველობის ალტერნატიული ფორმის გამოძებნას.

3. ასეთი მზრუნველობა შეიძლება გულისხმობდეს, ბავშვის აღსაზრდელად გადაცემას, „კაფალაჰს“ ისლამური სამართლის მიხედვით, შვილად აყვანას ან აუცილებლობის შემთხვევაში, აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსებას. ბავშვის აღზრდის ალტერნატიული ფორმის შერჩევისას აუცილებელია სათანადო ყურადღება მიექცეს ბავშვის აღზრდის პროცესის უწყვეტობას და ბავშვის ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ და ლინგვისტურ წარმომავლობას.

მუხლი 21

მონაწილე სახელმწიფოები, სადაც აღიარებულია და/ან ნებადართულია შვილად აყვანის ინსტიტუტის არსებობა, უზრუნველყოფენ, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს მიენიჭოს უპირატესი მნიშვნელობა. ამ მიზნით, ისინი:

(a) უზრუნველყოფენ, რომ ბავშვის შვილად აყვანის ნებართვას იძლეოდნენ მხოლოდ სათანადო უფლებამოსილების მქონე ორგანოები, რომლებიც ამ სფეროში არსებული კანონმდებლობისა და პროცედურების შესაბამისად და საქმესთან დაკავშირებული სარწმუნო ინფორმაციის საფუძველზე, მიიღებენ გადაწყვეტილებას შვილად აყვანის დასაშვებობის თაობაზე მშობლებთან, ნათესავებსა და კანონიერ მეურვეებთან მიმართებაში, ბავშვის სტატუსის გათვალისწინებით და სათანადო მოთხოვნის შემთხვევაში გან-

საზღვრავენ დაინტერესებული პირების მიერ სათანადო რჩევის მიღების საფუძველზე გაცემული თანხმობის ინფორმირებულობას.

(b) აღიარებენ, რომ ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილება შეიძლება მიჩნეულ იქნას ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიულ საშუალებად, თუ მის მშობლიურ ქვეყანაში ვერ მოხერხდა მისი აღსაზრდელად მიბარება, გაშვილება ან მასზე ზრუნვის სხვა ალტერნატიული საშუალების გამონახვა.

(c) უზრუნველყოფენ, რომ სხვა სახელმწიფოში გაშვილებისას ბავშვი სარგებლობდეს ისეთი გარანტიებითა და სტანდარტებით, რომლებიც შეესაბამება მის მშობლიურ ქვეყანაში არსებულს.

(d) იღებენ ყველა შესაბამის ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სხვა სახელმწიფოში ბავშვის გაშვილებისას ამ საქმესთან დაკავშირებულ პირებს არ მიეცეთ გაუმართლებელი ფულადი მოგების მიღების საშუალება;

(e) შესაბამის შემთხვევაში ხელს უწყობენ ამ მუხლის მიზნების განხორციელებას ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადების გზით და ცდილობენ ამ საფუძველზე უზრუნველყონ, რომ ბავშვის განთავსება სხვა სახელმწიფოში ხორციელდებოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ხელისუფლების ან სხვა ორგანოების მიერ.

მუხლი 22

1. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ ბავშვმა, რომელიც ეძებს ლტოლვილის სტატუსს ან, რომელიც, შესაბამისი საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და პროცედურის თანახმად, მიჩნეულია ლტოლვილად, მიუხედავად იმისა, თან ახლავს თუ არა მშობლები ან სხვა პირი,

ისარგებლოს შესაბამისი დაცვითა და ჰუმანიტარული დახმარებით იმ უფლებების განხორციელებისას, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კონვენციითა და იმ საერთაშორისო ადამიანის უფლებების ან ჰუმანიტარული დოკუმენტებით, რომელთა მონაწილეებიც არიან ზემოხსენებული სახელმწიფოები.

2. ამ მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები აუცილებლობის შემთხვევაში, ხელს უწყობენ გაერთიანებული ერებისა და სხვა უფლებამოსილი სამთავრობათშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციების მცდელობას, რომლებიც თანამშრომლობენ გაერთიანებულ ერებთან, დაიცვან და დაეხმარონ ასეთ ბავშვს და მოძებნონ ლტოლვილი ბავშვის მშობლები თუ ოჯახის სხვა წევრები ოჯახის გამთლიანებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ მშობლების ან ოჯახის სხვა წევრების მოძებნა ვერ მოხერხდა, ბავშვი უნდა უზრუნველყოფილ იქნას ისეთივე დაცვით, როგორც რაიმე მიზეზის გამო საკუთარ ოჯახურ გარემოს მუდმივად ან დროებით მოწყვეტილი ნებისმიერი სხვა ბავშვი, ამ კონვენციის შესაბამისად.

მუხლი 23

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ გონებრივად ან ფიზიკურად არასრულფასოვანი ბავშვის უფლებას ცხოვრობდეს სრულფასოვანი და ღირსეული ცხოვრებით, იმგვარ პირობებში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მისი ღირსების დაცვა, მასში საკუთარი თავისადმი რწმენის განვითარება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი აქტიური მონაწილეობა.

2. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ არასრულფასოვანი ბავშვის უფლებას სარგებლობდეს განსაკუთრებული მზუნველობით და მათთვის ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ უფლების მქონე ბავშვისა და მასზე მზრუნველი პირებისათვის დახმარების გაწევას

მათი მოთხოვნისა და იმ მდგომარეობის შესაბამისად, რომელშიც იმყოფებიან ბავშვი და მისი მშობლები, ან ის პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვზე მზრუნველობას.

3. არასრულფასოვანი ბავშვის განსაკუთრებულ საჭიროებათა აღიარების ნიშნად ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაწეული დახმარება, მშობლებისა და ბავშვზე მზრუნავი სხვა პირების ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად უფასოა და მიზნად ისახავს არასრულფასოვანი ბავშვისათვის საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, სარეაბილიტაციო, პროფესიული და შრომითი მომზადებისათვის საჭირო მომსახურებითა და დასვენების საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობის მიცემას, რაც უზრუნველყოფს მის მაქსიმალურ სოციალურ ინტეგრაციას და ხელს უწყობს მისი პიროვნების განვითარებას, კულტურული და სულიერი განვითარების ჩათვლით.

4. მონაწილე სახელმწიფოები საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით ხელს უწყობენ შესაბამისი ინფორმაციის გაცვლას არასრულფასოვანი ბავშვების პროფილაქტიკური ჯანდაცვისა და სამედიცინო, ფსიქოლოგიური და ფუნქციონალური მკურნალობის დარგში, რეაბილიტაციის, განათლებისა და პროფესიული მომზადების მეთოდების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რათა მონაწილე სახელმწიფოებმა გააფართოვონ ამ დარგში თავიანთი შესაძლებლობები, ცოდნა და გამოცდილება. ამ მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებებს.

მუხლი 24

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე უფრო სრულყოფილი მომსახურებით და დაავადე-

ბათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საუკეთესო საშუალებებით. მონაწილე სახელმწიფოები ისწრაფვიან უზრუნველყონ, რომ არც ერთ ბავშვს ჩამოერთვას უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ასეთი მომსახურებით.

2. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ მიაღწიონ მოცემული უფლების სრულ განხორციელებას და იღებენ შესაბამის ზომებს:

(a) ახალშობილთა და ბავშვთა სიკვდილიანობის შესამცირებლად;

(b) ყველა ბავშვისათვის აუცილებელი სამედიცინო დახმარების, განსაკუთრებით პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად;

(c) დაავადებებსა და არასწორ კვებასთან საბრძოლველად, მათ შორის პირველადი სამედიცინო დახმარების ფარგლებში ადვილად ხელმისწვდომი ტექნოლოგიის გამოყენებისა და საკვებად ვარგისი პროდუქტითა და სუფთა სასმელი წყლით მომარაგების გზით, გარემოს დაბინძურების საშიშროებისა და რისკის გათვალისწინებით;

(d) დედებისათვის მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სათანადო მომსახურების გასაწევად;

(e) საზოგადოების ყველა ფენის, კერძოდ, მშობლებისა და ბავშვებისათვის, ბავშვთა ჯანმრთელობისა და კვების, ძუძუთი კვების უპირატესობის, ჰიგიენისა და საცხოვრებელი გარემოს სანიტარული დაცვისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების, განათლების ხელმისაწვდომობისა და მიღებული ცოდნის გამოყენებაში დახმარების გაწევის უზრუნველსაყოფად;

(f) პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარებისა და ოჯახის დაგეგმვის სფეროში საგანმანათლებლო მუშაობის წარმართვისა და მომსახურების განვითარებისათვის.

3. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყოველგვარ ეფექტურ და აუცილებელ ზომებს იმ ტრადიციული პრაქტიკის აღმოფხვრისათვის, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ჯანმრთელობაზე.

4. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ წაახალისონ საერთაშორისო თანამშრომლობა და განავითარონ იგი მოცემულ მუხლში აღიარებული უფლების სრული განხორციელების თანდათანობით მიღწევისათვის. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებებს.

მუხლი 25

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ უფლებამოსილი ორგანოების მიერ მზრუნველობისა და ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მკურნალობის მიზნით შესაბამის დაწესებულებაში მოთავსებული ბავშვის უფლებას პერიოდულად ხდებოდეს მისთვის გაწეული მკურნალობის მეთოდებისა და ასეთ დაწესებულებაში მის ყოფნასთან დაკავშირებული სხვა გარემოებების გადასინჯვა.

მუხლი 26

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის სოციალური დაცვის უფლებას, სოციალური დაზღვევის ჩათვლით, და თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად იღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის.

2. ეს შეღავათები ბავშვებზე ვრცელდება აუცილებლობისამებრ, მისი და მის რჩენაზე პასუხისმგებელ პირთა რესურსებისა და შესაძლებლობების, აგრეთვე ბავშვის მიერ ან მისი სახელით ამ შეღავათების მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მოსაზრების გათვალისწინებით.

მუხლი 27

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყველა ბავშვის უფლებას უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

2. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, თავიანთი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში, უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

3. მონაწილე სახელმწიფოები, ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, იღებენ ზომებს მშობლების ან ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირებისათვის ამ უფლების განხორციელებაში დახმარების გასაწევად, და აუცილებლობის შემთხვევაში, შეიმუშავებენ მატერიალური დახმარების პროგრამებს, განსაკუთრებით საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხში.

4. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველყონ მშობლების ან ბავშვზე ფინანსურად პასუხისმგებელი სხვა პირების მხრიდან ბავშვის რჩენის მოვალეობის შესრულება როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. კერძოდ, თუ ბავშვი და მასზე ფინანსურად პასუხისმგებელი პირი ცხოვრობენ სხვადასხვა სახელმწიფოში, აღნიშნული სახელმწიფოები ამ საკითხის გადასაწყვეტად ხელს უწყობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიერთებას ან ასეთი ხელშეკრულებების დადებას, აგრეთვე სხვა შესაბამისი შეთანხმებების მიღწევას.

მუხლი 28

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ბავშვს აქვს განათლების უფლება და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლებით თანდათანობით სარგებლობის მიზნით, ისინი:

(a) აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას;

(b) ხელს უწყობენ როგორც ზოგადი, ისე პროფესიული საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უზრუნველყოფენ მის ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის და იღებენ ისეთ აუცილებელ ზომებს, როგორიცაა უფასო განათლების შემოღება და საჭიროების შემთხვევაში — ფინანსური დახმარების გაწევა;

(c) ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებით უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას თითოეულის უნარის შესაბამისად;

(d) უზრუნველყოფენ განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის;

(e) იღებენ შესაბამის ზომებს სკოლებში რეგულარული დასწრების ხელშესაწყობად და სკოლიდან გარიცხულ მოსწავლეთა რიცხვის შესამცირებლად.

2. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველყონ სასკოლო დისციპლინის დაცვა ისეთი მეთოდებით, რომლებიც შეესაბამება ბავშვის ღირსებასა და ამ კონვენციის პრინციპებს.

3. მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებში, განსაკუთრებით მსოფლიოში უმეცრებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, აგრეთვე სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის მიზნით. ამასთან და-

კავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებებს.

მუხლი 29

1. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ ბავშვის განათლება მიზნად უნდა ისახავდეს:

(a) მისი პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების სრულყოფილ განვითარებას;

(b) მასში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი, აგრეთვე გაერთიანებული ერების წესდებით გამოცხადებული პრინციპებისადმი პატივისცემის გაღვივებას;

(c) მშობლების, მისი კულტურული თვითმყოფადობის, ენისა და სხვა ფასეულობებისადმი პატივისცემის ჩანერგვას; ბავშვის აღზრდას იმ ქვეყნის ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, სადაც ის ცხოვრობს ან საიდანაც არის წარმოშობით; ბავშვისათვის საკუთარი ცივილიზაციისაგან განსხვავებული ცივილიზაციებისადმი პატივისცემის გაღვივებას;

(d) ბავშვის მომზადებას თავისუფალ საზოგადოებაში შეგნებული ცხოვრებისათვის, სადაც დამკვიდრებულია ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, სქესთა თანასწორობის, ყველა ხალხის, ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური ჯგუფის, მათ შორის მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის მეგობრობის სულისკვეთება;

(e) ბავშვის აღზრდას გარემოსადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

2. წინამდებარე ან 28-ე მუხლის ნებისმიერი ნაწილი არ უნდა განიმარტოს როგორც ცალკეული პირებისა და ორგანოების თავისუფლების შეზღუდვა, შექმნან სასწავლო დაწესებულებები და უხელმძღვანელონ მათ წინამდებარე

მუხლის პირველ პუნქტში მოცემული პრინციპების დაცვით და იმ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ ასეთ სასწავლო დაწესებულებებში მიღებული განათლება შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ ნორმებს.

მუხლი 30

იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობები ან პირები, რომლებიც მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნებიან, ბავშვს, რომელიც ასეთ უმცირესობას ან მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნება, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე, რომ თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ეზიაროს საკუთარ კულტურას, ღიად აღიაროს თავისი რელიგია და აღასრულოს რელიგიური წესები ან ისაუბროს მშობლიურ ენაზე.

მუხლი 31

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ბავშვს გააჩნია დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის, მისი ასაკისათვის შესაფერის თამაშებსა და გასართობ, აგრეთვე კულტურულ და ხელოვნების ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება.

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და ხელს უწყობენ ბავშვის უფლებას სრულად იყოს ჩართული კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში; ხელს უწყობენ კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობის, თავისუფალი დროით სარგებლობისა და დასვენებისათვის სათანადო და თანაბარი შესაძლებლობების შექმნას.

მუხლი 32

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც

შეიძლება ემუქრებოდეს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს განათლების მიღებაში ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომებს ამ მუხლის დებულებათა განსახორციელებლად. ამ მიზნითა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებების მხედველობაში მიღებით, მონაწილე სახელმწიფოები:

(a) ადგენენ სამუშაოზე მიღების მინიმალურ ასაკს ან მინიმალურ ასაკებს;

(b) განსაზღვრავენ სამუშაო დღის ხანგრძლივობასა და შრომის პირობებთან დაკავშირებულ აუცილებელ მოთხოვნებს;

(c) ითვალისწინებენ სასჯელის შესაბამის სახეობებს ან სხვა სანქციებს წინამდებარე მუხლის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 33

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სოციალური ზომების ჩათვლით, აგრეთვე ღონისძიებებს განათლების სფეროში, რათა დაიცვან ბავშვები შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო მოხმარებისაგან და არ დაუშვან ბავშვების გამოყენება ამ ნივთიერებათა კანონსაწინააღმდეგო წარმოებაში ან ვაჭრობაში.

მუხლი 34

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას დაიცვან ბავშვი სქესობრივი ექსპლუატაციისა და ძალადობის ყველა ფორმისაგან. ამ მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები

ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეზე იღებენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ:

(ა) ბავშვის ჩაბმა ან იძულება მონაწილეობდეს ნებისმიერ უკანონო სექსუალურ საქმიანობაში;

(ბ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ საქმიანობაში;

(ც) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში.

მუხლი 35

მონაწილე სახელმწიფოები ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეზე იღებენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ ბავშვის მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა ან მათი იძულებითი შრომის გამოყენება ნებისმიერი მიზნით ან ფორმით.

მუხლი 36

მონაწილე სახელმწიფოები ბავშვს იცავენ ექსპლუატაციის ყველა სხვა ფორმისაგან, რომელიც ზიანს აყენებს მის კეთილდღეობას.

მუხლი 37

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:

(a) არც ერთი ბავშვი არ იყოს წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი. სიკვდილით დასჯა ან პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს გათავისუფლების შესაძლებლობას, არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის;

(b) არც ერთ ბავშვს არ აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება უნდა ხორციელდებოდეს კანონის

თანახმად და განიხილებოდეს როგორც უკიდურესი ზომა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში;

(c) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ეპყრობოდნენ ჰუმანურად და მისი პიროვნული ღირსების პატივისცემით ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკის შესაბამისი მოთხოვნილებები. კერძოდ, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა განცალკევდეს უფროსებისაგან, თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის ინტერესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო; ბავშვს უნდა ჰქონდეს თავის ოჯახთან კავშირის უფლება მიმოწერის ან შეხვედრების ფორმით, განსაკუთრებულ გარემოებათა გარდა;

(d) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება დაუყოვნებლივ მიიღოს იურიდიული და სხვა შესაბამისი დახმარება, აგრეთვე უფლება – გაასაჩივროს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება აღნიშნულის თაობაზე.

მუხლი 38

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ პატივი სცენ შეიარაღებული კონფლიქტების დროს მათ მიმართ მოქმედი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს, რომლებიც ეხება ბავშვებს და უზრუნველყონ მათი დაცვა.

2. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა ზომას, რათა უზრუნველყონ, რომ 15 წელს მიუღწეველი პირები პირდაპირ არ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში.

3. მონაწილე სახელმწიფოები თავს იკავებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებში ყველა იმ პირის გაწვევისაგან, რომელსაც არ მიუღწევია 15 წლის ასაკისათვის. 15 წელს

გადაცილებულ იმ პირთა გაწვევას, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი, მონაწილე სახელმწიფოები უპირატესობას ანიჭებენ ასაკით უფროსებს.

4. შეიარაღებული კონფლიქტის დროს, სამოქალაქო მოსახლეობის დაცვასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას შეიარაღებულ კონფლიქტში მოხვედრილ ბავშვთა დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის.

მუხლი 39

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა ხელი შეუწყონ იმ ბავშვთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გაჯანსაღებას და სოციალურ რეინტეგრაციას, რომლებიც ნებისმიერი სახის უგულებელყოფის, ექსპლუატაციის ან ბოროტად გამოყენების, წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის, სასჯელის ან შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლი არიან. ასეთი გაჯანსაღება და რეინტეგრაცია უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის ჯანმრთელობის, საკუთარი თავისადმი პატივისცემისა და ღირსების გრძნობის შენარჩუნების პირობებში.

მუხლი 40

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყველა ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან დამნაშავე ბავშვის უფლებას მოეპყრონ ისეთი ფორმით, რომელიც ხელს უწყობს მასში საკუთარი ღირსების გრძნობის განვითარებას, აძლიერებს სხვათა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებს ბავშვის ასაკს და ხელს უწყობს მის რეინტეგრაციასა და საზოგადოებაში საკუთარი კონსტრუქციული როლის გააზრებაში.

2. ამ მიზნით და საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:

(a) არც ერთი ბავშვი არ ჩაითვალოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევად, ბრალად არ დაედოს მისი დარღვევა და არ იქნას აღიარებული დამნაშავედ იმ ქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც მისი ჩადენის დროს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით არ იყო აკრძალული;

(b) ყველა ბავშვი, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა ან ბრალი ედება მის დარღვევაში უნდა სარგებლობდეს, სულ მცირე, შემდეგი გარანტიებით:

I) ითვლებოდეს უდანაშაულოდ, სანამ მისი დანაშაული არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად;

II) დაუყოვნებლივ და უშუალოდ, ან შესაბამის შემთხვევაში, მშობლების ან კანონიერი მეურვის მეშვეობით, მიეწოდოს ინფორმაცია მის მიმართ წაყენებული ბრალდების შესახებ და გაეწიოს სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარება დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის;

III) კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სახელმწიფო ან სასამართლო ორგანომ მისი საქმის სამართლიანი განხილვის შედეგად, დაყოვნების გარეშე და კანონის შესაბამისად, გამოიტანოს გადაწყვეტილება სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების პირობებში და თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს, მისი ასაკის, აგრეთვე მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების მდგომარეობის გათვალისწინებით;

IV) არ აიძულონ მისცეს ჩვენება ან აღიაროს დანაშაული; მიეცეს ბრალდების მოწმეთა დამოუკიდებლად ან სხვა პირთა დახმარებით დაკითხვისა და დაცვის მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება თანაბარ საწყისებზე;

V) მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, კანონის შესაბამისად, მიეცეს განაჩენისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების გასაჩივრების უფლება ზემდგომ კომპეტენტურ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სახელმწიფო ორგანოში ან სასამართლოს ორგანოში;

VI) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ ბავშვს არ ესმის სამართალწარმოების ენა ან ვერ ლაპარაკობს ან ენაზე;

VII) სარგებლობდეს მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემით საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ ხელი შეუწყონ ისეთი კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების შექმნას, რომლებიც სპეციალურად დაკავშირებული არიან ბავშვებთან, რომლებმაც, როგორც ითვლება, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებული არიან დამნაშვეებად და, კერძოდ:

(a) მინიმალური ასაკის დადგენას, რომლის მიღწევამდეც ბავშვებს არა აქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი;

(b) როცა ეს შესაფერისი და სასურველია, ასეთი ბავშვების მიმართ ზომების მიღებას ხელახალი სასამართლო განხილვის გარეშე, ადამიანის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით.

4. ისეთი სხვადასხვაგვარი ღონისძიებები, როგორებიცაა: მზრუნველობა, მეურვეობა და მეთვალყურეობა; საკონსულტაციო მომსახურება; გამოსაცდელი ვადის დანიშვნა; აღზრდა; სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები და ინსტიტუციური მზრუნველობის სხვა ალტერნატიული საშუალებები მიმართული უნდა იყოს ბავშვის კეთილდღეობისათვის შესაფერისი გარემოს შექმნისაკენ და შეესაბამებოდეს მის მდგომარეობასა და დანაშაულის ხასიათს.

მუხლი 41

ამ კონვენციაში არაფერი აზდენს გავლენას რაიმე დებულებაზე, რომელიც უფრო ეფექტურად უზრუნველყოფს ბავშვის უფლების რეალიზებას და რომელსაც შეიძლება შეიცავდეს:

(a) მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა; ან

(b) ამ სახელმწიფოსათვის მოქმედი საერთაშორისო სამართალი.

ნაწილი II

მუხლი 42

მონაწილე სახელმწიფოები თავის თავზე იღებენ ვალდებულებას შექმნან პრინციპები და პირობები, რათა ხელშეკრულება ფართოდ იქნეს ცნობილი მოზარდებისა და ბავშვებისათვის შესაბამისი და ქმედითი საშუალებებით.

მუხლი 43

1. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ამ კონვენციის შესრულების მიმდინარეობის განსახილველად იქმნება ბავშვთა უფლებების კომიტეტი, რომელიც ასრულებს ქვემოთ მოცემულ ფუნქციებს.

2. კომიტეტი შედგება ათი ექსპერტისაგან, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი მორალური თვისებებითა და კომპეტენტურობით იმ სფეროში, რომელსაც ეს კონვენცია მოიცავს. ექსპერტებს მონაწილე სახელმწიფოები ირჩევენ საკუთარი მოქალაქეებისაგან და ისინი მოქმედებენ პირადი პასუხისმგებლობით. ექსპერტების შერჩევისას მხედველობაში მიიღება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილებისა და სხვადასხვა ცივილიზაციების, აგრეთვე სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობის პრინციპები.

3. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით სიაში შეტანილ იმ პირთაგან, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებმა დაასახელეს. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს ერთი პირი თავის მოქალაქეთაგან.

4. პირველი არჩევნები ეწყობა ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა, ხოლო ამის შემდგომ – ყოველ მეორე წელს. ყოველი არჩევნების მოწყობის თარიღამდე სულ ცოტა ოთხი თვით ადრე გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის წერილს, რომელიც შეიცავს წინადადებას წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატები ორი თვის განმავლობაში. გენერალური მდივანი ადგენს სიას, რომელშიც ანბანური წესით შეაქვს ყველა წარმოდგენილი პირის გვარი იმ მონაწილე სახელმწიფოთა აღნიშვნით, რომლებმაც ისინი დაასახელეს, და ამ სიას წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს.

5. კომიტეტის წევრთა არჩევნები ეწყობა მონაწილე სახელმწიფოთა შეხვედრაზე, რომელსაც იწვევს გენერალური მდივანი გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში. სხდომაზე, რომლის ქვორუმსაც მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი შეადგენს, კომიტეტში არჩეულ პირებად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ ხმათა ყველაზე მეტ რაოდენობას და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში

მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას..

6. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით. მათ უფლება აქვთ ხელახლა იყვნენ არჩეული. პირველ არჩევნებში არჩეულ ხუთ წევრს უფლებამოსილების ვადა გაუდის ორი წლის შემდეგ: ჰირველი არჩევნების მოწყობისთანავე ამ ხუთი წევრის გვარებს ასახელებს კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით.

7. კომიტეტის რომელიმე წევრის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში ან, თუ მას რაიმე მიზეზით აღარ შეუძლია შეასრულოს კომიტეტის წევრის მოვალეობები, სახელმწიფო, რომელმაც ეს წევრი დაასახელა თავისი მოქალაქეებიდან დარჩენილი ვადით ნიშნავს სხვა ექსპერტს კომიტეტის მიერ მისი მოწონების შემთხვევაში.

8. კომიტეტი ამტკიცებს პროცედურის საკუთარ წესებს.

9. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლის ვადით.

10. კომიტეტის სხდომები, როგორც წესი, იმართება გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში ან სხვა შესაფერის ადგილას, რომელსაც კომიტეტი განსაზღვრავს. კომიტეტი ჩვეულებრივ იკრიბება ყოველწლიურად. კომიტეტის შეხვედრათა ხანგრძლივობა განისაზღვრება და აუცილებლობის შემთხვევაში იცვლება ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა შეხვედრაზე გენერალური ასამბლეის თანხმობით.

11. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი კომიტეტს უზრუნველყოფს ამ კონვენციის შესაბამისად მისი ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალითა და საშუალებებით.

12. გენერალური ასამბლეის თანხმობით, ამ კონვენციის შესაბამისად შექმნილი კომიტეტის წევრებს გაერთიანებული

ერების სახსრებიდან ენიშნებათ ანაზღაურება, რომლის მიღების წესსა და პირობებს ასამბლეა განსაზღვრავს.

მუხლი 44

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებებს იღებენ გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მეშვეობით კომიტეტს წარუდგინონ მოხსენებები მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ კონვენციით განმტკიცებულ უფლებათა დამკვიდრებისა და ამ სფეროში მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით:

(a) მონაწილე სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში;

(b) ყოველ მომდევნო ხუთ წელიწადში.

2. წინამდებარე მუხლის მიხედვით წარდგენილ მოხსენებებში მითითებულია ფაქტორები და სირთულეები, თუკი ასეთი არსებობს, რომლებიც ზემოქმედებს ამ კონვენციის ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე. მოხსენებები აგრეთვე შეიცავს საკმარის ინფორმაციას იმისთვის, რათა კომიტეტისთვის სრულიად გასაგები გახდეს კონვენციის მოცემულ ქვეყანაში მოქმედების ფარგლები.

3. მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც კომიტეტს წარუდგენს ყოვლისმომცველ პირველად მოხსენებას, არ სჭირდება წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის „b“ ქვეპუნქტის მიხედვით წარდგენილ შემდგომ მოხსენებებში გაიმეოროს ადრე გადმოცემული ძირითადი ინფორმაცია.

4. კომიტეტს შეუძლია მონაწილე სახელმწიფოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ეხება ამ კონვენციის განხორციელებას.

5. მოხსენებები კომიტეტის საქმიანობის შესახებ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით წარედგინება გენერალურ ასამბლეას ორ წელიწადში ერთხელ.

6. მონაწილე სახელმწიფოები საკუთარ ქვეყნებში უზრუნველყოფენ თავიანთი მოხსენებების საჯაროობას.

მუხლი 45

კონვენციის განხორციელებისათვის ეფექტური ხელშეწყობისა და მოცემულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების მიზნით:

(ა) სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდს, გაერთიანებული ერების სხვა ორგანოებს უფლება აქვთ წარმოდგენილი იყვნენ ამ კონვენციის დებულებების განხორციელების საკითხთა განხილვაში მათი მანდატის შესაბამისად. შესაბამის შემთხვევაში კომიტეტი უფლებამოსილია სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს შესთავაზოს, წარმოადგინონ ექსპერტთა დასკვნა კონვენციის განხორციელების თაობაზე იმ სფეროებში, რომლებიც მათ უფლებამოსილებას განეკუთვნება. კომიტეტს ასევე შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდსა და გაერთიანებული ერების სხვა ორგანოებს სთხოვოს წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ იმ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროში შედის;

(b) შესაბამის შემთხვევაში კომიტეტი სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს უგზავნის მონაწილე სახელმწიფოს მოხსენებას, რომელიც შეიცავს თხოვნას ტექნიკური კონსულტაციის ან დახმარების შესახებ, ან მიუთითებს მის საჭიროებაზე, აგრეთვე კომიტეტის შენიშვნებსა და წინადადებებს მსგავსი თხოვნისა და მითითების თაობაზე.

(c) კომიტეტს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს გენერალურ ასამბლეას, წინადადება მისცეს გენერალურ მდი-

ვანს, რათა მან ასამბლეის სახელით ჩაატაროს კვლევა ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე.

(d) ამ კონვენციის 44-ე და 45-ე მუხლების შესაბამისად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კომიტეტი შეიმუშავებს ზოგადი ხასიათის წინადადებებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული წინადადებები და რეკომენდაციები ეგზავნებათ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს და ეცნობება გენერალურ ასამბლეას მონაწილე სახელმწიფოთა შენიშვნებთან ერთად, თუკი ასეთი არსებობს.

ნაწილი III

მუხლი 46

ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ყველა სახელმწიფოსათვის.

მუხლი 47

ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

მუხლი 48

წინამდებარე კონვენცია ღიაა მისაერთებლად ნებისმიერი სახელმწიფოსათვის. მიერთების დოკუმენტები დეპონირდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

მუხლი 49

1. ეს კონვენცია ძალაში შედის გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის დეპონირების ოცდამეათე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ კონვენციის რატიფიკაციას მოახდენს ან მიუერთდება მას მეოცე

სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის დეპონირების ოცდამეათე დღეს.

მუხლი 50

1. ამ პაქტის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია შესწორებათა შეთავაზება გენერალური მდივნისათვის. გენერალური მდივანი შეთავაზებულ შესწორებებს უგზავნის ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს შეატყობინონ ეთანხმებიან თუ არა მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევას, წინადადებათა განხილვას და მზად არიან თუ არა კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად. მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა ორი მესამედის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, გენერალური მდივანი მოიწვევს ასეთ კონფერენციას გაერთიანებული ერების ეგიდით. ამ კონფერენციასა და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ მიღებული შესწორება დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას.

2. შესწორებები ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა და მიიღებს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი.

3. ძალაში შესვლის შემდეგ, შესწორებები სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ისინი მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ კონვენციის დებულებები და მათ მიერ მიღებული ყველა წინა შესწორება.

მუხლი 51

1. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი იღებს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის რატიფიკაციის ან მიერთების მომენტში სახელმწიფოთა მიერ გაკეთებულ დათქმათა ტექსტს.

2. დათქმა, რომელიც შეუთავსებელია ამ კონვენციის მიზნებსა და ამოცანებთან, არ მიიღება.

3. დათქმები შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინებით, რომელსაც გენერალური მდივანი აცნობებს ყველა მონაწილე სახელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მიღების დღიდან.

მუხლი 52

მონაწილე სახელმწიფო ამ კონვენციის დენონსაციას ახდენს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. დენონსაცია ძალაში შედის შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 53

გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი ამ კონვენციის დეპოზიტარია.

მუხლი 54

ამ კონვენციის დედანი, რომლის არაბული, ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური ტექსტები თანაბრად ავთენტურია, დეპონირდება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ კვლავ განამტკიცა რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნული ღირსებისა და ღირებულებებისადმი და მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობისადმი,

ითვალისწინებენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ადასტურებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს და აცხადებს, რომ ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანაბარი თავისი ღირსებითა და უფლებებით და რომ ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება, მათ შორის სქესის განუსხვავებლად,

იღებენ მხედველობაში საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობის მიზნით დაიდო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და სპეციალიზებული დაწესებულებების ეგიდით,

ითვალისწინებენ აგრეთვე რეზოლუციებს, დეკლარაციებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის ხელშეწყობის მიზნით მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და სპეციალიზებულმა დაწესებულებებმა,

ამავე დროს გამოთქვამენ წუხილს, რომ ამ სხვადასხვა დოკუმენტების მიუხედავად, წინანდებურად ხდება ქალთა მნიშვნელოვანი დისკრიმინაცია,

შეახსენებენ, რომ ქალთა დისკრიმინაცია არღვევს თანასწორუფლებიანობისა და ადამიანური ღირსების პატივისცემის პრინციპებს, ხელს უშლის მამაკაცთან ერთად ქალის მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ,

ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, საზოგადოებისა და ოჯახის კეთილდღეობის ზრდას და კიდევ უფრო აძნელებს თავიანთი ქვეყნებისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ ქალთა შესაძლებლობის სრულად გამოვლენას,

შეწუხებულნი არიან, რომ სიღარიბის პირობებში ქალებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სურსათზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, განათლებაზე, პროფესიულ მომზადებასა და შრომითი მოწყობის შესაძლებლობაზე, აგრეთვე სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე,

დარწმუნებული არიან, რომ თანასწორობისა და სამართლიანობის საფუძველზე ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წყობის დადგენა საგრძნობლად შეუწყობს ხელს მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის უზრუნველყოფას,

ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ აპარტეიდის, ყველა ფორმის რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, აგრესიის, უცხოეთის ოკუპაციისა და ბატონობის და სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის აღმოფხვრა აუცილებელია მამაკაცთა და ქალთა უფლებების სრული განხორციელებისათვის,

ადასტურებენ, რომ საერთაშორისო მშვიდობის და უშიშროების განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა მათი სოციალური და ეკონომიკური სისტემების მიუხედავად, ბირთვული განიარაღება მკაცრი, ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით, ქვეყნებს შორის ურთიერთობაში სამართლიანობის, თანასწორობის, ურთიერთსარგებლიანობის პრინციპების დამკვიდრება, უცხოეთის და კოლონიური ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხების თვითგამორკვევის და დამოუკიდებლობის უფლებების განხორციელება, აგრეთვე ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა ხელს შეუწყობს სოციალურ პროგრესსა და განვითარებას,

ეს კი, თავის მხრივ — მამაკაცებსა და ქალებს შორის სრული თანასწორობის მიღწევას,

დარწმუნებული არიან, რომ ქვეყნის სრული განვითარება, მთელი მსოფლიოს კეთილდღეობა და მშვიდობის საქმე მოითხოვს ყველა სფეროში მამაკაცთა თანაბრად ქალთა მაქსიმალურ მონაწილეობას,

ითვალისწინებენ ოჯახის კეთილდღეობასა და საზოგადოების განვითარებაში ქალთა წვლილის მნიშვნელობას, რომელსაც დღემდე არ მოუპოვებია სრული აღიარება, დედობისა და ოჯახში ბავშვთა აღზრდაში ორივე მშობლის როლის სოციალურ მნიშვნელობას და შეგნებული აქვთ, რომ ქალის როლი თაობის გაგრძელებაში არ უნდა იყოს დისკრიმინაციის მიზეზი, ვინაიდან ბავშვის აღზრდა მოითხოვს მამაკაცთა და ქალთა და მთლიანად საზოგადოების ერთობლივ პასუხისმგებლობას,

აღიარებენ, რომ მამაკაცთა და ქალთა სრული თანასწორობის მისაღწევად საჭიროა საზოგადოებასა და ოჯახში როგორც მამაკაცის, ისე ქალის ტრადიციული როლის შეცვლა,

მზად არიან განახორციელონ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის დეკლარაციაში გამოცხადებული პრინციპები და ამ მიზნით მიიღონ ზომები, რომლებიც საჭიროა ასეთი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს იგი,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი 1

ამ კონვენციის მიზნებისათვის ცნება „ქალთა დისკრიმინაცია“ ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას ან შეზღუდვას სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს ან არარად აქცევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ,

მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ქალთა მიერ, — მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, — ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების აღიარებას, სარგებლობასა და განხორციელებას.

მუხლი 2

მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმას, შეთანხმდნენ, ყველა საჭირო საშუალებით განუხრელად განახორციელონ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკა და ამ მიზნით კისრულობენ ვალდებულებას, რომ:

a) მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს შეიტანენ თავიანთ ეროვნულ კონსტიტუციებში ან სხვა შესაბამის კანონმდებლობაში, თუ ეს ჯერ არ გაუკეთებიათ, და კანონის და სხვა შესაბამისი საშუალებებით უზრუნველყოფენ ამ პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას;

b) მიიღებენ შესაბამის საკანონმდებლო და სხვა ზომებს, მათ შორის — სანქციებს, იქ, სადაც ეს საჭიროა, რომლებიც აკრძალავენ ქალთა ყოველგვარ დისკრიმინაციას;

c) დააწესებენ ქალთა უფლებების იურიდიულ ხელშეუხებლობას მამაკაცებთან თანაბარ საფუძველზე და კომპეტენტური ეროვნული სასამართლოების და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით უზრუნველყოფენ ქალთა ეფექტიან დაცვას დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან;

d) თავს შეიკავებენ ქალთა მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტის ან მოქმედების ჩადენისაგან და უზრუნველყოფენ, რომ სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები მოქმედებდნენ ამ ვალდებულების შესაბამისად;

e) მიიღებენ ყველა საჭირო ზომას რომელიმე პირის, ორგანიზაციის ან საწარმოსადმი ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;

f) მიიღებენ ყველა საჭირო ზომას, მათ შორის საკანონმდებლოს, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ადათწესების და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომლებითაც დაშვებულია ქალთა დისკრიმინაცია;

g) გააუქმებენ თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყველა დებულებას, რომლებიც უშვებენ ქალთა დისკრიმინაციას.

მუხლი 3

მონაწილე სახელმწიფოები ყველა სფეროში, სახელდობრ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში, იღებენ ყველა საჭირო ზომას, მათ შორის, საკანონმდებლოს, რათა უზრუნველყონ ქალთა ყოველმხრივი განვითრება და პროგრესი, მათ მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელება და გამოყენება მამაკაცებთან თანასწორობის საფუძველზე.

მუხლი 4

1. მონაწილე სახელმწიფოების მიერ დროებითი სპეციალური ზომების მიღება, რომელთა მიზანია მამაკაცთა და ქალთა ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დაჩქარება, არ ითვლება, როგორც ეს განსაზღვრულია ამ კონვენციით, დისკრიმინაციულად, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწვევდეს არათანასწორუფლებიანი ან დიფერენცირებული სტანდარტების შენარჩუნებას; ეს ზომები უნდა გაუქმდეს, როცა მიღწეული იქნება შესაძლებლობათა თანასწორობის და თანასწორუფლებიანი ურთიერთობის მიზნები.

2. მონაწილე სახელმწიფოების მიერ სპეციალური ზომების მიღება, რომელთა მიზანია დედობის დაცვა, მათ შორის, იმ ზომების მიღება, რომლებსაც ეს კონვენცია შეიცავს, არ ითვლება დისკრიმინაციულად.

მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო ზომას იღებენ, რათა:

a) შეიცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენების აღმოფხვრისა და იმ ადათ-წესების თუ სხვა იმგვარი პრაქტიკის გაუქმების მიზნით, რომლებსაც საფუძვლად უდევს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ან მამაკაცთა და ქალთა სტერეოტიპულობის იდეა;

b) უზრუნველყონ, რომ ოჯახური აღზრდა შეიცავდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის, სწორ გაგებას და მამაკაცთა და ქალთა საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას თავიანთი შვილების აღზრდისა და განვითარებისათვის იმ პირობით, რომ ყველა შემთხვევაში უმთავრესია ბავშვთა ინტერესები.

მუხლი 6

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას, მათ შორის — საკანონმდებლოს, ქალებით ვაჭრობის და ქალთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის ყოველგვარ სახეობათა აღსაკვეთად.

ნაწილი II

მუხლი 7

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, და, სახელდობრ, ქალებისათვის, მამაკაცებთან თანაბარ პირობებში, უზრუნველყოფენ უფლებას, რომ:

a) ხმა მისცენ ყველა არჩევნებსა და საჯარო რეფერენდუმებში და არჩეულ იქნენ ყველა საჯაროდ არჩეულ ორგანოში;

b) მონაწილეობდნენ მთავრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში და დაიკავონ სახელმწიფო პოსტები, აგრეთვე, შეასრულონ ყველა სახელმწიფო ფუნქცია სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე;

c) მიიღონ მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებზე მუშაობენ.

მუხლი 8

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა ქალებისათვის, მამაკაცებთან თანაბარ პირობებში და რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, უზრუნველყონ იმის შესაძლებლობა, რომ წარმომადგენლობდნენ თავიანთ მთავრობებს საერთაშროისო დონეზე და მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში.

მუხლი 9

მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მამაკაცებთან თანაბარ უფლებას, მიიღონ, შეიცვალონ ან შეინარჩუნონ მოქალაქეობა. ისინი, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ არც უცხოელთან ქორწინება, არც ქმრის მოქალაქეობის შეცვლა ქორწინების დროს არ იწვევს ცოლის მოქალაქეობის ავტომატურად შეცვლას, არ აქცევს მას მოქალაქეობის არმქონე პირად და არ შეიძლება აიძულონ იგი მიიღოს ქმრის მოქალაქეობა.

2. მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მამაკაცებთან თანაბარ უფლებას მათი შვილების მოქალაქეობის მიმართ.

ნაწილი III

მუხლი 10

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას იმისათვის, რომ აღმოფხვრან ქალთა დისკრიმინაცია, რათა მათთვის უზრუნველყონ მამაკაცებთან თანაბარი უფლება განათლების სფეროში, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ:

a) პროფესიის ან სპეციალობის არჩევაში ორიენტაციის, და როგორც სასოფლო, ისე ქალაქის რაიონებში ყველა კატეგორიის უმაღლეს სასწავლებელში განათლების დიპლომების მიღების ერთნაირი პირობები; ამ თანასწორობის უზრუნველყოფა ხდება სკოლამდელი, ზოგადი, სპეციალური და უმაღლესი ტექნიკური განათლების, აგრეთვე — ყველა სახეობის პროფესიული მომზადების სფეროში,

b) ერთნაირი სასწავლო პროგრამების, ერთნაირი გამოცდების, ერთნაირი კვალიფიკაციის მასწავლებელთა შემადგენლობის, თანაბარი ხარისხის სასკოლო შენობების და მოწყობილობის მისაწვდომობა;

c) სწავლების ყველა დონეზე და ყველა ფორმაში მამაკაცთა და ქალთა როლის ნებისმიერი სტერეოტიპული კონცეფციის აღმოფხვრა ერთობლივი სწავლების და სწავლების სხვა სახეობათა წახალისების გზით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ მიზნის მიღწევას, და, კერძოდ, სახელმძღვანელოების და სასკოლო პროგრამების გადასინჯვის და სწავლების მეთოდების ადაპტაციის გზით;

d) განათლებისათვის სტიპენდიების და სხვა დახმარებების მიღების თანაბარი შესაძლებლობანი;

e) განათლების მიღების გაგრძელების, უფროსი ასაკის ადამიანთა შორის წერა-კითხვის გავრცელების და ფუნქციური წიგნიერების პროგრამების მისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობანი, რომელთა მიზანია, კერძოდ, მამაკაცთა და

ქალთა ცოდნაში ნებისმიერი განსხვავების რაც შეიძლება მალე შემცირება;

ფ) სკოლადაუმთავრებელ გოგონათა რიცხვის შემცირება და იმ გოგონებისა და ქალებისათვის პროგრამების შემუშავება, რომლებმაც ნაადრევად დაანებეს თავი სკოლას;

გ) სპორტულ მეცადინეობებსა და ფიზიკურ მომზადებაში აქტიური მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობანი;

ჰ) საგანმანათლებლო ხასიათის სპეციალური ინფორმაციის, მათ შორის — ოჯახის სიდიდის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციის და კონსულტაციების მისაწვდომობა ოჯახთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 11

1. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას დასაქმების სფეროში ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ თანაბარი უფლებები, კერძოდ:

a) შრომის უფლება, როგორც ყველა ადამიანის განუყოფელი უფლება;

b) სამუშაოზე დაქირავებისას თანაბარი შესაძლებლობის უფლება, მათ შორის — დაქირავებისას შერჩევის ერთნაირი კრიტერიუმების გამოყენება;

c) პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფლად არჩევის, თანამდებობრივი დაწინაურების და დასაქმების გარანტიის, აგრეთვე სამუშაოს ყველა შეღავათის და პირობების გამოყენების, პროფესიული მომზადების და გადამზადების, მათ შორის — მოწაფეობის, გაზრდილი დონის პროფესიული მომზადების და რეგულარული გადამზადების უფლება;

d) თანაბარი ანაზღაურების, მათ შორის — შეღავათების, თანაბარი ღირებულების შრომის მიმართ თანაბარი პი-

რობების, აგრეთვე მუშაობის ხარისხის შეფასებისადმი თანაბარი მიდგომის უფლება;

e) სოციალური უზრუნველყოფის უფლება, კერძოდ, პენსიაზე გასვლის, უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მოხუცებულობის და შრომისუნარიანობის დაკარგვის სხვა შემთხვევებში, აგრეთვე ანაზღაურებადი შვებულების უფლება;

f) ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხო პირობების, მათ შორის – თაობის გაგრძელების ფუნქციის შენარჩუნების უფლება;

2. გათხოვების ან დედობის გამო ქალთა მიმართ დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და მათთვის შრომის ეფექტიანი უფლების გარანტირების მიზნით მონაწილე სახელმწიფოები იღებენ საჭირო ზომებს, რათა:

a) სანქციების გამოყენების მუქარით აიკრძალოს სამუშაოდან დათხოვნა ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების საფუძველზე ან დისკრიმინაცია დათხოვნის დროს ოჯახის მდგომარეობის გამო;

b) შემოიღონ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება ორსულობის ან მშობიარობის გამო შეპირისპირებადი სოციალური დახმარებით ადრინდელი სამუშაოს ადგილის, უმცროს-უფროსობის ან სოციალური დახმარების დაუკარგავად;

c) წაახალისონ საჭირო დამატებითი სოციალური მომსახურების გაწევა, რათა მშობლებს მიეცეთ ოჯახური მოვალეობის შესრულების შრომით საქმიანობასთან შეთავსების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება, კერძოდ – საბავშვო დაწესებულების ქსელის შექმნისა და გაფართოების გზით;

d) უზრუნველყონ ქალთა განსაკუთრებული დაცვა ორსულობის პერიოდში იმ სახეობის სამუშაოზე, რომელთა მავნეობა მათი ჯანმრთელობისათვის დამტკიცებულია.

3. კანონმდებლობა, რომელიც ამ მუხლში აღნიშნულ უფლებათა დაცვას ეხება, პერიოდულად განიხილება სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის დონეზე, აგრეთვე გადაისინჯება, უქმდება ან ფართოვდება, რამდენადაც ამას საჭიროება მოითხოვს.

მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ სამედიცინო მომსახურების მისაწვდომობა, კერძოდ, ოჯახის სიდიდის დაგეგმვის საკითხში.

2. ამ მუხლის I პუნქტის დებულებებთან ერთად მონაწილე სახელმწიფოები ქალებისათვის უზრუნველყოფენ შესაბამის მომსახურებას ორსულობის, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, როცა ეს საჭიროა, უწევენ უფასო მომსახურებას, აგრეთვე უზრუნველყოფენ შესაბამის კვებას ორსულობისა და მეძუძურობისას.

მუხლი 13

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ საჭირო ზომებს ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ თანაბარი უფლებები, კერძოდ:

a) საოჯახო დახმარების უფლება;

b) ფულადი სესხების, უძრავი ქონების გირავნობით სესხის და სხვა ფორმის საფინანსო კრედიტების მიღების უფლება;

c) დასვენებასთან, სპორტულ მეცადინეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებსა და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები ითვალისწინებენ განსაკუთრებულ პრობლემებს, რომლებსაც აწყდებიან სოფლად მცხოვრები ქალები, და მნიშვნელოვან როლს, რომლებსაც ისინი ასრულებენ თავიანთი ოჯახების ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, მათ შორის — მათს საქმიანობას მეურნეობის უსაქონლო დარგებში, და იღებენ საჭირო ზომებს სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ ამ კონვენციის დებულებათა გამოსაყენებლად.

2. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას სასოფლო რაიონებში ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ მათი მონაწილეობა სასოფლო რაიონების განვითარებასა და ასეთი განვითარებისაგან სარგებლის მიღებაში, და, კერძოდ, ასეთ ქალებს უზრუნველყოფენ იმის უფლებით, რომ:

a) ყველა დონეზე მონაწილეობდნენ განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში;

b) სარგებლობდნენ შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, მათ შორის — ოჯახის სიდიდის დაგეგმვის საკითხებზე ინფორმაციით, კონსულტაციითა და მომსახურებით;

c) უშუალოდ სარგებლობდნენ სოციალური დაზღვევის პროგრამების სიკეთით;

d) იღებდნენ ყველა სახეობის მომზადებას და ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას, მათ შორის — ეუფლებოდნენ ფუნქციურ წიგნიერებას, აგრეთვე — სარგებლობდნენ სათემო მომსახურების ყველა საშუალებით, სოფ-

ლის მეურნეობის საკითხებზე საკონსულტაციო სამსახურით, კერძოდ, მათი ტექნიკური დონის ასამაღლებლად.

ე) ჩამოაყალიბონ თვითდახმარების ჯგუფები და კოოპერატივები, რათა უზრუნველყონ ეკონომიკურ შესაძლებლობათა თანაბარი მისაწვდომობა დაქირავებული მუშაობით ან დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობით;

ფ) მონაწილეობდნენ ყველა სახეობის კოლექტიურ საქმიანობაში;

გ) სარგებლობდნენ სასოფლო-სამეურნეო კრედიტებითა და სესხებით, გასაღების სისტემით, შესაბამისი ტექნოლოგიით და თანაბარი სტატუსით მიწისა და აგრარულ რეფორმებში, აგრეთვე მიწებზე დასახლების გეგმებში;

ჰ) სარგებლობდნენ ცხოვრების ჯეროვანი პირობებით, განსაკუთრებით – საბინაო პირობებით, სანიტარული მომსახურებით, ელექტრო და წყალმომარაგებით, აგრეთვე ტრანსპორტით და კავშირგაბმულობის საშუალებებით.

ნაწილი IV

მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ კანონის წინაშე ქალების თანასწორობას მამაკაცებთან.

2. მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მამაკაცებთან თანაბარ სამოქალაქო უფლებაუნარიანობას და მისი განხორციელების თანაბარ შესაძლებლობებს. ისინი, კერძოდ, მათთვის უზრუნველყოფენ თანაბარ უფლებებს ხელშეკრულების დადებისას და ქონების მართვის საკითხში, აგრეთვე თანაბარ დამოკიდებულებას მათდამი სასამართლოებსა და ტრიბუნალებში გარჩევის ყველა ეტაპზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ძალადაკარგულად ითვლება ყველა ხელშეკრულება და ყველა

სხვა კერძო საბუთი, რომელიც თავისი სამართლებრივი შედეგით ზღუდავს ქალთა უფლებაუნარიანობას.

4. მონაწილე სახელმწიფოები მამაკაცებსა და ქალებს თანაბარ უფლებებს ანიჭებენ კანონმდებლობის მიმართ, რომელიც ეხება პირთა გადაადგილებას და საცხოვრებელი ადგილის არჩევას.

მუხლი 16

1. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის ყველა საჭირო ზომას, რომლებიც ეხება ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობას, და, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფენ:

a) ქორწინების თანაბარ უფლებას;

b) მეუღლის თავისუფლად არჩევის და მხოლოდ თავისუფალი და სრული თანხმობით ქორწინების თანაბარ უფლებას;

c) ქორწინების პერიოდში და განქორწინების დროს თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს;

d) მამაკაცებისა და ქალების, როგორც მშობლების, თანაბარ უფლებებს, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ყველა საკითხში, რომლებიც მათ შვილებს ეხება; შვილთა ინტერესები ყველა შემთხვევაში უმთავრესია;

e) თანაბარ უფლებას და მოვალეობას, რომ თავისუფლად და პასუხისმგებლობით წყვეტდნენ შვილების რაოდენობისა და მათს დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხს და რომ ჰქონდეთ ინფორმაციის, განათლების მიღების, აგრეთვე იმ საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლებიც ხელს უწყობს მათ ამ უფლების განხორციელებაში;

f) თანაბარ უფლებას და მოვალეობას, რომ იყვნენ ბავშვთა მეურვეები, მზრუნველები, მრწმუნებლები, მშვილე-

ბლები ან ახორციელებდნენ ანალოგიურ ფუნქციებს, როცა ისინი გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით; ყველა შემთხვევაში, უმთავრესია შვილთა ინტერესები;

გ) ცოლისა და ქმრის თანაბარ პირად უფლებებს, მათ შორის — გვარის, პროფესიის და საქმიანობის არჩევის უფლებას;

ჰ) მეუღლეთა თანაბარ უფლებას ქონების ფლობის, შეძენის, მართვის, გამოყენების და მისი უფასო და ფასიანი განკარგვის მიმართ.

2. ბავშვის ნიშნობას ან ქორწინებას იურიდიული ძალა არა აქვს და მიიღება ყველა საჭირო ზომა, მათ შორის — საკანონმდებლო, ქორწინების მინიმალური ასაკის განსაზღვრის და სამოქალაქო მდგომარეობის აქტებში ქორწინების სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით.

ნაწილი V

მუხლი 17

1. ამ კონვენციის შესრულების მიმდინარეობის განსახილველად ფუძნდება ქალთა დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტი (შემდგომში კომიტეტად წოდებული). იგი კონვენციის ძალაში შესვლის მომენტში შედგება თვრამეტი, ხოლო ოცდამეთხუთმეტე მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის ან მასთან შეერთების შემდეგ, ოცდასამი ექსპერტისაგან, რომლებსაც აქვთ მაღალი მორალური თვისებები და კომპეტენტურნი არიან სფეროში, რომელსაც ეს კონვენცია მოიცავს. ამ ექსპერტებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეთაგან და მოქმედებენ დამოუკიდებლად, ამასთან, გაითვალისწინება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და ცივილიზაციის სხვადასხვა ფორმების, აგრეთვე — ძირითადი სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობა.

2. კომიტეტის წევრებს ფარული კენჭისყრით ირჩევენ სიაში შეტანილ იმ პირთაგან, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებმა დაასახელეს. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს ერთი პირი თავის მოქალაქეთაგან.

3. თავდაპირველი არჩევნები ეწყობა ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ექვსი თვის შემდეგ. ყოველი არჩევნების მოწყობის თარიღამდე, სულ ცოტა, სამი თვით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის წერილს, რომელიც შეიცავს წინადადებას, წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურები ორი თვის განმავლობაში. გენერალური მდივანი ადგენს სიას, რომელშიც ანბანური წესით შეაქვთ ყველა წარმოდგენილი პირის გვარები იმ მონაწილე სახლმწიფოთა აღნიშვნით, რომლებმაც ისინი დაასახელეს, და ამ სიას წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს.

4. კომიტეტის წევრთა არჩევნები ეწყობა მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც იწვევს გენერალური მდივანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში. ამ სხდომაზე, რომლის ქვორუმსაც მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი შეადგენს, კომიტეტში არჩეულ პირებად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ ხმათა ყველაზე მეტ რაოდენობას და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას.

5. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით, ოღონდ პირველ არჩევნებში არჩეული ცხრა წევრის უფლებამოსილებას ვადა გაუდის ორი წლის შემდეგ; პირველი არჩევნების მოწყობისთანავე ამ ცხრა წევრის გვარებს ასახელებს კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით.

6. კომიტეტის დამატებითი 5 წევრის არჩევა ხდება ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების დებულებათა შესა-

ბამისად ოცდამეთხუთმეტე სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიკაციის და მასთან შეერთების შემდეგ. ამრიგად არჩეულ ორ დამატებით წევრს უფლებამოსილების ვადა გაუდის ორი წლის შემდეგ; ამ ორი წევრის გვარს ასახელებს კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით;

7. გაუთვალისწინებელი ვაკანსიების შესავსებად, მონაწილე სახელმწიფო, რომლის ექსპერტმა შეწყვიტა ფუნქციონირება როგორც კომიტეტის წევრმა, ნიშნავს სხვა ექსპერტს თავის მოქალაქეთაგან, იმ პირობით, რომ მას მხარს დაუჭერს კომიტეტი.

8. კომიტეტის წევრები იღებენ გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ გასამრჯელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახსრებიდან, იმ წესითა და პირობებით, რომლებსაც ადგენს ასამბლეა კომიტეტის მოვალეობათა მნიშვნელობის გათვალისწინებით.

9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უზრუნველყოფს საჭირო პერსონალსა და მატერიალურ საშუალებებს ამ კონვენციის შესაბამისად კომიტეტის მიერ თავისი ფუნქციების ეფექტიანი განხორციელებისათვის.

მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად წარუდგინონ მოხსენება საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მათ განახორციელეს ამ კონვენციის დებულებათა შესასრულებლად, და პროგრესის შესახებ, რომელსაც ამასთან დაკავშირებით მიაღწიეს:

a) დაინტერესებული სახელმწიფოსთვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის განმავლობაში;

b) ამის შემდეგ, სულ ცოტა, ყოველი ოთხი წლის მერე და შემდეგომში, როცა ამას კომიტეტი მოითხოვს.

2. მოხსენებაში შეიძლება აღინიშნოს ფაქტორები და სიძნელეები, რომლებიც გავლენას ახდენს ამ კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზე.

მუხლი 19

1. კომიტეტი პროცედურის თავის საკუთარ წესებს ამტკიცებს.

2. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ორი წლით ირჩევს.

მუხლი 20

1. კომიტეტი ყოველწლიურად მართავს სხდომებს, როგორც წესი, არაუხანგრძლივესს, ვიდრე ორკვირიანს, რათა განიხილოს ამ კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი მოხსენებები.

2. კომიტეტის სხდომები, როგორც წესი, იმართება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში ან ნებისმიერ სხვა შესაფერის ადგილას, რომელსაც კომიტეტი განსაზღვრავს.

მუხლი 21

1. კომიტეტი ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას თავისი საქმიანობის შესახებ. შეუძლია შეიტანოს ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც დაფუძნებული იქნება მონაწილე სახელმწიფოებისგან მიღებული მოხსენებისა და ინფორმაციის შესწავლაზე, ასეთი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები კომიტეტის მოხსენებაში შეაქვთ მონაწილე სახელმწიფოების შენიშვნებთან ერთად, თუ ასეთი რამ იყო.

2. გენერალური მდივანი კომიტეტის მოხსენებებს ინფორმაციისთვის უგზავნის ქალთა მდგომარეობის კომისიას.

მუხლი 22

სპეციალიზებულ დაწესებულებებს უფლება აქვთ წარმოდგენილი იყვნენ ამ კონვენციის ისეთ წინადადებათა განხორციელების საკითხთა განხილვაში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროში შედის. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს შესთავაზოს, წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ ისეთ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს ეკუთვნის.

ნაწილი VI

მუხლი 23

ეს კონვენცია არ ეხება ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მიღწევის უფრო ხელშემწყობ დებულებებს, რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს:

ა) მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა; ან

ბ) სხვა საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომლებსაც ძალა აქვთ ასეთი სახელმწიფოსათვის.

მუხლი 24

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, ყველაფერი იღონონ ეროვნულ დონეზე იმ მიზნით, რომ მიაღწიონ ამ კონვენციით აღიარებული უფლებების სრულ განხორციელებას.

მუხლი 25

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ყველა სახელმწიფოსათვის.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დანიშნულია ამ კონვენციის დეპოზიტორად.

3. ეს კონვენცია სარატიფიკაციოა. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

4. ეს კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოსთვის შესაერთებლად, რისთვისაც საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შესანახად ჩაბარდეს დოკუმენტი შეერთების შესახებ.

მუხლი 26

1. ამ კონვენციის გადასინჯვის თაობაზე თხოვნის შემოტანა ყოველთვის შეუძლია ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რისთვისაც წერილობითი შეტყობინება უნდა გაეგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 27

1. ეს კონვენცია ძალაში შედის ოცდამეათე დღეს, მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შესანახად ჩაბარდება მეოცე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტი.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ კონვენციას რატიფიცირებას მოახდენს ან მეოცე სარატიფიკაციო სიგელს ან შეერთების დოკუმენტს ჩააბარებს შესანახად, ეს კონვენცია ძალაში შედის ოცდამეათე დღეს მას შემდეგ, რაც შესანახად ჩააბარებს სარატიფიკაციო სიგელს ან შეერთების დოკუმენტს.

მუხლი 28

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იღებს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის შენიშვნე-

ბის ტექსტს, რომლებიც სახელმწიფოებმა შემოიტანეს რატიფიკაციის ან შეერთების მომენტში.

2. შეუწყნარებელია ისეთი შენიშვნების შემოტანა, რომლებიც შეუთავსებელია ამ კონვენციის მიზნებთან და ამოცანებთან.

3. შენიშვნების უკან წაღება შეიძლება ნებისმიერ დროს, რისთვისაც შესაბამის შეტყობინებას უგზავნიან გენერალურ მდივანს, რომელიც შემდეგ ამას ამცნობს ყველა მონაწილე სახელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

მუხლი 29

1. ამ კონვენციის განმარტებისა თუ გამოყენების თაობაზე ორი ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოს დავა თუ მოლაპარაკების გზით ვერ გადაწყდა, ერთ-ერთი მხარის თხოვნით საარბიტრაჟო განხილვისათვის გადაეცემა. თუ საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის მოწყობის თაობაზე, ნებისმიერ მხარეს შეუძლია აღნიშნული სადავო საკითხი შეიტანოს შესაბამისი სტატუსის საერთაშორისო სასამართლოში განცხადების შეტანის გზით.

2. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის ხელმოწერის თუ რატიფიკაციის, ან მასთან შეერთების დროს განაცხადოს, რომ თავს არ იბორკავს ვალდებულებებით, რომლებსაც ამ მუხლის პირველი პუნქტი შეიცავს. დანარჩენი მონაწილე სახელმწიფოები არ ასრულებენ მოცემული მუხლის აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს იმ მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც ასეთი შენიშვნა შეიტანა.

3. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც შენიშვნა შეიტანა ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

შეუძლია ნებისმიერ დროს უკან წაიღოს თავის შენიშვნა, რისთვისაც შეტყობინება უნდა გაუგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 30

ეს კონვენცია, რომლის თანაბრად ავთენტიკური ტექსტი შედგენილია არაბულ, ესპანურ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ენებზე, შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

რის დასტურადაც სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს აწერენ ამ კონვენციას.

გამომცემლობის რედაქტორი: ზ. ნაჭყებია

ტექნიკური რედაქტორები: ნ. ბურჯანაძე
ლ. თვარაძე

მხატვრული რედაქტორი: გ. გვიშიანი

კორექტორი: ს. ლობჟანიძე

გადაეცა წარმოებას 25.01.05 ხელმოწერილია დასაბეჭდად 09.02.05
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 37 ქაღალდის ზომა 60X84 1/16
შეკვეთის №25, ტირაჟი 500

საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“
ძმები კაკაბაძეების ქ. №22